

780/3

2001

საგარეო  
საგარეო



5-6

---

**2001**

# საუნჯე

2001/5—6

საბჭოთავი  
დაკავშირებული

117  
საქართველოს  
საბჭოთავი



## შინაარსი

### პროზა, პოეზია

აბოტა კრისტოფი. საბრთო რვეუდი. რომანი. თარგმნა მეფეა ზუბადალაშვილმა	3
მარკ შაბანი. დემსი. თარგმნა გურამ ნემსაძემ	88
ქრისტა ვოდვი. კასანდრა. გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ლვინეფაძემ	90
კაულ ცაღანი. დემსი. გერმანულიდან თარგმნა დათო ბარბაქაძემ	127
ერნესტ თაორორ ამადეუს კოშმანი. ეშმაკის ედემსი. ვაგრძელემა. თარგმნა ღია თაკვარელიამ	132

### პირველი ნაბიჯები

მარია ფონ ეზნა-ეშენახი. შინია. გერმანულიდან თარგმნა ნონა ფუნაშვილმა	183
შირიაშ გლიკი. დემსი. ინგლისურიდან თარგმნა მარიკა აბაშიძემ	190
ერნესტ კამინოვი. სუფთა, კარგად განათმეზუდი ადგილი ინგლისურიდან თარგმნა ეკა კვიციანიძემ	191
მიგელ დე უნამუნო. დემსი. თარგმნა მზია ჩოგოვაძემ	195

### წერილები

რუსუდან ლვინეფაძე. ქრისტა ვოდვი და მისი „კასანდრა“	196
ირმა რატიანი. სივრცული მრავალსახეობა რომანში	200
მარიო ვარგას ლოსა. სიმაკთდე გამონათმეზისა. თარგმნა ღილი მჭედლიშვილმა	212
დანიელ თეთრუაშვილი. თომას მანი ეზნაედი ფენომენის შესახებ	219

საქართველოს მხარაღთა საერთო ეროვნული  
კავშირის ორგანო  
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი

ბიზლიყოთეკა

2001, № 5—6

მთავარი რედაქტორი

ნანა ღარჩია-გოლჭვაძე

სარედაქციო საბჭო:

ელზა ახვლედიანი

ნანა ახობაძე

მანანა ამისულაშვილი

ჯეპალ აჯიაშვილი

ნანა ბართია (პ/მგ მღივანი)

გურამ გოგიაშვილი

ნანა გოგოლაშვილი

თამარ ერისთავი

რუსუდან ქეპულაძე

ღალი ფანჯიკიძე

ეთერ ყურაშვილი

გივი შანაზარი

გივი ქნელაძე.

რეენი მისამართი: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონი: 99-73-41.

კად. წარ. 5. 07. 2001 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 09. 2001 წ., ქალაღლის ზომა 70X108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, სააღრ. თ. 14. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 14 ფ. ტირ. 300, შეკვ. 611.

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.  
თბილისი, მ. კოსტავას 14,



რომანი

თარგმნა მადეა ზუგადაძაშვილმა

ამ რომანის ავტორია უნგრული წარმომავლობის მწერალი ქალი აგობა კრისტოფი, რომელიც 1956 წ. შვეიცარიაში მიდის ემიგრაციაში და წერას იწყებს ფრანგულ ენაზე. „საერთო რვეული“ ტრილოგიის პირველი წიგნია, რომელშიც აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის მაგალითზე გადმოცემულია მეორე მსოფლიო ომის საშინელება, ომისაგან გზააბნეული და ბავშვობაწართმეული, ცხოვრების სიმანინჯეებში ადრევე ჩახედული ტყუპი ძმის ამბავი.

### ბებიასთან ჩასვლა

ჩვენ დიდი ქალაქიდან ჩამოვედით. მთელი ღამე ვმგზავრობდით. დედას თვალები დასწითლებია. მას ვეება ყუთი მოაქვს, ჩვენ კი, ორ ბიჭს, პატარ-პატარა ჩემოდნები, რომლებშიც ჩვენი ტანსაცმელი აწყვია. მოგვაქვს აგრეთვე მამისეული სქელი ლექსიკონი. ხელები მალ-მალე გვეღვება და ლექსიკონიც ჯერჯერით მოგვაქვს.

კარგა ხანია მოვდივართ. ბებიას სახლი სადგურიდან შორსაა, თითქმის ქალაქის მეორე ბოლოში. იქ არც ტრამვაი დადის, არც ავტობუსი და არც მანქანები. იქით ხანდახან სამხედრო სატვირთო მანქანა თუ გაივლის.

ქუჩაში ხალხი კანტიკუნტად ჩანს. ქალაქი პატარაა, თან ძალზე წყნარი. ქვაფენილზე ჩვენი ნაბიჯები ექოს გამოსცემს. ხმაამოუღებლივ მივდივართ. დედა ჩვენ შუა მოაბიჯებს.

ბებიის ბაღის ჭიშკარს რომ მივალწიეთ, დედა გვეუბნება, აქ დამიცადეთო.

ჩვენც ერთხანს ვიცდით, მერე შევდივართ ბაღში, სახლს გარს ვუვლით და ფანჯრის ქვეშ ვცუცქლებით, საიდანაც ლაპარაკი ისმის.

დედა ამბობს:

— სახლში საჭმელი აღარაფერი გვქონდა. იქ აღარც პური, აღარც ხორცი, აღარც ბოსტნეული და აღარც რძე, სულ აღარაფერია და ველარ მომიხერხებია მაგათი გამოკვება.

მეორე ხმა პასუხობს:

— შენც, ცხადია, მაშინვე მე გაგახსენდი. ათი წელია არ მოგგონებოვარ, არ ჩამოსულხარ. წერილიც კი არ მოგიწერია.

საქართველოს  
პარლამენტის  
ქართული  
ბიბლიოთეკა

47374

— იცით რატომაც. მე მამა მიყვარდა, — პასუხობს დედა.  
მეორე ხმა ამბობს:

— ჰო, ჰო, ახლა კი უცებ გავახსენდა, რომ დედაცა გყავს, ჩამოხვედი და დახმარებას მთხოვ.

— ჩემთვის არაფერს არა ვთხოვ. მართლაც მინდა, ჩემს ბიჭებმაც ეს ომი როგორმე გადაიტანონ. დიდ ქალაქს დღე და ღამე ზომბავენ. სურსათი არ არის. ბავშვები ყველას სოფლებში ნათესავებთან ან სადმე უცხო ხალხთანაც კი მიჰყავს.

მეორე ხმა ამბობს:

— შენც რატომ არ ვაგზავნე სადმე, უცხო ხალხთან?

— ესენი ხომ შენი შვილიშვილები არიან, — პასუხობს დედა.

— შვილიშვილები? მე მათ არ ვიცნობ, რამდენნი არიან?

— ორნი, ტყუპი ბიჭები.

მეორე ხმა კითხულობს:

— დანარჩენებს რაღა უყავი?

— ვის დანარჩენებს? — კითხულობს დედა.

— ძაღლები ერთბაშად ოთხ ან ხუთ ლეკვს დააგდებენ ხოლმე. ჩვეულებრივ, ერთს ან ორს ინახავენ, დანარჩენებს ხოცავენ.

მეორე ხმა ხმამაღლა იცინის. დედა არაფერს პასუხობს. მაშინ მეორე ხმა კვლავ კითხულობს:

— მამა მაინც ჰყავთ? რამდენადაც ვიცი, არ გათხოვილხარ. ყოველ შემთხვევაში, ქორწილში არ დაგიბატოებინვარ.

— გათხოვილი ვარ. მათი მამა ფრონტზეა. ექვსი თვე იქნება მის შესახებ აღარაფერი შემიტყვია...

— ასე რომ, შევიძლია ჯვარიც დაუსვა.

მეორე ხმა კვლავ იცინის, დედა ტირის. ჩვენ ბალის ჭიშკართან ვბრუნდებით.

დედა სახლიდან ვილაც მოსულ ქალთან ერთად გამოდის და გვეუბნება:

— ეს თქვენი ბებიაა. ერთხანს — ომის დამთავრებამდე — მასთან ცხოვრობთ.

ბებია ამბობს:

— ეტყობა, ეს კარგა ხანს ვასტანს. არა უშავს. მაგათ მე სამუშაოს გამოფუნახავ. საჭმელი არც აქ ცვივა ციდან.


— ფულს გამოგიგზავნი. ტანსაცმელი ჩემოდნებშია. ყუთში კი საბნები და ზეწრებია. კარგად მოიქეცით, ბავშვებო! წერილს მოგწერთ, — ამბობს დედა.

ის გვეკოცნის და მიდის. თან ტირის.

ბებია ხმამაღლა იცინის:

— დამიხედეთ ერთი — საბნები და ზეწრებო! თეთრი პერანგები, ტყავის ფეხსაცმელი! დამაცადეთ, გაგაგებინებთ, რა სიმწრის ფასადაც მოიპოვება ეს ყველაფერი.

ჩვენ ბებიას ენას ვუკოფთ. ის უფრო ხმამაღლა ხითხითებს, თან თეძოებზე ხელებს იტყაპუნება.



## ბებიას სახლი

ბებიას სახლი პატარა ქალაქის ბოლო სახლებიდან ხუთი წუთის სავალზეა. მის შემდეგ მხოლოდ მტვრიანი გზაა, რომელიც ღონავ მოშორებით შლაგბაუმიტაა გადაკეტილი. შლაგბაუმის იქით გუშაგის და გასვლა აკრძალულია. გუშაგს ავტომატი და დურბინდი აქვს. გასვლა თუ არა, გუშაგი ჯიხურს აფარებს თავს. ვიცით, რომ შლაგბაუმის იქით, ტყეში საიდუმლო სამხედრო ბაზაა, ბაზის იქით კი — მეორე ქვეყნის საზღვარი.

ბებიას სახლს ირგვლივ ბაღი აკრავს, რომელიც მდინარემდე აღწევს. მდინარის გაღმა უკვე ტყე იწყება.

ბაღში ხეხილი და ნაირ-ნაირი ბოსტნეულია. ბაღის კუთხეში და საბოცვრე, საქათმე, სალორე და ბაკი თხებისთვის; მოვინდომეთ ყველაზე დიდ ღორზე შევმსხდარიყავით და გვეჭენებინა, მაგრამ ძირს გადმოვცვივდით.

ბოსტნეულს, ხილს, ბოცვრებს, ქათმებსა და იხვებს ბებია ბაზარზე ჰყიდის. ჰყიდის აგრეთვე ქათმისა და იხვის კვერცხებს, თხის ყველს. ღორებს ყასაბს აბარებს, ყასაბი კი ან ფულით უსწორებს ანგარიშს ან და ღორითა და შებოლილი ძესვით.

ბებიას ძალლიც ჰყავს, რათა სახლი და ბაღი დაიცვას ქურდებისგან, და კატაც, თაგვები და ვირთხები რომ დაიჭიროს. კატის ჭმევა არ შეიძლება, ის დღენიადაც მშიერი უნდა იყოსო.

გზის გადაღმა ბებიას ვენახიც აქვს.

სახლში სამზარეულოდანაა შესასვლელი. სამზარეულო დიდი და ძალზე თბილია. ღუმელში ცეცხლი მთელი დღე ანთია. ღუმელს ბებია შეშით ახურებს. ფანჯარასთან დგას მაგიდა, კუთხეში კი მერხი. ჩვენ ამ მერხზე გვიძინავს.

სამზარეულოდან კარი ბებიას საძინებელში გადის, მაგრამ კარი მუდამ დაკეტილია. საძინებელში მარტო ბებია შედის, ისიც მხოლოდ ღამ-ღამობით, დასაძინებლად.

არის კიდევ ერთი ოთახი, სადაც მარტო სამზარეულოდან კი არა, პირდაპირ ბაღიდანაც შეიძლება შესვლა. იგი უცხოელ ოფიცერს უკავია. ამ ოთახის კარიც სულ დაკეტილია.

სახლს აქვს სურსათის მარაგით სავსე სარდაფი და სხვენი, სადაც ბებია მას მერე აღარ ადის, რაც მისაყუდებელ კიბეს საფეხურები გადაფუხერხეთ, ბებია ჩამოვარდა და გვარინად დაშავდა. სხვენში შესასვლელი ოფიცრის ოთახის კარის ასწვრივია. სხვენზე თოკით მივძვრებით. აქ ვმალავთ ჩვენს რვეულს, მამისეულ ლექსიკონსა და კიდევ სხვა რაღაც-რაღაცებს, რისი დამალვაც გვჭირდება.

ახლა ჩვენ ჩვენი, ჩვენივე გაკეთებული გასაღები გვაქვს, რომელიც სახლის ყველა კარს ერგება. ამასთან, სხვენის იატაკი რამდენიმე ადგილას გავბურღეთ. გასაღების დახმარებით, როცა შინ არავინაა, თავისუფლად შეგვიძლია მთელი სახლი მოვიაროთ, ნახვრეტებიდან კი ბებიასა და ოფიცერს თავ-თავიანთ ოთახებში ისე ვუთვალთვალოთ, რომ კერაფერს მიხვდნენ.

ბებია



ბებია — ჩვენი დედის დედაა. ადრე, სანამ აქ ჩამოვიდოდით, არც კი ვიცოდით დედის დედა ცოცხალი თუ იყო.

ჩვენ მას „ბებიას“ ვეძახით.

სხვები ყველანი „კუდიანს“ ეძახიან, ის კი ჩვენ — „ძაღლის ლეკვებს“.

ბებია პატარა და გამხდარია. თავზე ყოველთვის შავი მოსახვევი ახვევია. დანარჩენი მისი ტანისამოსი მუქი ნაცრისფერია. აცვია ძველი სალდათური ფეხსაცმელი. როცა თბილა — ფეხშიშველაა. დანაოჭებული სახე ყავისფერი ლაქებით და ბეწვიანი მეჭეჭებით აქვს დაფარული, კბილები აღარ შერჩენია — ყოველ შემთხვევაში, არ უჩანს.

ბებია არასდროს არ იბანს. ჭამისა და დაღევის მერე პირს მოსახვევის ყურით იწმენდს. ნიფხავს არ იცვამს. როცა მოუნდება, სადაც არ უნდა იყოს, გაჩერდება, გააბოტებს და პირდაპირ მიწაზე ფსამს. სახლში, რა თქმა უნდა, ასე არ შვრება.

ბებია ტანთ არასოდეს იხდის. ჩვენ ვუთვალთვალეთ ხოლმე, როგორ ემზადება დასაძინებლად. იხდის ქვედა კაბას, მაგრამ მის ქვეშ მეორე ქვედა კაბა აცვია. იხდის კოფთასაც, თუმცა შიგნით მეორე კოფთა აცვია და ასე წვება. მოსახვევს არასოდეს იშორებს.

ბებია ცოტას ლაპარაკობს, თუმცა საღამოობით, თაროდან ბოთლს რომ იღებს და არაყს სვამს, მერე რალაც უცხო, ჩვენთვის გაუგებარ ენაზე იწყებს ლაპარაკს. ეს ის ენა არ არის, უცხოელი ჯარისკაცები რომ ლაპარაკობენ — ეს სულ სხვა, განსხვავებული ენაა.

ბებია ამ ენაზე სვამს კითხვებს და თვითონვე პასუხობს. ხანდახან აცინის, ხან ჯავრობს და ყვირილს იწყებს. ბოლოს, თითქმის ყოველთვის ტირის ხოლმე. თავის ოთახში დასაძინებლად მიდის, სიარულისას ბორძიკობს, მერე საწოლზე ეცემა და ჩვენ კარგა ხანს, თითქმის შუადამეშვებ გვესმის მისი სლუკუნის.

ჩვენი სამუშაო

ჩვენ უნდა შევასრულოთ ჩვენი წილი სამუშაო, თუ არადა, ბებია არც საჭმელს გვაჭმევს და არც სახლში შეგვიშვებს ღამე.

თავიდან გაძალიანება მოვინდომეთ. ვიძინებთ ბაღში და ვჭამთ ხილსა და უმ ბოსტნეულს.

დილით, დილაბნელზე ვხედავთ, ბებია სახლიდან გამოდის. არაფერს გვეუბნება. საქონელსა და ფრინველს აჭმევს, თხებს წველის, ერეკება მდინარის პირას და ხეებზე აბამს. მერე რწყავს ბოსტანს, კრეფს ბოსტნეულს თუ ხილს, ტვირთავს საზიდს, ზედ დგამს აგრეთვე კვერცხებით სავსე კალათას და პატარა გალიას, რომელშიც ბოცვერი და ფეხებშეკრული ქათამი ან იხვია.

ყველაფერი ეს ბაზარზე მიაქვს გასაყიდად. საზიდის სახელურებზე დაშვებულია ღვედი, ბებია ღვედს წვრილსა და ძარღვებად ქცეულ კისერზე წამოიდებს, ღვედი თავს ძირს ახრევენებს. ბებია სიმძიმისაგან

ბარბაცებს, გზაზე ქვას წამოჰკრავს ფეხს და წონასწორობას კარგავს, ლამის წაიქცეს, მაგრამ გზას მაინც განაგრძობს. სიარულისას, ფეხის წვერებს იხვივით შიგნით ადგამს. მიდის პატარა ქალაქის ბაზარში და გზაში ერთხელაც არ ჩერდება.

ბაზრიდან დაბრუნებული ბებია გაუყიდავი ბოსტნეულით წენიანს ხარშავს, ხილისგან კი მურაბას. ჭამს, მერე დასაძინებლად ვენახში მიდის. სძინავს ერთი საათი. იღვიძებს თუ არა, ვენახში იწყებს მუშაობას. თუ იქ სამუშაო არა აქვს, შინ ბრუნდება: აპობს შეშას, ხელმეორედ აჭმევს საქონელს, მოჰყავს თხები, წველის მათ, მიდის ტყეში და მოაქვს სოკო და ფიჩხი. ამოჰყავს ყველი, აშრობს სოკოს, ცერცვს, აკონსერვებს ბოსტნეულს, ხელახლა რწყავს ბოსტანს, სარდაფში ჩააქვს ახალი მარაგი და ასე დაღამებამდე.

მეექვსე დღეს, როცა ბებია დილით სახლიდან გამოდის, ჩვენ ბოსტანი და ბაღი უკვე მორწყული გვაქვს. ვართმევთ ღორის სალაფავით სავსე მძიმე ვედროებს, თხებს ვერეკებით მდინარის პირას, ვენმარებით საზიდის დატვირთვაში. ბებია ბაზრიდან რომ ბრუნდება, ჩვენ შეშას ვაპობთ.

სადილობისას ბებია გვეუბნება:

— ახლა თქვენ უკვე იცით, რომ საჭმელიცა და საწოლიც შრომით უნდა მოიპოვოთ.

ჩვენ ვპასუხობთ:

— საქმე ეგ როდია. სამუშაო მართალია მძიმეა, მაგრამ უფრო მძიმეა, როცა ხედავ, ვილაც როგორ მუშაობს, მით უმეტეს, როცა ის ვილაცა მოხუცია, შენ კი არაფერს აკეთებ.

ბებია იცინის:

— აჰ, თქვე ძაღლის ლეკვებო თქვენა, გინდათ მითხრათ, რომ შეგვცოდეთ?

— არა, ბებია, ჩვენ, უბრალოდ, შეგვრცხვა.

სადილობის მერე მივდივართ ტყეში და ვაგროვებთ ფიჩხს.

ამ დღიდან ყოველგვარ სამუშაოს ვასრულებთ, რისი გაკეთებაც შეგვიძლია.

## ტყე და მდინარე

ტყე ძალზე დიდია. მდინარე კი პატარა. ტყეში რომ მოხვდე, მდინარეზე უნდა გადახვიდე. მდინარე როცა დამშრალია, ქვებიდან ქვებზე ხტომა-ხტომით შეიძლება მეორე ნაპირზე გადასვლა, მაგრამ დიდი წვიმის შემდეგ ცივი და ჭუჭყიანი წყალი წელამდე გვწვდება ხოლმე. ამიტომ გადავწყვიტეთ, დაბომბილი სახლების ირგვლივ მიმოფანტული ფიცრებისა და აგურებისაგან ხიდი აგვეშენებინა.

ხიდი მაგარი გამოვიდა. ხიდს ბებიას ვუჩვენებთ. ბებია ხიდს ათვალთვარებს და გვეუბნება:

— ცუდი არ არის. ოღონდ ტყეში ღრმად ნუ შეხვალთ, საზღვარი სულ ახლოსაა და ჯარისკაცებმა შეიძლება მოგკლან. რაც მთავარია, ეცადეთ, გზა არ დაგებნეთ, თორემ მე თქვენს საძებნელად არ წამოვალ.



ხიდს რომ ვაშენებდით, შევამჩნიეთ, რომ მდინარეში თევზი იყო. თევზები ან ქვების ქვეშ, ანდა მდინარეზე ტოტებჩამოშვებულ ხეებისა თუ ბუჩქების ჩრდილში იმალებოდნენ. ჩვენ ვიჭერთ ყველაზე დიდ თევზებს და ვყრით წყლით სავსე ვედროში. საღამოთი თევზი შინ მიგვაქვს, ბებიას უკვირს:

— როგორ დაიჭირეთ, ძაღლის ლეკვებო?

— ხელით. ეს ძაღზე იოლია. გაუნძრევლად უნდა იდგე და ელოდო, ეგ არის და ეგ.

— მაშინ უფრო მეტი დაიჭირეთ, რამდენიც შეგიძლიათ, იმდენი. მეორე დღეს ბებია ჩვენს თევზს ვედროთი საზიდზე დგამს და ბაზარში მიაქვს გასაყიდად.

ჩვენ ხშირად დავდივართ ტყეში, მაგრამ გზა ერთხელაც არ აგვბნევია. ვიცით, სადაც არის საზღვარი. მესაზღვრეებმა და ჯარისკაცებმა სულ მალე გაგვიცნეს, ისინი არ გვესვრიან. ბებია გვასწავლის, როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან შხამიანი და საჭმელი სოკო.

ტყიდან მოგვაქვს თითო ზურგულა ფიჩხი, კალათით კი — სოკო და წაბლი. შეშას და ფიჩხს წყობით ვაწყობთ სახლის კედელთან, ფარდულის ქვეშ, წაბლს კი, როცა ბებია შინ არ არის, ლუმელზე ვწვავთ.

ერთხელ ტყეში ყუმბარისაგან ამოთხრილი ორმოს მახლობლად მკვდარ ჯარისკაცს ვნახულობთ. მკვდარი საღ-საღამათსა ჰგავს, ოღონდ თვალები აღარ უჩანს — ყვავებს ამოუკორტნიათ. მკვდარს ვაცლით თოფს, გრანატებსა და ვაზნებს. თოფს ფიჩხის კონაში ვმაღავთ, ვაზნებსა და გრანატებს კი კალათაში, სოკოს ქვეშ.

შინ დაბრუნებულნი ყველაფერ ამას ვახვევთ ნამჯასა და კარტოფილის ტომრებში და პირდაპირ ოფიცრის ფანჯრის ძირას ვმარხავთ.

### ჭ უ ჭ ყ ი

შინ, ქალაქში, დედა აბაზანაში ხშირად გვბანდა ხოლმე. მერე გვაცმევდა სუფთა ტანსაცმელს და გვაჭრიდა ფრჩხილებს. თმის შესაკრეჭად საპარიკმახეროში დავყავდით. კბილებს ყოველი ჭამის მერე ჯაგრისით ვიწმენდდით.

ბებიასთან ვერსად დაიბან. აბაზანა არა აქვს, არც წყალგაყვანილობაა. წყალს, ეზოში რომ ჭაა, იქიდან ვიღებთ და შინ ვედროებით ვეზიდებით. სახლში არც საპონია, არც კბილის პასტა და არც სარეცხი ფხვნილი.

სამზარეულოში ყველაფერი ჭუჭყიანია. წითლად შეღებილი იატაკის სხვადასხვა ზომის ფიცრები ისეა გაწებილი, ფეხები ზედ გვეკვრება, ხელები და იდაყვები მაგიდაზე გვეწებება, ქურა დამწვარი ქონისგან, კედლები კი ჭვარტლისგან მთლად გაშავებულია. ბებია, მართალია, ჭურჭელს რეცხავს, მაგრამ ჯამები, თეფშები, ტოლჩები, კოფზები და დანები მაინც ქონით არის გაზინთული. ჭუჭყისაგან გაშავებული ჭურჭლის ტილოები, უფრო სწორედ ჩვრები, ყარს.

თავდაპირველად არაფერს ვჭამთ. განსაკუთრებით, როცა ვხედავთ, როგორ ამზადებს ბებია სადილს. ცხვირს სახელოთი იწმენდს,

ხელეებს არასოდეს იბანს. მაგრამ ახლა ამას უკვე აღარ ვაქცევთ ყურადღებას.

სანამ სითბოა, მდინარეში ვბანაობთ, ჭის წყლით კი ხელ-პირს ვიბანთ და კბილებს ვისუფთავებთ. მაგრამ აცივდება თუ არა, რიგგანაობა შეუძლებელი ხდება. სახლში კი საამისოდ მოზრდილი ტანები არა გვაქვს. ჩვენი ზეწრები, საბნები და პირსახოცები კარგა ხანია გაქრა, აღარც მუყაოს ის დიდი ყუთი ჩანს სადმე, რომლითაც დედამ ეს ყველაფერი ჩამოიტანა.

ბებიამ ყველაფერი დაყიდა.

ჩვენ თანდათანობით უფრო და უფრო ვჭუჭყიანდებით. ჭუჭყიანდება ჩვენი ტანსაცმელიც. მერხის ქვეშ დამალული ჩემოდნებიდან ვიღებთ სუფთა ტანსაცმელს, მაგრამ სუფთა ტანსაცმელი მალე თავდება, ნახმარი ტანსაცმელი კი ზედ შემოგვაცვდა. დაგვიცვდა ფეხსაცმელიც. როცა შესაძლებელია, ფეხშიშველები, შარვლისა და ტრუსის ამარა დავდივართ. ფეხისგულები ისე გაგვიუხეშდა, ველარა ვგრძნობთ ვერც ეკლებსა და ვერც წვეტიან ქვებს. მზეზე გარუჯული კანი შავად გვიბზინავს. თავიდან ფეხებამდე დაკაწრულები, დაბეჭილები და მწერებისაგან დაკბენილები ვართ. ფრჩხილები, რაკი არავინ გვაჭრის, თავისთავად გვტყდება, მზისგან გახუნებული თმა კი მხრებამდე ჩამოგვეზარდა.

საპირფარეშო ბაღის შორეულ კუთხეშია. ქალაქი იქ არასოდეს არ არის, ამიტომ მოზრდილი ფოთლებით ვიწმენდთ ხოლმე.

ერთდროულად აგვდის ნეხვის, თევზის, ბალახის, სოკოს, კვამლის, რძის, ყველის, ჭუჭყის, თიხის, მიწის, ოფლის, შარდისა და ნეშომპალას სუნნი.

ჩვენც ისე საშინლად ვყარვართ, როგორც ბებია.

### სხეულის საზრთოვი პარჯივები

ბებია ხშირად გვცემს — ხელით იქნება, ცოცხითა თუ სველი ტილოთი. ყურებითა და თმებითაც ხშირად გვითრევს.

ვერ გავვიგია რატომ, მაგრამ არც სხვები გვაკლებენ ცემა-ტყეპასა და პანლურს.

მოყენებული ტკივილისაგან ხანდახან ვტირით.

დაცემა, ჭრილობები, ნატკენები, ნაკაწრები, მუშაობა, სიცივე თუ სიცხე — ყველაფერი ესეც ტანჯვას გვაყენებს.

ჩვენც გადავწყვიტეთ, სხეული ისე გავიკაყოთ, რომ ტკივილი უცრემლოდ გადავიტანოთ.

თავდაპირველად ერთმანეთსა ვცემთ და ვუეუავთ. ჩვენი გასიებულის თავ-პირის დანახვაზე ბებია გვეკითხება:

— რა დაგმართნიათ?

— ჩვენ თვითონ, ბები.

— რაო, იჩხუბეთ? რაზე?

— ისე, უბრალოდ, არაფრის გულისთვის. ნუ გეშინია, ბები, ეს ვარჯიშია.

— ვარჯიში? ხომ არ დაგიყდით! მაგრამ თუ თქვენი ჭკუით ეს თავშექცევა... რაც გინდათ, ის გიქნიათ.

... შიშვლები ვართ და ერთმანეთს ქამრით კარგად ვახურებთ. ყოველი დარტყმის მერე ვიმეორებთ:

— არა მტკივა!

და ქამარსაც უფრო მაგრად და გამეტებით ვუშხივლებთ ერთმანეთს.



ხელი ცეცხლზე გვიჭირავს, დანით ბარძაყს, ხელსა და მკერდს ვისერავთ, ზედ არაყს ვისხამთ, თან ერთთავად ვიმეორებთ:

— არა მტკივა!

მალე მართლაც დაგვარგეთ ტკივილის შეგრძნება. თითქოს ვილაცხვას ურტყამდნენ, სხვას სერავდნენ და სწვავდნენ. თითქოს ვილაცხვას სტკიებოდეს.

ჩვენ უკვე აღარ ვტირით.

ბებია რომ გვიჯავრდება და გვიყვირის, ვეუბნებით:

— ნუ გვიყვირით, ბები, უმჯობესია, გვცემოთ.

თუ გვცემს, ვეუბნებით:

— კიდე, კიდე, ბები! აჰა, მეორე ლოყასაც გიშვერთ, როგორც ბიბლიაშია ნათქვამი. ჰა, მეორე ლოყაზეც შემოგვკარი.

ბებია გვპასუხობს:

— ეშმაკსაც წაუღია თქვენი ბიბლიაც და თქვენი ლოყებიც, ძაღლის ლეკვებო თქვენა!..

### დენშიკი

სამხარეულოში მდგარ მერხებზე ერთმანეთისაგან თავშექცეულები ვწევართ. თვალები გვიხუჭია, მაგრამ ჯერ არა გვძინავს. ვილაც კარს აღებს. თვალებს ვახელთ. ჯიბის ფარნის შუქი თვალებს გვჭრის.

— ვინ არის? — ვკითხულობთ ჩვენ.

მამაკაცის ხმა გვპასუხობს:

— ნუ გეშინიათ. თქვენ ორი არის, თუ მე არის ძალიან მთვრალი? ის იცინის, მაგიდაზე მდგარ ლამპას ანთებს და ფარანს აქრობს. ახლა უკვე კარგად ვხედავთ. ეს უცხოელი ჯარისკაცია. რიგითი მეზღოლი.

— მე არის კაპიტნის დენშიკი. თქვენ აქ რა აკეთოთ?

— ჩვენ აქ ბებიასთან ვცხოვრობთ.

— თქვენ კუდიანის შვილიშვილები არის? ადრე მე თქვენ არა ხახეთ. აქ რამდენი ხანი მოხვედით?

— ორი კვირაა.

— აა! მე შვებულებაში შინ წახვედი. ჩემი სოფელში ბევრი მხიარულებაა.

ჩვენ ვეკითხებით:

— საიდან იცით ჩვენი ენა?

ის გვეუბნება:

— ჩემი დედა თქვენი ქვეყნიდან არის დაბადებული, ჩვენს ქვეყანაში სამუშაოდ მოვიდეს, კაფეში ოფიციალტი იყოს, შეხვდა ჩემი მამა. შეირთო. როცა პატარა იყავი, თქვენს ენაზე მელაპარაკოს. თქვენი ქვეყანა და ჩემი მეგობრებია, ერთად ბრძოლობენ მტერთან. თქვენ ორნი საიდან არის?

- დიდი ქალაქიდან.
- დიდი ქალაქი საშიშია. ბახ! ბახ!
- ჰო. საჭმელიც არ არის.
- აქ ბევრი არის საჭმელი: ვაშლი, კვერცხი, ღორი, ქათამი, ღვინო-ლაფერი. თქვენ აქ დიდი ხანია თუ მარტო არდადეგები?
- ჩვენ აქ ომის დამთავრებამდე ვიქნებით.
- ო, ომი ჩქარა ბოლო ექნება. თქვენ აქ უნდა დაგეძინოთ? მერხი შიშველია, მაგარი, ცივი. კუდიანი არ უნდა თავის ოთახში წაგიყვანოთ?
- ჩვენ თვითონ არ გვინდა ბეზიას ოთახში. სვრინავს, თან აქოთებულა. საბნები და ზეწრები გვქონდა, მაგრამ ბეზიამ გაგვიყიდა. დენშიკი იღებს ცხელ წყალს ქურაზე მდგარი ქვაბიდან და ამბობს:
- ოთახი უნდა გარეცხო. კაპიტანმა შვებულებიდან დაბრუნდება ეს ღამე ან ხვალე დილა.
- ის გადის. რამდენიმე წუთის შემდეგ უკან ბრუნდება და მოაქვს ორი ნაცრისფერი ჯარისკაცური საბანი.
- არ გაყიდოს ბებერი კუდიანი. თუ ის ბოროტი არის, მე მეტყვით. ბახ! ბახ! მე მოკალი.
- ის იცინის, საბნებს გვაფარებს, ლამპას აქრობს და გადის. დღისით საბნებს სხვენზე ვმაღავთ.

### ბრძოლა საბრძოლო ვარჯიში

ბეზია „ძალის ლეკვებს“ გვეძახის.

ხალხი — „კუდიანის შვილიშვილებს“ და „კახპის შვილებს“.

სხვები ასე მოგვმართავენ: „იდიოტებო, ხულიგნებო, ბინძურო ბავშვებო! ქვეშაჯვიებო! ტურტლიანო ლეკვებო! ღორებო! ღორის დაყრილებო! კუდიანის ნაშიერებო! თავხედებო! უწმინდურებო! სათოკებო!“

ასეთი სიტყვების გაგონებაზე ვწითლდებით, ყურები გვიწივის, თვალებში სისხლი გვაწვება და მუხლები გვიკანკალებს.

მაგრამ აღარა გვსურს, რომ ვწითლდებოდეთ და ვკანკალებდეთ. გვინდა შევეჩვიოთ ლანძღვას, შეურაცხყოფას და ათასგვარ საძაგელ სიტყვას.

ჩვენც სამხარეულოში მაგიდას აქეთ-იქიდან ვუსხდებით, ერთმანეთს თვალს თვალში ვუყრით და ვიმეორებთ ერთმანეთზე უარესსა და უხამს სიტყვებს. ერთ-ერთი ჩვენგანი ამბობს:

— მძღნ..., ქვეშაჯვია!

მეორე პასუხობს:

— პედიკო! ჰომიკო!

ჩვენ დაუსრულებლივ ვიმეორებთ ამგვარ სიტყვებს, სანამ ისინი არ შეწყვეტენ ჩვენს შემეცნებამდე და ლამის ჩვენს ყურთასმენამდე დასვლას.

ასე ვვარჯიშობთ დღეში ნახევარ საათს, მერე გამოვდივართ ქურაში და განგებ ვიქცევით ისე, რომ გვლანძღონ და გვაგინონ, ჰოდა,

ვგრძნობთ, რომ ასეთი სიტყვები უკვე აღარ შეურაცხვეყოფს.

მაგრამ არსებობს სხვა, ძველი სიტყვებიც.

დედა გვეუბნებოდა: „ჩემო ძვირფასებო! ჩემო საყვარლებო, გენაცვალეთ დედა! ჩემო სიხარულებო! ჩემო კარგო ბიჭებო!“

ასეთ სიტყვებს რომ ვიხსენებთ, თვალები ცრემლით გვფარდება.

მაგრამ ამგვარი სიტყვები უნდა დავივიწყოთ, იმიტომ რომ ახლა ამ სიტყვებით აღარავინ მოგვმართავს, მათი გახსენება კი მეტისმეტად გვიძძის.

ამიტომ ახლა უკვე სხვაგვარ ვარჯიშს ვიწყებთ.

ერთმანეთს ვეუბნებით:

„ჩემო ძვირფასებო! ჩემო საყვარლებო! მე თქვენ მიყვარხართ! მე თქვენ არასდროს, არასდროს არ მიგატოვებთ!.. თქვენ გარდა არავის არ შევიყვარებ!.. სამარადისოდ მეყვარებით! ამქვეყნად ჩემთვის თქვენა ხართ ყველაფერი!“

ვიმეორებთ და ვიმეორებთ ამ სიტყვებს და ისინიც ნელ-ნელა კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას, მათგან მოყენებული ტკივილიც თანდათანობით დავიწყებას ეძლევა.

## ს კ ო ლ ა

ეს იყო სამი წლის წინათ.

სალამოა. მშობლები ფიქრობენ, რომ გვძინავს, და მეზობელ ოთახში საუბრობენ. ჩვენზე ლაპარაკობენ.

— მათ უერთმანეთობა არ შეუძლიათ, — ამბობს დედა.

— ეს ხომ მარტო გაკვეთილებზე მოხდება, — პასუხობს მამა.

— ვერ გადაიტანენ, — ჯიუტობს დედა.

— უნდა მოითმინონ, ეს მათსავე სასიკეთოდაა აუცილებელი. ყველანი ასე ამბობენ: მასწავლებლები, ფსიქოლოგები. ცხადია, პირველად გაუჭირდებათ, მაგრამ დროა უკვე მიეჩვიონ. მიეჩვევიან!

— ვიცი, ვერ მიეჩვევიან. ვიცნობ მაგათ. გაიგე, ეგ ორივე ერთი მთლიანი პიროვნებაა!

მამა ხმას უწევს:

— ოღონდაც! და ეს არ არის ნორმალური. ეგენი ერთად ფიქრობენ. ერთად მოქმედებენ. ცხოვრობენ განცალკევებით, თავიანთ საკუთარ სამყაროში. ეს არ არის ჯანსაღი მოვლენა და ეს მალეღვებს. დიახ. დიახ. ვღელავ მათ გამო! უცნაურები არიან. ვერასოდეს გაიგებ, რაზე ფიქრობენ, თანაც თავიანთ წლოვანებასთან შედარებით მეტისმეტად განვითარებულები არიან. ძალზე ბევრი რამ იციან.

დედა იცინის:

— იმედი მაქვს, ზედმეტი ჭკუისთვის არ აპირებ მათ დადანაშაულებას.

— ტყუილად იცინი, სასაცილო არაფერია.

დედა პასუხობს:

— ტყუპები ყოველთვის პრობლემაა. მაგრამ, ასე თუ ისე, უსამველო არაფერია, ყველაფერი მოგვარდება.

მამა ამბობს:

— დიას, ყველაფერი მოგვარდება, თუ გავაცალცალკევებთ. ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი ცხოვრება უნდა ჰქონდეს.

რამდენიმე დღის მერე პირველად მივდივართ სკოლაში. სხვადასხვა კლასში ვართ. ორივე პირველ რიგში ვზივართ.

ერთმანეთისგან გვყოფს სკოლის შენობის მთელი სიგრძე და ეს მანძილი უსასრულოდ გვეჩვენება. გაუსაძლისია ტკივილი. ასე გვგონია, თითოეულ ჩვენგანს სხეულის ნახევარი ჩამოგვაჭრესო. ჩვენ წონასწორობის გრძნობას ვკარგავთ, თავბრუ გვესხმის, გული მიგვდის და ძირს ვეცემით.

გონზე „სასწრაფო დახმარების“ კარეტაში მოვდივართ, რომელსაც საავადმყოფოში მივყავართ.

დედა სანახავად მოდის. გვიცინის და გვეუბნება:

— ხვალდან ერთ კლასში იქნებით.

— სიმულიანტებო! — გვეუბნება შინ მისულებს მამა.

მალე მამა ფრონტზე მიდის. იგი ჟურნალისტია, სამხედრო კორესპონდენტი.

სკოლაში ორ წელიწად-ნახევარი ვიარეთ. მასწავლებლებიც ფრონტზე მიდიან, ახლა ქალი მასწავლებლები გვყვანან. ბოლოს ხშირი საპაერთ თავდასხმების გამო სკოლა იხურება.

ვისწავლეთ წერა, კითხვა და ანგარიში.

ახლა ბებიასთან გადავწყვიტეთ სწავლა ჩვენ თვითონ, უმასწავლებლობოდ გავაგრძელოთ.

### ვეიდულობთ ქალაქს, ჩვეულსა და ფანქრებს

ბებიას სახლში არც ქალაქია და არც ფანქრები. ამიტომაც მივდივართ „წიგნებისა და საკანცელარიო საქონლის“ მაღაზიაში. ცალკე ვაწყობთ უჯრედებიანი ქალაქის დასტას, ორ ფანქარს და დიდ საერთო რვეულს. ყველაფერ ამას ვაწყობთ დახლზე, დახლს იქით მდგარი სქელი ბატონის წინ და ვეუბნებით:

— ჩვენ ყველაფერი ეს გვჭირდება, მაგრამ ფული არა გვაქვს.

გამყიდველი გვპასუხობს:

— რაო?... მაინც უნდა გადაიხადოთ!

ჩვენ ვუმეორებთ:

— ფული არა გვაქვს, მაგრამ ჩვენთვის აუცილებელია ყველა ეს ნივთი.

გამყიდველი გვეუბნება:

— სკოლა დაკეტილია, ვის რაში სჭირდება ახლა რვეულები და ფანქრები?

ჩვენ ვეუბნებით:

— შინ ჩვენ თვითონ ვსწავლობთ. დამოუკიდებლად.

— მაშინ მშობლებს მოსთხოვეთ ფული.

— მამა ფრონტზეა, დედა — დიდ ქალაქში. ბებიასთან ვცხოვრობთ. ფული კი არც ბებიას აქვს.

გამყიდველი გვეუბნება:

— მაგრამ უფულოდ არაფრის ყიდვა არ შეიძლება.  
ჩვენ არაფერს ვპასუხობთ. მარტო ჯიქურ მივშტერებოვართ. ისიც ჩვენ მოგვჩერებია. ვხედავთ, შუბლზე ოფლი ასხამს. ბოლოს გვიყვირის:

— ეგრე ნუ მიყურებთ. გადით აქედან!

ჩვენ ვეუბნებით:

— აუცილებლობის შემთხვევაში მზად ვართ ამ ნივთების საფასურად შევასრულოთ გარკვეული სამუშაო. ასე, მაგალითად, შეგვიძლია მოგირწყოთ ბაღი, ანდა შინ წაგიღოთ ნაფაჭრი...

ის ისევ გვიყვირის:

— ბაღი არა მაქვს და არც არაფერში მჭირდებით! თანაც თქვენ რა, ნორმალური ლაპარაკი არ შეგიძლიათ?

— ჩვენ სავსებით ნორმალურად ვლაპარაკობთ.

— „ჩვენ მზად ვართ აუცილებლობის შემთხვევაში თქვენთვის შევასრულოთ გარკვეული სამუშაო“ — ეს, თქვენი აზრით, ნორმალური ლაპარაკია?

— ჩვენ სწორად ვლაპარაკობთ.

— შეტისმეტად სწორად! მე არც თქვენი ლაპარაკი მომწონს და არც ის, რომ ასე მომშტერებინხართ! მოუსვით აქედან!

ჩვენ ვეკითხებით:

— ბოდიში, ბატონო, ქათმები გყავთ?

გამყიდველი თეთრ სახეს თეთრი ცხვირსახოცით იწმენდს და უკვე დამშვიდებული გვეკითხება:

— ქათმები?... რა შუაშია ქათმები?

— ქათმები თუ არა გყავთ, ჩვენს განკარგულებაში არის გარკვეული რაოდენობის ახალი კვერცხი და შეგვიძლია ამ კვერცხებით მოგამარაგოთ — გავიცვალოთ ჩვენთვის სავსებით აუცილებლად საჭირო ამ ნივთებში...

გამყიდველი ხმაამოუღებლივ შემოგვცქერის. ჩვენ განვაგრძობთ:

— ამასთან, კვერცხის ფასი, ბატონო, თანდათან მალლა იწევს, მეორეს მხრივ, ქალაღდისა და ფანქრების ფასი კი...

გამყიდველი ჩვენს ქალაღდს, ფანქრებსა და რვეულს კარისკენ ისვრის და გვიყვირის:

— გაეთრიეთ. არა მჭირდება თქვენი კვერცხი. წაიღეთ ყველაფერი და თვალით აღარ დამენახოთ!

ჩვენ გულმოდგინედ ვკრეფთ ჩვენს ნივთებს და ვეუბნებით:

— და მაინც, ბატონო, იძულებულნი გავხდებით კვლავ მოვიდეთ თქვენთან, როცა ამ ქალაღდითა და ფანქრებით უკვე ვისარგებლებთ.

### ჩვენს სწავლა

ვსწავლობთ მამისეული ლექსიკონითა და ბიბლიით, რომელიც ბების სახლის სხვენზე ვიპოვეთ.

ვიტარებთ მართლწერის, თხზულების, კითხვის, ზეპირი ანგარიშის, მათემატიკის გაკვეთილებს. ამასთან ტექსტებსაც ვიზუპირებთ.

ლექსიკონი გვჭირდება მართლწერისათვის, სიტყვათა მნიშვნელობის შესასწავლად და კიდევ იმისათვის, რომ შევითვისოთ ახალი სიტყვები, სინონიმები და ანტონიმები.

ბიბლიას ვიყენებთ ხმამაღალი კითხვის გაკვეთილებისათვის, კარნახისათვის და ტექსტების დახეპირებისათვის. ბიბლიიდან უხედავ მთელი გვერდები ვიციტ შეპირად.

თხზულებებს კი ასე ვწერთ:

სამზარეულოს მაგიდას მივუსხდებით, დავაწყობთ ქალაღს, ფანქრებს და საერთო რვეულს. ჩვენ გარდა შინ არავინ არის.

ერთ-ერთი ჩვენგანი ამბობს:

— შენი თხზულების სათაური იქნება „ბებიასთან ჩამოსვლა“.

მეორე ამბობს:

— შენი თხზულების სათაური კი — „ჩვენი სამუშაო“.

ვიწყებთ წერას, ჩვენს განკარგულებაშია ორი საათი და თითო ფურცელი.

ორი საათის შემდეგ თხზულებებს ვცვლით, ლექსიკონის დახმარებით ერთმანეთს შეცდომებს ვუსწორებთ, ფურცლის ბოლოს იწერება შეფასება — „კარგი“ ან „ცუდი“. თუ ნიშანი „ცუდია“, თხზულებას ცეცხლში ვისვრით და შემდეგ გაკვეთილზე ვცდილობთ ხელახლა დავწეროთ იმავე თემაზე. თუ ნიშანი „კარგია“, შეიძლება თხზულება საერთო რვეულში გადავიწეროთ.

წესი, რომლის მიხედვითაც ვასკვნით, რა უნდა დავწეროთ — „კარგი“ თუ „ცუდი“, ძალიან მარტივია: თხზულება უნდა იყოს მართალი, უნდა აღვწეროთ რაც ხდება, რასაც ვხედავთ, რაც გვესმის და რასაც ვაკეთებთ.

მაგალითად, არ შეიძლება დავწეროთ: „ბებია კუდიანს ჰგავს“, მაგრამ შეიძლება დავწეროთ ასე: „ხალხი ბებიას კუდიანს ეძახის“.

არ შეიძლება დავწეროთ: „პატარა ქალაქი ძალიან ლამაზია“; ხომ შეიძლება პატარა ქალაქი ჩვენ გველამაზებოდეს და სხვას არ მოსწონდეს.

არ შეიძლება დავწეროთ: „დენშჩიკი კარგი კაცია“, იმიტომ რომ, მართალი არ იქნება. შეიძლება დენშჩიკს ბევრი ცუდი რამ ჰქონდეს ჩადენილი, რაზეც ჩვენ არაფერი ვიციტ. ამიტომ ვწერთ ასე: „დენშჩიკმა საბნები მოგვცა“.

შეიძლება დავწეროთ: „ჩვენ ბევრ კაკალს ვჭამთ“, მაგრამ არ შეიძლება — „ჩვენ კაკალი გვიყვარს“, იმიტომ რომ, სიტყვა „სიყვარული“ მეტისმეტად გაურკვეველია, აკლია სიზუსტე და ობიექტურობა. „სიყვარული კაკლის“ და „სიყვარული დედის“ სულ სხვადასხვა რამაა, პირველი ნიშნავს სასიამოვნო გემოს, მეორე კი გრძნობას.

გრძნობის აღმნიშვნელი სიტყვა ძალზე ბუნდოვანია; ყოველთვის ჯობს მოერიდო მას და უბრალოდ აღწერო საგნები, მოვლენები, ადამიანები და საკუთარი თავი — სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიჰყვე ფაქტების მიუკერძოებელ გადმოცემას.



## ჩვენი მეზობელი ქალი და მისი ქალიშვილი

ჩვენი მეზობელი ქალი ბებიასავით ბებერი არ არის. ის თავის ქალიშვილთან ერთად ქალაქის ყველაზე განაპირა სახლში ცხოვრობს. ეს ძალზე ძველი ქოხია. სახურავი მთლად დაცხავებული აქვს. ქოხის ირგვლივ ბაღია, მაგრამ ის სულაც არა ჰგავს ბებიას მოვლილ ბაღს. მეზობლის ბაღი სავსეა სარეველა მცენარეებით.

მეზობელი ქალი მთელი დღე ბაღში ტაბურეტზე ზის და პირდაპირ იყურება, ვერ გაგვიგია, რას უყურებს. საღამოობით ან თუ წვიმა დააპირა, ქალიშვილი ხელს ჩაავლებს და შინ შეჰყავს. ხანდახან ქალიშვილს ეს ავიწყდება, ანდა შინ არ არის, მაშინ ქალი ყოველგვარ ამინდში მთელ ღამეს გარეთ ატარებს.

ხალხი ამბობს, რომ ჩვენი მეზობელი გიჟია, რომ იგი მაშინ გაგიჟდა, როცა მისი ქალიშვილის მამამ მიატოვა.

ბებია კი ამბობს, მეზობლის ქალი ზარმაცია და მუშაობას სიღარიბე ურჩევნიაო.

მეზობლის ქალიშვილი ჩვენზე მაღალი არ არის, მაგრამ ჩვენზე ცოტა უფროსია. დღისით კაფესთან ან გზაჯვარედინზე მოწყალებას თხოულობს. ბაზარში გადაყრილ, დამპალ ხილსა და ბოსტნეულს კრეფს და შინ მიაქვს. ქურდობს კიდევ. იპარავს ყველაფერს, რისი მოპარვაც შეიძლება. რამდენჯერმე ჩვენი ბაღიდანაც გავაგდეთ — ხილსა და კვერცხს გვპარავდა.

ერთხელ წავასწარიტ, ჩვენს ერთ-ერთ თხას პირდაპირ ცურებიდან სწოვდა რძეს. ჩვენს დანახვაზე ტუჩებს ხელით იწმენდს და გვეუბნება:

— არა მცემოთ. — და მაშინვე ამატებს: — მე სწრაფად დავრბივარ, თქვენ მაინც ვერ დამეწევით.

ჩვენ შევყურებთ. ასე ახლოს პირველად ვხედავთ. კურდღლის ტუჩი აქვს, ელამია, ცხვირიდან ცინგლი ჩამოსდის, წირპლიანი თვალები დასწითლებია. ხელ-ფეხი დახეთქია.

ის გვეუბნება:

— მე ყველა კურდღლისტუჩას მეძახის. რძე ძალიან მიყვარს. — იცინის და ჩაშაფებულ კბილებს აჩენს. — რძე მიყვარს, მაგრამ უფრო მეტად ცურიდან წოვა მიყვარს. ეს ძალიან სასიამოვნოა.

ჩვენ ვდუმვართ, ის გვიახლოვდება.

— მე კიდევ ერთი რალაცის წოვა მიყვარს. — ის ჩვენკენ იწვდის ხელს. ჩვენ უკან ვიხევთ. — რაა, არ გინდათ? არ გინდათ ვითამაშოთ? მე კი ძალიან მინდა. ისეთი ლამაზები ხართ. — გოგო თვალებს ძირს სრის და ამბობს: — გეზიზღებით, ხომ?

— არა, არ გეზიზღები, — ვეუბნებით ჩვენ.

— ვიცი. ჯერ თქვენ ძალიან პატარები ხართ და გრცხვენიათ, მაგრამ ჩემი ნუ გერიდებათ. მე თქვენ საინტერესო თამაშს გასწავლით.

— ჩვენ არასოდეს ვთამაშობთ, — ვეუბნებით ჩვენ.

— აბა მთელი დღე რას აკეთებთ?

— ვმუშაობთ და ვსწავლობთ.

— მე კი ვმათხოვრობ, ვქურდობ და ვთამაშობ.

— და დედაშენსაც უვლი. შენ კარგი გოგო ხარ.  
 ის გვიახლოვდება და გვეუბნება:  
 — მართლა ფიქრობთ, რომ კარგი ვარ? ნამდვილად?  
 — პო, და თუ რაიმე დაგჭირდათ შენ და დედაშენს, გვიმართლი.  
 ხილს, ბოსტნეულს, თევზსა და რძეს მოგცემთ ხოლმე.



გოგო ყვირის:  
 — არ მინდა თქვენი ხილი, თქვენი თევზი და რძე! ყველაფერი  
 თვითონვე შემიძლია მოვიპარო! მე ის მინდა, რომ გიყვარდეთ! არავის  
 ვუყვარვარ, დედასაც კი! ამიტომ მეც არავინ მიყვარს, დედაჩემიც კი  
 არ მიყვარს!

### მათხოვრობაში პარჯიში

ვიცვამთ ჭუჭყიან, დახეულ ტანსაცმელს, ვიხდით ფენსაცმელს, ხელ-  
 პირს ტალახით ვითხუბნით, გამოვდივართ გარეთ, ქუჩაში ვჩერდებით  
 და ვიცდით.

უცხოელი ოფიცერი რომ გამოჩნდება, მისალმების ნიშნად მარჯვენა  
 ხელს მაღლა ვწევთ, მარცხენა ხელს კი სამათხოვროდ ვუშვერთ. უფ-  
 რო სშირად ოფიცერი ისე ჩაგვივლის, ზედაც არ გვიყურებს.

ბოლოს და ბოლოს ერთი ოფიცერი ჩერდება. რალაცას ამბობს ჩვენ-  
 თვის გაუგებარ ენაზე, რალაცას გვეკითხება. ჩვენ არ ვპასუხობთ.  
 ვდგავართ გაუნძრევლად — მარჯვენა ხელი მისალმების ნიშნად გვაქვს  
 აწეული, მარცხენა კი სამოწყალოდ გაწვდილი... ოფიცერი ჯიბეებში  
 იქექება. ჭუჭყიან ხელისგულზე მონეტას და შოკოლადის ნატებს გვი-  
 დებს და თავის ქნევით განაგრძობს გზას.

ჩვენ ვიცდით.  
 მოდის ქალი. ჩვენ მისკენ ვიშვერთ ხელებს. ის გვეუბნება:  
 — ჩემო საცოდავო ბავშვებო! არაფერი მაქვს თქვენთვის მოსა-  
 ცემრ...

და თავზე ხელს გვისვამს.  
 — გმადლობთ, — ვეუბნებით ჩვენ.  
 ერთი ქალი ორ ვაშლს გვაძლევს, მეორე — ცოტაოდენ ნამცხვარს.  
 გაივლის კიდევ ერთი ქალი, ჩვენ სამოწყალოდ ვუშვერთ ხელს. ის  
 ჩერდება და გვეუბნება:

— არა გრცხვენიათ რომ მათხოვრობთ? წამოდით ჩემთან, შესაფე-  
 რის სამუშაოს გამოგინახავთ. შეშას დაგაპობინებთ, ტერასას დაგასუ-  
 ფთავებინებთ. უკვე დიდი და ღონიერი ბიჭები ხართ. თუ კარგად იმუ-  
 შავებთ, წვნიანსა და პურსაც გაჭმევთ.

ჩვენ ვპასუხობთ:  
 — არ გვინდა თქვენთან მუშაობა, ქალბატონო, არც თქვენი წვნი-  
 ანი და პური გვჭირდება, მშვიდრები არა ვართ.

— აბა აქ რას უდგახართ და მათხოვრობთ?  
 — იმიტომ, რომ გავიგოთ, როგორია მათხოვრობა, იმიტომაც, რომ  
 დავაკვირდეთ ადამიანთა განწყობას.

ქალი გვშორდება, თან ილანძლება:



— პატარა ბინძური კონკიაულარუნები, მასხარადაც რომ გვიგდებენ!

შინ მიმავლები გზისპირა ბალახებში ვისვრით ვაშლებს, ნამცხვარსა და მონეტებს.

მაგრამ თავზე ხელი რომ გადაგვისვა, იმ ქალის მოფერებას გადასაგდებად ვერ ვიმეტებთ.

### კურდღლისტუჩა

მდინარეზე ანკესით ვთევზაობთ. მორბის კურდღლისტუჩა. ჩვენ ვერა გვხედავს. წვება ბალახზე და ქვედა კაბას მალლა იწევს. ნიფხავი არ აცვია. მოუჩანს შიშველი დუნდულები და ბარძაყებშუა თმა. ჩვენ ამ ადგილას თმა არა გვაქვს. კურდღლისტუჩას კი აქვს, თუმცა არც ისე ბევრი.

კურდღლისტუჩა უსტვენს. მორბის ძაღლი. ეს ჩვენი ძაღლია. კურდღლისტუჩა ძაღლს ეხვევა და ბალახზე კოტრილობენ. ძაღლი ყუფს, გამოეშვება, იბერტყება და გარბის. კურდღლისტუჩა ძაღლს მოფერებით ეძახის და ხელს ფეხებშუა ისვამს.

ძაღლი უკან ბრუნდება, კურდღლისტუჩას ფეხებშუა რამდენჯერმე ყნოსავს და მერე ლოკავს. კურდღლისტუჩა ფეხებს ფარჩხავს და ძაღლს მუცელზე იკრავს. ძაღლი მძიმედ სუნთქავს, თან იკლაკნება...

მერე ძაღლი ნელა გადის განზე.

კურდღლისტუჩა ერთხანს მიწაზე წევს, მერე დგება, ჩვენ დაგვიჩინახავს, წითლდება და გვიყვირის:

— ბინძურო ჯაშუშებო, აქ რას აკეთებდით?

— გიყურებდით, როგორ თამაშობდი ჩვენს ძაღლთან.

ის გვეკითხება:

— და მაინც თქვენი მეგობარი ვარ?

— კი, თანაც ნებას გაძლევთ, როცა გინდა, მაშინ ეთამაშო ჩვენს ძაღლს.

— რაც დაინახეთ, არავის მოუყვებით?

— ჩვენ არასოდეს არავის არაფერს ვუყვებით. შეგიძლია გვიჩინო.

ის ბალახზე ჯდება და ტირის:

— მარტო ცხოველებს ვუყვარვარ.

ჩვენ ვეკითხებით:

— დედაშენი მართლა გიყია?

— არა, მარტო ყრუ და ბრმა არის.

— რა დაემართა?

— არაფერი. ისეთი არაფერი. ერთხელაც უცბად დაბრმავდა, მერე დაყრუვდა კიდევ. მეუბნება, შენც ეგრე დაგემართებაო. გინახავთ ჩემი თვალები? დილით რომ მეღვიძება, წამწამები ერთმანეთზე მაქვს მიწებებული. თვალები სულ დაწირპლული მაქვს.

ჩვენ ვეუბნებით:



— ეს უიჭველად რაღაც ავადმყოფობაა და წამლებით ალბათ შეიძლება განიკურნოს.

ის გვეუბნება:

— შეიძლება, მაგრამ უფულოდ აბა ექიმთან როგორ წავალ? თანაც აქ ექიმები აღარ არიან. ყველა ფრონტზეა.

ჩვენ ვეკითხებით:

— ყურების საქმე როგორღა გაქვს? გტკივა?

— არა, ყურების მხრივ ყველაფერი რიგზე მაქვს. და, მე მგონია, დედაჩემსაც. უბრალოდ, არანაირ კითხვებზე პასუხის გაცემა არ უნდა და თავს იკატუნებს, თითქოს არ ესმის.



## სიბრძავისა და სიყრუის პარჯიში

ერთ-ერთი ჩვენგანი სიბრძავეს იგონებს, მეორე — სიყრუეს. თავდაპირველად — ვარჯიშისათვის — ბრმა ბებუის რომელიმე მოსახვევით იხვევს თვალებს, ყრუ კი ყურებს ბალახით იგმანავს. მოსახვევი ბებუისავეით ყარს.

საქაერო განგაშის სიგნალის მერე, როცა ყველა სარდაფებში იმალება და ქუჩები ცარიელდება, ჩვენ ხელიხელჩაკიდებულები გარეთ გამოვდივართ.

ყრუ აღწერს ყველაფერს, რასაც ირგვლივ ხედავს:

— ქუჩა გრძელი და სწორია. ქუჩის აქეთ-იქით დგას დაბალი, ერთსართულიანი სახლები. სახლები შეღებილია ცისფრად, ნაცრისფრად, ვარდისფრად და თეთრად. ქუჩის ბოლოს პარკი და შადრევანია. ახლა ვხედავ თვითმფრინავებს. ხუთ ბომბდამშენს. ძალიან დაბლა დაფრინავენ.

ბრმა ლაპარაკობს ნელა, რათა ყრუ მისი ტუჩების მოძრაობის მიხედვით მიხვდეს ნათქვამს.

— მესმის თვითმფრინავების ხმა, ისინი ძალზე დაბლა გუგუნებენ, ძრავები მთელი სიმძლავრით მუშაობენ, — მაშასადამე, ყუმბარებით არიან დატვირთულნი. აი, ახლა თავზე გადაგვიფრინეს. გაფრინდნენ. ისევ მესმის ჩიტების ჟიჟიჟი. სხვა არაფრის ხმა არ ისმის.

ყრუ ბრმის ტუჩების მოძრაობას აკვირდება. ნათქვამს ხვდება და პასუხობს:

— ჰო, ქუჩა სულ უკაცრიელია.

ბრმა ამბობს:

— ეს დიდხანს არ გასტანს. მარცხენა შესახვევიდან უკვე მესმის ვილაციის ფენის ხმა.

ყრუ პასუხობს:

— მართალია, ვილაც კაცი მოდის.

ბრმა კითხულობს:

— როგორ გამოიყურება?

ყრუ პასუხობს:

— როგორც ყველა, საცოდავი და მოხუცია.

ბრმა ამბობს:

— მივხვდი. მოხუცივით მოფლატუნობს. თანაც ფეხშიშველად, მასადაძვე, ღატაკია.

ყრუ ამბობს:

— მელოტია, ძველი ჯარისკაცური ქურთუკი და ძალზე მოკლე შარვალი აცვია. ფეხები ჭუჭყიანი აქვს.

— თვალები?

— ვერა ვხედავ, ძირს იყურება.

— პირი?

— ტუჩები ჩავარდნია... კბილები, უეჭველია, სულ აღარ აქვს...

— ხელები?

— ხელები ჯიბეებში უწყვია. ჯიბეები ძალზე გამობერია, ეტყობა, რალაცით აქვს გატენილი. ფორმით თუ ვიმსჯელებთ, ან კარტოფილია ან კაკალი... აი, ჩვენკენ იყურება, მაგრამ თვალების ფერს მაინც ვერ ვარჩევ.

— კიდევ რას ხედავ?

— სახე დანაოჭებულია. ნაოჭები ნაიარევეებივით ღრმად აჩნია.

ბრმა ამბობს:

— საპაერო განგაშის დამთავრების ნიშანი მესმის. თავდასხმა დასრულდა. შინ დავბრუნდეთ.

რამდენიმე ხნის მერე ჩვენ უკვე აღარ გვჭირდება თვალების ახვევა და ყურების დაგმანვა. ის, რომელიც ბრმას განასახიერებს, უბრალოდ თვალებს ხუჭავს, ყრუ კი თავს აიძულებს, არაფერი გაიგონოს.

### დ ე ზ ე რ ტ ი რ ი

ტყეში ვპოულობთ ცოცხალ ახალგაზრდა კაცს. ფორმა არ აცვია. გაუნძრევლად წევს ჯაგებში და ჩვენ შემოგვცქერის.

— აქ რატომ წევხართ? — ვეკითხებით ჩვენ.

ის გვპასუხობს:

— სიარული აღარ შემიძლია, საზღვარზე გადმოვედი. ორი კვირაა დღე და ღამე მოვდივარ. უფრო სწორედ, ღამით. ძალ-ღონე უკვე გამომელია. სამი დღეა არაფერი მიჭამია.

ჩვენ ვეკითხებით:

— ფორმა რატომ არ გაცვიათ? ყველა ახალგაზრდა მამაკაცს ფორმა აცვია — ისინი ყველანი არმიაში არიან.

ის გვეუბნება.

— მე აღარ მინდა ჯარისკაცობა.

-- აღარ გინდათ, მტერს ებრძოდეთ?

-- ბრძოლა აღარავისთან აღარ მინდა. მე მტრები არა მყავს. მე შინ დაბრუნება მინდა.

— თქვენი სახლი სად არის?

— ჯერ კიდევ შორს არის... საჭმელს თუ ვერ ვიშოვი, იქამდე ვერ მივალწევ.

— მაშ რატომ არ წახვალთ და არ იყიდით საჭმელს? ფული არა გაქვთ?

— არც ფული მაქვს და, რაც მთავარია, ჩემი გამოჩენა არ შეიძლება. უნდა ვიმალეობოდე. არავინ არ უნდა დამინახოს.

- რატომ?
- უნებართვოდ მივატოვე პოლკი. გამოვიქეცი. დეზერტირი ვარ, თუ დამიჭირეს, ან ჩამომასრჩობენ ან დამხვრეტენ.
- როგორც მკვლელს?
- ჰო, როგორც მკვლელს.
- თქვენ ხომ არავის მოკვლა არ გინდათ, შინ დაბრუნება გინდათ მხოლოდ...
- ჰო, მხოლოდ შინ დაბრუნება მინდა...
- ჩვენ ვეკითხებით:
- რა საჭმელი მოგიტანოთ?
- სულ ერთია, რაც გინდა იყოს.
- თხის ყველი, მოხარშული კვერცხი, ხილი და პური ივარგებს?
- ჰო, ჰო, ყველაფერი, რაც გენებოთ.
- ჩვენ ვეკითხებით:
- საბანიც ხომ არ მოგიტანოთ? ღამლამობით ახლა ცივა. ხშირად წვიმს კიდევ...
- ჰო, ოღონდ არავინ შეგამჩნიოთ. ხომ არავის ეტყვიან? დედასაც კი?..
- ჩვენ ვპასუხობთ:
- ვერავინ შეგვამჩნევს. ჩვენ არასდროს არავის არაფერს ვეუბნებით, დედა კი არა გვყავს.
- საჭმელი და საბანი რომ მივუტანეთ, გვეუბნება:
- თქვენ ძალიან კეთილები ხართ.
- ჩვენ ვპასუხობთ:
- არ გვინდა კეთილები ვიყოთ. ყველაფერი ეს იმიტომ მოგიტანეთ, რომ თქვენთვის ისინი სრულიად აუცილებელია. ეგ არის და ეგ. ის გვეუბნება:
- არ ვიცი, მადლობა რით გადაგიხადოთ. მე თქვენ არასოდეს დაგივიწყებთ. — ამბობს ამას და თვალები ცრემლით ევსება.
- ჩვენ ვეუბნებით:
- იცით, ტირილს აზრი არა აქვს. ტირილი არაფერს შველის. ჩვენ, მაგალითად, არასოდეს ვტირებთ, თუმცა ჯერ თქვენსავით დიდები არა ვართ.
- ის ილიმება და გვეუბნება:
- მართლები ხართ. მაპატიეთ, აღარ ვიტყვებ. ეს იმის ბრალია, რომ ძალიან დავიღალე...

### შიშვლილი ვარჯიში

- ბებიას ვეუბნებით:
- დღეს და ხვალ არაფერი არ უნდა ვჭამოთ, მარტო წყალს დავლევთ.
- ბებია მხრებს იჩეჩავს:
- მე რა მენადვლება, ოღონდ, როგორც მუშაობდით, ისევ ისე უნდა იმუშაოთ.

— რასაკვირველია, ბები.

პირველ დღეს ბებია კლავს ქათამს და ღუმელში ბრაწავს, მერე გვეძახის:

— მოდიო, ჭამეთ.

შევდივართ სამზარეულოში; სასიამოვნო სუნი დგას გვშია, მაგრამ არც ისე ძალიან. ვუყურებთ, როგორ ჭრის ბებია ქათამს და თან გვეუბნება:

— უჰ, რა სუნი აქვს. გრძნობთ? ჰა, მოგცეთ თითო ბარკალი?

— არა, ბები, არ გვინდა.

— აფსუს, აფსუს... კარგი ქათამი კი გამოდგა!

ბებია ქათამს ხელითა ჭამს, თითებს ილოკავს და წინსაფარზე იწმენდს. ძვლებს ღრღნის და წუწნის.

თან გვეუბნება:

— ჩრჩხვი ძალიან გემრიელია. ამაზე გემრიელი რა უნდა იყოს!

ჩვენ ვეუბნებით:

— ბები, რაც აქა ვართ, ქათამი ჩვენთვის ერთხელაც არ დაგიკლავთ.

— დღეს ხომ დავკალი, ჭამეთ და ისიამოვნეთ.

— ხომ იცით, რომ არც დღეს და არც ხვალ არაფერს ვჭამთ.

— მერე მე რა შუაში ვარ. ეს თქვენი მორიგი ხუშტურია.

— ეს ერთ-ერთი ჩვენი ვარჯიშია. შიმშილის მოთმენას ვსწავლობთ.

— ჰოდა, მოითმინეთ, არავინ გიშლით.

სამზარეულოდან გამოვდივართ და ბაღში მუშაობას ვიწყებთ. დღის ბოლოს ნამდვილ შიმშილსა ვგრძნობთ და ბევრ წყალს ვსვამთ. ღამე დაძინება გვიჭირს. ძილში კი საჭმელი გვესიზმრება.

მეორე დღეს სადილზე ბებია ქათამს ათავენს. ვხედავთ, როგორ ჭამს, მაგრამ თითქოს ბურუსში ვუყურებთ. შიმშილს უკვე ველარა ვგრძნობთ, თავბრუ კი გვეხვევა.

სალამოთი ბებია ოლაღებს აცხობს და მურაბასა და ჭყინტ ყველთან ერთად მაგიდაზე აწყობს. თავს ვერა ვგრძნობთ კარგად, კუჭი გვეწვის, მაგრამ ვწვეებით თუ არა, უმალ ღრმა ძილით გვეძინება. რომ გამოგვეღვიძა, ბებია უკვე ბაზარში დაგვხვდა წასული. გვინდა ვისაუზმოთ, მაგრამ სამზარეულოში აღარაფერია, არც პური, არც რძე და არც ყველი. ბებიას ყველაფერი სარდაფში ჩაუკეტავს. შეგვეძლო გაგვეღო, მაგრამ გადავწყვიტეთ, ხელი არაფრისთვის გვეხლო. ვჭამთ ცარიელ მარლდაყრილ პამიდორსა და კიტრს.

ბებია ბაზრიდან ბრუნდება და გვეუბნება:

— დღეს დილით თქვენი წილი სამუშაო არ შეგისრულებიათ.

— უნდა გაგელვიძებინეთ, ბები.

— თვითონვე უნდა იღვიძებდეთ. კეთილი. რას იზამ, ამ ერთხელ ვაჭმევთ.

ის ხარშავს ბაზრიდან უკან მოტანილ ბოსტნეულის წვნიანს. ჩვენ, როგორც ყოველთვის, ძალზე ცოტას ვჭამთ. ჭამის შემდეგ ბებია გვეუბნება:

— სულელური ვარჯიშია. თანაც ჯანმრთელობისათვის მავნე.

## პაპის საფლავი

ერთხელ ვხედავთ, ბებია იღებს სარწყავს, სამუშაო იარაღებს და შინიდან გადის, მაგრამ ვენახისაკენ კი არა, საპირისპირო მხარეს უხვევს. ჩვენ მოშორებით მივყევით: გვინდა გავიგოთ, სად წაივს.

ბებია სასაფლაოზე მიდის, ის ჩერდება ერთ-ერთ საფლავთან და სამუშაო იარაღს მიწაზე აწყობს. სასაფლაოზე ჩვენ გარდა არავინ არის.

ბუჩქებსა და საფლავის ქვებს ამოფარებულები თანდათან ახლოს მივდივართ. ბებია ახლომხედველია, ამასთან, ცუდად ესმის; შეგვიძლია შეუმჩნევლად ვუთვალთვალოთ.

ბებია საფლავს მარგლავს, ბარავს, მიწას ფოცხით აფხვიერებს, რგავს ყვავილებს, ჭიდან წყალი მოაქვს და რწყავს საფლავს.

მუშაობას რომ ამთავრებს, იარაღს აგროვებს, მერე ხის ჯვრის წინ იჩოქებს, ხელებს ისე იჭერს, თითქოს ლოცულობსო, მაგრამ სიტყვები, ჩვენამდე რომ აღწევს, უმთავრესად სალანძღავი სიტყვებია:

— მძღნ... უჯიშო... ღორო... ბინძურო... წყეულო...

ბებია რომ მიდის, საფლავს ვათვალთვალებთ: კარგად არის მოვლილი. ჯვარს იგივე გვარი აწერია, რა გვარსაც ბებია ატარებს. ეს დედის ქალიშვილობის გვარიცაა. სახელი კი ორი წერია და დეფისითაა შეერთებული. ეს ჩვენი სახელებია.

ჯვარზე დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებიცაა. იოლად ვანგარიშობთ, პაპა მომკვდარა ორმოცდაოთხი წლის, ოცდასამი წლის წინათ.

სალამოთი ბებიას ვეკითხებით:

— როგორი იყო პაპა?

ის გვეუბნება:

— რაო? არავითარი პაპა არა გყავთ.

— კი მაგრამ, ხომ გვყავდა დიდი ხნის წინათ?

— არა, არ გყოლიათ. თქვენ რომ დაიბადეთ, ის უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო. ასე რომ, პაპა არა გყოლიათ, მორჩა და გათავდა.

ჩვენ ვეკითხებით:

— რატომ მოწამლეთ?

— რას მიეღებ-მოედებით?

— ხალხი ლაპარაკობს, რომ პაპა თქვენ მოწამლეთ.

— ხალხი ლაპარაკობს, ხალხი ლაპარაკობს... დაე, რაც უნდათ ის ილაპარაკონ.

— მაშ, თქვენ არ მოგიწამლიათ?

— თავი გამანებეთ, ძაღლის ლეკვებო! დამტკიცებული არაფერიც არ არის, ხალხი კი მაინც ყბედობს!

ჩვენ არ ვეშვებით:

— ვიცით, პაპა არ გიყვარდათ, მაშ მის საფლავს რატომღა უვლით?

— სწორედ მაგიტომ! ხალხი რომ ლაპარაკობს, იმიტომაც. ტყუილად რომ არ იყბედონ! თანაც, ეშმაკმა წაგიღოთ, რა იცით, პაპის საფლავს რომ ვუვლი, პა? ისევ მჯაშუშობთ, ძაღლის დაყრილებო?



სისასტიკის ვარჯიშები

კვირა დღეა, ვიჭერთ ქათამს და ზუსტად ისე ვკლავთ, როგორც ბებიაშ დაკლა ამას წინათ. მერე მიგვაქვს სამზარეულოში და ბებიას ვეუბნებით:

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— სადილი მოამზადეთ, ბები.

ის გვიყვირის:

— ვინ მოგცათ ნება?! როგორ გაბედეთ! აქ მე ვარ უფროსი, თქვე ბინძურო ძაღლის ლეკვებო! სიკვდილი მირჩევნია მაგის ხელის ხლებას! ჩვენ ვეუბნებით:

— კეთილი, მაშინ ჩვენ თვითონ მოვამზადებთ.

ვიწყებთ ქათმის გაპუტვას, მაგრამ ბებია ხელიდან გვტაცებს.

— თქვენ რა შეგიძლიათ, უმაქნისებო! თქვენ მე სამარეს გამითხრით, ტურტლიანო ლეკვებო! უფალო, რატომ მომივლინე ასეთი სასჯელი?!

ბებია ქათამს ამზადებს, თან ტირის:

— საუკეთესო ქათამი იყო! განგებ სწორედ ეს ამოარჩიეს! მე კი სამშაბათს ბაზარში მინდოდა წამყვანა!..

ქათამს რომ ვჭამთ, ბებიას ვეუბნებით:

— ძალიან გემრიელი ქათამია. ამის მერე ყოველ კვირა დავკლავთ ქათამს.

— ყოველ კვირაო?! ხომ არ შეიშალებთ? გინდათ, გამალატაკოთ?

— ჰო, მოგწონთ თუ არა, ყოველ კვირა დავკლავთ ქათამს.

ბებია ისევ ტირილს იწყებს:

— რა დამიშავებია მაგათთვის? რისი გულისათვის? რა საბრალო და უბედური ვარ! ამათ ჩემი — საცოდავი, უილაჯო მოხუცის სიკვდილი უნდათ! მე კი რა კეთილი ვიყავ მაგათთვის.

— ჰო, ბები, კეთილი ხართ, ძალიან კეთილი. სწორედ მაგიტომაც ყოველ კვირა შეგვიწვავთ ქათამს.

ცოტა რომ დამშვიდდა, ვეუბნებით:

— ამის მერე ქათმის ან გოჭის დაკვლა როცა მოგინდეთ, გვითხარით, ჩვენ დაგიკლავთ ხოლმე.

— რაო, ეს საქმე მოგწონთ თუ რა?

— არა, ბები, სწორედ იმიტომ, რომ არ მოგვწონს, გვინდა ამას შევეჩვიოთ.

— გასაგებია. ახალი ვარჯიშია. რას იზამ, ამჯერად თქვენ მართლები ხართ: მოკვლაც უნდა შეგეძლოთ, თუკი საჭირო იქნება.

ჩვენ თევზებიდან ვიწყებთ. თევზს კუდით ვიჭერთ და თავით ქვას ვურტყამთ. მალე ვერჩევით საჭმელად განკუთვნილი ცხოველების — ქათმების, კურდღლების და იხვების დაკვლას, მერე ვერჩევით ისეთი ცხოველების ხოცვასაც, რომელთა დახოცვასაც აზრი არა აქვს. ვიჭერთ ზაყაყებს, ვაჭედებთ ფიცრის ნატეხზე და ვუფატრავთ მუცელს. ვიჭერთ პეპლებს და ქინძისთავით მუყაოზე ვაბნევთ. სულ მალე პეპლების მშვენიერი კოლექცია გამოგვდის.

ერთხელაც ჩვენს წითურ კატას ვკიდებთ ხეზე. ჰკიდია, ჰკიდია და ნელ-ნელა ისე გაიწელა, რომ უზომოდ დაგრძელდა. კატა იკრუნჩხება

და იგრიხება. მოძრაობას რომ წყვეტს, თოკს ვჭრით. კატა ბალახზე გაჭიმული უგრძობლად წევს, მაგრამ მერე უეცრად წამოხტება და გაიქცევა.

ამის შემდეგ კატა სახლს ახლოს აღარ ეკარება, თუმცა ხანდახან მოშორებით დაბორილობს. იმასაც კი ვეღარ ბედავს, მოვუდგე და ვუღამბაქიდან, რომელსაც კართანასთან ვუდგამთ, რძე შესვლობს. ბებია ამბობს:

— კატა რალაც სულ გაგარეულდა.

ჩვენ ვეუბნებით:

— ნუ წუხხართ, ბები, თაგვებზე ჩვენ თვითონ ვიზრუნებთ.

თაგვებს ხაფანგს ვუგებთ, დაჭერილ თაგვებს კი მდულარეში ვყრით.

### სხვა ბავშვები

პატარა ქალაქში სხვა ბავშვებსაც ვხვდებით. სკოლა დაკეტილია და ისინი მთელ დღეს ქუჩაში ატარებენ. აქ დიდი ბავშვებიც არიან და პატარებიც. ზოგიერთებს აქ სახლებიც აქვთ და დედებიცა ჰყავთ, ზოგნი კი ჩვენსავე საიდანაც ჩამოუყვანიათ. ბავშვები მეტწილად დიდი ქალაქიდან არიან.

ბევრი ბავშვი სრულიად უცნობ ხალხთან ცხოვრობს, ისინი მინდორში ან ვენახებში მუშაობენ. ხალხი, ვისთანაც ეს ბავშვები ცხოვრობენ, მათ ყოველთვის კეთილად არ ექცევა.

უფროსი ბავშვები ხშირად ესხმიან თავს პატარებს და ართმევენ ყველაფერს, რაც კი ჯიბეში აქვთ. ხანდახან ტანსაცმელსაც კი ხდიან. უფროსები პატარებს სცემენ, განსაკუთრებით ჩამოსულებს, იმიტომ რომ ადგილობრივ ბავშვებს დედები ჰყავთ და შვილებს ექომაგებიან.

ჩვენ არავინ გვესარჩლება, ამიტომ თვითონვე გვიწევს საკუთარი თავის დაცვა.

ჩვენც ვიარაღდებით: ქვებს ისე ვამტვრევთ, რომ ბასრი პირი ჰქონდეს, წინდას ვტენით სილითა და წვრილი კენჭებით. გვაქვს სამართებელიც — იგი სხვენზე კომოდში ბიბლიის გვერდით ვიპოვეთ. საკმარისია სამართებელი ამოვიღოთ, რომ დიდი ბიჭებიც კი გარბიან.

ერთხელ შუადღის პაპანაქებაში ვსხედვართ წყლის წერტთან, საიდანაც წყალს იღებენ ისინი, ვისაც საკუთარი ჭა არა აქვს. იქვე ბალახებში გორაობს სამი მოზრდილი ბიჭი. იქ — ხეების ჩრდილში, წყლის ახლოს, მეტი სიგრილეა.


მოდის კურდღლისტუჩა და წყალს ვედროს უდგამს. წყალი ცოტა მოდის, კურდღლისტუჩაც იცდის, სანამ ვედრო აივსება.

ბოლოს, ვედრო რომ ივსება, დგება ერთ-ერთი ბიჭი და ვედროში უფურთხებს. კურდღლისტუჩა წყალს ღვრის, ვედროს წყალს გამოავლებს და კვლავ ასავსებად დგამს.

ვედრო ხელახლა ივსება თუ არა, დგება მეორე ბიჭი და ისიც უფურთხებს ვედროში. კურდღლისტუჩა ვედროს კვლავ წყალს ავლებს

და ასავსებად დგამს. ის უკვე აღარ უცდის ვედროს ავსებას — ვედროს ნახევრამდე რომ მოიყრება, დაავლებს ხელს და ცდილობს გაიქცეს.

მესამე ბიჭი ეწევა, ხელს სტაცებს და ახლა ის უფურთხებს ვედროში.



კურდღლისტუჩა ეხვეწება:

— თავი გამანებეთ, თუ შეიძლება, სასმელად მინდა წყალი.

ბიჭი ეუბნება:

— წყალი სუფთაზე სუფთაა. მარტო ჩავაფურთხე და ეგ იყო. შენ გინდა თქვა, რომ ჩემი ფურთხი სუფთა არ არის? ჩემი ფურთხი, სახლში რაც კი რამ გაბადიათ, ყველაფერზე სუფთაა!

კურდღლისტუჩა წყალს ღვრის და ტირის.

ბიჭი კურდღლისტუჩას მკერდში წიხლს აზელს.

მაშინ ჩვენ მივდივართ. კურდღლისტუჩას ფეხზე ვაყენებთ. ვედროს ვართმევთ, წყალს ვავლებთ და ვავსებთ.

ერთ-ერთი ბიჭი ამბობს:

— გვეყო, წავიდეთ აქედან.

მეორე ეუბნება:

— რას ამბობ, სეირი ახლა იწყება!

პირველი ბიჭი პასუხობს:

— გავათავოთ. ვიცნობ ამათ. საშიშები არიან.

— საშიშებიო? ეს ქვეშაჯვები? ახლავე ნახავ, რასაც დავმართებ.

ის გვიახლოვდება, უნდა, ვედროში ჩავვიფურთხო, მაგრამ ერთ-ერთი ჩვენგანი ფეხს უდებს, მეორე კი სილით გატენილ წინდას ურტყამს თავში. ბიჭი ძირს უგონოდ ვარდება. მისი მეგობრები ქვეშ-ქვეშ გვიყურებენ, ერთი ჩვენთან მოსვლას აპირებს, მაგრამ მეორე ეუბნება:

— ფრთხილად იყავი! ეს უჯიშოები ყველაფერს იკადრებენ. ერთხელ მაგათ ქვით თავი გამიტეხეს. სამართებელსაც დაუფიქრებლად იქნევენ. შეუძლიათ უმიზეზოდ ყელი გამოგჭრან. გეუბნები, გიყები არიან. ბიჭები მიდიან.

ჩვენ კურდღლისტუჩას ვედროს ვაძლევთ. ის გვეკითხება:

— რატომ თავიდანვე არ გამომესარჩლეთ?

— გვინდოდა გვენახა, როგორ დაიცავდი თავს.

— რას გავხდებოდი იმ აყლაყუდებთან?

— ვედრო ჩაგერტყა თავში, სახე ჩამოგელადრა, ლაჯებში ფეხი ამოგერტყა, გეყვირა ან გაქცეულიყავ და მერე დაბრუნებულიყავი.

### ზ ა მ თ ა რ ი

აცვივდა. ჩემოდნებს ვქექავთ და ვიცვამთ რაც კი რამ თბილს ვნახულობთ: ერთად ვიცვამთ რამდენიმე სვიტრსა და რამდენიმე შარვალს. მაგრამ ჩვენი ძირგავარდნილი ფეხსაცმლის ზემოდან მეორე ფეხსაცმელს, რა თქმა უნდა, ვერ ვიცვამთ. მეორე წყვილი ფეხსაცმელი არცა გვაქვს. არც ხელთათმანები გვაქვს, არც ქუდები. ხელ-ფეხი სიცივისაგან დაგვისკდა.

ცა მოქრუშულია, ქუჩები — ცარიელი, მდინარე გაიყინა, ტყე თოვლითაა დაფარული. ველარსად მივდივართ. სულ მალე უშეშოდ დავრჩებით.

ბებიას ვეუბნებით:

— ორი წყვილი რეზინის ჩექმა გვინდა.

ბებია გვპასუხობს:

— კიდევ რა გინდათ? თქვენი აზრით, ფული სად უნდა ვიშოვო?

— ბები, შეშა გვითავდება.

— გვითავდება და ჩვენც გამოვიზოგოთ.

შინიდან ველარ გამოვდივართ. სამაგიეროდ ვასრულებთ ჩვენს ვარჯიშებს, ხისგან ვთლით კოვზებსა და პურის დასაჭრელ ფიცრებს, გვიან სალამომდე ვსწავლობთ. ბებია საწოლიდან თითქმის აღარა დგება. სამზარეულოშიც კი აღარ გამოდის. ხელს არავინ გვიშლის.

ცუდად ვიკვებებით. აღარც ბოსტნეული გვაქვს, აღარც ხილი, ქათმებმაც კვერცხის დება შეწყვიტეს. ყოველდღე ბებიას სარდაფიდან ამოაქვს ცოტაოდენი გამხმარი ცერცვი და რამდენიმე კარტოფილი, თუმცა სარდაფი სავსეა შაშხით, ძეხვით და მურაბებით.

ხანდახან მოდის ფოსტალიონი. ააწკარუნებს ველოსიპედის ზარს და ბებიაც გადის გარეთ. ფოსტალიონი ნერწყვით ასველებს ფანქარს, ქალაღზე რალაცას წერს და ქალაღს ბებიას აძლევს, რომელზეც ბებია ჯვარს უსვამს. ამის შემდეგ ფოსტალიონი ბებიას აძლევს ფულს, პაკეტს ან წერილს და სტვენა-სტვენით ბრუნდება უკან.

ბებია ამანათიანად და ფულიანად თავის ოთახში იკეტება, წერილებს კი ღუმელში ყრის.

ჩვენ ვეკითხებით:

— ბები, წერილებს წაუკითხავად რატომ ყრით ღუმელში?

ის გვპასუხობს:

— მე კითხვა არ ვიცი. სკოლაში არ მივლია. მთელი სიცოცხლე მუშაობის მეტი არაფერი მიკეთებია. თქვენსავით განებივრებული როდი ვიყავი.

— ჩვენ შეგვიძლია ხმამაღლა წაგიკითხოთ ხოლმე.

— ჩემი წერილები არავინ არ უნდა წაიკითხოს.

ჩვენ ვეკითხებით:

— ვინ გიგზავნის ამანათებს, ფულსა და წერილებს?

ის არ გვპასუხობს.

მეორე დღეს, ბებია სარდაფში რომ ჩადის, მის ოთახს ვჩხრეკთ. ამანათი საწოლის ქვეშ დევს — ყუთი ღიაა, ყუთში სვიტრები, შარფები, ქუდეები და ხელთათმანებია. ბებიას არაფერს ვეუბნებით, რათა არ მიხვდეს მისი ოთახის გასაღები რომ გვაქვს.

საუზმის შემდეგ ვიცდით. ბებია არყის ბოთლს იყუდებს, მერე ბარბაცით მიდის საწოლი ოთახისკენ და კარს წელზე დაკიდებული გასაღებით აღებს. ჩვენ უკან მივყვებით, ბებიას ხელს ვკრავთ, ის საწოლზე ეცემა, ჩვენ კი ისე ვიქცევით, თითქოს რალაცას ვეძებთ და ვპოულობთ ამანათს.

ჩვენ ვამბობთ:



ქართული  
ბავშვთა გაზეთი

— ბები, ეს არ არის კარგი. ჩვენ ვიყინებით, თბილი ტანსაცმელი არ გვაქვს, შინიდან გარეთ ვერ გავსულვართ, თქვენ კი ყველაფრის გაყიდვა გინდათ, რასაც დედა გვიქსოვს და გვიგზავნის.

ბებია არაფერს გვპასუხობს, მარტო ტირის.

ჩვენ ვეუბნებით:

— ვიცით, დედა გიგზავნით ფულს, წერილებსაც მისი გვეუბნება.

ბებია ამბობს:

— მე არ მწერს. მშვენივრად იცის, რომ წერა-კითხვა არ ვიცი. აქ თქვენ ცხოვრობთ და წერილებსაც თქვენ გწერთ. მე არ მჭირდება მისი წერილები, მისი არაფერი არა მჭირდება!

## ფოსტალიონი

ახლა ფოსტალიონს უკვე ჭიშკართან ვყარაულობთ. ფოსტალიონი მოხუცი კაცია. თავზე ფორმის ქუდი ახურავს, დადის ველოსიპედით, რომლის საბარგულზეც ორი ტყავის ჩანთა უდევს.

ჩვენს სახლს რომ უახლოვდება, დარეკვას არ ვაცდით — როგორც კი გაჩერდება, ზარს იმავე წუთში მოვუშლით.

ის გვეკითხება:

— სად არის ბებიათქვენი?

ჩვენ ვპასუხობთ:

— მაგას არ აქვს მნიშვნელობა. რაც მოიტანეთ, ჩვენ უნდა მოგვცეთ.

— არაფერი არ არის, — გვეუბნება ის.

ის წასვლას აპირებს, მაგრამ ჩვენ ხელსა ვკრავთ და თოვლში ვაქცევთ. ველოსიპედი ზემოდან ეცემა. ფოსტალიონი ილანძლება.

ჩვენ ვჩხრეკთ ჩანთებს და ვპოულობთ წერილსა და საფოსტო გზავნილის ქვითარს. წერილს ვიღებთ და ვეუბნებით:

— მოგვეცით ფული.

— არა, ეს ბებიათქვენის სახელზეა გამოგზავნილი.

ჩვენ ვეუბნებით:

— მაგრამ ეს ჩვენთვისაა. დედამ გამოგვიგზავნა. თუ ფულს არ მოგვცემთ, არ აგაყენებთ და ასე იწვეებით, სანამ სულ არ გაიყინებით.

ის გვეუბნება:

— კეთილი, კეთილი. მომეხმარეთ, რომ ავდგე. ველოსიპედი ფეხზე მაწვება.

ჩვენ ვაყენებთ ველოსიპედს და ფოსტალიონს წამოდგომაში ვშველით. ის ძალზე გამხდარია. ქარივითაა. ფოსტალიონი ჯიბიდან ფულს იღებს და გვაძლევს.

ჩვენ ვეკითხებით:

— ხელი მოვაწეროთ თუ ჯვარი დავუსვათ?

— ჯვარი იყოს. ერთი ჯვარი მეორეზე უარესი არაფრით არაა.

მერე დააყოლებს: — თქვენ მართლები ხართ, თავს რომ იცავთ. ყველამ იცის, რაც არის ბებიათქვენი. მაგისტანა წუწურაქს ვერსად ნახავ. მაშ, ყველაფერ ამას დედა გიგზავნით, ხომ? კარგი დედა გყავთ. მე ის ბავ-

შვობიდან მახსოვს. სწორად მოიქცა, აქედან რომ წავიდა, თორემ აქ ვინ შეირთავდა იმ დაყრილი ხმების მერე?..

ჩვენ ვეკითხებით:

— რა ხმების მერე?

— ამბობენ, თავისი ქმარი მოწამლაო. ბებიათქვენსა და ჩემს ქმარს ვგულისხმობ. ეს ძველი ამბავია. ამიტომაც შეარქვეს კუდიანი.

ჩვენ ვეუბნებით:

— არ გვინდა, ბებიაზე, ვინც არ უნდა იყოს, ასეთ სისაძაგლეს რომ ლაპარაკობდეს.

ფოსტალიონი ველოსიპედს აბრუნებს და გვეუბნება:

— როგორც გენებოთ, მაგრამ ეს თქვენც უნდა იცოდეთ.

— ეს ჩვენ ადრევე ვიცოდით. თქვენ კი დღეის შემდეგ ფოსტა ჩვენ მოგვიტანეთ, თორემ მოგკლავთ. გასაგებია?

ფოსტალიონი გვეუბნება:

— თქვენგან არც გამიკვირდება. დალახვროს ეშმაკმა, მიიღებთ თქვენს ფოსტას, ჩემთვის სულ ერთია. იმ კუდიანისათვის არ მიმიფურთხებია!

ის ველოსიპედს უბიძგებს და მიდის, თან კოჭლობს, აქაოდა, ნახეთ, რა გამიკეთეთო.

მეორე დღეს თბილად ჩაცმულები ქალაქში მივდივართ. დედის გამოგზავნილი ფულით რეზინის ჩექმების საყიდლად. დედის წერილს კი ხალათის ქვეშ, უბით ჯერჯერით ვატარებთ.

## მეჩექმე

მეჩექმე რკინიგზის სადგურის მახლობლად მდებარე სახლის სარდაფში მუშაობს. ოთახი ძალზე დიდია. ერთ კუთხეში საწოლი დგას, მეორეში — სამზარეულოს ქურა და მაგიდა. სახელოსნო ქვაფენილის სისწვრივ ქუჩისკენ გამავალი ფანჯრის ქვეშაა მოწყობილი. ფეხსაცმლებითა და სამუშაო იარაღებით გარშემორტყმული მეჩექმე დაბალ ტაბურეტზე ზის. ის სათვალის ზემოდან გვიცქერის; უყურებს ჩვენს დახეულსა და ძირგავარდნილ, ოდესღაც კარგი გალაქული ტყავისგან შეკერილ ყელიან ფეხსაცმელს.

ჩვენ ვეუბნებით:

— დილა მშვიდობისა, გვინდა შევიძინოთ თბილი, წყალგაუმტარი ჩექმები. ყიდით ამისთანა ჩექმებს? ფული გვაქვს.

— ჩექმები კი მაქვს, მაგრამ ისინი, რომლებიც სარჩულითაა და თბილებია, ძალიან ძვირია.

ჩვენ ვეუბნებით:

— ჩვენთვის აბსოლუტურად აუცილებელია ასეთი ჩექმები. ფეხები გვეყინება.

და მთელ ფულს დახლზე ვუწყობთ.

მეჩექმე გვეუბნება:

— ამით მარტო ერთი წყვილი მოგივათ, არა უშავს, ერთი წყვილი გეყოფათ. ერთი ზომის ფეხი გქონიათ და ჯერჯერით ჩაცვამთ.

— ეს შეუძლებელია. ჩვენ უერთმანეთოდ არსად არ დავდივართ. ყოველთვის ერთად ვართ.

— მაშინ მშობლებს უთხარით, რომ ფული კიდევ მოგვცენ.

— მშობლები არა გვყავს. ბებიასთან ვცხოვრობთ, კუდიანს რომ ეძახიან. ის კი ფულს არ მოგვცემს.

— კუდიანი თქვენი ბებიაა? საწყალო ბავშვებო! შერედა, ამსიშორეზე ამ ფეხსაცმლებით მოხვედით?..

— ჰო, ჩვენ მართო ეს ფეხსაცმელები გვაქვს. ზამთარი რომ გადავიტანოთ, გვჭირდება კარგი ფეხსაცმელი. შეშისთვის ტყეში უნდა ვიაროთ, ეზო თოვლისგან გავწმინდოთ. ამიტომაც ჩვენთვის აბსოლუტურად საჭიროა...

— ორი წყვილი წყალგაუმტარი ჩექმა?

მეჩექმე იცინის და გვაძლევს ორ წყვილ ჩექმას.

— აბა, მოიზომეთ.

ორივე ვიცვამთ. ზუსტად მოგვერგო.

ჩვენ ვეუბნებით:

— ორივეს ვიღებთ. მეორე წყვილისას გაზაფხულზე გადავიხდით, როცა თევზისა და კვერცხის გაყიდვას შევძლებთ, ანდა, თუ გნებავთ, შეშას მოგიტანთ.

მეჩექმე უკან გვიბრუნებს ფულს.

— აიღეთ თქვენი ფული. არ მჭირდება. უმჯობესია, თბილი წინდები იყიდოთ, ჩექმებს კი გჩუქნით, რაკი თქვენთვის ასე აბსოლუტურად საჭიროა.

ჩვენ უარს ვამბობთ:

— საჩუქრად არ ავიღებთ.

— ვითომ რატომ?

— იმიტომ რომ, არ გვინდა მადლობის თქმა.

— შერედა, ვინ გაძალებთ? აიღეთ თქვენი ჩექმები და შინისკენ მოუსვით. არა! მოიცადეთ! აი, ეს ჩუსტებიც გამომართვით, ზაფხულოსათვის კი ეს სანდლები და ეს ფეხსაცმელებიც წაიღეთ — ძალიან გამძლეა. აიღეთ ყველაფერი, რაც მოგეწონთ!

— რატომ გვჩუქნით ყველაფერ ამას? — ვეკითხებით ჩვენ.

— იმიტომ რომ, ეს ყველაფერი მე აღარ მჭირდება. აქედან ჩქარა წავალ.

— სად მიდიხართ?

— ვინ იცის? წამიყვანენ და მომკლავენ.

ჩვენ ვეკითხებით:

— ვის უნდა თქვენი მოკვლა და რატომ?

— ნუ მისვამთ, ბავშვებო, სულელურ კითხვებს. წადით.

ჩვენც ვიღებთ ფეხსაცმელს, ჩუსტებს, სანდლებს. ჩექმები უკვე ზედ გვაცვია. ზღურბლზე ვჩერდებით და ვეუბნებით:

— იმედი გვაქვს, ისინი არ წაგიყვანენ. და თუ მაინც წაგიყვანეს, არ მოგკლავენ. მშვიდობით, ბატონო, და გმადლობთ, დიდი მადლობა.

შინ დაბრუნებულებს ბებია გვეკითხება:

— სად მოიპარეთ, სათოკეებო?

— არ მოგვიპარავს, ბები, საჩუქრებია, ყველა თქვენსავით კრიჟანგი კი არ არის.

## ქ უ რ დ ლ ბ ა

ახლა, როცა უკვე გვაქვს თბილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, კვლავ შეგვიძლია გარეთ გასვლა. ვცურაობთ გაყინულ მდინარეებზე და ვდივართ შეშაზე ტყეში, თან დაგვაქვს ცული და ხერხი. თოვლი ძალზე მალაღია და ფიჩხისა და ხექტეულების შეგროვება ადვილია; ჩვენც ავდივართ ხეებზე, ვახერხავთ გამხმარ ტოტებს და შეჩქმირს ცულით ვაპობთ. მუშაობის დროს სულ აღარ გვცივა, ოფლიც კი მოგვდის. ამიტომ ვიხდით ხელთათმანებს და ჯიბეებში ვიწყობთ, მალე რომ არ გაგვიცვდეს.

ერთხელაც ორი ზურგულა შეშა რომ მოგვქონდა, გზა განგებ დავიშორეთ, რათა კურდღლისტუჩა მოგვენახულებინა.

დერეფნის წინ თოვლი გადასახვეტია. ზედ არც ნაკვალევი აჩნია. ბუხრიდან კვამლი არ ამოდის.

კარზე ვაკაკუნებთ, არავინ გვპასუხობს. კარს ვაღებთ და შინ შევდივართ. თავდაპირველად ვერაფერს ვხედავთ — სახლში ძალზე ბნელა, მაგრამ სიბნელეს თვალი მალე ეჩვევა.

ერთადერთი ოთახი ერთდროულად სამზარეულოცაა და საძინებელიც. ყველაზე ბნელ კუთხეში დგას საწოლი. საწოლთან მივდივართ და ვიძახით. საბნისა და დახვავებული ძონძმანძის ქვეშ ვილაც ტოკავს და გამოჩნდება კურდღლისტუჩას თავი.

ჩვენ ვეკითხებით:

— დედაშენი შინ არის?

— შინ არის, — გვპასუხობს იგი.

— მოკვდა?

— არ ვიცი.

შემას იატაკზე ვაწყობთ. ღუმელს ვანთებთ, რადგან სახლშიც ისევე ყინავს, როგორც გარეთ. მერე მივდივართ, ბებიის სარდაფიდან ვიღებთ გამხმარ ცერცვსა და ცოტაოდენ კარტოფილს, ვწველით თხას და ეს ყველაფერი მიგვაქვს ჩვენს მეზობლებთან. ვათბობთ რძეს, ქვაბში ვადნობთ თოვლს და მოსახარშად ვდგამთ ცერცვს. კარტოფილს კი ღუმელში ვწვავთ.

კურდღლისტუჩა საწოლიდან დგება და ცეცხლს ეფიცება.

ჩვენი მეზობელი ცოცხალი აღმოჩნდა, ჩვენც პირში ვასხამთ ცოტაოდენ თბილ რძეს.

— ყველაფერი რომ გამზადდება, ჭამე და დედაშენსაც აჭამე. ჩვენ კიდევ მოვალთ, — ვეუბნებით კურდღლისტუჩას.

იმ ფულით, მეჩქემე უკან რომ დაგვიბრუნა, ვიყიდეთ რამდენიმე წყვილი თბილი წინდა, მაგრამ ფული სულ არ დაგვიხარჯავს. პოდა, მივდივართ ახლა მედუქნესთან და ვყიდულობთ ფქვილს, თან მალულად, უფულოდ ცოტაოდენი შაქარი და მარილიც მოგვაქვს. მივდივართ ყასაბთან, ვყიდულობთ ლორის პატარა ნაჭერს და ხელს ვაყოლებთ ვიეზა ძეხვს, საფასურს კი არ ვიხდით. ეს ყველაფერი მიგვაქვს კურდღლისტუჩასთან. დედა-შვილს ჩვენი მიტანილი ყველაფერი უკვე შეუჭამია. დედა ისევ საწოლში წევს. კურდღლისტუჩა კი ქვაბსა და ჯამებს რეცხავს.

ჩვენ ვეუბნებით:



— ყოველდღე მოგიტანთ თითო ზურგულა შეშას, ცოტაოდენ ცერცვსა და კარტოფილს. მაგრამ სხვა დანარჩენისთვის ფულია საჭირო. მეტი ფული აღარ გვაქვს, უფულოდ კი დუქანში შესვლა არ შეიძლება, რაღაც რომ მოიპარო, კიდევ უნდა იყიდო რამე.

ის გვეუბნება:

— გადასარევია. რა ჭკვიანები ხართ. მართლაც თუმცა სულერთია, დუქანში მე მაინც არ შემიშვებენ... ისე კი, არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ქურდობას იკისრებდით.

— რატომაც არა? ეს შეიძლება ხელის სიმარჯვის ვარჯიშად ჩავეთვალოს. მაგრამ ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა ცოტაოდენი ფული. აუცილებლად...

კურდღლისტუჩა ერთხანს ფიქრობს, მერე გვეუბნება:

— სამრევლო ეკლესიის მღვდელთან წადით და იმას სთხოვეთ. ფულს ხანდახან ის მაძლევდა, თუკი ჩემს ნახვრეტს ვუჩვენებდი.

— რაო, ამას ისა გთხოვდა?

— ჰო, ხანდახან იქ თითსაც მიყოფდა, მერე კი ფულს მაძლევდა, რომ არავისთვის მეტყვა. ჰოდა, უთხარით, ფული კურდღლისტუჩასა და დედამისისთვის გვინდა-თქო.

## შ ა ნ ტ ა უ ი

მივდივართ სამრევლო ეკლესიის მღვდელთან. ის ეკლესიის ანლოს დიდ სახლში ცხოვრობს. ვქაჩავთ ზარის ზონარს. კარს მოხუცი ქალი გვიღებს.

— რა გინდათ?

— მღვდლის ნახვა გვინდა.

— რატომ?

— ორი ადამიანი კვდება.

მოხუც ქალს შევეყვართ წინკარში და კარზე აკაკუნებს.

— წმინდა მამაო, თქვენთან მოვიდნენ, ორი მომაკვდავია საზიარებელიო.

კარს იქიდან ხმა პასუხობს:

— მოვდივარ, მოვდივარ, უთხარით, დამიცადონ!

რამდენიმე წუთს ვიცდით. ოთახიდან გამოდის მკაცრი იერის მაღალი, გამხდარი კაცი. მუქი ტანსაცმლის ზემოდან აცვია მოთეთრო, ოქრომკედით ნაქარგი შესამოსელი. ის გვეკითხება:

— სად არიან მომაკვდავები? ვინ გამოგაგზავნათ?

— ვინ და კურდღლისტუჩამ და დედამისმა.

ის გვეუბნება:

— ნამდვილი სახელები მითხარით.

— არ ვიცი, რა ჰქვიათ. ერთი ბრმა და ყრუ ქალია და მისი ქალიშვილი. ქალაქის განაპირა, ბოლო სახლში ცხოვრობენ. სიცივისა და შიმშილისაგან იხოცებიან.

მღვდელი გვეუბნება:

— თუმცა არაფერი მსმენია მათზე, მაინც მზადა ვარ საბოლოოდ ვცხო მირონი. წავიდეთ, გზა მასწავლეთ.

ჩვენ ვეუბნებით:

— მათ ჯერჯერობით არ სჭირდებათ საბოლოო მირონცხება. მათ მცირეოდენი ფული სჭირდებათ. შეშა, ცოტაოდენი კარტოფილი და გა-  
მხმარი ცერცვი მივუტანეთ, მაგრამ მათთვის მისაცემი მეტი აღარაფერი  
გვაქვს. კურდღლისტუჩამ თქვენთან გამოგვეგზავნა. ადრე თქვენც ცო-  
ტაოდენ ფულს აძლევდით.

მღვდელი გვეუბნება:

— შეიძლება, შეიძლება. ფული ბევრი გაჭირვებულისათვის მიმი-  
ცია. მაგრამ ყველას ხომ ვერ დავიმახსოვრებ... აჰა, დაიჭით!

ის მოსასწამის ქვეშ იქექება და გვაძლევს ცოტაოდენ ფულს. ჩვენ  
ფულს ვართმევთ და ვეუბნებით:

— ეს ცოტაა, ძალიან ცოტა. ეს ერთ პურსაც არ ეყოფა.

ის გვეუბნება:

— ვწუხვარ, მაგრამ ღარიბები ძალზე ბევრნი არიან. მრევლმა კი  
თითქმის შეწყვიტა ტაძრისათვის შემოწირულობა. ახლა ყველას უჭირს.  
წადით, ღმერთმა დაგლოცოთ!

ჩვენ ვეუბნებით:

— თანახმა ვართ, ახლა ეს ფული გამოგართვათ, მაგრამ ხვალ ისევ  
მოგვიწევს მოსვლა.

— რაო? ეს რას ნიშნავს? ხვალ? ხვალ არ შემოვიშვებთ. ახლავე  
წადით აქედან!

— ხვალ მანამდე ვაწკარუნებთ ზარს, სანამ კარს არ გაგვიღებთ.  
ფანჯრებზე ბრახუნს ავტეხავთ, ფეხებით კარს ჩამოგიმტვრევთ და ყვე-  
ლას მოვუყვებით, რას უშვრებოდით კურდღლისტუჩას.

— მე არაფერი მიქნია კურდღლისტუჩასთვის... ისიც კი არ ვიცი,  
ვინ არის. ყველაფერს იგონებს. ვინ ირწმუნებს, სულელი, გიჟი ბავშვის  
მონაჩმასს! თქვენც არავინ არ დაგიჯერებთ. რასაც ამბობთ, ტყუილია  
ყველაფერი.

ჩვენ ვეუბნებით:

— არ აქვს მნიშვნელობა, ტყუილია თუ მართალი. მთავარი ისაა,  
რომ ეს სკანდალია. ხალხს კი უყვარს სკანდალი...

მღვდელი სკამზე ჯდება და სახეს ცხვირსახოციით იწმენდს.

— ეს საშინელებაა. იცით კი, რა ჰქვია ამას, რასაც სჩადისართ?

— დიახ, ბატონო. ეს შანტაჟია.

— თქვენს ასაკში... რა სამწუხაროა!

— დიახ, ბატონო, სამწუხაროა, რომ იძულებულნი გავხდით ასეთი  
რამისთვის მიგვემართა, მაგრამ კურდღლისტუჩასა და დედამისისთვის  
აბსოლუტურად აუცილებელია ფული.

მღვდელი დგება, აიკრეფს თავის ოქრომკედლით ნაქარგ მოთეთრო  
სამოსელს და ამბობს:

— ეს ღვთისგან მოვლენილი გამოცდაა. უნდა შევურიგდე... რამ-  
დენი გინდათ? მე ხომ ძალიან მდიდარი არ ვარ.

— ათჯერ იმაზე მეტი, რაც ახლა მოგვეცით. კვირაში ერთხელ. შე-  
უძლებელს არაფერსა გთხოვთ.

მღვდელი ჯიბიდან ფულს იღებს და გვაძლევს.

— შაბათობით მოდით ხოლმე. ოღონდ არ იფიქროთ, რომ შანტაჟით დამიყოლიეთ! ამას მხოლოდ და მხოლოდ გულმონწყულების გამო ჩავდივარ.

ჩვენ ვეუბნებით:

— რალა თქმა უნდა, წმინდა მამაო. თქვენგან სხვას ვერ ველოდით. მოველოდით.



### ბ რ ა ლ დ ე ბ ა

ერთ საღამოს ჩვენთან სამზარეულოში შემოდის დენშჩიკი, რომელიც კარგა ხანს არ გვენახა და გვეუბნება:

— თქვენ წადით, უშველოთ მანქანის დაცლა.

ფეხზე ვიცვამთ და გავდივართ გარეთ. ჭიშკართან ყველგანმავალი მსუბუქი ჯიპი დგას. დენშჩიკი გვაწვდის ყუთებს და მუყაოს კოლოფებს, ჩვენ კი ოფიცრის ოთახში ვეზიდებით.

ჩვენ ვეკითხებით:

— რა, დღეს ოფიცერი ჩამოდის? ჩვენ ჯერ ის არ გვინახავს.

დენშჩიკი გვეუბნება:

— ოფიცერი ზამთარში აქ არ ჩამოვიდეს. იქნებ არასდროსაც. ის არ არის ბედნიერი სიყვარულში. შეიძლება მერე სხვა ნახოს. თქვენ დაივიწყოთ, არ მოისმინოთ — ასეთი ამბავი თქვენთვის არ არის. თქვენ ახლა შეშა მოიტანოთ ღუმელისათვის, ოთახი გათბეს.

ჩვენც მოგვაქვს შეშა, ვახურებთ პატარა თუნუქის ღუმელს. დენშჩიკი ხსნის ყუთებს და კოლოფებს, მაგიდაზე აწყობს ღვინითა და ლუდით სავსე ბოთლებს და ნაირ-ნაირ საჭმელს — ძეხვს, ხორცისა და ბოსტნეულის კონსერვებს, ბრინჯს, ნამცხვარს, შოკოლადს, შაქარს და ჯავას.

დენშჩიკი ბოთლს ხსნის, ღვინოს სვამს და გვეუბნება:

— მე ნავთქურაზე ქვაბში გააცხელო საჭმელი. დღეს არის ჭამა, სმა, მეგობრებთან სიმღერა, ჩვენ ვიზეიმოთ მტერზე გამარჯვება. მალე ჩვენ ომი მოიგოთ ახალი სასწაული იარაღით.

ჩვენ ვეკითხებით:

— ომი მალე დამთავრდება?

— ჰო, სულ მალე! რატომ თქვენ ასე უყუროთ საჭმელს ამ მაგიდაზე? თუ თქვენ მშვიდრები არის, თქვენ ჭამოთ შოკოლადი, ნამცხვარი, ძეხვი.

ჩვენ ვეუბნებით:

— ხალხი შიმშილით იხოცება.

— მერე რა? არ უნდა ამაზე ფიქრი, ბევრი ადამიანი შიმშილით და კიდევ სხვა რამით დაიხოცოს. არ უნდა ამაზე ფიქრი. ჩვენ ჭამოთ და არ დაიხოცოთ.

ის იცინის.

ჩვენ ვეუბნებით:

— ერთ ბრმა და ყრუ ქალს ვიცნობთ, რომელიც აქ ახლოს ცხოვრობს თავის ქალიშვილთან ერთად. ისინი ამ ზამთარს ვერ გადაიტანენ.

— ეს არ არის ჩემი ბრალი.

— არა, ეს თქვენი, თქვენი და თქვენი ქვეყნის ბრალია. თქვენ მოგვახვიეთ თავზე ომი.

— ომამდე ისინი როგორ იცხოვრონ, ეს ბრმა ქალი და ქალიშვილი?

— ომამდე ისინი მოწყალეებით ცხოვრობდნენ. ხალხს მშენებელ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს აძლევდა, საჭმელი მიჰქონდათ. ახლა ხალხს თვითონაც არაფერი აქვს. ყველა ღარიბია, ანდა უშინიათ გადატაკების. ომმა ისინი ძუნწებად და ეგოისტებად აქცია.

დენშჩიკი ყვირის:

— არ არის ჩემი საქმე! ჩემი სულ ერთია! გეყოფათ! გაჩუმდით!

— ჰო, თქვენთვის სულ ერთია, თქვენ კი ჩვენს საჭმელს ჭამთ.

— არ არის თქვენი საჭმელი! მე აიღო საჭმელი მაღაზიაში. ყაზარმაში!

— ყველაფერი, რაც მაგიდაზე აწყვია, ჩვენი ქვეყნისაა: სასმელები, კონსერვები, ნამცხვარი, შაქარი. ჩვენი ქვეყანა აჭმევს თქვენს არმიას.

დენშჩიკს სახე წამოუჭარხლდა, საწოლზე ჯდება და თავზე ხელებს შემოიწყობს.

— თქვენი ფიქრით, ომის მერე მე კიდევ უნდა თქვენი ჭუჭყიანი ქვეყანაში ჩამოსვლა? მე ძალიან უკეთესად ვარ სახლში. მე მინდა იცხოვრო წყნარად, აკეთო სკამები და მაგიდები! ჩემი ქვეყნიდან ღვინო დალიო. იმხიარულო გოგოებით! აქ ყველანი ბოროტია, თქვენ, ბავშვებიც კი! თქვენ ამბობთ, ეს არის ჩემი ბრალი! მე რა შეიძლება, რა გააკეთო? თუ მე ვამბობ — არ უნდა ომი, არ უნდა თქვენს ქვეყანაში წასვლა, მე პაფ, პაფ, დამხვრეტენ! წაიღოთ ყველაფერი, რაც ამ მაგიდაზეა. დღესასწაული მორჩა. მე მოწყენილი არის. თქვენ ჩემთან ძალიან ბოროტები ხართ.

ჩვენ ვეუბნებით:

— არ გვინდა ყველაფერი. მარტო რამდენიმე კონსერვს და ცოტა შოკოლადს ავიღებთ. მაგრამ შეგეძლოთ ჩვენთვის, სანამ ზამთარია, რძის ფხვნილი, ფქვილი და სხვა რალაც-რალაცები მოგეტანათ.

ის გვეუბნება:

— ეს მე შეუძლია. ხვალ თქვენ ჩემთან ერთად წამოხვიდეთ ბრმა ქალის სახლში. მაგრამ მერე ბოროტება არ იყოთ ჩემთან. კარგი?

— კარგი.

დენშჩიკი იცინის. მოდიან მისი ამხანაგები. ჩვენ გამოვდივართ. მთელი ღამე გვესმის მათი სიმღერა.

## მღვდლის მხე ქალი

ერთხელ, ზამთრის მიწურულს, ჩვენ და ბებია სამზარეულოში ვსხედვართ. გაისმის კარზე კაკუნი და შემოდის ახალგაზრდა ქალი.

— დილა მშვიდობისა, კარტოფილის საყიდლად მოვედი, — ამბობს ის. მერე უცებ ჩუმდება და ჩვენ შემოგვცქერის.

— ღმერთო, რა კარგები არიან!

ტაბურეტს მიიციურებს და ჯდება.

— მოდი ჩემთან! აი, შენ.

ჩვენ ადგილიდან არ ვიძვრით.

— ან შენ!

ჩვენ არც ახლა ვიცვლით ფეხს. ის იცინის.

— რა იყო? მოდით ჩემთან — გეშინიათ თუ რა?

— ჩვენ არავისი არ გვეშინია, — ვეუბნებით ჩვენ და ახლოს მივადივართ. ის ამბობს:

— ზეციურნო ძალნო, რა ლამაზები ხართ! მაგრამ რა ჭუჭყიანები! ბებია ეკითხება:

— რა გნებავდათ?

— მღვდლისათვის კარტოფილი. მაგრამ ასეთი ბინძურები რატომ ხართ, ბავშვებო? თქვენ რა, არასდროს არ იბანთ?

ბებია ჯაჯრობს:

— ეგ თქვენ არ გეკითხებათ. დედაბერი რატომ არ მოვიდა? ახალგაზრდა ქალი იცინის.

— დედაბერიო! ის თქვენზე ახალგაზრდა იყო. მაგრამ გუშინ მოკვდა. ჩემი დეიდა იყო. ახლა მის მაგივრად მე ვარ.

ბებია ეუბნება:

— ის ხუთი წლით ჩემზე უფროსი იყო. მაშ, მოკვდა?.. რამდენი გინდათ კარტოფილი?

— თუ გაქვთ, ათი კილო ან უფრო მეტი. ვაშლიც მინდა. სხვა კიდევ რა გაქვთ? მღვდელი ისეთი გამხდარია, ცეცხლის საჩხრეკელას ჰგავს, საკუჭნაო კი სულ გამოცარიელებულია.

ბებია ამბობს:

— მაგაზე შემოდგომაზე უნდა გეფიქრათ.

— შემოდგომაზე მე არა ვყოფილვარ. გუშინდელი დღიდან ვარ მასთან.

ბებია ეუბნება:

— იცოდეთ, ამ დროს საჭმელი ძვირია. ზამთრის მიწურულს მუდამ ასეა ხოლმე.

ახალგაზრდა ქალი ისევ იცინის.

— თქვენი ფასი მითხარით, ამოსარჩევად არ გვაქვს საქმე! დუქნებშიც თითქმის არაფერია.

— მალე სულ აღარაფერი იქნება...

ბებია ხითხითებს და გადის. ჩვენ მღვდლის მნესთან ვრჩებით.

ის გვეკითხება:

— რატომ არ იბანთ ხოლმე?

— არც აბაზანა გვაქვს და არც საბონი. რით ან სად დავიბანოთ?

— რასა ჰგავს თქვენი ტანსაცმელი! ჩამოძონძილი და ჭუჭყიანი. თქვენ რა, მეტი არაფერი გაბადიათ?

— ტანსაცმელი ჩემოდნებშიც გვაქვს, მაგრამ ისიც ჭუჭყიანი და დახეულია. ბებია არ გვირეცხავს.

— კუდიანი თქვენი ბებიაა? უყურე შენ!

ბებია ბრუნდება. მოაქვს ორი ტომარა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— სულ ათი ვერცხლის ან ერთი ოქროს მონეტა უნდა. ქაღალდის ფულს არ ვღებულობ. მალე სულ გაუფასურდება.

მნე ეკითხება:

— რა არის ტომრებში?

ბებია ეუბნება:

— საჭმელი. გინდა — წაიღე, გინდა — არა.

— მიმაქვს, მიმაქვს. ფულს ხვალ მოგიტანთ. ბიჭები ხომ არ მომეხმარებიან ტომრების წაღებაში?

— თუ მოეპრიანათ, წაგაღებინებენ, შეიძლება არც მოეპრიანოთ — ეგენი ყურს არავის უგდებენ.

მნე გვეკითხება:

— ხომ მომეხმარებით? თითო ტომარა თქვენ წამოიღეთ. მე კა თქვენს ჩემოდნებს წამოვიღებ.

— ჩემოდნები რაღა შუაშია? — ეკითხება ბებია.

— ბიჭებს ტანსაცმელს გავურეცხავ და ხვალ ფულთან ერთად მოვიტან.

ბებია იცინის:

— ტანსაცმელს გავურეცხავ? მეტი საქმე თუ არა გაქვს...

სახლიდან მნესთან ერთად გამოვდივართ და ტომრები მღვდლის სახლში მიგვაქვს. მნეს ორი გრძელი ქერა ნაწნავი აქვს, ისინი მბრებს — ზე მოხურულ შავ შალზე ირხევთან. ნაწნავები წელამდე სწვდება. ქალს წითელი ქვედაკაბა აცვია და თეძოების რხევით მიდის. ქვედაკაბიდან შავწინდებიანი ფეხები მოუჩანს. მარჯვენა წინდაზე თვალი აქვს ჩარღვეული.

## ბ ა ნ ა ო ბ ა

მივედით მღვდლის სახლში. მნეს უკანა კარიდან შევყავართ, ტომრებს საკუჭნაოში ვაწყობთ და მნეს სამრეცხაოში მივყვებით. კედლიდან კედელზე თეთრეულისათვის თოკებია გაჭიმული. ირგვლივ ნაირ-ნაირი ავზები და როფები აწყვია, აქვეა უცნაური ფორმის თუთიის აბაზანა იგი ღრმა სავარძელსა ჰგავს.

მნე აღებს ჩვენს ჩემოდნებს. ტანსაცმელს ცივ წყალში ალბობს. მერე ორი ვეება ქვაბის ქვეშ ცეცხლს ანთებს და გვეუბნება:

— რაც ახლა უნდა ჩაიცვათ, ახლავე გავრეცხავ, სანამ დაიბანთ, ყველაფერი გაშრება. დანარჩენს ხვალ მოგიტანთ — სულ ერთია, მაინც დასაკერებელი და დასაკემსია.

ქალი აბაზანაში ცხელს წყალს ასხამს, მერე ცივს უმატებს.

— აბა, პირველი რომელი დაიბანს?

ჩვენ არ ვინძრევით.

— ჰა, რომელი-მეთქი, შენ თუ შენ? მიდით, გაიხადეთ!

ჩვენ ვეკითხებით:

— თქვენ რა, არ წახვალთ, სანამ ჩვენ ვიბანავებთ?

ქალი ხმამაღლა იცინის:

— რაო? რა თქმა უნდა, არ წავალ! მე თავი და ზურგი უნდა დაგ-  
ბანოთ, ჩემი ხომ არ გრცხვენიათ, პა? მე, შეიძლება ითქვას, დედად  
გერგებით!

ჩვენ ადგილიდან მაინც არ ვიძვრით. მაშინ ის თვითონ ეხდის.

— კეთილი. მაშინ პირველი მე დავიბან. ხელდასრულებული არ  
მრცხვენია! თქვენ ჯერ პატარები ხართ.

ის თავისთვის რალაცას ღიღინებს, მაგრამ წითლდება, როცა დაგ-  
ვინახავს, რომ ვუყურებთ. მას წვეტიანთავეებიანი, დატიკნილი ძუძუე-  
ბი აქვს, ისეთი, როგორიც ბოლომდე გაუბერავი საპაერო ბუშტებია. კა-  
ნი ძალიან თეთრი აქვს, დაფარული უამრავი თეთრი ბუსუსით, თმა  
მარტო ფეხებშია და იღლიებში კი არა, მუცელზე და ბარძაყებზეც  
აქვს. ის განაგრძობს სიმღერას, თან ისაპნება. მერე ქაფს ჩამოიბანს,  
აბაზანიდან ამოდის და სწრაფად იხურავს საბანაო ხალათს, მერე აბაზა-  
ნაში წყალს ცვლის და ჩვენგან ზურგშექცეული იწყებს რეცხვას. მაშინ  
ჩვენ ვიხდით და ორივე ერთად ჩავდივართ აბაზანაში, ადგილი ორივეს-  
თვის სრულიად საკმარისია.

რამდენიმე ხნის მერე გვაწვდის ორ თეთრ ზეწარს:

— იმედია, ჭუჭყი კარგად გაიცილეთ!

ჩვენ ზეწარებში გახვეულები ვსხდებით მერხზე და ვუცდით ჩვენი  
ტანსაცმლის გაშრობას. სამრეცხაო ორთქლითაა სავსე. ძალიან თბილა,  
მნე მოდის და მოაქვს მაკრატელი:

— ახლა ფრჩხილებს დაგაჭრით. და გეყოფათ სისულელე — არ  
შეგჭამთ!

გვაჭრის ფრჩხილებს ხელებზეც და ფეხებზეც. მერე გვკრეჭავს  
თმას. გვიკოცნის სახეს, ყელს და გაუჩერებლად ლაპარაკობს:

— აჰ, რა მშვენიერი, რა ლამაზი და სუფთა ფეხები გაქვთ! რა კო-  
ხტა ყურები, როგორი ყირმიზი ყელი! აჰ, როგორ მინდა, მეც მყავდეს  
თქვენისთანა ორი საყვარელი, ლამაზი ვაჟიშვილი, ორი საყვარელი ბი-  
ჭი! მე მათ მოვეფერებოდი და შევუღლიტინებდი აი, ასე, აი, ასე!

ის ხელს გვისვამს და გვიკოცნის მთელ ტანზე. ყელზე, იღლიებში  
და დუნდულებშია ენით გვიღიტიტინებს. მერე ჩვენ შუა ჯდება, გვეხვევა  
და მაგრად გვისუტებს.

— ორი თქვენნაირი ბიჭი რომ მყავდეს, ძუძუს მოვაწოვებდი აი,  
ასე, აი, ასე!

და გვიკრავს მოშიშვლებულ ძუძუებზე. ჩვენც ვწოვთ ძუძუების  
ვარდისფერ, ძალზე გამაგრებულ თავებს...

— აჰ, ცოტა დიდები რომ იყოთ!.. რა კარგია თქვენთან თამაში!..

ის ხვნეშის, თითქოს სული ეხუთებაო, მერე კი უცებ გაუნძრევლად  
ქვავდება.

წასასვლელად რომ გავემზადეთ, გვეუბნება:

— მოდით და ყოველ შაბათს იბანავეთ. ჭუჭყიანი ტანსაცმელიც  
მოიტანეთ. მინდა, მუდამ სუფთები იყვეთ.

ჩვენ ვეუბნებით:

— ოღონდ, თქვენი შრომის სანაცვლოდ ჩვენ შეშას მოგიტანთ,  
ზაფხულობით კი — სოკოსა და თევზს.

## მღვდელი

მომდევნო შაბათს კვლავ მივდივართ დასაბანად. დაბანვის შემდეგ მნე ქალი გვეუბნება:

— წამოდით სამზარეულოში, კარაქიან პურს გაჭმევთ, ჩაის დაავალევენებთ...

კარაქიან პურს რომ ვჭამთ, შემოდის მღვდელი.

ჩვენ ვეუბნებით:

— დილა მშვიდობისა, ბატონო.

მნე ამბობს:

— წმინდა მამაო, ამ ბავშვებს ვმეურვეობ. კუდიანს რომ ეძახიან, იმ მოხუცი ქალის შვილიშვილები არიან.

მღვდელი ამბობს:

— დიას, ვიცი. გამოძყევით თან.

ჩვენ უკან მივყვებით. გავივლით ცარიელ ოთახს, სადაც მხოლოდ სკამებზემონწყობილი მრგვალი მაგიდა დგას, კედელზე კი ჯვარცმაა, მეორე შევდივართ იატაკიდან ჭერამდე წიგნებით სავსე საკმაოდ ბნელ ოთახში, კარის პირდაპირ — სახატეში ჯვარცმაა, ფანჯარასთან მაგიდა დგას, კუთხეში — ვიწრო საწოლი, კედელთან სამი სკამია. სხვა ავეჯი არაფერია.

მღვდელი გვეუბნება:

— ძალიან შეცვლილხართ. დასუფთავებულხართ და პირდაპირ ანგელოზებს დამსგავსებხართ... დასხედით.

ის სკამებს მაგიდასთან გვიდგამს, ჩვენც ვსხდებით. თვითონ მაგიდის მეორე მხარეს ჯდება. იღებს კონვერტს და გვაწვდის:

— აიღეთ ფული.

კონვერტს ვართმევთ და ვეუბნებით:

— მალე შეიძლება ფული აღარც მისცეთ. ზაფხულში კურდღლისტუჩა თვითონ მიხედავს თავს.

მღვდელი გვეუბნება:

— არა, იმ ქალებს ზაფხულშიც დავეხმარები. მრცხვენია, აღრე ამას რომ არ ჩავდიოდით. ახლა კი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, კარგი? იგი შემოგვცქერის. ჩვენ ვდუმვართ. მღვდელი გვეუბნება:

— ეკლესიაში არასოდეს მინახიხართ.

— ჩვენ ეკლესიაში არ დავდივართ.

— როდისმე თუ ლოცულობთ?

— არა, ბატონო, არა ვლოცულობთ.

— საბრალო გზააბნეული კრავები. მე ვილოცებ თქვენთვის... კითხვა თუ მაინც იცით?

— დიას, ბატონო, ვიცი.

მღვდელი წიგნს გვაძლევს.

— აჰა, წაიკითხეთ. ამ წიგნში მშვენიერი მოთხრობებია იესო ქრისტესა და წმინდანებზე.

— ჩვენ ყველაფერი ეს ვიცი, ბატონო. ბიბლია გვაქვს, და ძველი აღთქმაც და ახალი აღთქმაც უკვე წავიკითხეთ.



მღვდელი შავ წარბებს მაღლა სწევს.

— რაო, თქვენ მთელი საღვთო წერილი წავიკითხავთ?

— დიახ, ბატონო, ზოგიერთი თავი ზეპირადაც ვიცით.

— რომელი, მაგალითად?

— რამდენიმე თავი დაბადებიდან, გამოსვლიდან, ექვსწიქისასტედან, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებიდან და ხხეუბნიდან.

მღვდელი ერთხანს ჩუმად ზის, მერე გვეუბნება:

— თქვენ აბა ათი მცნებაც გეცოდინებათ, იცავთ კი მას?

— არა, ბატონო, არ ვიცავთ. და არც არავინ იცავს. ნათქვამია, „არა კაც კლავ“, მაგრამ ყველა მარტო იმას ცდილობს, რომ მოკლას.

მღვდელი გვეუბნება:

— რას იზამ, ომია...

ჩვენ ვეუბნებით:

— ჩვენ გვინდა, ბიბლიის გარდა სხვა წიგნებიც წავიკითხოთ, მაგრამ სხვა წიგნები არა გვაქვს. თქვენ კი ბევრი წიგნი გაქვთ. იქნებ წასაკითხად მოგვცეთ ხოლმე.

— ეს წიგნები თქვენთვის ძალიან რთული იქნება.

— ბიბლიაზე უფრო რთული?

მღვდელი ერთხანს დაშტერებით გვიყურებს, მერე გვეკითხება:

— როგორი წიგნების წაკითხვა გსურთ?

— ისტორიასა და გეოგრაფიაზე დაწერილი წიგნებისა. მოგონილ კი არა, ნამდვილ ამბებზე დაწერილი წიგნებისა.

მღვდელი გვეუბნება:

— მომაგალი შაბათისათვის შეგირჩევთ შესაფერის წიგნებს. ახლა კი დამტოვეთ. წადით სამხარეულოში და დაამთავრეთ ჩაის სმა...

### მნე და დენშჩიკი

მნესთან ერთად ბაღში ალუბალს ვკრეფთ, ამ დროს ჯიპით დენშჩიკი და უცხოელი ოფიცერი მოდიან. ოფიცერი ახლოს ჩავვივლის და თავის ოთახში შედის, დენშჩიკი კი ჩერდება და გვეუბნება:

— დილა მშვიდობისა, პატარა მეგობრებო, დილა მშვიდობისა, ლამაზო! ალუბალი არის მწიფე უკვე? მე ძალიან უყვარს ალუბალი, მე ძალიან უყვარს ახალგაზრდა, ლამაზი ქალი!

ოფიცერი დენშჩიკს ეძახის, დენშჩიკი მიდის, მნე გვეუბნება:

— რატომ არ მითხარით, რომ თქვენს სახლში კაცები ცხოვრობენ?

— ისინი ხომ უცხოელები არიან?

— მერე რა? ოფიცერი ძალზე ლამაზია...

ჩვენ ვეკითხებით:

— დენშჩიკი? ეტყობა, არ მოგეწონათ, ხომ?

— ის მსუქანი და დაგვაჯულია.

— სამაგიეროდ ცუდი კაცი არ არის. მხიარულიცაა. თანაც ჩვენ-ბურად კარგად ლაპარაკობს.

ქალი გვეუბნება:

— ეგ ჩემთვის სულ ერთია. მე ოფიცერი მომწონს.

ოფიცერი სახლიდან გამოდის და ფანჯარასთან მერხზე ჯდება.

მნეს კალათა უკვე სავსე აქვს, შეუძლია მღვდლის სახლში დაბრუნდეს, მაგრამ არ მიდის. ოფიცერს უყურებს და ხმაძალდა კისკისებს. ხის ტოტს ეკიდება, ქანაობს, ძირს ხტება და ბალახებში ეცემა. მერე წყვეტს გვირილას და ოფიცერს ფეხებთან ესვრის. ოფიცერი დგება და ოთახში შედის. სულ მალე გამოდის, ჯდება ჯიბში და მიდის.

ფანჯრიდან თავს ყოფს დენშიკი და ყვირის:

— ვინ შეუძლია დაეხმაროს საცოდავი კაცს, დააღაგოს ძალიან ჭუჭყიანმა ოთახი...

— ჩვენ შეგვიძლია, — ვბასუხობთ ჩვენ.

ის ამბობს:

— ქალმაა საჭირო დახმარებისთვის. საჭიროა ახალგაზრდა ლამაზმა ქალმა.

— წავიდეთ, მივებმართო, — ვეუბნებით მნეს.

სამივენი შევდივართ ოფიცრის ოთახში. მნე იღებს ცოცხს და იწყებს გვას. დენშიკი ჯდება საწოლზე და ამბობს:

— მე დაიძინო. სიზმარში პრინცესა ნახო. პრინცესა უნდა მე მიჩქმიტოს, რო გაიღვიძო.

მნე ხარხარებს და დენშიკს მაგრად ჩქმეტს ლოყაზე.

დენშიკი ყვირის:

— ახლა მე გაიღვიძო! ახლა მეც მინდა უჩქმიტო ბოროტი პრინცესა!

ის ხელს სტაცებს მნეს და უკანალზე ჩქმეტს. მნე ცდილობს გაეშვას, მაგრამ დენშიკს მაგრად ჩაუბლუჯავს.

— თქვენ ქუჩაში! და კარი დაკეტეთ! — ვეუბნება დენშიკი.

— დავრჩეთ? — ვეკითხებით მნეს.

ის იცინის:

— რატომ? შემიძლია თვითონვე ვიზრუნო საკუთარ თავზე.

ჩვენც გამოვდივართ და ვხურავთ კარს. მნე ფანჯარასთან მოდის, გვიცინის, დარაბებს კეტავს და ფარდებს აფარებს. ჩვენ სხვენზე ავდივართ და იატაკის ნახვრეტიდან ვუთვალთვალებთ, რა ხდება ოფიცრის ოთახში...

დენშიკი და მნე საწოლში წვანან. მნე სულ შიშველია, დენშიკს მარტო პერანგი და წინდები აცვია. ის მნეს რემოდან დასწოლია... და ზევით-ქვევით ქანაობენ... დენშიკი ბებიას ღორივით ხროტინებს... მნე კი თან თითქოს ტკივილისგან კივის, მაგრამ თან იცინის...


ამ დღიდან მოკიდებული მნე ხშირად მოდის დენშიკთან და ოთახში იკეტებიან. ჩვენ ყოველთვის არა, მაგრამ ხანდახან მაინც ვუთვალთვალებთ...

დენშიკს ყველაზე ძალიან უყვარს, როცა მნე ოთახზე დგება, მაშინ დენშიკი უკანიდან მოექცევა ხოლმე.

მნეს კი ყველაზე მეტად მოსწონს, როცა დენშიკი გულაღმა წევს. მაშინ მნე მუცელზე აჯდება და ისე ხტუნაობს, თითქოს ცხენზე ზისო.

დენშიკი მნეს ხანდახან აბრეშუმის წინდებსა და ოდეკოლონს ჩუქნის.

უცხოელი ოფიცერი



ბაღში გაუნძრევლობის ვარჯიშებს ვასრულებთ. ძალიან თბილა, ცაკლის ჩრდილში გულაღმა ვწევართ. ფოთლებს შორის ღრუბლებსა და ცას ვუყურებთ. ხეზე ფოთოლიც კი არ ირხევა. ღრუბლებიც უმოძრაო-ხი გევლიან. მაგრამ დიდხანს თუ უყურებ, შეიძლება დაინახო, როგორ იცვლიან ფორმას და ნელ-ნელა როგორ მოძრაობენ.

ბებია სახლიდან გამოდის. გვერდზე რომ ჩაგვივლის, მიწას ფეხს ასე წაჰკრავს, სახეში სილა და კენჭები გვეყრება. ის ცხვირში რალაცას დუდღუნებს და ვენახში მიდის თავის სიესტაზე.

ოფიცერი ფანჯარასთან მერხზე ზის. წელამდე შიშველია. ზის მზის გულზე, შეთეთრებულ კედელს მიყრდნობილს თვალები დაუხუჭავს. უეცრად დგება და მოდის ჩვენთან. რალაცას გვეუბნება, მაგრამ ჩვენ არ ვპასუხობთ. ზედაც არ ვუყურებთ. ის თავის მერხთან ბრუნდება.

ცოტა ხნის მერე დენშჩიკი გვეუბნება:

— ოფიცერი უნდა, მასთან მიხვიდეთ და ილაპარაკოთ.

ჩვენ არ ვპასუხობთ. ის გვიმეორებს:

— თქვენ ადექით, წადით, თუ არ გაიგონოთ, ოფიცერი ბრაზიანი იქნება,

ჩვენ არ ვინძრევით.

ოფიცერი რალაცას ეუბნება. დენშჩიკი შინ შედის. გვესმის როგორ მღერის ოთახის დალაგებისას.

მზე სახურავზე საკვამურს რომ მიადგება, ჩვენ ვდგებით. მივდივართ ოფიცერთან და წინ ვუდგებით. ის დენშჩიკს ეძახის. დენშჩიკს ვეკითხებით:

— რა უნდა?

ოფიცერი რალაცას ეკითხება; დენშჩიკი გვითარგმნის.

— ოფიცერი კითხულობს, რატომ თქვენ არ გაინძერით, რატომ ხართ გაჩუმებულები?

ჩვენ ვეუბნებით:

— ეს ჩვენი გაუნძრევლობის ვარჯიში იყო.

დენშჩიკი კვლავ გვითარგმნის:

— ოფიცერი თქვა, თქვენ ორნი აკეთოთ ბევრი ვარჯიშები, სხვა ბევრი ვარჯიშიც. ის დაინახოს, როგორ ცემოთ ქამრით თქვენ ერთმანეთი.

— ეს ტკივილის ატანის ვარჯიში იყო.

— ოფიცერმა კითხულობს, რატომ თქვენ ეს ყველაფერი აკეთოთ?

— იმიტომ, რომ ტკივილს შევეჩვიოთ.

— ის კითხულობს, თქვენთვის ტკივილისაგან სიამოვნება არის?

— არა. ჩვენ მარტო ის გვინდა, რომ შეგვეძლოს ტკივილის, სიცხის, სიცივის, შიმშილის ატანა, — ყველაფრის ატანა, რაც ტანჯვას მოგვაყენებს.

— ოფიცერი არის აღფრთოვანებული. ის ფიქრობს, თქვენ ხართ არაჩვეულებრივი.

ოფიცერი რალაცას უმატებს. დენშჩიკი გვეუბნება:

— კარგი. სულ ესაა. ეხლა მე უნდა წავიდე. თქვენც წახვედით. თევზი დაიჭიროთ.

მაგრამ ოფიცერი ხელით გვაჩერებს, იცინის, დენშჩიკს კრანინებს, წადიო.

დენშჩიკი მიდის, მერე უკან იხედება:

— თქვენ წადით, ჩქარა, ქალაქში წადით სეირნობისთვის. ოფიცერი დენშჩიკს უყურებს, დენშჩიკი ჭიშკრისკენ მიდის, ჭიშკრიდან ხელახლა გვიყვირის:

— შორს წადით! არ დარჩეთ! არ გაიგონეთ, სულელებო?!

ბოლოს დენშჩიკი მიდის. ოფიცერი გვიცინის, მერე ოთახში შევყავართ. ჯდება სკამზე და მუხლებზე გვისვამს. ჩვენ ყელზე ვეხვევით, გაბანჯგვლულ მკერდზე ვეკვრებით, ის მუხლებზე გვაქანავებს.

მერე ვგრძნობთ, ჩვენს ქვეშ, ოფიცრის ფეხებშია თითქოს რაღაც მოძრაობსო. ჩვენ ჯერ ერთმანეთს ვუყურებთ, მერე ოფიცერს ვაშტერდებით თვალებში. ის მსუბუქად გვიბიძგებს მუხლებიდან, თმას გვიჩეჩავს და დგება. მერე გვაძლევს ორ მათრახს, პირქვე წვება და წარმოთქვამს ერთადერთ სიტყვას, და თუმცა მისი ენა არ ვიცით, ვხვდებით, რასაც გვეუბნება.

ჩვენ ჯერჯერით ვურტყამთ.

ოფიცერს ზურგზე წითელი ზოლები აჩნდება. ჩვენ სულ უფრო ძლიერად და გამეტებით ვურტყამთ მათრახს. ოფიცერი კვენესის და პოზის შეუცვლელად გალიფესა და საცვალს კოჭებამდე იწევს. ჩვენც ვუცხუნებთ დუნდულებზე, ბარძაყებზე, კანჭებზე, ბეჭებზე, მხრებზე, კისერზე, ვუზაპუნებთ, რაც ძალი და ღონე გვაქვს. მალე მას მთელი ტანი უწითლდება.

ოფიცრის სხეული, მისი თმა, ტანსაცმელი, ზეწარი, ფეხსაწმენდი; ჩვენი ხელები — ყველაფერი წითლად იღებება. სისხლი თვალებშიც კი გვეწუწუება და ჩვენს ოფლს უერთდება. მაგრამ მაინც ვუშხივლებთ და ვუშხივლებთ, სანამ ოფიცერი არ გამოსცემს უკანასკნელ, უკვე არაადამიანურ ყვირილს, მაშინ ჩვენც უღონოდ ვეცემით ძირს, საწოლის ფეხებთან.

## უცხო ენა

ოფიცერს ჩვენთვის მოაქვს ლექსიკონი, რომლითაც შეგვიძლია ვისწავლოთ მისი ენა. ჩვენ ვსწავლობთ სიტყვებს, დენშჩიკი გამოთქმებს გვისწორებს. რამდენიმე კვირის შემდეგ უკვე გამართულად ვლაპარაკობთ ახალ ენაზე. დენშჩიკს აღარ უწევს თარგმნა. ოფიცერი ჩვენი ძალიან კმაყოფილია. იგი ტუჩის გარმონს გვიჩუქნის, გვაძლევს თავისი ოთახის გასაღებს, რათა როცა მოგვესურება, შევიდეთ (ჩვენ ადრეც შევდიოდით მის ოთახში ჩვენი გასაღებით, მაგრამ შევდიოდით ჩუმად). ახლა დამალვა აღარ გვჭირდება. შეგვიძლია, რაც გვინდა, ის ვაკეთოთ: ვჭამოთ ნამცხვარი და შოკოლადი, მოვწიოთ პაპიროსი.

ოფიცრის ოთახში ხშირად შევდივართ, იმიტომ რომ იქ უფრო სისუფთავეა და გაცილებით სიმშვიდეა, ვიდრე სამზარეულოში. ახლა უკვე სულ ოფიცრის ოთახში ვმეცადინებთ.

ოფიცერს აქვს გრამოფონი და ფირფიტები. მუსიკას საწოლზე წამოგორებულები ვუსმენთ. ერთხელ, ოფიცრისათვის ვიღაცე ვეყვანივით, მისი ქვეყნის ჰიმნი დაფუკარით, მაგრამ ოფიცერი გაბრაზდა და ფირფიტა მუშტით ნამსხვრევებად აქცია.

ხანდახან საწოლზე გვიძინავს კიდეც — საწოლი ძალზე განიერია. ერთ დილას დენშჩიკმა საწოლში შემოგვისწრო, ეს მას ძალზე არ მოეწონა.

— თქვენ ძალიან გაუფრთხილებელი არის! ასეთი სულელური რამეები აღარ ჩაიდინოთ, რა იქნება ღამე ოფიცერი რომ მოვიდეს?

— არაფერიც არ იქნება. საწოლი განიერია და ადგილი ყველას გვეყოფა...

დენშჩიკი გვეუბნება:

— თქვენ არის ძალიან სულელები. ერთხელ ამ სისულელეების გამო დაისჯებით. მაგრამ თუ ოფიცერი თქვენ გაწყენინოთ, მე იმას მოვკლავ.

— ნუ გეშინია, არ გვაწყენინებს.

ერთ ღამეს ოფიცერი ბრუნდება შინ და ხედავს, მის საწოლში ვწევართ. ჩვენ ღამის შუქზე გვეღვიძება და ვეკითხებით:

— წავიდეთ სამზარეულოში?

ოფიცერი თმას გვიჩეჩავს და გვეუბნება:

— დარჩით, აქ დარჩით...

ის იხდის და ჩვენ შუა წვება, გვეხვევა და გვეჩურჩულება:

— დაიძინეთ. მე თქვენ მიყვარხართ. ტკბილ ძილს გისურვებთ.

ჩვენ ვიძინებთ. გათენებისას გვეღვიძება და გამოსვლას ვაპირებთ, მაგრამ ოფიცერი არ გვიშვებს:

— ნუ ადგებით, დაიძინეთ.

— გარეთ გასვლა გვინდა, გვეფსია.

— ნუ წახვალთ, აქა ქენით.

ჩვენ ვეკითხებით:

— სად აქ?

ის გვპასუხობს:

— ზედ დამაფსით, ნუ გეშინიათ, ზედ სახეზე დამაფსით!

ჩვენც ვუსრულებთ თხოვნას, მერე კი ბაღში გამოვდივართ, რადგან ლოგინი სულ დასველდა. ამასობაში მზე ამოიწვერა და ჩვენც შევუდექით ჩვენს დილის სამუშაოს.

### ოფიცრის მეგობარი

ხანდახან ოფიცერს სახლში თავისი მეგობარი, ახალგაზრდა ოფიცერი მოჰყავს. ისინი მთელ საღამოს ერთად ატარებენ, მერე კი ოფიცრის მეგობარი ღამითაც რჩება ხოლმე. ხანდახან მათ სხვენის ნახვრეტიდან ვუთვალთვალავთ.

ზაფხულის საღამოა. დენშიჩიკი ნავთქურაზე რაღაცას ამზადებს. მაგიდას სუფრას აფარებს და დგამს ყვავილებს. მერე ოფიცერი და მისი მეგობარი სხდებიან მაგიდასთან, სვამენ და ჭამენ. დენშიჩიკი კართან მდგარ ტაბურეტზე ზის და იქ ვახშობს. ოფიცრები სმას ყველაფერს. ჩვენ მუსიკას ვუკრავთ. ვცვლით ფირფიტებსა და გრამოფონს. ლურს ვატრიალებთ.

ოფიცრის მეგობარი ამბობს:

— ეს ბავშვები მაღიზიანებენ. გაუშვი გარეთ.

ოფიცერი ეკითხება:

— შენ რა, ეჭვიანობ?

ოფიცრის მეგობარი პასუხობს:

— ვისზე, ამათზე? სისულელეს ნუ ლაპარაკობ! ამ ორ პატარა ბარბაროსზე?..

— ლამაზები კი არიან, არა?

— შეიძლება, კარგად არ შემიხედავს.

— საქმეც ეგ არის, რომ კარგად არ შეგიხედავს. აბა, შეხედე!

ოფიცრის მეგობარი წითლდება.

— რის თქმა გინდა? ისინი თავიანთი გაფაციცებული მხერით მაღიზიანებენ, თითქოს გვისმენენ და გვითვალთვალებენ.

— სწორედაც რომ გვისმენენ. ეგენი მშვენივრად ლაპარაკობენ ჩვენს ენაზე და ყველაფერი ესმით.

ოფიცრის მეგობარი ფითრდება და მაგიდიდან დგება.

— იცი რა, ყველაფერს საზღვარი აქვს. ახლავე მივდივარ!

ჩვენი ოფიცერი ეუბნება:

— ნუ სულელობ. თქვენ კი, ბავშვებო, წადით!

ჩვენ გამოვდივართ და ავდივართ სხვენზე, ნახვრეტში ვიყურებით და ყურს ვუგდებთ.

ოფიცრის მეგობარი ამბობს:

— შენ მე იდიოტურ მდგომარეობაში ჩამაყენე ამ პატარა დებილების წინაშე.

— დებილები კი არა, ისეთი ჭკვიანი ბავშვები ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს, — პასუხობს ჩვენი ოფიცერი.

მეგობარი ეუბნება:

— ამას შენ განგებ ამბობ, უფრო მეტად რომ შეურაცხყო. შენ ყველაფერს აკეთებ ჩემს დასამცირებლად და გასამწარებლად. იცოდე, ერთხელაც იქნება, მოგკლავ!

ჩვენი ოფიცერი თავის რევოლვერს უგდებს:

— აბა, დაიჭი, მიდი, მომკალი!

მეგობარი რევოლვერს ხელს სტაცებს და ოფიცერს უმიზნებს.

— მოგკლავ კიდევ. აი, ნახე თუ არა. თუ ერთხელ მაინც კიდევ გიხსენებია ის, მეორე, მოგკლავ-მეთქი.

ოფიცერი თვალებს ხუჭავს და ოცნებათორეული ილიძება:

— დიახ, ის იყო ლამაზი... ახალგაზრდა... ძლიერი... მოხდენილი... ახოვანი... სათუთი... ისეთი დახვეწილი, ისეთი მეოცნებე, გულადი... ლაღი... მე ის მიყვარდა. ის აღმოსავლეთის ფრონტზე დაიღუპა, და იყო მხოლოდ ცხრამეტი წლისა! უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია...

ოფიცრის მეგობარი მაგიდაზე აგდებს რევოლვერს და ყვირის:  
— ღორო!

ოფიცერი თვალს ახელს და თავის მეგობარს უყურებს.

— შენ კი ღვთის გლახა და ლაჩარი ხარ!

მეგობარი ეუბნება:

— შენ კი, თუ ასეთი მამაკაცი ხარ, თვითონვე შოიკლავდი თავს, რაკი მაინც დარდისგან კვდები. არ შეგიძლია უიმისოდ სიცოცხლე? მაშინ შენც თან გაჰყევი. თუ გინდა, რომ მე მოგეხმარო? ვერ მოვართვი, ჯერ არ გავგიჟებულვარ! გინდა სიკვდილი? დაე, მარტოს ამოგხდეს სული.

მაშინ ოფიცერი იღებს რევოლვერს და ლულას საფეთქელზე იდებს. ჩვენ სხვენიდან ჩამოვდივართ. დენშიკი ღია კართან ზის. ჩვენ ვეკითხებით:

— რა? მართლა უნდა ოფიცერს თავის მოკვლა?

დენშიკი იცინის:

— ნუ გეშინიათ. ისინი სულ ასე აკეთონ, როცა ძალიან ბევრი დალიონ. მე ადრე მაგათი რევოლვერები დავცალე.

ჩვენ ოთახში შევდივართ და ოფიცერს ვეუბნებით:

— თუ გინდათ, ჩვენ შეგვიძლია მოგკლათ, მოგვეცით თქვენი რევოლვერი.

ოფიცრის მეგობარი ამბობს:

— ხედავ ამ პატარა ნაძირალებს!..

ოფიცერი იღიმება და გვეუბნება:

— გმადლობთ. ეს თქვენის მხრივ დიდი თავაზიანობაა, მაგრამ ჩვენ ვხუმრობდით. წადით, დაიძინეთ.

ჩვენ გამოვდივართ. ის კარის მისახურად რომ დგება, დენშიკს დაინახავს...

— შენ ისევ აქ ხარ?

დენშიკი პასუხობს:

— თქვენ არ გაგიშვივართ.

— მომწყდით თავიდან! მინდა ყველამ მომასვენოთ! გასაგებია?

ოთახიდან აღწევს ოფიცრის ხმა:

— ეს შენთვის გაკვეთილი უნდა იყოს, შე უბადრუკო მხდალო!

მერე გვესმის ჩხუბი და დარტყმები, გადაბრუნებული სკამების ბრახუნი, დაცემის ხმა და მძიმე სუნთქვა. ბოლოს ყველაფერი წყნარდება.

### ჩვენი პირველი წარმოდგენა

მნე ქალი ხშირად მღერის, მღერის ძველ პოპულარულ სიმღერებს და ახალ სიმღერებსაც ომზე. ჩვენ ვუსმენთ ამ სიმღერებს და მათ მელოდიას ტუჩის გარმონზე ვაწყობთ. დენშიკსაც ვთხოვთ, გვასწავლოს მისი ქვეყნის სიმღერები.

ერთხელ, გვიან საღამოს, როცა ბებია დასაძინებლად წვება, ჩვენ ქალაქში მივდივართ და ვდგებით ციხესიმაგრის მახლობლად, ერთსარ-

თულიანი სახლის პირდაპირ. ღია კარს მიღმა კიბეა, კიბე ქვემოთ ჩადის. კარს შიგნიდან ლაპარაკი და ხმაური ისმის, თამბაქოს ბოლი ბოლქვ-ბოლქვად გამოდის. ჩვენ ქვის საფეხურებით ქვემოთ, სარდაფში ჩავდი-ვართ, სადაც კაფეა მოწყობილი. კაფე ხალხითაა სავსე — ზოგნი ფეხ-ზე დგანან, ზოგნი მერხებსა და კასრებზე სხედან. ყველა დღინოს უფამს. უმრავლესობა მოხუცია, მაგრამ ახალგაზრდებიც არიან, საქვეყნო საქმე-ლი. ჩვენ ყურადღებას არავინ გვაქცევს.

ერთ-ერთი ჩვენგანი იწყებს ტუჩის გარმონზე დაკვრას, მეორე კი მღერის ცნობილ სიმღერას ქმრის მომლოდინე ქალზე: ქმარი ომში წა-ვიდა და მალე დაბრუნდება გამარჯვებულიო.

კაფეში მყოფნი ნელ-ნელა ჩვენკენ იბრუნებენ პირს; ხმაური აღარ ისმის. ჩვენ სულ უფრო ხმამაღლა ვუკრავთ და ვმღერით, გვესმის, სა-რდაფის კამაროვან ჭერქვეშ როგორ ჟღერს ჩვენი სიმღერა — თით-ქოსდა ჩვენთან ერთად კიდევ ვილაცა მღერისო.

სიმღერას ვამთავრებთ და ვუყურებთ დაღლილ, უშინაარსო სა-ხეებს. ერთი ქალი იცინის და ტაშს გვიკრავს, ერთი ცალხელა სახეაქერ-ცლილი ახალგაზრდა კი გვთხოვს:

— კიდევ, კიდევ გვიმღერეთ რამე.

ჩვენ როლებს ვცვლით. ის, ვინც უკრავდა, მეორეს აძლევს ტუჩის გარმონს, და ახლა სხვა სიმღერას ვმღერით.

ვილაც გალეული კაცი ბარბაცით მოდის ჩვენთან და გვიყვირის:

— ხმა ჩაიკმინდეთ, ძაღლის ლეკვებო!

იგი ისე უხეშად გვიკრავს ხელს, რომ აქეთ-იქით მივფრინავთ. ძირს ვეცემით, იატაკზე გვივარდება ტუჩის გარმონი. გალეული კაცი კედელ-კედელ მიუყვება კიბეს და გვესმის უკვე ქუჩაში როგორ ღრიალებს: „გარუმდით, ყველამ ხმა ჩაიკმინდეთ!“...

ჩვენ ვიღებთ ტუჩის გარმონს და ვწმენდთ. ვილაც გვეუბნება:

— ის კაცი ყრუ არის...

— მართო ყრუ კი არა, არანორმალურიცაა. ნამდვილი გიჟია! — უმატებს მეორე.

მოხუცი კაცი თავზე ხელს გვისვამს. ღრმად ჩამჯდარი თვალები-დან ცრემლი მოსდის:

— ეჰ, წყეული ცხოვრება!.. საბრალო ბავშვები!.. საცოდავი ჩვე-ნი სამყარო!..

ერთ-ერთი ქალი ამბობს:

— ყრუ არანორმალურია, მაგრამ მაინც ხომ დაბრუნდა? აი, შენც დაბრუნდი...

ქალი ცალხელას მუხლებზე უჯდება. ცალხელა პასუხობს:

— მართალია, ლამაზო, დავბრუნდი. მაგრამ ახლა როგორ უნდა ვიმუშაო? ვთქვათ, ვხერხავ, ფიცარი რით უნდა დავიჭირო? ცარიელი სახელოთი?..

მეორე ყმაწვილი, მერხზე რომ ზის, ნაღვლიანად იცინის:

— აი, მეც დავბრუნდი, წელამდე კაცი ვარ, წელს ქვემოთ კი და-დამბლავებული. არც ფეხები მიმუშავენ და არც სხვა რამ. თანაც მე-უბნებიან, აღარაფერი გეშველებათ. ჰოდა, არა სჯობდა ომში ტყვიას მოვეკალი?..



მეორე ქალი ამბობს:

— კაცებს ვერაფერს გაუგებ. პოსპიტალში, სადაც ვმუშაობ, ყველა მომაკვდავისგან მართო ეს მესმის: დასახიჩრებას ვინ ჩივის, ოღონდ გადავრჩე, შინ დავბრუნდე; დედა და ცოლი ვნასო და ცოტა ხანს კიდევ ვიცოცხლო.

— ეი, შენ, მოკეტე, დედაკაცებმა ომისა რა იცინა!

ქალი პასუხობს:

— რა იცითო, ამბობ, უდღეურო პომოსექსუალისტო; ეს ჩვენ, ქალებს გადაგვაქვს საკუთარ მხრებზე ყველაფერი — სამუშაოც და საზრუნავიც. ბავშვებს ვინ ზრდის, ან თქვენ, დაჭრილებსა და დაჩეხილებს ვინ გივლით? აი, დამთავრდა ომი და თქვენ კაცები, ყველანი გმირებად იქცევით, მოკვდება — გმირიანო, გადარჩება — გმირიანო, ხეიბარიც გმირია. თქვენ, კაცებმა ამიტომაც მოიგონეთ ომი. ეს თქვენი ომია, თქვენ ვინდოდათ იგი — პოდა, ასლა ხულა წუწუნებთ.

ყველა კამათს და ყვირილს იწყებს. ჩვენ გვერდით მოხუცი იმეორებს:

— არავის არ უნდოდა ეს ომი, არავის.

სარდაფიდან გამოვდივართ და შინ ვბრუნდებით.

ქუჩები და ბებიას სახლისკენ მიმავალი მტვრიანი გზა კაშკაშა მთვარითაა განათებული.

### რეპერტუარს ვაფართოვებთ

ვსწავლობთ ხილით: ვაშლით, კაკლით და ატმით ჟონგლიორობას. ჯერ ორი ცალით — ეს იოლია; მერე სამით, ოთხით და ბოლოს ხუთით.

ვიგონებთ ფოკუსებს ბანქოთი და სიგარეტებით.

ვსწავლობთ აკრობატულ ნომრებს. შეგვიძლია ყირაზე გადასვლა, წინ და უკან სალტოს გაკეთება, კარგად დავდივართ ხელებით.

ვიცვამთ სხვენზე სკივრში ნაპოვნ ძალიან ძველსა და ძალიან დიდი ზომის ტანსაცმელს: ჩამოფლეთილ კუბოკრულ ქურთუკებს და ტომარასავით განიერ შარვლებს. შარვალზე თოკს ვიჭერთ. სკივრში ვიპოვეთ აგრეთვე მრგვალი, შავი ქვაბუნა ქუდი.

ერთ-ერთი ჩვენგანი ცხვირზე იმაგრებს ტკბილ წითელ წიწაკას, მეორე სიმინდის უღვაშს იწყებს. ვშოულობთ პომადას და პირს ყურე-ბამდე ვითხუპნით.

ვლოუნებივით გამოწყობილები მივდივართ ბაზარში. იქ უამრავი დახლია და ხალხიც ყოველთვის ბლომადაა.

ვიწყებთ წარმოდგენას, თავდაპირველად მთელი მონდომებით ვუკრავთ ტუჩის გარმონს და ვუბრაგუნებთ დოლს — დოლი ვეება გოგრისაგან გავაკეთეთ, კარგად გამოფხიკეთ და გავაშრეთ. მერე ხალხი რომ გროვდება, პამიდორებითა და ხანდახან კვერცხებითაც კი ვჟონგლიორობთ. პამიდორები ნამდვილია, კვერცხები კი არა — კვერცხის გულები გადავყლაპეთ და ნაჭუჭი სილით გამოვაფხეთ. ხალხმა ეს, ცხადია,

არ იცის და ტაშს გვიკრავს, როცა ისე ვაჩვენებთ თავს, თითქოსდა კვერცხი სადაცაა უნდა დაგვივარდესო და ბოლო წამშილა ვიჭერთ.

მერე ვაჩვენებთ ფოკუსებსა და აკრობატულ ნომრებს.

სანამ ერთ-ერთი ჩვენგანი ყირაზე გადადის და სალტოს აკეთებს, მეორე მაყურებელს ჩამოუვლის — იგი ხელებით დადის და პირით კი შლაპა უჭირავს.

სალამოთი ჩვენს საყოველღეო ტანსაცმელს ვიცვამთ და ქალაქის კაფეებს ჩამოგუვლით ხოლმე.

სულ მალე უკვე ზეპირად ვიცით ყველა კაფე, ყველა სარდაფი, სადაც პატრონები თავიანთ გაკეთებულ ღვინოს ჰყიდიან, ვიცით ყველა სამიკიტნო, სადაც ფენდგომელა სვამენ, ვიცით უკეთესი დაწესებულებებიც, სადაც კარგად ჩაცმული ხალხი და გოგოების მაძიებელი ოფიცრები დადიან.

ნასვამები ადვილად იმეტებენ ფულს, სიმთვრალეში ადვილადაც ენდობიან სხვებს, ამიტომ სულ მალე ვგებულობთ მავანთა და მავანთა ამბებს, ვიტყობთ მათ საიდუმლოებებსაც.

ხალხი ხშირად გვიმასპინძლდება, ხანდახან ღვინოზეც გვპატიჟებენ. ჩვენც ნელ-ნელა ვეჩვევით ალკოჰოლს, ვეწევით კიდევ — სიგარეტებსაც გვაძლევენ.

ჩვენი გამოსვლები ყველგან დიდი წარმატებით სარგებლობს. ჩვენი ხმებიც მოსწონთ, ტაშს მუდამ გვიკრავენ და ნომრების გამეორებას გვთხოვენ.

## თ ე ა ტ რ ი

ხანდახან, როცა მაყურებელი ყურადღებიანია, არ არის ძალიან მთვრალი და არ ხმაურობს, ვუჩვენებთ ჩვენ მიერ მოგონილ რომელიმე პატარა პიესას. მაგალითად, „მდიდარსა და ღარიბს“.

ერთ-ერთი ჩვენგანი მდიდარს თამაშობს, მეორე — ღარიბს.

მდიდარი მაგიდასთან ზის და სიგარეტს ეწევა, შემოდის ღარიბი.

— შეშა უკვე დაგიპეთ, ბატონო.

— ძალიან კარგი. მუშაობა შენთვის სასარგებლოა. კარგია ჯანმრთელობისთვის. ხედავ, რა ჯანმრთელი ხარ — ლოყები წითლად გიღაჟლაჟებს!

— მაგრამ ხელები გამეყინა, ბატონო.

— მოდი ჩემთან, მაჩვენე ხელები. ფუ, რას გიგავს! კანი სულ დაგხეთქია და დაგმუწუკებია! საზიზღრობაა!

— სიცივისაგან დამისკდა, ბატონო!

— ფუჰ, ხომ არ შეიძლება, რომ თქვენ, ღარიბებმა რაღაც საძაგელი ავადმყოფობა არ აიკიდოთ. ეგ იმის ბრალია, რომ ძალზე ჭუჭყიანები ხართ. კეთილი, აჰა, შენი გასამრჯელო.

ის ღარიბს სიგარეტის ერთ კოლოფს უგდებს, ღარიბი სიგარეტს ეწევა. ის კართან დგას, მის სიახლოვეს საფერფლე არ ჩანს, მაგიდასთან მისვლას კი ვერ ბედავს, ამიტომ ფერფლს ხელისგულზე იყრის. მდიდარი, რომელსაც სურს მალე გააგდოს ღარიბი, თავს იკატუნებს,

თითქოს ვერ ამჩნევს, რომ ღარიბს საფერფლე სჭირდება. ღარიბს კი არ უნდა წასვლა, იმიტომ რომ მშვიერია. ის ამბობს:

— თქვენთან რაღაც სასიამონო სუნი დგას, ბატონო!

— ეს იმიტომ, რომ ჩემს სახლში სისუფთავეა. ეს სისუფთავის სუნია.

— თქვენთან ცხელი წვნიანის სუნიც დგას, ბატონო. დღეს არაფერი მიჭამია...

— ტყუილ-უბრალოდ არ გიჭამია. რაც შემეხება მე, დღეს რესტორანში ვსადილობ, იმიტომ რომ მზარეულს დასვენების დღე აქვს.

ღარიბი ყნოსავს.

— წვნიანის სუნი კი არის და...

მდიდარი გაბრაზებული ყვირის:

— არ შეიძლება აქ წვნიანის სუნი იდგეს; აქ წვნიანს არავინ არ ამზადებს, ეს სუნი ან მეზობლის სახლიდან მოდის ან გერვინება! თქვენ, ღარიბები, საკუთარი მუცლის გარდა არაფერზე ფიქრობთ, — აი, რატომ არა გაქვთ ფული: ფულს სულ წვნიანებსა და ძეხვებში ხარჯავთ! გაუმაძღარი ღორები ხართ, მორჩა და გათავდა! ნუ დგახარ აქ და იატაკს ფერფლით ნუ სვრი! გაეთრიე, ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახონ!

მდიდარი კარს აღებს და პანლურით აგდებს ღარიბს, ღარიბი ქვაფენილზე ეცემა.

მერე მდიდარი კარს კეტავს, მაგიდას მიუჯდება, დიდ მათლაფაზე ისხამს წვნიანს, ხელისგულებს შეატყუებს და ამბობს:

— გმადლობთ, შენ, უფალო იესო, წყალობისა და სიკეთისათვის, რომელიც გვიბოძე ჩვენი მორჩილების გამო...

### საპაერო ბანკაში

ბებიასთან რომ ჩამოვედით, პატარა ქალაქზე საპაერო თავდასხმეში თითქმის არ იყო. ახლა კი სულ უფრო და უფრო გახშირდა. სირენები წივილს დღისა და ღამის ნებისმიერ დროს იწყებენ — ზუსტად ისე, როგორც დიდ ქალაქში. ხალხი სარდაფებში და თავშესაფრებში იმალება. თავდასხმის დროს ქუჩები ცარიელდება. პატრონები ხანდახან სახლებისა და დუქნების კარებს ღიასაც კი ტოვებენ. ჩვენ ამით ვსარგებლობთ — შევდივართ და ვიღებთ, რაც გვინდა.

სარდაფში არასოდეს ვიმალებით. არც ბებია იმალება. დღისით ჩვეულებრივ ვმუშაობთ ხოლმე, ღამით კი როგორც გვეძინა, ისევე გვეძინავს.

უფრო ხშირად თვითმფრინავები ქალაქს მხოლოდ გადაუფრენენ ხოლმე და ბომბებს საზღვრის იქითა მხარეს ყრიან. მაგრამ ხანდახან ბომბები სახლებს მაინც ეცემა. როცა ასე ხდება, კვამლის სვერის მიხედვით ვძებნით ბომბის ჩამოვარდნის ადგილს და ვნახულობთ, რა არის დანგრეული. დანგრეულ სახლში ჩვენთვის საჭირო რამე თუ ვიპოვეთ, ყველაფერი მოგვაქვს.

შევამჩნიეთ, რომ დაბომბილი სახლის სარდაფში დამალული ხალხი ყოველთვის იხოცება. სამაგიეროდ მთელი სახლი ნანგრევებადაც რომ იყოს ქცეული, ღუმელი და საკვამური უვნებელი რჩება.

ხანდახან თვითმფრინავი ძალიან დაბლა-დაბლა დაფრინავს და ტყვიამფრქვევებიდან ქუჩაში ხალხს ესვრიან. დენშიკმა აგვისსნა, როცა თვითმფრინავი თქვენკენ მოფრინავს, ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ, მაგრამ, როცა თქვენს თავს ზემოთაა, საშიში აღარააო.

თავდასხმების გამო სინათლის ანთება აკრძალულია, ჩრქვენი ზე სქელი ფარდები არ აფარია. ბებია ამბობს, ყველაზე ჩრქვენი მსახურსა სულ არ ავანთოთო. ღამლამობით გუშაგები ქუჩაში დადიან და თვალყურს ადევნებენ ბრძანების დაცვას.

ერთხელაც, ვახშობის მერე ელაპარაკობთ თვითმფრინავზე, რომელიც ჩვენი პატარა ქალაქის მახლობლად ჩამოაგდეს. თვითმფრინავს ცეცხლი წაეკიდა და ჩამოვარდა. დავინახეთ, მფრინავი როგორ გადმოხტა პარაშუტით.

— არ ვიცით, მერე რა დაემართა მტრის მფრინავს. — ვამბობთ ჩვენ.

— მტრისაო? ისინი ჩვენი მეგობრები, ჩვენი ძმები არიან. სულ მალე აქ იქნებიან, — გვეუბნება ბებია.

ერთ-ერთი თავდასხმის დროს ქუჩაში მივდივართ. ვიღაც შეშინებული კაცი მოგვვარდა:

— საჭაერო განგაშის სიგნალის მერე ქუჩაში დარჩენა არ შეიძლება.

მას ძალისძალად მივყავართ კარისკენ.

— აქეთ, აქეთ!

— ჩვენ არ გვინდა დამალვა.

— ეს ხომ თავშესაფარია! აქ უსაფრთხოდ იქნებით.

ის კარს აღებს და შიგნით გვიბიძგებს. სარდაფი სავსეა ხალხით. არგვლივ დუმილი გამეფებულა. ქალებს ბავშვები მკერდზე მიუკრავთ. საიდანღაც ბომბების აფეთქების ხმა ისმის. ხმა თანდათან ახლოვდება. კაცი, რომელმაც თავშესაფარში შემოგვრეკა, კუთხიდან კუთხეში დარბის და ცდილობს სადმე ხალხის გროვაში შერგოს თავი. ამის დანახვაზე ქალები დამცინავად ფრუტუნებენ. ერთი დედაბერი ამბობს:

— მაგას ნერვები რიგზე არა აქვს. მაგიტომაც გამოუშვეს შვებულებით.

უცებ ვგრძნობთ, რომ სუნთქვა გვეკვრის. ვაღებთ სარდაფის კარს, მაგრამ ვიღაც მსუქანი ქალი წინ გველობება და კარს ისევ კეტავს, თან გვიყვირის:

— ხომ არ გაგიჟდით, ახლა გასვლა როგორ შეიძლება!

ჩვენ ვეუბნებით:

— სარდაფებში ხალხი მუდამ იხოცება. გვინდა გავიდეთ აქედან.

მსუქანი ქალი კარს აუკრა და სამოქალაქო თავდაცვის სამკლაურზე მიგვითითა:

— აქ მე ვარ უფროსი, არსადაც არ გაგიშვებთ!

ჩვენ ვკბენთ მსუქან ხელებზე, წვივებში ფეხებს ვურტყამთ. ის ყვირის, თან ცდილობს გაგვარტყას. ხალხი იცინის. ბოლოს სიბრაზისა და სირცხვილისაგან სახეაჭარხლებული გვეუბნება:

— გაეთრიეთ, მოშორდით აქაურობას! ნეტამც ჩავაძაღლონ! არ იქნება ეს დიდი დანაკლისი!..

ქუჩაში კვლავ თავისუფლად შეგვიძლია სუნთქვა. ეს პირველი შრე მთხვევა იყო, თავდასხმისა რომ შეგვეშინდა.  
თავდასხმა გრძელდება. ქალაქში ბომბები ცვივა.



### ადამიანების ნახირი

მღვდლის სახლში გარეცხილი ტანსაცმლის წამოსაღებად მივდივართ. სამზარეულოში მნესთან ერთად ვსხედვართ და კარაქიან პურს ვჭამთ. უცებ ქუჩიდან ყვირილი მოისმის. კარაქიან პურებს მაგიდაზე ვაწყობთ და ქუჩაში გავრბივართ. ხალხი თავ-თავიანი სახლების წინ გამოსულა; ყველა რკინიგზის სადგურის მხარეს იყურება. ქუჩაში ბავშვები დარბიან და აღელვებულები ყვირიან:

— მოჰყავთ, მოჰყავთ!

ქუჩის კუთხეში გამოჩნდა არმიის ჯიპი, რომელშიც უცხოელი ოფიცრები სხედან. მანქანა ნელა მოდის. მანქანის უკან მუცელზე გარდ-გარდმო თოფებჩამოკიდებული ჯარისკაცები მოჰყვებიან. მათ უკან თითქოსდა ნახირი მოდის, მაგრამ ეს ადამიანების ნახირია. მოდიან ჩვენ-ნაირი ბავშვები, დედასნაირი ქალები და მეჩქემისნაირი მოხუცები. სულ ორასი ან სამასი კაცი იქნება. მოლასლასებენ ქუჩაში, აქეთ-იქით კი ჯარისკაცები მოჰყვებიან. ქალებს პატარები ზურგზე მოკიდებულები ან მკერდზე მიკრულები მოჰყავთ. ერთი ქალი ძირს ეცემა; მეზობლები ხელს აშველებენ, ქალსაც და ბავშვსაც აყენებენ და თან მიჰყავთ, ვინაიდან ჯარისკაცებმა უკვე თოფები მიუშვირეს.

არავინ არაფერს ამბობს, არავინ ტირის, ყველა ძირს იყურება. ირგვლივ მხოლოდ ჯარისკაცების დაჭედული ჩექმების ბრახუნი ისმის.

პირდაპირ ჩვენ ცხვირწინ ვილაცა ბრბოდან გამხდარსა და ჭუჭყიან ხელს იწვდის:

— პური...

მნე იცინის და თავს ისე აჩვენებს, თითქოსდა გაწვდილ ხელში პურის ჩადება სურსო. პურის ნაჭერი ჭუჭყიან ხელისგულთან მიაქვს, მერე სიცილ-კისკისით უკან სწევს, თვითონ ჭამს და ამბობს:

— საჭმელი თვითონაც არაფერი გვაქვს!

ჯარისკაცი, რომელმაც ეს დაინახა, მნეს უკანალზე ხელს უჩაბუნებს, მერე ლოყაზე ჩქმეტს, მნე კი ცხვირსახოცს უქნევს, სანამ კოლონა ჩამავალი მზის მხარეს მტვრის ღრუბელს არ მიეღარება.

სახლში ვბრუნდებით. სამზარეულოს ღია კარიდან ვხედავთ სამრე-ვლო ეკლესიის მღვდელს — ის თავის ოთახის კუთხეში ჯვარცმის წინაა დაჩოქილი.

მნე ამბობს:

— გაათავეთ თქვენი კარაქიანი პურები.

ჩვენ ვეუბნებით:

— აღარ გვინდა.

შევდივართ მღვდლის ოთახში. ის ჩვენკენ ბრუნდება.

— ჩემთან ერთად ლოცვა ხომ არ გინდათ, ბავშვებო?..

— მშვენივრად იცით, რომ არასდროს არ ელოცულობთ, მაგრამ გვინდა გავიგოთ...

— თქვენ ვერაფერს გაიგებთ. ჯერ ძალიან პატარები ხართ.

— სამაგიეროდ თქვენა ხართ უკვე დიდი. ამიტომაც გეკითხებით თქვენ. ვინ არის ეს ხალხი? სად წაიყვანეს? და რატომ? მღვდელი დგება, ჩვენთან მოდის, თვალებს ხუჭავს და გვეუბნება:

— უფლის გზები გამოუცნობია.

ის თვალებს ახელს და ხელისგულებს თავზე გვაწყობს.

— სამწუხაროა, რომ ასეთი რამეების ხილვა გიწევთ. თქვენ კანკალებთ.

— თქვენც კანკალებთ, წმინდა მამაო.

— ჰო, ვკანკალებ... მე მოხუცი ვარ.

— ჩვენ კი გავიყინეთ, უპერანგოდ ვართ, წელამდე შიშვლები. წავალთ, ჩავიცვამთ — პერანგები თქვენმა მნემ გაგვირეცხა.

სამზარეულოში ვბრუნდებით. მნე გვაძლევს გარეცხილ თეთრეულს. ჩვენ პერანგებს ვიცვამთ. მნე გვეუბნება:

— ძალიან მგრძნობიარენი ყოფილხართ. ჯობს დაივიწყოთ, რაც ნახეთ.

— ჩვენ არასდროს არაფერს არ ვივიწყებთ.

ის კარისკენ გვიბიძგებს:

— წადით, ტყუილად ნუ ნერვიულობთ! ეს თქვენ არანაირად არ გეხებათ. ასეთი რამ თქვენ არასოდეს დაგემართებათ. ის ხალხი კი — ოღონდაც რომ ნამდვილი საქონელია.

## ბაბის ზღაპრები

მღვდლის სახლიდან მეჩექმის სახლისკენ მივრბივართ. ყველა ფანჯარა ჩამსხვრეულია, კარი — შემტვრეული. შიგნით აღარაფერია ფასეული, ყველაფერი ან წაღებულია ან დამტვრეული. კედლებზე სალანძღავი სიტყვები წერია.

მეზობელი სახლის წინ მერხზე დედაბერი ზის. ჩვენ ვეკითხებით.

— მეჩექმე წაიყვანეს?

— ჰო, რამდენი ხანია, საწყალი.

— ისიც იმათ შორის იყო, დღეს ქალაქში რომ ჩაატარეს?

— არა, დღევანდლები სადღაც შორიდან მორეკეს, პირუტყვის ვაგონებით. ის კი აქვე მოკლეს, თავის სახელოსნოში, თავის სამუშაო იარაღებს შორის. ნუ გეშინიათ, უფალი ყველაფერს ხედავს; უცოდველებს თავისთან წაიყვანს.

შინ რომ დავბრუნდით, ვხედავთ ჭიშკართან გულალმა, ფეხებგაჩაჩხული აგდია ბებია. ირგვლივ კი ვაშლები ყრია.

ბებია არ ინძრევა. შუბლიდან სისხლი მოსდის.

შევრბივართ სამზარეულოში, ვასველებთ ტილოს და მოგვაქვს ბოთლით არაყი. შუბლზე სველ ტილოს ვადებთ, პირში კი ცოტა არაყს ვასხამთ. მცირე ხნის მერე ბებია თვალებს ახელს და გვეუბნება:

— კიდევ!

ჩვენ კვლავ ვასხამთ პირში ცოტაოდენ არაყს.  
ის წამოჯდა და ყვირის:

— აბა, ცოცხლად აკრიფეთ ვაშლი, რას უყურებთ, ძაღლის ლეკ-  
ვებო?

ჩვენც მტვრიან გზაზე ვკრეფთ ვაშლს და ბებიას წინსაფარში  
ვყრით.

სველი ტილო ბებიას თავიდან გადმოსცურებია და სისხლი პირდა-  
პირ თვალებში ჩასდის. სისხლს ბებია მოსახვევის ყურით იწმენდს.

ჩვენ ვეკითხებით:

— ძალიან გტკივათ, ბები?

ის ფრუტუნებს:

— კონდახის ერთი დარტყმა სულაც არაა საკმარისი ჩემ გასა-  
ლახად.

— რა მოხდა, ბები?

— არაფერი. ვაშლსა ვკრეფდი, ჭიშკართან მოვედი იმ მსვლელო-  
ბის სანახავად. ერთიც ვნახოთ, წინსაფარი ჩამომეშალა, ვაშლები გზა-  
ზე, პირდაპირ იმ ბრბოს ფეხებთან გაიფანტა. რა შუაში ვიყავი, რატომ  
უნდა ვეცემე?

— ვინ დაგარტყათ, ბები?

— ვინ, ვინ! თქვენ როგორ ფიქრობთ? მგონი, სულელები არა  
ხართ! ისინი იმათაც, იმ ხალხსაც სცემდნენ, მაგრამ ზოგიერთმა მაინც  
მოასწრო ჩემი ვაშლების აღება!

ბებიას წამოდგომაში ვეხმარებით. შეგვყავს სახლში. ბებია ვაშ-  
ლებს კომპოტისათვის ფცქვნის, მაგრამ უცებ ძირს ეცემა, ჩვენ მას სა-  
წოლში ვაწვენთ, ვხდით ფეხსაცმელს. უცებ თავიდან მოსახვევი ეხდე-  
ბა, ვხედავთ, ბებია სულ მელოტია. მოსახვევს ისევ ვახვევთ და დიდხანს  
ვუსხედვართ საწოლთან, ხელში მისი ხელი გვიჭირავს და ყურს ვუგდებთ  
მის სუნთქვას.

### პოლიციელი

ბებიასთან ერთად ვსაუზმობთ სამზარეულოში. უცებ დაუკაკუნებ-  
ლად შემოდის ვიღაც კაცი და პოლიციელის მოწმობას გვიჩვენებს.

ბებია უეცრად ყვირილს იწყებს:

— არა მსურს ჩემს სახლში პოლიციის დანახვა. ცუდი არაფერი ჩა-  
მიდენია!

პოლიციელი ამბობს:

— რა თქმა უნდა, არაფერი. მოწამლეთ ერთი, მეორე, მაგრამ მა-  
გას ვინ გითვლით?

ბებია პასუხობს:

— დამტკიცებული არაფერია. არ შეგიძლიათ ხელის ხლება.

პოლიციელი ეუბნება:

— დამშვიდდი, ბები, ძველი მკვდრების ამოსათხრელად სადა გვცა-  
ლია, ნეტა ახლების დამარხვას ვასწრებდეთ.

— მაშ რა გინდათ?

პოლიციელი ჩვენ გვიყურებს და ამბობს:

— ამბობენ, კვიცი გვარზე ხტისო.

ბებიაც ჩვენ შემოგვიყურებს.

— ჰო, ასე ამბობენ. რა ჩაიდინეთ, ძაღლის ლეკვებო?

პოლიციელი გვეკითხება:

— გუშინ საღამოთი სად იყავით?

— შინ, — ვპასუხობთ ჩვენ.

— იქნებ, როგორც ყოველთვის, კაფეებში დაყიალობდით?

— არა, შინ ვიყავით, იმიტომ, რომ ბებიას ცუდი რალაც შეემთხვა.

ბებია საჩქაროდ ამბობს:

— სარდაფში ჩავვარდი. კიბეებს ერთიანად ხავსი აქვს მოდებული, ფეხი დამისხლტა და დავეცი. ბიჭებმა ამომიყვანეს და მივლიდნენ. მთელი ღამე საწოლს არ მოშორებიან.

პოლიციელი ამბობს:

— ჰო, ვხედავ, გვარიანად გაგიტეხიათ თავი. თქვენს ასაკში ფრთხილად უნდა იყოთ. კეთილი. ახლა მინდა სახლი გაგჩხრიკო. სამივე მომყევით. დავიწყით სარდაფით.

ბებია სარდაფს აღებს და შიგ ჩავდივართ. პოლიციელი ყველაფერს გულმოდგინედ ათვალიერებს, ტომრებს მისწი-მოსწევს, ქილებს, კალათებს, კასრებს, ერთად დაქუჩებულ კარტოფილსაც კი ჩხრეკს.

ბებია ჩურჩულით გვეკითხება:

— რას ეძებს?

ჩვენ მხრებს ვიჩეჩავთ.

სარდაფის შემდეგ პოლიციელი სამზარეულოს ჩხრეკს. მერე ბებია იძულებულია თავისი ოთახიც გააღოს. პოლიციელი მის საწოლს აქოთებს, მაგრამ იქ არაფერია. ჩაღის ლეიბებშიც ჩაღის მეტს ვერაფერს ნახულობს. პოლიციელი ბალიშის ქვეშ მხოლოდ ცოტაოდენ ფულს პოულობს.

უცხოელი ოფიცრის ოთახთან პოლიციელი გვეკითხება:

— აქ რა არის?

ბებია პასუხობს:

— მანდ უცხოელი ოფიცერი ცხოვრობს. ოთახს ვაქირავებ. გასაღები მე არა მაქვს.

პოლიციელი სხვენის კარს უყურებს.

— კიბე გაქვთ?

ბებია ეუბნება:

— კიბე გატეხილია.

— თვითონ როგორ აღიხართ?

— მე არც როგორ. იქ მარტო ბიჭები ძვრებიან.

პოლიციელი გვეუბნება:

— რაკი ასეა, აძვერით, ბიჭებო!

სხვენში თოკით მივძვრებით, პოლიციელიც მოგვიყვება. ის ხსნის სკივრს, სადაც ვინახავთ ყველაფერს, რაც მეცადინეობისათვის გვჭირდება: ბიბლიას, ლექსიკონს, ქალაღს, ფანქრებს და საერთო რვეულს, რომელშიც ყველაფერს ვიწერთ. მაგრამ პოლიციელი კითხვას არ აპი-



რებს. ის ძველ ტანსაცმელსა და საბნებში იქექება. მერე სხვენიდან ჩამოვდივართ. პოლიციელი ბაღს ათვალთვრებს და ამბობს:

— აშკარაა, ბაღს ვერ გადავთხრი. კეთილი, წავიდეთ!

მას ტყეში მივყავართ, იმ თხრილთან, რომლის მახლობლადაც გვაში ვიპოვეთ. გვამი იქ აღარ არის. პოლიციელი გვეუბნება:

— აქ როდისმე ყოფილხართ?

— არა. არასოდეს. ასე შორს წამოსვლისა გვეშინია.

— არც ეს თხრილი და მკვდარი ჯარისკაცი გინახავთ?

— არა. არ გვინახავს.

— აქ მოკლული ჯარისკაცი რომ იპოვეს, აღარც შაშხანა ჰქონდა, აღარც ვაზნები და აღარც გრანატები.

ჩვენ ვეუბნებით:

— ეს თქვენი ჯარისკაცი, ეტყობა, ძალიან დაბნეული და უპასუხისმგებლო ადამიანი იყო, რაკი დაკარგა ყველაფერი, რაც ჯარისკაცი-სათვის ასე აუცილებელია...

პოლიციელი გვეუბნება:

— იმას არაფერიც არ დაუკარგავს. ყველაფერი მისი სიკვდილის მერე მოიპარეს. თქვენ ტყეში ხშირად დადიხართ ხოლმე, იქნებ გაქვთ რაიმე მოსაზრება?

— არა, არაფითარი.

— მაგრამ ვილაცამ ხომ მაინც აიღო შაშხანა, ვაზნები და გრანატები!

ჩვენ ვეუბნებით:

— ასეთ საშიშ საგნებს ხელს ვინ ახლებდა?

### დაკითხვა

საპოლიციო უბანში ვიმყოფებით. პოლიციელი მაგიდას უზის, ჩვენ მის წინ ვდგავართ. პოლიციელი იღებს ქალაღს და ფანქარს, სიგარეტს უკიდებს და იწყებს დაკითხვას.

— როდიდან იცნობთ სამრევლო ეკლესიის მღვდლის მნეს?

— გაზაფხულიდან.

— სად გაიცანით?

— ბებიასთან. ჩვენთან კარტოფილისთვის მოდიოდა.

— თქვენ მღვდლის სახლში შეშასა და ფიჩხს ეზიდებოდით. რამდენს გიხდიდნენ ამაში?

— არაფერს. ჩვენ შეშა იმის სამადლობელოდ მიგვქონდა, რომ მნე ტანსაცმელს გვირეცხავდა.

— კეთილად გექცეოდით?

— დიახ, ძალიან. კარაქიან პურს გვაჭმევდა. თმას გვკრეჭდა, ფრჩხილებს გვაჭრიდა, ნებას გვრთავდა, გვებანავა მათ აბაზანაში.

— მოკლედ, პირდაპირ მშობელი დედასაფით ყოფილა. გასაგებია, მღვდელი? მღვდელიც კეთილად გეპყრობათ?

— ძალიან. ის წიგნებს გვაძლევს და ბევრ რამეს გვასწავლის.

— მღვდელს შეშა უკანასკნელად როდის მიუტანეთ?

— ხუთი დღის წინათ. სამშაბათ დილით.

პოლიციელი ოთახში წინ და უკან დადის. მერე ფანჯარას ფარდებს აფარებს და მაგიდის ლამპას ანთებს. მაგიდასთან დგამს ორ სკამს და გვიბრძანებს, დასხედითო. ლამპას პირდაპირ სახეში გვანათებს.

— თქვენ კარგად ეპყრობოდით მღვდლის მნეს?

— დიახ, ძალიან კარგად.

— იცით, რა დაემართა?

— რა? შეემთხვა რამე?

— დიახ, საშინელი რამ. დღეს დილით, როგორც ყოველთვის, სამზარეულოში ღუმელს ანთებდა, ღუმელი აფეთქდა და ალი პირდაპირ სახეში ეცა. საავადმყოფოში წაიყვანეს.

პოლიციელი ჩუმდება. ჩვენც ხმას არ ვიღებთ. მაშინ ის გვეკითხება:

— რას იტყვით ამაზე?

— ზედ ცხვირწინ რამე რომ ავიფეთქდებათ, ცხადია, მორგში თუ არა, საავადმყოფოში მაინც აღმოჩნდებით. ბედი ქჭონია, ცოცხალი რომ გადარჩა.

— მაგრამ მთელი სიცოცხლე დასახიჩრებული იქნება.

ჩვენ ვდუმვართ. პოლიციელიც დუმს. ის ჩვენ გვიყურებს, ჩვენ — იმას. ბოლოს ამბობს:

— ვხედავ, რალაც დიდად არ შეწუხებულხართ.

— გვიხარია, ამ უბედური შემთხვევის შემდეგ მაინც ცოცხალი რომ გადარჩენილა.

— ეს უბედური შემთხვევა არ ყოფილა. ვილაცამ შეშაში ასაფეთქებელი ნივთიერება დამალა, უფრო სწორად შაშხანის ვაზნები. შაშხანა ვიპოვეთ.

ჩვენ ვეკითხებით:

— ვის რაში დასჭირდა ამის გაკეთება?

— რომ მოეკლათ მნე ან მღვდელი.

ჩვენ ვამბობთ:

— ხალხი გულქვაა. მოსწონთ ერთმანეთის ხოცვა. მათ ეს ომმა ასწავლა, ასაფეთქებელი ნივთიერება და ვაზნები კი ახლა სადღა არა ყრია.

პოლიციელი გვიყვირის:

— გეყოფათ ჭკუისათვის ძალის დატანება! თქვენ მიგაქვთ შეშა მღვდელთან! თქვენ დახეტიალობთ მთელი დღე ტყეში! თქვენ ძარცვავთ გვამებს! თქვენა ხართ ყველაფრის ჩამდენები! ეს თქვენ სისხლში გაქვთ გამჯდარი! მკვლელობა ბებიათქვენის სინდისზეც არის! მან საკუთარი ქმარი მოწამლა! ის საწამლავით მოქმედებს, თქვენ კი — დენთით! აღიარეთ, ნაძირალებო! აღიარეთ! ეს თქვენი ჩადენილია!

ჩვენ ვეუბნებით:

— მღვდლისათვის შეშა მართო ჩვენ არ მიგვაქვს.

ის ამბობს:

— მართალია. მოხუცსაც მიაქვს. ის უკვე დავკითხე.

ჩვენ ვეუბნებით:

— ყველას შეეძლო შეშაში ვაზნების დამალვა.

— მართალია, მაგრამ ვაზნები ყველას არა აქვს. მიმიფურთხებიან მნესათვის! მე ის მინდა ვიცოდე, სად არის ვაზნები, გრანატები და შაშხანა! მოხუცმა ყველაფერი იკისრა. გვარიანად დაგკითხე, იმანაც ყველაფერი აღიარა, მაგრამ ვერ მიჩვენა, სად დამალა შაშხანა, გრანატები და ვაზნები. ასე რომ, ის არ არის დამნაშავე. დამნაშავეები თქვენა ხართ. თქვენ იცით, სად არის ვაზნები, გრანატები და შაშხანა და ამას მეტყვიით!

ჩვენ ვდუმვართ. მაშინ პოლიციელი ორივე ხელით გვცემს სასესი, ხან მარცხენა ლოყაში გვილაწუნებს, ხან მარჯვენაში. პირიდან და ცხვირიდან სისხლი მოგვდის.

— იკისრეთ!

ჩვენ ვდუმვართ. ის სიბრაზისაგან ფითრდება და კვლავ გვირტყამს და გვირტყამს. ჩვენ სკამებიდან ძირს ვცვივდებით. ის ახლა წიხლით გვცემს ნეკნებში, თირკმელებსა და მუცელში.

— იკისრეთ! იკისრეთ! ეს თქვენი ჩადენილია! იკისრეთ!

ჩვენ თვალებს ველარ ვახელთ, აღარც არაფერი გვესმის, და სისხლით, ოფლით, შარდით და განავლით მოსვრილები გრძნობას ვკარგავთ.

## ცინეში

საკანში მიწის იატაკზე ვწევართ. პატარა გისოსებიანი სარკმლიდან მკრთალი სინათლე შემოდის, მაგრამ არ ვიცით, რა დროა, ისიც კი არ ვიცით, დილაა თუ საღამო.

მთელი სხეული გვტკივა. ოდნავ გავინძრევით თუ არა, ლამის ცნობას ვკარგავთ, ყველაფერს ნისლში გახვეულივით ვხედავთ, ყურები გვიწივის, თავი გვიბრუსის, საშინლად გვწყურია, პირი გვიშრება.

საათი საათს მისდევს. ჩვენ ხმას არ ვიღებთ. მოგვიანებით მოდის პოლიციელი და გვეკითხება:

— გინდათ რამე?

ჩვენ ვეუბნებით:

— გვწყურია...

— მაშინ თქვით, იკისრეთ. როგორც კი იკისრებთ, რამდენსაც ისურვებთ, იმდენ საჭმელსა და სასმელს მოგიტანთ.

ჩვენ ვდუმვართ. ის კითხულობს:

— მოხუცო, შენ გინდა საჭმელი?

არავინ პასუხობს. პოლიციელი გადის. ვხვდებით, რომ საკანში ჩვენ ვარდა ვილაც არის. თავს ნელა ვწევთ და ვხედავთ, კუთხეში მოხუცი მოკრუნჩხულა. ნელა მივცოცავთ მასთან და ხელით ვეხებით. იგი ცივი და გაფიჩხულია. ისევ კარისკენ მივხობხავთ.

სარკმლის იქით სულ რომ ბნელდება, კვლავ შემოდის პოლიციელი, ჯიბის ფარანს ანათებს მოხუცს და ამბობს:

— იძინე, ბაბუ, ხვალ შეგიძლია შინ წახვიდე.

ახლა ფარანს ჯერჯერით პირდაპირ სახეში ჩვენ გვაშუქებს.

— კიდევ არაფერი გაქვთ ჩემთვის სათქმელი? როგორც გენებოთ მოვიცდი. ან ალაპარაკდებით ან აქ ამოგხდებით სული.

გვიან ღამე კვლავ იღება საკნის კარი. შემოდის პოლიციელი, დენშჩიკი და უცხოელი ოფიცერი. ოფიცერი იხრება, გვათვალისწინებს, მერე დენშჩიკს ეუბნება:

— დაუყოვნებლივ დარეკე ბაზაში! სანიტარული მანქანა გამოგზავნონ!

დენშჩიკი გადის. ოფიცერი მოხუცს ათვალისწინებს და ამბობს:

— არამზადას სასიკვდილოდ უცემია.

მერე პოლიციელს მიუბრუნდა:

— შენ ეს ძვირად დაგიჯდება, პირუტყვო! აჰ, რომ იცოდე რა ძვირად დაგიჯდება!..

პოლიციელი გვეკითხება:

— რაო, რა თქვა?

— ამბობს, მოხუცი მოკვდაო, და შენ ძვირად დაგიჯდება ყველაფერი, შე პირუტყვო!

ოფიცერი თავზე ხელს გვისვამს:

— ჩემი საწყალი, საცოდავი ბავშვები. როგორ გაბედა მაგ ბინძურმა ღორმა თქვენი წამება!

პოლიციელი გვეკითხება:

— რას მიზამს? უთხარით, რომ მე თვითონაც მყავს ბავშვები... არ ვიცოდი... ის რა, მამაა თქვენი, თუ რა?..

ჩვენ ვეუბნებით:

— ჩვენი ბიძაა.

— მაშინვე რატომ არ მითხარით?... საიდან უნდა მცოდნოდან? ძალიან ვწუხვარ! რა უნდა გავაკეთო, რომ...

ჩვენ ვეუბნებით:

— ილოცეთ.

დენშჩიკი ბრუნდება, თან ჯარისკაცებიც ახლავს. საკაცით მივყავართ და გვაწვენენ სანიტარულ მანქანაში. ოფიცერი ჩვენ გვერდით ჯდება. პოლიციელს ჯიპში სვამენ, ჯარისკაცები აქეთ-იქით უსხდებიან და მიჰყავთ. დენშჩიკი საჭესთან ჯდება.

არმიის პოსპიტალში, დიდ, თეთრად შეღებილ ოთახში, მიყვანისთანავე გვსინჯავს ექიმი. ჭრილობებს გვისუფთავებს, გვიკეთებს ტკივილდამაყუჩებელსა და ტეტანუსის საწინააღმდეგო ნემსებს. მერე რენტგენით გვაშუქებს. გატეხილი არაფერი აღმოგვაჩნდა, რამდენიმე კბილი გვაქვს ჩამტვრეული, მაგრამ არა უშავს, მაინც სარძევე კბილები იყო.

დენშჩიკს მივყავართ ბებიასთან. გვაწვენს ოფიცრის განიერ საწოლზე, თვითონ კი საწოლის ახლოს იატაკზე იგებს საბანს და ისე წვება. დილით შემოჰყავს ბებია. ბებიას საწოლში ჩვენთვის თბილი რძე მოაქვს.

დენშჩიკი რომ გადის, ბებია გვეკითხება:

— იკისრეთ?

— არა, ბები. არაფერი გვქონდა საკისრებელი.

— ეგრეც ვფიქრობდი. პოლიციელს რაღა უყვებს?

— არ ვიცით, ის კი ნამდვილად ვიცით, რომ აქ აღარ მოვა.  
 ზეპირა ხითხითებს:  
 — ან დეპორტაცია ელის ან დახვრეტა, არა? ღორი კეთილი. ეს  
 ამბავი უნდა აღვნიშნოთ. წავალ ქათამს გაუაღებელეებ...  
 ჯერ ხელიც არ მიხლია.  
 შუადღისას საწოლიდან ვდგებით და სამზარეულოში გავდივართ.  
 ჭამისას ბებია გვეკითხება:  
 — საინტერესოა, მაინც რაში დაგჭირდათ იმ ქალის მოკვლა? თუმ-  
 ცა, ვფიქრობ, საამისო მიზეზი გექნებოდათ.

### ხანდაზმული ბატონი

ვანშობის მერე ერთ ჩვენზე ძალა ვოგონასთან ერთად გვეს-  
 ტუმრა ვილაც ხანდაზმული ბატონი.

ბებია ეკითხება:

— რა გნებავთ?

ხანდაზმული ბატონი ბებიას სახელით მიმართავს. ბებია გვეუბ-  
 ნება:

— დამეკარგეთ აქედან. წადით, ბაღში გაისეირნეთ.

ჩვენც გამოვდივართ, სახლს ირგვლივ ვუვლით, სამზარეულოს  
 ფანჯრის ქვეშ ვიმალებით და ვაყურადებთ. ხანდაზმული ბატონი ამ-  
 ბობს:

— შეიბრალებთ ვოგონა.

ბებია პასუხობს:

— რანაირად მთხოვთ ამას?

ხანდაზმული ბატონი ამბობს:

— ხომ იცნობდით მაგის მშობლებს. დეპორტაციის წინ ვოგონა მე  
 ჩამაბარეს. მათ თქვენი მისამართი მომცეს — თუკი ვოგონას ჩემთან  
 დარჩენის შემთხვევაში რაიმე საფრთხე შეექმნებოდა.

ბებია ეკითხება:

— ხვდებით კი რა ხიფათში მაგდებთ?

— ვიცი, მაგრამ ეს სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია.

— ჩვენს სახლში უცხოელი ოფიცერი ცხოვრობს.

— მით უკეთესი. ვინ დაუწყებს ვოგონას აქ ძებნას? იტყვი, რომ  
 თქვენი შვილიშვილია, ამ ბიჭების ბიძაშვილი.

— აქ ყველამ იცის, რომ მარტო ეს ორი შვილიშვილი მყავს.

— მაშინ თქვით, რომ თქვენი სიძის ოჯახიდანაა.

ბებია იცინის:

— სიძე ჩემს სიცოცხლეში თვალთაც არ მინახავს.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ხანდაზმული ბატონი განაგრძობს:

— გთხოვთ, ვოგონა რამდენიმე თვით — მხოლოდ ომის დამთავ-  
 რებამდე შეიკედლოთ.

— ომი რამდენიმე წელი კიდევ რომ გაგრძელდეს?

— არა, დიდხანს უკვე აღარ გაგრძელდება.

ბებია თვალთმაქცურად წუწუნებს:

— მე ერთი საცოდავი მოხუცი ვარ, რომელსაც აუტანელი შრომა მალე სამარეში ჩაიყვანს. სად შემიძლია ამდენი სულის გამოკვება?

ხანდაზმული ბატონი ეუბნება:

— აი, გოგონას მშობლების მთელი დანაზოგი და ხვეწვასობა. თუკი გოგონას გადაარჩენთ, ეს ყველაფერი თქვენი იქნება.

ამის შემდეგ ბებია უმალ გვეძახის:

— ეს თქვენი მამიდაშვილია.

— გასაგებია, ბები.

ხანდაზმული ბატონი გვეუბნება:

— სამივე ერთად ხომ ითამაშებთ?

— ჩვენ არასოდეს არ ვთამაშობთ, — ვპასუხობთ ჩვენ.

— აბა, რას აკეთებთ?

— ვმუშაობთ, ვსწავლობთ, ვვარჯიშობთ.

ის გვეუბნება:

— გასაგებია. თქვენ სერიოზული ხალხი ყოფილხართ. სათამაშოდ არა გცალიათ, მაგრამ თქვენს მამიდაშვილს ყურადღებას მაინც ხომ მი-  
აქცევთ?

— დიას, ბატონო.

— გმადლობთ.

ჩვენი ახალი მამიდაშვილი ამბობს:

— მე თქვენზე მალალი ვარ.

ჩვენ ვპასუხობთ:

— სამაგიეროდ ჩვენ თრნი ვართ.

ხანდაზმული ბატონი ამბობს:

— მართალი ხართ, ორი ერთზე გაცილებით ძლიერია. გოგონასა-  
თვის მამიდაშვილის დაძახება არ დაგავიწყდეთ, კარგი?

— ჩვენ, ბატონო, არასოდეს არაფერი არ გვავიწყდება.

— თქვენი იმედი მექნება.

### ჩვენი მამიდაშვილი

ჩვენი მამიდაშვილი ხუთი წლით ჩვენზე უფროსია. თვალები მუქი აქვს, თმა კი წითური, ალბათ, ინას რომ ეძახიან, იმით აქვს შეღებილი.

ბებია მ გვითხრა, გოგონა მამათქვენის დისშვილიაო. ვინც გვეკითხება, ჩვენც სწორედ ასე ვეუბნებით.

რასაკვირველია, ვიცით, რომ მამას და არ ჰყავს და არცა ჰყოლია. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, უამტყუილოდ ჩვენს მამიდაშვილს საფრთხე რომ დაემუქრება — ჩვენ კი ხანდაზმულ ბატონს შევპირდით, გოგონაზე ვიზრუნებთო.

ხანდაზმული ბატონი რომ წავიდა, ბებია გვეუბნება:

— თქვენი მამიდაშვილი სამზარეულოში თქვენთან ერთად დაიძინებს.

ჩვენ ვპასუხობთ:

— სამზარეულოში მეტი ადგილი აღარ არის.

ბებია ამბობს:

— ეს უკვე ერთმანეთში მოლაპარაკებით გადაწყვიტეთ.

ჩვენი მამიდაშვილი ამბობს:

— საბანს თუ მომცემთ, მაგიდის ქვეშ იატაკზე დაწვამ. შეგიძლია დავიძინო...

ჩვენ ვეუბნებით:

— შეგიძლია ჩვენი საბნები აილო და მერხზე დაიძინო. ჩვენ სხვენზე დავიძინებთ. ახლა უკვე აღარ ცივა.

გოგონა გვეუბნება:

— მეც თქვენთან ერთად სხვენზე დავიძინებ.

— იქ შენ არ გვჭირდება. სხვენზე ამოსვლა არ გაბედო.

— რატომ?

— შენ გაქვს შენი საიდუმლო, პოდა, ჩვენცა გვაქვს ჩვენი საიდუმლო. ჩვენს საიდუმლოს პატივს თუ არა სცემ, არც ჩვენ ვცემთ პატივს შენს საიდუმლოს.

გოგონა გვეკითხება:

— თქვენ რა, შეგიძლიათ გამცეთ?

— ამოხვალ სხვენზე და მოკვდები — გასაგებია?

ის ერთხანს უსიტყვოდ მოგვჩერებია, მერე გვეუბნება:

— გასაგებია. გასაგებია, რომ ნამდვილი ვიყები ხართ. კარგი, ბატონო, არ მჭირდება თქვენი აქოთებული სხვენი. გპირდებით, იქ არასოდეს არ ამოვალ.

ის სიტყვას ასრულებს და სხვენზე არ ამოდის, მაგრამ სხვაგან, სადაც არ უნდა ვიყოთ, მოსვენებას არ გვაძლევს.

ის გვეუბნება:

— მომიტანეთ ყოლო.

ჩვენ ვეუბნებით:

— წადი ბაღში და თვითონ დაკრიფე.

ის გვეუბნება:

— გეყოფათ ხმამალლა კითხვა, თავი ამატკიეთ.

ჩვენ კითხვას განვაგრძობთ.

ის გვეკითხება:

— მთელი საათობით რატომ წევხართ იატაკზე?

ჩვენ გაუნძრევლობის ვარჯიშს ვაგრძელებთ, თუმცა ის დამპალ ხილს გვესვრის.

ის გვეუბნება:

— სულ რატომ დუმხართ! ნერვებს მიშლით!

ჩვენ კი მაინც განვაგრძობთ დუმილის ვარჯიშს.

ის გვეკითხება:

— დღეს რატომ არაფერს ჭამთ?

— დღეს ვმარხულობთ. შიმშილის ატანაში ვვარჯიშობთ.

ჩვენი მამიდაშვილი არც მუშაობს, არც სწავლობს, არც ვარჯიშებს ასრულებს. უფრო ხშირად ზის და ცას შეჰყურებს, ხანდახან ტირის.

ბებია მამიდაშვილს არ სცემს, არც უჯავრდება, არც მუშაობას აიძულებს. ბებია მას სულ არაფერს არ სთხოვს. არც არასოდეს ელაპარაკება.

## ქვირფასეულობა

იმავე საღამოს, მამიდაშვილი რომ ჩაგვისახლდა, ჩვენ დასაძინებლად სხვენზე ვბარგდებით. ოფიცრის ოთახიდან ვიღებთ ორ საბანს და სხვენის იატაკზე თივას ვიფენთ. ძილის წინ ჭუჭრუტანებიდან ჭუჭურებით, რა ხდება სახლში. ოფიცრის ოთახში არავინ არის, ბებიას ოთახში კი სინათლე ანთია, რაც არცთუ ისე ხშირად ხდება ხოლმე.

ბებია მამიდაშვილიდან ლამაზად თავის ოთახში შეიტანა და ტრიუმფით ჩამოვიდა. ტრიუმფი — ძველებური მაგიდაა სამკარედიანი სარკით. ბებია ზის ამ სარკის წინ, თავზე, შავი მოსახვევის ზემოდან, რაც მბრწყინავი ახურავს, ყელზე რამდენიმე ყელსაბამი უკეთია, მაჯებზე — სამაჯურები, თითები ბეჭდებით აქვს დაფარული. თავის თავს ელაპარაკება და სარკეში საკუთარი გამოსახულებით ტკბება.

— სიმდიდრე, სიმდიდრე... სამკაულები ქალს მზეთუნახავად აქცევენ. ჩარხი შემოტრიალდა, ახლა მთელი ეს ძვირფასეულობა ჩემია, ჩემი... სამართლიანადაც. ვიმ, როგორ ბრწყინავენ! როგორ ბრწყინავენ!

ცოტა ხნის შემდეგ ამბობს:

— მაგრამ, რომ დაბრუნდნენ? უკან რომ მომთხოვონ ეს ყველაფერი? საშიშროება როგორც კი გაივლის, ყველაფერს ივიწყებენ. მაგათ მადლიერება არ იციან. ასეთია ხალხი — ათას რამეს შეგპირდებიან, მერე კი... მაგრამ არა, არა, ისინი უკვე დაიხოცებოდნენ. მოხუცსაც ალბათ დიდი დღე აღარ უწერია. მითხრა, მთელი განძეულობა შეგიძლია დაიტოვო... მაგრამ გოგომ ხომ ყველაფერი დაინახა... ყველაფერი გაიგონა... ის ნამდვილად წართმევას მოინდომებს... ომი დამთავრდება — გოგო განძეულობის უკან დაბრუნებას მოითხოვს... მე კი არ მინდა მივცე, არ შემიძლია! ეს ჩემია! სამუდამოდ ჩემი! გოგოც უნდა მოკვდეს, მამინ ვერავინ ვერაფერს დაამტკიცებს, ვერავინ ვერაფერს გაიგებს... ჰოო, გოგო სწორედ ომის დამთავრების წინ უნდა მოკვდეს. მაგრამ საწამლავით კი არა, უბედური შემთხვევის გამო, დიას, უბედური შემთხვევისა. ამჯერად საწამლავს აღარ მივმართავთ, უბედური შემთხვევა სჯობია. რა იქნება მდინარეში რომ დაიხრჩოს? არა, არა, წყლის ქვეშ თავს ვერ გაფაჩერებინებ. ფეხი რომ დაუსხლტეს და სარდაფში ჩავარდეს?... არა, სარდაფი ღრმა არ არის. დარჩა ისევ საწამლავი. მხოლოდ და მხოლოდ საწამლავი. რაიმე ნელა მოქმედი. პატარ-პატარა დოზით, თანდათანობით... ავადმყოფობა, რომელიც ნელ-ნელა, რამდენიმე თვის მერე ჩაიყვანს სამარეში... ექიმები აქ აღარ არიან. ომის დროს ასე ბევრი იხოცება — იმიტომ რომ არავინ მკურნალობს.

ბებია მუშტით ემუქრება სარკეში თავის ანარეკლს:

— და თქვენ ვერ შეძლებთ ვერაფრის დამტკიცებას! ვერა-მეთქი! ის ხითხითებს, ძვირფასეულობას იხსნის, აწყობს ტილოს თოფრაში და თავის ჩალის ლეიბში მალავს. მერე წვება დასაძინებლად. ჩვენც ვიძინებთ.

დილით, მამიდაშვილი შინიდან რომ გადის, ბებიას ვეუბნებით:

— ბები, რალაცა უნდა გითხრათ.

— რაო, რა გინდათ?



— გვისმინე, ბები, ხანდაზმულ ბატონს შეუპირდით, რომ ვიზრუნებთ ჩვენს მამიდაშვილზე. ამიტომ მას არაფერი არ უნდა დაუშავდეს — არც რაიმე უბედურება უნდა შეემთხვას და არც ავად გახდეს. გასაგებია? და ეს ჩვენც გვეხება.

ბებიას დაწებებულ კონვერტს ვუჩვენებთ.

— აქ ყველაფერი ჩავწერეთ. წერილს მღვდელს გადავცემთ. დ ჩვენ სამიდან ვინმეს რაიმე თუ დაუშავდება — მღვდელი კონვერტს გასწის. გაიგე, ბები?

ბებია თვალებმოჭუტული გვიყურებს, მძიმედ სუნთქავს და ძალიან ჩუმად გვეუბნება:

— ძაღლის ლეკვებო, კახპისა და ეშმაკის ნაშიერებო! წყეულიმც იყოს ის დღე, თქვენ რომ ამ ქვეყანას მოევლინეთ!

სადილის შემდეგ ბებია სამუშაოდ ვენახში მიდის. ჩვენ ლეიბს ვჩხრეკთ. ლეიბში აღარაფერი აღარაა.

### ჩვენი მამიდაშვილი და მისი შეყვარებული

ჩვენი მამიდაშვილი თანდათან დადინჯდა. შემოჩენილივით თან აღარ დაგვყვება, ყოველდღე იბანს ტაშტში, რომელიც კაფეებში ნაშრონი ფულით ვიყიდეთ. ხშირად ირეცხავს კაბას და საცვლებს. სანამ ტანსაცმელი უშრება, ვეება პირსახოცში გახვეული დადის, ან მზეზე წვეება და საცვლებს გასაშრობად ზედ იწყობს. გოგონა ძალზე შავგვრემანია. თმა დუნდულებაძღე სწვდება, ზურგზე რომ წვეება, მკერდს თმით იფარავს.

მოსალამოვდება თუ არა, ქალაქში მიდის. იქ სულ უფრო და უფრო მეტ ხანს რჩება. ერთ საღამოს შეუმჩნევლად მივყვებით უკან.

სასაფლაოს ახლოს ქალაქის ახალგაზრდა ბიჭებსა და გოგონებს ხვდება. ყველანი ჩვენზე უფროსები არიან. ისინი ხის ძირში სხედან და პაპიროსს ეწევიან. თან ღვინოც აქვთ, პირდაპირ ბოთლებიდან სვამენ. ერთ-ერთი მათგანი დარაჯობს — გზის პირას მერხზე ზის და გზაზე ვინმეს რომ დაინახავს, პობულარულ სიმღერას უსტვენს, მაგრამ თვი თონ არსად მიდის. დანარჩენები ან ჯაგებში იმალებიან, ან საფლავის ქვებს ეფარებიან. როგორც კი საფრთხე გაივლის, მერხზე მჯდომი ყარაული ახლა სხვა სიმღერას უსტვენს.

ახალგაზრდები ძალიან ჩუმად ლაპარაკობენ ომზე, დეზერტირობაზე, დეპორტაციაზე, წინააღმდეგობასა და განთავისუფლებაზე.

მათი აზრით, ჩვენს ქვეყანაში მყოფი უცხოელი სამხედროები, რომლებიც ჩვენს მოკავშირეებად ითვლებიან, სინამდვილეში ჩვენი მტრები არიან, ისინი კი, ვინც სულ მალე მოვლენ გამარჯვებულები, მტრები კი არა, ჩვენი განმათავისუფლებლები არიან.

ყურს ვუგდებთ მათ ლაპარაკს:

— მამაჩემი იმათ მხარეს გადავიდა. შინ იმათთან ერთად დაბრუნდება.

— ჩემი მშობლები კი პარტიზანებთან წაუიღნენ. პატარა რომ არ ვყოფილიყავი, მეც წავიდოდი.

— ჩემები ამ წყეულებმა გაასახლეს.  
 — იმათ შენ უკვე ველარა ნახავ, როგორც მე — ჩემებს. ისინი ცოცხლებში ნამდვილად აღარ იქნებიან.  
 — ვინ იცის, ეგებ გადარჩა ვინმე.  
 — დალუპულთათვის სამაგიეროს ჩვენ მივუზღავთ.  
 — ეჰ, რა დასანანია, ომის დროს პატარები რომ ვიყავით... მრცხვენს გაკეთება არ შეგვეძლო, თორემ!..  
 — ომი მალე დასრულდება, „ისინი“ დღეს თუ არა ხვალ აქ იქნებიან.

— ჩვენ მათ რატუმის მოედანზე ყვავილებით შევხვდებით. გვიან ღამით ახალგაზრდობა იშლება. ყველა შინ ბრუნდება. ჩვენი მამიდაშვილი ვილაც ყმაწვილთან ერთად მიდის. ჩვენ უკან მივყევით. ისინი ციხის გალავნისაკენ მიდიან და ნანგრევებს ეფარებიან. მათ ვერ ვხედავთ, სამაგიეროდ ხმა კარგად გვესმის.  
 ჩვენი მამიდაშვილი ამბობს:  
 — დაწექი... ჰო, ასე, ზედ დამაწექი და მაკოცე! მაკოცე! ვაჟი ეუბნება:  
 — შენ ისეთი ღამაში ხარ. მინდისხარ.  
 — მეც მინდისხარ, მაგრამ მეშინია. რომ დავორსულდე?  
 — მაშინ შეგირთავ. მიყვარხარ. განთავისუფლების მერე დავქორწინდებით.

— ჯერ ძალიან ახალგაზრდები ვართ. უნდა მოვიცადოთ.  
 — არ შემოდლია მოცდა.  
 — მოიცა, მტკენ... არ გინდა, საყვარელო, არ გინდა...  
 ყმაწვილი ამბობს:  
 — ჰო, მართალი ხარ... მაგრამ მომეფერე მაინც. ხელი მომეცი... აი, ასე. მომეფერე... მობრუნდი, მინდა, სანამ შენ მეფერები, მე გკოცნიდე...  
 ჩვენი მამიდაშვილი ეუბნება:  
 — არა, არ გინდა! მრცხვენია... ო! ო! კიდევ, კიდევ! მიყვარხარ, მიყვარხარ!..  
 ჩვენ შინ ვბრუნდებით.

## დალოცვა

მღვდელთან მივდივართ იმ წიგნების დასაბრუნებლად, რომლებსაც წასაკითხად გვაძლევდა.  
 კარს ხნიერი ქალი გვიღებს. შიგნით გვიშვებს და ამბობს:  
 — წმინდა მამა გელოდებათ.  
 — დასხედით, — გვეუბნება მღვდელი.  
 წიგნებს მაგიდაზე ვაწყობთ და ვსხდებით. მღვდელი ერთხანს გვიყურებს, მერე ამბობს:  
 — გელოდებოდით, კარგა ხანია არ გამოჩენილხართ.  
 ჩვენ ვეუბნებით:

— გვინდოდა წიგნები ხელახლა გადაგვეკითხა, თანაც არ გვცალოდა.

— დაბანვა და დარეცხვა არ გინდოდათ?

— ახლა ყველაფერი გვაქვს, რაც გვჭირდება. ვიყიდეთ/ტამტი, საპონი, მაკრატელი და კბილის ჯაგრისები.

— რა ფულით იყიდეთ?

— კაფეებში ნაშოვნი ფულით. ჩვენ იქ ვმღერით და ვუკრავთ.

— ეს კაფეები სულის დაღუპვის ბუდეა. განსაკუთრებით თქვენს ასაკში.

ჩვენ ვდუმვართ, ის განაგრძობს:

— იმ ბრძის ფულისთვისაც რამდენი ხანია აღარ მოსულხართ, ბლომა ფული დაგროვდა, აჰა, აიღეთ.

ის ფულს გვაძლევს, ჩვენ ვეუბნებით:

— ფული თქვენ დაიტოვეთ. უკვე საკმარისი მოგვეცით. ფულს ჩვენ მაშინ გართმევდით, როცა ეს აბსოლუტურად საჭირო იყო. ახლა კი იმდენს ვშოულობთ, რომ ცოტაოდენს კურდღლისტუჩასაც ვაძლევთ. მას მუშაობაც ვასწავლეთ, ვუშველეთ ბალის დაბარვასა და კარტოფილის, ცერცვის, პამიდორისა და ყაბაყის დათესვაში. წიწილები და ბაჭიებიც მივეცით გასამრავლებლად. მოწყალებას აღარ თხოულობს, და აღარც თქვენი ფული სჭირდება.

მღვდელი გვეუბნება:

— მაშინ თქვენ დაიტოვეთ და კაფეებში მუშაობა აღარ მოგიწევთ.

— კაფეებში მუშაობა მოგვწონს.

— გავიგე, უცემიხართ... უწამებიხართ, — გვეუბნება ის.

ჩვენ ვეკითხებით:

— თქვენს მნეს რა დაემართა?

— ფრონტზე წავიდა დაჭრილების მოსაფლელად და იქ დაიღუპა.

ჩვენ არაფერს ვამბობთ. ის გვეკითხება:

— აღსარების თქმას ხომ არ ისურვებდით? ალექსა მაქვს მიცემული, რომ შევინახო აღსარების საიდუმლო. ნურაფრის გეშინიათ. შეგიძლიათ მოინანიოთ...

— მოსანანიებელი არაფერი გვაქვს.

— არა ხართ მართლები. ასეთი ცოდვა — მძიმე ტვირთია. მონანიება შეგიმსუბუქებთ ამ ტვირთს. უფალი ყველას მიუტევებს, ვინ თავის ცოდვებს გულწრფელად აღიარებს.

— ჩვენ არაფერი გვაქვს მოსანანიებელი.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ მღვდელი ამბობს:

— მე ხომ ფანჯრიდან ყველაფერი დაგინახე. ის პური... მაგრამ შურისგება მხოლოდ უფლის ნებაა. თქვენ არ გაქვთ უფლება სამაგიერო მიუზღოთ ვინმეს.

ჩვენ ვდუმვართ. ის გვეკითხება:

— შეიძლება დაგლოცოთ?

— დიას. თუ ეს თქვენ გნებავთ.

ის თავზე ხელს გვადებს:

— ყოვლად ძლიერო უფალო, დალოცე ეს ბავშვები. მიუტევე ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი ცოდვები, მიუტევე მათ, რაც ჩადენეს. საცოდავი, გზააბნეული კრავები არიან, გზა დაებნათ ამ სასარგლო სამყაროში. ისინი მსხვერპლნი არიან ჩვენი დამახინჯებული დროისა და არ უწყიან რასა სწადიან. გვედრებ, გადაარჩინო ამ ბავშვებს მშური და განწყინდო შენი უსასრულო გულმოწყალებითა და მადლით. ამინ.

მერე გვეუბნება:

— ხანდახან მომინახულეთ ხოლმე, თუნდაც ჩემგან არაფერი გინდოდეთ.

### გ ა შ ც ე ვ ა

პატარა ქალაქის სახლების კედლებსა და მესერებზე ყოველდღე ჩნდება პლაკატები. ერთ პლაკატზე გამოსახულია მიწაზე მწოლიარე მოხუცი, რომელსაც მტრის ჯარისკაცი ხიშტს უყრის. მეორე პლაკატზე მტრის ჯარისკაცი ბავშვს მეორე, მთლად ჩვილი ბავშვითა სცემს, რომლისთვისაც ფეხში ჩაუვლია ხელი. ერთ-ერთ პლაკატზე კი მტრის ჯარისკაცი ქალს მიათრევს, ქალს კაბა მკერდზე შემოფხრეწია, პირი დაულია, თითქოს ყვირისო, ლოყებზე კი ცრემლები ჩამოსდის.

ხალხი ამ პლაკატებს რომ უყურებს, მტრის ჯარისკაცების შემოსვლისა ეშინია...

ბებია იცინის:

— ტყუილია. ახლა საშიში აღარაფერია.

ხმა გავრცელდა, დიდი ქალაქი მტერმა აიღო.

ბებია ამბობს:

— დიდ მდინარეზე თუ გადმოვიდნენ, მათ ველარაფერი შეაკავენს. მალე აქ იქნებიან.

ჩვენი მამიდაშვილი ამბობს:

— მაშინ მეც შინ დაბრუნება შემეძლება.

ერთხელ ხალხში ხმა დაირხა, არმია დანებდა, სარმარი მოქმედება შეწყდა, ომი დამთავრდა. მეორე დღეს კი ალაპარაკდნენ, ხელისუფლების სათავეში ახალი მთავრობა მოვიდა და ომი გრძელდება.

მატარებლითა და მანქანებით პატარა ქალაქში უამრავი უცხოელი და ჩვენი არმიის ჯარისკაცი ჩამოდის. ბევრია დაჭრილი. ხალხი ჩვენს ჯარისკაცებს რაიმეს რომ ეკითხება; ისინი ყველაფერზე, არ ვიცითო, პასუხობენ. ჯარისკაცები გაივლიან ხოლმე ჩვენს პატარა ქალაქს და ბანაკის ახლოს გამავალი გზით მეზობელ ქვეყანაში მიდიან.

ხალხი ამბობს:

— გარბიან. მაგათი საქმე წასულია.

სხვები ეკამათებიან:

— დროებით იხევენ უკან, ჯარების გადასაჯგუფებლად. მტერს აქ შეაჩერებენ და საზღვარზე აღარ გადაუშვებენ.

ბებია ამბობს:

— მაგასაც უნახავთ.

ბეზიას სახლის წინ განუწყვეტლივ მიედინება ხალხი. ისინიც მეზობელ ქვეყანაში მიდიან. ამბობენ, ჩვენს ქვეყანას სამუდამოდ იმიტომ ვტოვებთ, რომ მტერი მალე აქაურობას დაიპყრობს, სამაგიეროს გადახდას დაიწყებს და ჩვენს ქვეყანას დაიმონებსო. *ეროვნული*

ზოგს ტომარა მოუკიდია ზურგზე და ფეხით მიდის, მტკიცე ხელის კვრით მიაჩოჩებს ათასი რამით დატვირთულ ველოსიპედს — დგამზე, მაგალითად, უწყვიათ ვიოლინო, გალიით გოჭი, ქვაბები... სხვები კი ცხენებშებმულ საზიდებზე სხედან და თან მიაქვთ მთელი თავიანთი ავლადილება.

უმრავლესობა ჩვენი ქალაქის მაცხოვრებლები არიან, მაგრამ სხვა ადგილებიდანაც გარბიან.

ერთ დილას დენშჩიკი და ოფიცერი გამოსამშვიდობებლად მოდიან.

დენშჩიკი ამბობს:

— დამთავრდა ყველაფერი. მაგრამ ჯობია დამარცხებული, ვიდრე მკვდარი.

ის იცინის. ოფიცერი გრამოფონზე დებს ფირფიტას. ჩვენ ვსხდებით დიდ საწოლზე და ხმაამოუღებლივ ვუსმენთ მუსიკას. ოფიცერი მაგრად გვეხვევა და ტირის:

— ველარასოდეს გნახავთ!..

ჩვენ ვეუბნებით:

— თქვენ საკუთარი ბავშვები გეყოლებათ.

— არ მინდა.

მერე გრამოფონსა და ფირფიტებზე გვითითებს და გვეუბნება:

— ეს ჩემ სახსოვრად დაიტოვეთ. ლექსიკონი კი დამიბრუნეთ. სულ ერთია, ახლა უკვე ახალი ენის შესწავლა დაგჭირდებათ.

## მ კ ვ ღ რ ე ბ ი

ერთ ღამეს გვესმის აფეთქების ხმა, თოფების სროლა, ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების გრიალი. გამოვდივართ, რათა გავიგოთ, რა ხდება. ვხედავთ, ბანაკში ხანძარია. გვგონია, მტერი შემოვიდა, მაგრამ მეორე დღეს ქალაქში სიწყნარეა; მხოლოდ შორეული კანონადა ისმის.

სამხედრო ბაზისკენ მიმავალი გზის ბოლოს გუშაგი აღარ დგას. ცაში სქელი, გულისამრევი კვამლი მიიგრავნება. გადავწყვიტეთ, წავიდეთ, ვნახოთ ერთი, რა იწვისო.

შევდივართ ბანაკში. ბანაკი ცარიელია. ზოგიერთი ნაგებობა ისევ იწვის. აუტანელი სუნი დგას, მაგრამ ცხვირზე ხელს ვიჭერთ და მაინც მივდივართ. ბოლოს მივაღეპით ეკლიანი მავთულის ღობეს. ავდივართ საგუშაგო კომპლურაზე, ვხედავთ ვრცელ მოედანს, სადაც სამ ადგილას შავად რალაც არის დახვავებული. შევნიშნეთ შემოღობილი ტერიტორიის შესასვლელი. ჩამოვდივართ კომპლურიდან და იქით მივეშურებით. ესაა მაღალი რკინის ჭიშკარი, რომელიც ყურთამდე ღია დაუტოვებიათ.

ჭიშკარს უცხო ენაზე აწერია: „სატრანზიტო ბანაკი“. შევდივართ ჭიშკარში.

შავი ზვინები, რომლებიც კოშკურიდან დავინახეთ, ადამიანთა დანახშირებული სხეულებია. ზოგი მთლიანად დამწვარა, ძვლებილა დარჩენილა, ზოგი თითქმის სულ არ არის დამწვარი. ასეთი სხეულები, დიდი თუ პატარა, ძალზე ბევრია, ეტყობა, ისინი ჯერ დახოცეს, შემდეგ ადგილზე დაახვავეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს.

გვალებინებს, ბანაკიდან გამოვრბივართ. შინ ვბრუნდებით. ბებია სადილად გვეძახის, მაგრამ ჩვენ ისევ გული გვერევა.

ბებია გვეუბნება:

— ალბათ ისევ რალაც სისაძაგლე ჭამეთ.

— ჰო, ბები, მკვასხე ვაშლი ვჭამეთ.

ჩვენი მამიდაშვილი ამბობს:

— ბანაკი დაუწვავთ. წავიდეთ ვნახოთ, სანამ იქ არავინაა.

— ჩვენ უკვე ვიყავით, იქ სანახავი და საინტერესო არაფერია.

ბებია ფხუკუნებს:

— მაშ, ჩვენმა მამაცებმა არაფერი დაგვიტოვეს? ყველაფერი თან წაიღეს? კარგად დაათვალიერეთ? სულ არაფერია გამოსადეგი?

— ჰო, ბები, კარგად დავათვალიერეთ, არაფერი იქ არ არის.

ჩვენი მამიდაშვილი სამზარეულოდან გადის. ჩვენც უკან მივსვებით და ვეკითხებით:

— სად მიდიხარ?

— ქალაქში.

— უკვე? შენ ხომ იქ სალამოობით მიდიხარ ხოლმე?

ის იღიმება.

— ჰო, მაგრამ ვილაცას უნდა შევხვდე. თქვენ კი გეყოფათ ჩემი თვალთვალი!

ჩვენი მამიდაშვილი ისევ იღიმება და ქალაქში გარბის.

## დედა

ბაღში ვართ. სახლის წინ ჩერდება არმიის ჯიპი, უცხოელ ოფიცერთან ერთად გადმოდის დედა. იგი ჩვენკენ გამორბის, ხელში პატარა ბავშვი უჭირავს და გვიყვირის.

— ჩქარა, ჩქარა, ჩასხედით მანქანაში — მივდივართ! იჩქარეთ. ყველაფერი მიატოვეთ და წამოდით!

ჩვენ ვეკითხებით:

— ეს ბავშვი ვინაა?

დედა გვეუბნება:

— ეს თქვენი და არის. წავიდეთ! წუთის დაკარგვაც არ შეიძლება!

ჩვენ ვეკითხებით:

— სად უნდა წავიდეთ?

— სხვა ქვეყანაში. შეწყვიტეთ კითხვები! წავიდეთ!

— არსადაც არ გვინდა წამოსვლა. აქ დავრჩებით.

დედა გვეუბნება:

— მე უნდა წავიდე. თქვენც ჩემთან წამოსვალთ.

— არა, ჩვენ აქ დავრჩებით.

შინიდან გამოდის ბებია. ბებია დედას ეკითხება:

— კიდევ რა მოგიფიქრებია? ან ხელში რა გიჭირავს?

დედა ეუბნება:

— ჩემი შვილების წასაყვანად მოვედი. შენ კი ფულს გამოგჩვენებინი, დედა.

— შენი ფული არ მჭირდება და არც ბიჭებს გაგატან.

დედა ოფიცერს სთხოვს, ძალით წაგვიყვანოს. ჩვენ უმაღლესი თოკით სხვენზე მივცოცავთ. ოფიცერი ცდილობს დაგვიჭიროს, მაგრამ შიგსა-ხელში ვურტყამთ ფეხებს. ოფიცერი იგინება. ჩვენ თოკი მალლა აგვაქვს. ბებია ხითხითებს:

— ხედავ? არ უნდათ შენთან წამოსვლა.

დედა გვიყვირის:

— გიბრძანებთ, ამ წუთში ჩამოდით!

ბებია ეუბნება:

— ისინი ბრძანებებს არასოდეს არ ემორჩილებიან.

დედა ტირის:

— მოდით ჩემთან, ჩემო ძვირფასებო, ჩემო საყვარლებო! უთქვენოდ წასვლა არ შემიძლია.

ბებია ეუბნება:

— რაო, უცხოელის ნაბუშარი არ გეყოფა?

ჩვენ ვეუბნებით:

— ჩვენ აქ მოგვწონს, დე, შენ წადი. ჩვენ ბებიასთან კარგად ვართ.

გვესმის კანონადის ხმა და ტყვიამფრქვევების ჯერი. ოფიცერი დედას მხრებზე ხელსა ხვევს და მანქანისაკენ მიჰყავს. დედა უსხლტება:

— ისინი ჩემი შვილები არიან! მიყვარან და მჭირდებიან!

ბებია ეუბნება:

— ისინი მეცა მჭირდებიან, მე უკვე მოვხუცდი. შენ კი კიდევ გააჩენ, ეტყობა, ეს შენთვის ძნელი არ არის.

დედა ეუბნება:

— გვედრებით, ნუ აკავებთ მათ.

ბებია ამბობს:

— ვინ აკავებს? ეი, ბიჭებო! ახლავე ჩამოდით და გაყევით დედა-თქვენს.

ჩვენ ვეუბნებით:

— არ გვინდა წასვლა, ბები, შენთან დარჩენა გვირჩევნია.

ოფიცერი ხელსა ხვევს დედას და მანქანისკენ ეწევა, მაგრამ დედა ხელსა ჰკრავს. ოფიცერი ჯდება მანქანაში და რთავს ძრავას. იმავედროულად ბაღში გაისმის აფეთქების ხმა. მეორე წამში ვხედავთ, დედა მიწაზე წევს, ოფიცერი მასთან მიირბენს. ბებია განზე გვერეკება.

— ნუ უყურებთ! შედით შინ!

ოფიცერი ხმამალლა იგინება, მერე ჩახტება ჯიბში, ადგილიდან მოწყდება და მიდის.

ჩვენ ვუცქერით დედას — მუცლიდან ნაწლავები გარეთ გამოსვლია. დედაც და ბავშვიც ერთიანად სისხლში ცურავენ. დედას თავი

ჭურვისაგან ამოთხრილ ორმოში გადაუკიდია, თვალები გახელილი და ჯერ ისევ ცრემლებით აქვს სავსე.

— ნიბები მოიტანეთ, — გვეუბნება ბებია.

ორმოს ძირში საბანს ვფენთ და ზედ ვაწვენთ დედას. გოგონა მას ისევ გულში ჰყავს ჩაკრული. მეორე საბანს ზემოდან ვაფარებთ დედას მის ვავსებთ.

მამიდაშვილი ქალაქიდან რომ ბრუნდება, გვეკითხება:

— მოხდა რამე?

— ჰო, ჭურვი ჩვენს ბაღში დაეცა და ორმო ამოთხარა.

### მამიდაშვილი მიეგზავრება

ლამით კანონადისა და აფეთქებების ხმა ისმის. განთიადისას უეცრად ყველაფერი მიწყნარდა. ჩვენ ოფიცრის განიერ საწოლზე გვძინავს. ახლა მისი საწოლიც ჩვენია და მისი ოთახიც.

დილით სასაუზმოდ სამზარეულოში შევდივართ. ბებია ქურასთან დგას. მამიდაშვილი თავის საბანს კეცავს და ამბობს:

— წუხელ ძალიან ცუდად მეძინა.

ჩვენ ვეუბნებით:

— ბაღში დაიძინე, იქ ახლა სიმშვიდეა და თბილა კიდევ.

— ნუთუ წუხელ არ გეშინოდათ? — გვეკითხება ის.

ჩვენ უსიტყვოდ მხრებს ვიჩეჩავთ.

გაისმის კარზე კაკუნი. ორი ჯარისკაცის თანხლებით შემოდის სამოქალაქო ტანსაცმლიანი კაცი. ჯარისკაცებს ავტომატები აქვთ და ისეთი ფორმა აცვიათ, როგორც ადრე არ გვინახავს.

ბებია რალაცას ამბობს იმ ენაზე, რომელზედაც არყით გამობრუნული თავისთვის ლაპარაკობს ხოლმე. ჯარისკაცები პასუხობენ. ბებია მათ ეხვევა და კოცნის. მერე კიდევ რალაცას ამბობს.

სამოქალაქო პირი ეკითხება:

— თქვენ მაგათ ენაზე ლაპარაკობთ, ქალბატონო?

— ეს ჩემი მშობლიური ენაა. — პასუხობს ბებია.

ჩვენი მამიდაშვილი კითხულობს:

— ისინი უკვე აქ არიან? როდის მოვიდნენ? ჩვენ გვინდოდა რატუშის მოედანზე ყვავილებით შევხვედროდით...

— ვის „თქვენ“? — ეკითხება სამოქალაქო პირი.

— მე და ჩემს მეგობრებს.

სამოქალაქო პირი იღიმება.

— დაგაგვიანდათ. ისინი ლამით შემოვიდნენ ქალაქში... მე მათ თითქმის კვალდაკვალ შემოვყევი. ერთ გოგონას ვეძებ...

ის ჩვენი მამიდაშვილის გვარს ამბობს. ჩვენი მამიდაშვილი ეუბნება:

— დიას, ეს მე ვარ. სად არიან ჩემი მშობლები?

სამოქალაქო პირი პასუხობს:

— არ ვიცი. ჩემი ვალია, სიის მიხედვით მოვძებნო ბავშვები. ჩვენ თავდაპირველად დიდი ქალაქის განმანაწილებელში გაგვზავნით, მერე კი თქვენი მშობლების მოძებნასაც შევეცდებით.



ჩვენი მამიდაშვილი კითხულობს:  
 — აქ ერთი მეგობარი მყავს, ისიც არის თქვენს სიაში?  
 ის თავისი შეყვარებულის გვარს ასახელებს, სამოქალაქო პირი  
 სიას ფურცლავს.

— დიახ, ის უკვე სამხედრო შტაბშია. ერთადერთი გამგზავრებით.  
 მოემზადეთ.

მამიდაშვილი ბედნიერია. ის თავის კაბებსა და წვრილმან რალაც-  
 რალაცებს დიდ საბანაო პირსახოცში ახვევს.

სამოქალაქო პირი ჩვენ მოგვიბრუნდა:

— თქვენლა? რა გქვიათ თქვენ?

ბებია ეუბნება:

— ეგენი ჩემი შვილიშვილები არიან. ჩემთან დარჩებიან.

— დიახ, ჩვენ ბებიასთან ვრჩებით, — ვეუბნებით ჩვენც.

სამოქალაქო პირი ამბობს:

— სულ ერთია, მითხარით თქვენი გვარი და სახელი.

ჩვენც ვეუბნებით. ის სიას ამოწმებს.

— დიახ, სიაში არ ხართ. ქალბატონო, შეგიძლიათ დაიტოვოთ.

ბებია ამბობს:

— რას ჰქვია — შემიძლია დავიტოვო? ოღონდაც რომ შემიძ-  
 ლია!

ჩვენი მამიდაშვილი ამბობს:

— მე მზად ვარ, წავიდეთ.

სამოქალაქო პირი ეუბნება:

— მეტიმეტად ხომ არ ჩქარობ? ყოველ შემთხვევაში, მადლობა  
 მაინც გადაუხადე დიასახლისს და ბიჭებსაც დაემშვიდობე.

— ბიჭებსო? თქვენ გინდათ თქვათ, ამ საძაგლებს? — ამბობს ჩვენი  
 მამიდაშვილი და მაგრად გვეხვევა.

— არ გაკოცებთ. ვიცი, არ მოგწონთ აზიზმაზიზობა. ეცადეთ, ნა-  
 კლები სისულელეები ჩაიდინოთ... — აბა, მშვიდობით!

ის უფრო მაგრად გვეხვევა და ტირის. სამოქალაქო პირი ბებიას  
 მიუბრუნდა:

— ქალბატონო, მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყველაფრისათვის,  
 რაც ამ გოგონას გაუკეთეთ.

ყველა ერთად გამოვდივართ სახლიდან. ჭიშკართან ჯიპი დგას. ჯა-  
 რისკაცები წინ სხდებიან, სამოქალაქო პირი და ჩვენი მამიდაშვილი —  
 უკან. ბებია ჯარისკაცებს რალაცას უყვირის, ჯარისკაცები ხარხარებენ.  
 ჯიპი მიდის. მამიდაშვილი უკან არ იხედება.

### ახალი უცხოელის მოსვლა

მამიდაშვილის გამგზავრების შემდეგ მივდივართ ქალაქში — გა-  
 ეიგოთ, ერთი რა ხდებაო.

ყოველ კუთხეში ტანკები დგანან. რატუმის მოედანზე უამრავი სა-  
 ტვირთო მანქანა, ჯიპი, ეტლიანი და უეტლო მოტოციკლეტია. საითაც

გაიხედავ, უცხოელი ჯარისკაცები არიან. ბაზრის მოუასფალტებელ მოედანზე კარვებს შლიან და აწყობენ საველე სამზარეულოებს.

ახლოს რომ ჩავუვლით, გვიღიმიან, რაღაცას გვეუბნებიან, მაგრამ ჯერ მათი ენა არ ვიცით.

ჯარისკაცების გარდა ქუჩაში არავინ არის. ყველა სახლს უკარები და ფანჯრები დაკეტილია, მალაზიის ვიტრინები გისოსებიანი და უსუბიითაა ჩაგმანული.

შინ მივდივართ და ბებიას ვეუბნებით:

— ქალაქში სიწყნარეა.

ბებია იცინის:

— ისინი ჯერ ისვენებენ, ნახავთ, საღამოთი რა იქნება!

— რა იქნება, ბები?

— თავდაპირველად ჩხრეკა. ყველა სახლს დაივლიან და გაჩხრეკენ. წაიღებენ ყველაფერს, რაც მოეწონებათ. ერთი ომი უკვე გადავიტანე და არაფერი მესწავლება. ჩვენ არაფრის არ უნდა გვეშინოდეს — ჩვენთან წასაღებს ვერაფერს იპოვნიან, თანაც ვიცი, მათ როგორ უნდა ველაპარაკო.

— მაინც რას ეძებენ, ბები?

— ჯაშუშებს, იარაღს, საბრძოლო მასალას, საათებს, ოქროს, ქალებს.

მართლაც, დღის მეორე ნახევრიდან ჯარისკაცები სახლების ჩხრეკას იწყებენ. თუ არავინ არ გამოეპასუხათ, ჰაერში ისვრიან, მერე კი კარს ამტვრევენ.

ბევრი სახლი დაცარიელებულია. ბინადრებმა ან სამუდამოდ დატოვეს თავიანთი სახლ-კარი ანდა ტყეში იმალებიან. ჯარისკაცები უპატრონო სახლებსა და მალაზიებსაც გულმოდგინედ ჩხრეკენ.

მიტოვებულ სახლებსა და მალაზიებში ჯარისკაცების მერე ქურდები შედიან. ისინი უმთავრესად ბავშვები, მოხუცები და ზოგჯერ ქალებიც არიან — ვისაც არაფრის ეშინიათ, ანდა ძალიან ღარიბები არიან.

გზაზე კურდღლისტუჩას ვხვდებით. ერთი იღლია კაბები და ფეხსაცმელი მოაქვს.

— იჩქარეთ, სანამ კიდევ დარჩა რამე, — გვეუბნება ის, — მე უკვე სამჯერ ვიყავი მალაზიაში.

ჩვენც მივდივართ „წიგნებისა და საკანცელარიო საქონლის“ მალაზიაში. კარი აქაც ჩამტვრეულია. მალაზიაში მხოლოდ რამდენიმე ბავშვია — ისინი იღებენ ფანქრებს, ფერად ცარცს, საშლელებს, ფანქრის სათლელებსა და სასკოლო ზურგჩანთებს.

ჩვენ აუჩქარებლად ვიღებთ იმას, რაც გვჭირდება: მრავალტომიან ენციკლოპედიას, ფანქრებს და ქალაღს.

გზაზე მოხუცებული კაცი და ქალი დაშაშხულ ბარკალზე ჩხუბობენ. მათ ირგვლივ ხალხი შეგროვილა, მოხუცებს საჩხუბრად აქეზებენ და იცინიან. დედაბერი კაცს სახეს აკაწრის, ბოლოს მირბის და თან მი-  
აქვს ბარკალი.

ნაქურდალი სპირტიანი სასმელით გამომთვრალი მაროდორები ჩხუბობენ, ამტვრევენ გაძარცვული სახლებისა და მალაზიების ფანჯრებს.

და ვიტრინებს, ამსხვრევენ ჭურჭელს, ანადგურებენ ყველაფერს, რაც არ სჭირდებათ, ანდა რისი წაღებაც არ შეუძლიათ.

ჯარისკაცებიც სვამენ და კვლავ შედიან სახლებში — ამჯერად ისინი ქალებს ეძებენ.

ყველგან სროლისა და გაუპატიურებული ქალების კივილი ისმის.

რატუშის მოედანზე ერთი ჯარისკაცი აკორდეონს უკრავს, დანარჩენები მღერიან და ცეკვავენ.

## ხ ა ნ ძ ა რ ი

უკვე რამდენიმე დღეა ჩვენი მეზობელი ქალი აღარ დაგვინახავს — ბაღში აღარ გამოდის. აღარც კურდღლისტუჩა ჩანს სადმე. მივდივართ მათი ამბის გასაგებად.

სახლის კარი ღიაა. შევდივართ შიგნით. თუმცა გარეთ მზეს კამკაში გაუდის, შიგნით სიბნელეა, იმიტომ რომ, სახლს ძალზე პატარა ფანჯრები აქვს:

თვალი სიბნელეს რომ ერგევა, ვხედავთ ჩვენს მეზობელს. ის გაუნძრევლად წევს სამზარეულოს მაგიდაზე, ფეხები ძირს აქვს ჩამოკიდებული, ხელები კი თვალებზე მიუფარებია.

კურდღლისტუჩა მთლად შიშველი წევს საწოლზე. გაფარჩხულ ფეხებშია სისხლისა და სპერმის გუბე დვას. წამწამები, ამჯერად უკვე სამუდამოდ, ერთმანეთს მიწებებია, სამარადისო ღიმილით გაპოზილი ბაგიდან კი ჩაშავებული კბილები მოუჩანს: კურდღლისტუჩა მკვდარია.

მეზობელი გვეუბნება:

— წადით აქედან.

ჩვენ ახლოს მივდივართ და ვეკითხებით:

— რა, თქვენ ყრუ არ ხართ?

— არც ყრუ ვარ და არც ბრმა. წადით.

ჩვენ ვეუბნებით:

— გვინდა რაიმეთი დაგეხმაროთ.

— არ მინდა დახმარება. უკვე აღარაფერი აღარ მინდა. წადით.

— რა მოხდა? — ვეკითხებით ჩვენ.

— ვერა ხედავთ, რა მოხდა? გოგო მკვდარია, ხომ?

— დიახ. ეს ახალმა უცხოელებმა ჩაიდინეს?

— ჰო, თვითონ მოიხმო ისინი. გზაზე გავიდა და ანიშნა, სახლში შემოსულიყვნენ. თორმეტნი თუ თხუთმეტნი იყვნენ და მათ ერთმანეთის მიყოლებით დაბუბნეს. ის კი ყვიროდა: „ო, კარგია, კარგი, მოდი, მოდი, ყველა ჯერჯერით მოდი!“ ის ბედნიერი მოკვდა — სასიკვდილოდ დაბუბნილი. მე კი არ ვკვდები. უკვე აღარ ვიცი, რამდენი ხანია, რაც აქ ვწევარ უსმელ-უჭმელი, სიკვდილი კი მაინც არ მოდის. შენ თუ უხმობ, ის არასოდეს არ მოდის. სიკვდილს ჩვენი წამება მოსწონს. აგერ უკვე რამდენი წელია ვეძახი, მაგრამ ჩემი არ ესმის.

ჩვენ ვეკითხებით:

— სიკვდილი ნამდვილად გინდათ?

— სხვა აბა რაღა უნდა მინდოდეს? თუ მართლა გინდათ ჩემი დახმარება, სახლი დაწვით. არ მინდა ამ დღეში ვინმემ გვნახოს.

— ეს ხომ ძალიან მტკივნეული იქნება?

— ეს უკვე არაა თქვენი საქმე. დაწვით სახლი, თუკი შეგიძლიათ.

— ჰო, ქალბატონო, შეგვიძლია. ჩვენი იმედი გქონდეთ.

ჩვენ მას სამართლებლით ყელს ვჭრით, მერე არმიის სატვირთო მანქანიდან ბენზინს ვიღებთ, ვახხამთ მკვდრებსაც და სახლის კედლებსაც, ცეცხლს ვუკიდებთ და შინ მივდივართ.

დილით ბებია გვეუბნება:

— ჩვენი მეზობლის სახლი დამწვარა. ორივე შინ ყოფილა. — დედაც და ქალიშვილიც. ნამდვილად გოგოს დარჩა რამე ცეცხლზე — იმისგან მოსალოდნელი იყო.

ჩვენ მეზობელი ქალის ეზოში ქათმებისა და ბოცვრების წამოსაყვანად გადავდივართ, მაგრამ სხვა მეზობლებს ყველაფერი ღამითვე დაუტაცნიათ.

### ომის დასასრული

უკვე რამდენიმე დღეა ვხედავთ, უწყვეტ ნაკადად როგორ მიედინება ბებიას სახლის წინ ახალი უცხოელების გამარჯვებული არმია — რომელსაც ახლა ჩვენს განმათავისუფლებელ არმიას ვეძახით.

განმათავისუფლებელთა ტანკები, ზარბაზნები, ჯავშნიანი ავტომობილები და სატვირთო მანქანები დღე და ღამე განუწყვეტლივ გადადიან საზღვარზე. ფრონტი სულ უფრო და უფრო გვშორდება და მეზობელი ქვეყნის სიღრმეში ინაცვლებს.

საპირისპირო მიმართულებით მეორე ნაკადი მიემართება: მოდიან დამარცხებულთა ტყვეები. მათ შორის ბევრი ჩვენი თანამემამულეცაა. ტყვეებს ისევ ფორმა აცვიათ, მაგრამ უიარალოდ არიან და არც რაიმე განმასხვავებელი ნიშნები აქვთ. ტყვეები თავდახრილები მიაფრატუნებენ სადგურისაკენ, სადაც ვაგონებში სხამენ და მიჰყავთ — არავინ იცის სად ან რამდენი ხნით.

ბებია ამბობს: ისინი შორს, ცივსა და უკაცრიელ ადგილებში მიჰყავთ, სადაც ისეთ ძნელ სამუშაოზე ამუშავებენ, რომ უკან ველარავინ დაბრუნდება, ყველა სიცივისაგან, აუტანელი შრომისაგან, შიმშილისა და ათასნაირი ავადმყოფობისაგან დაიხოცებაო.

ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებიდან ერთი თვის შემდეგ ომი დამთავრდა. განმათავისუფლებლები ჩვენს ქვეყანას იპყრობენ — ხალხი ამბობს, სამუდამოდო. ამიტომაც ბებიას ვთხოვთ, გვასწავლოს მათი ენა. ბებია გვეუბნება:

— რა მასწავლებელი მე მნახეთ! როგორ უნდა გასწავლოთ?

ჩვენ ვეუბნებით:

— ძალიან უბრალოდ, ბები, მთელი დღე მარტო მაგათ ენაზე გველაპარაკეთ — ბოლოს და ბოლოს მივხვდებით ყველაფერს.

მალე ენას იმდენად კარგად ვსწავლობთ, რომ ვთარგმნით ადგილობრივ მკვიდრთა საუბარს განმათავისუფლებლებთან. ამით ვსარგებლობთ და შუამავლობას ვეწევით, როცა სამხედროები სიგარეტს, შოკოლადსა და თამბაქოს მოსახლეობას ღვინოში, არაყსა და ხილში უცვლიან.

ფულზე აღარაფერი იყიდება. ყველაფერი ერთმანეთში იცვლება. გოგოები ჯარისკაცებთან იძინებენ, რის სამაგიეროდაც ჯარისკაცები მათ განთავისუფლებულ ქალაქებში ნაშოვნ აბრეშუმის წინდებს, სამკაულებს, სუნამოს, საათებსა და სხვადასხვა ნივთებს ჩუქნიან.

ბებია თავისი საზიდით ბაზარში აღარ დადის. ~~მარტო~~ ახლა მასთან მოდიან კარგად ჩაცმული ქალები და ეხვეწებიან, ~~ქალებთან~~ ძეხვი ბეჭედში ან საყურეებში გაგვიცვალო.

ხალხი სასურსათო ბარათებს ღებულობს. დილის ოთხი საათიდან ხორცისა და პურის მაღაზიებთან გრძელი რიგები დგება. სხვა მაღაზიები დაკეტილია. რით ივაჭრებენ, როცა აღარაფერი აქვთ.

საყოველთაო უშოვარობაა.

ჩვენ და ბებიას კი ყველაფერი გვაქვს, რაც გვჭირდება.

რამდენიმე ხნის მერე ჩვენს ქვეყანას საკუთარი მთავრობა და არმია ისევ გამოუჩნდა, თუმცა ხელისუფლება და არმიაც ჩვენი განმათავისუფლებელთა კონტროლს ექვემდებარებიან. მათი დროშა ყველა საზოგადოებრივ შენობაზე ჰკიდია. ყველგან მათი ბელადის სურათებია. განმათავისუფლებლები გვასწავლიან თავიანთ ცეკვებსა და სიმღერებს; კინოთეატრებში გვიჩვენებენ თავიანთ ფილმებს. სკოლებში სავალდებულო ენად მათი ენა შემოიღეს, ყველა დანარჩენი უცხო ენა აკრძალულია.

აკრძალულია ჩვენი განმათავისუფლებლებისა და ჩვენი ახალი მთავრობის კრიტიკა. აკრძალულია მათზე ხუმრობა. საკმარისია ადამიანის დასმენა, რომ მათ გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ციხეში ამოაყოფინონ თავი. ხალხი — ქალებიცა და კაცებიც უკვალოდ ქრებიან, არავინ იცის რატომ. ოჯახები ველარაფერს გებულობენ მათ შესახებ.

საზღვარი აღადგინეს. ახლა მისი გადალახვა შეუძლებელია.

ჩვენი ქვეყანა ეკლიანი მავთულით შემოლობეს, და სულ მოწყვეტილი ვართ დანარჩენ სამყაროს.

### სკოლა კვლავ იხსნება

შემოდგომაზე ჩვენ გარდა, ყველა ბავშვი კვლავ სკოლაში მიდის. ბებიას ვეუბნებით:

— ბები, ჩვენ არ გვინდა სკოლაში სიარული.

ის გვეუბნება:

— ძალიანაც კარგი, მე თქვენ სახლში მჭირდებით. თანაც იქ ახალი რაღა უნდა გაიგოთ?

— არაფერი, ბები, სრულიად არაფერი.

მალე წერილს ვღებულობთ, ბებია გვეკითხება:

— რა სწერია შიგ?

— რა და ისა, რომ თქვენა ხართ ჩვენზე პასუხისმგებელი და ჩვენ ვალდებულები ვართ გამოვცხადდეთ სკოლაში.

ბებია ამბობს:

— შეაგდეთ ღუმელში. არც მე და არც თქვენ წერა-კითხვა არ ვიცით. წერილი არავის არ წაგვიკითხავს.

წერილს ვწვავთ. რამდენიმე დღის შემდეგ მოდის კიდევ ერთი წერილი. წერილში წერია, თუ ჩვენ სკოლაში არ ვივლით, ბებია კანონით დაისჯება. ამ წერილსაც ღუმელში ვაგდებთ და ბებიას ვგუბნებით:

— ბები, არ დაგავიწყდეთ, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი ყრუ არის, მეორე კი ბრმა.

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ მოდის ვილაც კაცი და ამბობს:

— მე დაწყებითი სკოლების ინსპექტორი ვარ. თქვენს სახლში ცხოვრობს ორი ბავშვი, ასაკის მიხედვით მაგათზე საყოველთაო განათლების კანონი ვრცელდება. თქვენ უკვე ორი წერილობითი გაფრთხილება მიიღეთ.

ბებია ეუბნება:

— წერილებზე გვეუბნებით? არ ვიცი, არ წამიკითხავს. არც მე და არც ბავშვებმა წერა-კითხვა არ ვიცით.

ერთ-ერთი ჩვენგანი კითხულობს:

— ვინ არის ეს კაცი ან რაზე ლაპარაკობს?

მეორე პასუხობს:

— ის კითხულობს, ვიცით თუ არა კითხვა. შესახედავად როგორია?

— მაღალია და ბრაზიანი იერი აქვს.

ორივე ერთად ვიწყებთ ყვირილს:

— წადით! არ მოგვეკაროთ! არ მოგვეკლათ! გვიშველეთ!..

ჩვენ მაგიდის ქვეშ ვიმალებით. ინსპექტორი ბებიას ეკითხება:

— რა დაემართათ?

ბებია ამბობს:

— აჰ, საცოდავებს ყველასი ეშინიათ! დიდ ქალაქში საშინელება გადაიტანეს. თანაც, ერთი ყრუ არის, მეორე კი ბრმა. ამიტომაც ყრუ ბრმას უყვება, რასაც ხედავს, ბრმა კი ყრუს იმას უყვება, რაც ესმის. სხვაგვარად აბა რას გაიგებენ.

ჩვენ მაგიდის ქვეშ ყვირილს განვაგრძობთ:

— გვიშველეთ! გვიშველეთ! ყველაფერი ინგრევა! არ შემიძლია ამ გრუხუნის ატანა! ვერაფერს ვხედავ!

ბებია უხსნის:

— ხომ ნახეთ? როცა ვინმე აშინებთ, იმას ხედავენ და ის ესმით, რაც არ არის.

ინსპექტორი თავს უქნევს.

— ჰალუცინაციები ჰქონიათ. საავადმყოფოში უნდა დააწვინოთ.

ჩვენ უფრო ხმამაღლა გავკვივით.

ბებია ამბობს:

— ეგ უარესია, ყველაფერი ხომ საავადმყოფოში მოხდა. ისინი დედას საავადმყოფოში ნახულობდნენ ხოლმე — მათი დედა იქ მუშაობდა. ერთხელაც, სწორედ მათი იქ ყოფნის დროს, საავადმყოფო დაბომბეს. ბავშვებმა ნახეს აფეთქება, მკვდრები, დაჭრილები; თვითონაც სამი დღე უგონოდ იყვნენ.

ინსპექტორი ამბობს:

— საცოდავი ბავშვები. მშობლები სადა ჰყავთ?

— ან დაიხოცნენ, ან დაიკარგნენ. ვინ იცის, რა დაემართათ.

— ეს ალბათ მძიმე ტვირთია თქვენთვის.

— რას იზამ. ჩემ გარდა არავინა პყავთ.

წასვლის წინ ინსპექტორი ხელს ართმევს ბებიას:

— თქვენ ძალიან კეთილი ქალი ხართ.

მალე კიდევ ერთ წერილს ვღებულობთ — წერილში წერდა, რომ ფიზიკური ტრავმებისა და ფსიქიკური მდგომარეობის გამო განთავისუფლებულები ვართ სკოლაში სიარულისაგან.



### ბებია ვენახს ყიდის

ბებიასთან მოდის ოფიცერი. ოფიცერს სურს, რომ ბებია ვენახი გაყიდოს; არმია ამ ადგილას შესაზღვრეებისათვის ყაზარმა უნდა ააშენოსო.

ბებია ეუბნება:

— რით უნდა გადამიხადოთ? ფული ახლა გაუფასურებულია.

ოფიცერი ეუბნება:

— თქვენი ვენახის სამაგიეროდ სახლში ელექტრობასა და წყალსადენს შემოგიყვანთ.

ბებია ეუბნება:

— არ მინდა თქვენი წყალსადენი და ელექტრობა. მთელი სიცოცხლე უმაგისოდაც მშვენივრად გავდიოდი იოლას.

ოფიცერი ეუბნება:

— ჩვენ შეგვეძლო სულაც ჩამოგვეერთვა თქვენთვის ვენახი და არაფერი გადაგვეხადა. ეგრეც ვიზამთ, თუკი უარს იტყვით გაყიდვაზე. არმიას სჭირდება თქვენი ნაკვეთი. ჩვენთვის მისი გადმოცემა — თქვენი პატრიოტული მოვალეობაა.

ბებია რალაცის სათქმელად პირს აღებს, მაგრამ საქმეში ჩვენ ვერევიტ:

— ბები, უკვე მოხუცდით და თქვენთვის მუშაობა ადვილი აღარაა. ვენახი თქვენთვის ზედმეტი ბარგია, თანაც ცუდად ისხამს, სარგებლობა ცოტა მოაქვს. მეორეს მხრივ, სახლის ფასი ძალზე აიწევს თუ წყალსადენსა და ელექტრობას შემოიყვანენ.

ოფიცერი ამბობს:

— თქვენი შვილიშვილები თქვენზე საზრიანები არიან, ბები.

— მაშ არადა. რას იზამ. მაშინ მაგათ მოელაპარაკეთ. დაე, მაგათ გადაწყვიტონ.

ოფიცერი ამბობს:

— მაგრამ თქვენი ხელმოწერა დამჭირდება.

— რაზეც გინდათ მოგიწერთ ხელს, თუმცა წერა არ ვიცი.

ბებია ტირის. დგება და გვეუბნება:

— თქვენ მოელაპარაკეთ.

ბებია ვენახში მიდის.

ოფიცერი ამბობს:

— საწყალი მოხუცი. უყვარს თავისი ვენახი, არა? ასე რომ, მოვილაპარაკეთ, ხომ?

ჩვენ ვეუბნებით:

— როგორც ახლა თვითონვე აღნიშნეთ, მიწის ეს ნაკვეთი ბებიას თვალში დიდად ფასობს — ეს მისთვის ხსოვნასავეით ძვირფასია. უიშვებელია, არმია არ წაართმევს მძიმე, პატიოსანი შრომით მოპოვებულ საკუთრებას საცოდავ მოხუცს, რომელიც, სხვა რომ არა იყოს, ჩვენი გმირ განმათავისუფლებელთა ქვეყნის მკვიდრია.

— ოჰო! მაშასადამე, წარმოშობით...

— დიახ, ასეა. ის შესანიშნავად ლაპარაკობს მათ ენაზე. სხვათა შორის, ჩვენც. და თუ აპირებთ, ბოროტად გამოიყენოთ...

ოფიცერი საჩქაროდ გვაწყვეტინებს:

— არა, არა, არავითარ შემთხვევაში! რას ითხოვთ ვენახის სანაცვლოდ?

— უკვე დაპირებულ ელექტრობასა და წყალგაყვანილობასთან ერთად გვესაჭიროება აბაზანა.

— კიდევ რა? სად გინდათ დადგათ აბაზანა?

ოფიცერი შეგვყავს ჩვენს ოთახში და ვუჩვენებთ, სად უნდა მიაშენონ სააბაზანო.

— აი, აქ. ისე, რომ კარი ოთახში გამოდიოდეს... შვიდი-რვა კვადრატული მეტრი. შიგ აბაზანაც უნდა მოთავსდეს, ნიჟარაც და შხაპიც, წყლის გამაცხელებელიც და საპირფარეშოც.

ის კარგა ხანს გვიყურებს, მერე გვეუბნება:

— კეთილი, ეს შესაძლებელია.

— გარდა მაგისა, რადიომიმღები გვინდა. აქ ვერსად იშოვის კაცი.

— სულ ეს არის?

— დიახ. სულ ეს არის.

ოფიცერი იცინის:

— კეთილი, გეჭნებათ აბაზანაც, და რადიოც, მაგრამ მიჯობდა ბებიასტყვენთან შევაჭრა.

### ბებია ავადყოფილება

ერთ დილას ბებია არ გამოდის ოთახიდან. ვუკაკუნებთ, ვეძახით, მაგრამ არ გვპასუხობს.

მაშინ ფანჯრის ჩარჩოს ვამტვრევთ და შიგნით ვძვრებით.

ბებია საწოლზე გაუნძრევლად წევს, მაგრამ სუნთქავს, გულიც უცემს. ერთ-ერთი ჩვენგანი მასთან რჩება, მეორე ექიმის მოსაყვანად გარბის.

ექიმი ბებიას სინჯავს და ამბობს:

— თქვენს ბებიას ინსულტი აქვს — ტვინში სისხლჩაქცევა.

— მოკვდება?

— დანამდვილებით რაიმეს თქმა ძნელია. საკმაოდ ხანდაზმულია, მაგრამ გული კარგად მუშაობს. ეს წამლები დღეში სამჯერ დააღვეინეთ. ამასთან ვინმემ უნდა მოუაროს.

ჩვენ ვეუბნებით:

— ჩვენ თვითონ მოვუვლით. რა უნდა გავაკეთოთ?



— აჭამოთ. დაბანოთ. ეტყობა, სამუდამოდ დადამბლავებული დარჩება.

ექიმი მიდის. ჩვენ ვამზადებთ ბოსტნეულის პიურეს და ბებიას პატარა კოვზით ვაჭმევთ. საღამოთი ბებიას ოთახში საშინელი სუნის დადგა. ვხდით საბანს და ვხედავთ, ლეიბი სულ განავლითაა მოსვრილი.

გლახისგან ვყიდულობთ ნამჯას. ვყიდულობთ აგრეთვე მუშაობის საბავშვო შარვალს და ჩვრებს.

ბებიას ყველაფერს ვხდით, ვაბანავებთ, ვუცვლით ქვეშაგებს. ის ისეთი გამხდარია, რომ ბავშვის შარვალი მშვენივრად მოერგო. ჩვრებს დღეში რამდენჯერმე ვუცვლით.

ერთი კვირის მერე ბებია მხელი ცოტა აამოძრავა. ერთ დილას კი მოჰყვა ჩვენს ლანძღვა-გინებას:

— ძაღლის ლეკვებო! ჩქარა ქათამი შემიწვიოთ! თქვენი აზრით, როგორ უნდა მოვმჯობინდე, ძალა რამ უნდა მომცეს — იმ თქვენი ბოსტნეულის წყალწყალა ფაფებმა? თხის რძეც მომიტანეთ! იმედია, სანამ ვიწექი, მეურნეობა არ მიგიგდიათ!

— არა, ბები, არ მიგიგდია!

— აბა, უსაქმურებო, მიშველეთ წამოდგომაში!

— ბები, უნდა იწვე, ასე გვითხრა ექიმმა.

— ექიმი, ბრექიმი! სულელია თქვენი ექიმი! სამუდამოდ დადამბლავებული დარჩებო! თქვა რალა! ვუჩვენებ, როგორი დადამბლავებულიცა ვარ!

ბებია წამოდგომაში ვეხმარებით, შეგვყავს სამხარეულოში და ვსვამთ მაგიდასთან. ქათამს ვუწვავთ, ბებია მარტო ჭამს მთელ ქათამს. ჭამის მერე გვეუბნება:

— რალას უყურებთ, გამომიჭერით მაგარი ჯოსი! ჩქარა, უქნარებო! საკუთარი თვალთ მინდა შევამოწმო მეურნეობა.

ჩვენ ტყეში გავრბივართ, ვპოულობთ შესაფერის ხეს, სირბილით ვბრუნდებით უკან და ბებიის მეთვალყურეობით ვაკეთებთ საჭირო ზომის საბიჯგელას. ბებია გვართმევს ჯოსს და გვემუქრება:

— გაჩვენებთ სეირს, ყველაფერი რიგზე თუ არ არის!

ის ბაღში გადის. ჩვენ მოშორებით მივყვებით. მერე შედის საპირფარეოში და გვესმის, როგორ ბურტყუნებს:

— შარვალი! დახე, რა მოიგონეს! სულ შეიშალნენ!

ბებია სახლში რომ ბრუნდება, საპირფარეოს ორმოს ვიხედებით. ბებია შარვალი და ჩვრები შიგ ჩაუყრია.

### ბებია ბანძი

ერთ საღამოს ბებია გვეუბნება:

— კარ-ფანჯარა ჩაკეტეთ! მინდა რალაცაზე დაგელაპარაკოთ, მაგრამ არავინ არ უნდა მოგვისმინოს.

— ჩვენთან აღარავინ დადის, ბები.

— სულ ერთია. მესაზღვრეები ერთთავად ჩვენს ირგვლივ დაწან-  
წალებენ. იმათგან კი, კარგად იცით, ფანჯარასთან მიყურადება გასაკ-  
ვირი არ არის. მომიტანეთ ფანქარი და ქალაღდი.

ჩვენ ვეკითხებით:

— ბები, რამე უნდა დაწეროთ?

ის გვიყვირის:

— გამიგონეთ, რასაც გეუბნებით! ნუ იძლევიტ სულელურ კი-  
თხეებს!

ჩვენც ვხურავთ კარსა და ფანჯრებს, მოგვაქვს ფანქარი და ქალა-  
ღდი. ბებია მოპირდაპირე მხარეს უზის მაგიდას. ქალაღდზე რაღაცას  
ხატავს, თან ჩურჩულებს:

— აი, სადაა დამალული ჩემი განძი.

ის ფურცელს გვაძლევს. ქალაღდზე დახატულია მართკუთხედი,  
ჯვარი, ჯვრის ქვეშ კი რგოლი. ბებია გვეკითხება:

— გასაგებია?

— გასაგებია, ბები, მაგრამ ჩვენ ეს დიდი ხანია ვიცით.

— რაო? რა იცით დიდი ხანია?

ჩვენ ჩურჩულით ვპასუხობთ:

— რაღა, თქვენი განძი პაპაჩვენის საფლავის ჯვრის ქვეშ რომაა  
დამარხული.

რამდენიმე წუთს ბებია დუმს, მერე გვეუბნება:

— თვითონვე უნდა მივმხვდარიყავი. დიდი ხანია, რაც იცით?

— ძალიან დიდი ხანია, ბები. მივხვდით, როგორც კი ვნახეთ, რო-  
გორ უვლიდით პაპის საფლავს.

ბებია მძიმედ სუნთქავს:

— კარგი. სანერვიულო არაფერია. სულ ერთია, ის მაინც თქვე-  
ნია. თქვენ კი საკმაოდ ჭკვიანები ხართ საიმისოდ, რომ განძი საზრი-  
ანად გამოიყენოთ.

ჩვენ ვეუბნებით:

— ამჟამად მაგაში არაფერი ხეირი არა ყრია.

ბებია გვპასუხობს:

— მართალი ხართ. მოცდა მოგიწევთ. მოცდა ხომ შეგიძლიათ, პა?

— რა თქმა უნდა, ბები.

ერთხანს ყველანი ვდუმვართ, ბოლოს ბებია ამბობს:

— აი, კიდევ რა უნდა გითხრათ. მინდა იცოდეთ: როცა კიდევ ერ-  
თხელ ჩამექცევა სისხლი, აღარ მჭირდება თქვენი ბანაობა, შარვლები  
და ჩვრები.

ის დგება, თაროზე იქექება, სადაც ბოთლები და წამლის შუშები  
უწყვია, იღებს პატარა ლურჯ შუშას და გვეუბნება:

— აი, იმ თქვენი აქოთებული წამლების მაგივრად პირველსავე  
ჭიქა რძეში ეს ჩაასხით.

ჩვენ ვდუმვართ. ის გვიყვირის.

— გასაგებია, ძაღლის ლეკვებო?

ჩვენ მაინც ვდუმვართ. ის გვეუბნება:

— თქვენ რა, გეშინიათ არ გამკვეთონ, კახპის ნაშიერებო? გამკვეთონ არა! ვინ გაიწვალებს თავს ბებრუხანასთვის, რომელიც მწორედ სისხლის ჩაქცივის შემდეგ მოკვდება.

ჩვენ ვეუბნებით:

— გაკვეთისა არ გვეშინია, ბები. მაგრამ იქნებ მწორედ შეძლოთ გამოკეთება?

— არა. ველარ შევძლებ. ვიტყვი ასე რომ, ჯობს ყველაფერი უცებ დასრულდეს.

ჩვენ ვდუმვართ. ბებია ტირის:

— არ იცით, რას ნიშნავს დადამბლავენა. ყველაფერს ხედავ, ყველაფერი გესმის, მაგრამ განძრევა არ შეგიძლია. თუ თქვენ ჩემთვის ამასაც ვერ გააკეთებთ, მაშასადამე, უმადური პირუტყვები ყოფილხართ, უბეში გველები გამომიზრდია!

ჩვენ ვეუბნებით:

— ნუ ტირით, ბები. თუ მართლაც გინდათ, რომ ასე მოვიქცეთ, ასე მოვიქცევით.

მამა

გარეთ წვიმს. საშივე სამზარეულოში ვსაქმიანობთ. ამ დროს ჩამოდის მამა.

მამა ზღურბლზე ფეხებგაჩაჩხული დგას. ხელები გულზე დაუკრეფია და გვეკითხება:

— სად არის ჩემი ცოლი?

ბებია ფხუკუნებს:

— ჰოო! მაშასადამე, მართლა ჰყოლია ქმარი!

მამა პასუხობს:

— დიახ, მე თქვენი ქალიშვილის ქმარი ვარ. თქვენი კი ჩემი შვილები არიან.

ის ჩვენ გვაშტერდება და დააყოლებს:

— ძალიან გაზრდილხართ, მაგრამ სულ არ შეცვლილხართ.

ბებია ამბობს:

— შენმა ცოლმა — ჩემმა ქალიშვილმა — ბავშვები მე ჩამაბარა.

მამა ეუბნება:

— ჯობდა სხვა ვინმესთვის ჩაებარებინა. სად არის-მეტქი ჩემი ცოლი? მითხრეს, საზღვარგარეთ წავიდაო, მართალია?

ბებია ეუბნება:

— ეს ძველი ამბავია. ამდენ ხანს სად იყავი?

— ტყვედ ვიყავი. ახლა კი მინდა ჩემი ცოლი მოვნახო, ნურაფერს დამიმაღავ, ბებერო კუდიანო!

ბებია ეუბნება:

— დიდებულად მიხდი მადლობას იმისთვის, რაც შენს შვილებს გავუკეთე.

მამა ღრიალებს:

— მიმიფურთხებია მაგისტვის! სად არის-მეტქი ჩემი ცოლი?

ბებია ეუბნება:

— მიგიფურთხებია? შენ შვილებისთვის და ჩემთვის მიგიფურთხებია?... კარგი, ამ წუთში გიჩვენებ, სად არის შენი ცოლი!

ბებია ბალში გადის. ჩვენ უკან მივყვებით. ბალში თავისი ჯიბით ჩვენებს ჩვენ მიერ დედის საფლავზე გაშენებულ ყვავილნარს.

— აი, აი, სადაა შენი ცოლი! მიწაშია!

მამა კითხულობს:

— მოკვდა? როდის? რამ მოკლა?

ბებია ეუბნება:

— რამ და ყუმბარამ. ომის დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე.

— ადამიანის დამარხვა, სადაც მოხვდება, აკრძალულია.

ბებია პასუხობს:

— დავმარხეთ იქ, სადაც დაიღუპა. და ეს არ არის „სადაც მოხვდება“. ეს ჩემი ბალია. ჩემი ბალი იყო მაშინაც, როცა ის პატარა გოგონა იყო.

მამა უყურებს სველ ყვავილებს და ამბობს:

— მინდა ვნახო.

ბებია ეუბნება:

— არა ღირს. არ ვარგა მკვდრების შეწუხება.

— სასაფლაოზე უნდა დავკრძალოთ აუცილებლივ. ყველაფერი წესის მიხედვით უნდა მოხდეს. მომიტანეთ ნიჩაბი.

ბებია მხრებს იჩეჩავს.

— მოუტანეთ ნიჩაბი.

ვდგავართ წვიმაში და ვუყურებთ, როგორ ანადგურებს მამა ჩვენს პატარა ყვავილნარს და თხრის ორმოს. ის აღწევს საბნებამდე და იღებს მათ. ორმოში წევს ორი ჩონჩხი — დიდი და პატარა. პატარა ნეკნებით დიდთანაა გადაბმული.

მამა კითხულობს:

— ეს რა არის? ზედ რა აქვს?

ჩვენ ვეუბნებით:

— ეს ბავშვია. ჩვენი პატარა და.

ბებია ამბობს:

— ხომ გეუბნებოდი, არ ვარგა-მეთქი მკვდრების შეწუხება. წავიდეთ სამხარეულოში, ხელები დაიბანე.

მამა არ პასუხობს. ის ორმოში ორ ჩონჩხს მისჩერებია. სახეზე ჩამოსდის ერთმანეთში არეული ოფლის, ცრემლის და წვიმის წვეთები. ორმოდან ძლივს ამოფოფხდება და უკანმოუხედავად მიდის. ხელები და ტანსაცმელი თიხით აქვს მოსვრილი.

ბებიას ვეკითხებით:

— ახლა რა უნდა ვქნათ?

— ორმო უნდა ამოვავსოთ, სხვა აბა რას ვიზამთ?

— შინ წადით, ბები, ყველაფერს ჩვენ მივხედავთ.

ჩონჩხები საბნიანად სხვენზე აგვაქვს და ძვლებს ჩალაზე გასაშრობად ვაწყობთ. მერე ჩამოვდივართ ბალში და ვავსებთ ცარიელ ორმოს.

შემდეგ რამდენიმე თვის მანძილზე ვასუფთავებთ და გაპრიალებთ დედის, თავის ქალასა და ძვლებს. ვასუფთავებთ ჩვილი ბავშვის ძვლებსაც: მერე გულდასმით ვკინძავთ ჩონჩხებს, ძვლებს წვრილი მავთულით ვაბამთ ერთმანეთს. ამ სამუშაოს რომ ვამთავრებთ, დედის ჩონჩხს სახურავის კოჭზე ვკიდებთ, ბავშვის ჩონჩხს კი კისერზე ვაბამთ.

## მამა ბრუნდება

რამდენიმე წელი მამა აღარ გამოჩენილა.

ამასობაში ბებიას ხელმეორედ დაემართა ინსულტი და, როგორც გვთხოვა, სიკვდილში დავეხმარეთ. ის ახლა პაპის გვერდით მარხია. სანამ სამარეს გაჭრიდნენ, საგანძური ამოვიღეთ და ჩვენი ფანჯრის წინ, მერხის ქვეშ ჩავფალით, სადაც დღემდე ინახება შაშხანა, ვაზნები და გრანატები.

ერთ საღამოს ჩამოდის მამა და გვეკითხება:

— ბებია სადღაა?

— მოკვდა.

— მარტო ცხოვრობთ? მერე როგორ გაგაქვთ თავი?

— მშვენივრად, მამა.

ის გვეუბნება:

— მე აქ მალულად ჩამოვედი. უნდა დამეხმაროთ.

ჩვენ ვეუბნებით:

— უკვე რამდენი წელია თქვენი ამბავი აღარ შეგიტყობინებიათ.

ის ხელებს გვიჩვენებს. თითებზე ფრჩხილები სულ დამძვრალი აქვს.

— ახლახან გამოვედი ციხიდან. მაწამებდნენ.

— რატომ?

— არ ვიცი. ისე, უბრალოდ. მე პოლიტიკურად არასაიმედო ტიპი ვარ. უფლება არა მაქვს ჩემი პროფესიით ვიმუშაო. მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მამყოფებენ. ჩემს ბინას სისტემატურად ჩხრეკენ. აღარ შემიძლია ამ ქვეყანაში ცხოვრება.

ჩვენ ვეუბნებით:

— ესე იგი, გინდათ საზღვარზე გადასვლა.

— ჰო, თქვენ აქ ცხოვრობთ და გეცოდინებათ...

— ჰო, ვიცით, საზღვრების გადალახვა შეუძლებელია.

მამამ თავი ჩაქინდრა, ერთხანს ხელებსაა დაშტერებული, მერე ამბობს:

— სადღაც სუსტი ადგილი მაინც იქნება, რაღაც გზა იქით გასაღწევად...

— სიცოცხლის გარისკვის ფასად — კი...

— სიკვდილი მირჩევნია აქ დარჩენას.

— თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ, მამა, როცა ყველა წვრილმანი გეცოდინებათ.

— გისმენთ! — გვეუბნება ის.

ჩვენც ვუხსნით:

— პირველი პრობლემა ისაა, ეკლიანი მავთულხლართის პირველ რიგს ისე მიაღწიოთ, რომ ან პატრულს არ გადაეყაროთ ანდა საგუშაგო კოშკურებიდან არ შეგამჩნიონ. ეს შესაძლებელია. ჩვენ ვიცით პატრულ-ლირების დრო და კოშკურების განლაგება. ღობის სიმაღლე მეტრნახევარია, სიგანე ერთი მეტრი. ამიტომაც საჭიროა ორი ფიცარი. ერთი ღობეზე აცოცდებით, მეორე კი ზემოდან უნდა გასდოთ, რათა მავთულ-ლებზე გავლა მოახერხოთ, მაგრამ წონასწორობა თუ დაკარგეთ, მავთულ-ლებში ჩავარდებით, იქიდან ამოსვლას კი ვეღარ შეძლებთ.

მამა ამბობს:

— წონასწორობას არ დაეკარგავ.

ჩვენ განვაგრძობთ:

— მერე ეს ორი ფიცარი უნდა აიღოთ, რათა ამავე ხერხით გადახვიდეთ, მეორე რიგის ეკლიან მავთულხლართზე, რომელიც პირველიდან შვიდი მეტრის დაშორებითაა.

მამა იცინის:

— ბავშვური გასართობია!

— დიახ, მაგრამ ღობეებს შორის მანძილი დანალმულია.

მამა ფითრდება.

— მაშასადამე, ეს შეუძლებელია.

— არა. შესაძლებელია, თუ ბედმა გაგიღიმათ. ნალმები ასო W-ს დარად, ზიგზაგისებურად არის განლაგებული. ასე რომ, თუ პირდაპირ გაიქცევით, მხოლოდ ერთ ნალმზე დაბიჯების რისკია. განიერი ნაბიჯებით თუ გადაირბენთ, მაშინ გაპარვის შვიდიდან ერთი შანსი გეძლევათ.

მამა ცოტა ხანს ფიქრობს, მერე ამბობს:

— გავრისკავ.

ჩვენ ვეუბნებით:

— მაშინ მზად ვართ, დაგეხმაროთ. პირველ ღობემდე მოგყვებით.

მამა გვეუბნება:

— კარგი. გმადლობთ. მართლა, საჭმელი თუ გაქვთ რამე?

ჩვენ მაგიდაზე ვაწყობთ პურს, თხის ყველს, გამოგვაქვს ბებიასეული ვენახის შემორჩენილი ღვინოც. ღვინის ჭიქაში ვუწვევებთ ცოტაოდენ ძილის წამალს, რასაც ბებია საუცხოოდ ამზადებდა მცენარეებიდან.

მამა ჩვენს ოთახში მიგვყავს და ვეუბნებით:

— ლამე მშვიდობისა, კარგად გამოიძინეთ, ხვალ დილით გაგაღვიძებთ.

ჩვენ კი ძველებურად სამზარეულოს კუთხეში მერხებზე ვწვებით.

## გ ა ნ შ ო რ ე ბ ა

მეორე დღეს უთენია ვდგებით. პირველ ყოვლისა, ვრწმუნდებით, რომ მამას ღრმად სძინავს.

ვთხრით ბებიას განძს: ოქროსა და ვერცხლის მონეტებსა და უამრავ სამკაულს. დიდ ნაწილს ვყრით თოფრაში. მერე ვიღებთ სათითაო

გრანატას იმ შემთხვევისათვის, თუ ვინცობა პატრულს გადავეყარეთ. პატრულს თუ გავანადგურებთ, შევიძლება გარკვეული დრო მოვიგოთ.

მივდივართ დასაზვერად, რათა ამოვარჩიოთ ყველაზე შესაფერისი ადგილი: ორ კოშკურას შორის მკვდარი ხონა. აქ დიდი ხის ძირში ვმალავთ განძით სავსე თოფრას და ორ ფიცარს.

უკან ვბრუნდებით და ვსაუზმობთ. მოგვიანებით საუზმე შეგვაქვს მამასთან. გასაღვიძებლად კარგა ხანს ვანჯღრევთ. ის თვალებს იფშვინეტს და გვეუბნება:

— დიდი ხანია, ასე ტკბილად არა მძინებია.

ჩვენ მუხლებზე საჭმელით სავსე სინს ვუდგამთ. ის ამბობს:

— ეს ხომ ნამდვილი ნადიმია! რძე, ყავა, კვერცხი, ლორი, კარაქი, მურაბა. დიდ ქალაქში ასეთი რამეები კარგა ხანია აღარ მინახავს. სად მოულობთ?

— ჩვენ ვმუშაობთ. ჭამეთ, მამა, თორემ წასვლამდე დრო აღარ გექნებათ საჭმელად.

ის გვეკითხება:

— დღეს საღამოს წავალ?

— ახლავე, როგორც კი გაემზადებით, მაშინვე.

— გაგიჟდით! არა, მე უარს ვამბობ ამ აყროლებულ საზღვარზე დღისით გადასვლაზე. უმალ დაგვინახავენ.

ჩვენ ვუხსნით:

— ჩვენც ხომ უნდა ვხედავდეთ, მამა. მხოლოდ სულელები ცდილობენ საზღვარზე ღამით გადასვლას. ღამ-ღამობით საზღვარზე ოთხჯერ მეტი პატრულია, ამასთან, საზღვარს გამუდმებით ჩხრეკენ პროექტორებით. დილის თერთმეტი საათისათვის კი მეთვალყურეობა შესუსტებულია. მესაზღვრეები ფიქრობენ, მარტო ვიქი თუ გაბედავს ამ დროს საზღვარზე გადასვლასო.

მამა ამბობს:

— ჰო, რასაკვირველია, მართლები ხართ. თქვენთვის მომინდვია ჩემი ბედი.

ჩვენ ვეკითხებით:

— სანამ ჭამთ, ნებას მოგვცემთ, ჯიბეები გაგისინჯოთ?

— ჯიბეები? ეგ რილასთვის?

— თქვენ არ უნდა ამოგიცნონ. რამე რომ დაგემართოთ და გაიგონ, რომ მამა ხართ ჩვენი, თანამონაწილეობაში დაგვადანაშაულებენ.

— თქვენ ყველაფერი მოგიფიქრებიათ! — გვეუბნება მამა.

— ჰო, საკუთარ უსაფრთხოებაზეც უნდა ვიზრუნოთ!

ტანსაცმელს ვუსინჯავთ. ჯიბეებიდან ვაცლით ყველა ქალღმერთის პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, უბის წიგნაკს, სადაც მისამართები და ტელეფონები უწერია, ტრამვაის ბილეთს, ქვითრებს და დედის ფოტოსურათს. ყველაფერ ამას, დედის ფოტოსურათის გარდა, სამზარეულოს ლუმელში ვწვავთ.

თერთმეტი საათზე სახლიდან გამოვდივართ. თითოეულ ჩვენგანს თითო ფიცარი მოაქვს.

მამას არაფერი მოაქვს. ვუთხარით, უბრალოდ უკან გამოგვყევით და ეცადეთ არ იხმაუროთო. მივდივართ საზღვართან. მამას ვუბრძანებთ, მიწაზე დაწვეს, ხეს მოეფაროს და არ გაინძრეს.

მალე ჩვენი სამალავიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით გამოჩნდა ორი პატრული. გვესმის მათი ლაპარაკი:

— საინტერესოა, სადილად რას მოგვითმანენ?

— რა უნდა მოგვითმანონ. ალბათ ისეთივე ფუნა, როგორც ყოველთვის.

— ფუნაც არის და ფუნაც. გუშინ, მაგალითად, პირს ვერ დააკარებდი. ხან კი არა უშავს, ჭამა შეიძლება.

— არა უშავსო? ერთი დედაჩემის მომზადებული წვნიანი გაგასინჯა!

— დედაშენის მომზადებული წვნიანი არ გამისინჯავს, მე კი დედა არა მყოლია. ასე რომ, მთელი სიცოცხლე ფუნის გარდა არაფერი მიცემია. არმიაში საჭმელი სამყოფი მაინც არის, ხანდახან კი გემოთიც არა უშავს.

პატრულები გვშორდებიან, ჩვენ ვამბობთ:

— მიდი, მამა. შემდგომი პატრულის ჩამოვლამდე ოცი წუთი გვაქვს.

მამა იღლიაში იჩრის ორ ფიცარს და გარბის. ერთ ფიცარს ღობეს მიაყუდებს, და ზემოთ მიფოფხავს.

ჩვენ ხეს ვეფარებით, მიწაზე პირქვე ვწევართ, ყურებში თითები გვაქვს დაცობილი, პირი — დაღებულნი.

გაისმის აფეთქების ხმა.

მივრბივართ ღობესთან, თან მიგვაქვს დამალული ფიცრები და საგანძურიანი თოფრა.

მამა მეორე ღობესთან სულ ახლოს წევს.

დიახ, საზღვრის გადალახვა შეიძლება: ამისათვის შენზე წინ ვინმე უნდა გაუშვა.

ერთ-ერთი ჩვენთაგანი იღებს განძეულის თოფრას, აბიჯებს ზედ მამის ნაფეხურებს, მერე გადაახტება მამის უმოძრაო სხეულს და მიდის სხვა ქვეყანაში.

მეორე ბებიას სახლში ბრუნდება.







სურათი


ლამის ბინდში რომ  
დამდგომოდა მზე მანათობლად,  
მძინარს ლოგინად ნახატები ჩემი მივია,  
და ვწევარ ფერთა ნიაღვარში  
სველი სრულიად,  
დაგმანული მაქვს პირი შენგნით  
და მე ვიხრჩობი,  
სუნთქვა მიჭირს და  
ტანჯვით ვიღვიძებ.  
დღე წინარეა,  
და უსახურ იმედებიანს  
ჯერ როდი მოსავს  
შესაფერი ფერი და ხაზი.  
ავრბივარ მალლა, ფუნჯებია  
სადაც შემხმარი,  
და ჯვარს ვეცმევი ვით იესო,  
მოლბერტს გავშლი და  
ჩემის ნებით მიველურსმნები.  
რაო,  
ეს ჩემი დასასრულია?  
იქნებ ასეა,  
მაგრამ სურათი...  
დასასრულამდე გზა შორია.  
როგორ სავსეა,  
აქ ყოველივე, როგორ მღერის,  
როგორ გადადის,  
თუმცა შეჩერდი, მონასშია  
აგერ ცისფერი,  
მერე მწვანეა  
და წითელი,  
დალაგებულან და სიმშვიდის  
არემარეა.  
ეური მომაპყარ, ჩემეულო,

მკვდარო საწოლო,  
ჩემო ბალახო გადამხმარო  
და სიყვარულო,  
გახსოვს, უშენოდ ვით დამტოვე,  
სულით რადგანაც მე შენი ვიყავ,  
სანუკვარო, აი რას გეტყვი:



ისე გეტრფოდი,  
ისე მსურდი,  
მგვრიდა სიამეს  
შენი სიცოცხლის დარჩენილი  
წელიწადები,  
რომ ვცლი

ფიალას  
ბანგმორეული.  
აჰა სავსე ვარ მთვარით  
ანდა შარავანდედით,  
უმანკოების ნაღვლიანი  
შენი სიზმრებით.  
და მსურს გეწვიო  
ანგელოზად,  
შენად მფარველად.



## ქასანდრა



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ვერმანული

თარგმან რუსუდან ღვინეშვიძის

კვლავ მამტვრევს ტანში შმაგი ეროსი,  
ტკბილმწარე, შლეგი, ხელი ნადირი.  
საფო

აქ მოხდა ეს ამბავი. იქ იდგა იგი. ეს ქვის ლომები, დღეს თავწაგ-  
დებულნი, მას შესცქეროდნენ. ცისე, ოდესღაც აუღებელი, ქვების გრო-  
ვად რომ ქცეულა ახლა, უკანასკნელი იყო, რაც მან იხილა. დიდი ხნის  
ძივიწყებულ მტერსა და დრო-ჟამს, მზეს და ქარწვიმას როგორც შა-  
ლაშინს, ისე გაურანდავს მისი კედლები. მხოლოდღა ცაა ისეთივე ლურ-  
ჯი და ღრმა, მაღალი და თვალშეუდგამი, როგორც მაშინ. უწინდებუ-  
რად მისდევენ კარიბჭისაკენ ერთმანეთს გიგანტური გალავნები, რომე-  
ლთა ძირში არ მოჩქეფს სისხლი. გზა წყვდიადისკენ. სასაკლაოსკენ. და  
მე — მარტო.

ამბავს სიკვდილში შევყავარ.

აქაა ჩემი აღსასრული, და ვერაფერი, ვერაფერი, რაც არ უნდა მე-  
ლონა ან მენება, მენატრა ან მეფიქრა, სხვა მიზანთან ვერ მიმიყვანდა.  
ყოველგვარ აღტყინებაზე, ყოველგვარ ძრწოლაზე უფრო ძლიერად ვარ  
გაქლენთილი, აღვსილი და მოწამლული იმ გულგრილობით, ზეციური  
სამყარო რომ იჩენს ჩვენი, მიწიერი სამყაროს მიმართ. მარცხისთვისაა  
განწირული ყოველი გაბედული ნაბიჯი, ჩვენი სითბო დავახვედროთ  
მის სიცივეს. ამაოდ ვცდილობთ, თავი დავალწიოთ მის კლანჭებს — დი-  
დი ხანია, ვიცი ეს. მაგრამ ცოტა ხნის წინათ, ზღვა რომ უნდა გადაგვე-  
ცურა, როცა ყოველი ცისკიდურიდან ქარები ჩვენს ხომალდს დამსხვ-  
რევას უქადდნენ; როცა ვერავინ უმკლავდებოდა ტალღებს, თუ საიმე-  
დოდ არ იყო დაბმული; როცა მარპესას იმ დროს წავადექი თავზე, სა-  
იდუმლოდ რომ ხსნიდა კვანძებს, რომლებითაც ის და ტყუპები ჯერ ერ-  
თმანეთზე, და ხოლო მერე სამივენი ანძაზე იყვნენ მიბმულნი; როცა მე,  
სხვა ტყვეებთან შედარებით გრძლად დაბმული, დაუფიქრებლად, ანაზ-  
დად დავაცხერი მას; არ დავანებე, გულგრილი სტიქიისათვის მიენდო  
თავისი და ბავშვების სიცოცხლე, და ამის ნაცვლად შეშლილ ადამიან-  
ებს მივაბარე; როცა მის მზერას დავემალე და კვლავ ჩემს ადგილს  
დავუბრუნდი — მგმინავი, გულშემოყრილი აგამემნონის გვერდით, —  
მოსვენებას არ მაძლევდა კითხვა, რა გამძლე მასალისგან უნდა იყოს

იბეჭდება ნაწილი.

ნაქსოვი ის ქამანდები, სიცოცხლესთან რომ გვაკავშირებენ-მეთქი, დავინახე, რომ მარპესა, რომელსაც არ სურდა ჩემთან ლაპარაკი, როგორც ერთხელაც, უწინ, უკეთესად იყო მომზადებული ამ დღევანდელი განცდებისათვის, ვიდრე მე, ნათელმხილველი; რადგან ყოველივე, რასაც ვხედავდი, ჩემში წადილს აღძრავდა — წადილს; იმედს კარგად ვხედავდი კვლავ ვცოცხლობდი, რათა მეხილა.

საოცარია, რომ ყოველი ადამიანის იარაღი — მარპესას დუმილი, აგამემნონის ბობოქრობა — მარად უცვლელი რჩება. მე კი ჩემი იარაღი ნელ-ნელა დავყარე, ეს იყო, რისი შეცვლაც შევძელი.

რად მეწადა ასე ნათელმხილველობა?

იმად, რომა ჩემი ხმით მეღაღადა. ამაზე მეტი, ან სხვა რამ არ მდომებია. საჭიროების შემთხვევაში შემიძლია დავუმტკიცო ეს, მაგრამ ვის? უცხო ხალხს, კადნიერს და ამავე დროს მფრთხალს, ორთვალას გარს რომ შემოხვევია? სიცოცხლის მიზეზი — ნეტავ კიდევ მქონდეს: ჩემი მისწრაფება, თავი მეპართლებინა, სულ ცოტა ხნით ადრე განადგურდა, ვიდრე თვით მე.

მარპესა დუმს. ბავშვების დანახვა აღარ მინდა. მანდილის ქვეშ მიმაღავს ბავშვებს.

მიკენსაც იგივე ცა დაჰყურებს, რაც ტროას, ოლონდ ცარიელი. მინანქარივით მოლივლივე, მიუწვდომელი, კამკამა. ჩემს არსებაში არის რაღაც, რაც ამ უცხო ქვეყნის ცის სიცარიელეს ეხმიანება. და ყოველივე, რაც თავს გადამხდენია, ჩემს სულში პოულობს გამოძახილს. ეს არის ჩემი საიდუმლო, არტახეზივით გარს რომ მარტყია და მამაგრებს. არც ერთ სულიერთან არ მილაპარაკია ამაზე. მხოლოდ აქ, ჩემი სიცოცხლის უკიდურეს ზღვარზე, ძალმიძს საკუთარ თავს გამოვუტყდე: რადგან ყველასგან რაღაც მაქვს შეთვისებული, არავის არ ვეკუთვნოდი მთლიანად, და მათი ჩემდამი სიძულვილიც გასაგები იყო ჩემთვის. ერთხელ, „უწინ“, დიას, ეს გახლავთ ჯადოსნური სიტყვა, მოვინდომე გადაკრულად და ქარაგმებით მესაუბრა მირინესთან ამის თაობაზე — არა იმისთვის, რომ შევება მეგრძნო, — ეს არც მიგრძნია. არამედ, იმიტომ, რომ მის წინაშე თავი დამნაშავედ მიმაჩნდა. ტროას აღსასრული მოახლოებული იყო, ჩვენ განწირულნი ვიყავით. ენეასმა თავისი ხალხით ბრძოლის ველი მიატოვა. მირინეს სძულდა იგი. და შევეცადე მეთქვა მისთვის, რომ ენეასის კი არ მესმოდა მხოლოდ — არა, მე ის შევიცანი. თითქოს ის ვიყავი. თითქოს მასში ჩავსახლდი, ჩემი აზრებით მის გამცემლურ გადაწყვეტილებებს ვკვებავდი. „გამცემლურს“, თქვა მირინემ, რომელიც გააფთრებით ურტყამდა ნაჯახს დაბალ ბუჩქნარს ციხეს გარშემოვლებულ თხრილში. არ მისმენდა, ალბათ არც ესმოდა ჩემი, რადგან მას მერე, რაც გოდორში ვიყავი დამწყვდეული, ხმადაბლა ვლაპარაკობ. მაგრამ, როგორც ყველა ფიქრობდა, ჩემს ხმას არაფერი დაშავებია. მხოლოდ კილო — მაუწყებლის კილო გაქრა მასში. საბედნიეროდ გაქრა.

მირინე ყვიროდა. უცნაურია, რომ მე, ჯერ კიდევ არც ისე ხნიერმა, თითქმის ყველა, ვისაც კი ვიცნობდი, წარსულში უნდა მოვიხსენიო. ენეასი არა, ენეასი ცოცხალია. მაგრამ განა აუცილებლად მხდალი უნდა იყოს ის კაცი, რომელიც ცოცხალია მაშინ, როცა ყველა კვდება? პოლი-

ტიკაზე მეტი ხომ არ იყო ის, რომ იგი, თავის უკანასკნელ მეზობლებს სასიკვდილოდ კი არ გაუძღვა, არამედ მათთან ერთად იდას მთაზე განმარტოვდა მშობლიურ მხარეში? რამდენიმე კაცი მაინც ხომ უნდა გადარჩეს — მირინე სხვა აზრისა იყო — მაშ, რატომ პირველ რიგში ენეასი და მისი ხალხი არა?

რატომ მეც არა, მასთან ერთად? ეს კითხვა არაფრის გასჩენია. მან, ვისაც სურდა ეს ეკითხა ჩემთვის, ბოლოს თავი შეიკავა. ისევე როგორც, სამწუხაროდ, საკუთრივ ჩავიხშე ის, რაც მხოლოდ ახლა შემეძლო მეტყვა მისთვის. იმიტომ დავრჩი ცოცხალი, რომ ამაზე მაინც მეფიქრა. ცოცხალი დავრჩი რამდენიმე საათით. არ მოვიტხოვ ხანჯალს, რომელსაც, როგორც ვიცი, მარპესა ატარებს. რომელიც ამას წინათ, დედოფალი რომ ვნახეთ, მხოლოდ თვალებით შემომთავაზა და რომელზეც მე მხოლოდ თვალებითვე ვუთხარი უარი. ვინ მიცნობს მარპესაზე უკეთ? აღარავინ. მზემ შუადღეს გადააბიჯა. რასაც მე შებინდებამდე შევიტყობ, ჩემთან ერთად დასამარდება. დასამარდება? ნეტავ თუ აგრძელებს სიცოცხლეს ერთი სამყაროდან მეორეში გარდასული აზრი? თუნდაც ჩვენს პატიოსან მეეტლეში, რომელსაც თავი მოვაბეზრეთ?

იცინისო, — ამბობენ ქალები, რომლებმაც არ იციან, რომ მათი ენა მესმის. შეძრწუნებულები უკან იხევენ ჩემს დანახვაზე ყველგან. მირინემ, რომელმაც მომლიმარი დამინახა ენეასზე საუბრისას, დამიყვირა: გამოუსწორებელი ხარო. ხელი კისერზე მოვხვიე, ვიდრე დადუმდებოდა, და ორივენი, სკეას კარიბჭის გვერდით, გალავნიდან შევცქეროდით, როგორ იძირებოდა მზე ზღვაში. ასე ვიდრე თუ უკანასკნელად ერთად და ჩვენ ეს ვიცოდით.

ტკივილის გამოცდას ვიტარებ. როგორც ექიმი ჩხვლეს ხოლმე სხეულის რომელიმე ნაწილს, რათა შეიტყოს, არის თუ არა სიცოცხლის ნიშანწყალი მასში, ისე ვჩხვლეს საკუთარ მეხსიერებას. ალბათ ტკივილი იქამდე კვდება, ვიდრე ჩვენ მოვკვდებოდეთ. ეს თუ ასეა, უნდა გავაგებინოთ, მაგრამ ვის? აქ არავის არ ესმის ჩემი ენა, ვინც ჩემთან ერთად არ კვდება. ტკივილის გამოცდას ვიტარებ და განშორებებზე ვფიქრობ. ყოველი მათგანი თავისებური იყო. ბოლოს იმის მიხედვით ვცნობდით ერთმანეთს, გვესმოდა თუ არა, რომ განშორების უამი დაგვიდგახან მხოლოდ მსუბუქად დავიქნევდით ხელს, ხანაც გადავეხვეოდით ხოლმე. ენეასი და მე — ჩვენ აღარ მივკარებოვართ ერთმანეთს. მომეჩვენა, რომ უსასრულოდ დიდხანს დამცქეროდნენ მისი თვალები, რომელთა ფერი ვერ ამოვიცანი. ზოგჯერ ვსაუბრობდით, როგორც მირინესთან, რათა ბოლოს და ბოლოს წარმოგვეთქვა ის სახელი, რომელზეც ამდენ ხანს ვდუმდით: პეთენზილეა.

როგორ იფეთქეს მოზღვავებულმა შეუთავსებელმა გრძნობებმა, — გაოცებამ, გულის აჩუყებამ, აღტაცებამ, აღშფოთებამ, უხერხულობამ და დიას, ნიშნის მოგებამ — ისტერიკულ სიცილში, რაც თვით მეც მტანჯავდა და რასაც პეთენზილეა, ასეთი მგრძნობიარე ბუნების პატრონი, ვერასოდეს მაპატიებდა; ეს მირინემაც დამიდასტურა. გული ვატკინე, მხოლოდ ეს იყო, სხვა არაფერი, იმ სიცივის მიზეზი, ჩემს მიმართ რომ იჩენდა. და მირინეს გამოვუტყდი, რომ მხოლოდ ნახევარი გულით ვთავაზობდი შერიგებას; თუმცა ვიცოდი, პეთენზილეა დაილუპებოდა. სა-

იდან? მკითხა მირინემ უწინდებური სიფიცხით, მაგრამ მე აღარ ვეჭვიანობდი პეთენზილეაზე. მკვდრები ხომ ერთმანეთზე არ ეჭვიანობენ. ის დაიღუპა, რადგან უნდოდა დაღუპულიყო. ან როგორ გგონია, რესთვის ჩამოვიდა ტროაში? მე მქონდა მიზეზი, მეთვალთვალა მისთვის, და კიდევაც დავინახე ეს. მირინე დუმდა. ყველაფერზე მეტად ჩემი მხარე ღაღად მასში, რომ ჩემი წინასწარმეტყველება სძულდა. მისი მხარე მარტობით არასოდეს არ ვმისნობდი, მაგრამ მაშინვე გადასცემდნენ ხოლმე ყველაფერს, — ერთხელ სხვათაშორის ნათქვამი ჩემი ერთი წინათგრძნობაც გადასცეს — მომკლავენ-მეთქი, რაც მან ვერ მაპატიო, მაგრამ სხვებთან შედარებით სხვაგვარად ვერ მაპატიო. ვინ გაძლევს ასეთი წინასწარმეტყველების უფლებასო? არ ვუპასუხე, თვალები დავხუჭე ბედნიერებისაგან. ბოლოს და ბოლოს, ამდენი ხნის შემდეგ, კვლავ ვიგრძენი საკუთარი სხეული. კვლავ ცხელი შანთი გამიყარეს თითქოს გულგვამში. კვლავ დამრია ხელი სისუსტემ, კვლავ შემებრალა ადამიანი. რა აზრის ვიყავი მასზე? მე ის არ მომწონს, პეთენზილეა, კაცების მკვლელი ამორძალი, ასე არ არის? ხომ არ ვფიქრობდი, რომ მას, მირინეს, უფრო ცოტა კაცი ჰყავდა მოკლული, ვიდრე მის წინამძღოლს? იქნებ მეტიც, პეთენზილეას სიკვდილის შემდეგ შურისგების მიზნით?

დიახ, ჩემო ცხენო, მაგრამ ეს სხვა იყო.

ეს იყო შენი მუშტივით შეკრული სიჯიუტე და შენი მგზნებარე მწუხარება პეთენზილეას გამო, რაც მე, წარმოიდგინე, კარგად მესმოდა. შენი ძვალ-რბილში გამჯდარი მორიდება, შეხების შიში, რაც მე არასოდეს მაგიწყდებოდა, ვიდრე თავს უფლებას მივცემდი, ხელზე დამეხვია შენი ქერა ფაფარი, და ვიდრე შევიტყობდი, რა ძლიერი ყოფილა სურვილი, რომელსაც უკვე დიდი ხანია ვგრძნობდი შენ მიმართ. ნეტავ მანახა შენი ღიმილი ჩემი სიკვდილის წამს, გავიფიქრე, და რადგან სინაზეს ველარ ვიოკებდი, შიში კარგა ხნით გადავივიწყე. ახლა კი კვლავ მიახლოვდება ბნელი შიში.

მირინე სისხლსა და ხორცში გამიჯდა იმ წამიდან, როცა დავინახე გაბრწყინებული და მამაცი, ვნებით ანთებული — თავისი თავის მჭამელ, პირქუმ პეთენზილეას გვერდით. სიხარული მოჰქონდა ჩემთვის თუ ტკივილი, მირინეს დატოვება არ შემეძლო, მაგრამ ახლა არ მსურს, ჩემ გვერდით იყოს. სიხარულით ვუცქერდი, როგორ ისხამდა იარაღს ეს ერთადერთი დიაცი, როცა ტროას კაცებმა ჩემი გაფრთხილების მიუხედავად, ბერძნების ცხენი ქალაქში შემოაგორეს; მხარი დავუჭირე მის გადაწყვეტილებას, ეთვალთვალა ამ ურჩხულისთვის, მეც მასთან ერთად ვიყავი, უიარაღო. უცნაური სიხარულის გრძნობით ვადევნებდი თვალს, თუ როგორ ეკვეთა პირველ ბერძენს, რომელიც შუალამისას გამოვიდა ხის ცხენიდან; სიხარულით, დიახ, სიხარულით! როგორ ეცემოდნენ და ეთხოვებოდნენ წუთისოფელს ერთადერთი დარტყმის შედეგად. მე კი დამინდეს, რადგან ვიცინობდი, როგორც სიგიჟეს ინდობენ ხოლმე.

ჯერ საკმარისი არ მენახა. აღარ მსურს ლაპარაკი. ყოველგვარი პატივმოყვარეობა და ჩვეულება ამოიშანთა ჩემს სულში, ამოიბუგა ყოველი წერტილი, საიდანაც ეს გრძნობები შეიძლებოდა აღმოცენებულიყვნენ. საკუთარი თავის მიმართ არ გამაჩნია იმაზე მეტი თანაგრძნობა, ვიდრე სხვების მიმართ. აღარაფრის დამტკიცებას აღარ ვაპირებ. ამ

დედოფლის სიცილი, როცა აგამემნონმა წითელ ნოხზე დადგა ფეხი, ყოველგვარ სამხილს სპობდა.

ვინ და როდის იპოვის კვლავ ენას.

ეს იქნება ადამიანი, რომელსაც ტკივილი თავის ქალას გაუხეთქავს. იქამდე კი, იმ ადამიანამდე, მხოლოდ ღრიალი, ბრძანებები, სიცილი და უსიტყვო მორჩილებაა მონებისა. უძლურებაა გამარჯვებულთა, რომლებიც მუნჯურად გადასცემენ ერთმანეთს ჩემს სახელს და ორთვალას გარს უტრიალებენ. მოხუცები, ქალები, ბავშვები: — გამარჯვების საშინელებაზე. მის შედეგებზე, რასაც უკვე ვხედავ მათ ჩამქრალ თვალეზში. სიბრძავეთ დასჯილნი. ყოველივე, რაც მათ უნდა იცოდნენ, მათ თვალწინ გათამაშდება, ისინი კი ვერაფერს დაინახავენ. ასეა ახლაც. ახლა ის მჭირდება, რასაც მთელი სიცოცხლე მაჩვევდნენ: გონებით გრძნობების დამარცხება. უწინ სიყვარული, ახლა შიში, მაშინ მომერიკა, როცა ორთვალა, ნელა რომ მიეზიდებოდნენ დაქანცული ცხენები ზემოთ, მთაზე, პირქუშ გალავნებს შორის შეჩერდა. ამ უკანასკნელი კარიბჭის წინ. როცა ცა გაიხსნა და მზის სხივები ქვის ლომებს დაეცა, რომელთა მშერისათვის მე და ყოველივე შეუმჩნეველნი ვიყავით; შიშს ვიცნობ, თუმცა ეს რალაც სხვაა. იქნებ ეს პირველად ხდება ჩემს თავს მხოლოდ იმისთვის, რომ მაშინვე კვლავ ჩაქრეს. ახლა ჩემი ცნობისმოყვარეობა საკუთარი თავის მიმართაც სრულიად თავისუფალია. ეს რომ შევიგრძენი, ხმამაღლა დავიყვირე, გადაცურვისას, მე, ყველა დანარჩენივით საბრალომ, ზღვის ღელვისაგან ნაკვეშმა, თხემით ტერფამდე გალუმპულმა, შეწუხებულმა დანარჩენი ტროელი ქალების ბლავილითა და ბულით; ისინი არ იყვნენ კეთილად განწყობილნი ჩემდამი, რადგან ყოველთვის ყველამ იცოდა, ვინც ვიყავი. არასოდეს არ მქონია ბედნიერება, გავრეულიყავი მათში, ძალზე გვიან ვისურვე ეს, ძალზე ბევრი რამ გავაკეთე ჩემს უწინდელ ცხოვრებაში, რომ ყველასთვის ცნობილი ვყოფილიყავი. თვითგვემაც უშლის ხოლმე ხელს მნიშვნელოვან საკითხებზე დაფიქრებას. ახლა კითხვა გაიზარდა, როგორც ნაყოფი ნაჭუჭში, და როცა ნაჭუჭი შემოეცალა და მის პირისპირ აღმოვჩნდი, ხმამაღლა დავიყვირე ტკივილისა თუ ნეტარებისაგან: რატომ ვნატრობდი ნათელმხილველის ნიჭს?

ისე მოხდა, რომ როცა მეფე აგამემნონმა, „ძალზე შეუპოვარმა“ (ღმერთებო!) იმ ქარიშხლიან ღამეს ვილაც-ვილაცების სხეულის გორგალიდან გამომათრია, ჩემი ყვირილი შეწყდა და მას სხვა წინასწარმეტყველება აღარ დასჭირვებია. თურმე მე, მიყვიროდა შიშისგან გონდაკარგული, მე ამიმხედრებია პოსეიდონი მასზე. განა მან ცურვის წინ თავისი სამი საუკეთესო ცხენი არ შესწირა ღმერთს? და ათენას? ვუთხარი ცივად. რა შესწირე მას? დავინახე, როგორ გაფითრდა, ყოველი მამაკაცი თავკერდა ბავშვია. (ენეასი? სისულელეა. ენეასი ზრდასრული ადამიანია). დაცინვაა ეს? ქალის თვალში არიან ასეთები? ამას ისინი ვერ იტანენ. გამარჯვებული მეფე მომკლავდა — და ეს იყო სწორედ, რაც მე მინდოდა — ჩემი შიში რომ არ ჰქონოდა. ეს ადამიანი ყოველთვის ჯადოქრად მთვლიდა. მე პოსეიდონი უნდა დამეწყნარებინა! გემის კიჩოსკენ მიბიძგა, ხელები მაღლა ამაწევინა საჭირო რიტუალის შესას-

რულეზლად. ბაგეებს ნელა გამოძრავებდი. უბედურო, რა მნიშვნელობა აქვს, აქ დაიხრჩობი თუ სახლში მოგკლავენ?

თუ კლიტემნესტრა ისეთი იყო, როგორიც წარმომედგინა, ამ არა-რაობასთან ტახტს არ გაიზიარებდა. — იგი კი სწორედ ისეთია, როგორიც წარმომიდგენია. და თან სიძულვილით აღსავსე. როცა სჯავს მონი ჯერ კიდევ ფლობდა მას ალბათ როგორც ყველა სუსტ ადამიანს სჩვე-ვია, საკმაოდ უხეშად ექცეოდა. რაკი მე არა მარტო კაცებს, არამედ ქა-ლებსაც ვიცნობ, რაც გაცილებით მძიმეა, ვიცი, დედოფალი არ დამინ-დობს. თავისი გამოხედვით ადრეც მანიშნა ეს.

ჩემი სიძულვილი დაიკარგა, როდის? მაკლია ის, ჩემი თამამი, მსუ-ყე სიძულვილი. ვიცი, ერთ სახელს ძალუძს მისი გაღვიძება, მაგრამ სჯობს ამ სახელზე ახლა არც ვიფიქრო. ეს რომ შემეძლოს! რომ შემე-ძლოს ამ სახელის ამოძირკვა არა მარტო ჩემი, არამედ ყოველი ადა-მიანის მეხსიერებიდან, ვინც ცოცხალი დარჩება. რომ შემეძლოს მისი სახელის ამოშანთვა ჩვენი თავებიდან — ჩემი ცხოვრება ამო არ იქ-ნებოდა. აქილევსი.

დედა ახლა არ უნდა გავიხსენო, ჰეკაბე, სხვა ხომალდებზე, სხვა ნაპირებისაკენ რომ მიცურავს ოდისევსთან ერთად. რას მოუხერხებ მო-გონებებს. მისი შეშლილი სახე, როცა დაგვაშორეს. მისი პირი. ყველაზე შემაძრწუნებელი წყევლა, რომელიც კი კაცობრიობის არსებობის მან-ძილზე ადამიანის ბაგეებს მოსწყვეტია, დედაჩემმა ჰეკაბემ ბერძნებს და-ატეხა თავს. ის ნამდვილად ახდება, მხოლოდ დროა საჭირო. მისი წყევ-ლა უწევს მათ, მივაძახე. უკანასკნელი სიტყვა, რომელიც მან გამარჯ-ვებულებით დაიყვირა, ჩემი სახელი იყო. გემზე რომ ავედი, ყველაფერი დამუნჯებულყო ჩემში.

ლამით ქარიშხალი მალე ჩადგა, — მე „შევულოცე“; მხოლოდ დატყვევებულები კი არა, ბერძნებიც, თვით რეგვენნი და ხარბი მეხო-ფეებიც კი შიშით და მოწიწებით უკან იხევდნენ ჩემს წინაშე. აგამემ-ნონს ვუთხარი, ძალას დავკარგავ, თუ სარეცელის გაზიარებას მაიძუ-ლებ-მეთქი. თავი დამანება. ისედაც დიდი ხანია, უძლური იყო; გოგო-ნამ, უკანასკნელ წელიწადს კარავში რომ ცხოვრობდა მასთან ერთად, გამიმხილა მისი საიდუმლო. დამუქრებია — თუ ამ საშინელ საიდუმ-ლოს გაამჟღავნებ, ნებისმიერი საბაბით მეომრებს ჩავაქოლინებ შენს თავს და ჩემთვის ერთბაშად გასაგები გახდა მისი გაუგონარი სისასტიკე. ბრძოლაში მივხვდი, რომ იგი მით უფრო მღუმარე ხდებოდა, რაც უფრო ვუახლოვდებოდი ნავპლიის მხრიდან გრძელი მტკრიანი შარა-გზით, არგოსის ველის გავლით მის ციხე-სიმაგრეს მიკენს. ვუახლოვ-დებოდი მის ცოლს. ვისთვისაც არასოდეს მიუცია შებრალების მიზე-ზი, თუ სისუსტეს გამოიჩენდა. ვინ იცის, რა გასაჭირიდან იხსნის მას ქალი, თუ მოკლავს.

მათ ხომ ცხოვრება არ ესმით. ეს რომ ნამდვილი უბედურება, ნამდ-ვილად სასიკვდილო საფრთხეა — მხოლოდ თანდათანობით მივხვდი. ნათელმხილველი! პრიამოსის ასული. რამდენ ხანს ვერ უხედავდი მოსა-ხდენს, რომ არჩევანი უნდა გამეკეთებინა ჩემს წარმოშობასა და მსახუ-რებას შორის. რამდენ ხანს ვთრთოდი შიშით იმ ძრწოლის წინაშე, რო-



მელსაც აუცილებლობის შემთხვევაში ჩემს ხალხში ვალეიქებდი. ამ ძრწოლამ გადაცურა ზღვა და წინ გამისწრო.

აქაური ხალხი — მიაშიტია ტროელებთან შედარებით, შათი ომი არ უნახავთ — თავის გრძნობებს ამჟღავნებს. ისინი ხელით სინჯავენ ორთვალას, უცხო საგნებს, ნამდვილ იარაღს; ცხენებსაც შეარა, მეეტლემ, რომელსაც ეტყობა, რცხვენია თავისი თანამემამულეების, ჩემი სახელი უთხრა მათ. და დავინახე ის, რასაც შეჩვეული ვიყავი: მათი შეძრწუნება. საუკეთესონი სულაც არ არიან ისინი, ამბობს მეეტლე, ვინც შინ დარჩა. ქალები კვლავ მიახლოვდებიან. ურცხვად მაკვირდებიან, მიჭვრეტენ მანდილში, რომელიც თავსა და მხრებზე მაქვს მოხვეული. კამათობენ ჩემს სილამაზეზე. ხნიერები აღიარებენ ამას, ახალგაზრდები უარყოფენ.

ლამაზი? მე, ეს საშინელება. მე, რომელსაც ტროას დაცემა მსურდა.

ხმები, რომლებიც ზღვებს გადალახავენ, მეც წინ გამისწრებენ დროში. ბერძენი პანთოე სწორი იყო. შენ ხომ ცრუობ, ჩემო კარგო, მითხრა მან, როცა აპოლონის სკივრთან ცერემონიის მოსამზადებელ რიტუალს ვასრულებდით: შენ ცრუობ თუ ყველას დალუპვას გვიწინასწარმეტყველებ. დამარცხებას რომ გვიქადი, ამით თავს იმკვიდრებ. შენ ახლა ეს უფრო გჭირდება, ვიდრე მყუდრო ოჯახური ბუდე. შენი სახელი დარჩება. და ეს შენ იცი.

მეორედ ველარ გავაწანი სილა. პანთოე ეჭვიანი იყო, ბოროტი და ენამწარე. მართალს თუ ამბობდა? ყოველ შემთხვევაში, მან საოცარ რამეზე დამაფიქრა: რომ ქვეყანა ჩვენი დალუპვის შემდეგაც გააგრძელებდა არსებობას. არ შევიმჩნიე, როგორ შემძრა ამან. რატომ წარმოვიდგინე, რომ ჩვენს მოდგმასთან ერთად მთელი კაცობრიობა გადაშენდებოდა? განა არ ვიცოდი, რომ დამარცხებული ტომის მხევლებმა გამარჯვებულები უნდა ამრავლონ მუდამ? მეფის ასულის ქედმაღლობა ხომ არ იყო ის, რომ მე ყველას, ყოველ ტროელ ქალსა თუ კაცს — ჩვენი სახლის სიკვდილს ვუკავშირებდი? მხოლოდ მოგვიანებით, ძლივს ვისწავლე შეძენილი თვისებების გარჩევა იმ თვისებებისაგან, რომლებიც თანდაყოლილია და თითქმის ვერ ვაცნობიერებთ. თავაზიანი, თავმდაბალი, უპრეტენზიო — ასეთი იყო ხატის, როგორადაც საკუთარი თავი წარმომედგინა და რომელიც ყოველი კატასტროფის შემდეგ უცვლელი რჩებოდა. უფრო მეტიც: როცა უცვლელი ვრჩებოდი, კატასტროფა უკან მქონდა მოტოვებული. ხომ არ შემილახავს საკუთარი ღირსების გრძნობის გადასარჩენად — რადგან პირდაპირობა, სიამაყე, სიმართლისმოყვარეობაც ჩემი ხატის შემადგენელი თვისებები იყო — ჩემიანების თავმოყვარეობა? ჩემი პირდაპირობითა და სიმართლით სამაგიეროს ხომ არ ვუხდიდი მათ იმ ვნების გამო, რაც მომაყენეს? ვგონებ, ასე ფიქრობდა ჩემზე ბერძენი პანთოე. როგორც მოგვიანებით შევამჩნიე, ის კარგად იცნობდა, ვერ ეგუებოდა საკუთარ თავს, ყოველთვის ცდილობდა, გამოსავალი იმაში ეპოვა, რომ ყოველი მოქმედება თუ დაუდევრობა ერთადერთი მიზეზით აეხსნა: თავკერძობით. ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი აზრი, რომ ეს ქვეყანა ისეა მოწყობილი, შეუძლებელია, ერთდროულად საკუთარ თავსაც არგო და სხვებსაცო. ვერასოდეს, ვერასო-

დეს დააღწევს თავს მარტოობას. მაგრამ მას არ ჰქონდა უფლება, — და ეს დღეს ვიცი — მეც თავისი მსგავსი ან თავისნაირი ვგონებოდი, თავიდან კი, შესაძლებელია, ისიც მხოლოდ იმ ერთი თვისებით, რასაც მარპესა ქედმაღლობას ეძახის. მე წილად მხვდა, განმეცადა ბედნიერება, გავხმდარიყავი ისეთი, როგორც ვარ და ამით სხვებისთვისაც მივტოვე მეტი. ისიც ვიცი, მხოლოდ ცოტა თუ ამჩნევს, როგორ ვიცვლებოდი ქედმაღლობაზე. ამაჩემს პრიამოსს კი ვჭირდებოდი.

რომ მოვიხედე, მომლიმარი მარპესა დავინახე. მას მერე, რაც საქმე გართულდა, თითქმის სულ მომლიმარს ვხედავ. ბავშვები არ გადარჩებიან, მარპესა, — ისინი ხომ ჩემები არიან. შენ კი, ვფიქრობ, გადარჩები. ვიცი, ამბობს ის, მაგრამ არ ამბობს, სურს თუ არა გადარჩენა. ბავშვებს ქალად გამოჰგლეჯენ ხელიდან. შეიძლება ხელებიც გადაუმტვრიონ. არა იმიტომ, რომ ჩემები არიან, იმიტომ, რომ ბავშვები არიან. ჯერ ჩემი რიგია, მარპესა, მაშინვე, მეფის შემდეგ. მარპესა მპასუხობს: ვიცი. ჩემი ქედმაღლობა, მარპესა, შენთან მოგონილია. — და ღიმილით მომიგებს: ასეც უნდა იყოს, ქალბატონო.

რამდენი წელია, ქალბატონო არ დაუძახნია ჩემთვის. სადაც მას მივყავდი, არც ქალბატონი ვიყავი და არც ქურუმი. ამის გაგება სიკვდილს მიადვილებს. მიადვილებს? ვიცი კი, რას ვამბობ?

ვერასოდეს ვერ გავიგებ, ვუყვარდი თუ არა ამ ქალს, რომლის კეთილგანწყობასაც მუდამ ვეძებდი. თავდაპირველად შეიძლება ეს მოწონების სურვილი იყო — უწინ იყო ჩემს არსებაში მოწონების მოთხოვნილება. მოგვიანებით კი — მისი გაგების სურვილი. თითქმის თავდავიწყებით შემსახურებოდა, ამიტომ თავშეკავებაც სჭირდებოდა.

როცა შიში ქრება, როგორც ახლა, რაღაც შორეული მახსენდება. რატომ აღწერდნენ მიკენელი ტყვეები თავიანთ ლომებიან ჭიშკარს უფრო ძლევაამოსილად, ვიდრე მე ის მეჩვენება? რატომ წარმოსახავდნენ გიგანტურ გალაგნებს უფრო ზღაპრულად, თავის ხალხს უფრო მოძალადედ და შურისმგებლად, ვიდრე ეს სინამდვილეშია? ხალხისთა და გზნებით მიამბობდნენ თავიანთ სამშობლოზე როგორც ყველა დატყვევებული. არავის არასოდეს უკითხავს, რატომ ვიკვლევდი ასე დაწვრილებით მტრული ქვეყნის ამბებს. და რატომ ვაკეთებდი ამას სწორედ იმ დროს, როცა გამარჯვება უეჭველი მეჩვენებოდა? მტერი ხომ უნდა დამარცხო, მაგრამ არ შეიცნო? რა მიზიძგიბდა, გამეცნო იგი. რადგან ელდა — ისინიც ჩვენნაირები არიან! — ჩემთვის საიდუმლოდ უნდა შემენახა. იმის გაგება ხომ არ მსურდა, სად უნდა მოვმკვდარიყავი? ვფიქრობდი სიკვდილზე? განა არ ვიყავი ტრიუმფით მთვრალი, როგორც ყოველი ჩვენთაგანი?

რა სწრაფად და სამუდამოდ ვივიწყებთ ყველაფერს.

ომი თავის ხალხს აყალიბებს. არ მინდა დაგიმახსოვრო ისინი ომისაგან განადგურებულად. მომღერალს, ცოტა ხნის წინ პრიამოსის სადიდებელს რომ მღეროდა, ცხვირ-პირში ვლეწე, — უღირსი, მლიქვნელი ნაძირალა. არა. რწმენაშერყეულ, მიუსაფარ მამას ვერ დავივიწყებ. და ვერც მეფეს, რომელიც ბავშვობაში ყველაზე მეტად მიყვარდა, რო-

მელიც სინამდვილეს ვერ ეგუებოდა, ოცნების სამყაროში შექმნილ ეც-  
ხოვრა, ვერ ხედავდა მთელი სიმძაფრით იმ პირობებს, რომლებიც მისი  
სახელმწიფოს შესანარჩუნებლად იყო აუცილებელი, ვერც იმ საფრთხეს,  
რომელიც მას ემუქრებოდა. ყოველივე ამის გამო ისევე იმედოვნებდა, როგორც  
მეფე, სამაგიეროდ იყო იდეალური დედოფლის მეუღლე, განსაკუ-  
თრებულ უფლებებს ანიჭებდა. ვხედავ, როგორ მიდის ყოველ საღამოს  
დედასთან, რომელიც ხშირად ორსული, თავის მეგარონში იჯდა, ხის  
სავარძელში, ძალზე რომ წაავადდა სამეფო ტახტს და რომელთანაც მე-  
ფე თავაზიანი ღიმილით დაბალ სკამს მიაჩოჩებდა ხოლმე. ეს ჩემი ყვე-  
ლაზე ადრეული ხატია, რადგან მე, მამის ნებიერს და ჩემს მრავალრი-  
ცხოვან და-ძმას შორის პოლიტიკით ყველაზე მეტად დაინტერესებულს,  
უფლება მქონდა, მათთან ვმჯდარიყავი და მესმინა, რაზე საუბრობდნენ,  
ხშირად პრიამოსის მუხლებზე მჯდარს ხელი მისი ბეჭის ფოსოზე შედო  
(ენეასისიც ხომ ეს ადგილი მიყვარს ყველაზე მეტად), რომელიც ძალზე  
სათუთი იყო და სადაც, — ეს ჩემი თვალით დავინახე, — ბერძნებმა მა-  
ხვილი ჩააგეს. ჩემთვის უცხო მთავრების, მეფეთა და ქალაქების, გა-  
საყიდი საქონლის სახელები, ჩვენი ცნობილი გემებით პელესპონტით  
რომ გაგვქონდა, შემოსავლების რიცხვები და ინსტრუქციები — სამუ-  
დამოდ შეერია მამაჩემის მკაცრსა და სუფთა სურნელს — მთავრები,  
რომლებიც დამარცხდნენ, ქალაქები, რომლებიც გაიდარცვა ან განად-  
გურდა, საქონელი, რომელიც წახდა ან დაიტაცეს: მე, მისი შვილები-  
დან მე გავეცი, როგორც მამას ეგონა, ჩვენი ქალაქი და თვით ისიც.

ამჟამად ყოველივესთვის მხოლოდ წარსულის ენა არსებობს.  
აწმყოს ენა ამ პირქუში ციხესიმაგრისათვის საჭირო სიტყვებზე დაიყვა-  
ნება. მომავლის ენა კი ჩემთვის ეს ერთადერთი წინადადებაა: დღეს  
მომკლავენ.

რა უნდა ამ კაცს. მე მომმართავს? — ალბათ გეშიებაო. — მე არა,  
მას შიშ, მას უნდა შეკაზმოს ცხენები და ბოლოს და ბოლოს თავის სა-  
ხლში, თავისიანებთან წავიდეს, მოუთმენლად რომ ელოდებიან მას. —  
მე კი მის დედოფალს უნდა გავყავი. მშვიდად გავყავი ციხე-კოშკში, ორ  
მცველთან ერთად, რომლებმაც უნდა დამიცავან, და არა მიდარაჯონ. —  
მისი შეშინება მომიწევს — დიახ, ვეუბნები, მივდივარ. ოღონდ ჯერ  
არა. სულ ცოტა ხნით კიდევ დამტოვე აქ. იცოი რატომ? ვეუბნები, და  
ვცდილობ, არ შევაშინო: როგორც კი ამ ჭიშკარში გავალ, ჩათვალე,  
რომ მკვდარი ვარ.

ძველი ჭეშმარიტებაა: ბოროტება კი არ აძრწუნებს და აშმაგებს  
ადამიანებს, არამედ ამბის შეტეობა, ეს საკუთარ თავზე გამომიცდია.  
და გვირჩევნია ის დავსაჯოთ, ვინც ბოროტებას სახელს არქმევს, ვი-  
დრე ის, ვინც მას სჩადის: ამით ყველანი ერთმანეთს ვგაჯართ, ისევე  
როგორც ყოველივე დანარჩენით. განსხვავება მხოლოდ ის არის, ვიცი თუ  
არა ეს.

მე ეს ძნელად შევიგნე, რადგან, როგორც გამოჩაღლისს, არ მსუ-  
რდა ყველასთან ერთად საერთო ჯამში მოგეჭაიე ვინმეს. პანთოის გა-  
ვარტყი, როცა ქურუმად აორთხევის საღამოს მითხრა: შენი უიღბლო-  
ბაა, პატარა კასანდრა, რომ მამაშენის ნებიერი ხარ. პოლიქსენე უფრო  
შესაფერისი იქნებოდა: ის ხომ ამისთვის ემზადებოდა; შენ კი მამაშენის

დახმარების იმედად იყავი. და, როგორც ჩანს — ამას რომ ამბობდა, მომეჩვენა, რომ ურცხვად ილიმებოდა, — შენი სიზმრების იმედადაც.

ამისთვის გავარტყი სილა. მისმა მზერამ მთელ სხეულში გაშობრა, თქმით კი მხოლოდ ეს მითხრა: ახლა კი იმის იმედი გაქვს, რომ მართალია, მე პირველი ქურუმი ვარ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მტრუმი.

მიზანში მოახვედრა, თლონდ ბოლომდე ვერა, რადგან მუცელზე ბით ნაკლებად ვუჯერებდი გათვლებს, ვიდრე მას ეგონა (ჩვენი გათვლებიც ხომ ჩვენგან დამოუკიდებლად იმართება!) წუხანდელმა დაუპატყებელმა სიზმარმა ამაფორიაქა. ეს რომ აპოლონი იყო, ჩემთან რომ მოვიდა, მაშინვე დავინახე, მიუხედავად პანთოესთან შორეული მსგავსებისა, თუმცა მიჭირს თქმა, რაში მდგომარეობდა ეს მსგავსება. უფრო მისი თვალების გამომეტყველებაში, რომელიც მაშინ „სასტიკი“ მომეჩვენა, შემდეგ კი, პანთოესთან — აპოლონი აღარასოდეს აღარ მინახავს! — მხოლოდ „ფხიზელი“. აპოლონი — სხივებით გაბრწყინებული — როგორც პანთოემ მასწავლა მისი ხილვა. მზის ღმერთი ღირით ხელში, ცისფერი, თუმცა სასტიკი თვალები, ბრინჯაოსფერი კანი. აპოლონი, ნათელმხილველთა ღმერთი. მან იცოდა, რა მეწადა ასე მგზნებარედ: მხილველის ნიჭი, რომელიც ხელის დაუდევარი, — ვერც კი ვიგრძენი — გამაწბილებელი მოძრაობით მიბოძა მხოლოდ ამისთვის, რომ შემდეგ მაძრის სახით მოსულიყო ჩემთან, და ვგონებ, მხოლოდ ჩემმა შეძრწუნებამ მგლად აქცია, გარს თავები ეხვეოდნენ, და გაავებულმა პირში ჩამაფურთხა, რაკი ვერ დამიმორჩილა. შეშინებულს გამომელვოდა, ენაზე რაღაც გამოუთქმელად საზიზღარ გემოს ვგრძნობდი, და შუალამისას გავიქეცი ტაძრის ეკვდერიდან, სადაც იმ დროს ვიძინებდი, და ციხესიმაგრეს, სასახლეს, ოთახს, დედის საწოლს შევაფარე თავი. ძვირფასი იყო ჩემთვის ის წამი, როცა ჩემ გამო შეშფოთებულ ჰეკაბეს სახე შეეცვალა, მაგრამ მალევე მოეგო გონს. მგელი? — მკითხა ცივად. რატომ მგელი, რამ მოგაფიქრა, და საიდან მოგივიდა თავში თავები.

აპოლონი ღიკეელი. ძიდა პართენიას ხმა. მგლებისა და თავების ღმერთი, ვისზეც შემზარავ ამბებს, ჩუმად მიყვებოდა და არავისთვის არ უნდა გამემხილა. არასოდეს მიფიქრია, თუ ეს ორარსი ღმერთი იგივე იყო, რაც ჩვენი ტაძრის მოუწყვლელი აპოლონი. მხოლოდ მარბესამ, პართენიას ასულმა, ჩემმა კბილამ, იცოდა ყველაფერი და ჩემსავით დუმდა. დედა არ ჩამცივებია, რომ სახელები მეთქვა, რადგან მზის ღმერთის მგლურ იერზე მეტად ის აშფოთებდა, რომ მასთან შეერთების შიში მქონდა. განა ეს ჩვეულებრივი მოკვდავი ქალისთვის დიდი პატივი არ იქნებოდა, თუ რომელიმე ღმერთი მასთან ყოფნას ისურვებდა? ეს ასეც იყო. და თუ ღმერთს, რომლის მსახურებაც მიზნად დავისახე, ჩემი მთლიანად დაუფლება სურდა, განა ეს ბუნებრივი არ იყო? რა თქმა უნდა. მაშ, რა ხდებოდა? არასოდეს, არასოდეს არ უნდა მეამბნა ეს სიზმარი ჰეკაბესათვის! ის კი ჩამეძია და ჩამეძია.

განა შარშან, ჩემი პირველი სისხლისდენის შემდეგ, სხვა გოგონებთან ერთად ათენას ტაძართან არ ვიჯექი? უნდა ვმჯდარიყავი! გავიფიქრე და, როგორც მაშინ, როგორც შარშან, თავის კანი სირცხვილისაგან ამეწვა, და განა ყოველივე წინასწარ განსაზღვრული გზით არ

წავიდა? კვიპაროსი, რომლის ძირშიც ვიჯექი, დღესაც შემიძლია ვიპოვო, თუ ბერძნებმა არ წაუკიდეს ცეცხლი, შემიძლია აღწერო ღრუბლების ფორმა, რომლებიც ჰელესპონტიდან ფთილებივით მოფარფატებდნენ. „ფთილებივით მოფარფატებდნენ“. ძალზე ხუდელური სიტყვებია, მაგრამ ამაზე ველარ შევჩერდები. მხოლოდ მეთოსხილის და იალღუნის სურნელზე ვფიქრობ. თვალები დავხუჭო, — ახლა ეს აღარ შემიძლია, ადრე კი შემეძლო. ოდნავ გავახილე თვალები და ვიწრო ჭრილში მამაკაცების ფეხები დავინახე. უამრავი მამაკაცის ფეხები, სანდლებში, წარმოუდგენლად სხვადასხვაგვარი, და ყველა — საზიზღარი. ერთი დღის განმავლობაში იმდენი მამაკაცის ფეხი დავინახე, მთელ სიცოცხლეში რომ არ მინახავს. მათ კი ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ვგრძნობდი მათ მზერას სახეზე, მკერდზე. სხვა გოგონებისკენ არც კი გამიხედავს, არც მათ გამოუხედავთ ჩემკენ. ერთმანეთთან არაფერი გვქონდა საერთო, მამაკაცებს სათითაოდ უნდა ამოვერჩიეთ და პატივი აეყარათ ჩვენთვის. ვიდრე ჩამეძინებოდა, დიდხანს მესმოდა თითების ტკაცუნის და ერთი სიტყვა, სულ სხვადასხვა ინტონაციით: წამოდი. ჩემ გარშემო აღარავინ დარჩა, თანდათან ყველა გოგონა წაიყვანეს, ოფიცრების, სასახლის მწერლების, მეთუნეების, ხელოსნების, მეეტლეების და არენდატორების ქალიშვილები. სიცარიელეს ბავშვობიდანვე შეჩვეული ვიყავი. ორგვარი სირცხვილი გამოვცაადე: ერთი, რომ ამირჩევდნენ და ერთიც, რომ არავინ წამიყვანდა. დიას, მე ქურუმი უნდა გავხდე, რაღაც არ უნდა დამიჯდეს.

შუადღეზე, ენეასი რომ მოვიდა, გამახსენდა, რომ უკვე დიდი ხანია ყოველ ჯგუფში ვხედავდი მას. ჯიქურ მომიახლოვდა, მაპატიე, უფრო ადრე ვერ მოვედიო. თითქოს შეთანხმებულები ვიყავით. წამომამყენა, უფრო სწორად, მე ავდექი, ამაზე ზოგჯერ ვაკამათობდით ხოლმე. ტაძრის მოშორებული კუთხისკენ წავედით, და არც შემიმჩნევია, ისე გადავაბიჯეთ იმ ზღვარს, რომლის იქითაც ენა საჭირო აღარ არის. არც ქედმაღლობაა, არც მხოლოდ მორცხვობა; — თუმცა, რა თქმა უნდა, ესეცაა — როცა ქალები ჩვენს გრძნობებზე ვლაპარაკობდით ხოლმე. ენეასზე სიტყვა არ დამიძრავს. ყოველთვის თავს ვიკავებდი, არასოდეს სხვა ქალებივით ჩემი გული სხვებისთვის არ გადამიშლია. ვიცი, ამით გარკვეულ ზღვარს ვინარჩუნებდი ჩემსა და მათ შორის. ენეასის ამოუთქმელი სახელი იდგა ჩემსა და იმ ქალებს შორის. რომლებიც, რაც უფრო გრძელდებოდა ომი, მით მეტად უფრო ხოდნენ თავიანთ გავიოთრებულ ქმრებს, როგორც მტერს; შეიძლება ეჭვიც შეჰპარვოდათ, ჩემს გულწრფელობაში, თუ დაწვრილებით არ ვუამბობდი, მაგალითად, იმ ნაშუადღევზე ტაძრის ეზოს შორეულ კუთხეში, როცა ორივემ, ენეასმა და მე, ვიცოდით, რას მოელოდნენ ჩვენგან — ორივემ ვიცოდით ეს დედა-ჰეკაბესგან. როცა ორივემ დავინახეთ, რომ არ შეგვჩვენა ამ მოლოდინის გამართლების ძალა. და თითოეული ჩვენგანი საკუთარ თავს ადანაშაულებდა ამაში. ძიძა, დედა და ქურუმი ჰეროფილე გამუდმებით ჩამჩინებდნენ ცოლის მოვალეობაზე, მაგრამ მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ როცა უეცრად სივარული ჩადგება შუაში, ამან შეიძლება ხელი შეუშალოს ცოლქმრული მოვალეობის აღსრულებას; ისე რომ, მე დავიბენი და ცრემლები წამსკდა ენეასის გაუბედაობის გამო, რაც აღ-

ბათ ჩემი გამოუცდელი ბრალიც იყო. ნორჩები, ძალზე ნორჩები ვიყავით მაშინ. როცა მაკოცა, მომეალერსა და შემეხო, მზად ვიყავი, ყველაფერი გამეკეთებინა, რაც მას სურდა, მაგრამ მას თითქოს არაფერი არ სურდა, მთხოვდა, რაღაც მეპატიებინა მისთვის, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რა. სალამოხანს ჩამეძინა, მახსოვს, გემი დამესიზმრა, რომელიც წყლის გლუვ ცისფერ ზედაპირზე მიცურავდა და ენეასი ჩვენი ნახარხარიდან შორს მიჰყავდა, და კიდევ არნახული ხანძარი, რომელიც, როცა გემი პორიზონტს გასცდა, წასულეხსა და ჩვენს შორის, შინდარჩენილებს შორის გაწვა. ზღვას ცეცხლი ეკიდა. ეს სიზმარი დღესაც თვალწინ მიდგას, თუმცა რამდენი სხვა, ცხადში ნანახი უარესი სურათი გადაეფარა მას.

ნეტავი გამაგებინა (აბა, რას ვფიქრობ! ნეტავი? გამაგებინა? მე? დიახ, სიტყვები სწორია), ნეტავი გამაგებინა, რა იყო ისეთი მოუსვენრობა, რომელსაც მშვიდობიანობის და ბედნიერების ჟამს ვერ ვამჩნევდი — ასე ვლაპარაკობდით ხოლმე — ეს სიზმარი რომ გამოიწვია.

ყვირილით გამომეღვიძა. ძილგამკრთალმა ენეასმა ვერ დამამშვიდა და დედასთან წამიყვანა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ სურათებს დღე და ღამე ვიხსენებდი, ვიდრე თანდათანობით სრულიად არ დაკარგეს თავისი სიმძაფრე, — მხოლოდ მაშინ გამიკვირდა, რომ დედამ ენეასს ჰკითხა, ყველაფერი რიგზე თუაო, და მან, ენეასმა, მოკლედ უპასუხა, „დიახ“. ყველაზე განსაცვიფრებელი კი ის იყო, რომ ჰეკატემ მადლობა გადაუხადა, დამორცხვებულმა, მაგრამ მე არ ვიცოდი, რისთვის. ენეასი გაუშვა. მე კი ბავშვივით დამაწვინა, რაღაც დამაღვინა, რაც ძალზე მეამა და ყველა კითხვა და ყველა სიზმარი გამიფანტა.

ძნელი გადმოსაცემია სიტყვით, რა ნიშნით შეიძლება დარწმუნდე, რომ ამა თუ იმ ამბავზე აღარ უნდა იფიქრო, ენეასი გაქრა ჩემი თვალთახედვიდან, ჩემი იდეალის პირველი განსახიერება. ენეასი გაღვივებული ნაკვერჩხალივით დარჩა ჩემს არსებაში, მისი სახელი — მწველი შანთივით, რომლითაც განუწყვეტლივ ვიშანთავდი თავს. მაგრამ ჩემს თავს ავუკრძალე ძიძა პართენიას იღუმალი სიტყვების აზრის გამოცნობა, რომლებიც მან ჩემთან გამომშვიდობებისას, — მე უკვე მოზრდილი ვიყავი და თავის ქალიშვილს მარპესას გადააბარა ჩემი მსახურება — ნახევრად პატივისცემით, ნახევრად სიძულვილით ჩაიბურღლუნა: მოხუცმა ისევ თავისი გაიტანა, თუმცა ამჯერად შესაძლებელია ქალიშვილის სასიკეთოდო, და შემდეგ მანაც მკითხა, რიგზე თუა ყველაფერიო. და მეც, როგორც ყოველთვის, ჩემი სიზმარი ვუამბე, და პირველად დავინახე, როგორ გაფითრდა ჩემს სიტყვებზე ადამიანი (რა იყო ეს: შიში? შეშფოთება? ან იქნებ სურდა სელმეორედ შეამბნა სიზმარი? ნუთუ მართლა ვსარგებლობდი, როგორც მერე და მერე მსაყვედურობდნენ, ადამიანის გაფითრების უნარით?).

კიბელე, მიშველე! წაიჩურჩულა ძიძა პართენიამ. იმავე სიტყვებით განუტევა მან სული, როგორც მახსოვს, ტროას დაცემიდან ცოტა ხნის შემდეგ, გადაკურვამდე, როცა ჩვენ ყველანი — ტყვეები, შემოდგომის საშინელ ავდარში, დაქცევას რომ უქადდა მთელ ქვეყნიერებას, ხრიოკ ნაპირზე მიგვრეკეს. კიბელე, მიშველე, კვნესოდა დედაბერი, მაგრამ

მისმა ქალიშვილმა, მარპესამ უშველა — რალაც სასმელი შეასვა, რომ-  
ლითაც პართენია მიაძინა და აღარასოდეს გაულვიძია.

ვინ იყო კიბელე?

ძიძამ ჩემს კითხვას ყური აავლო: როგორც შევატყვე, აკრძალუ-  
ლი ჰქონდა ამ სახელის ხსენება. მან იცოდა და მეც ვიცოდი, რომ ჰეკა-  
ბეს უნდა დავმორჩილებოდით. თითქმის დაუჯერებლად შეჩვენება დღეს,  
რა ზემოქმედებას ახდენდა ჩემზე დედის ბრძანებები, სიზმარივით მა-  
გონდება, რომ ოდესღაც აღშფოთებული ავუმხედრდი ამ ბრძანებებს.  
მე მხოლოდ შენი დაცვა მინდაო, მითხრა შემდეგ, მაგრამ მან ჯეროვნად  
ვერ შემაფასა. მე უკვე ვნახე კიბელე.

რამდენჯერ გამივლია შემდეგ ის გზა, მარტოს თუ სხვა ქალებთან  
ერთად — არასოდეს დამავიწყდება, რა გრძნობა დამეუფლა მაშინ, რო-  
ცა მარპესამ ერთ საღამოს, ბინდბუნდში, იდას მთისკენ წამიყვანა, რო-  
მელიც მუდამ თვალწინ მედგა, მალულად მიყვარდა, როგორც ჩემი მთა;  
ხშირად, ხშირად ავსულვარ და მეგონა, კარგად ვიცნობდი; მახსოვს,  
როგორ გაუჩინარდა ჩემ წინ მიმავალი მარპესა ბურქნარით დაფარულ  
მთის ნაოჭში. ბილიკებით, მხოლოდ თხები რომ დაძვრებოდნენ, ლელ-  
ვის კორომი გადაიარა, და ახალშენი მუხნარის შუაგულში აღმოვჩნდით.  
უცნობი ქალღმერთის ტაძრის წინ, რომელსაც მუქკანიანი, ნატიფი ქა-  
ლების გუნდი ცეკვით გარს უვლიდა. მათ შორის სასახლის მხევლები  
ვიცანი, ვიცანი ქალები, ციხესიმაგრის გაღავანს გარეთ რომ ცხოვრობ-  
დნენ, ვიცანი ძიძა პართენიაც, რომელიც მღვიმის შესასვლელში ჩაცუც-  
ქულიყო ტირიფის ძირას, რომლის ფესვები ქალის სარცხვინელის თმა-  
სავით მიიკლაკნებოდნენ მღვიმის ხახისაკენ; და თავისი ზორბა სხეულის  
მოძრაობებით თითქოს მოცეკვავეთა წრეს დირიჟორობდა. მარპესა მო-  
ცეკვავეებს შეუერთდა, რომელთაც ჩემი მოსვლა არც შეუმჩნევიათ, —  
ახალი, გულდასაწყვეტი აღმოჩენა ჩემთვის — თანდათან მოუმატეს  
ტიმპს, რიტმი გააძლიერეს, მათი გამალეებული მოძრაობები უფრო და  
უფრო შმაგი, მოუთოკავი ხდებოდა, ზოგი მოცეკვავე ვერ უძლებდა ამ  
რიტმს და წრიდან ვარდებოდა, — მარპესაც, ჩემი მორიდებული მარ-  
პესა! გიჟური რიტმი მათ ისეთ მოძრაობებს კარნახობდა, რომ სირცხ-  
ვილით ვიწვოდი, მერე გააფთრებულებმა, ძაგძაგი დაიწყეს, ღმუოდნენ  
და იგრიხებოდნენ, ექსტაზში ჩაცვივნულები, ჩვენთვის უხილავ საგნებს  
ხედავდნენ, და ბოლოს, ერთმანეთის მიყოლებით — ერთ-ერთი ბოლო  
მარპესა, — მოცელილივით ეცემოდნენ ძირს.

შეშინებული და შეძრწუნებული გამოვიქეცი, დიდხანს უგზოუკვ-  
ლოდ დავეხეტებოდი, გვიან ღამით მივედი შინ, ლოგინი გაშლილი დამ-  
ხვდა, ვახშამი გამზადებული, მარპესა კი ჩემს საწოლთან მიცდიდა. და  
მეორე დილას, სასახლეში, როგორც ყოველთვის — მშვიდი სახეები.

რა ხდებოდა? სად ვცხოვრობდი? რამდენნაირი სინამდვილე იყო  
ტროაში, გარდა ჩემი სინამდვილისა, რომელიც ერთადერთად მიმაჩნდა?  
ვინ გაავლო ზღვარი ხილულსა და უხილავს შორის? ან ვინ ბრძანა, რომ  
მიწა, რომელზეც ასე მყარად დავაბიჯებდი, ფეხქვეშ შემრყეოდა? მე  
ვიცი, ვინც არის კიბელე! — მივაძახე დედას. კეთილი, — თქვა ჰეკა-  
ბემ, — ეს კარგია. არც უკითხავს, ვინ წამიყვანა; არავითარი ჩაძიება,  
არავითარი სასჯელი. ხომ არ გამოუმეღავნებია დედას ოდნავი შვეება

ან სულაც სისუსტე? რად მინდა ისეთი დედა, რომელიც სისუსტეს ამჟღავნებს? იქნებ თავისი საფიქრალით ჩემი ნდობის მოპოვება უნდა? პასუხს თავი ავარიდე. რამდენ ხანს გავურბოდი ადამიანებთან შეხვედრას. მიუკარებლობის მოთხოვნის მქონდა. ქურუმი გავხდი. დიას. ჰეკაბე ხომ უფრო ადრე მიცნობდა მე, ვიდრე მე მას.

დედოფალი ჰეკაბე, — მითხრა ერთხელ მამამ გულმოდგინებით მსახურს, — მხოლოდ მათ იმორჩილებს, ვინც ემორჩილება. ჰეკაბეს უყვარს დაუმორჩილებლები. — ერთბაშად მამა სულ სხვა მხრიდან დავინახე. ჰეკაბეს ხომ უყვარდა ის? უეჭველად. მაშ, მამა დაუმორჩილებელი იყო? — აჰ, ოდესღაც მშობლებიც ახალგაზრდები იყვნენ. როცა ომი გრძელდებოდა, ყოველ ადამიანს სულს ამოუტრიალებდა, და სურათი კვლავ იცვლებოდა. პრიამოსი სულ უფრო და უფრო მიუწვდომელი ხდებოდა, თავის თავში ჩაკეტილი, მორჩილი, მაგრამ არა ჰეკაბესი. ჰეკაბე მოლბა, თუმცა ქედი არ მოუდრეკია. პრიამოსს ვაჟებზე დარდმა უფრო ადრე მოუღო ბოლო, ვიდრე მას მტერი განგმირავდა. ტკივილით გულგასენილი ჰეკაბე ყოველ უბედურ წელიწადს უფრო და უფრო თანამგრძნობი და ცოცხალი ხდებოდა.

ჩემსავით. არასოდეს ვყოფილვარ ისე ცოცხალი, როგორც ახლა, ჩემი სიკვდილის უამს.

რას ვუწოდებ ცოცხალს? რას ვუწოდებ ცოცხალს. არ შეგაშინოს ყველაზე საშინელმა რამემაც კი, თავად შეცვალო საკუთარი ხატი. სიტყვები თქვა პენტოემ. მაშინ ის კიდევ ჩემი მოწინააღმდეგე იყო. სიტყვები და სხვა არაფერი კასანდრა, ადამიანი არაფერს ცვლის, რატომ მაინცდამაინც საკუთარი თავი, მაინცდამაინც საკუთარი ხატი უნდა შეცვალოს?

როცა დღეს ჩემი ცხოვრების ძაფს ვსინჯავ და გორგალს ვარღვევ, ვაბიჯებ ომს — შავ ლოდს; ნელა, მონატრებით ვუბრუნდები ომისწინანდელ წლებს; ჩემი ქურუმობის ხანას — თეთრ ლოდს; ვულრმავდები წარსულს: გოგონა — უკვე თვით ეს სიტყვა მხიბლავს, გოგონა, გაცილებით მეტად მხიბლავს მისი იერი. ლამაზი ხატია. მე მუდამ ხატები უფრო მხიბლავდა, ვიდრე სიტყვები, ეს უცნაურია და ჩემს ხელობას ეწინააღმდეგება, მაგრამ მის მოთხოვნებს ველარ ავყვები. ბოლოს იქნება ხატი, და არა სიტყვა. ხატის წინაშე სიტყვები კვდებიან.

სიკვდილის შიში.

როგორ მოხდება ეს? გაიმარჯვებს სისუსტე? დაამარცხებს ჩემი სხეული ჩემს გონებას? დაიკავენს კვლავ სიკვდილის შიში მძლავრი ნახტომით ყველა პოზიციას, რომლებიც ჩემს უმეცრებას, ჩემს ნებიერობას, ჩემს ქედმაღლობას, სიმხდალეს, სიზარმაცეს, სირცხვილს გამოვტაცე? შესძლებს იგი მოვარდნილი წყალივით წალეკოს ჩემი ჩანაფიქრიც, რისთვისაც მთელი გზა ვეძებდი ფორმულას და ბოლოს ვიპოვე? — არ მსურს დავკარგო გონება, თვით აღსასრულამდე.

როცა ჩვენი — რა სისულელეა! — მათი გემები წყნარ ამინდსა და სარკესავით გლუვ ზღვაში ნავპლიის ყურეს მიადგნენ და მცხუნვარე და სისხლით დამძიმებული მზე, ქედს მიეფარა, როცა ჩემი ტროელი ქალები, — თითქოს ახლალა შეიგრძნეს ნამდვილად ტყვეობა, უცხო მიწა-



ზე რომ დაადგეს ფეხი, — ნუგეშს უნუგეშო მოთქმაში ეძებდნენ, როცა შემდეგ დღეებში, ტირინის ციხესიმაგრისა და არგოსის მტვრიან, გავარვარებულ, ტანჯვის გზაზე თავშეყრილი მოხუცები და ქალები ლანძლვა-ვინებით გვხვდებოდნენ და გვაცილებდნენ, განსაკუთრებით კი გვალვით გადახრუკული მიდამოს უკანასკნელ აღმართზე, რომლის თავზე ავისმომასწავებლად, მაგრამ ჯერ კიდევ შორს, ეს საშინელი ქვეების გროვა — მიკენე, ციხექალაქი, ჩვენი მიზანი, — აღმართულიყო როცა მარპესაც კი კვნესას მოჰყვა; როცა, უცნაურია, მაგრამ თვით მეფე, მერყევი აგამემნონი, ნაცვლად აჩქარებისა, გზადაგზა შესვენებებს აწყობდა, მდუმარედ მომიჯდებოდა ხოლმე გვერდით ზეთისხილის ხის ჩრდილში, ღვინოს წრუპავდა და თან მეც მთავაზობდა, რაც მისი ამალიდან არავის არ ეხამუშებოდა (ზეთისხილი, სათუთი ხე...); როცა ჩემი გული, რომელიც დიდი ხანია აღარ მიგრძნია, შესვენებიდან შესვენებამდე სულ უფრო და უფრო პატარავდებოდა და იმ ქვასავით მაგრდებოდა, მკვრივდებოდა და მძიმდებოდა, რომლიდანაც ველარაფერს გამოვწურავდი — ჩემი განზრახვა უკვე მზად იყო — მახვილივით ნაჭედი, ნაწრთობი, ნაკვერი; მე დავრჩები მოწმედ, თუნდაც აღარცერთი ადამიანი აღარ გადარჩეს, ვისაც ჩემი მოწმეობა დასჭირდება.

და აღარ მიმიცია თავისთვის უფლება, კიდევ ერთხელ დავფიქრებულიყავი ამ განზრახვაზე. მაგრამ ხომ არ არის ეს ისეთი წამალი, რომელიც იმაზე დიდ ბოროტებას იწვევს, რომლის წინააღმდეგაც იყენებენ მას? ამ ნაცადმა წამალმა არ გამახსენა განა ჩემი ძველი, უკვე დავიწყებული უბედურება? რომ მე, შინაგანად გახლეჩილი, ვხედავ ამ დაწყევლილ ბერძნების ორთვალაზე მჯდომარე საკუთარ თავს, თავსაფრიანს, შიშისგან აცახცახებულს. ნეტავი შიშისაგან რომ აღარ ვიკანკალო, ცხოველივით რომ არ ვიბლავლო — ვინ იცნობს ჩემზე უკეთ სამსხვერპლო ცხოველების ბლავილს — ნეტავი ბოლომდე, იმ ნაჯახამდე — ო, ჩემი თავი, ჩემი კისერი — ნეტავი ცნობიერების გულისათვის ბოლომდე გავაგრძელებ საკუთარი თავის გახლეჩვას, ვიდრე ნაჯახი გამკვეთავდეს? ნეტავი...

რატომ არ ვაძლევ თავს ნებას, დავუბრუნდე ცხოველურ საწყისს? რა მაკავებს? ვინ დამინახავს? ნუთუ მე, ურწმუნოს, ღმერთი ისევე არ მაშორებს თვალს, როგორც ბავშვობაში, ყმაწვილქალობაში, ქურუმობისას? ეს არასოდეს არ დამთავრდება.

საითაც არ უნდა გავიხედო და რაზეც არ უნდა ვიფიქრო, არც ღმერთია, არც განაჩენი, — მხოლოდ მე ვარ. ვის გამო არის ჩემი განაჩენი საკუთარი თავისადმი სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგ ასე სასტიკი? ნეტავი ესეც წინასწარგანსაზღვრული იყოს. ნეტავი ახლაც ისევე მართავდნენ ჩემს მოძრაობებს ძაფები, რომლებიც ჩემს ხელებს არ უჭირავთ, როგორც იმ გოგონას მოძრაობებს, ადრე რომ ვიყავი, სასურველი და სანატრელი ხატი, ნორჩი, ნათელი არსება განათებულ მიწაზე, მხიარული, გულლია, იმედით, საკუთარი თავისა და სხვათა ნდობით აღსავსე, რომელიც იმსახურებს იმას, რასაც ანიჭებენ, თავისუფალი, ლალი. სინამდვილეში კი — შებოჭილი. მას მიმართავენ და უბიძგებენ იმ მიზნისაკენ, რომელიც სხვებმა დაუსახეს. დამამცირებელი ისაა (უწინდელი სიტყვა), რომ ეს ყველამ იცოდა. პანთოემაც. პანთოე-ბერძენს ეს

კარგად ესმოდა. თვალის დაუხამხამებელად გადასცა ამ გოგონას კვირთხი და თავსაკრავი, როგორც ჰეკაბემ მიუთითა. მაშ, პანთოეს არ სჯეროდა, რომ მე აპოლონი მესიზმრა? როგორ არა, როგორ არა, პანთარა კასანდრა. ყველაზე სულელური ის იყო, რომ პანთოეს სიზმრების არ სჯეროდა.

ბოლოს და ბოლოს! დაიძახა პანთოემ იმ დღეს, <sup>ერთი ნიშნული</sup> ~~როცა მისი~~ ვთქვი, ტროა დაეცემა-მეთქი, და ამისთვის სიზმარი არ დამიმოწმებია. პანთოე იზიარებდა ჩემს წინათგონობას, მაგრამ ეს ამბავი არ აღელვებდა. მას, ბერძენს, არ ადარდებდა ტროა, მხოლოდ თავისი სიცოცხლე ადარდებდა, მისი აზრით ის ისედაც კარგა ხანს გაგრძელდა. მისი აღსრულების საშუალებას დიდხანს თან დაატარებდა. და არ იყენებდა. ტანჯვით გარდაიცვალა, რათა ერთი დღით მეტი ეცოცხლა. პანთოე. ბოლომდე ჩვენ მას არასოდეს ვიცნობდით.

ძიძა პართენიამაც იცოდა, ცხადია, რაც გათამაშდა. როგორ ამირჩიეს ქურუმად. მისგან ეს მარბესამაც გაიგო. მაგრამ მან — ამას დიდხანს ვერ ვხვდებოდი — მან მომცა ხელში ჩემი სიზმრის და ჩემი ცხოვრების გასაღები. თუ აპოლონმა პირში ჩაგაფურთხა, მითხრა საზეიმოდ, ეს ნიშნავს, რომ შენ მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი გაქვს. მაგრამ არავინ დაგიჯერებს.

ნათელმხილველის ნიჭი. ეს იყო სწორედ მწველი შიში. ეს ჩემი ნაოცნებარი იყო. დამიჯერებდნენ თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებდა. შეუძლებელია, ადამიანებმა დიდხანს არ დაუჯერონ მას, ვინც თავის სიმართლეს დაამტკიცებს.

ჰეკაბეს გულიც კი მოვინადირე, ჩემი ეჭვიანი დედის გული. ახლა ერთი დიდი ხნის ამბავი გაიხსენა, ძიძა პართენია ამ ამბავს ყველგან იმეორებდა, — ხომ არ შეიძლება, მხოლოდ სიზმრების ამარა იყო: თურმე ორი წლის ტყუპებს — ჩემს ძმას ჰელენოსს და მე აპოლონ თიმბრელის ჭალაში ჩაგვძინებია — მშობლებს მართო დავუტოვებიათ, ძიძასაც არ ეჭირა თურმე ჩვენზე თვალი, და ტკბილი ღვინით გაბრუნებულს, თავადაც ჩასძინებოდა. ჩვენი მამებარი ჰეკაბე შიშისაგან გაქვავებულა, როცა დაუნახავს, როგორ გვილოკავდნენ ყურებს ტაძრის წმიდნა გველები. ძლიერი ტაშით დაუფრთხია მცურავები და ბავშვებიცა და ძიძაც გაუღვიძებია. ამიერიდან იცოდა, რომ მის ორივე შვილს ღვთაება წინასწარმეტყველის ნიჭს უბოძებდა — ნამდვილად ასე იყო. როცა ეკითხებოდნენ ძიძას, და ისიც, რაც უფრო ხშირად იმეორებდა ამ ამბავს, მით უფრო მტკიცედ სწამდა თვითონ მისი სიმართლე. მახსოვს, ჰეკაბეს თავგამოდება რაღაც უსიამო შეგრძნებას იწვევდა ჩემში, ვგრძნობდი, რომ ის ცოტა არ იყოს აჭარბებდა, და მიუხედავად ამისა, განმიმტკიცა ის რწმენა, რაც ასე ძლიერ მჭირდებოდა. რომ მე, კასანდრა, ერთადერთი პრიამოსისა და ჰეკაბეს თორმეტ ქალიშვილს შორის, ღმერთმა ნათელმხილველის ნიჭით გამომარჩია. რა უნდა ყოფილიყო უფრო ბუნებრივი, თუ არა მის ტაძარში ქურუმად მსახურება?

პოლიქსენე... ჩემი წარმატების გამო რომ შენ ჩრდილში დარჩი, ჩემზე ნაკლები რომ არ იყავი, ნაკლებად არ შეგეფერებოდა ნათელმხილველობა, — ეს ყველაფერი მინდოდა მეტქვა შენთვის, ვიდრე შენც ჩემსავით, შესაწირავი მსხვერპლივით, შორს არ წაგათრევდნენ. პოლი-

ქსენე: ჩვენი სიცოცხლეები რომ გაგვეცვალა, სიკვდილი მაინც ერთი გვექნებოდა. ნეტავი ეს ნუგეშია? გჭირდებოდა ნუგეში? ან მჭირდება ის მე? შენ შემომხედე (მხედავდი?). მე ვდუმდი. მათ წაგათრიეს, მათ-სრებელი აქილევსის საფლაფისკენ. პირუტყვი აქილევსი!

ნეტავ არ გამოეცადათ სიყვარული.

ნეტავ იმ დღეს, ომის პირველ დღეს, საკუთარი ხელებით დამეხრ-ჩო იგი — წყუღიმც იყოს და სამუდამოდ დავიწყებული მისი სახე-ლი, — ნაცვლად იმისა, რომ მეცქირა, როგორ ახრჩობდა ის, აქილევ-სი, ჩემს ძმას ტროილოსს. სინაზული გულს მიღრღნის, არ მეშვება, პო-ლიქსენე. პანთოე ბერძენმა შემაკავა, ისინი გაჯობებენო, მათ კარგად ვიცნობო, მითხრა. ის იცნობდა მათ და მეც. მე არ დამიხრჩვია ადამიან-ნი. მე, პოლიქსენე, — ნუ წამართმევ ამ დაგვიანებული აღსარების სი-ხარულს — მე ვიყავი მისი არჩივი; მისი არჩივი უკვე მაშინ, როცა ჯერ არ იყო გადაწყვეტილი, შენ გაკურთხებდა თუ მე. არასოდეს, არასოდეს არ გვისაუბრია, ძვირფასო, ამაზე. ყველაფერს თვალებით, ქარაგმებით ვანიშნებდით ერთმანეთს. როგორ უნდა მეთქვა შენთვის ისეთი რამ. რისი გაფიქრებაც კი მიჭირდა; დამითმე ეს სამსახური. შენ ეს არ გჭი-რდება, — გეფიცები, ასე ვფიქრობდი. ვერ ვხედავდი, რომ ეს შენც ჩემსავით გჭირდებოდა, ოღონდ სრულიად საპირისპირო მიზეზით. შენ გყავდა შენი თაყვანისმცემლები, — ვფიქრობდი. მე მარტო ვიყავი. მე ხომ ვხედავდი მათ, როცა დილის რიყრაჟზე შენი საძინებლიდან გა-მოდდიოდნენ ხოლმე. ვხედავდი, რა ლამაზი იყავი, როგორ გშვენოდა შე-ნი ბაჯალლო ოქროსფერი ხვეული თმა, მხოლოდ შენ არ იყავი შავგვრე-მანი ჰეკაბეს ასულებს შორის. ვინ, ეკითხებოდნენ ერთმანეთს ძიძები და კარისკაცები, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო შენი მამა! არა, პრაიმოსის ნებიერი ვერ გახდებოდი. შენ ჩემი მდგომარეობა არ გშურდა და ეს მალიზიანებდა. ვერ ვეკითხებოდი თავს, რატომ გინდოდა ქურუმობა. იქნებ ამ სამსახურით სულ სხვა რამეს ესწრაფოდი, ვიდრე მე. არა ჩინს, იმ სიამეთა სანაცვლოდ, რომლებსაც მე მოკლებული ვიყავი; არამედ დაცვას საკუთარი თავისაგან, უამრავი თაყვანისმცემლისგან, იმ ბედი-საგან, რომელიც გეწერა. შენი რიყრაჟისფერი თვალები, შენი პატარა თავი, შენი სახის თეთრი ოვალი, თითქოს ბასრი დანით შეჭრილი თმის ჩარჩოში, შენი ქერა ფაფარი, რომელსაც ვერცერთი მამაკაცი ვერ უყ-ურებდა გულგრილად. ვერცერთი მამაკაცი, რომელიც შენ დაგინახავდა, ვერ გაექცეოდა შენს სიყვარულს, რას ვამბობ, სიყვარულსო! ბედისწე-რას, და არა მარტო მამაკაცები — ზოგიერთი ქალიც, ვგონებ, მარპე-საც, გადასახლებიდან რომ დაბრუნდა და კაცის დანახვა არ უნდოდა. „განწირული“ ვერ გამოხატავს იმ ვნებასა და სიხელეს, რაც ზოგიერთს ეუფლებოდა, მაგალითად, იმ პირუტყვ აქილევსს, და, უნდა ვაღიარო, — შენ არაფერს აკეთებდი ამისთვის... პოლიქსენე, შესაძლებელია შევცდი, დამით, ბნელ ტალანში, თორემ რაში გჭირდებოდა შენ, რომელიც ყვე-ლაფერს აშკარად აკეთებდი, ფიცი, რომ არასოდეს, არასოდეს ენეასი შენთან არ ყოფილა, თუ ის ლანდი, შენი კარიდან რომ მოიპარებოდა, ენეასის აჩრდილი იყო? რა ბრიყვი ვიყავი. როგორ შეიძლებოდა ენეასი ყოფილიყო ის კაცი, რომელიც, ერთი ქალისგან მომავალი, მეორეს სტა-ცებდა მკერდზე ხელს და შემდეგ გაიქცეოდა!

ოპ, პოლიქსენე, როგორ დადიოდი. მკვირცხლად და ფიცხლად, თან მომხიბვლელად, ქურუმი არ შეიძლება ასე მოძრაობდეს. რატომაც არაო! — თქვა პანთოემ, და გადმოაფრქვია მთელი თავისი ღრმის ცოდნა თავისი ღმერთის აპოლონის შესახებ: ბოლოს და ბოლოს, საბერძნეთის მატერიკზე მთავარ ტაძარში, დელფოსში ემსახურებოდა ემსახურებოდა, რომ არ უნდა იყოს ის მშვენიერი, პატარა კასანდრა? — საბერძნეთში მუზეების ღმერთიცაა. — ამ ბერძენმა იცოდა, რითი შეიძლებოდა ეწვე- ნინებინა ჩემთვის. გადაკრული სიტყვით გვაგრძნობინა, რომ ის უხეში კონტურები, როგორც ჩვენ, მცირე აზიის ხალხმა, მისი ღმერთი გამოვ- სახეთ, ბარბაროსობად ეჩვენებოდა.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ქურუმობისთვის შეუფერე- ბლად მთვლიდა. ჩემს არსებაში უეჭველად არის ისეთი თვისებები, თქვა მან, რომლებიც ქურუმობას ესაჭიროება. რა თვისებები! მაგალითად, ჩემი სურვილი, გავლენა მოვახდინო ადამიანებზე; სხვაგვარად როგორ უნდა შეძლოს ქალმა მბრძანებლობა. კიდევ: ჩემი ძლიერი მისწრაფება, მივუახლოვდე ღვთაებებს. და, რა თქმა უნდა, ანტიპათია მიწიერი მამა- კაცების მიმართ.

ბერძენი პანთოე ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი იცოდა ჩემი და- კოდლილი გულის შესახებ, თითქოს არაფრად უღირდა, გაეღვივებინა ჩემს გულში ჩემთვის თითქმის გაუცნობიერებელი, ძალზე ჩუმი და ფარული მტრობა თავის — უმაღლესი ქურუმის წინააღმდეგ. ბერძნული ხომ მი- სგან ვისწავლე. და მამაკაცის მიღების ხელოვნებაც. ერთ ღამეს, როცა ახლად ნაკურთხი ქურუმი ხატთან ვფხიზლობდი, მოვიდა ჩემთან. მარჯ- ვედ, ისე რომ თითქმის ტკივილი არც კი მოუჩენებია, ღამის სიყვარუ- ლით აღასრულა ის, რაც ენეასმა, ვისზეც მე ვოცნებობდი, არ ისურვა თუ ვერ შეძლო. ხელუხლებელი რომ ვიყავი, თითქოს არ გაკვირვებია, მაინცდამაინც არც ის, რა ძლიერ მეშინოდა ტკივილის. არავისთან, არც ჩემთან, არასოდეს სიტყვა არ დასცდენია იმ ღამეზე. მე კი არ ვიცოდი, როგორ შემეთავსებინა სიძულვილი და მადლიერება ერთი და იგივე ადამიანის მიმართ.

ჩემი მოგონებები იმ დროზე ფერმკრთალია, გრძნობები არ მქო- ნია. პოლიქსენე მთელი წელიწადი არ დამლაპარაკებია. პრიამოსი ომის- თვის ემზადებოდა. მე ჩემთვის ვიყავი. ქურუმის როლს ვასრულებდი. მეგონა, ზრდასრული ადამიანების ცხოვრება ამ თამაშისაგან შედგებო- და: საკუთარი თავის დაკარგვა. იმედის გაცრუებაზე ფიქრს არ ვიკა- რებდი.

უმცირესი შეცდომის უფლებასაც არ ვაძლევდი თავს, როცა გო- გონათა პროცესიას ღვთაების ქანდაკებისაკენ მივუძღვებოდი — რო- გორც მოველოდი, ქოროს წინამძღოლად გამომზარდეს. ყველაფერი მე- ხერხებოდა. თავიდან თუ სასჯელის მეშინოდა, როცა ლოცვისას ღმერ- თის გასხივოსნებული გამოხატულების ნაცვლად, ღირა რომ ეპურო ხელთ, მგელი ან სულაც თავგების მთელი გუნდი დამიდგებოდა ხოლმე თვალწინ, მალე მივხვდი, არც არაფერი ხდებოდა ჩემი ხილვებისას. არც მაშინ, პანთოე რომ მოდიოდა ჩემთან, თვალწინ სხვა კაცი, ენეასი მედ- ვა, რათა ზიზღი სიამოვნებად მექცია.

ტროელების პატივისცემით გარემოცული, უცხო თვალისათვის ისე კცხოვრობდი, როგორც არასოდეს არ მიცხოვრია. მახსოვს როგორ გამიფრინდა ცხოვრება ხელიდან. ვერ გავართმევ თავს, ვფიქრობდი ხშირად, როცა ქალაქის გალავანზე შემომჯდარი, უაზროდ ვიყურებოდი სივრცეში, მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა კითხვა, რამ შეიძრა ასე ჩემი ძსუბუქი ცხოვრება.

ვერაფერს ვხედავდი. ნათელმხილველის ნიჭით დატვირთული, დაბრმავებული ყივავი. ვხედავდი მხოლოდ იმას, რაც იქვე იყო, ანუ თითქმის არაფერს. ჩემს ცხოვრებას ღვთისმსახურების წეს-ჩვეულებები და სასახლის მოთხოვნები განსაზღვრავდა. შეიძლება ითქვას: ჩაძირული ვიყავი ამ ცხოვრებაში. სხვაგვარად ცხოვრება არ შემიძლო. ვცხოვრობდი მოვლენიდან მოვლენამდე, რომლებიც თითქოს სამეფო სახლის ისტორიას შეადგენდნენ. მოვლენებით, რომლებიც განუწყვეტლივ ახალ-ახალ მოვლენებს გვაწყურებენ, ბოლოს კი — ომს.

ვგონებ, ეს იყო პირველი, რაც განვჭვრიტე.

ხმებმა მეორე გემის შესახებ გვიან მოაღწია ჩემამდე. გულში ნალველით განვშორდი ჩემი მრავალრიცხოვანი და-ძმის, მათი მეგობრებისა და ახალგაზრდა მონების დიდ წრეს, სადაც სალამოობით, ჩურჩულით თუ აშკარად, არჩევდნენ, აქილიკებდნენ, აკრიტიკებდნენ ყველა გადაწყვეტილებას, რომლებსაც დღის მანძილზე საბჭო ღებულობდა. აკრძალული არ მქონდა, სალამოობით, თავისუფალ დროს, ძველებურად მოდუნებული ცხოვრებით მეცხოვრა, სასახლის შიდა ეზოებში, ხეების ძირში და ბუჩქნარში გამეტარებინა დრო, ჩავძირულიყავი თიხის ღარებში მოჩუხჩუხე წყლის ჩვეულ და საყვარელ ხმებში, დავმტკბარიყავი იმ წუთებით, როცა ზეცა ყვითლად იღებდა და სახლები იმ შუქის კვლავ გამოსხივებას იწყებენ, რაც დღის მანძილზე შეუწოვიათ; ჩემი და-ძმის, აღმზრდელების, ძიძებისა და შინაყმების გაუთავებელ ჩურჩულსა და ჭორაობას ყურს არ ვუგდებდი. ეს მას მერე ავიკრძალე, რაც ქურუმი გავხდი; მას მერე, რაც მომეჩვენა, რომ პოლიქსენემ ჩემს და-ძმებთან გამაშავა, — თუმცა თვით მას მსგავსი რამ არც კი დასიზმრებია და მოგვიანებით მეც დავრწმუნდი ამაში; რაც რამდენიმე ჩემი უსაქმური და-ძმა, რომლებსაც მითქმა-მოთქმა და ოჯახური კინკლაობა არ ეხამუშებოდა, ამიხირდა: მათ წინაშე უპირატესობა კი მინდოდა მქონოდა, მაგრამ შურს ვერ ავიტანდი.

ყოველივე ეს, ჩემი ბავშვობისდროინდელი ტროა, ახლა მხოლოდ ჩემს თავშილა არსებობს. და ვიდრე დრო მაქვს, მინდა აღვიდგინო იგი, არ გამომრჩეს არცერთი ქვა, სინათლის არცერთი სხივი, არც სიცილი ან ყვირილი. რაც არ უნდა მცირე დრო მქონდეს მოზომილი, ეს ყოველივე უნდა დარჩეს ჩემში. ახლა შემიძლია დავინახო ის, რაც არ არის, რა ძნელი იყო ამის სწავლა.

ჰელენოსი, ო, ჰელენოსი, სხვაგვარად შექმნილი, მაგრამ ჩემი მსგავსი. ჩემი ორეული — კაცად რომ გავჩენილიყავი. ნეტავი გავჩენილიყავი! ვფიქრობდი სასოწარკვეთილი, როცა შენ — და არა მე! არა მე! — ორაკულის მაუწყებლად გაქციეს. გიხაროდეს, დაო. ავგურობა — რა უმადური საქმეა. ის ზუსტად შეასრულებსო კალპასის მითითებებს. ჰელენე არ იყო ნათელმხილველი. მას ნიჭი არ გააჩნდა და მხოლოდ რიტუ-

აღით კმაყოფილდებოდა. მთელი ის ქარაფშუტობა, რაც ალბათ ორივესთვის იყო გათვალისწინებული, მას ხვდა წილად. მთელი მელანქოლია კი მე მერგო. როგორ ვნატრობდი, მის ადგილზე ვყოფილიყავი რა იყო ქურუმი ავგურთან შედარებით! რა შურით შევყურებდი, ქალის ქანას რომ გადაიცვამდა, სამსხვერპლო ქვაზე ცხოველის შიგნეულთბის დასათვალისწინებლად. როგორ ახშობდა ზიზღს სისხლის სუნის — თქმეწარმადენილი შიგნეულობა რომ აღძრავდა მასში, რასაც მე პატარაობიდანვე შეჩვეული ვიყავი, როცა სამზარეულოსთვის წვრილ-წვრილ ნანადირევს მასუფთავებინებდნენ ხოლმე. ნეტავი მის ადგილზე ვიყო. ნეტავ შემეძლოს ჩემი სქესი მისაზე გავცვალო. შემეძლოს მისი უარყოფა, დამალვა. დიახ, ნამდვილად ვგრძნობდი ამას. მე, რომელიც თითქმის ვერ ვუცქერდი მოზვერის ნაწლავებს, ღვიძლს, კუჭს, ვუცქერდი ადამიანების აღელვებულ, დაფეთებულ სახეებს, მჭიდროდ რომ შემოჯაროდნენ გარს მსხვერპლსა და ქურუმს და ისე ელოდნენ მის სიტყვას, როგორც პურსა და ღვინოს. გაცვეთილად, მშრალად ქადაგებდა ჩემი ძმა, მზესა და წვიმაზე, მოსაფლიანობასა და მოუსაფლიანობაზე, საქონლისა და ბავშვების მოვლაზე. სულ სხვაგვარად ვიქადაგებდი მე, სხვა კილოთი შევალწევდი მათ სულში, სულ სხვა, სხვა რჩევა-დარიგებებს მივცემდი მათ — ამ გულუბრყვილო, უპრეტენზიო ადამიანებს; მაინც... მაინც? რას დავარიგებდი? პანთოემ, რომელიც იმ დროს თვალს არ მაშორებდა, პირდაპირ მკითხა. მუდამ ეკლიანია მისი შეკითხვები. რითი ვაპირებდი ამ ადამიანების გამოგლეჯას იმ წრებრუნვიდან, რომელშიც ისინი იყვნენ ჩართულნი, თუ არა ამინდზე, ნიადაგის ნაყოფიერებაზე, საქონლის ჭირზე, დაავადებებზე საუბრით? იმ წრებრუნვიდან, რომელშიც ისინი კარგად გრძნობდნენ თავს და სხვას არაფერს ეძიებდნენ? ამაზე გაფიცებულმა ვუპასუხე: იმიტომ რომ სხვა არაფერი იცინა. მხოლოდ ასეთ კითხვებს უტოვებენ მათ.

ვინ უტოვებს? ღმერთები? პირობები? მეფე? და ვინ ხარ შენ, რომ სხვა კითხვები მოახვიო მათ თავზე. ჩემი კეთილი რჩევაა, კასანდრა, ყველაფერი ისე დატოვო, როგორც არის. როცა პანთოე კარგა ხანს აღარ მოდიოდა დამლამობით, ძალიან მაკლდა. ოღონდ მაკლდა არა თვით ის, არამედ... და როცა ჩემთან ერთად იყო — ენეასს, მხოლოდ, ენეასს ვხედავდი მასში, ეს თავისთავად იგულისხმებოდა. ჩემთვის სულ ერთი იყო, ამჩნევდა თუ არა ბერძენი ამას — მას ხომ თითქმის არაფერი რჩებოდა შეუმჩნეველი და მისი სიცივეც ამისი ბრალი იყო. მაგრამ არ მოიძებნება არავითარი საშუალება ცასა და დედამიწას შორის, რომელიც მაიძულებდა, გამემჟღავნებინა ჩემი საიდუმლო. ჩემი შურიც პელენესადმი თანდათან გაქრა, ისე როგორც ქრება ყველაფერი, მაგრამ არ ვიცი, როდის. ჩემი მისწრაფება, ახალი კითხვები დამესახა ადამიანებისთვის, ჩაქრა, მთლიანად ჩაიფერფლა. ჩემი საიდუმლო კი შევინახე. არის ისეთი საიდუმლოებანი, რომლებიც ადამიანს ფიტავენ, და ისეთებიც, რომლებიც ამაგრებენ მას. ჩემი საიდუმლო ავთვისებიანი იყო და ვინ იცის, სადამდე მიმიყვანდა, ენეასი რომ არ გამოჩენილიყო მართლაც ერთ დღეს.

რას ამბობენ მიკენელი ქალები, გარს რომ მახვევიან? ილიმებო. მე ვილიმები? ვანა მე კიდევ მახსოვს, რა არის ღიმილი? უკანასკნელად

მაშინ გავიღიმე, როცა ენეასმა — მამამისი, მოხუცი ანქისე ზურგზე  
 ჰყავდა მოკიდებული — ერთ მუჭა ხალხთან ერთად ჩამიარა და იდას  
 მთისაკენ გაემართა. რა მოხდა, თუ ტყვე ქალების გროვაში შექებდა და  
 ვერ მიცნო. მე დავინახე, რომ სამშვიდობოს გავიღმე და გავიღიმე.

რა უნდა ჩემგან ამ დამჭკნარ დედაბერს, რას მტყუბნის მამაღუ გადა-  
 ეჩვევიო სიცილს. დიახ, ვეუბნები მეც ვიცი, მალე.

ახლა ერთი ჩაფარი ლამობს აკრძალოს ყოველგვარი კონტაქტები  
 მკვიდრებსა და მონებს შორის. სასწრაფოდ. ეს ყოველთვის მაკვირვებ-  
 და ბერძნებში: რაც გასაკეთებელია, სწრაფად აკეთებენ. და საფუძვლი-  
 ანად. რამდენი ხანი დასჭირდებოდა ჩვენი სასახლის ირონიულად გან-  
 წყობილ ახალგაზრდებს, რომ საერთოდ გაეგოთ კანონი მონებთან ურ-  
 თიერთობის აკრძალვის შესახებ, და რომ დაეცვათ? დაცვაზე ხომ ლა-  
 პარაკიც ზედმეტია. ამის გამო ევმელემაც კი მარცხი განიცადა. ჩვენებს  
 უნდათ გადაგარჩინონ, მითხრა მწარედ, თქვენ კი, ჩემს ზურგს უკან,  
 იმ ტოტს ჭრით, რომელზედაც სხედხართო. თავისებურად მართალი იყო.  
 უნდოდა ისეთები ვყოფილიყავით, როგორებიც ომს სჭირდება. მტერს  
 უნდა დავმსგავსებოდით, რათა მოვრეოდით მას. მაგრამ ჩვენ ეს არ  
 მოგვწონდა. გვინდოდა ისეთივე დავრჩენილიყავით, როგორებიც ვიყა-  
 ვით — არათანმიმდევრულნი; ასე მოგვენათლა პანთოემ. გადაუწყვიტე-  
 ლები, ბედთან შეგუებულები. ასე არაფერი გამოვა, კასანდრა, ბერძნებს  
 სხვანაირად უნდა შეებრძოლოთ. მან ეს იცოდა. თვითონაც ხომ ვერ  
 გაუმკლავდა ბერძნების თანმიმდევრულობას, მაგრამ ამაზე არ ლაპარა-  
 კობდა. რაც მისთვის მნიშვნელოვანი იყო, საიდუმლოდ ინახავდა. მისი  
 აზრები ახალი ამბებიდან, მითქმა-მოთქმიდან და დაკვირვებიდან უნდა  
 გამომეტანა.

რაც ადრევე შევამჩნიე, ეს იყო ტკივილის შიში, რომ იგი მგრძნო-  
 ბიარე იყო. შეჯიბრებებში ფიზიკურ სიძლიერეზე არასოდეს მონაწილე-  
 ობდა. მე კი მახსენდება, იმით ვიყავი ცნობილი, რომ ტკივილს ვიტან-  
 დი. რომ დიდხანს შემეძლო ხელის გაჩერება ალზე. წარბსაც არ შევი-  
 ხრიდი. არ ვტიროდი. პანთოე, როგორც შევამჩნიე, გაეცლებოდა ხო-  
 ლმე იქაურობას. ამას ჩემს თანაგრძნობად აღვიქვამდი. ეს გადაღლილი  
 ნერვების ბრალი იყო. გაცილებით გვიან მივხვდი, რომ ადამიანის და-  
 მოკიდებულება ტკივილის მიმართ უფრო მეტს მეტყველებს მის მომა-  
 ვალზე, ვიდრე ყველა სხვა ნიშანი, რაც კი ვიცი. როდის გატყდა ჩემი  
 ქედმაღლური დამოკიდებულება ტკივილის მიმართ? ცხადია, ომის და-  
 წყებისთანავე. რაც მამაკაცების შიში დავინახე: რა იყო მათი შიში ბრძო-  
 ლის წინაშე, თუ არა ფიზიკური ტკივილის შიში. მათი უცნაური ხრი-  
 კები, უკუეგდოთ შიში, თავი დაელწიათ ტკივილისა და ბრძოლისაგან.  
 მაგრამ ბერძნების შიში, ჩანს, დიდად ჭარბობდა ჩვენსას. ცხადია, თქვა  
 პანთოემ. ისინი უცხო ქვეყანაში იბრძვიან, თქვენ კი სახლში. რა უნ-  
 დოდა მას, უცხო, ჩვენთან? ამის კითხვა შეუძლებელი იყო.

ყველა იცოდა: პანთოე თამპოსის ბიძაშვილის ნადავლი იყო პირ-  
 ველი ხომალდიდან — ასე ეძახდნენ სასახლეში ამ წამოწყებას. მას მე-  
 რე, რაც მას მეორე და მესამე მიჰყვა, და ბოლოს ხალხისგან შერქმეუ-  
 ლი „ხომალდი დელფოსისკენ“. ხმარებიდან გამოვიდა და ნეიტრალური  
 სახელით შეიცვალა. ასე ამიხსნა მოკლედ და გასაგებად ანქისემ, ვნეა-

სის მამამ, რომელიც მე, მეფის ასულს, ქურუმს, ტროას ისტორიას მასწავლიდა. აბა, მისმინე, გოგონი (ანქისეს წაგრძელებული, სრულიად მელოტი თავი აქვს. ნაოჭებით დაღარული შუბლი. სქელი წარბები. ნათელი, ეშმაკური გამოხედვა. მოძრავი ნაკვთები. ღონიერი ნიკაპი. ძლიერი, ხან გულლიად მცინარე, უფრო ხშირად კი ირონიულად მოძრავარე, დაღრეცილი პირი. თხელი, ძლიერი ხელები გაღეული ფრჩხილებით, ენეასის ხელები). მაშ, მისმინე. სრულიად უბრალო ამბავია, აგზავნიან გემს, ვთქვათ, მამაშენი, თუმცა ვეჭვობ, თავად მოუვიდეს ასეთი აზრი; უფრო უპრიანია კალპასი ვთქვათ. პოდა, აგზავნის კალპასი მეფის ბიძაშვილს, ამ ლამპოსს, რომელიც პორტის მმართველად კი გამოდგება, მაგრამ მეფის შიკრიკად დელიკატური დავალებით ნამდვილად არა, აგზავნის ლამპოსს გასაიდუმლოებული მისიით საბერძნეთში. სისულელე იყო, ან, უნდა ვთქვათ, დაუდევრობა, გამგზავრებისას მოხეიმიე ხალხის თავმოყრა ნავსადგურში; მეც აქ ვიყავი. ძიძას ვყავდი ხელში აყვანილი. სინათლე, ჟრიაშული, ალმები, მოციმციმე წყალი, და მძლავრი ხომალდი: ჩემი პირველი მოგონება, — სწორედ ეს არის მთავარი, მძლავრი ხომალდი, მაბატე, რომ ვიღიბები. უბრალო გემი, ნავი-მეთქი, კინალამ წამომცდა, ჩვენ რომ შესაძლებლობა გვქონოდა, ალგვეჭურვა მძლავრი ხომალდი, მაშინ მას მაინც დამაინც საბერძნეთში არ გავგზავნიდით. მაშინ არც ეს აბეზარი ბერძნები დაგვჭირდებოდა, და არც მათი ორაკულისათვის პატივის მიღება. არ წაჰიდოდით მოლაპარაკებაზე პელესპონტით გასვლის უფლების შესახებ, რისი უფლებაც ძველთაგანვე გვქონდა. მაშ ასე, მოვლენათა მსვლელობა მოკლედ ასეთი იყო: ბერძნები არ დათანხმდნენ ჩვენს პირობებს, ლამპოსმა დიდძალი საჩუქრები ჩამოიტანა დელფოსში, რაც თითქმის აღემატებოდა ჩვენს ქონებას, იქ იგი პანთოემ დაინახა, აედევნა და მასთან ერთად დაბრუნდა; მოხეიმიე ხალხისათვის სახლში დაბრუნებისას შეიძლებოდა ნადავლის რაღაც ნაწილი ეჩვენებინა. და ჩვენი სასახლის მწერლებმა, — უნდა იცოდეთ, თავისებური ხალხია — უკვე ნახევრად ჩაშლილი წამოწყება ხმამაღალი სახელით მონათლეს: **პირველი ხომალდი.**

ოი, ოი. მაგრამ ანქისეს თანამიმდევრულ სიფხიზლეში იყო რაღაც პოეზიის მსგავსი, რასაც მე თავს ვერ ვალწევდი. და რადგან ის თვითონ იყო მეორე ხომალდის ერთ-ერთი მგზავრი, ყველაფერი ზუსტად იცოდა მის შესახებ, მაგრამ ეზოებში, სადაც არაფერზე ისე ცხარედ არ ვკამათობდით, როგორც პირველ ხომალდზე, ყველაფერი სხვაგვარად ჟღერდა. ჩემი უფროსი ძმა პეტტორი, ღონიერი, მაგრამ გულჩვილი ახალგაზრდა, გადაჭრით უარყოფდა პირველი აქციის წარმატებას. იმისათვის კი არ გაუგზავნიათ ბიძია ლამპოსი დელფოსის ორაკულთან, რომ ქურუმში ჩამოეთრია. არა? მაშ რისთვის? პეტტორმა ეს ნახევრად ოფიციალურად იცოდა ქურუმებისაგან: ლამპოსს უნდა ეკითხა პითიასათვის, ისევ დაწვევლილი იყო თუ არა ის ბორცვი, რომელზეც ტროა მდებარეობდა; და ამრიგად, საიბედოა თუ არა ქალაქი და მისი გალავანი, რომელიც სწორედ ახლახანს საფუძვლიანად განაახლეს. გაუგონარი ეჭვი! ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის ტროა — ქალაქი და ყველაფერი, რასაც ეს სახელი მოიცავდა, ამ ბორცვიდან, ატედან იყო ამოზრდილი,



რომელიც ჩვენთვის ერთადერთი ადგილი იყო დედამიწაზე, განსახიერებული იდას მთაში, მის წინ მოელვარე ველით, ზღვის ყურეთი და ბუნებრივი ნავსადგურით. და ქალაქთან ერთად — გალავანი, მისი მცველი და ზღუდე, რომლის მშენებლობაშიც უხსოვარ დროს თვით ღმერთებს, აპოლონს, პოსეიდონს უღევთო წილი, და ამიტომაც ვესინი აუღებელი და უძლეველიაო, — ასე ამბობდა ხალხი, და მეც ხარბად ვუსმენდი, თუმცა საპირისპიროც მესმოდა ხოლმე: როგორ! როგორ დაავიწყდა ლამპოსს აპოლონის ქურუმით, პანთოეთი გატაცების გამო გამოეკითხა პითიასათვის ტროასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი გარემოებანი? რომ ძლევა მოსილი ორაკულის კურთხევის გარეშე აშენებული გალავანი აუღებელი კი არა, პირიქით — ქალაქის სუსტი ადგილი ყოფილა? სკეის კარიბჭე და — მისი მოწყვლადი ადგილი? პანთოე კი ტყვედ კი არ წაუყვანიათ, ნებაყოფლობით გაპყოლია იქამდე უჩინარ ბიძაშვილს ზღვის გადაღმა? და პრიამოსს არ ჰქონია იმდენი ძალა, რომ ქურუმად ეკურთხებინა უცხოელი, რაც სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა დელფოსის უზენაესობის აღიარებას რელიგიის საკითხებში?

ეს ყოველივე საკმაოდ ძნელი წარმოსადგენი იყო. და სულელურიც იმდენად ბრიყვულად მოფიქრებული, რომ მე, ბავშვსაც კი მიჭირდა ამ მონაჩმახის დაჯერება. და მაინც ეს თემა მოსვენებას არ მაძლევდა, ყოველთვის ვცდილობდი, გავრეულიყავი უფროსებში, გავმძვრალიყავი პექტორის მაშინ უკვე მძლავრ ფეხებს შორის და მასზე მიყრდნობილს, ყური მომეკრა საუბრიდან რაიმესთვის, რაც ამ ამბავთან იქნებოდა დაკავშირებული. დაბადებით კი არა, აი, ამ შიდა ეზოებში მოსმენილი მონათხრობებით გავხდი ტროელი. გაბმულმა დუდუნმა კი საჭკრიტინოსთან, დამწყვდეული რომ ვიყავი, ჩემი ტროელობა დამავიწყა; ახლა, როცა ტროა აღარ არსებობს, ისევ ტროელი ვარ. და სხვა არაფერი.

ვის ვეტყვი ამას.  
 დიას. სხვა თუ არაფრით — იმით მაინც ვჯობდი თავიდან ბერძენ პანთოეს, რომ არაფერი არ გამომეპარებოდა, რაც შიდა ეზოებში ხდებოდა, ოდნავი მღელვარებაც კი, ამ ეზოებს რომ დაუვლიდა ხოლმე, ჩემს მახვილ სმენას არ გამომეპარებოდა. ერთხელ ისიც კი ვკითხე, რატომ იყო აქ, — ანუ იქ, ტროაში. ცნობისმოყვარეობის გამო, ჩემო ძვირფასო, მიპასუხა მისთვის ჩვეული ზერელე კილოთი, მაგრამ ნუთუ შეეძლო ვინმეს ცნობისმოყვარეობის გამო მიეტოვებინა დელფოსის ორაკული, სამყაროს შუაგული? — ოპ, ჩემო პატარა ურწმუნო! ნეტავი იცნობდე სამყაროს ამ შუაგულს. მას ხშირად ისეთი სახელები შეურქმევია ჩემთვის, რომლებიც დიდი ხნის შემდეგ ამხდენია. როცა ტროა ნამდვილად შევიცანი, ჩემი სამყაროს შუაგული, მაშინლა გავუგე პანთოეს. ცნობისმოყვარეობა კი არ გამაძევებდა აქედან, არამედ საშინელება. მაგრამ საით, და რომელ ხომალდს უნდა წავიყვანე შორეულ ცურვაში?

არ ვიცი, რატომ ვფიქრობ ამდენს პანთოეზე. იქნებ რაღაც სიტყვაა მის სახელთან დაკავშირებული, რომელიც ლამობს ამოაღწიოს იმ უხილავი სიღრმეებიდან, მე რომ ვერასოდეს ვერ ჩავწვდები? ან იქნებ ხატი? ადრეული, ძალზე ადრეული ხატი, რომელიც თვალთაგან მიქრება და რომელიც, თუ ჩემს ყურადღებას მოვადუნებ და თავის ნებაზე მივუშვებ, შეიძლება მოვიხელთო. ქვემოთ ვიყურები. ჩემს ქვემოთ —

რაც ადამიანთა მსვლელობის მსგავსი, ზეაპრობილი სახეები, ერთი მეორეზე მჭიდროდ მიწყობილნი, ვიწრო ქუჩაში ირევიან. მუქარა, სიბრაზე, ბარბაროსობა. ხატი მძაფრდება. უფრო მკაფიოდ იკვეთება: დიას, წყნარი თეთრი შუაგული. ბიჭუნა, თეთრებში ჩაცმული, თეთრი მოზვერი მოჰყავს თოკით. ამ არეულობაში — ხელშეუხებელი მძაფრობი ლაქა. და პანთოე, მას ვერ ვხედავ, მაგრამ ვიცი, რომ პანთოე მისევეა — ბა მსვლელობას, თავად ჯერ კიდევ ბავშვი, სრულიად ნორჩი, ძალზე ლამაზი. და იგი ხალხს სკეის კარიბჭესთან მიიყვანს, მოზვერს დაკლავს, ბიჭს კი გაუშვებს, ღმერთ აპოლონს, ქალაქს რომ იცავს, ამიერიდან აღარ სურსო ბიჭების მსხვერპლად მიღება. „ბიჭის შეწირვა“, აი, ის სიტყვა. ასეთი რამ ტროაში აღარ მინახავს, თუმცა... ამ მსხვერპლთ-შეწირვის გასაუქმებლად მამაჩემს პრიამოსს პანთოე დასჭირდა. და როცა ომის მეცხრე წელიწადს ბერძნები სკეის კარიბჭეს მოადგნენ და ალებით ემუქრებოდნენ მას, — კარიბჭეს, რომელთანაც ბერძენმა ბიჭე-ბის მსხვერპლად შეწირვა აკრძალა, — გაისმა: მოლალატიე პანთოე. ჩემი უწყინარი, მიმნდობი ხალხი. ბოლო დროს ველარ ვიტანდი მას, პან-თოეს. ვერ ვიტანდი ჩემს თავში იმას, რაც მის ცთუნებას აჰყოლია.

ვინც ცოცხლობს, ის იხილავს. ვაცნობიერებ, რომ ჩემი შიშის ამბავს მივყვები. ან, უფრო სწორად, მისი ახსნის, კიდევ უფრო ზუსტად, მისი გათავისუფლების ამბავს. დიას, ნამდვილად, შიშის გათავისუფლებაც შესაძლებელია, და მაშინ გამოჩნდება, რომ იგი ყველაფერში და ყველაფრით ჩაგრულებთანაა დაკავშირებული. მეფის ასულს არაფრის შიში არა აქვს, რადგან შიში სისუსტეა, სისუსტის საწინააღმდეგოდ კი რკინისებური წრთობაა საჭირო. შეშლილს ეშინია, იგი შიშისაგანაა შეშლილი. ტყვეს უნდა ეშინოდეს. თავისუფლებაში ადამიანი სწავლობს, როგორ მოერიოს უმნიშვნელო შიშს და გაუმკლავდეს დიდ, მნიშვნელოვან შიშს, რადგან ძალზე ამაყია საიმისოდ, რომ შიში სხვებთან გაიზიაროს. — თუმცა ეს ყოველივე ფორმულია.

მართალია, როცა ამბობენ, რაც უფრო ახლოსაა სიკვდილი, მით უფრო ნათელი და მშობლიურია ბავშვობისა და ყრმობის ხატები. მთელი საუკუნეა, აღარ გამომიწვევია ისინი წარსულიდან. რა ძნელი, თითქმის შეუძლებელიც იყო მეორე სომალდის ისე დანახვა, როგორიც იყო ის ნამდვილად ჰეკაბეს ამოძახილის მიხედვით: შიშით შეპრობილთა ლაშქრობა. რა მოხდა, ნუთუ ასე მნიშვნელოვანი იყო ისეთი კაცების გაგზავნა გემზე, როგორებიც იყვნენ ანქისე ან კალპას-ნათელმხილველი? ანქისე, რომელიც დაბერებული დაბრუნდა უკან. კალპასი, რომელიც საერთოდ აღარ დაბრუნებულა. დიას, მეფის და, ჰესიონე. ჰესიონე, თქვა მამაჩემმა პრიამოსმა საბჭოში და თავის ხმას ატირებულ-პათეტიური ჟღერადობა მისცა: ჰესიონე, მეფის და, რომელიც სპარტელმა ტელამონმა მოიტაცა და დაატყვევა. საბჭოს წევრები დაბნეულები შესცქეროდნენ. მაშ, მაშ, დაატყვევა, დამცინავად გაიმეორა ჰეკაბემ. მოიტაცა. ყოველ შემთხვევაში ჰესიონე არც თუ ისე შესაბრალისი ტყვეა სპარტაში. თუ? თუ არ ვცდები, მაგ ტელამონმა ცოლად დაისვა? დედოფლად, თუ? ხომ ასეა? მეფე, რომელიც არ ცდილობს დაიბრუნოს მოტაცებული და, ხალხის თვალში ღირსებას კარგავს. აჰ, მოჭრა ჰეკაბემ. მაშინ რაღა საჭიროა ამაზე საჯაროდ ლაპარაკი. ასე კამათობდნენ

თავის მეგარონში, და ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ მამამ გარეთ გამომიშვა. მისი გაორებული გრძნობები მეც გადმომეცა და ბურთივით გამკვრივებული, თითქოს გულის კოვზთან გაჩერდა, ეს იყო მოთამთამე დაძაბულობა, რომლის სახელიც ძიძა პარუქუნთა მასწავლა — „შიში“. რა საჭიროა ამდენი შიში, ჩემო გოგონა ბატონო! არ წარმოიდგენს.

ალმები, ხელის ქნევა, ყრიაბული, მოკიაფე წყალი, მოციმციმე ნიჩბები — ორმოცდაათი, თიხის დაფებზე აღნიშნეს სასახლის მწერლებმა, რომლებმაც თვლის მეტი არაფერი იციან — მეორე ხომალდის გასვლისას შეძახილებით აქეზებდნენ დარჩენილები გემის ბორტთან მდგარ კაცებს: ან მეფის და, ან სიკვდილი! ჩემს გვერდით ენეასი იდგა და მამამისს ასძახა: ან პესიონე, ან სიკვდილი! მე შემეშინდა, თუმცა ვიცოდი, რომ არ უნდა შემშინებოდა: ენეასი იმ სამეფო სახლის სახელით მოქმედებდა, რომელსაც მე ვეკუთვნოდი, თუკი ის უცხო ქალის გულისთვის, რომელიც შემთხვევით მეფის და იყო, მამამისს სასიკვდილოდ იმეტებდა. ჩემი შეძრწუნება ჩავახშე და თავი ვაიძულე აღფრთოვანებულიყავი ენეასით. მაშინ დაიწყო ჩემი გრძნობების გაორება. და ენეასისაც — როგორც შემდეგ მითხრა. მითხრა, რომ ის უცხო ქალი, რაც უფრო გრძელდებოდა მისი დაბრუნებისათვის ბრძოლა, მით უფრო განურჩეველი, საძულველიც კი ხდებოდა მისთვის, მამის გამო მღელვარება კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. საიდან უნდა მცოდნოდა ეს? მაშინ მოხდა ეს, დიახ: სწორედ მაშინ დამეწყო ეს სიზმრები, რომლებშიც ენეასი მეცხადებოდა; და სიამოვნებას განვიცდიდი, როცა შემუქრებოდა. სიზმრები, რომლებიც მტანჯავდნენ და გამოუსწორებელი დანაშაულის, სასოწარმკვეთი გაუცხოების გრძნობას აღმიძრავდნენ. დიახ, ალბათ შევძლებდი იმის აღწერას, თუ როგორ იბადება დამოკიდებულება და შიში. მაგრამ აღარაფინ აღარ მეკითხება.

მინდოდა ქურუმი გავმხდარიყავი. ნათელმხილველის ნიჭი მინდოდა შეჭველად.

ავბედითი სინამდვილე რომ არ დაგვენახა თვალისმომჭრელ ფასადს მიღმა, თვალის დახამხამებაში ვცვლიდით ჩვენს მცდარ განაჩენს. აი, ერთი მაგალითი, რომელმაც აღმაშფოთა, როცა ჯერ კიდევ შემწევდა აღშფოთების უნარი: ტროელები, რომლებიც ყველანი, ჩემსავით, სიხარულით შეხვდნენ მეორე გემის გასვლას, შემდეგ ირწმუნებოდნენ, სწორედ ამ ხომალდიდან დაიწყო ჩვენი ბედუკუღმართობაო. მაგრამ როგორ შეეძლოთ ასე მალე დაევიწყებინათ, რაც დედის და ძიძის კალთიდანვე შეითვისეს: რომ ჩვენი ქალაქის უბედურებათა ჯაჭვი უხსოვარდროში იკარგებოდა, ნგრევა და აღშენება და კვლავ ნგრევა, სხვადასხვა მეფეების ხელში, უმეტესად უიღბლოების. რა აძლევდა მათ, რა აჯადულებდა ყველას იმის რწმენას, რომ სწორედ ეს მეფე, სწორედ მამაჩემი პრიამოსი ვაგლეჯდა უბედურებათა ამ ჯაჭვს, სწორედ ის დაუბრუნებდა, დაგვიბრუნებდა ოქროს ხანას? რატომ იმარჯვებენ ჩვენში სწორედ ის სურვილები, რომლებიც შეცდომებს ემყარება? არაფრისთვის ისე არ დაფუძრახივარ მათ შემდეგში, როგორც იმისათვის, რომ არ გაგიზიარე მათი საბედისწერო გატაცება ამ სურვილებით. ამ გაუზიარებლობის, და არა ბერძნების გამო, დავკარგე მამა, დედა, და-ძმა, მეგობრები,

ჩემი ხალხი. და მოვიპოვე — არა; ჩემს სიხარულზე ფიქრს ვუკრძალავ თავს, ვიდრე ეს არ დამჭირდება.

როცა მეორე ხომალდი, ბოლოს და ბოლოს დაბრუნდა, რა თქმა უნდა — ასე ამბობდა ყველა! — მეფის დის გარეშე, მაგრამ ასევე კალპას-ნათელმხილველის გარეშე, როცა იმედგაცრუებული ხალხი, დიდი მის მტრულად განწყობილი ნავსადგურში შეიკრიბა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა (სპარტელს, როგორც შევიტყვეთ, ტროელთა მოთხოვნაზე გასცინებია), როცა მამაჩემის შუბლზე ღრუბელი შევამჩნიეთ — უკანასკნელად ვიტყვით საჯაროდ. ჰეკაბემ, რომელიც არ ზეიმობდა თავის განვე ნაწინასწარმეტყველებ მარცხს, ამიკრძალა ეს, არა მძაფრად, მაგრამ გადაჭრით. პოლიტიკურ მოვლენებზე არ ტირიანო. ცრემლები გონებას აბნელებენო. თუ მტერი თავის განწყობილებას აჰყვება, იცი-ნე! მით უარესი მისთვისო. მამიდას რომ ვეღარ ვნახავდით, ყველასათვის ნათელი იყო, ვისაც კი ხუთივე გრძნობა ადგილზე ჰქონდა. ხალხი, რა თქმა უნდა, ყოველი ხომალდის გასვლასა თუ შემოსვლას ამპარტავ-ნული იმედებითა და გარდუვალი იმედგაცრუებით ხვდება. მმართვე-ლებს უნდა შეეძლოთ თავის მოთოკვა. — მე დედის წესებს ვეწინა-აღმდეგებოდი. უკან რომ ვიხედები, ვხედავ, ის სერიოზულად მიყურე-ბდა. მამა მხოლოდ ნუგემს ეძებდა ჩემთან. საჯაროდ აღარ მიტირია. და ჩუმადაც სულ უფრო და უფრო იშვიათად.

დარჩა კალპას-ნათელმხილველი. სად იყო? გზაში დალია სული? არა. მოკლეს? არა, არც მოუკლავთ. ესე იგი, ბერძნებმა დაიტოვეს მძევლად. ეს ხალხმა ადვილად დაიჯერა და ერთხანს ჯეროდა კიდევ. რა დაშავდება, თუ ბერძნებს ცუდი სახელი გაუვარდებათ. სასახლის ტა-ლანებში კი სხვა ამბავი ისმოდა, რომელსაც, როგორც კი ჩემამდე მო-აღწია, გამწარებული, მუშტებმოკუმული შევებრძოლე. მარპესა დაჟი-ნებით ირწმუნებოდა: ეს სიმართლეა, საბჭოში ამ ამბავზე ბჭობდნენო. და, სხვათაშორის, მეფე-დედოფლის საძინებელშიცო, — როგორ, კა-ლპასი ბერძნების მხარეზე გადავიდა? ჩვენი დიდად პატივცემული ნა-თელმხილველი, სახელმწიფოს საიდუმლოებებში ჩახედული და მოლა-ლატე? — სწორედაც. — ეს უსათუოდ სიცრუეა. განრისხებული წავე-დი ჰეკაბესთან, დაუფიქრებლად შევიმსუბუქე სინდისი, ვაიძულე დედა, ემოქმედნა. მარპესა თვალთავან დამეკარგა. ძიძა პართენია ნამტირალე-ვი, საყვედურიანი თვალებით გამომეცხადა. ჩემს გარშემო მდუმარე წრე შეიკრა. სასახლე, ჩემი ყველაზე მშობლიური ადგილი, გამიუცხო-ვდა, ჩემი საყვარელი შიდა ეზოები მდუმარედ მეგებებოდნენ. და მე ჩე-მი სიმართლით მარტო აღმოვჩნდი.

პირველი წრე შეიკრა.

ენეასმა, — ვისიც მუდამ მჯეროდა, რადგან ღმერთებს დავიწყნი-ათ სიცრუის უნარი ებოძებინათ მისთვის — ენეასმა დამიდასტურა ყვე-ლაფერი სიტყვა-სიტყვით: დიახ, კალპას-ნათელმხილველი საკუთარი ნებით დარჩენილა ბერძნებთან. მან ეს დანამდვილებით იცოდა ანქისე-საგან, მამამისისგან, რომელიც რამდენიმე წლით დააბერა ამ ამბავმა. კალპას-ნათელმხილველს ეშინოდა — რა უსაშველოდ ბანალური იყო ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიზეზები! — რომ მეორე ხო-მალდის მარცხის შემდეგ ტროელები პასუხს მოსთხოვდნენ, წარმატი-

ბები რომ იწინასწარმეტყველა გასვლის წინ. ყველაზე კურიოზული კი ის იყო, რომ მისი კეთილი წინასწარმეტყველება სამეფო სახლის იძულების შედეგი იყო და არა ხილვისა.

და მე იმთავითვე ვიცოდი, რომ მარპესა სიმაწილეს ეძებდა. და მესმოდა, როგორ ვუთხარი ენეასს, რომ თავიდანვე ვიცოდი ყველაფერი. ხმა, რომელმაც ეს წარმოთქვა, უცხო იყო, და ცხადია, დღეს ვიცი, დიდი ხანია ვიცი, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ეს ხმა, რომელიც იქამდეც ხშირად გამჩხერია ყელში, პირველად ენეასის თანდასწრებით აღმოჩნდა. განზრახ ამოვუშვი, რომ არ გავეგლიჯე. რაც ამას მოჰყვა, იმის თავიდან აცილება ჩემს ძალებს აღემატებოდა. ვიცოდი, მე ეს ვიცოდი, ვიმეორებდი ისევ იმ უცხო, მაღალი, აკანკალებული ხმით, რომელსაც მინდოდა გავქცეოდი, თან ენეასს ვეჭიდებოდი, ის კი შეშინებული მიყურებდა, მაგრამ თავი ყოჩაღად ეჭირა. ყოჩაღად ეჭირა, ო, ენეასი. აცანცანებული, ათრთოლებული ვეკვროდი მას, თითებით ჩემდა უნებურად მის ტანსაცმელს ვებლაუჭებოდი, ვფხრეწდი, პირიდან, გარდა იმისა, რომ ყვირილი ამომდიოდა, დუჟი გადმომდიოდა, რომელიც ტუჩებსა და ნიკაპზე მედებოდა, და ფეხები, რომელთაც ისევე ვერ ვიმორჩილებდი, როგორც სხეულის სხვა ნაწილებს, თახთახებდნენ და ხტოდნენ რალაც უადგილო და შეუფერებელი ჟინით, რასაც სრულებით ვერ ვგრძნობდი, არაფერი, არაფერი არ მემორჩილებოდა, თავს ვერ ვიმორჩილებდი. ოთხმა კაცმა ძლივს გამაკავა.

ბოლოს გონება დამიბნელდა, და ამ სიბნელეში უცნაურად გამიელვა გამარჯვების ნაპერწკალმა, — ეს უცნაურად მოეჩვენებოდა მას, ვინც არ იცნობს მზაკვრულ კავშირებს ჩვენს ქვეცნობიერ გამოვლინებებსა და ავადმყოფობებს შორის. ეს იყო შეტევა, რომელმაც ჩემი ცხოვრება გარკვეული დროით შეტევამდელ და შეტევისშემდგომ პერიოდებად გაპყო — წელთაღრიცხვა, რომელმაც მალე ისევე დაკარგა ძალა, როგორც თითქმის ყველა შემდგომმა. რამდენიმე კვირა ვერ ვდგებოდი, ხელ-ფეხს ვერ ვამოძრავებდი. არც ვცდილობდი. მარპესა მოვიდეს, ეს იყო პირველი ბრძანება, რომლის გაცემაც შევძელი. ჰეკაბემ, რომელიც თავზე მედგა, თქვა: არა, და ისევ წყვდიადში ჩავიძირე. ამ მაგარი, მძიმე წარმონაქმნის — ჩემი ცნობიერების აღმა-დაღმა სვლას როგორღაც ვფლობდი. გადაწყვეტილი არ იყო, შევძლებდი თუ არა ისევ — ვინ: მე? — ისევ აღდგომას? უწონადობის, უმტკივნეულო მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. ერთხელ, როცა სიღრმიდან ამოვყვინთე, მარპესას სახე დავინახე ჩემს თავზე, მისი ხელი, რომელიც წყალგარეული ღვინით მიზელდა საფეთქლებს. ეს მტკივნეული იყო, რადგან ახლა სააქაოს უნდა დავრჩენილიყავი. მარპესა გამხდარიყო, გაფითრებული და მდუმარედ იყო ჩემსავით. ამის მერე გონება მთლიანად აღარ დამიკარგავს. მოვლას აღარ ვუცხოობდი. როგორც იტყვიან, გამოვჯანმრთელდი. როგორც დამსხვრეული ხომალდის მგზავრი მიისწრაფვის მხსნელი ხმელეთისაკენ, ისე მივისწრაფოდი ქურუმობისკენ. არ მხიბლავდა სამყარო, როგორიც ის იყო, მაგრამ მსურდა თავდავიწყებით მემსახურა ღმერთებისათვის, რომლებიც ამ სამყაროს განაგებდნენ: ჩემი სურვილი წინააღმდეგობრივი იყო. თავს არ ვაჩქარებდი, ვიდრე ამას არ შევამჩნევდი, არასოდეს არ ვაჩქარებდი ხოლმე თავს, გამოვსულიყავ-

ვი ამ ნახევრად სიბრძავეს მდგომარეობიდან. ერთბაშად თვალის ახელა გამანადგურებდა.

მარპესას, მაგალითად, მხოლოდ იმ ბნელ ქარიშხლიან ღამეს ვკითხულობდით, აქეთ რომ მოვცურავდით, და ყველაფერი დასასრულს რომ უახლოვდებოდა, რა უყვეს მაშინ. განსაკუთრებული არაფერი მხატვრობაში გამიშვესო. საჯინიბოებში, დიას. საჯინიბოებში ათობით სხვადასხვა ტომის მეჯინიბოებთან. ყველამ იცოდა, რა მდგომარეობა იყო საჯინიბოებში. წარმომიდგენია, რატომ აღარ იკარებდა მარპესა მას მერე კაცს. ჩემი ტყუპები ხომ მას მივაბარე — ეს ერთგვარი გამოსასყიდი მსხვერპლი იყო, რამაც ვერც ჩემდამი მისი ერთგულება ვერ გააძლიერა და ვერც მისი შეურიგებლობა ვერ მოტეხა. ცეცელთვის მაგრძნობინებდა, რომ მე არაფრის გამოსწორება არ შემიძლო. ჩემი ხომ ესმოდა, ეს კიდევ უფრო უარესი იყო. სასახლის მწერალი და ახალგაზრდა მხევალი, ჰეკაბეს რომ ემსახურებოდა, რომელთაგანაც მარპესამ შეიტყო სიმართლე კალპას-ნათელმხილველის შესახებ, პირველივე გემით გაამგზავრეს, რომელსაც ხეთების მეფისთვის მეფე პრიამოსისაგან გაგზავნილი ტყვეები მიჰყავდა. სხვას აღარავის უხსენებია კალპასის სახელი, არც კარგად, არც ავად.

ხშირად გამომიცდია, ნანატრი საჩუქარი მაშინლა მრგებია, როცა უკვე აღარ მეწადა. მარპესამ მხოლოდ მას მერე გამოავლინა ჩემს მიმართ სინაზე, როცა მის თვალწინ ამ აიაქსმა, ბერძენნი რომ პატარა აიაქსს ეძახდნენ, ჩემზე ძალა იხმარა; თუ სწორად გავიგონე, მიადება: მე წამიყვანეო. მაგრამ კარგად ესმის, რომ არცერთი ადამიანის სიყვარულს ან მეგობრობას აღარ ვეძებ. აღარ.

შეუთავსებლის ძალად შეერთება ხომ არ შეიძლება, ამას ჰეკაბე ადრევე მასწავლიდა, მაგრამ ამაოდ. მამაშენსო, მეუბნებოდა, ყველაფერი უნდა, და თანაც ყველაფერი ერთდროულად. ბერძნებმა საფასური უნდა გადაიხადონ, ჩვენი ჰელესპონტი რომ გააქვთ თავიანთი საქონელიო. მართალია, ამისათვის პატივი უნდა სცენ მეფე პრიამოსს: სიცრუეა. თუ ისინი დასცინიან და მასზე მეტად მოაქვთ თავი — განა ეს საწყენია? იცინონ, ოღონდ გადაიხადონ, და შენ, კასანდრა, მითხრა ჰეკაბემ, ნუ შეეცდები ძალზე ღრმად ჩასწვდე მამაშენის სულს.

ძალიან დავილაღე. რამდენი კვირაა, გადაბმულად არ მძინებია. დაუჯერებელია, მაგრამ ახლა დავიძინებდი. აღარაფრის გადავადება აღარ შეიძლება, არც ძილის. არ ივარგებს, დაქანცული შევხვდე სიკვდილს. მკვდრებს სძინავთო, ისე ამბობენ, თორემ ასე არ არის. მათ თვალები ღია აქვთ. ჩემი მკვდარი ძმების ფართოდ გახელილი თვალები, რომლებსაც მე ვუხუჭავდი ტროილოსიდან მოყოლებული, პეტენზილეს თვალები, აქილევეს რომ მიშტერებოდნენ; პირუტყვი აქილევესი ამ თვალებმა შეშალა ჭკუიდან. მამაჩემის ღია თვალები. ჩემი დის, პოლიქსენეს თვალები, — ის მკვდარი არ მინახავს. როცა ის აქილევესის საფლავთან მიათრიეს, ისეთი გამოხედვა ჰქონდა, როგორც მხოლოდ მკვდრებსა აქვთ. ენეასს რომ სიკვდილი კი არა, ძილი დაუხუჭავს თვალებს, მრავალ, მრავალ მომავალ ღამეს — ნუგეშია ეს? არა. ცოდნა. ჩემს სიტყვებს არც იმედის ფერი აქვთ და არც შიშის.

წელან დედოფლის კარიბჭიდან გამოსულამ იმედის უკანასკნელი ნაპერწკალი გამიღვივა, რომ მას ჩემი შვილების სიცოცხლეს გამოვთხოვდი. მაგრამ საკმარისი იყო მისთვის თვალეში ჩამესვდა. იგი აკეთებდა იმას, რაც ევალებოდა. ის არ განაგებდა მოვლენებს, არამედ ესადაგებოდა მათ. ან სამუდამოდ მოიცილებს თავიდან ქმარს, ან თაყქარიანს, ან არადა, ყველაფერს დაკარგავს: სიცოცხლეს, ძალაუფლებას, საყვარელს, რომელიც, სხვათაშორის, თუ სწორად შევნიშნე, ისეთივე თავის თავზე შეყვარებული ქარაფშუტაა, როგორც მისი ქმარი, ოღონდ ეს უფრო ახალგაზრდა, თვალადი და ფერ-ხორციანია. მხრების მოძრაობით მანიშნა, რომ რაც მოხდა, პირადად მე არ მეხებოდა. სხვა ვითარებაში არაფერი არ შეგვიშლიდა ხელს, დები ვყოფილიყავით ერთმანეთისათვის, — ამოვიკითხე ჩემი მოწინააღმდეგის სახეზე, რომელზეც აგამემნონს, ამ ყეყეს, სიყვარული, ერთგულება და შეხვედრის სიხარული უნდა დაენახა, და ხედავდა კიდევ. როცა მან მეწამულ ნოხზე წაიბორძიკა, როგორც ხარმა სასაკლაოზე. ორივემ ერთი და იგივე რამ გავიფიქრეთ და კლიტემნესტრას იგივე ღიმილი აუთამაშდა ბაგეზე, რაც მე. არა სასტიკი. ტკივილიანი. რამეთუ ბედმა სხვადასხვა ნაპირზე მოგვახვედრა. მჯერა, მანაც იცის, არც მას ასცდება ის სიბრმავე, რომელიც ძალაუფლებასთან განუყრელია. მასაც გამოეპარება ნიშანი. მისი სახელიც დაიღუპება.

დიდხანს არ მესმოდა, რომ ყველა როდი ხედავდა იმას, რასაც მე ხედავდი; ყველა ვერ აღიქვამდა მოვლენათა შიშველ ხატს, რომელიც მნიშვნელობას არ გამოხატავდა. მეგონა, შეშლილად მთვლიდნენ. მაგრამ თავისი თავისა ხომ სჯეროდათ. ხომ უნდა მქონდეს ამას აზრი. ჭიანჭველებივით ვართ: მთელი ხალხი ბრმად ცვივა უფსკრულში, იხრჩობა, ქმნის ხიდს რამდენიმე გადარჩენილისათვის, რომლებიც ახალი ხალხის ბირთვის წარმოადგენენ. ჭიანჭველებივით ვცვივით ყოველ ხანძარში. წყალში, სისხლის მორევში. ოღონდაც არაფერი დავინახოთ, რა? საკუთარი თავი.

თითქოს მშვიდად მდგარი გემის ღუზა აფუშვი, და ის შეუჩერებლად მიცურავს ახლა, მიჰყვება დინებას აღმა. ჩემს ბავშვობაში. ბავშვობაში მყავდა ძმა, სახელად ესაკი, რომელიც ყველას და ყველაფერს მერჩია, და მასაც ასევე ძლიერ ვუყვარდი. ჩემს თავს მხოლოდ თავისი ახალგაზრდა ლამაზი ცოლი, ასტერობე ერჩია, და როცა ის მოლოგინებას გადაჰყვა, ქმარმა ეს ვერ გადაიტანა და ქარაფიდან ზღვაში გადაეშვა, მაგრამ მცველებმა გადაარჩინეს, მაშინაც და მეორე ცდაზეც. ერთხელაც, კიდევ რომ გადახტა, ჩაიძირა და ველარსად ველარ იპოვეს. იმ ადგილას, სადაც ის ზღვაში ჩაეშვა, ყელწითელა ჩიტმა ამოყვინთა, რომელშიც ნათელმხილველმა კალჰასმა გარდასახული ესაკი შეიცნო და მაშინვე მისი მფარველობა და დაცვა გადაწყვიტა. ოღონდ მე — რა დამავიწყებს ამას: ასეთი რამ პირველად დამემართა — დღე და ღამე საწოლში ვბორჯავდი და ვყვიროდი. კიდევაც რომ შემძლებოდა ამის დაჯერება, მაგრამ ვერ ვიჯერებდი, რომ ჩემი ძმა ესაკი ჩიტად იქცა; რომ ქალღმერთმა არტემიდემ, რომლის სასწაულთმოქმედების ყველას სწამდა, სანუკვარი ნატვრა აუსრულა ჩემს ძმას, ჩიტად რომ აქცია, — არავითარი ჩიტი ჩემი ძმის სანაცვლოდ არ მინდოდა, მე ის მინდოდა, ესა-

კი, ღონიერი, თბილი სხეულითა და ხვეული წაბლისფერი თმით, ესაკი, რომელიც სულ სხვაგვარად მეპყრობოდა, ვიდრე დანარჩენი ძმები; მხრებზე შესმულს დამატარებდა ეზოებსა და ქალაქის შუკვებში, სასახლეს რომ უვლიდნენ გარს; სასახლეს და ის შუკვებიც ახლა განადგურებულია, და ის ადამიანები, რომლებიც ახლა ან დაიხოცნენ ან ტყვედ აიყვანეს, მხიარულად ესაღმებოდნენ მას. „ჩემი საბრალო პატარა დიკო“ — ასე მეძახდა და გაშლილ ველზე მივყავდი ხოლმე, სადაც ზღვის ნიაფი ზეთისხილის ხეებს აშრივდებდა, ფოთლებს ვერცხლისფრად უღვარებდა, და ეს ელვარება თვალს მჭრიდა; ერთხელ იმ სოფელშიც ვყავდი, იდას მთის ძირას, სადაც ის ცხოვრობდა — მისი მამა კი პრიამოსი იყო, მაგრამ დედა — არისბე, რომელიც მაშინ უხნეს ავ ქალად მომეჩვენა, თეთრი თვალებით რომ გამოანათა პატარა ქონიდან, რომლის კედლებზე ათასნაირი ბალახეული ეკიდა; ასტეროპე კი, ესაკის ახალგაზრდა, მოხდენილი ცოლი, ღიმილით შეეგება ქმარს, და ეს ღიმილი ლახვარივით დამესო გულზე. ის მინდოდა კვლავ მყოლოდა, ცოცხალი და ჯანსაღი, ის, ის, ის — ვყვიროდი. ესაკი, და მხოლოდ კი არ მინდოდა, ასე ვფიქრობდი, ბავშვი.

ღიას: მაშინ იყო, პირველად რომ გავიგონე: ჭკუიდან შეიშალაო. ჰეკაბემ თავისი ძლიერი მკლავებით, — მათში მამაკაცური ძალა იგრძნობოდა, — ჩემი მოცახცახე, მთრთოლვარე მხრებით კედელზე მიმაბჯინა — გონებაში სამუდამოდ ჩამრჩა ჩემი სხეულის კრუნჩხვები, მაგარი, ცივი კედლის შეგრძნება, სიცოცხლე სიკვდილის წინააღმდეგ, დედის ძალა ჩემი უგონობის წინააღმდეგ; მახსოვს მხევალი, რომელსაც ჩემი თავი ეჭირა, და ღვიძლისფერი მწარე წვენი, რომელსაც ძიძა პართენია პირში მასხამდა, განუწყვეტლივ მძიმე ძილი და სიზმრები. ასტეროპეს და ესაკის ჩვილი, დედასთან ერთად დაბადებისთანავე რომ დაიღუპა, ჩემში იზრდებოდა. როცა მომწიფდა, მისი შობა არ მინდოდა, გამოვაფურთხე, და ეს იყო თხუნელა. მეზიზღებოდა; მეროპსი, მისრწნილი სიზმრების ამხსნელი, ყურადღებით მისმენდა. შემდეგ ჰეკაბეს ურჩია, მოეშორებინა ქალიშვილისათვის ყველა მამაკაცი, რომელიც ესაკს ჩამოჰგავდა. მაინც როგორ წარმოედგინა ეს, გაწიწმატებულმა ჰკითხა ჰეკაბემ მოხუცს. მან მხრები აიჩეჩა და წავიდა. პრიამოსი თავით დამიჯდა და მთელი სერიოზულობით დამიწყო საუბარი სახელმწიფო საქმეებზე. რა დასაზანია, რომ დილით მე არ ვიჯდები მამის ტანსაცმელში გამოწყობილი მის ნაცვლად მაღალზურგიან სავარძელში, საბჭოზე. მამა კიდევ უფრო მეტად მიყვარდა ხოლმე, როცა ჩემზე ზრუნავდა. მას რომ სიძნელეები გულთან ახლოს მიჰქონდა, ყველამ იცოდა სასახლეში. მე ეს მის ძლიერებად მიმაჩნდა. სხვა ყველა კი სისუსტედ. და ეს მართლაც სისუსტედ იქცა.

ელვისებური სისწრაფით ენაცვლებიან ერთმანეთს სურათები ჩემს დაღლილ თავში, სიტყვები მათ ვერ ეწევიან. საგულისხმოდ ჰგვანან ერთმანეთს ნაკვალევები, სხვადასხვაგვარ მოგონებებს რომ დაუტოვებიათ ჩემს მეხსიერებაში. სიგნალებივით ინთებიან მათი იერსახეები. პრიამოსი, ესაკი, ენეასი, პარისი. პარისი და მესამე ხომალდი, რომელიც ყველა თავისი წანამძღვრითა და შედეგით ნათლად მიდგას თვალწინ, მაშინ კი, იმ გაურკვეველ არეულობაში ანალამ დავიკარგე. მესამე



ხომალდი. ისე მოხდა, რომ იმ დროს, როცა ხომალდიდან ბარგს ტვირთავდნენ, მე სწორედ ქურუმად კურთხევისათვის ვემჩნებოდი, და თავს ამ ხომალდს ვუტოლებდი, ჩემს ბედს ფარულად მის ბედს ვუკავშირებდი. რას არ მივცემდი, ოღონდ ამ ხომალდით გაემგზავრებულყავი. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცოდი, ამჯერად ენუასი მამისს ანქისეს გასამგზავრებლად გააცილებდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ექსპედიციის მიზანი, თუ კარგად დაუკვირდებოდი, საკმაოდ ბუნდოვანი იყო და საუცხოო იმედებს აღძრავდა — არა: ჩვენი სახლის ისტორიიდან ყველაზე საჩოთირო მომენტების თანდათანობით, მოთმინებით გამოძიებამ, დაკარგული უცნობი ძმის უეცარმა გამოჩენამ — ყოველივე ამან ამაფორიაქა და უარესზე უარესისათვის შემაძადა. ახლოს, ძალზე ახლოს მოვიდა ჩემს გულთან ეს უცხო ყრმა, რომელიც მოულოდნელად ადრე წასული ძმის სულის მოსახსენებელი თამაშების მონაწილე აღმოჩნდა; თუმც მას არ ვიცნობდი, საკმარისი იყო მისი დანახვა, რომ ავკანკალებულიყავი, მისი სილამაზე ისე აუტანლად მწვაავდა, რომ ველარ გავუძელი და თვალები დავხუჭე. ის ყველა ბრძოლას მოიგებს! და მართლაც, ყველა მოიგო: მუშტი-კრივი, პირველი გადარბენა, შემდეგ მეორეც, რომელზეც ჩემმა შურიანმა ძმებმა უმაღლესებით დაითანხმეს, ვიდრე თხოვნით, გამარჯვებულს გვირგვინი ჩემი ხელით დავადგი თავზე, ამაში ვერავინ შემეცილებოდა. მთელი ჩემი არსებით მისკენ მივილტვოდი. მას ეს არ შეუმჩნევია. სახე თითქოს მოჩრდილული ჰქონდა, თითქოს მხოლოდ სხეული იყო მისი აქ, რომელიც მის ნებას ემორჩილებოდა, მისი-სული კი არა. საკუთარ თავს ვერ აცნობიერებდა. ასეც დარჩა, თუ კარგად მახსოვს, ასეც დარჩა. ნუთუ უფლისწულის ამ თვითგაუცხოებაში დიდი ომის გასაღები იმალებოდა? ვშიშობდი, რომ სწორედ ასე ახსნიდნენ. მათ პირადი მიზეზი სჭირდებოდათ.

რადგან შუა სტადიონზე ვიყავი, ვთხოვე, ეამბნათ, რა ხდებოდა ამ დროს გარეთ. ყველა გასასვლელი სამეფო დაცვის ჯარისკაცებს ჩაერაზათ — აქ პირველად გავიგონეთ, რომ ახალგაზრდა ოფიცერს, სახელად ევმელოსს, წინდახედულობითა და თანმიმდევრულობით გამოუჩენია თავი — მკაცრი მეთვალყურეობა დაეწესებინათ. შიგნით კი, ჩემს სიასლოვეს დავინახე ჰექტორი და დეიფობე, ჩემი ორი უფროსი ძმა, ხმალამოლებულნი მიეჭრნენ უცხო ჭაბუკს, რომელიც უმაღლეს გაკვირვებულნი ჩანდა, ვიდრე შეშინებული. ნუთუ მას არ ესმოდა, რომ თამაშობებში გამარჯვებათა რიგი მკაცრად დადგენილი, და რომ მან კანონი დაარღვია? მას ეს არ ესმოდა.

შემდეგ სტადიონის მუქარის გამომხატველი მზარდი გუგუნე გულისგამგმირავმა ხმამ გაჰკვეთა: პრიამოს! ეს შენი ვაჟია. და მე, ნეტავი საიდან, იმწამსვე ვიცოდი, რომ ეს სიმართლე იყო. მხოლოდ ამის შემდეგ მამის ხელის ერთმა მოძრაობამ ძმებს ხმლები ქარქაშში ჩააგებინა. გაქვავებული დედის თავის დაქნევა, — როცა მოხუცმა მწყემსმა ჩვილის სახვევი დაანახა. და უცხო მოყმის მორიდებული პასუხი მეფის კითხვაზე: სახელი? — პარისი, — ჩემი და-ძმის ჩუმი ფხუკუნი: აბგა, ხალთა ერქვა ამ ახალ ძმას. დიახ, თქვა მოხუცმა მწყემსმა, აბგა, რომლითაც დავატარებდი მთებში ჩვილს, მეფისა და დედოფლის ძეს. და ხალხს აბგა დაანახა, რომელიც ისეთივე დაძველებული იყო, როგორც თვი-

თონ, თუ უფრო მეტად არა. და მაშინ — ერთ-ერთი უეცარი შემობრუნება, რაც ასე დამახასიათებელია (იყო) ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის — სასახლისაკენ დაიძრა ტრიუმფული მსვლელობა, მის შუაგულში კი პარისი. ერთი წუთით ხომ არ ჰგავდა ეს მსვლელობა იმას, რომლის შუაგულში თეთრი სამსხვერპლო ყრმა შიშობილებდა? დამუნჯებული გულდაკოდილი მივყვებოდი ჩემი დების ალელუებით მოქოთქოთე გუნდს. და დადარდიანებული.

ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, ამჯერად პარისის შესახებ, მინდოდა ყველაფერი გამომეძია. და ვგონებ, კიდევაც ვთქვი რაღაც ამდაგვარი. სავალალოდ, რა გაეწყობა. მერე და მერე აღარც მიფიქრია, რომ მოვლენები ჩემს წინ უნდა გადაშლილიყვნენ. იმ ადრეულ წლებში მე მათ ფეხდაფეხ მივსდევდი. მოთმინებით ველოდი, რომ ჩემს წინ, მეფე პრიამოსის ასულის წინ, ყველა კარი და ყველა ბაგე გაიხსნებოდა. მაგრამ სადაც მივდი, კარი არ დამხვედრია, მხოლოდ ნადირის ტყავი იყო ჩამოფარებული გამოქვაბულისმაგვარ საცხოვრისებში. ჩემი თავაზიანობაც, ბავშვობიდანვე რომ მაჩვევდნენ, არ მაძლევდა საშუალებას, დაუყოვნებლივ გამომეკითხა სამი ბებია ქალისთვის — მიხრწნილი გაბურძღნული დედაბრებისთვის — რომლებმაც მოალოგინეს ჰეკაბე, და საერთოდ, თითქმის ყველა შვილზე, მარპესა რომ არ მხლებოდა მეგზურად, მისი რიდი რომ არ მქონოდა, გამოვბრუნდებოდი. პირველად ვნახე ასე ახლოს საცხოვრებელი ქვაბულები ჩვენი მდინარის სკამანდროსის ქვიან ნაპირზე; ჭრელი ხალხი, ზედ შესასვლელებთან მდინარეში სარეცხს რეცხავდნენ. გაუგებარია, რითი ცხოვრობდნენ; როგორც ნაკაფში, ისე მივაბიჯებდი თითქოს მათ მდუმარებაში, რომელიც საშიში კი არა, უბრალოდ, უცხო იყო, მარპესა კი აქეთ-იქით ყველას ესალმებოდა, ყოველი მხრიდან შეძახილებით ეგებებოდნენ, და ისიც სხარტად იგერიებდა, მათ შორის მამაკაცების უწმაწურ სიტყვებსაც, რომლებზეც სასახლეში მკაცრად მიუგებდა, აქ კი სიცილით პასუხობდა. შეიძლება მეფის ასულს მხევალის შურდეს? დიახ, ნამდვილად, ასეთი კითხვებიც იყო. დღესაც რომ მახსოვს! ყველაფერზე ლამაზი, რაც მარპესას ჰქონდა, მისი სიარული იყო; ღონივრად ამოძრავებდა თეძოებს, წელში გამართული, ლალად მიაბიჯებდა. მუქი თმა ორ ნაწნავად ჰქონდა კეფაზე აკრეფილი. იმ გოგონასაც იცნობდა, რომელიც ამ სამ დედაბერს პატრონობდა. ოინონე, სრულიად ნორჩი არსება, მისი ხიბლი თვალში საცემი იყო ლამაზი ქალებით განთქმულ ამ ადგილებშიც კი. „სკამანდროსზე“ — ეს ერთგვარი პაროლი იყო სასახლის ახალგაზრდა მამაკაცებს შორის, როცა პირველი გოგონას ასაკი დაუდგებოდათ, ამას ჩემი ძმებისაგან მოვკარი ყური.

ამაყად დავუსახელე სამ ბებიაქალს ჩემი ნამდვილი სახელი, თუმცა მარპესა ამას არ მირჩევდა. როგორ? ამ სამ დედაბერს უნდა გავესულელებინე? ამ ბებერ კახპებს? პრიამოსის ვაჟი? როგორ არა. რატომ ერთი ათი არ მიუღიათ. ცხრამეტი, გავუსწორე, მაშინ ოჯახის ღირსება ჩემთვის ჯერ კიდევ ძვირფასი იყო. ამ რიცხვს ბებრები არ დაეთანხმნენ, ერთმანეთშიც წაიკამათეს. მათ ხომ თვლა არ იციანო, სიცილით გვარწმუნებდა ოინონე. ოინონე, ნეტავ ეს სახელი აქამდე არ გამიგონია? ვისგან? მამაკაცის ხმა. პარისი. — სასახლეში ხომ არ შემხვედ-

რია? ყოველთვის, როცა კი ციხე-სიმაგრის საზღვრებს ვტოვებდი, გაურკვეველ, ძეურაცხმყოფელ გარემოებაში ვხვდებოდი ხოლმე: საჭიროზე უფრო მკვახედ ვკითხე მოხუცებს, მათი აზრით რატომ არ უნდა აღზრდილიყო ერთი, სწორედ ის ერთი პრიამოსის ათი ვაჟიდან სასახლეში? არ უნდა აღზრდილიყო? ამ სამი ფარისევლისათვის ეს სიტყვა საერთოდ უცნობი იყო. არა, რა თქმა უნდა, არა. მათ ხელში ასეთი რამ არ მომხდარა. ან მათ არ გაუგიათ. ბოლოს ერთს, თითქმის ოცნებაში წასულს, აღმოხდა: დიახ, ესაკი რომ ცოცხალი იყოს! ესაკი? უმაღლე ვწვდი. სამმაგი დუმილი. ოინონეც დუმდა. დუმდა მარპესა. ჩემს ცხოვრებაში ის ყველაზე მდუმარე იყო, — რას ვამბობ, არის!

სასახლეც დუმილის სასახლე. პეკაბე ცდილობდა ჩაეხშო თავისი რისხვა, და დუმდა. ძიძა პართენია შიშს არ მალავდა, და დუმდა. მე ვაკვირდებოდი სხვადასხვაგვარ დუმილს და ვსწავლობდი. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ვისწავლე თვითონ, რა სასარგებლო იარაღი ყოფილა დუმილი. ერთ ნაცნობ სიტყვას ათასნაირად ვატრიალებდი და ვაბრუნებდი: ესაკი, ვიდრე უეცრად ერთ ღამეს მეორე სახელი არ გამოიკვეთა მისგან, არისბე. ის ხომ ესაკის დედა იყო. ნეტავი ცოცხალი თუა?

მაშინ პირველად გავიგე, შემდეგ კი ბევრჯერ გამოვცადე, რომ დავიწყებულეებს ერთმანეთი ახსოვთ. არც თუ შემთხვევით, ტროას კარიბჭის წინ გამართულ დიდ საშემოდგომო ბაზრობაზე შევხვდი კალპასნათელმხილველის ქალიშვილს, ჭკვიან ბრიზეას (კალპასი ელვისებური სისწრაფით გადასახლდა დავიწყებულებში), და სულელური კითხვა დავუსვი, მიცნობდა თუ არა. ვინ არ მიცნობდა მე. ბრიზეას თავისი უჩვეულოდ მოელვარე ფართლელი გაეშალა აქ. ადრიდანვე ცნობილმა თავისი თავნებობითა და გულფიცხობით, მუშტრები მიატოვა და ხალისით ამიხსნა, სად უნდა მეპოვა არისბე: ამავე ბაზრობაზე, მეთუნეების რიგში. იქით გავეშურე, არავის არ ვეკითხებოდი, ყველას სახეში ვუყურებდი: არისბე ხნირ ესაკს ჰგავდა. როგორც კი მივუახლოვდი, წაიბუტბუტა, ჩემს ქონში მნახეო, აქა და აქ, იღას მთის ძირას. ესე იგი, იცოდა, რომ უნდა მივსულიყავი. ესე იგი, ჩემს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალეზდნენ. მე კი, პრიამოსის მცველები, თურმე უკან რომ მომყვებოდნენ, არც კი შემიძინე, ისეთი ახალგაზრდა და გამოუცდელი ვიყავი. როცა პირველად დამანახეს — რა თქმა უნდა, პანთოე ბერძენმა, — აღვშფოთდი, მამასთან გავიქეცი, მეფე კი სახე გაყინული დამხვდა. ჩაფარი? საიდან მოვიგონე? ეს ჭაბუკები მცველები არიან. მჭირდება თუ არა ისინი, ეს მისი გადასაწყვეტია და არა ჩემი. ვისაც დასაძალი არა-იუერი აქვს, მეფის თვალი არ უნდა აშინებდეს.

არისბესთან, რამდენადაც ვიცი, მართო წავედი.

კვლავ ქალაქის შემოგარენი, ეს მეზობელი თუ საპირისპირო სამყარო, რომელიც სასახლისა და ქალაქის ქვის სამყაროსაგან განსხვავებით, მცენარეული საფარივით იზრდებოდა და უხვად, უზრუნველად მოსდებოდა მიდამოს, მას თითქმის არც სჭირდებოდა სასახლე, თითქოს ზურგი შეექცია მისთვის, და ჩემთვისაც.

მცნობდნენ, გულგრილად მესაღმებოდნენ, მე კი ნაჩქარევად ვბასუნობდი მათ მოსაღმებაზე. დამამცირებლად მეჩვენებოდა იქ წასვლა ცნობების შესაგროვებლად, რომლებსაც სასახლე არ მიმხელდა. „არ

მიმხელდა“ — დიდხანს ვფიქრობდი ასე, ვიდრე მივხვდებოდი, რომ მას არ შეეძლო იმის გამხელა, რაც არ გააჩნდა. იქ არც კი ესმოდათ ეს კითხვები, რომლებზეც მე პასუხს ვეძებდი, და რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტად არღვევდნენ ჩემს შინაგან კავშირს სასახლესთან. ჩემი ანებთან. ეს გვიანლა შევამჩნიე. ცნობისწადილით შევპრობე უცხო არსებას ისე ღრმად გაედგა ფესვები ჩემს გრძნობა-გონებაში, რომ თავს ველარ ვაღწევდი მას.

რა საწყალი, რა პატარა იყო არისბეს ქოხი. ნუთუ აქ ცხოვრობდა ახოვანი, ძლიერი ესაკი? სანელებლების სურნელი, ბალახეულის კონები ჭერსა და კედლებზე, შუა ცეცხლზე შემოკიდებული ქვაბის ოხშივარი. ალი ბუტავდა და ხრჩოლავდა, გარშემო კი სიბნელე სუფევდა. არისბე არც თავაზიანად შემხვედრია, არც უხეშად, მე კი თავაზიანობას ჩვეული, სხვისგანაც ამავეს მოველოდი. უყოყმანოდ გამცა პასუხი იმ კითხვებზე, რაც მე მაინტერესებდა. დიახ, ესაკმა, ჩემმა ნახევარძმამ, ღვთით კურთხეულმა ნათელმხილველმა აუწყა თურმე სასახლეს იმ ბიჭის დაბადებამდე, ახლა რომ პარისს ეძახიან, ეს ბავშვი დაწვევლილიაო. ესაკმა! სწორედ იმ უწყინარმა ესაკმა, მხრებზე შემოსმულს ხომ დამაჯირითებდა. მაგრამ გადამწყვეტი, რა თქმა უნდა, ჰეკაბეს სიზმარი ყოფილა, — აუღელვებლად განაგრძნობდა არისბე. თუ არისბეს დაეჯერებოდა, პარისის დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე ჰეკაბეს დასიზმრებია, ვითომ შეშის ნაკოდალა შვა, რომლიდანაც უამრავი ცეცხლოვანი გველი გამომძვრალა. ნათელმხილველ კალპასს ეს სიზმარი ასე აუხსნია: ყრმა, რომელსაც ჰეკაბე შობს, მთელ ტროას გადასწვავსო.

გაუგონარი ამბები. ნეტავ სად ვცხოვრობდი?

არისბე, ვეება დედაკაცი, ცეცხლზე შემოკიდებულ მყრალ ქვაბს ურევდა და თავისი დიდი ხმით საყვირივით გუგუნებდა: რა თქმა უნდა, კალპასის ახსნა უპასუხოდ არ დაუტოვებიათ. თვითონ მისთვის, არისბესთვისაც გაუნდვიათ ორსული დედოფლის ეს სიზმარი. ვინ? ჩავეკითხე მაშინვე, და მანაც მოწყვეტით მომიგო: ჰეკაბეს. იქნებ კარგად დაფიქრებოდა ამ სიზმარს და სხვა ახსნა მოეძებნა მისთვის. მაინც? — ვკითხე მოუთმენლად, თითქოს მე თვითონ ვხედავდი სიზმარს: დედაჩემი ჰეკაბე, ცუდი სიზმრით დაზაფრული, ოფიციალური ორაკულის გვერდის ავლით, ქმრის ყოფილ ხარჯას სთხოვს ახსნას — ნეტავი ყველა ჭკუიდან ხომ არ შეიშალა? ან ერთმანეთში ხომ არ აურიეს ყველაფერი, რისიც ასე მეშინოდა ხოლმე ბავშვობაში? — კერძოდ, ეს ბავშვი, თქვა არისბემ, შეიძლება იმისთვის უნდა გაჩენილიყო, რომ გველების ქალღმერთისათვის ყოველ სახლში ცეცხლის მფარველის უფლება დაებრუნებინა. თავზე კანი ამეწვა — რასაც ვისმენდი, შესაძლოა, საშიში ყოფილიყო. არისბეს გაელიმა, ესაკთან მისი მსგავსება ტკივილს მაყენებდა; მან არ იცოდა, მოეწონა თუ არა მეფე პრიამოსს მისი ახსნა. ამ გამოცანით გამომისტუმრა. რამდენი რამ უნდა მომხდარიყო, რომ ეს ქოხი ჩემთვის ნამდვილ სახლად ქცეულიყო.

ახლა მამალა დამჩა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩემზე ისევე უნდა მოეხსენებინათ მისთვის, როგორც სხვებზე. ერთ-ერთი იმ ახალგაზრდათაგანი, უკვე რამდენიმე კვირა უკან რომ დამყვებოდნენ, ახლა ჩუმად, მაგრამ მრავლისმეტყველად იდგა პრიამოსის კართან. ნეტავი რა

ერქვა? ევმელე? დიახ, მითხრა პრიამოსმა, უნარიანი კაცია. ძალზე საქმიანი ჩანდა, პირველად გამიელვა თავში აზრმა, რომ ჩვენი სიახლოვე, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე მამაკაცებსა და ქალებს შორის, იმას ემყარებოდა, რომ მე მას ვიცნობდი, ის კი მე არა. ის ჩემში მისთვის სასურველ ხატს იცნობდა. მე კი ისლა დამჩვენდა, დაემორჩილებოდი მის წარმოდგენას. ყოველთვის სიამოვნებით ვადრეუბდი ხოლმე მამას თვალს, როცა საქმეებში იყო ჩაფლული, მაგრამ არ მიყვარდა, როცა ცდილობდა, საქმიანი იერით შეენიღბა თავისი გადაუწყვეტილობა. გამომწვევად ვუხსენე არისბეს სახელი. პრიამოსი წამოხტა: ნუ-თუ ქალიშვილი ინტრიგებს უწყობს? ერთხელაც იყო სასახლეში ქალების ინტრიგა, მაშინ, პარისის დაბადების წინ. ერთნი აფიცებდნენ, თავიდან მოეშორებინა ეს საშიში ბავშვი, მეორენი კი, და ცხადია, მათ შორის ჰეკაბე, სწორედ ამ ყრმას თვლიდნენ უმაღლესი მისიისათვის მოწოდებულად, და მის გადარჩენას ცდილობდნენ. უმაღლესი მისიისათვის! ესე იგი, მამის ტახტის პრეტენდენტი უნდა ყოფილიყო, მაშ სხვა რა?

მისმა ნათქვამმა თვლებიდან ბინდი ჩამომაცილა. ბოლოს და ბოლოს გავიგე ის, რასაც ბავშვობაში ვხედავდი: გულჩათხრობილი ან შეწუხებული გამომეტყველების ადამიანები, გაუცხოების, ზიზღის წრეც კი მამას გარშემო, რომელიც შეგნებულად გავარღვიე მამის ნებიერამ! მისი გაუცხოება დედასაგან, ჰეკაბეს გაგულისება; მერე? პარისი ცოცხალია. დიახ, თქვა პრიამოსმა, მწყემსმა ვერ შეძლო, მოეკლა იგი. ნიზლავს დავდებ, ქალებმა მოისყიდეს, სულერთია. დე, ტროა დაეცეს, ვიდრე ჩემი შესანიშნავი ვაჟი დაიღუპოს.

გაოგნებული ვიყავი. ნეტავი რას იფხორება? და რატომ უნდა დაეცეს ტროა, თუ პარისი ცოცხალი იქნება? და მეფემაც ვითომ მართლა ვერ გაარჩია ძაღლის ენა, დამამტკიცებელ საბუთად რომ მოუტანა მწყემსმა, ჩვილის ენისაგან? აღელვებულმა მალემსრბოლმა სპარტის მეფის, მენელაეს ჩამოსვლა გვაუწყა, ესე იგი, მისი გემი იყო, რომლის მოახლოებასაც გამთენიიდან ვუთვალთვალეებით. ჰეკაბე შემოვიდა, სახელმწიფო საქმეებით დაკავებულმა, მე თითქოს ვერ შეამჩნია: მენელაე, იცი? იქნებ ეს არც ისე ცუდია.

მე გამოვედი. ვიდრე სასახლე ემზადებოდა, სასახელოდ დახვედროდა სტუმარს, რომელსაც სურდა მსხვერპლი შეეწირა ჩვენი ორი გმირის საფლავზე, რათა სპარტაში შავი ჭირი ჩაეხშო; ვიდრე ყოველი ღმერთის ტაძარი სახელმწიფო ცერემონიებისათვის ემზადებოდა, მე ჩემს უჩვეულო კმაყოფილების გრძნობას ველოლიავებოდი. კმაყოფილებას მანიჭებდა სიცივის შეგრძნება, რომელიც ჩემს არსებას ეუფლებოდა. ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ უგრძნობლობა არასოდეს არ არის წინსვლა, ან თუნდაც საშველი. რამდენი ხანი დამჭირდა, ვიდრე ჩემი გრძნობები კვლავ ჩემი სულის გაუდაბურებულ სამშვინველში ჩაბრუნდებოდნენ. ჩემმა ხელახლა დაბადებამ მხოლოდ აწმყო კი არ დამიბრუნა, ის, რასაც სიცოცხლეს ვეძახით, არამედ ხელახლა გამიხსნა წარსულის კარი, დამანახა იგი წყენის, სიმპათია-ანტიპათიისა და პრიამოსის ქალიშვილისათვის დამახასიათებელი სხვა სათუთი გრძნობების ანარეკლის გარეშე. რა დიდის ამბით ვიჯექი სადღესასწაულო სუფრასთან

ჩემს და-ძმას შორის ჩემთვის განკუთვნილ ადგილზე. ის, ვისაც ჩემსავით თვალს უხვევდნენ, აღარაფრით აღარაა მათგან დავალებული. მე მქონდა უპირატესობა ყველა დანარჩენის წინაშე — ცოდნის უპირატესობა. იმისთვის, რომ ისინი დამესაჯა, მომავალში მათზე მეტი უნდა მცოდნოდა. ქურუმი გავმხდარიყავი, რომ ძალაუფლება მრამდენად უნდა ღმერთებო! რა უკიდურესობამდე უნდა მიგეყვანეთ, რომ ეს უწყინარი წინადადება ამოგეგლიჯათ ჩემგან. რა ძნელია, როცა ბოლოს ისეთი წინადადებები შემოგჩრება, რომლებიც თავად შენ მოგიბრუნდებიან ისარივით. რამდენად უფრო სწრაფად და მსუბუქად წარმოსათქმელია ის წინადადებები, რომლებიც სხვაზეა დამიზნებული. არისბემ ერთხელ ნათლად და გარკვევით მითხრა ეს, მაგრამ როდის, მარპესა?

შუაგულ ომში, მეუბნება ის, კარგა ხანია, საღამოობით იდას მთის კალთაზე, გამოქვაბულების წინ ვხვდებოდით ერთმანეთს, ჩვენ, ქალები. მიხრწნილი ბებიასქალებიც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ და უკბილო პირებით ქირქილებდნენ, და შენ თვითონაც გეცინებოდა მაშინ ჩემზე, მარპესა. მხოლოდ მე არ ვიცინოდი. ძველებური წყენიაობა მომერია; მაშინ არისბემ მითხრა, წყრომას გირჩევნია გიხაროდეს, რომ არიან ადამიანები, რომლებიც შეულამაზებლად გეუბნებიან, რასაც ფიქრობენო. ძლევამოსილი სახლიდან გამოსულ რომელ ასულს მქონია ასეთი ბედნიერება. მართალია, ვუთხარი, კმარა. ყველაფერზე მეტად, მგონი, არისბეს იუმორი მიყვარდა. რა დამავიწყებს, როგორ იჯდა ეს ვეება დედაბერი დამპალ ხის მორზე გამოქვაბულის წინ და თავის ჯოხს რიტმულად აკაკუნებდა. ვინ დაგვიჯერებს, ვინ დაგვიჯერებს, მარპესა, რომ ვაგანია ომში ხშირად ვიკრიბებოდით ციხე-სიმაგრის გარეთ, გზებზე, რომლებიც ჩვენს გარდა არავინ იცოდა; რომ ჩვენ, გაცილებით უკეთ ინფორმირებულნი, ვიდრე რომელიმე სხვა ჯგუფი ტროაში, ვმსჯელობდით მდგომარეობაზე, ვთათბირობდით ღონისძიებებზე (და ვასრულებდით კიდევც), მაგრამ ამასთან ერთად, ვამზადებდით კერძებს, ვჭამდით და ვსვამდით, ვიცინოდით, ვმღეროდით, ვთამაშობდით, ვსწავლობდით. ყოველთვის გამოერეოდა ხოლმე ისეთი თვეები, როცა ბერძნები, თავის სანგრებში მოკალათებულნი, თავს არ გვესხმოდნენ. ტროას კარიბჭის წინ, ბერძნების ფლოტის პირისპირ, დიდი ბაზრობაც კი იმართებოდა. და არც თუ იშვიათად, მათი რომელიმე მეფე — მთავარი — მენელაე, აგამემნონი, ოდისევსი ან ერთ-ერთი ორი აიაქსიდან — გამოჩნდებოდა ხოლმე დახლებსა და ჯიხურებს შორის, ეტანებოდა საქონელს, რომელსაც ხშირად არც იცნობდა, და თავისთვის ან ცოლისათვის ქსოვილს, ტყავეულს, ჭურჭელსა და სანელებლებს ყიდულობდა. კლიტემნესტრა, როგორც კი გამოჩნდა, მაშინვე ვიცანი სამოსით: ამ კაბის ქსოვილი იმ მონას მიჰქონდა, ავბედით აგამემნონს რომ მიჰყვებოდა უკან, როცა პირველად დავინახე იგი ჩვენს ბაზრობაზე. მაშინვე თვალში მეცა მისი ქედმაღლური გამომეტყველება, ბატონკაცურად გაარღვია გზა არისბეს დახლისაკენ, მიზეზიანად სინჯავდა თინის ნაკეთობებს და ამასობაში ერთ-ერთი ულამაზესი ლარნაკი ხელში შემოატყდა, რომლის ფულიც მაშინვე, პირველივე სიტყვაზე გადაუხადა არისბეს, და მაყურებელთა სიცილში, თავისი ამალით იქაურობას გაეცალა. შეამჩნია, რომ დავინახე.

ის შურს იძიებს, ვუთხარი არისბეს, და განმაცვიფრა იმ ამბავმა, რომ ბერძენთა ფლოტის დიდი და ცნობილი წინამძღვარი ასეთი უნე-  
 ლისყოფით და საკუთარი ღირსების გრძნობას მოკლებული კაცი ყოფილა.  
 რამდენად უმჯობესია, როცა ძლიერი მტერი გყავს, ხშირად პატარა  
 წვრილმანი დიდ მოვლენას სხვა შუქზე დაგვანახებს. სოლომონის ერთბაშად  
 ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ალბათ, სწორი იყო, უეჭველად სწორი იყო  
 ჩვენს მხარეზე გადმოსული ბერძნის ნაამბობი, რომლის გავრცელებაც  
 პრიამოსმა სასტიკად აკრძალა, რათა ხალხს მტერი ურჩხულად არ წარ-  
 მოედგინა, — ესე იგი სწორი იყო, რომ სწორედ ამ აგამემნონმა, ფლო-  
 ტით გამომგზავრების წინ, ქალღმერთ არტემიდეს საკურთხეველზე  
 მსხვერპლად შეაწირვინა საკუთარი ასული, ნორჩი იფიგენია. მთელი ამ  
 ომის წლებში იფიგენიაზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა. ერთადერ-  
 თი საუბარი ამ კაცთან, რისი უფლებაც თავს მივეცი, — მის ქალიშვილს  
 ეხებოდა. ეს იყო გემზე, ქარიშხლიანი ღამის შემდეგ, გემის კიჩოზე  
 ვიდექი, ისიც ჩემს გვერდით იდგა. ცა მუქლურჯი იყო და ხომალდი  
 ზღვის მომწვანო-მოცისფრო გლუვ ზედაპირზე თეთრი ქაფის ზოლს  
 ტოვებდა. პირდაპირ ვკითხე იფიგენიაზე. აგამემნონი ატირდა, მაგრამ  
 არა ისე, როგორც დამწუხრებული ადამიანი ტირის ხოლმე, არამედ ში-  
 შისა და სისუსტის გამო. ის იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო, რო-  
 გორ, ვკითხე კვივად, მინდოდა, თავისი პირით ეთქვა. პირი იბრუნა. იძ-  
 ულებული იყო, მსხვერპლად შეეწირა. ეს არ იყო ის სიტყვები, რომე-  
 ლთა გაგონება მინდოდა მისგან, მაგრამ მკვლევლებისა და ყასბებისთვის  
 ხომ უცნობია ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მოკვლა“, „დაკვლა“.  
 როგორ დავშორდი მეც მათ. თქვენმა კალპასმა მოითხოვა ჩემგან გა-  
 დაჭრით ეს მსხვერპლი, რომ ზურგის ქარი გვქონოდა, ბრაზმორეული  
 ხმით წამოიყვირა აგამემნონმა. და შენც დაუჯერე? მე შეიძლება არა,  
 წამოილულლულა მან, არა, მე არა. დანარჩენებმა დაუჯერეს, მეფეებმა.  
 ყოველ მათგანს შურდა ჩემი, მხედართმთავრის, და ყველას უნდოდა ჯა-  
 ვრი ეყარა ჩემზე. წინამძღოლი ხომ უძლურია ცრუმორწმუნეთა არმი-  
 ის წინაშე. თავი დამანებე-მეთქი, ვუთხარი. შურისგებასავით აღიმარ-  
 თა ჩემს წინაშე კლიტემნესტრა.

მაშინ, ამ უბედურთან პირველი შეხვედრის შემდეგ, არისბეს ვუ-  
 თხარი: ვერც ერთი ქურუმი პრიამოსისგან ასეთ მსხვერპლს გერ მო-  
 ითხოვდა. არისბემ გაკვირვებულმა შემომხედა, და მაშინვე პარისი გა-  
 მახსენდა. განა ეს იგივეა? ნუთუ მართლა ერთი და იგივეა — საიდუმ-  
 ლოდ მოაკვლევინო ჩვილი და საჯაროდ დააკვლევინო მოზრდილი ქა-  
 ლიშვილი? ნუთუ ვერ ვხვდებოდი, რომ ეს ერთი და იგივე იყო? რაკი  
 ეს მე კი არ მეხებოდა, ქალიშვილს, არამედ ვაჟიშვილს, პარისს? შენ  
 კიდევ დიდი დრო გჭირდება, ჩემო კარგო, მითხრა არისბემ.



## ლექსები

გერმანულიდან

თარგმნა დათო ბარბაქაძე



ქართული  
ზიგლიქოთეა

პაულ ცელანი XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი გერმანულენოვანი პოეტია. ევროპული ლიტერატურის ბოლო ათწლეული ცელანის შემოქმედების მიმართ ყურადღების განუზომელ ზრდას აფიქსირებს. უკვე საქართველოშიც არაერთხელ იყო გამოქვეყნებული მისი პოეზიის თარგმანები. ამჯერად ვთავაზობთ ლექსებს ცელანის ადრეული და ერთ-ერთი ყველაზე მეტად ცნობილი კრებულიდან „ყაყაჩო და ხსოვნა“ (შტუტგარტი, 1952).

მთარგმნელი

### სიკვდილის ფუგა

შავი რძე დილასისხამისა ჩვენ გსვამთ მწუხრიყამს  
გსვამთ მას შუადღეყამს და დილაყამს გსვამთ მას ღამეყამს  
გსვამთ და გსვამთ ჩვენ მას  
ჩვენ ვთხროთ სამარეს ჰაერთა შინ სივიწროვეს სადაც არ გრძნობენ  
სახლში მავანი კაცი ცხოვრობს ის გველებთან თამაშობს ის წერს  
წერს აბნელდება როცა გერმანეთს მარგარეტ შენი ოქროსფერი თმა  
წერს და გამოდის სახლიდან და ვარსკვლავები ციმციმებენ სტვენით  
სტვენით გაიხმობს იგი თავის ებრაელებს და აიძულებს მათ მიწაში  
უხმობს თავის ნაგაზებს  
თხარონ სამარე

ახლა კი რამე საცეკვაო დაუკარით ასე გვიბრძანებს  
დილასისხამის შავო რძეო ჩვენ გსვამთ ღამეყამს  
ჩვენ გსვამთ დილაყამს და შუადღეყამს გსვამთ შენ მწუხრიყამს  
ჩვენ შენ გსვამთ და გსვამთ  
სახლში მავანი კაცი ცხოვრობს ის გველებთან თამაშობს ის წერს  
წერს აბნელდება როცა გერმანეთს მარგარეტ შენი ოქროსფერი თმა  
სულამით შენი ფერფლისფერი თმა ჩვენ ვთხროთ სამარეს ჰაერთა შინ  
სივიწროვეს სადაც არ გრძნობენ  
ხოცა ჩიდაგში უფრო ღრმად ჩასვლას სხვებს სიმღერას და ცეკვას  
უბრძანებს  
წაიტანება ქამარზე ფოლადს ამოაშიშვლებს ცისფერია მისი თვალები  
ჩიხები უფრო ღრმად ჩაასუთ თქვენ კი ისევ საცეკვაოს დაკვრა  
განაგრძეთ

დილასისხამის შავო რძეო ჩვენ გსვამთ ღამეყამს  
ჩვენ გსვამთ შუადღეყამს და დილაყამს გსვამთ შენ მწუხრიყამს



ჩვენ შენ გსვამთ და გსვამთ  
 სახლში მავანი კაცი ცხოვრობს მარგარეტ შენი ოქროსფერი თმა  
 სულამით შენი ფერფლისფერი თმა ის გველებთან განაგრძობს თამაშს  
 ყვირის სიკვდილი უფრო ტკბილად დაუკარით სიკვდილი სიმსივნის ოსტატია  
 ყვირის შეეხეთ ვიოლინოს მეტი სიბნელით მერე ჰაერში კვამლივით  
 მერე სამარეს ჰპოვებთ ღრუბლებში სივიწროვეს სადაც არ გრძნობენ  
 ახვალთ

დილასისხამის შავო რძეო ჩვენ გსვამთ ლამეუამს  
 ჩვენ გსვამთ შუადღეუამს სიკვდილი ხომ ოსტატია გერმანეთიდან  
 ჩვენ გსვამთ მწუხრიუამს და დილაუამს ჩვენ შენ გსვამთ და გსვამთ  
 სიკვდილი ხომ ოსტატია მისი თვალი არის ცისფერი  
 ის შენ ტყვიასხმულს მოგახვედრებს ის გესვრის ზუსტად  
 სახლში მავანი კაცი ცხოვრობს მარგარეტ შენი ოქროსფერი თმა  
 თავის ნაგაზებს ის ჩვენ გვიქსევს ის ჰაერში გვიჩუქნის სამარეს  
 ის გველებთან განაგრძობს თამაშს სიკვდილი ხომ ოსტატია  
 გერმანეთიდან

მარგარეტ შენი ოქროსფერი თმა  
 სულამით შენი ფერფლისფერი თმა.

**მთელი ცხოვრება**

ლურჯნი არიან ძილ-ღვიძილის მზეები, როგორც შენი თმის ფერი  
 შეცისკრებისას.  
 ისევე სწრაფად იზრდებიან, როგორც ბალახი — ჩიტის საფლავზე.  
 მათაც ისევე იზიდავდა თამაში, ჩვენგან ნათამაშევი, როგორც ოცნება  
 ხომალდებზე გაღაღებისა.  
 მათაც უხვდებათ სატევრები დროის კლდეცარცზე.  
 ხოლო ღრმა ძილის მზეებს ფერი ულურჯესი აქვთ: შენი კულუღი  
 ერთხელ იყო მხოლოდ ასეთი:  
 შენი დისგანვე გასაცემი მიწის წიაღში ვსუფევდი, როგორც ქარი  
 ღამისა;  
 ჩამოშლილიყო ჩვენს თავზემით, ხეზე, შენი თმა, შენ კი ამ დროს იქ  
 არ იყავი.  
 ჩვენ მთლად სამყარო ვიყავით და შენ იყავი ბურქი ჭიშკართან.  
 ხოლო მზეები სიკვდილისა თეთრნი არიან, როგორცაა თმა ჩვენი  
 ბავშვის:  
 ზღვის მოქცევიდან იგი მაშინ ამოდიოდა, დიუნებში კარავს რომ შლიდრ.  
 ბედნიერების დანას ჩვენს თავზე აშიშვლებდა ჩამქრალი მზერით.

გვიან და ღრმად



ავსული, როგორც მოქარგული მეტყველება, იწყება ღამე.  
ჩვენ მდუმარეთა ვაშლებს მივირთმევთ.  
ვირჯებით საჭმით, ნებიერად რომ ანდობენ თავ-თავის ვარსკვლავს  
ჩვენიც ცაცხვების შემოდგომას ვახლავართ, როგორც მოფიქრალი  
სიწითლე დროშის,

ცეცხლოვანი სამხრეთელი სტუმრები როგორც.  
ჩვენ ახალ ქრისტეს ვიფიცებთ, რომ შევაუღლებთ მტვრის მისხალს  
მტვერთან,

ფრინველებს — ყარიბ ფეხსაცმელთან,  
წყალში ჩასულ კიბესთან — ჩვენს გულს.  
ვიფიცებთ ქვიშის წმინდა ფიცით ქვეყნიერებას,  
სიამოვნებით ვიფიცებთ ჩვენ მას,  
უსიზმრო ძილის სახურავებზე, მაღალი ხმით ვიფიცებთ ჩვენ მას  
და ვაფრიალებთ დროის ჭაღარას...

ხოლო ისინი გაჰყვირიან: სიცრუეს ამბობთ!

დიდი ხანია, ცნობილია ჩვენთვის ეს ცოდნა,  
დიდი ხანია, ჩვენ ეს ვიცით, მაგრამ განა რა ხეირია?  
თქვენ აღთქმის თეთრ ფქვილს ფქვავთ სიკვდილის თეთრ წისქვილებში,  
თქვენ ის გამოგაქვთ ჩვენი დების და ძმების თვალწინ —

ჩვენ ვაფრიალებთ დროის ჭაღარას.

თქვენ ჩვენ ჩაგვძახით: სიცრუეს ამბობთ!  
ჩვენ კარგად ვიცით ეს ყველაფერი,  
დაე, ჰგიებდეს ეს ბრალი ჩვენზე.  
ჰგიებდეს იგი ყველა ჩვენს გაფრთხილებულ ნიშანზე,  
დაე, ჰგიებდეს ზღვა მოყაშყაშე,  
უკუქცევის ბორცნეული ქარისკვეთება,  
შუალამის დღე,  
დაე, ჰგიებდეს ის, რაც დღემდე არ არსებულა!

დაე, ჰგიებდეს სამარიდან აღმდგარი კაცი.

მოგზაურობისას

არის საათი, შედეგად რომ მტვერს გადაგიქცევს,  
შენს პარიზულ სახლს — შენივ ხელთა სამსხვერპლო ცეცხლად,  
შენს შავ თვალს — შენივ კუბრისფერ მზერად.

ეს მიდამოა, რომ უპყრია შენი გულის მოსართავები,  
გაგემლებოდა თმა, დაშურებულს — მაგრამ მას ეს აკრძალული აქვს.  
ნათ არ უწყიან, დამდგარან და ხელებს გიქნევენ.

სანისლე კორნში



ბაგე სარკეში, დაფარულში,  
ქედმაღლობის სვეტიდან დრეკა,  
გისოსისა თანაერთ ხელი:

გწვდებათ სიბნელე,  
ამბობს ჩემს სახელს, მისი  
მას მიმაახლებს.

ვინც, შენსავით და ყველა მტრედვით, ბნელიდან ხაპავს დღის შუქს  
და მიმწუხრს,  
ვარსკვლავს ამომჩხვლევს თვალებიდან, იელვებს ვიდრე,  
ბალახს ამომგლეჯს წარბებიდან, ითეთრებს ვიდრე,  
გამომიხურავს კარს ღრუბლებში, შევალწევ ვიდრე.

ვინც, როგორც შენ და ყველა მიხაკი, სისხლს თვლის სარგებლად და  
ღვინოდ სიკვდილს,  
ჩემი პეშვიდან გამობერავს თასისთვის მინას,  
აღისფრად ფერავს სიტყვით, მე რომ არასდროს მითქვამს,  
და ნამსხვრევ-ნამსხვრევ მიმოფანტავს შორი ცრემლის ქვით.

ცეცხლის ნაჭდევი

ჩვენ ძილს დავხსნოდით, რაკილა უკვე ურვის საათის მექანიზმში  
ვიმყოფებოდით  
და, როგორც წნელებს, ჩვენ ვდრეკდით ისრებს,  
და უმაღლ უკუსხლტებოდნენ და დროს როზგავდნენ სისხლისდენამდე,  
და მზარდი მწუხრის დასაცავად ხმას იძალღებდი,  
და „შენ“ თორმეტჯერ ვუთხარ შენი სიტყვების ღამეს,  
და ის განიხვნა და განხვნილი დარჩა ასევე,  
და ერთი თვალი მის კალთას ვანდე, შენ ჩავიმაგრე თმაში მეორე  
და მე მათ შორის ცეცხლსადენი დავახვიე, არტერია გაშიშვლებული  
და იქიდან ამოინთხა ცინცხალი ელვა.

ს უ ღ ა რ ა

რასაც შენ ასე ხელითადად ქსოვ, და მიუტევებს ის, ვინც ახლა ვარ,  
პატივს ვცემ იმით მე ქვის იმას, ვინც ვიყავ.  
ღირსებას,  
აურზაურს რომ ავშლი წყვდიადში, მაგრამ ფერდობთა მამაღვთაება  
ქარი მას ჩემსკენ გამოირეკავს. თავის გამომპალ დაფდაფს  
შემოკრავს;  
ხშირად, ენა რომ უნდა მკეპოდეს, და როგორც ნაოჭს გამომიჩენდა,  
გადავიწყებულ ნაოჭებს ვხედავ, სიბნელე შუბლს კრავს.

ღია ზღვაში

პარიზი, გემი, ჩაშვებულნი ჭიქაში ღუზა:  
 შემოვსხდომივართ სუფრას ორნი, შენ გადღეგრძელებ.  
 ვსვამ ისე დიდხანს, გიბნელდება ჩემი გული და  
 ვსვამ ისე დიდხანს, თავის ცრემლში ცურავს პარიზი, გიბნელდება  
 ვსვამ ისე დიდხანს, რომ გეზს იღებს შორის ნისლისკენ,  
 სადაც სამყარო გვებურება, სადაც ყველა შენ არის ტოტი,  
 რომელსაც ჩუმ და მოფარფატე ფოთლად გკიდევარ.

მართო ვარ, მწიფე სიშავბნელით საგსე ჭიქაში  
 მე ფერფლის ყვავილს მოვათავსებ. ბაგეო დისა,  
 შენ ამბობ სიტყვას, ფანჯრების წინ რომ ხარობს მერე,  
 და უხმოდ მეკვრის, რაც ოდესმე მიოცნებია.


უკვე ყვავილებმოთავებულ დროში ვყვავილობ,  
 ნავიანევი ფრინველისთვის დღვირს ვაგროვებდი:  
 ზაფხულგამოვლილს, ჩემთვის მოაქვს ცოცხალწითელი  
 ფრთით თოვლის ფიფქი, ნისკარტით კი — ყინულის თესლი.

ყოველთვისა და არასდროს შორის როცა ირწევა  
 ღამით ქანქარა სიყვარულისა,  
 შენი სიტყვა გულის მთვარეს ეხლება მაშინ  
 და საელჭექო შენი ღურჯი  
 თვალი ზეცას შეუწვდენს მიწას.

შორეული და მგლოვიარედ ჩაშავებულნი  
 რომიდან ქარს მოაქვს ბოლო ამონასუნთქი,  
 და რაც განქარდა, ეხეტება დიდი როგორც მომავლის ღანდი.  
 რაც ოდენ ქვემოთ ეშვება და ზეამაღლდება,  
 სულის სიღრმეში დამარხულს უღარს:  
 ბრმად, როგორც მზერა, რომელსაც ვუმზერო,  
 დროს ბაგეზე ეამბორება.

ასელა მძინავს, დავრჩენილვარ თვალგახელილი.  
 ბოლომდე ვცლიდით, წვიმა როცა ტოლჩას ავსებდა.  
 ღამეა გულის გამომხდელი, გული კი — წველის —  
 მომკალთ ქალო, თიბვა უკვე დაგაგვიანდა.

რარიგ თოვლივით თეთრი თმა გაქვს, ქარო ღამისა!  
 თეთრი შემომრჩა; თეთრი იყო, რაც დამკარგვოდა!  
 ის საათების თვლით დაბმულა, მე კი — წლებისა.  
 ჩვენ წვიმას ვსვამდით. ბაგე წვიმას ეწაფებოდა.



## ეშააკის ელექსირი



თარგმანი დია თაკვაჩაძისაჲ

სულელური რატრატი ქონდრისკაცისა, რომელიც ჩემთან ერთად მოხტუნაობდა ქალაქის ქუჩებში, რაღაც საშინელი შეგრძნებით მავსებდა. მაგრამ ხანდახან თვალს რომ მოვკრავდი მისეულ სასაცილო ციყვისებურ ნახტოშებს და კომიკურ იერს, ჩემდა უნებურად ვხარხარებდი. ზოლოს, როგორც აქნა, ჩემს ოთახამდე მოვალწიეთ. ბელკამპო ბარგის ჩალაგებაში მომეშველა და მალე მზად ვიყავი გასამგზავრებლად. გამომშვიდობებისას ქონდრისკაცს ხელში რამდენიმე ღუკატი ჩავუდე. სინარულისაგან ჰაერში შეხტა და ხმამალლა დაიძახა:

— ჰაიდა, ეს რა ძვირადღირებული მონეტა მარგუნა ღმერთმა, მაინც რა კაშკაშაა ოქრო, როცა გულის სისხლი გაქვს დაღეული. მასზე წითელი სხივები დათამაშობენ. ეს ისე, ხუმრობით გითხარით, ბატონო ჩემო, ოღონდ მხიარული ხუმრობა კი გამომივიდა.

ამ სიტყვებმა, რაღა თქმა უნდა, გამაოცა და ეს გაოცება კიდევ გამომეხატა სახეზე. ქონდრისკაცმა მთხოვა, ნება მიბოძე, მრისხანების კულულებს სიმრგვალე მივცე, შეძრწუნების თმა მოკლედ შეგიკრიჭო, ხოლო სიყვარულის პაწაწა კულული შენგან სამახსოვროდ მქონდესო. მეც ნება დავრთე როგორც უნდოდა ისე მიეხედა ჩემი აბურდულ-დაბურდული თმისათვის და ისიც შეუდგა მუშაობას, ხოლო მთელი ამ ოპერაციის ჩატარებისას სასაცილოდ იქნევდა ხელებს და იღმიჭებოდა. ბოლოს ხელი დაავლო დანას, რომელიც ტანისამოსის გამოცვლისას მაგიდაზე დავდე, მოფარიკავის პოზა მიიღო და ჰაერში იწყო დანის ქნევა.

— მე სულს ვაფრთხობინებ თქვენს მოწინააღმდეგეს, — ყვიროდა იგი, — და რაკი თქვენი მოწინააღმდეგე მხოლოდ იდეაა და არაფერი სხვა, ამიტომ მხოლოდ მისმა მსგავსმა ანუ ისევ იდეამ უნდა უმტროს და მოუღოს ბოლოც მას. და მეც სწორედ ამის იმედი მაქვს, ვიცი, რომ ცოცხალს არ დავტოვებ და მხოლოდ აზრების მეშვეობით ვიქმ ამას. და რომ ექსპრესია გავაძლიერო, შესაფერის სხეულებრივ მოძრაობებს ვაკეთებ. Apage Satanus, apage, Ahasierus, allez-vous-en.<sup>1</sup> ჩემი კი გავაკეთე და! — განმიცხადა მან და დანა თავის ადგილას დადო, ხვნეშოდა, შუბლზე ოფლს იწმენდა, თითქოსდა მძიმე სამუშაო შეესრულებინოს წვითა და დაგვით. მინდოდა დანა სასწრაფოდ დამემალა. ანაფორის ფართო სახელოში ჩამედო და ამას ძველებურად მღვდლური მიხვრა-მოხრით ვაკეთებდი, თითქოსდა კვლავ მონასტერში ვიყავი. დალაქს მხედველობიდან არ გამოპარვია ჩემი მოძრაობები და ეშმაკური ღიმილი მო-

1. გავრძელება (დასაწყ. იხ. „საუნჯე“ № 1-2, 3-4 2001 წ.).

ეფინა სახეზე. ბუკის ხმამ მეეტლის მოსვლა მაუწყა. ბელკამპომ მოულოდნელად შეცვალა პოზა და ხმის ტონი, ცხვირსახოცი ამოიღო, გეგონებოდა, ცრემლებს იწმენდსო. პატივისცემის ნიშნად თავი დამიკრა, ხელზე შემთხვია, კაბის კალთები დამიკოცნა და ვედრებით მითხრა:

— დიდად ღირსპატივისცემო წმინდა მამაო, იყავით, მოწყალე და გადაუხადეთ ორი წირვა ჩემს ბებიას, რომელიც კუჭის მოუნელებლობამ იმსხვერპლა, ორი წირვა კი მამაჩემს, ვინც მარხვის იძულებითმა შენახვამ გამოასალმა წუთისოფელს. პირადად მე ყოველ კვირა უნდა ამიგოთ ანდერძი, მანამდე კი ცოდვები მომიტევოთ. ო, მოწყალეო ბატონო ჩემო, ჩემში ზის უწმინდური და ცოდვილი არამზადა, რომელიც განუწყვეტლივ ყურში ჩამჩურჩულებს: „პეტერ შოენფელდ, ნუ იქნები ვირი და არ დაიჯერო, რომ ის ხარ, რადაც მიგიჩნევენ. შენ, კაცმა რომ თქვას, არც კი ხარ საერთოდ. შენში მე ვზივარ, მე ბელკამპო ანუ გენი-ალური იდეა და თუ ამის არ გჯერა, მაშინ მაგ თავში ჩაგცხებ მასვილ, პირალესილ აზრებს და ძირს დაგანარცხებ. ეს მტრად მოკიდებული კაცი, ბელკამპოს რომ ეძახიან, პატივღირსეულო, რანაირ ბიწიერებას არ ჩადის ქვეყანაზე, სხვათა შორის ეჭვის თვალით უყურებს აწმყოს, ლოთობს, ჩხუბსა და აყალმაყალს ტეხს, უბიწო, ქალწულებრივ აზრებთან მრუშობს. ამ ბელკამპომ ჭკუა ამირია და თავს რეტი დამასხა. სულ იმისი ბრალია, უზრდელურ ნახტომებს რომ ვაკეთებ, უბიწოების ნათელს რომ ვბილწავ, როცა სიმღერ-სიმღერით in dulcijubilo აბრეშუმის თე-თრი ქათქათა წინდებით ნეხვზე ვჯდები, შენდობა ორივეს: ბელკამპოსაც და პეტერ შოენფელდსაც!

მან ჩემ წინაშე მუხლი მოიყარა და თავი ისე მომაჩვენა, თითქოს ხმამალლა აზლუქუნდა. ამ კაცის სულელური გამოსდომები მართლაც ყელში ამომივიდა, მივაძახე კიდევაც:

— თუ შეიძლება, ჭკუას მოუხმეთ!

ამასობაში კელნერიც შემოვიდა ჩემი ბარგი-ბარხანის წასაღებად. ბელკამპოც სასწრაფოდ წამოხტა, კვლავ დაუბრუნდა მხიარული გუნება-განწყობილება, ლაყბობა და ენის ტარტარი არ შეუწყვეტია, ისე მიეშველა კელნერს ბარგის გაზიდვაში.

— ეს საწყალი მთლად გამოჩერჩეტდა, — მითხრა კელნერმა, როცა ჩემი ეტლის კარს კეტავდა, — არ გირჩევთ მასთან საქმის დაჭერას.

როცა ბელკამპოს შევხედე, ტუჩზე მრავალმნიშვნელოვნად მივიდე თითი, ამის საპასუხოდ იმან ქუდი დამიქნია და მომაძახა:

— სამარის კარამდე შენთანა ვარ!

როცა დილის რიურაჟმა ინათა, კარგა ხნის გაცილებული ვიყავი ქალაქს, ხოლო შემზარავი, ძრწოლვისმომგვრელი სახება უცხო მხატვრისა, რომელმაც გამოუცნობი იდუმალებით აღმავსო და დელვა მომგვარა, უკვალოდ გაქრა. და როცა ფოსტის მოხელემ მკითხა, საით ინებებ წაბრძანებასო, მაშინ კი ხელახლა დამიბრუნდა განუწყვეტილი კავშირი უწინდელ ყოფასთან და ღვთის ანაბარად მიგდებულმა თვითონაც არ ვიცოდი, საით მივდიოდი. მაგრამ განა დაუსაბამო, განურინებელმა ძალამ ფრთების ღონივრული მოქნევით არ ამომავდო აქამდე შეჩვეული

ყოფიდან, რათა ჩემში ჩასახლებული სული მოუთრგუნველი ძლევამოსილებით დაულაღავედ აღაღოს და ანავარდოს. სულმოუთქვლად დაგძრწოდი ამ მშვენიერ ქვეყანაზე, მაგრამ სიმშვიდეს ვერსად ვპოვებდი, შეუჩერებელი მივექანებოდი სამხრეთისაკენ და თვითონ ვერ შემიძინევია ისე დავადექი იმ გზას, რომელიც წინამძღვარმა მომხიზნა დაძისახა მონასტრიდან წამოსვლის ჟამს და რომელიც ჩემს სამგზავრო სვლაგეზში იყო აღნიშნული, ხოლო იმპულსი, რამაც საერო ცხოვრებისაკენ მიბიძგა, მაგიური ძალით მატარებდა თავდაპირველად დასახული მიმართულებით.

ერთხელ წკვარამ ღამეში უღრანი ტყე უნდა გამეველო, რომელიც კარგა მანძილზე იყო გადაჭიმული მომდევნო სადგურამდე. სადგურის ზედამხედველმა მირჩია, ღამე ჩემსა გაათიე და დილით გაუდექი გზასო, მაგრამ იმზომ დაუოკებლად ვილტვოდი საიდუმლო მიზნისაკენ, რომელიც თვითონაც არ ვიცოდი, რა იყო, რომ ჩემდა უნებურად ამაზე უარი ეთქვი. სადგურიდან გამოსული არც ვიყავი, როცა შორიდან ელვამ გაანათა, ცაზე ჩამოწოლილი შავი ღრუბლები ამოვარდნილმა ქარიშხალმა გააფთრებით მიჰფანტ-მოჰფანტა. გამაყრუებელი ქუსილი შემადრწუნებელ ექოს გამოსცემდა. ცეცხლისფერმა ელვებმა, სადამდეც მზერა მისწვდებოდა, ჰაერი გაჰკვეთეს. ტანმალა ნაძვებს ტკაცანი გაუდიოდათ. ელვის კვეთებისაგან დამფრთხალი ცხენები ყალყზე დგებოდნენ. გზა გაუვალი გახდა, ძლივსლა მივჩანჩალებდით, ოღროჩოღრო გზებზე მონრიგინე ეტლი ბოლოს ისე მაგრად მიეხეთქა ღრანტეს და შეინჯღრ-შე-მოინჯღრა, რომ უკანა ბორბალი გატყდა. გვინდოდა თუ არა, მაინც აუცილებელი გახდა შეჩერება და მოლოდინი, ვიდრემდე გამოიდარებდა. როცა ქარიშხალი ჩადგა და ღრუბლებიდან მთვარის მკრთალი სხივი გამოჭიატდა, მაშინლა მიხვდა მეეტლე, რომ სიბნელეში გზა აბნეოდა, ორიენტაცია დაჰკარგვოდა, რის გამოც ტყის განაპირა თემშარაზე აღემოჩნდით. როგორც კი საგრძნობლად ინათებდა, სხვა გზა არ გვქონდა, სწორედ თემშარას უნდა გავყოლოდით, რათა როგორმე რომელიმე სოფლამდე ჩამოგვეღწია და იქნებ საშველიც დაგვდგომოდა. გატეხილი ბორბალი ღველერჭით შევკარით და ნაბიჯ-ნაბიჯ გავუდექით გზას. მალე წინ მიმაგალმა შორს მბჟუტავი სინათლე შევამჩნიე. დიდი ხანი არც იყო გასული და ძაღლების ყეფაც მომესმა თითქოს. თურმე არც შევმცდარვარ. მოვადექით კარგა მოზრდილ სახლს, რომელიც ტრიალ შინდორზე იდგა, ვარშემო კი ქვის გალავნით იყო შემოღობილი. მეეტლემ ჭიშკარზე დააბრაახუნა თუ არა, ძაღლებმაც საშინელი ყეფა ატეხეს და გააფრთებულნი გარეთ გამოვარდნენ. თვითონ სახლში კი სრული, სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული, ხოლო როცა მეეტლემ საყვირს ჩაჰბერა, მაშინ კი გაიღო ზემო სართულზე ფანჯარა, საიდანაც შუქმა მომანათა და ვილაცამ ბოხი, ხრინწიანი ხმით დაიძახა:

— ქრისტიან, ქრისტიან!

— აქა ვარ, ბატონო ჩემო, რას მიბრძანებ? — ამოსძახა ვილაცამ ქვემოდან.

— ჭიშკარზე ვილაც ისე უბოდიშოდ აბრაახუნებს და საყვირს სცემს, რომ ძაღლები სულ მთლად გადაირივნენ. აილე ფარანი, მესამე მშხანა და გაიგე, რა ხდება!

გავიგონეთ, როგორ დაუძახა ქრისტიანმა ძაღლს, მერე თვითონაც დავინახეთ ფარნით ხელში. შეეტლემ აგვიხსნა, რომ ეჭვი არ იყო, ტყის დასაწყისშივე აგვექცა მხარი და ნაცვლად იმისა, პირდაპირ გვევლო, გვერდზე შევუხვით და ავლმოჩნდით მეტყევის სახლთან, რომელიც სადგურიდან ერთი საათის სავალ გზაზე მარჯვენა მხარეს მდებარეობდა. როცა ქრისტიანს ჩვენი გასაჭირი შევჩივლეთ, იმან დაუყოვნებლივ გააღო ჭიშკარი ყურთამდე და ეტლი ეზოში შემოგვაყვანინა. ძაღლებიც მალე დაშოშმინდნენ და აღერსიანად იწყეს კუდის ქნევა, სახლის პატრონი კი მთელი ამ ხნის განმავლობაში ფანჯარას არ მოშორებია და განრისხებით გადმოგვძახა ზემოდან: — რა ამბავია. ეს რა ქარავანი მოსულა!

ვერც ქრისტიანმა და ვერც რომელიმე ჩვენთაგანმა ხმა ვერ ამოვიღეთ. ვიდრე ქრისტიანი ეზოში ეტლსა და ცხენებს უვლიდა, მე სახლში შევედი, რომლის კარი ქრისტიანმა გაძილა. ოთახში მასპინძელი შემომეგება. იგი წარმოსადეგი, ზორბა ტანის მამაკაცი იყო, მზემოკიდებული სახე ჰქონდა, თავზე მწვანე პლუმაჟიანი უზარმაზარი ქუდი ეხურა, პერანგის ამარა დამხვდა, შიშველი ფეხები ფლოსტებში გაეყარა, ხელში ბუდიდან ამოღებული სანადირო თოფი ეჭირა. როგორც კი დამინახა, მკვასხედ მკითხა, ვინ ხარ და საიდან მოსულხარ, ან რა უფლების ძალით აწუხებ ადამიანებს ამ შუალამისასო. აქ ხომ არც სასტუმროა და არც საფოსტო სადგური, მხოლოდ უბნის მეტყევე ცხოვრობს და იგი მე გახლავართ, ქრისტიანი კი უტყინო და ჩერჩეტი ვირია, თქვენ რომ ამ უდროდ დროს კარი გაგიღოთო.

ეს სიტყვები რომ გავიგონე, მთლად წავეხდი და გავფუჭდი, ენის ბორძიკით მოგუბოდიშე და განვუმარტე, რომ გზაში ავდარი წამოგვეწია, მერე ეტლი გავვიტყდა, შეეტლეს კი ამასობაში გზა დაებნა, ამიტომ გავბედეთ და ბატონ მეტყევეს მყუდროება დაურღვიეთ-მეთქი. ეს რომ ვუთხარი, მოლბა. მერე კი განაგრძო:

— წუხელ მართლაც სასტიკი ქარიშხალი ამოვარდა, მაგრამ მაინც შეეტლის ბრალია, გზა რომ დაებნა და ეტლი გაუტყდა. ხუთი თითივით უნდა იცოდეს გზა, ტყე, თვალები რომც ახვეული ჰქონდეს, მაინც არაფერი უნდა შეეშალოს, იგი ტყეში თავს ისე უნდა გრძნობდეს, როგორც საკუთარ სახლში.

მერე მეტყევემ ზემოთ ამიყვანა, სანადირო თოფი მაგიდაზე დადო, ქუდი მოიხადა, ხალათი მოიცვა და მომიბოდიშა, ნუ გამინაწყენდები, თუ უხეშად შეგხვდით. ჩემი სახლი საგრძნობლადაა მოშორებული სხვა სახლებს და სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მით უფრო, რომ ათასი ოხერი დაეთრევა ამ დროს ქუჩებში. მითუმეტეს, რომ ეს ე. წ. თავისუფალი მსროლელები აშკარად მემტერებიან და ხშირად ჩაუგდიათ ჩემი სიცოცხლე საფრთხეში.

— მაგრამ ნურას უკაცრავად! მაგ არამზადები ვერაფერს დამაკლებენ! — განაგრძო მეტყევემ, — ღვთის შეწევნით ჩემს საქმეს ერთგულად და პატიოსნად ვემსახურები. საკუთარი მკლავისა და საჭურველის იმედითა ვარ მხოლოდ და ძალმიძს კიდევ სამაგიეროს მიგება, ამიტომაც მაგათი სულაც არ მეშინია.



ჩემდა უნებურად სამონასტრო ცხოვრების ჩვეულებისამებრ, რასაც ვერაფრით გადავჩვეოდი, ერთი-ორი ღვთისმოსავი ფრაზაც ჩავურთე იმის შესახებ, რომ უფალი დიდია და დიხაც მისი შეწევნის იმედი უნდა გვექნეს. მეტყევს, ეტყობა, გულზე მალამოდ მოეცხო ეს სიტყვები და სახე კიდევ უფრო გაუბრწყინდა. მან ჩემს უარს უსული არსებობა და ცოლი გააღვიძა, უკვე ხანში შესული, მაგრამ ჯერ კიდევ ხალისიანი და ფუსფუსა დედაკაცი. იმის მიუხედავად რომ ძილი დაუფრთხეს, მაინც თბილად მომესალმა მოულოდნელ სტუმარს და ქმრის ბრძანებისამებრ ვახშმის სამზადისს შეუდგა. მეეტლე კი იმ ღამესვე უნდა გაბრუნებულიყო თავისი გატეხილი ეტლით სადგურში, საიდანაც მოვიდა, ამ სასჯელს იგი იმსახურებდა დაუდევრობის გამო. მე კი თავისთან დარჩენა შემომთავაზა ღამის გასათევად და მოსასვენებლად, თანაც დამპირდა, მეორე დღეს საკუთარი ეტლით გამამგზავრებდა უახლოეს საფოსტო სადგურში. მეტყევის შემოთავაზებული ეს წინადადება დიდად მეამა, რადგან მეტისმეტად მისაფათებული და არაქათგაწყვეტილი ვიყავი და მცირე ხნით შესვენება მართლაც მინდოდა. პასუხად კი მეტყევს მივუგე, რომ სიამოვნებით დავყოფდი მასთან მეორე დღის შუადღემდე, რათა სავსებით გამცლოდა დაღლილობა, რაც ამ დღეებში შეუსვენებელმა მგზავრობამ გამოიწვია.

— იცით, რას გეტყვით, ბატონო ჩემო, — მითხრა მან, — უფრო მეტიც შემიძლია თქვენთვის გავაკეთო. იქნებ ხვალ მთელი დღე აქ დარჩეთ, ზეგ კი პერცოგის რეზიდენციაში ვაგზავნი ჩემს უფროს ვაჟს, რომელიც თვითონ მიგიყვანთ უახლოეს სადგურში.

მეტყევის შემოთავაზება მართლაც დამიჯდა ჭკუაში და სიხარულით დავყაბულდი. მერე ქება-დიდებით შევამკე მისი განმარტოებული ადგილ-სამყოფელი, რომელიც პირველი ნახვისთანავე რატომღაც თვალში მომივიდა.

— არა, ბატონო ჩემო, — მომიგო მეტყევემ, — აქ მართო სულაც არა ვარ. ქალაქელებს კი გგონიათ, თქვენთვის ჩვეული თვალთახედვიდან გამომდინარე, რომ ტყეში მდგარი ყოველი სახლი უკაცრიელია და მიგდებული, მაგრამ არც ასეა საქმე, რომ იცოდეთ. გააჩნია ვინ ცხოვრობს ამ განმარტოებულ ალაგას, რა სულიერი წყობისა და შეხედულებების კაცი. ოდესღაც მონადირეთა ამ ძველთაძველ ციხე-დარბაზში მართლაც ცხოვრობდა ერთი პირქუში და უკარება ხანდაზმული ბატონი. იგი თავის ოთხ კედელში იყო გამოკეტილი და სულაც არ ეხალისებოდა ტყეში სანადიროდ ხეტიალი. მაშინ კიდევ შეიძლებოდა მიყრუებული და უდაბური მოგჩვენებოდა ეს ადგილი, მაგრამ მას შემდეგ რაც ის გარდაიცვალა, ყოვლად მოწყალე ჩვენმა პერცოგმა შენობა მეტყევეთა საცხოვრებელ ბინად გადააკეთა და მას აქვთ მოყოლებული ეს არემარე გამოცოცხლდა. თქვენ, ბატონო ჩემო, ქალაქელი ბრძანდებით და ვერ გაიგებთ, რას ნიშნავს იყო ტყისა და ნადირების ტრფიალი. ვერც წარმოიდგენთ, რა დიდებულად და ხალისიანად ვცხოვრობთ ტყეში მონადირეები. მე და ჩემი მონადირე ბიჭები ერთი ოჯახის შვილები ვართ. იქნებ სასაცილოდაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ამ ჩვენს ჭკვიან მწევარ ძაღლებსაც კი ოჯახის წევრებად მივიჩნევთ. მაგათ ჩემი ყოველი სიტყვა ეს-

მით, გაფაციცებით ყურს მიგდებენ და სიკვდილამდე ერთგულნი რჩებიან. ხედავთ, რა აზრიანი თვალებით მიყურებს ეს ჩემი ტყის ბინადარი, იცის, რომ მასზე ვლავარაკობთ. არა, ბატონო, ტყეში მუდამ მოიძებნება კარგა ბლომად საკეთებელი. ამისთვის საღამოდან მოყოლებული ვემზადებით, სამეურნეო საქმეებს ვაგვარებთ. როგორც კი ინათებს, ფიცხლავ ლოგინიდან წამოვდგები, ეზოში გამოვდივარ და ბუკზე ჩემს საყვარელ მოტივს ვუკრავ. ბუკის ხმაზე ყველა და ყოველი დაუყოვნებლივ იღვიძებს, ძაღლები ხალისიანად აწკმუტუნდებიან, გული სიხარულით აუფანცქალდებათ და ნადირობის საღერღელი აეშლებათ. ეგერები ტანთ მარდად იცვამენ, სანადირო ჩანთებს სასწრაფოდ ზურგზე მოიგდებენ, თოფს მხარზე ჩამოიკიდებენ და შედიან ოთახში, სადაც ჩემი დედაბერი ამ დროისათვის საუზმის თადარიგს იჭერს. წავიხემსებთ თუ არა, სიხარულით გულაჩქროლებულები ტყეში გავრბივართ და იმ ადგილებს მივაშურებთ, საცა ნადირია მიმალული და ერთმანეთისაგან კარგა მოშორებით ჩვენ-ჩვენ ადგილებს ვიკავებთ. ძაღლები დაძრწიან, თავს მიწაზე ურტყამენ, ყნოსვით ხედავენ და გრძნობენ ნადირს, ხანდისხან ჭკვიანი ადამიანური თვალებით შეხედავენ მონადირეთ, რომელნიც სუნთქვაშეკრულნი და ჩახმასშეყენებულნი დგანან უმოძრაოდ, ერთ ადგილზე გაქვაგებულან, თითქოს მიწას შეზრდიანო. როცა უღრანი ტყიდან ნადირი გამოხტება და ტყვიები აზუზუნდებიან, ძაღლები ნადირს გამოეკიდებიან და აი, მაშინ კი ო, ბატონო ჩემო, გული ძალუმად ამიძგერდება და სულ სხვა კაცი ვხდები. სანადიროდ ყოველი გასვლა, რაღაც ახლის მომტანია, რადგან ამ დროს მუდამ რაღაც უჩვეულო და განსაკუთრებული ხდება ხოლმე, ჯერარყოფილი და ჯერარსმენილი. ნადირმა შესანიშნავად იცის გეშის აღება, დროის რომელ მონაკვეთში გამოჩნდეს. ერთხანს ერთი სახის ნადირი მოგვევლინება, სხვა დროს კიდევ — სხვა, ეს კი დიდებულ სანახაობად აქცევს ნადირობას და მისი ხილვა ერთ რამედა ღირს, თვალი ვერ ძლება ამ მშვენიერი სანახაობით. თავისთავად თვითონ ტყეც, ჩემო ბატონო, იმზომ აღსავსეა სიცოცხლის ხალისითა და მჩქეფარებით, რომ იქ არასოდეს თავს მარტო არ ვგრძნობ. მე ძალიან კარგად ვიცნობ ტყის ყოველ კუთხე-კუნჭულს. ვიცი ყოველი ხე, თითოეულ მათგანს ჩემს თვალწინ გაუშლია მხრები, გაზრდილა და ზეცაში აუწვდენია თავისი ლამაზი კენწეროები. ყოველი ხე თვითონაც მიცნობს და მეფერება, რადგან ყოველი მათგანი ჩემი გაზრდილია და მოვლილ-ნაპატრონები. მგონია, ხანდახან საოცარი ჩურჩული და შარბიშური რომ მესმის, ეს მათი სიმღერაა გულის სიღრმიდან ამოთქმული და ეს არის ხოტბა-სადიდებელი აღვლენილი ღვთისადმი, მისი ყოვლისშემძლეობისადმი, ლოცვა, რომელიც სიტყვებით არ გამოითქმის. მოკლედ რომ ვთქვა, პატიოსანი და ღვთისმოსავი მონადირე კაცი აქ სრულიად ლალი და ლამაზი ცხოვრებით ცხოვრობს. მას ჯერაც შერჩენია გარდასული დროის მაღლი თავისუფლებისა, როცა ბუნებასთან შეხმატკბილებულად ცხოვრობდა, ხოლო კოკეტობისა და მანჭვა-გრეხისა არაფერი გაეგებოდა, ასე რომ იტანჯებიან იმ სულისშემხუთველ საპყრობილეში, ქალაქურ სახლში. ისინი სავსებით გაუცხოვებიან მშვენიერ საგნებს, ღმერთმა რომ დაახვავა მათ გარშემო, რათა ადამიანს ამ საგნების შეგრძნება და შეტკბობა შეძლებოდათ, როგორც ამას წარსულ-

ში აკეთებდნენ თავისუფალი ნებისანი, ბუნების ერთგულნი და მისი დაულალავი ტრფიალნი, და რაზედაც ამაღელვებლად გვაუწყებენ ძველი დროის თქმულებები.

ამ სიტყვას მოხუცი მეტყევე ისეთი განწყობითა და პათოსით ამბობდა, არ შეიძლებოდა არ დაგვეჯერებინა მის მიერ გვეთქმულებული ფალსაზრისის სიწრფელე და სიღრმე. შემშურდა კიდევ მისი ბედნიერი ყოფა, რომელიც უღრმესად შინაგანი მოსაზრებით ეფუძნება მშვიდ და უშფოთველ განწყობას, რასაც სასტიკად ვიყავი მოკლებული და რომელიც არანაირად არ ჰგავდა ჩემს მშოფოთვარე არსებობას.

მოხუცმა მეტყევემ თავისი კარგა მოზრდილი სახლის ერთ ფლიგელში მიმიჩინა პატარა, სუფთად მოვლილი ოთახი, სადაც ჩემი ნივთები შევიტანე. თვითონ ღამე-მშვიდობისა მისურვა, თანაც იმედი გამოთქვა, დილის ხმაური არ გაგაღვიძებთ, რადგან ეს განცალკევებითაა, რამდენიც გინდათ იმდენი იძინეთ, საუზმეს კი პირველი მოთხოვნისთანავე საწოლში მოგართმევენო. მეტყევემ დასძინა, რომ პირადად მას ვნახავდი მხოლოდ სადილობისას, რაკი ეგერებთან ერთად დილიდანვე გაუდგებოდა გზას ტყისაკენ და შუადღემდე არც დაბრუნდებოდა. ლოგინში ჩავწექი და ძლიერი დაღლილობის გამო ღრმა ძილს მივეცი თავი. მალე საშინელმა სიზმარმა შემაწუხა. საოცარი იყო, სიზმარი ისე დაიწყო, ძილის შეგრძნება არც დამიკარგავს. თითქო ჩემს თავს ვუთხარი: „რა კარგია, რომ მაშინვე ჩავიძინე, თანაც ისე მაგრად და უშფოთველად, რომ დაღლილობამ სავსებით გაშიარა, ოღონდ თვალები, ეტყობა, დახუჭული მაქვს“. მაგრამ ამის მიუხედავად, თვალი მაინც გავახილე, ოღონდ ძილი არ გამფრთხობია. მერე კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა სახემოქუფრული კაცი, რომელსაც ჩემდა შემაშფოთებლად კაპუცინის სამოსი ეცვა, წვერი და ქოჩორზე შეკრეჭილი თმაც კაპუცინისა ჰქონდა, იმ კაპუცინ მღვდელში ძრწოლვით ვიცანი საკუთარი თავი. აჩრდილი ჩემს საწოლს უახლოვდებოდა, მე კი შიშისაგან გაქვავებულმა ველარც ხმა ამოვიღე, ველარც ხელი გავანძრიე, მთლად გავშემდი და გამოვშტერდი. მოჩვენება ჩემს საწოლზე ჩამოჯდა გესლიანი ღრეჭით.

— ჩემთან უნდა წამოხვიდე, — მეუბნებოდა მღვდლის აჩრდილი — სახურავზე ავიდეთ, საკვამურის ქვეშ, რომელიც მხიარულ საქორწინო სიმღერას უკრავს, რადგან ჭოტი ქორწილს იხდის. აი, იქ შევებათ ერთმანეთს ხმლებით და ვინც გაიმარჯვებს ორთაბრძოლაში, მეფეც ის იქნება და სისხლიც იმან უნდა დალიოს.

მერე ვიგრძენი, როგორ მწვდა ყელში და მალლა ამწია. სასოწარკვეთილებამ ძალა ჩამბერა და გაშმაგებით ვიყვირე:

— შენ მე კი არა, ეშმაკი ხარ!

და ამ შემზარავ მოჩვენებას სახეში ჩავცხე, თითქოს თითებზე ფრჩხილების მაგივრად ბრჭყალები გამოვისხი და თვალის ფოსოებში მაგრად ჩავარჭე. მოჩვენება საშინლად ახარხარდა. იმ წუთში კიდევ გამეღვიძა, თითქოს მოულოდნელად მუჯლუგუნი წამკრეს, შემანჯღრრის და ზემოთ ამისროლეს. ხარხარი კვლავ ისმოდა ოთახში. ფეხზე წამოვდექი. ფანჯარაში დილის ნათელი მოჩანდა. მაგიდის წინ კი ჩემგან ზურგშექცევით იდგა კაპუცინის ანაფორიანი მოჩვენება. თავზარდაცემული

ელდანაკრავით გავექვავდი, რადგან ამაზრზენი სიზმარი სინამდვილედ მექცა. კაპუცინი მაგიდაზე დაყრილ ჩემს ნივთებში იქექებოდა, როცა ჩემკენ მობრუნდა, მხნეობა დამიბრუნდა, რადგან სულ უცნობი მავწყვეთა სახე დავინახე, თვალებში კი დამთხვეული შეშლილის სიცილი ესატე-ბოდა. მოთმინებით ველოდი, რას იზამდა. თუკი თავს დამეხსმენა, ჩემს მხრივ დავუმტკიცებ, რომ არ მძინავს. დანაც აქვე მედო და საკუთარი მკლავის იმედიც მქონდა. დარწმუნებული ვიყავი, არავისი დახმარება არ დამჭირდებოდა, თვითონაც გაეუსწორდებოდი უცნობ მღვდელს. ვითომ ბავშვი იყო, ისე ეთამაშებოდა ჩემს ნივთებს. მეტადრე წითელი საქალაღდე მოუვიდა თვალში. ეს საქალაღდე სინათლეზე გამოიტანა ფანჯარასთან, ატრიალებდა. მერე უცნაურად შეხტა ჰაერში. დაწნული მათარა იპოვა, რომელშიც საიდუმლოდ იყო ჩარჩებილიყო. მათარას თავი მოხადა, დაყნოსა და მთელი სხეული აუკანკალდა, მერე ყვირილი აღ-მოსკდა მკერდიდან, რამაც მთელს ოთახში გამოსცა ყრუ და შემაძრწუ-ნებელი ხმა. ამ დროს საათმა სამი ჩამორეკა. მოჩვენება საზარლად და-იკლაკნა, თითქოსდა აუტანელ ტკივილს განიცდიდა. მერე კვლავ გამ-კივანი ხარხარი იწყო, ისეთი, სიზმარში რომ გავიგონე. ისე ხტოდა, გეგონებოდა ველურ ცეკვას ასრულებსო. დარჩენილი სითხე გამოსცა-ლა, მათარა გვერდზე მიაგდო, კარი გააღო და გაიქცა. სასწრაფოდ წა-მოვიჭერ საწოლიდან და მღვდელს გავეკიდე. ის კი უკვალოდ გაუჩინარ-და. გავიგონე, რა კისრიტებით დაეშვა საიდუმლო კიბეზე და კარი ყრუდ როგორ გაჯახუნდა. კარი ურდულით გადავრახე, რათა დაუპატიუბე-ლი სტუმარი კვლავ არ მწვეოდა და ისევ ლოგინში ჩავწექი. რაკი დაღ-ლილობისაგან არაქათი მქონდა წართმეული, მალე ღრმა ძილით ჩამეძი-ნა. როცა ჯანზე მოსულმა და ხალისიანმა გავიღვიძე, ფანჯარაში უხვად იფრქვეოდა მზის კაშკაშა სხივები. ეტყობა მეტყევე კარგა ხნის წასული იყო ტყეში თავის ვაჟიშვილებთან და ეგერებთან ერთად. მეტყევის უმ-ცროსმა სიცოცხლით სავსე სანდომიანმა გოგონამ საუზმე მომართვა, უფ-როსი კი სამზარეულოში მოფუსფუსე დედას ესმარებოდა. გოგონა საა-მო ხმით მიამბობდა, რა მშვიდობიანად და მხიარულად ცხოვრობდა აქ მთელი ოჯახი. ხანდახან ამ არემარეში ერთი ხმაური და ღრიანცელი ატყდება და ეს მაშინ ხდება, როცა დიდი პერცოგი ჩამოივლის სანადი-როდ და ზოგჯერ ჩვენს სახლში ღამეს გაათევსო. ამ მასლაათში ერთი-ორი საათი ისე გაიპარა, ვერც გავიგე. შუადღემ რომ მოატანა, მხიარუ-ლი ჟივილ-ხივილი და ბუკის ხმა გავიგონე. ეს მეტყევე ბრუნდებოდა შინ ნადირობიდან თავის ოთხ ვაჟიშვილთან და სამ ეგერთან ერთად. მე-ტყევის ვაჟები ჯან-ლონით სავსე მშვენიერი ბიჭები იყვნენ, მათ შორის უმცროსს ჯერ თხუთმეტი წელიც არ შესრულებოდა. მეტყევემ მკითხა, როგორ გეძინა, დილის ხმაურმა ადრიანად ხომ არ გაგაღვიძაო. აღარ მინდოდა მისთვის შეამბნა იმ უცნაურ ამბავზე, რაც წუხელ თავს გადა-მხდა, რადგან შიშისმომგვრელი მღვდლის ცოცხალი ხილვა ისე აშკარად მოჰყვა სიზმარულ ჩვენებას, რომ ძლივსლა გავარჩიე, როგორ იქცა სი-ზმრად ნანახი ხილულ სინამდვილედ.

სუფრა გაშალეს. წვნიანს ოხშივარი ასდიოდა. მოხუცმა ქუდი მო-იხადა, რომ ლოცვას შედგომოდა. ამ დროს მოულოდნელად კარი გაიღო და ოთახში ის კაპუცინი შემოვიდა, წუხელ რომ ვნახე. ამჯერად სიგი-

ქის კვალიც აღარ ემჩნეოდა, ოღონდ აღრენილი და გააღმასებული ჩანდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მაღალღირსეულო ბატონო! — მიეგება მოსულს მეტყევე, — ჯერ სუფრა დაგვიწყობ, მერე კი პური ერთად გავტუნოთ.

მღვდელმა მრისხანედ ანთებული თვალეზი იქაურობას მოავლო და შემადრწუნებელი ხმით იღრიალა:

— ეშმაკმა წაგილოს მაგ შენი მაღალღირსეული ბატონითა და შეჩვენებული ლოცვებით! ხომ შემომიტყუე, რომ მეცამეტე წევრად სუფრასთან დაგესვი, გინდა უცხო კაცის ხელით სიცოცხლეს გამომასალმო? განა შენ არ გამახვიე ამ ანაფორაში, რათა არვის ვეცანი მე გრაფი — შენი ბატონი და მბრძანებელი? მაგრამ გაფრთხილდი, წყეულო! ჩემი რისხვა თავს დაგატყდება!

ეს თქვა მღვდელმა, ხელი დაავლო მაგიდაზე დადგმულ მძიმე დოქს და ესროლა მოხუცს, რომელმაც მარჯვედ აიცდინა დოქი, თორემ უთუოდ გაუჩხავდა თავს, დოქი მოხვდა კედელს და დაიმსხვრა. მონადირე ბიჭებმა წამსვე სტაცეს ხელი გამძვინვარებულ მღვდელს.

— ო შე ღვთისმგმობელო გარეწარო! — იჭექა მეტყევემ, — ეს რა მყრალი სიტყვებითა და აზრებით უმასპინძლები ამ ღვთისნიერ კაცს, ან იმას როგორ ბედავ, ჩემზე ხელი აღმართო? მე ხომ ცხოველური ყოფისაგან გიხსენ, ადამიანური სახე დაგიბრუნე და მარადიული შეჩვენება აგარიდე! მაშ კარგი, წაეთრიე ციხეში!

ამის გაგონებაზე მღვდელი მუხლებზე დაეცა და ღრიალი მორთო, შემიწყალეო.

— ახლავე წაათრიეთ სატუსალოში! იქიდან ველარც გამოხვალ, შენი დღე და მოსწრება საპყრობილეში გამყოფებ! ამიერიდან მზის სინათლეს ველარ იხილავ, ან არადა, სიცოცხლეს მოგისწრაფებ!

მღვდელი დასაკლავი ხარივით აღრიალდა, მაგრამ ეგერებმა ხელი დასტაცეს და სასწრაფოდ გააცალეს იქაურობას. უკან მობრუნებისას თქვეს, როგორც კი საკანში შევაგდეთ, მაშინვე დამშვიდდამო. ქრისტიანი კი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მისი მეთვალყურეობა, თავის მხრივ ჰყვებოდა, წინა ღამით სულ დერეფნებში დაბორიალობდა, გათენებისას კი რაც ძალი და ღონე ჰქონდა ღრიალებდამო: „კიდევ დამალევინე მაგ შენი ღვინო, თავს შემოგეველები, ოღონდ ღვინო დამალევინე! ღვინო, ღვინო მინდა!“, ქრისტიანს შეუმჩნევია, რომ მღვდელი მთვრალივით ბარბაცებდა, ოღონდ ვერაფრით გაეგო, სად იშოვა სასამელი.

დიდხანს აღარც დამიყოვნებია, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ვუამბე მასპინძლებს, რაც წინა ღამით თავს გადამხდა. არც იმის თქმა დამვიწყებია, როგორ გამოსცალა მღვდელმა ბოლომდე ჩემი ღვინიანი მოწნული მათარა.

— კიდევ კარგი, რომ მშვიდობიანად დააღწიეთ თავი, — მითხრა მეტყევემ, — თქვენ, ჩემო კარგო, გეტყობათ, მამაცი და ღვთისმოშიში კაცი ბრძანდებით, თორემ სხვას თქვენს ადგილზე შიშით გული გაუსკდებოდა.

მეტყევებს ვთხოვე ეამბნა, საიდან გაჩნდა მის სახლში ეს შეშლილი მღვდელი.

— გრძელი ამბავია და ახლა პურის ჭამისას ამის დრო და ადგილი არ არის. ისიც კმარა, რომ ამ გარეწარმა და თახსირმა ხელი შეგვიშალა, მშვიდად და გემრიელად გაგვეტეხა ღვთისაგან ბოძებულმა მარცხი კი დროა მაგიდას მივუსხდეთ!

ეს თქვა და ქუდი მოიხადა, ღმერთს მადლობა შესწირა და კრძალვითა და მოწიწებით წარმოთქვა სამადლობელი ლოცვა, რომელსაც ჭამის წინ იტყვიან ხოლმე. მერე კი სამხიარულო და შემაქცევარი ამბების მბობაში სულ ერთიანად დავნთქეთ და დავანელეთ მაგიდაზე დახვავებული გემრიელი და ყუათიანი სოფლური სასმელ-საჭმელი. სტუმრის საპატივცემულოდ მოხუცმა საგანგებო შემთხვევისათვის გადანახული კარგი ღვინო გამოიტანა და პატრიარქალური ჩვეულების თანახმად მშაჟნიერი ბაგალი ამივსო. სადილობის შემდეგ სუფრა ააღიგის და ეგრემა კედელზე ჩამოკიდებული მონადირის საყვირები ჩამოხსნა. საყვირებს ჩაჰბერეს და მხიარული მონადირული სიმღერები დააგუგუნეს. სიმღერებს ხმა ააყოლეს მეტყევის ასულებმაც. ვაჟები კი გუნდთან ერთად იმეორებდნენ სიმღერის ბოლო სტრიქონებს. საოცარი შვება ვიგრძენი. კარგა ხანია, ასე არ გამიხარია. ამ უბრალო, ღვთისმორწმუნე ადამიანთა შორის ყოფნამ სიცოცხლის ხალისით ამავსო. ყმაწვილებმა კვლავ იმღერეს ერთი-ორი ტკბილხმოვანი და საამოდ მოსასმენი სიმღერა. მერე მოხუცი ფეხზე წამოდგა და ასეთი სადღეგრძელო წარმოთქვა:

— ეს გაუმარჯოს ყველა კაცურ კაცს, ვინც პატივს მიაგებს ნადირობის სასიკეთო და კეთილშობილურ საქმეს.

ეს თქვა და სასმისი ბოლომდე გამოსცალა. ჩვენც მის კვალზედ დიდის აღტყინებით დავლიეთ ნადირობის სადღეგრძელო და ეს ჩემდა პატივსაცემად გამართული ღვინითა და სიმღერებით დამშვენებული საღამოც დასრულდა.

სადილობის შემდეგ მეტყევებ მითხრა:

— ახლა, ჩემო ბატონო, ცოტა ხანს თვალს მოვატყუებ, მერე კი ტყეში წავიდეთ და იქ გიამბობთ, როგორ მოხვდა ეს მღვდელი ჩემს სახლში და საერთოდ, ყველაფერს გეტყვით, რაც კი მის შესახებ ვიცი. მერე კი, როცა ტყეში ბინდი ჩამოწვება, გარეულ ფრინველს დავუდარაჯდეთ, ფრანცი ამბობს, რომ ამალამ ტყის ქათმები მოფრინდებიანო. თქვენც მოგცემთ თოფს და სცადეთ ბედი.

ნადირობა ჩემთვის სრულიად ახალი ხილი იყო. ადრე როცა სემინარიის მოწაფე ვიყავი, ზოგჯერ დისკოზე კი მისვრია, მაგრამ ნადირისათვის ჩემს სიცოცხლეში თოფი არ დამიმიზნებია. ამიტომ მეტყევის შემოთავაზება ხალისით მივიღე და ამ თანხმობით დიდადაც ვაამე. ვიდრე დასაძინებლად წავიდოდა, კეთილი მოხუცი გულით შეეცადა სახელდახელოდ ესწავლებინა ჩემთვის ანბანი სროლის ხელოვნებისა.

თოფი მხარზე გადავიკიდე, სანადირო ჩანთა ზურგზე მოვიგდე და მეტყევესთან ერთად ტყისაკენ მიმავალ გზას დავადექი. ტყეში შევედით თუ არა, მეტყევემ ასე მიაამბო უცნაურს მღვდელზე:

— წლეულს შემოდგომაზე ორი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ჩემმა მონადირე ბიჭებმა ტყეში რამდენჯერმე გაიგონეს საშინელი ღმუილი, რომელიც ადამიანის ხმას ოდნავადაც არ ჰგავდა, თუმცა ჩემი ახალი შეგირდი — ფრანცი მარწმუნებდა, ნამდვილად ადამიანის ხმა-აო. ეს ღრიალი თითქოს ფრანცს დასდევდა მაინცდაშინებდა, როგორც კი ფრანცი ნადირს დაუდარაჯდებოდა, ღრიალი სულ უფრო ახლოდან ესმოდა, ნადირს უფროთხოვდა. ერთხელ ის იყო ფრანცმა ნადირს დაუმიზნა, რომ ბუჩქებიდან გამოხტა უცნაურად გაბანჯგვლული არსება. ფრანცს თავი ჰქონდა გამოტენილი ათასნაირი ლეგენდებით მაქციებსა და მოჩვენებებზე, რაიც ხშირად უამბნია მისთვის მამას, ძველ მონადირეს. პოდა, ფრანცმაც ეს ბანჯგვლიანი არსება სატანად მიიღო, ვისაც მიზნად დაესახა ნადირობისას ხელი შეეშალა მისთვის ან სულაც ჯადო-გრძნების შეშვეობით გადაებირებინა. ფრანცის შეხედულებას ჩემი ვაჟიშვილებიც იზიარებდნენ, ამას ასევე ფიქრობდნენ დანარჩენი ეგერებიც, რომლებიც არაერთხელ წაწყდომიან ტყეში ამ უცნაურ საფრთხობელას. პირადად მე არასოდეს მჯეროდა, რომ ეს ბანჯგვლიანი არსება მითოლოგიური გმირი ყოფილიყო და მიხდოდა როგორც ჯერ არს, ისე გამოქრკვია სინამდვილე. ეჭვი მეპარებოდა, რომ ეს ყველაფერი ბრაკონიერების მიერ ჩემი ეგერების დასაფრთხობად მოგონილი ეშმაკური ფანდი ხომ არ არის-მეთქი. ამიტომაც ჩემს ვაჟიშვილებსა და მონადირე ბიჭებს ვუბრძანე, როგორც კი მოჩვენება კვლავ გამოჩნდებოდა, თავისკენ მოეხმოთ, ხოლო თუკი არ გაჩერდებოდა და არ იტყოდა თავის ვინაობას, მაშინ სამონადირეო უფლება-კანონთა ძალით დაუყოვნებლივ უნდა ესროლათ მისთვის. მალე ეს იდუმალი არსება პირველად კვლავ ფრანცმა იხილა. ეს მოხდა საღამო ხანს, როცა ყმაწვილი ნადირს უდარაჯებდა. ის იყო ფრანცმა ნადირი მიზანში ამოიღო, რომ კვლავ ის უცნაური არსება გამოეხმაურა. ფრანცმა თოფი მოიძარჯვა და მოჩვენებას შეუძახა, მაგრამ იგი ბუჩქებში მიიშალა. ფრანცმა ჩახმახი დასხლიტა, მაგრამ თოფი არ გავარდა. იგი იქვე მოშორებით მდგარ სხვა მონადირეებთან ერთად შეშინებული მოშორდა იქაურობას. საწყალი ფრანცი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ შეეყარა სატანას, რომელიც ჯიუტად უფრთხოვდა ნადირს და ჯადოს უკეთებდა მის თოფს. და საერთოდ მას შემდეგ, რაც ეს საფრთხობელა შეხვდა, ნადირს ტყვია ვერც ერთხელ ვერ მოახვედრა. ხმა გავრცელდა, რომ ტყეში უწმინდურმა ძალამ დაიბუდაო. მეზობელ სოფელში უკვე სერიოზულად ლაპარაკობდნენ იმაზე, როგორ გადაეყარა გზაში ფრანცს სატანა, რომელმაც ტყვიებით სავსე ტომარა შესთავაზა, ტყვიები კი მიზანს უეჭველად ახვედრებდა, აგრეთვე ათასი სხვა სისულელეც ითქვა. მოთმინების ფიალა ამევესო და მტკიცედ განვიზრახე ბოლო მომეღო ამ გიჟური მითქმა-მოთქმისათვის. მიზნად დავისახე უსათუოდ მომეძებნა ის არსება, რომელიც აქამდე თვალით არასოდეს არ მენახა. რაკილა კარგად ვიცნობდი იმ ადგილებს, სადაც იგი უმთავრესად ბინადრობდა, დარწმუნებული ვიყავი, ადრე თუ გვიან უსათუოდ ვიპოვნიდი და პირისპირ შევხვდებოდი. ეს შეხვედრა კარგა ხნის განმავლობაში არ მომხდარა. ბოლოს კი ერთ ნისლიან ნოემბრის საღამოს ვეწიე საწაღელს სწორედ იმ მიდამოებში, სადაც იგი პირველად ფრანცმა იხილა. ჩემს შორიახლო რაღაცამ გაიშლიგინა. მეგონა, ნადირი-

იყო და თოფი დავუმიზნე, მაგრამ რას ვხედავ, ბუჩქებიდან გამოვარდა მხეცის სადარი საშინელი შესახედაობის კაცი, რომელიც ჩასისხლიანე-ბულ თვალებს საზარლად აბრიალებდა, კუპრივით შავი თმა აბურძგ-ნოდა, ტანზე კი შემოფლეთილი ძონძები ეკიდა. ურჩხული გაქვავებული თვალებით მომშტერებოდა, თან შემადრწუნებელ ხმაზე ურჩხულებდა. ჰო, ჩემო ბატონო, ეს იყო რალაც უსაშინლესი მზერა, შიშით რომსაც უღეს გავიხეთქავდა. აშკარად სატანა მომელანდა, იგი თვალწინ მედგა. ცხა-დად ვიგრძენი, როგორ დამასხა შიშისაგან სიმწრის ოფლმა. მაგრამ ლოცვა წამოვიწყე და ამან ძალა და მხნეობა შემმატა. ლოცვისას იესო ქრისტეს სახელს წარმოვთქვამდი, საფრთხობელა კი უფრო და უფრო უმატებდა ღმუილს. ბოლოს კი საშინელი ღვთისმგმობელი წყევლა-კრუ-ლვა აღმოსკდა მყრალი პირიდან.

მე შევუყვირე:

— ვირო და თახსირო, ხმა ჩაიწყვიტე და მაგ შენი ღვთისმგმობე-ლი აბდაუბდა არ გამაგონო, გირჩევნია, დამნებდე, თორემ ტყვიას გხე-თქავ შუბლში.

იგი ზღუქუნით დაეცა მიწაზე და, შემიწყალეო, შემევედრა. ამ დროს ჩემი ბიჭებიც მოვარდნენ, საფრთხობელა შეიპყრეს და წამოიყვანეს. საპატრიარქოში ჩასვით-მეთქი, ვუბრძანე ბიჭებს, საპატრიარქო ჩვენს სახ-ლთან ახლო მდებარე შენობაში იყო მოთავსებული. მეორე დღით მი-ნდოდა ეს ამბავი აქაურ ხელისუფალთათვის მეცნობებინა.

როცა საპატრიარქოში შევედი, იგი გულშეღონებული ეგდო. მეორე დღით რომ მოვინახულე, ჩემს მიერ წინასწარ მომზადებულ ჩალის სა-წოლზე იწვა და მწარედ ტიროდა. ფეხებში ჩამივარდა, შეწყალებას მთხოვდა. მერე მიამბო თავისი ამბავი, მითხრა, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში ტის ბინადარი იყო და მხოლოდ ბალახბულახით და ხე-ხილით იკვებებოდა. იმ უბედურმა, კაპუცინი ვარო, მითხრა, მონასტ-რის ციხეში სიგიჟის გამო დამამწყვდიესო. მერე ციხიდან გამოქცეულა და ეს რამდენიმე კვირაა ტყეში ნადირივით დაძრწის, საწყალი იმ დღე-ში იყო ჩავარდნილი და თავს ისე საცოდავად და უმწეოდ გრძნობდა, რომ მეტად შემეცოდა. ამიტომ ვუბრძანე კარგად გამოეკვებათ, სას-მელ-საჭმელი არ დაეკლოთ, ჭიქა ღვინოც კი მიეცათ, რომ ჯანზე მოსუ-ლიყო. კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად მალე მოკეთდა, მოლონიერ-და. მერე დაჟინებით მთხოვა ახალი ანაფორა მიმოვწე და ერთი-ორი დღე კიდევ გამაჩერე, მერე კი თვითონ მივბრუნდები მონასტერშიო. თხოვნა შევუსრულე და სიგიჟემაც საგრძნობლად გაუარა. პაროქსიზ-მები ნაკლებ მძვინვარე და იშვიათი ჰქონდა, მაგრამ როგორც კი გაშმა-გება შემოუტეგდა, რალაც შემადრწუნებელ ლანძღვა-გინებას ამოუშვებ-და პირიდან, ოღონდ თუ მაგრად შევუყვირებდი და სიკვდილით დავე-მუქრებოდი, მისი გამძვინვარება უმაღ უგუნებობით და გულდამძიმე-ბით იცვლებოდა, საკუთარი ხორცის გვემას იწყებდა, ღმერთსა და წმი-ნდანებს მოუხმობდა, ამ ჯოჯოხეთური წამებისაგან დახსნას ევედრე-ბოდა. ამ დროს თავს წმინდა ანტონიუსად რაცხდა, ხოლო სიცოფე რომ შემოუტეგდა, მამულის მფლობელი გრაფი ვარო, აცხადებდა, თანაც გვემუქრებოდა, ჩემი მსახურები რომ მოვლენ, მაშინ ნახავთ თქვენს თვალის სეირს, ყველას მაგრად მოგხვდებათ, ყველას სიკვდილით დასჯა



გელითო, დროდადრო კი, როცა გონება გაუნათლებოდა, ის საცოდავი მევედრებოდა, ღვთის გულისათვის აქედან ნუ გამაძევებთ, მხოლოდ მაშინ განვიკურნები, თუ შენთან მამყოფებ და არ გამავდებო. ამ ბოლო ხანებში მართო ერთადერთხელ ჰქონდა ძლიერი გაშმაგება, სახელდობრ მაშინ, როცა აქაურ ტყეში საგრაფოს ჰერცოგმა სანადიროდ ჩამოიარა და ღამე ჩვენს სახლში გაათია. ჰერცოგი და მისი ბრწყინვალე ამაღა რომ დაინახა, მღვდელი სულ მთლად შეიცვალა, პირქუში და მიუკარები გახდა. როცა ლოცვას ვიწყებდი, იქაურობას გაეცლებოდა, საკმარისი იყო თუნდაც ერთი ღვთისმოსავი სიტყვა გაეგონა და მთელი სხეული უკანკალებდა. ჩემს ასულს — ანას ისე ავხორცულად უცქერდა, ძალიან შემეშინდა უმსგავსობა არ ჩაედინა და ამიტომ გადავწყვიტე კოშკში ჩამემწყვდია. ვიდრე ჩემს განზრახვას შევასრულებდი, წინა ღამით საშინელმა ყვირილმა გამაღვიძა, რომელიც დერეფანში ატყდა. საწოლიდან წამოვვარდი, გარეთ გავვარდი და ანთებული სანთლით ხელში გავქანდი ოთახისაკენ, სადაც ჩემს ასულებს ეძინათ. მღვდელს რაღაც მანქანებით გამოელწია კოშკიდან, სადაც ღამლამობით ვამწყვდევდი სოლმე. ცხოველური ჟინით შეპყრობილი გაქანებულა ჩემი ქალიშვილების ოთახისაკენ, რომლის კარი წიხლის კვრით შეუმტვრევია. საბედნიეროდ ღამით ფრანცს წყალი მოსწყურებია და სამზარეულოში შესულა წყლის დასაღევად. ოთახიდან გამოსულს დაუნახავს, როგორ დაბრაახუნებდა მღვდელი დერეფნებში და საიდუმლო კარით შემოთკენ მიიპარებოდა. ფრანცი გაკიდებია შეშლილს და ხელი უტაცნია სწორედ იმ მომენტში, როცა იმას ოთახის კარი ის-ის იყო შეუმტვრევია. ფრანცს გაჭირვებია გააფთრებულის ჭკუაზე მოყვანა. კარებში მათ შორის სასტიკი ორთაბრძოლა გამართულა. ხმაურზე თურმე ჩემმა გოგონებმაც გაიღვიძეს და საშინელი კივილი ასტეხეს. მეც იმ დროს შემოვუსწარი, როცა შეშლილმა ფრანცი ძირს დაანარცხა და ყელში სწვდა წასახრჩობად. გაშმაგებით ჩავაფრინდი მღვდელს და ხელიდან გამოვგლიჯე ფრანცი, მაგრამ მოულოდნელად, არ ვიცი, საიდან, მღვდლის ხელში დანამ იელვა და ის იყო ჩემთვის უნდა მოექნია და გულში ჩაესო, რომ ამ დროს ფრანცი გონს მოეგო და გიჟს მკლავში ჩააფრინდა. ღვთის წყალობით ძალ-ღონის ნაკლებობას არ ვუჩიოდი და ისე მაგრად მივაჭეჭყე კედელს, რომ საწყალს ღამის სული გავაფრთხობინე. ამდენ მიწევ-მოწევასა და აყალმაყალში ბიჭებმაც გაიღვიძეს და წამომემველნენ. მერე ყველამ ერთობლივი ძალით გავთოკეთ მღვდელი და კვლავ საპატიმროს საკანში შევაგდეთ. მღვდელი საკანში ვინახულე, თან მონადირის მათრახიც წამოვიღე და რომ ასეთი უმსგავსოება სხვა დროსაც არ გაემეორებინა, ერთი ორჯერ ისე მაგრად გადავუჭირე, საცოდავმა კვნესა-გმინვა და ზღუქუნი მორთო, მე კი ვუყვიროდი:

— აი, შე თახსირო და არამზადავ! ეს კიდევ ცოტაა იმ სისაძაგლეებისათვის, რაც შენ ჩაიდინე, ჩემი ასულის წაბილწვა და ჩემი მოკვლა რომ გინდოდა. ძალღვივით უნდა წამეხრჩვე და ეს იქნებოდა მადლი. ამასაც ვიზამ ადრე და მალე!

მღვდელს ელდა ეცა, მუქარამ ძრწოლა მოჰგვარა, ღრიალი მორთო, სიკვდილის შიშმა ღამის მთლად მოულო ბოლო. მეორე დღეს მისი წაყვანა შეუძლებელი გახდა. იგი მკვდარივით ეგდო საწოლზე, სიცოცხ-

ლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. შემეცოდა კიდევ და უფრო ნორ-  
მალურ ოთახში გადავაყვანინე და წესიერ საწოლში ჩავაწვინეთ. ჩემი  
დედაბერი უვლიდა, ბულიონს უხარშავდა, სამკურნალო ბალახებით წა-  
მლობდა, რაც კი საოჯახო აფთიაქში მოეძებნებოდა. ჩემს ცოლს ერთი  
ღვთისნიერი ჩვეულება ჰქონდა, როცა მარტო რჩებოდა, საღმრთო სიმ-  
ღერებს მღეროდა ხოლმე და თუკი ჩემი ანაც აპყვებოდა თანავისრულ-  
ლა ხმით, მთლად უკეთესი, გული სიხარულით ევსებოდა. ასე მოხდა სწე-  
ულის საწოლთანაც. ორივე დედა-შვილი ამღერდა. ნაღველშემოწოლი-  
ლი ავადმყოფი ხან ჩემს დედაბერს შეაცქერდებოდა, ხან კიდევ ანას.  
ლოყებზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, ერთხანს შეეცადა ხელი  
და თითები აემოძრავებინა, თითქოს პირჯვრის გადასახვა უნდოდა, მა-  
გრამ ვერ მოახერხა და უღონოდ ძირს ჩამოუვარდა. ზოგჯერ მკერდი-  
დან წყნარი ბგერები აღმოხდებოდა, თითქოს სიმღერაზე ხმის აყოლება  
უნდოდა. ბოლოს საგრძნობლად იწყო გამოკეთება. კათოლიკე მღვდლე-  
ბის მსგავსად პირჯვრის გადასახვასაც მოუხშირა და ჩურჩულით კი-  
თხულობდა ლოცვებს. ერთხელ სრულიად მოულოდნელად წმინდა ჰიმ-  
ნების სიმღერებს მოჰყვა ლათინურად. ჩემი ცოლი და ქალიშვილი ლა-  
თინურის ბაიბურში არ იყვნენ, მაგრამ მის მიერ ნამღერი ჰიმნების  
ღვთაებრივმა მელოდიებმა ორივე სულის სიღრმემდე შესძრა და სიტყ-  
ვებით ვერც გამოთქვამდნენ, რა სიხარული მოჰგვარა მათ ავადმყოფის  
სიმღერებმა. იგი ისე მომჯობინდა, უკვე საწოლიდან წამოდგომა შეეძ-  
ლო. ოთახში დაღასლასებდა. მაგრამ გარეგნული იერით და სულით  
მთლიანად შეიცვალა, გადასხვაფერდა. თუ წინათ თვალეში ბოროტი  
ცეცხლი უციმციმებდა, ახლა დამყოლი და თვინიერი გახდა. წყნარად და  
მოკრძალებით დადიოდა, სულიერი მამების წესისამებრ გულზე ხელები  
დაეკრიფა და შეშლილობის ნასახიც აღარ ეტყობოდა. მხოლოდ პურიით,  
წყლით და ხილით იკვებებოდა. ზოგჯერ იშვიათად იმასაც ვახერხებდი,  
მაგიდასთან დამესვა და ერთად გვესადილა, ცოტა ღვინოც დაელია. ასეთ  
შემთხვევაში ჭამის წინ მუდამ სამადლობელ ლოცვას იტყოდა, სუფრა-  
ზე ცოცხალი და მახვილგონივრული საუბრებით გვატკბობდა. ხშირად  
მარტო-მარტო ტყეშიც დასეირნობდა. ერთი ასეთი სეირნობის დროს  
ანაზღად გზაზე გადავეყარე და სრულიად დაუფიქრებლად წამომცდა,  
როდის აპირებ იმ შენს მონასტერში მიბრუნებას-მეთქი. ჩემმა შეკი-  
თხვამ გული მოუკლა და ააღელვა, მერე ხელი ჩამავლო და მითხრა:

— ჩემო მეგობარო, შენ განკურნე ჩემი სული და ამისათვის დი-  
დად გმადლობ. შენ გადამარჩინე სამუდამო დასამარებას. ამიტომაც ვერ  
მოგშორდები. უმორჩილესად გთხოვ, კვლავ შენთან მამყოფო. გთხოვ  
შემიბრალო. ჩემზე უბედურ კაცს ქვეყნად ვერ ნახავ, მე ხომ სატანამ  
მაცდუნა, თავგზა ამიბნია, თავის ნება-სურვილზე მატარა და მონად გა-  
მიხადა. სულსაც კი გავაფრთხობდი, რაღაც სასწაულით ამ ტყეში წმინ-  
და ანტონიუსი რომ არ მომვლენოდა ჩემი შეშლილობის უამს, როდესაც  
ყველაზე მძიმე ხანა იდგა ჩემი ცხოვრების.

მღვდელი ცოტა ხანს დადუმდა, მერე კი განაგრძო.

— თქვენ აქ სრულიად გადაგვარებული და სახედაკარგული მიხი-  
ლეთ და ალბათ წარმოდგენაც გაგიჭირდებათ, რომ ოდესმე ბუნებისაგან  
ნიჭით უხვად დაჯილდოვებული ჭაბუკი ვიყავ, რომელიც მონასტერში

მიიყვანა მარტოობისა და ღრმააზროვანი შტუდიებისაკენ მეოცნებურ-  
 მა მიდრეკილებამ. მღვდელთა საძმოს გამორჩევით ვუყვარდე და ვცხო-  
 ვრობდი ჩემთვის ხალისიანად, როგორადაც შეიძლებოდა მეცხოვრა სა-  
 მონასტრო ყოფაში. სხვა ძმებისაგან გამოვიჩივდი ღვთისმოყვარე ბუ-  
 ნებითა და სანიმუშო ქცევით, ამიტომაც ჩემში მომხატვრულ წინამძღვარს  
 ჭვრეტდნენ. ერთხელ ერთი ძმათაგანი შორეული მოგზავრობიდან დაბ-  
 რუნდა და მონასტერში გზაში ნაპოვნი მრავალგვარი რელიქვია მოიტა-  
 ნა. მათ შორის იყო ერთი თავდაცობილი ბოთლი, რომელიც წმინდა ან-  
 ტონიუსს თითქოს ეშმაკისათვის წაურთმევია. ეშმაკს თურმე ამ ბოთლ-  
 ში საიდუმლო და კაცთა დამლუპველი ელექსირი ჰქონდა ჩასხმული და  
 მითი აპირებდა ადამიანთა ცდუნებას. ისე მოხდა, რომ ეს რელიქვიაც  
 გულმოდგინედ შეინახეს საეკლესიო საცავში, თუმცა, ისევ ჩემის მხრივ,  
 უხამსობად და მკრეხელობად მიმაჩნდა სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად  
 მისი ყოფნა. მაგრამ ენით აუწერელმა ჟინმა შემიპყრო, გამომერკვია,  
 რას წარმოადგენდა ბოთლში ჩასხმული სასმელი, როგორადაც მოვახერ-  
 ხე და ბოთლი საეკლესიო საღაროდან გამოვიტანე, საცობი მოვაძრე და  
 თავალის დახამსამებაში ისე გადავკარი, რომ შივ წვეთიც არ ჩამიტოვე-  
 ბია. რა მოხდა ამის შემდეგ, სიტყვებით არ გამოითქმება, ჩემი სული  
 ძირფესვიან გადასხვადგა, მიწიურ სიამეთა შეტკბობის დაუძლევე-  
 ლი სურვილი გამიჩნდა, მანკიერება მომხიბვლელი სახით გამომეცხადა,  
 უმაღლეს ცხოვრებისეულ ნეტარებად მომეველინა, ვითარცა ცხოვრე-  
 ბის უზენაესი მწვერვალი, მოკლედ რომ ვთქვა, ჩემი ყოფა იქცა სამა-  
 რცხვინო დანაშაულებათა გრძელ წყებად და თუმცა ეშმაკეული ფან-  
 დებით ვფარავდი ჩემს ბოროტნეულ ზრახვებს, წინამძღვარმა მაინც  
 გამოიცნო ისინი და მუდმივი პატიმრობა მომისაჯა.

როცა რამდენიმე კვირა ბნელ, ნესტიან დახშულ საკანში დავყავი,  
 დავწყვიდე საკუთარი თავი და ყოფა, არ ვინდობდი არც ღმერთსა და  
 არც წმინდანებს და ეს მაშინ მოხდა, როცა ბრიალა მეწამულისფერ სი-  
 ნათლეში გამომეცხადა სატანა და მითხრა, რომ მიხსნიდა, თუ ზენაარ  
 ძალას ზურგს ვაქცევდი და მისი მსახური გავხდებოდი.

კვნესით მუხლებზე დავეცი მის წინაშე და აღმომხდა: „მე არ ვმსა-  
 ხურებ ღმერთს და არც მიფიქრია მისი მსახურება. მხოლოდ შენა ხარ  
 ჩემი მეუღლე და შენგან მოვლენილი ცეცხლი მანიჭებს სიცოცხლის ხა-  
 ლისს“. სწორედ იმ წუთში თითქოს ძლიერმა ქარიშხალმა დაუბერა და  
 თითქოს მიწაც იძრაო. ისე შეზანზარდა მონასტრის ციხის კედლები.  
 საკანში გამთვარე ხმა გაისმა, ფანჯრის რკინის გისოსები მოირღვა  
 და უხილავმა ძალამ მონასტრის ეზოში გამტყორცნა. ღრუბლებიდან  
 მთვარის მკვეთრი შუქი გამოკრთა და წმინდა ანტონიუსის ქანდაკებას  
 დაეცა, რომელიც ეკლესიის შუა ეზოში იდგა შადრევნის წინ. გა-  
 მოუთქმელმა ძრწოლამ შემიპყრო. წმინდანის წინაშე პირქვე და-  
 ვემხე, ჭმუნვითა და შენანიებით სატანას განვუდექი და ლოცვით  
 შეწყალებას ვევედრებოდი. სწორედ ამ წუთს ზეცა შავი ღრუბლე-  
 ბით დაიფარა, გრივალნი კვლავ ამოვარდა, აბობოქრდა, გრგვი-  
 ნვით თავზე გადამიარა. ეონი დავკარგე და კვლავ ტყეში აღმოვჩნდი.  
 შიმშილისაგან და სასოწარკვეთისაგან გაგიჟებული ტყე-ტყე დავძრწო-  
 დი. თქვენ კი ამ საშინელი და შეჭირვებული ყოფისაგან მიხსენით, გა-  
 დამარჩინეთ.

ასე მიაშბო მღვდელმა თავისი თავგადასავალი. მისმა ნაამბობმა შე-  
მძრა, გამაოგნა. იმხომ ღრმა იყო გაგონილით გამოწვეული შთაბეჭდი-  
ლება, კიდევ რომ მრავალი წელი გავიდეს, მაინც შევძლებ სიტყვა-სი-  
ტყვიტ გაფიქვრო მისგან თქმული ეს დაუჯერებელი ამბავი. დროთა  
განმავლობაში მღვდელი ისე ღვთისმოსავი და ღმობიერი გახდა, ვე-  
ლამ ერთბაშად შევიყვარეთ იგი. ამიტომაც ჩემთვის გაუგებარი  
რატომ შემოუტია ხელახლა სიგიჟემ.

ბიზლიჩიშვილი

მეტყვევს სიტყვა შევაწყვეტინე და ვკითხვ:

— ხომ არ იცით, კაპუცინთა რომელი მონასტრიდან იყო ის უბე-  
დური წამოსული?

— არაფერი უთქვამს და არც მე ჩამითვლია საჭიროდ მეკითხა ამა-  
ზე, მით უფრო იმითომაც, თითქოს ვიცი, ვინც არის, აი ის ბედკრული  
კაცი, რომელზედაც ამას წინათ ლაპარაკობდნენ სასახლეში, მე კი, ჩე-  
მდა თავად, ეჭვიც არ მეპარება, რომ იგი აქვე მეზობელი რეზიდენციი-  
დანაა, მაგრამ იმ საწყლის ინტერესებიდან გამომდინარე არ მინდა სა-  
ამკარაოზე გამომეტანა ჩემი ვარაუდი მისი პიროვნების შესახებ.

— იქნებ ეს ვარაუდი პირადად გამანდოთ. მე აქაური კაცი არა ვარ  
და ჩემის მხრივ მტკიცედ აღვითქვამთ, რომ საიდუმლოს არსად ვიტყ-  
ვი, ნამუსიანად შევინახავ.

— იცით რა, — განაგრძო მეტყვევებ, — ალბათ გსმენიათ, რომ ჩვე-  
ნი ჰერცოგის მეუღლე ბ.-ს ქალთა კარტეზიანული მონასტრის წინამძღ-  
ვარი ქალის დაა. სწორედ მან აიყვანა და აღზარდა ვაჟიშვილი ერთი ბე-  
დუკულმართი ქალისა, რომლის ქმარს — მამას ამ ბიჭისა, ჩვენს სასა-  
ხლესთან საიდუმლო კავშირი ჰქონდა. ბიჭმა კაპუცინობა მოისურვა და  
თავისი ბრწყინვალე ქადაგებებით სახელი და აღიარება მოიპოვა. აბა-  
ტისა ხშირად წერდა დას თავისი აღზრდილის შესახებ, ამ ბოლო დროს  
კი ღრმა მწუხარებით აუწყა მისი დაღუპვის ამბავი. ამბობენ, მძიმე  
ცოდვა ჩაიდინა, ბოროტად გამოიყენა სამონასტრო რელი-  
ქვია და ამის გამო განიდევნა მონასტრიდან, რომლის მშვე-  
ნება და სიამაყეც იყო კარგა ხნის მანძილზე, როგორც  
ღვთისმსახურიო. ყოველივე ამის შესახებ ამ ცოტა ხნის წინ გავიგე, რო-  
ცა სრულიად შემთხვევით საჰერცოგოს ლაიბმედიკოსსა და სასახლის  
რომელიღაც ბატონს შორის საუბარს შევესწარი. ამ საუბრის დროს  
მოიხსენიეს აგრეთვე ჩემთვის გაუგებარი რაღაც უცნაური გარემოებე-  
ბიც და რაკი ეს ამბავი დაწვრილებით არ ვიცი, ამიტომ ამაზე სრულიად  
ბუნდოვანი წარმოდგენაც დამრჩა. მღვდელმა კი მონასტრის ციხიდან  
თავისი განთავისუფლების შესახებ სულ სხვაგვარად მიაშბო და ყველა-  
ფერი სატანას გადააბრალა. მე კი მაინც მგონია, რომ მღვდელი ილუ-  
ზიით იტყუებს თავს, რაც სიგიჟის რეციდივია. ჩემი ფიქრით, ეს მღვდე-  
ლი არის კაპუცინი ბერი მედარდუსი, რომელიც ეკლესიის მსახურად  
აღზარდა ჩვენი ჰერცოგის ცოლის დამ, იგი ეშმაკმა აცთუნა და უამრა-  
ვი ცოდვა ჩაადენინა, ღვთის სამსჯავრომ კი უსასტიკესად, არაადამიანუ-  
რად დასაჯა.

როცა მეტყვევებ კაპუცინი მედარდუსის სახელი ახსენა, საშინელმა  
კახცასმა ამიტანა. მისმა ნაამბობმა მომაკვდინებელი ლახვარი ჩამცა,

გული გამიგმირა და არნახულად შემადრწუნებელი ტანჯვა მომაყენა. მისი ყოველი სიტყვა ბასრი დანასავით მისერავდა გულს. მე ხომ აშკარად დარწმუნებული ვიყავი, რომ მღვდელმა მართალი თქვა, რადგან მისგან ნაგებმა სწორედ ამ ჯოჯონეთურმა სასმელმა ჩააგდო იგი ამაზრზენ, ღვთის გარეგან, ჭკუა-ვონების დამკარგავ მანკებში. მაგრამ თვითონ ხომ უწმინდური, იდუმალი ძალის სათამაშოდ მივქექტე, მძიმე ხუნდი რომ დამადო ფეხზე და როცა თავისუფალი მეგონა თავი, სწორედ მაშინ უნუგეშოდ ვყოფილვარ გამოკეტილი გალიაში და უთავბოლოდ დავეხეტებოდი ამ ქვეყანაზე. გამახსენდა ღვთისმოსავი კირილუსის კეთილისმდომი დამოძღვრა, რომელიც მაშინ ყურად არ ვიღე, გამახსენდა აგრეთვე გრაფისა და მისი თანმხლები ქარაფშუტა გუვერნიორის გამოჩენა მონასტერში. ახლა უკვე ვიცოდი, საიდან მოვიდა ეს უეცარი აბორგება ჩემი სულისა, რით იყო გამოწვეული ჩემი ფერისცვალება. მე შემრცხვა მკრეხელური ქმედებისა და ეს სირცხვილი ღრმა წუხილად და სინანულად მექცა ახლა, რაიც ჭეშმარიტ აღსარებად უნდა შემეგრძნო. ფიქრებში წავედი და თითქმის აღარც ვუსმენდი მეტყევეს, რომელიც ამჯერად ნადირობაზე მოჰყვა ლაპარაკს, ბრაკონიერებთან თავის შესლა-შემოხლაზე მიაშობდა. ამასობაში შებინდდა კიდევ და ჩვენც ხშირ ბარდებში განვლაგდით, ტყის ქათმების გამოჩენას ველოდებოდით. მეტყევემ ერთი ადგილი მიმიჩინა, აქ იდექო, მითხრა, თან გამაფრთხილა, ხმა გაკმინდე, არც შეინძრე, არც ისუნთქო, თოფი ჩახმახზე შეაყენე და ყურადღებით იყავი, როცა ტყის ქათმები გვერდზე ჩავიფრენენ, სროლისათვის მზად იყავიო. ეგერები ჩუმად გაიკრიფნენ და თავ-თავისი ადგილებზე დადგნენ, მე კისიბნელეში მარტო დავრჩი, სიბნელემ თანდათან იმატა. ამ უსიერ ტყეში ჩემი განვლილი გზა მომაგონდა, აგრეთვე ის ადამიანები, ამ გზაზე რომ შემხვდნენ. ვხედავდი ჩემს დედას, აბატისას. ისინი მკაცრად, საყვედურით მიცქერდნენ. ეფემიაც გამოჩნდა. სახეზე მკვდრისფერი ედო, ჯიქურ გამოემართა ჩემკენ და შავი მზინავი თვალები მომაშტერა, თან მუქარით ასწია გასისხლიანებული ხელები: ო, ეს ის სისხლის წვეთები იყო, ჰერმოგენის სასიკვდილო ჭრილობიდან რომ მოწვეთავდა. მეტის მოთმენა აღარ შემიძლო და უნებლიეთ წამოვიყვირე. ამ დროს რალაცამ თითქოს ფრთები მძლავრად მოიქნია და ბზუილ-ბზუილით თავზე გადამიქროლა. ალაღბედზე ჰაერში ვისროლე და ჩემს ფერხთით ორი ტყის ქათამი დავარდა.

— ბარაქალა! — იყვირა იქვე მდგარმა მონადირე ბიჭმა, ფრინველს დაუმიზნა და ესროლა. ამას მოჰყვა სხვა სროლებიც ყოველი მხრიდან, მალე მონადირეებიც მოგროვდნენ, თითოეული თავის ნადავლს მოატრევედა. ერთი მონადირე ბიჭი ეშმაკური ღიმილით მიყურებდა, სხვა მონადირეებს უამბობდა, როგორ გადამიქროლეს თავზე ტყის ქათმებმა, როგორ დამაფრთხეს და როგორ ვიყვირე შეშინებულმა და თუმცა არც დამიმიზნებია, საეგებიოდ მაინც ვისროლე და უნებურად ტყის ორი ქათამს მოვახვედრე. დიას, სიბნელეში ისიც კი მომეჩვენა, თოფი უკუღმა მეჭირა, მაგრამ მიზანს მაინც მოხვდა და ტყის ორი ქათამი უსულოდ დავარდა ძირს. მეტყევემ ხმამაღლა გაიციხა, ტყის ქათმებისა შეგეშინდა, ხოლო თავდაცვის ინსტინქტმა თოფიც დაგაცლევინაო.

— საერთოდ კი, ბატონო ჩემო, — განაგრძო მან, — იმედი მაქვს, პატიოსანი და ღვთისმოსაშიში მონადირე ბრძანდებით, და არა გაიძვერა,

ვინც სული ეშმაკს მიჰყიდა და მისი შემწეობით აუცდენლად ახვედრებს მიზანს.

მოხუცის მიაპიტურმა ხუმრობამ ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. იმდენად აღელვებული და მძიმე განწყობაზე ვიყავი, რომ ეს წარმატებული სროლაც, რაიც შემთხვევით გამომივიდა, ძნელად მავსებდა. შინაგანი ჭიდილი საკუთარ თავთან კიდევ უფრო გამომსახურდა, ჩემი არსება უფრო და უფრო გაორებული გახდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა, თვითონაც ორჭოფული ვიყავი, ჩემი სული გამანადგურებელი ძალით შეიპყრო შინაგანმა ძრწოლამ.

როცა შინ დავბრუნდი, ქრისტიანმა ვვაუწყა, მღვდელი ციხეში სრულიად მშვიდად იყო, ხმას არ იღებდა, ოღონდ არც ჭამდა, არც სუამდაო.

— აქ დიდხანს ველარ გავაჩერებ, — მითხრა მეტყუევებ, — ვინ იქნება იმის თავდები, რომ კვლავ სიგიჟე არ წამოუვლის? როგორც ჩანს, მისი სნეულება განუკურნელია და ვინ იცის, რა საშინელი უბედურება არ დატრიალდეს ჩემს სახლში. ხვალ დილაადრიან იმას ქრისტიანი და ფრანცი ქალაქს წაიყვანენ. ამის შესახებ კარგა ხანია უკვე ვაუწყე ქალაქის გამგებლობას და იმედი მაქვს დაუყოვნებლივ მოათავსებენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

როცა ოთახში მარტო დავრჩი, ჰერმოგენის აჩრდილი გამომეცხადა. დაჟინებით რომ ჩავაშტერდი, სახე იცვალა და შეშლილი მღვდელი გახდა. ჩემს ცნობიერებაში ეს ორი სახე თითქო ერთმანეთს შეერწყა. განგება თითქოს წინასწარ მაფრთხილებდა, რომ უფსკრულის პირას ვიდექი. უნებლიეთ ხელი დავტაცე მოწნულ მათარებს, იატაკზე რომ ეგდო. მღვდელს იგი მთლად გამოეცალა, შიგ წვეთიც არ ჩაეტოვებინა. ასე რომ, ძალაუნებურად ავცდი ცდუნებას, კვლავ გამესინჯა გემო ჯადოქრული ჯოჯოხეთური სასმელისა. მით უფრო, რომ მათარიდან ჯერაც იფრქვეოდა ძლიერი დამათრობელი სურნელი. მათარა ღია ფანჯარაში გაღავნის იქით გადავისროლე, რათა საბოლოოდ განვრიდებოდი იმ დაწყევლილი ელექსირის მოსალოდნელ შემოქმედებას. ნელ-ნელა სული მოვითქვი. თავს იმით ვინუგეშებდი, რომ სულიერად იმ შეშლილ მღვდელზე მაღლა ვიდექი, რომელიც მსგავსი ელექსირის დაღვევამ ჩემნაირად უაზრო შეშლილობამდე მიიყვანა. ვგრძნობდი, როგორ ამცდა ეს შემაძრწუნებელი ხვედრი. მოხუცმა მეტყუევებ რომ იგი საწყალ მედარდუსად ანუ ჩემს პიროვნებად მიიჩნია, ესეც ღვთის ნებად ჩავთვალე ანუ იმად, რომ განგებას ჯერაც არ უნდა უიმედო გასაჭირში ჩამავდოს და განა ეს სიგიჟე, საცა კი იგი შემეფეთებოდა ცხოვრების გზაზე და როგორც შეეძლო ჩემს სულს დაუფლებოდა, არ მაფრთხილებდა, გავცლოდი ბოროტ ძალას, რომელიც ცხადად, დღისით-მზისით გამომეცხადა, როგორც ეს მაშინ მეგონა, მხატვრის შიშისმომგვრელი აჩრდილის სახით?

რადაც განუსაზღვრელი ძალით მივიწევდი ჰერცოგის რეზიდენციისაკენ. ჩემი სულიერი მოძღვარი ქალის და, როგორაც ახლა ვიხსენებ, ძალიან ჰგავდა ჩემს უძვირფასეს აბატისას, წინათ ხომ ხშირად მენახა მისი პორტრეტი და საკმარისი იყო ჩემს ამჟამინდელ გუნება-განწყობილებაზე მყოფს ერთი შემეხედა ამ პორტრეტისათვის და ამით გაიღ-

ვიძებდნენ მიძინებული მოგონებები და კვლავ დამიბრუნდებოდა განვლილი ღვთისმოსავი უმწიკვლო ცხოვრება, რომელიც ოდესღაც ჰყვოდა ჩემს ირგვლივ. შემთხვევის ნებას მივანდე მის სიახლოვეს მოხვედრა, ჩვენი ერთმანეთთან შეყრა.

ერძინებული

დილით, როგორც კი ინათა, ეზოში მეტყევის ხმამ გაგვირეცა და გამახსენდა, რომ უთენია უნდა გავმგზავრებულიყავ მის უფროს ვაჟიშვილთან ერთად. ფაციფუცით ჩავიცვი და ძირს ჩავუდი. ჭიშკართან იდგა გასამგზავრებლად გამზადებული ეტლი, რომელშიც ჩალის საკარცლული მოეწყოთ. ეტლში სასწრაფოდ შემოაგდეს მღვდელიც, რომელსაც სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა, შეცბუნებული ჩანდა, მაგრამ სიტყვის უთქმელად მოთმინებით იტანდა განსაცდელს, შეკითხვებზე კი პასუხს არ იძლეოდა, საჭმელსაც პირს არ აკარებდა, თითქოს ვერც კი სცნობდა ირგვლივ მყოფებს. იგი ეტლში ჩასვეს და თოკით დააბეს. მისი წაყვანა ერთობ საშიში იყო, რადგან ვინ იცის, რას მოიმოქმედებდა, თუკი შეკავებული სიცოფე მოულოდნელად თავს აიშვებდა, გამძვინვარება შეიპყრობდა. მით უმეტეს რომ ამ წუთშიც ეტყობოდა, ძლივს რომ იკავებდა თავს გააფთრებისაგან. როცა მკლავები საბელით შეუკრეს, სახის კუნთები აუცახცახდა, მერე ოდნავ გასაგონად ამოიკვნესა. გული მომიკვდა, ამ დღეში ჩავარდნილი რომ ვიხილე. იგი ხომ ჩემი თვისტომი და სულით ნათესავი იყო. ვგრძნობდი, ჩემი ხსნა მისი დაღუპვის ფასად მოხდა. მღვდელს ქრისტიანი და ერთი მონადირე ბიჭი მიუსხდნენ. ვიდრე გაემგზავრებოდა, თვალი შემავლო და მოულოდნელად სახეზე ღრმა გაოცება აღებეჭდა. ეტლი გვარიანად მოსცილდა აქაურობას, გალავნამდე მივსდიეთ. მღვდელს კი კისერი მოეღრიცა, ისე მიყურებდა.

— ხედავთ, — თქვა მოხუცმა მეტყევემ, — რა დაყინებით გიყურებთ! იგი მაშინ არ მოელოდა სასადილო ოთახში თქვენს ყოფნას და ალბათ ამ მოულოდნელობამ გამოიწვია მისი უეცარი გაშმაგება. სიმშვიდის წუთებშიც გაურბოდა უცხო ადამიანებთან შეხვედრას, აკვიატებული ჰქონდა, უცხო კაცი უსათუოდ მომკლავსო. საერთოდ კი საშინლად ეშინოდა სიკვდილის. ხშირად მისი გიჟური გააფთრება იმით დამიოკებია, რომ დავმუქრებივარ ახლავე ტყვიით დაგრცხილავთ-მეთქი.

მე კი გულზე მომეშვა და კარგ გუნებაზეც დავდექი, მღვდელი რომ წაიყვანეს, ვისი არსებობაც ასე ზიზღისმომგვრელი, დამახინჯებული ანარქელი იყო ჩემი „მე“-სი. გულით მახარებდა ჩემი მომავალი სტუმრობა-ჰერცოგის სასახლეში. იმედი მქონდა, რომ იქ მომეხსნებოდა იდუმალი, ძნელი ბედისწერის დამთრგუნველი ტვირთი, იქ მომევიწინებოდა ახალი ძალა, რომლის შემწეობით შესაძლებელი გახდებოდა ჩემს არსებაში ჩაბუდებული ავი სულის კლანჭებისაგან განთავისუფლება. საუზმის შემდეგ მეტყევის შესანიშნავი ეტლიც ჩამოდგა, რომელშიც საუცხოო ჯიშის მარდი ცხენები იყო შებმული. ძლივს დავიყოლიე მეტყევის ცილი ჩემგან გასამრჯელოდ მიეღო მცირედი თანხა შესანიშნავი მასბინძლობისათვის, ხოლო ორივე ლამაზი გოგონასათვის ის სამშვენისები მებოძებინა, სრულიად შემთხვევით რომ აღმომაჩნდა თან. მთელი ოჯახი გულთადად გამომეთხოვა, მოხუცმა მეტყევემ ხუმრობით კვლავ გაიხსენა ჩემი მონადირული ტალანტი. მხნედ და ხალისიანად დავტოვე იქაურობა და ახალ გზას დავადექი.

პარი პოთხა

ცხოვრება პერცოვის სასახლეში



პერცოვის რეზიდენცია მართლაც სრულ კონტრასტს წარმოადგენდა სავაჭრო ქალაქთან შედარებით, რომელიც სულ ახლახან დასაწყისში მოგზავდებოდა მისი საგრძნობი სიპატარავე, სამაგიეროდ ბევრად უფრო რიგიანი და ლამაზი არქიტექტურული ნაგებობები ჰქონდა, თუმცა საკმარისად უკაცრიელი ჩანდა. ქუჩა-ხეივნები უფრო პარკს მოგაგონებდა, ვიდრე ქალაქურ გარემოს. რეზიდენციას მცირერიცხოვანი მოსახლეობა ჰყავდა, ცხოვრება ქალაქში წყნარი და სადღესასწაულო დინებით მიდიოდა. აქ გამეფებულ მყუდროებას ათასში ერთხელ თუ დაარღვევდა ქუჩებში ეტლის ჩახრიგინება. ქალაქის მაცხოვრებელთა ქცევებსა და მანერებში აღიბეჭდებოდა პეწი და სინატიფე, განათლებულობა და მიზანსწრაფულობა.

პერცოვის სასახლე დიდი არ იყო და არც სტილის გრანდიოზულობით გამოირჩეოდა, მაგრამ ცალკეული დეტალების ნატიფი და პარმონიული შეხამებით ერთ უსრულყოფილეს შენობად ჩაითვლებოდა, რისი მსგავსიც იშვიათად მინახავს. ამ შენობას ეკვროდა ულამაზესი პარკი, რომლის მფლობელი პერცოვი რეზიდენციის ბინადართ ამ ადგილებში სეირნობის ნებას რთავდა. ლამის გასათევად ერთ სასტუმროში ჩამოვსტი და იქ მითხრეს, პერცოვის ოჯახი ამ პარკში, ჩვეულებრივ, სალამოხანობით სეირნობს და ქალაქის ბევრი მკვიდრი ხელიდან არ უშვებს შემთხვევას საკუთარი თვალით იხილოს თავისი მწყალობელი სახელმწიფო მმართველიო. სეირნობები ყოველთვის განსაზღვრულ საათებში ეწყობოდა. მეც საჩქაროდ გავემართე პარკისაკენ: შევხვდი კიდევაც პერცოვს, რომელიც ის იყო სასახლიდან გამოდიოდა მეუღლისა და მცირე ამალის თანხლებით. როგორც კი პერცოვის მეუღლე დაინახე, გაოცებამ შემიპყრო, იმ წუთში მის გარდა სხვას ვერავის ვხედავდი, ყველაფერი გაქრა ჩემს ირგვლივ, იგი აბატიასავით დიდებული და გრაციოზული გახლდათ, მისებრ აზრიანი გამოხედვა, მაღალი შუბლი ჰქონდა, მასავით ზეციური ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, ოღონდ უფრო ტანმაღალი და ახალგაზრდა იყო, ვიდრე აბატისა. იგი ტკბილად ებაახებოდა ვილაც ქალბატონებს, რომლებიც სწორედ იმხანად დასეირნობდნენ ხეივანში, პერცოვი კი შეტად საინტერესო და ცხოველ მასს შეჰყროლოდა ერთ სოლიდური შესახედაობის მამაკაცთან. პერცოვის ოჯახის წევრთა ჩაცმულობა და თავის დაჭერა, მათი გარემომცველი სამყარო — ეს ყველაფერი ერთ მთლიან შეხმოვანებას ქმნიდა. აშკარად დაინახავდი, რომ დედაქალაქის მკვიდრთა ზრდილი, სალუქი ქცევა, მშვიდი, სადა, ნატიფი ცხოვრება უშუალოდ პერცოვის სასახლიდან მოდიოდა. შემთხვევით ჩემს გვერდით აღმოჩნდა ერთი ცოცხალი გონების კაცი, რომელიც ჩემს შეკითხვებზე რიგიან პასუხს მაძლევდა, თანაც ყველაფერს მაგებიანებდა. შიგადაშიგ თითო-ოროლა მახვილგონივრულ გამონათქვამებსაც ჩაურთავდა. როცა პერცოვის ოჯახი თვალს მიეფარა, ამ კაცმა შემომთავაზა მისივე თანხლებით პარკში გასეირნება, რა-



თა ჩემთვის, როგორც უცხო კაცისათვის ეჩვენებინა გემოვნებით გაკეთებული სკვერები, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ გვხვდებოდა პარკის ტერიტორიაზე. სიამოვნებით დაფყვი მის ნებას და მართლაც აშკარად შევიგრძენი, რომ აქ ყველაფერს გამსჭვალავდა ნატიფი სული და გამორჩეული გემოვნება, მით უფრო რომ იმ მრავალრიცხოვან ნაგებობებს შორის, რომლებიც პარკში უხვად მოიძებნებოდა, შეიმჩნეოდა სწრაფვა ანტიკური ფორმებისაკენ, რომელთა ხორცშესხმა, ოდენ გრანდიოზულ მასშტაბებში იყო შესაძლებელი, ხუროთმოძღვარი კი იძულებული გამხდარა წვრილმანებს გამოჰკიდებოდა. ანტიკური სვეტები, რომლის კაპიტულებს ბრგე და ტანადი კაცი ლამის ხელით შეეხებოდა, სასაცილოდ მეჩვენა. მსგავსი შეუსაბამობა პარკის მეორე მხარეზეც შევნიშნე, თუმცა რამდენადმე სხვა სტილში. ამ ადგილებში თითო-ოროლა გოტიკური სტილის შენობასაც წავაწყდი, რომელიც თავისი მინიატურობის გამო ერთობ უცნაური ჩანდა. მაგრამ სინამდვილეში გოტიკური სტილის მიბაძვა, ვგონებ, კიდევ უფრო საშიშსაფრთხილო იყოს, ვიდრე ანტიკურობისაკენ სწრაფვა, რაზეც ახლახან გვექონდა ლაპარაკი. რა თქმა უნდა, აგრეთვე მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ არქიტექტორს მომცრო სამლოცველოები შენობათა გრანდიოზულობისა და მასზე გასაწევი ხარჯთა შეზღუდულობის გამო, საკმაო საფუძველი ჰქონდა ისეთი სტილით აეგო ისინი, რომ თავი აერიდებინა და უარი ეთქვა ამა თუ იმ უცხოური ეკლესიის მიბაძვით ნაგებ ისრულ კამარებზე, უჩვეულო სვეტებზე, ღვარჯნილ ორნამენტებზე. თუ გინდა პარმონიული და სრულყოფილი რამ შექმნა, ღრმად უნდა გაიაზრო წარსულის დიდოსტატთა სწორუპოვარი ქმნილებები, რაც კი თვითნებური და ნაირსახოვანია მათში, დიდებულ და საუცხოო მთლიანობად უნდა აქციო და ცხოველი სული ჩაბერო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, არქიტექტორი, რომელიც გოტიკურ სტილს მიმართავს, რომანტიკულის იშვიათი ნიჭით უნდა იყოს გამსჭვალული, სიღრმისეულად უნდა ესმოდეს რომანტიკულის მცნება, მისი უმთავრესი არსი, და ამ შემთხვევაში ლაპარაკიც არ უნდა იყოს ანტიკური ფორმების შაბლონური სიზუსტით გადმოტანაზე. ჩემი ეს თვალსაზრისი გავუზიარე უცნობ თანამგზავრს, რომელიც სრულიად დამეთანხმა ამაში, ოღონდ ჩემს მიერ შემჩნეული წვრილმანი ცოდვები იმით გაამართლა, რომ აუცილებელია პარკი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდეს, თანაც საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდეს უამინდობის შემთხვევაში ამ შენობებს შეაფართოს თავი ანდა უბრალოდ დაისვენოს იქ. და ამგვარად ამ შენობების ფიქციური მოთხოვნილება უბიძგებდა მშენებელს გაემშვენიერებინა პარკი ანტიკური ტაძრებითა და გოტიკური სამლოცველოებით. ჩემის მხრივ მივუგე, რომ საამისოდ გამოდგებოდა სადა, უპრეტენზიო, ბურჟუაზიული მიკარგული კოპწია ფანჯატურები და ჩალის სახურავებიანი ხის ქოხები, რომლებიც ბევრად მირჩევნოდა ამ მინიატურულ ტაძრებსა და ეკვდერებს ერთად აღებულით. და თუკი ქვისაგან ნაგებ შენობებს მოიწადინებდა კაცი, გონებაგახსნილ ხუროთმოძღვარს მაშინაც შეეძლო გამოსავლის პოვნა, რაგინდ ძალიან შეზღუდულიც არ უნდა ყოფილიყო იგი ფინანსური ხარჯების თუ მასშტაბურობის თვალსაზრისით,

ნაწილობრივ გამოეყენებინა ანტიკური ანდა გოტიკური სტილი, ოღონდ წვრილმან მიბაძვას უსათუოდ უნდა არიდებოდა, ძველი ხელოვნების ნიმუშთათვის ნიშანდობლივ გრანდიოზულობის ცთუნებას არ უნდა აპყობოდა, არამედ ყურად ელო დახვეწილობის იდეალი, რომელიც კეთილისმყოფელ ზეგავლენას მოახდენდა მაყურებლის სულზე.

— სავსებით გეთანხმებით, — მომიგო ჩემმა თანამგზავრმა, — ოღონდ უნდა შევნიშნო, რომ ყველა შენობა, საერთოდ მთელი მშენებლობა პარკში თვითონ ჰერცოგმა დააპროექტა და ეს გარემოება გვათავისუფლებს ადგილობრივ მცხოვრებლებს ყოველგვარი კრიტიკული შენიშვნისაგან. ჰერცოგი ჩინებული კაცია, რომლის ბადალი იშვიათად მოიძებნება ამ ქვეყანაზე. იგი იცავს ჭეშმარიტად მამულიშვილურ პრინციპს, რომლის მიხედვით ქვეშევრდომები კი არ უნდა ირჯებოდნენ ხელისუფალისათვის, არამედ პირიქით, ხელისუფალი უნდა იღვწოდეს ქვეშევრდომთათვის და ამ პრინციპს იგი დაულალავად აღასრულებს. თითოეულ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება აზრის გამოთქმისა. გადასახადთა შეზღუდვა, რამაც გამოიწვია პირველი მოთხოვნების საგანთა გაიაფება, პოლიციის როლის შესუსტება, როცა იგი მოსახლეობას მხოლოდ ბოროტნეულ კადნიერებისაგან იცავს სრულიად უხმაუროდ და გარკვეულ საზღვრებში და აღარ ტანჯავს ადგილობრივ მოქალაქეებს გულისგამაწვრილებელი, ზიზღისმომგვრელი სამსახურობრივი ჩაკირკიტებით, ყველანაირი ჯარისკაცული უხამსობის აღკვეთა, რაც კი სამოქალაქო მშვიდობას, ადამიანთა მშვიდ და ნორმალურ ცხოვრებას საფრთხეს უქმნიდა, სიმშვიდეს ურღვევდა საქმიან დაწესებულებებსა და საწარმოებს და ეს ყველაფერი სასიამოვნოს ხდიდა ჩვენს პატარა სახელმწიფოში სტუმრობას. დარწმუნებული ვარ, ამ ხნის მანძილზე თქვენთვის ჯერაც არ მოუთხოვიათ პასპორტის წარდგენა, სასტუმროს პატრონს ალბათ სახელი და გვარიც არ უკითხავს, როგორც ეს სხვა ქალაქებში ხდება. ან ვთქვათ, თხუთმეტი წუთიც არ არის გასული თქვენი ჩამოსვლიდან და სადღესასწაულო განწყობით გეწვევათ ვინმე პატივცემული ბატონი ილიაში ამოჩრილი დიდი წიგნით, ხელში უვარგისი კალამი და ობმოკიდებული მელნით ავსებული სამელნე უჭირავს და გაიძულვით ჩაიწეროს მონაცემები თქვენი სადაურობის შესახებ. მოკლედ რომ ვთქვა, ჩვენი პატარა ქვეყნის ყველა დაწესებულებას ცხოვრებისეული სიბრძნე გამსჭვალავს, არასოდეს არ ჩაატაროს მსგავსი შემაწუხებელი და გულის გამაწვრილებელი პროცედურები. ეს კი უშუალოდ მომდინარეობს ჰერცოგის დიდებული, უაღრესად კეთილშობილი პიროვნებისაგან. მანამდე კი, როგორც ამბობენ, ჩვენი სახელმწიფოს მოსახლეობა იტანჯებოდა უაზრო პედანტიზმით, რაიც მეფობდა სასახლეში, რომელიც მეზობლად მდებარე დიდი სასახლის მინიატურულ მინამსგავსს წარმოადგენდა. ჩვენი ახლანდელი ჰერცოგი ხელოვნებისა და მეცნიერების დიდი მოყვარული პიროვნებაა. ამიტომაც მუდამ კეთილგანწყობილი და გულთბილი დამოკიდებულება აქვს ყველა თვალსაჩინო ხელოვანთან თუ ჭკუა-გონებით განთქმულ მეცნიერთან. დონე მათი ცოდნისა ითვლება დადასტურებად მათივე კეთილშობილური წარმომავლობისა, რაც მათ ნიჭიერებას განსაზღვრავს და ჰერცოგის გარემოცვაში მოხვედრის უფლებას მოუპოვებს, მაგრამ მრავალ-

მხრივ განათლებული ჰერცოგის ლიტერატურულ და მეცნიერულ განსწავლულობას სადღაც პედანტიზმის ნიშატიც დასტყობია. ეს პედანტიზმი აღზრდამ წარმოშვა და იგი გამოიხატება ამა თუ იმ დადგენილი ფორმების მონურ მიბაძვაში. ჰერცოგი წარუდგენდა არქიტექტორებს მისეულ მონახაზებსა და აღწერილობებს, რომლებიც მისხალ ასახავდნენ ნაგებობათა ყოველ დეტალს. სულ მცირეოდენი გადახრა ნიმუშისაგან, რასაც იგი დიდის გულმოდგინებით ადგენდა ანტიკურ ნაწარმოებთა მიმოკვლევის შედეგად, საგონებელში აგდებდა მას, თან აფიქრებდა აგრეთვე ამ გრანდიოზული ჩანაფიქრის მცირე მასშტაბში ასახვაც ფინანსური სიდუხჭირის გამო. ჩვენი თეატრიც როგორღაც ითმენს ჰერცოგის აკვიატებულ სხვადასხვანაირ გატაცებებს და ამიტომაცაა ერთფეროვნად მიჰყვება ერთ განსაზღვრულ სტილსა და მანერას და უარს ამბობს ნაირფეროვნებაზე, რაც სული და გული უნდა იყოს თეატრისათვის. ჰერცოგის საყვარელი მიდრეკილებები ხშირად ცვალებადობს, მაგრამ ეს ცვალებადობა არავის არანაირ ზიანს არ აყენებს. როცა ეს პარკი გააშენა, მაშინ თავგადაკლული სუროთმოძღვარიც იყო და მებაღეც. მალე ამას მოჰყვა ერთხანს მისი აღტყინება და მოჯადობება მუსიკით და ამ გატაცებას ვუმადლით ბრწყინვალე მუსიკალური კაპელის შექმნას. შემდგომ ამისა ჰერცოგმა მხატვრობას მიაპყრო გულისყური და ამ სფეროშიც ბევრი უჩვეულო რამ გააკეთა. ეს ცვალებადობა თავს იჩენდა სასახლის ყოველდღიურ გასართობებშიც. თუ ადრე სასახლის კარზე ბევრს ცეკვავდნენ, ახლა უმთავრესად ბანქოს თამაშით იყვნენ დაკავებული. რასაკვირველია, იმის თქმა არ შეიძლება, რომ ჰერცოგი თავგადაკლული მოთამაშე იყო, მაგრამ, ეტყობა, ართობდა შემთხვევითობების უცნაური შეხამებები. ისიც ეჭვგარეშეა, საკმარისი იყო რაღაც მსუბუქი იმპულსი და, ბანქოს თამაშის ნაცვლად სხვა გატაცება იჩენდა თავს. ინტერესთა და გატაცებათა ასე ხშირად მონაცვლეობამ ბევრ ვინმეს საყვედურიც კი დააცდენინა ჰერცოგმა, სულის ის სიღრმე არ ჰყოფნისო, რაშიც ვითარცა ზღვის მზესავით განათებულ ზედაპირზე უცვლელად აირეკლება ნაირფეროვანი ხატი ცხოვრებისაო. მე პირადად არ ვიზიარებ მავანთა შეხედულებებს ჰერცოგზე. ჩემის აზრით, სულის სწორედ ეს უჩვეულო ცხოველყოფლობაა მიზეზი იმისა, ასე დაუდლელად და არაჩვეულებრივი ვნებათა დელფით რომ იპყრობს ხან ერთი, ხან მეორე გატაცება. ვარდა ამისა ისიც ამკარაა, რომ არ შეიძლება ყოველი ახალი აღტყინების უამს წინამორბედი გატაცება არ დაივიწყოს, ანდა ყურად არ იღოს, სწორედ ამის წყალობითაა ჩვენი პარკი ასე ბრწყინვალედ მოვლილი და კიდევაც თქვენივე თვალთ ხედავთ ამას. ახლა ჩვენი კაპელა ანდა თეატრი იკითხეთ, დღითიდღე რა სრულყოფილი ხდება და როგორც შეუძლია მხარში უდგას და მისი აღმავლობისათვის დაუცხრომლად იღვწის, ხოლო სურათების გაღერეა კი შესაძლებლობისამებრ სულ უფრო მდიდრდება ექსპონატებით. ხოლო რაც შეეხება თავშესაქცევარ გასართობებს სასახლეში, მხოლოდ საღაღობო თამაში თუა, რაც მოუსვენარი ხასიათის ჰერცოგს დასვენებისათვის სჭირდება მომქანცველი, სერიოზული მუშაობის შემდეგ.

ამასობაში გვერდით ჩავუარეთ დიდად მშვენიერ, სინათლითა და სილამაზით გამორჩეულ ბუჩქებსა და ერთად შეჯგუფებულ ხეებს და აღტაცება ვეღარ დავფარე. ჩემმა მეგზურმა კი შითხრა:

— ამ სკვერებს, ნარგავებს, ყვავილთა ბუჩქებს თვითონ ჰერცოგის მეუღლე განაგებს, ეს ყველაფერი მისი ნახელავია, ეგერ მესანობისა-ვი პეიზაჟისტი განლაგო: გარდა ამისა დიდად იტაცებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებას. ამიტომაც ხშირად შეხვდებით აქ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ ხეებს, იშვიათი ჯიშის ყვავილებსა და მცენარეებს, რომლებიც თვალის მისატყუებლად და საამოდ სამზერლად კი არაა გამოფენილი, არამედ იმნაირი ღრმა გრძნობის აღმძვრელი სილალით არიგებ-ჩარიგებულან, გვეგონება, ხელოვნური ჩარევის გარეშე, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად აღმოცენებულანო მშობლიურ ნიადაგზე. ჰერცოგის მეუღლეს არ ეპიტნავენოდა დანახვა ქვიშაქვისაგან უსუსურად გამოქანდაკებული ღმერთებისა და ღმერთქალების, ნაიადებისა და დრეადების, რომლებიც უწინ ბუხებივით მომრავლებულიყვნენ პარკში. ამიტომაც თავიდან მოიშორა ეს ძეგლები, მხოლოდ თითო-ორთლა ასლი თულა დაიტოვა ანტიკური ნაწარმოებებისა, რომელთა დაცვა ჰერცოგმა სასურველად მიიჩნია, ვითარცა მასთან დაკავშირებული კეთილი და განსაკუთრებული მოგონება. ჰერცოგის მეუღლემ, ალღო აუღო რა თავისი ქმრის ყველაზე იდუმალ მოძრაობას სულისა, იმგვარად განაღაგა ეს ქანდაკებები, რომ ისინი საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდნენ იმ ადამიანებზე, რომლებისთვისაც სრულიად უცხო იყო ამ ქანდაკებების საიდუმლო დამოკიდებულებები ერთმანეთთან.

შელამებისას პარკი დავტოვეთ. ჩემი თანამგზავრი სასტუმროში სადილზე მოვიბატოე. ისიც დამთანხმდა, თანაც საჭიროდ მიიჩნია გამცნობოდა როგორც მეთვალყურე ჰერცოგისეული სურათების გალერეასი.

ვახშამზე ჩვენს შორის გულითადი ურთიერთობა დამყარდა. დიდი სურვილი გამოვთქვი პირადად გავცნობოდი ჰერცოგის ოჯახს. მან დამარწმუნა, თქვენი სურვილი ადვილად შესრულდება, რადგან განათლებულ, გონიერ უცხოელს ჰერცოგის სასახლეში სიამოვნებით მიიღებენო. პირჩია შევხვედროდი ჰოფმარშალს და ჩემი განზრახვა გამეხილა. ეს გზა დიპლომატიურის თვალსაზრისით სწორი იყო, მაგრამ ჩემთვის არცთუ სასურველი და ხელსაყრელი მეჩვენა, რადგან ან შემთხვევაში უთუოდ დამჭირდებოდა უზუსტო, მცდარი პასუხი გამეცა ჰოფმარშლის შეკითხვებზე ჩემი პიროვნების სადაურობის, წარმომავლობის, საქმიანობის და სხვა ასეთების შესახებ. განვიზრახე მივნდობოდი განგების ნებას, ვინ იცის, ეგებ უმოკლესი გზა ებოძებინა ჰერცოგთან შესახვედრად და ზენა არსმაც ძალიან მალე მომივლინა ეს წამი. და აი, ერთ დღით, როცა უკაცრიელ პარკში თვალს წყალს ვალევიანებდი და გულის გასახარად ვსეირნობდი, სრულიად შემთხვევით გადავეყარე ჰერცოგს, რომელიც ხელა მიჰყვებოდა ხეივანს, ტანზე კი უბრალო სერთუკი ეცვა. ისე მივესალმე, ვითარცა სრულიად უცნობს. იგი შეჩერდა, საუბარი გამიბა, ოღონდ თავდაპირველად მკითხა, ჩამოსული ხომ არ ბრძანდებითო. მე დავუდასტურე, რომ მართლაც არა ვარ აქაური, ორი დღეა რაც ჩამოვედი და აქ გაჩერებას არც ვაპირებდი, მაგრამ ამ

ადგილის სიმშვენიერემ, უფრო კი ამ არემარეში გამეფებულმა სიმშვიდემ და მყუდროებამ ისე მომხიბლა, რომ ჩემდა უნებურად თავდაპირველი განზრახვა შევცვალე და ამ ქალაქიდან წასვლა დავაყოვნე. მე პირადად დამოუკიდებელი კაცი გახლავართ, უმთავრესად მეცნიერებითა და ხელოვნებით დაინტერესებული და აქაურმა გარემომცემმა იმზომ მომაჯადოვა, განვიზრახე კარგა ხანს აქ დავრჩე-მეთქი. შევატყვე, რომ დიდად ეამა მისი რეზიდენციის შექება. მან თავისი მსახურება შემომთავაზა ჩიჩერონეს როლში, რათა ჩემთვის პარკი საფუძვლიანად გაეცნო. საჭიროდ აღარ ჩავთვალე გამემხილა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ პარკის ყველა ღირშესანიშნაობა დავათვალიერე. ჰერცოგს შესაძლებლობა მივეცი კვლავ წავეყვანე პარკის სანახავად, ხელახლა მეხილა ამჯერად მისი თანდასწრებით ის მღვიმეები, ტაძრები, გოტიკური ეგვიპტურები და პავილიონები, თანაც მოთმინებით მოვისმინე მისგან თითოეული შენობა-ნაგებობის ვრცელი აღწერილობები და განმარტებები. იგი ყოველთვის ასახელებდა ნიმუშს, რის მიხედვითაც ეს ნაგებობები შეიქმნა. ჰერცოგი ცდილობდა ჩემი გულისყური მიეპყრო დასახული ამოცანის ზუსტ შესრულებაზე, მერე კი დიდხანს ყოვნდებოდა იმ საკუთრივ მიდრეკილებაზე, რომელიც საფუძვლად ედებოდა პარკის გაშენებას და რაც სახელმძღვანელო მაქსიმა იქნებოდა პარკების მშენებლობისათვის საერთოდ. ჰერცოგმა ჩემი თვალსაზრისი იკითხა ამის თაობაზე და მეც, ჩემის მხრივ, შევაქე ეს იშვიათი ადგილსამყოფელი, ეს საუცხოო და მდიდარი მცენარეული სამყარო, ხოლო ნაგებობების შესახებ, იგივე ვთქვი, რაც სურათების გალერეის ზედამხედველს ვუთხარი. ჰერცოგმა ყურადღებით მომისმინა. ზოგიერთი ჩემი მოსაზრება ხელაღებით არ უარუყვია, პირიქით, ეტყობა, ჭკუაშიც დაუჯდა, მაგრამ საუბრის თემა მალე შეცვალა და განმიცხადა, რომ იდეალურის თვალსაზრისით თუ შევხედავდი საკითხს, იქნებ მართალიც ვიყავი, მაგრამ პრაქტიკულობა მაკლდა, თანაც არ ვიცოდი ამ იდეალურის რეალურ ცხოვრებაში ხორცშესხმის წესი და რიგი. საუბარი ხელოვნების საკითხებს შეეხო. ამ საუბარში გამოვლინდა ჩემი თვალსაჩინო ცოდნა ფერწერისა და მუსიკის გარშემო და თავს ნება მივეცი ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით შევკამათებოდი. ჰერცოგი სხარტად და გონებაგახსნილად გამოთქვამდა თავის შეხედულებას ხელოვნებაზე, ბევრს ლაპარაკობდა ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე. ამ ლაპარაკში კი თანდათან მჟღავნდებოდა, რომ მისი განათლება ამ სფეროში თუმც მნიშვნელოვნად აღემატებოდა მაღალი თანამდებობის პირთა საერთო დონეს, მაინც ერთობ ზერექვერე ჩანდა. იგი აზრზე არ იყო, საიდან მოდიოდა ნაღდი ხელოვანის შემოქმედებითი აღმაფრენა, რას წარმოადგენდა ხელოვანისეული ღვთაებრივი სწრაფვა ჭეშმარიტების წვდომისაკენ. ჩემს მიერ გამოთქმული თვალსაზრისები და მისგან განსხვავებული აზრები მან მიიჩნია მხოლოდ და მხოლოდ დილეტანტიზმის გამოვლენად, რაც საქმის პრაქტიკული ცოდნით არ იყო ნათელყოფილი. მერე კი ჩემს დამოძღვრას შეუდგა, მასწავლიდა, რაში მდგომარეობს მუსიკისა და მხატვრობის ნამდვილი არსი, რა არის წინა პირობა იმისა, კარგი ნახატის ხილვამ თუ კარგი ოპერის მოსმენამ სიამოვნება მოგანიჭოს. ვრცელი საუბარი გამიბა იმის შესახებ, თუ რა არის კოლორიტი, მო-

ფარდაგება, პირამიდული ჯგუფები, სერიოზული და კომიკური ობ-  
ერა, პრიმადონას სცენები, ქოროები, თეატრალური ეფექტი, შუქ-  
ჩრდილი, განათება და ა. შ. მოთმინებით ვუსმენდი ჰერცოგს, რომელ-  
საც, ეტყობა, ლაპარაკი დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა. ბოლოს თვითონ-  
ნვე შეწყვიტა საუბარი და მოულოდნელად ასეთი შეკითხვა დაამსჯა:

— ბანქოს თუ თამაშობთ?

როცა გაიგო, არ ვთამაშობდი, ასე მითხრა:

— სხვათაშორის ეს საოცარი თამაში თავისი ამალღებული სისა-  
დავით სწორედ რომ ნიჭიერი ადამიანებისთვისაა მოგონილი. ამ თამა-  
შის დროს კაცი თითქო საკუთარი „მე“-ს თვალსაწიერიდან გამოდის  
ანდა უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, იმ ჭკუაზე დგება, როცა  
შესაძლებლობა ეძლევა უხილავი ძაფებით აასხას უჩვეულო ხლართები  
და წნულები. რასაც იღუნალი ძალა განუმზადებს ადამის ძეს და რასაც  
შემთხვევა ჰქვია სახელად. მოგება და წაგება ის საწინააღმდეგო პო-  
ლუსებია, რომლებსაც მუდმივად ვეჯახებით და რასაც განგება თავის  
ნება-სურვილზე ატრიალებს. თქვენ აუცილებლად უნდა ისწავლოთ ეს  
თამაში. თვითონ ვიკისრებ თქვენი მწვრთნელის როლს.

მე განვუცხადე, რომ დღემდე არავითარი ხალისი არ მიგრძენია  
აზარტული თამაშებისადმი, ასეთი რამ, როგორც ხშირად მეუბნებოდ-  
ნენ ხოლმე, ერთობ საფრთხილო და დამლუპველი უნდა იყოს.

ჰერცოგმა ჩაიღიმა, მერე თავისი ცოცხალი, ჭკვიანი თვალები და-  
ვინებით მომაპყრო და მითხრა:

— მინდა დაგარწმუნოთ, რომ მხოლოდ ბავშვური სულის ადამი-  
ანს შეუძლია ასე იფიქროს. მაგრამ არ გეგონოთ თქვენი გადაბირება,  
მოტყუება და მაცთუნებელ ხლართებში გახვევა მინდოდეს. მე ჰერცო-  
გი ვარ ამ მხარეში და ერთ რჩევასაც მოგცემდით: თუ ჩემი რეზიდენცია  
მოგწონთ, კეთილი და პატიოსანი, დარჩით აქ, რამდენ ხანსაც გნებავთ.  
ეწვიეთ ჩემს პატარა წრეს, სადაც ზოგჯერ ბანქოსაც თამაშობენ. მე  
არაფრით არ დაგუშვებ ურიგობას, ვინმემ ამ თამაშში რომ თავისი  
ქონება და ცხოვრება გაფლანგოს და გაანიავოს, თუმცა ესეცაა, თამაშს  
აზარტი შეენის, იგი ინტერესის აღმძვრელიც უნდა იყოს. თამაში დუ-  
ნე და უხალისო ხდება, როცა შემოთავაზებული ფსონი უმნიშვნელოა.

ის იყო ჰერცოგი უნდა გამცლოდა, რომ მოულოდნელად მკითხა,  
ვისთან მაქვს პატივი საუბრისაო. მე თავი ლეონარდად გაგაცანი და  
ვუთხარი, რომ თავად-აზნაურთა წოდებას კი არ მივკითხვებ, არამედ  
მეცნიერი ვარ, რის გამოც ეგებ არ შეიძლებოდეს ვისარგებლო თქვენს  
მიერ შემოთავაზებული წინადადებით-მეთქი.

— რა თავადაზნაურობა, რის თავადაზნაურობა, — დიცხად შე-  
მეპასუხა ჰერცოგი, — ჭკვიანი, განათლებული კაცი ბრძანდებით და  
სხვა რაღაა საჭირო? ხოლო რაც შეეხება მეცნიერებას, იგი კიდევ უფ-  
რო მეტად გაგხდით უფლებამოსილს იმყოფებოდეთ ჩემს სასახლეში.  
მეცნიერება ყველა ჯურის დიდგვაროვნებას იწონის. ჰოდა, ბატონო ლე-  
ონარდ, ნახვამდის.

ასე რომ, ჩემი სურვილი უფრო ადვილად და სწრაფად აღსრულ-  
და, ვიდრე მოველოდი. სიცოცხლეში პირველად მომიცა შესაძლებლობა  
სასახლის კარზე ცხოვრებისა. გარდა ამისა თავში მომდიოდა ის საკ-

ვირველი მონაჭორები სასახლისეულ ინტრიგებზე, მახეებსა და ხაფანგებზე, რასაც უსინდისოდ უგებდნენ ერთმანეთს და რის შესახებაც უთვალავჯერ წამიკითხავს რომანებსა და დრამატულ ნაწარმოებებში. ამ ნაწარმოებთა მახვილგონიერი ავტორების რწმუნებით ყოველი გვირგვინოსანი განსაკუთრებული პიროვნებაა და უმეტესად ნაწარმოებში ტყუულია უსინდისო და არამზადა ადამიანებით, რომლებსაც მსუდამ ჩქმალავენ ჭეშმარიტებას. პოფმარშალი უეჭველად უგემოვნო და პატივმოყვარე ბრიყვი უნდა იყოს, ხოლო პირველი მინისტრი — ანგაზებიანი, ვერაგი ბოროტმოქმედი, კამერ-იუნკერი — თავზეხელაღებული გარყვნილი, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ აცთუნოს ახალგაზრდა გოგოები. სასახლის თითოეულ ბინადარს სახეზე ნაძალადევი ღიმილი დასთამაშებს, გული კი სიცრუითა და ცბიერებით აქვს სავსე. ერთმანეთს პირფერულად უხდიან ქედს და მეგობრობას ეფიცებიან, ზურგს უკან კი ერთურთის დაუძინებელი მტრები არიან. თითოეული ცდილობს ვერაგულად გამოხდოს სარმა მეორე მალალი თანამდებობის მქონე პირს და მისი ადგილი დაისაკუთროს, იმას კი ივიწყებს, რომ ხვალ, შესაძლოა, თვითონაც იგივე ბედი ეწიოს. სასახლის ქალბატონები საზიზღრები, ამაყები და ვერაგები არიან, თანაც ადვილად შეუძლიათ შეყვარება და იმნაირად წნავენ ბადეს და აგებენ მახეს, რომ საჭიროა ცეცხლივით ვუფრთხილდეთ იმათ შხაკვრულ ფანდებს. სწორედ ასეთი ფერებით ინატებოდა ჩემს სულში სურათი სასახლის ცხოვრებისა, როცა სემინარიაში სწავლის ფამს უამრავს ვკითხულობდი ამაზე და თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ თვითონ ეშმაკი წარმართავდა ამ თამაშს სრულიად ხელშეუშლელად, დაუბრკოლებლად და შეუსლუდავად. მიუხედავად იმისა, რომ წინამძღვარი ლეონარდუსი რალაც-რალაცებს მიაბზობდა სასახლეზე, სადაც იგი ადრე ცხოვრობდა, ხოლო მისი მონაყოლი ამბები სულაც არ შეესატყვისებოდა წიგნებიდან შექმნილ ჩემს წარმოდგენებს სასახლის ცხოვრებაზე, მაინც რალაც სიძულვილი მეწეოდა უკან ყოველგვარი სასახლისეულისაგან, რაც თავისებურ ზეგავლენას ახდენდა ჩემზე ამჯერად, როცა ის-ის იყო, ახალ ცხოვრებას ვიწყებდი და ამ ცხოვრებაში სასახლეს განსაკუთრებული როლი უნდა ეთამაშა. ჩემი გული დაუოკებლად ილტვოდა პერცოვის მეუღლისაკენ. მასთან შეხვედრა მწყუროდა. შინაგანი ხმა გამუდმებით ჩამჩიჩინებდა, მიწინასწარმეტყველებდა, რომ სწორედ აქ გადაწყდებოდა ჩემი ბედი. ამიტომაც დანიშნულ დროს არცთუ მღელვარების გარეშე აღმოვჩნდი პერცოვისეული სასახლის წინკარში. იმპერიის საჯაჭრო ქალაქში ჩემმა საკმაოდ ხანგრძლივმა ყოფნამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ გადავეჩვიე ტლანქ, მოუხეშავ და გაუთლელ მანერებს, რაც სამონასტრო ცხოვრებამ მასწავლა, თანდათან შევიძინე ძალდაუტანებელი, უშუალო და მოქნილი ქცევები, განათლებული, მაღალი წრის კაციისათვის რომ იყო დამახასიათებელი. სახეზე გამიქრა სიფერმკრთაღე, რომელიც ახალგაზრდა მღვდელს მახინჯ ელფერს აძლევდა. ძალთა აყვავების ფამი დამიდგა, ლოყებზე ჯანსაღი, ლაჟღაჟა ფერი მომედო, თვალებში სიცოცხლის ვნებიანი ნაპერწყალი ამიკიაფდა. ადრინდელი ტონზურის კვალიც აღარსად ჩანდა, მის ნაცვლად მხრებზე ხშირი მუჭი წაბლისფერი კულულები დამფენოდა. მეცვა მეტად ფაქიზი გემოვნებით

უკანასკნელ მოდაზე შეკერილი შავი კოსტიუმი, რომელიც ჯერ კიდევ სავაჭრო ქალაქში ყოფნისას შევიძინე. ასე რომ, საკმაოდ იოლი იყო ჩემს გარეგნობას სასიამოვნო შთაბეჭდილება მოეხდინა აქ თავმოყრილ ადამიანებზე, რაიც ჩემდამი მათი თბილი მოპყრობით გამოიხატა, ოღონდ ეს თბილი მოპყრობა თავშეკავების უაღრესად დახვეწილ საზღვრებში რჩებოდა, ნიშატიც არ ეტყობოდა გულის გამაწვრთლებლობას. ძველ რომანებსა და ტრაგედიებში ამოკითხულის მიხედვით წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისი შემექმნა, რომლის თანახმად, კაცს, ვინც პარკში დამელაპარაკა და თავი პერცოგად გამაცნო, ხელის სწრაფი მოძრაობით უნდა გაეხსნა სერთუკის ღილები და მის მკერდზე მოციმციმე დიდი ვარსკვლავის ორდენი დამენახა, ხოლო იმ დიდგვაროვნებს, ვარს რომ ეხვივნენ, უსათუოდ უნდა ცმოდათ ნაქარგი სერთუკები, თავზე პუდმოყრილი პარიკები დაედოთ და სხვა ამისთანები. ამიტომაც ძალიან გამიკვირდა, ყველას რომ უბრალო, ნატიფად შეკერილი მოდური კოსტიუმი ეცვა და საბოლოოდ დავრწმუნდი სასახლის ცხოვრებაზე ჩემი წარმოდგენების მიაშიტურობაში და ნელ-ნელა ვიგრძენი, როგორ გამიარა თავდაპირველმა შეცბუნებამ. ეს შეცბუნება სავსებით გამიქრა, როცა მომიახლოვდა თვითონ პერცოგი და მითხრა:

— ხედავთ, ბატონო, ლეონარდ! — მერე კი სუბრობით სიძულადამიკრა ჩემს მიერ მკაცრად გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე პარკის მისამართით. მალე კარი ყურთამდე გაიღო და მისაღებ ოთახში შემოვიდა პერცოგის მეუღლე სასახლის ორი ქალბატონის თანხლებით. მის დანახვაზე ტანში გამაჟრჟოლა. დღის სინათლეზე იგი კიდევ უფრო მეტად ჰგავდა თავის დას, ჩემს აძალისას და დედის მაგიერს. პერცოგის მეუღლეს ქალბატონები შემოეხვივნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მის წინაშე წარმადგინეს. პერცოგის მეუღლემ გაოცებული მზერა მომაპყრო. აღელვება ვერ დაფარა, ძლივს გასაგონი ხმით ჩემთვის გაუგებარი ერთი-ორი სიტყვა ჩაიბუტბუტა, ხანდაზმულ ქალბატონს მიუბრუნდა და ყურში ჩუმად რაღაც უთხრა. ქალბატონი შეკრთა და დაჟინებით მომაჩერდა. ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. თავმოყრილი საზოგადოება დიდ და პატარა ჯგუფებად დაიყო და მათ შორის გაცხოველებული ბაასი გაიმართა. ირგვლივ სილაღე უშუალობა იყო გამეფებული. აშკარად იგრძნობოდა, რომ სასახლის გარემოცვაში იყავი, პერცოგის სიახლოვეს. აქ ოდნავადაც არაფერი იყო თავშემაწკნელი და რთიბეზრებული. სასახლის მკვიდრთა შორის, ამდენ ხალხში ვერაფრით ვიპოვე თუნდაც ერთი კაცი, რომელიც შეესატყვისებოდა ჩემს ადრინდელ შეხედულებებს სასახლეზე, მის ყოფას და ზნე-ჩვევებზე. პოფმარშალი სიცოცხლით სავსე, არცთუ ბრიყვი მოხუცი აღმოჩნდა. კამერ-იუნკერები — მხიარული და კეთილი ახალგაზრდა კაცები, რომელთაც სიავის ნიშანწყალსაც ვერ შენიშნავდი. სასახლის ქალბატონები, პერცოგის მეუღლეს რომ ახლდნენ, მისი ღვიძლი დები იყვნენ, ჯერაც ძალიან ახალგაზრდები, სადად და უპრეტენზიოდ ეცვათ. სასახლის საზოგადოებაში საგანგებო სიცოცხლის ხალისი შემოჰქონდა ერთ ჩია ტანის კაცს, რომელსაც აბზეკილი ცხვირი და ცოცხალი, ანთებული თვალეები ჰქონდა, შავი კოსტიუმი ეცვა, მხარზე გრძელი ფოლადის დაშნა გადაეკიდა, ვერცხლის წყალივით სტოდა, აქეთ-იქით და-



ჰქროდა, დიდხანს არსად ჰყოვნებოდა, არც საუბარში ერეოდა, ოღონდ ათას მახვილგონივრულ სარკასტულ კალამბურს აფრქვევდა ირგვლივ და საკრებულოს ფიანდაზად ეგებოდა. ეს კაცი ჰერცოგის ლაიბ-მედიკოსი იყო. ახლა ჩემს გვერდით დაფუსფუსებდა ორი ხანდაზმული ქალბატონი, რომლებიც ჰერცოგის მეუღლეს ელსაბარკავეზობდნენ, როცა მის წინაშე წარმადგინეს, მან ისე ცბიერად ჩამითრია საუბარში, რომ ვერც შევამჩნიე, როგორ აღმოვჩნდი მასთან მარტო ფანჯარასთან და ქალბატონის დახვეწილი დიპლომატიური ხელოვნების მიუხედავად მინც გამომჟღავნდა, რომ უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა შეეტყო ყველაფერი ჩემს შესახებ. მის შეკითხვებზე პასუხები წინასწარ მქონდა მომზადებული, თანაც დარწმუნებული ვიყავი ამ სიტუაციაში ყველაზე უწყინარი და უსაფრთხო გამოსავალი იქნებოდა სრულიად მარტივი და სრულიად უპრეტენზიო ამბის მოყოლა საკუთარ თავზე და მხოლოდ იმის განცხადებით შემოვიზღუდე, რომ ვუთხარი, წარსულში ღვთისმეტყველებას ვსწავლობდი, ახლა კი მამისაგან მდიდარი მემკვიდრეობა მივიღე და საკუთარი სურვილისამებრ ვმოგზაურობ-მეთქი, სამშობლოდ კი დავუსახელე პრუსიული პოლონეთი და იმზომ ბარბაროსულად ძნელი გამოსათქმელი სახელი დავარქვი მშობლიურ ქალაქს, რომ იმის წარმოთქმისას კაცი ენას მოიტეხდა. პატივცემულმა მოხუცმა ქალბატონმა ამის გაგონებაზე ყურებზე ხელი დაიფარა და ყოველგვარი ხალისი გაუქრა კვლავ გამოეკითხა რაიმე ჩემი ვინაობის შესახებ.

— იცით რა, ბატონო ჩემო, — მითხრა მან, — თქვენი პირისახე სევდიან მოგონებებს აღუძრავს აქ მყოფებს, რაზეც ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებ. გარდა ამისა ისიც მგონია, რომ იმაზე მეტი ხართ, ვიდრე ვინდამო ჩანდეთ და არაფრით არ ჰგავხართ თქვენი ზნითა და ქცევებით თეოლოგიის სტუდენტს.

საუზმის შემდეგ დარბაზში შევედი, სადაც ბანქოს სათამაშო მაგიდა გამოეტანათ, ჰოფმარშალი ბანქოს არიგებდა. სასწრაფოდ ამიხსნა, რომ ჰოფმარშალსა და ჰერცოგს შორის დადებული იყო შეთანხმება, რომლის მიხედვით ჰოფმარშალს სუფთა მოგება ხვდებოდა, ჰერცოგი კი წაგებას ანაზღაურებდა, რითაც ძალას აცლიდა ძირითად საბანკო ფონდს. სათამაშო მაგიდასთან თავი მოეყარა სასახლის უკლებლივ ყველა ბატონს ლაიბ-მედიკოსის გამოკლებით, რომელიც, საერთოდ, არასოდეს არ თამაშობდა. იგი ემასლაათებოდა ქალბატონებს, რომლებიც, მისი არ იყოს, არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ თამაშში. ჰერცოგმა თავისთან მიხმო და მითხრა, ჩემს გვერდით იდექიო. თვითონ კი, ვიდრე ჩემს კარტებს გადაარჩევდნენ, ორიოდ სიტყვით ამიხსნა თამაშის უმარტივესი მექანიზმი. ჩემს თამაშს ჰერცოგი წარმართავდა. ბედი არ წყალობდა, ყველა კარტი გაუჭრეს. მე კი ზუსტად მივყვებოდი მის რჩევას და სულ წაგებაზე ვიყავი, რაც სავალალო მდგომარეობაში მაცუნებდა, რადგან ძნელი იყო რისკზე წასვლა, თუ ჯიბეში ერთ ლუიდორზე ნაკლები გექნებოდა. უამისოდაც ხომ ჩემი კაპიტალი მიღვევაზე იყო და სულ იმაზე ვფიქრობდი, რა მექნა, რა ზომები მიმეღო, რომ უკანასკნელი ლუიდორიც არ დამეკარგა. ასეთ ვითარებაში თამაში არცთუ სახუმარო იყო. სურვილი გამიჩნდა, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა,

გამოსავალი მომეძებნა ამ ფატალური მდგომარეობიდან თავდასახსნელად, როგორღაც ამეშორებინა სილატაკეში ჩავარდნის საფრთხე. როცა ახალი რაუნდი დაიწყო, ჰერცოგს თხოვნით მივმართე, ნება მომეცა საკუთარი ძალებით მეცადა ბედი, რაკი წარუმატებელი მოთამაშე ვაშტ-ვდექი და წაგების მეტი ვერაფერი სიკეთე მომქონდა. ჰერცოგმა გამიღიმა და მითხრა, რომ ჯერაც შემიძლია მოგება, თუ ყურადღებულად ისეთი გამოცდილი მოთამაშის რჩევას, როგორიც თვითონაა, თუმცა მისთვის დიდად საინტერესო იქნებოდა აგრეთვე თვალი ედევნებინა ჩემი დამოუკიდებელი თამაშისთვისაც. ჩემი კარტებიდან, ისე რომ ზედ არც შემინებდავს, თვალის დახამხამებაში ამოვაძვრინე ერთი, რომელიც ნაზუქის დედოფალი აღმოჩნდა. იქნებ სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ნაზუქის დედოფლის ფერმკრთალი, უსიცოცხლო სახე ავრელიას მივამსგავსე და თვალი ველარ მოვწყვიტე. შინაგანი ღელვა ძლივს დავიოკე. მხოლოდ მებანქოეს შეკრთვამ გამომაფხიზლა, თამაშს აპირებ თუ არაო. ჩემდა უნებურად ხელი ჯიბეში ჩავიყავი, იქიდან უკანასკნელი ხუთი ლუიდორი ამოვიღე და გულის დედოფალს ზედ დავადე. იმან მოიგო და ასე გაგრძელდა განუწყვეტლივ: დავდებდი თუ არა გულის დედოფალზე ლუიდორს, მოგება მოგებას ემატებოდა, ხოლო მოთამაშეები ყვიროდნენ:

— არა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!

დანარჩენ მოთამაშეებს სრული წარუმატებლობა არგუნათ ბედმა.

— ეს სასწაულია! ეს გაუგონარია! — ისმოდა ყოველი მხრიდან. მე კი ხმას არ ვიღებდი, სხვაგან ვქროდი, სული ავრელიასაკენ მქონდა მიპყრობილი. მონაგარ ოქროს ყურადღებას არც კი ვაქცევდი, მებანქოვე კი ბლუჯა-ბლუჯა ოქროებს ჩემკენ ახვავებდა. რალა გავაგრძელო და, თამაშის ოთხივე მონაკვეთის მანძილზე დედოფალი შეუცვლელად მავებინებდა. ჯიბეები ოქროთი ამევსო. სულ ორი ათასი ლუიდორი მოვიგე და ეს წარმატება გულის დედოფალმა მომიტანა. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ნივთიერი გასაჭირისაგან განვთავისუფლდი, სულის სიღრმეში მაინც უსიამოვნო გრძნობას განვიცდიდი. რალაც საოცარი იღუმალის კავშირი აღმოვაჩინე ჩემს იმდღევანდელ წარმატებულ ალალბედზე გასროლასა და ამჟამინდელ მინალწევარს შორის. ჩემთვის თანდათან ნათელი გახდა, რომ იმ უჩვეულო მოვლენების გამომწვევი თვითონ კი არ ვიყავი, არამედ უცხო რამ ძალა, რომელიც ჩემს არსებაში შემოიჭრა და ჩასახლდა, ხოლო მე კი უნებლიე იარაღი გავხდი, რომელსაც ის ძალა თავის ჭკუაზე ატრიალებდა ჩემთვის გაუგებარი მიზნის მისაღწევად. გაორების ამგვარი შეგრძნება ჩემში იწვევდა გაურკვეველ შიშს, თანაც მამშვიდებდა კიდევაც, იმედს მაძლევდა, რომ თანდათან ძალას მოვიკრებდი, მტერს შეუპოვარ წინააღმდეგობას გავუწევდი და გავიმარჯვებდი. ხოლო ავრელიას ხატის მუდმივი ათინათი ჩემს სულში სხვა არა იყო, თუ არ მაცდუნებელი ძალის წყეული ხიბლი და სწორედ ეს მკრეხელური ბოროტად გამოყენება ამ ჩემი ღვთისმოსავი საქვარელი ხატისა მავსებდა ძრწოლვითა და მძულვარებით.

ამ მძიმე განწყობაზე ვიყავი, როცა დილაადრიან პარკში შევედი და იქ შევხვდი ჰერცოგს, რომელსაც თავისი ჩვეულებისამებრ სეირნობის საათი ჰქონდა.

— აბა ბატონო ლეონარდ, — მითხრა მან, — როგორ მოგეწონათ გუშინდელი ბანქოს თამაში? ახლა რაღას იტყვით შემთხვევითობის ჭირვეულობაზე, ასე შემწყნარე რომ იყო თქვენი ახირებულობის მიმართ და ოქროებით ავივსოთ ჯიბეები? ბედნიერი კარტი დაგებდათ, მაგრამ ბრმად მაინც არ უნდა მიუხდოთ ბედს.

და ჰერცოგი დიდხანს მელაპარაკა ბედნიერი კარტის შესახებ, ბევრი ჭკვიანური რჩევა-დარიგება მომცა და ბევრი მახვილგონივრული ხერხი გამაცნო, როგორ უნდა მესარგებლა ხელსაყრელი წარმატებული შემთხვევით და ბოლოს და ბოლოს დასკვნის სახით შენიშნა, რომ ამიერიდან ეჭვი არ არის ბეჯითად ვისარგებლებდი თამაშში ჩემი ბედით. ამაზე სრულიად გულწრფელად შევეკამათე, მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი ჩემს სიცოცხლეში კარტს არ გავეკარო-მეთქი. ჰერცოგმა გაოცებით შემხედა. მე კი განვაგრძე:

— სწორედ გუშინდელმა ჩემმა არნახულმა წარმატებამ მიმიყვანა ამ გადაწყვეტილებამდე. ეს გაუგონარი გამარჯვება ცხადლივ მიდასტურებს, რასაც კი მეუბნებოდნენ დამლუპველი და საშიში აზარტული თამაშობებით გატაცებაზე. თვალდახუჭულმა გავჭერი კარტი და უმაღვივრძენი, რომ იგი ავადმყოფურ, სულის გამგმირავ მოგონებებს აღმიძრავს. რაღაც უცხო უხილაემა ძალამ შემიპყრო და ზედიზედ გამარჯვება მომიტანა, თითქოს ეს ძალა ჩემი „მე“-დან გამოვიდა. მომეჩვენა, რომ იმ არსებაზე ვფიქრობდი, ვინაც ელვარე ფერებით შემომანათა კარტიდან. შემეძლო ჩემი სურვილისამებრ წარმემართა თამაშის ბედი, თანაც წინასწარ გამომეცნო მისი იდუმალი ხლართები.

— შესანიშნავად მესმის თქვენი, — სიტყვა შემაწყვეტინა ჰერცოგმა, — სიყვარულში არ გაგიმართლათ, მაგრამ ბანქოს ქალაღდმა დაკარგული სატრფოს სახე გაგახსენათ, თუმცა თავს ნებას მივცემ და გეტყვით, რომ უცნაურად მეჩვენება თქვენი განცდები, მით უფრო იმიტომაც, გულის დედოფლის ფერმკრთალი სასაცილო გამომეტყველება რომ მომაგონდება. მაგრამ იმხანად ხომ სატრფოზე ფიქრობდით და, ვგონებ, თამაშის დროს იგი უფრო ერთგული და კეთილისმდომელი აღმოჩნდა თქვენთვის, ვიდრე ცხოვრებაში. თუმცა ის კი ვერაფრით გამიგია, რა უნდა იყოს აქ შემადრწუნებელი და საშიში. პირიქით, კიდევაც უნდა გიხაროდეთ, ფორტუნა რომ ეგრერიგად გწყალობთ. მაგრამ თუკი ასე საშინელი გეჩვენებათ საბედისწერო კავშირი თქვენს ყოფილ სატრფოსა და ამდღევანდელ უჩვეულო წარმატებას შორის, აქ დამნაშავე არა თამაში, არამედ თქვენი ინდივიდუალობა და თქვენში სულიერი მდგომარეობაა.

— ეს შეიძლება მართლაც ასე იყოს, მოწყალებო ბატონო, — მივუგე მე, — მაგრამ როგორღაც სულ სხვა რამეზე მიჩნდება ცხოველი შეგრძნება. ჩემის აზრით, ამ თამაშის დამლუპველობა მართლ იმას კი არ ნიშნავს, მნიშვნელოვან მიღებას რომ ასიღი მნიშვნელოვანი წაგებაც მოსდევს და შეიძლება უკიდურეს სიდუხჭირეში ჩავარდე, არამედ გაბედულება შეიძინო და ბრძოლის ველზე გამოიხმო უწმინდური, ბნელი ძალა, რომელიც სახეგაბრწყინებელი გამოდის წყდრიადიდან თა დათადოვებს ვითარცა მაცთური ოცნება, უფსკრულის პირას გაყენებს. თამცინავად ჩაგასობს ბრწყალებს და ნაფლეთებად გაქცევს. ამ იდუმალ

ქალასთან შერკინება ისე გიტაცებს, რომ უფსკრულს ვერც კი ამჩნევ; ბრძალ ენდობი მის უძირო უნაპირო ფსკერს და ემსგავსები ბავშვურად მიაშიტი სულის კაცს, რომელიც არას დაგიდევს, ისე თავდაუზოგავად იბრძვის და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, სიკვდილის უკანასკნელ წუთებშიც გამარჯვების იმედი აქვს. ამოღებულ-პირობებული, ჩემის შეტყობით, მოთამაშეთა გიჟური უკაცურებობით, რაც ამ საბედისწერო თამაშს აყოლილთა სულიერ შერყევას იწვევს და იგი არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი მოგების ზეგავლენით. ეს სულიერი შერყევა მათ ადრე თუ გვიან საბოლოო დაღუპვამდე მიიყვანს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ადამიანი ჯერაც არ არის შეპყრობილი აზარტული თამაშისადმი ვნებით და ჯერ კიდევ არ ჩაუარდნილა ბოროტისა და დუშმანის კლანჭებში, შესაძლოა, წაგების გამოათას დავიდარაბას გადაეყაროს, სულაც გამოუვალ გასაჭირშიც ჩაუარდეს, თუმცა თამაში იძულებით შექმნილი გარემოების გამო დაიწყოს. თავს მოვალედ ვთვლი, მოწყალეო ბატონო, ვაღიარო, რომ გუშინ კინალამ ჩემი სამგზავრო ფული მთლად არ წავაგე.

— მე უსათუოდ გავიგებდი ამის შესახებ და სამმაგად აგინაზღაურებდით დანაკარგს, — სასწრაფოდ შემეპასუხა ჰერცოგი, — მართალი გითხრათ, არ გამეხარდება და არც მინდა, რომ ვინმე ჩემი სიამოვნების გამოისობით გაკოტრდეს. ჩვენს სასახლეში ასეთი რამ არაფრით არ მოხდება, რადგან მოთამაშეებს კარგად ვიცნობ და მაგათ თამაშებს მუდამ თვალყურს ვადევნებ.

— მართალი გითხრათ, მსგავსი შეზღუდვები ხელს უშლის თავისუფლებას თამაშის პროცესში, — მივუგე პასუხად, — ამავე დროს საზღვარს უდებს იმ უჩვეულო კომბინაციურ ხრიკებსა და შემთხვევებს, რაც ეშხს მატებს თამაშს და საინტერესოს ხდის მას. მაგრამ განა არ შეიძლება ვინმე იმზომ ვნებით შეიპყროს აზარტული თამაშებისადმი დამღუპველმა გატაცებამ, რომ თავგზა აებნეს, მთლად დაკარგოს კონტროლი საკუთარ თავზე და ლამის მთელი სიცოცხლე უბედურმა იაროს? მაპატიეთ, გული რომ გადაგიშაღეთ, თქვენო მაღალღირსებავ, მაგრამ, ჩემი აზრით, თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვა, თუნდაც მისი ბოროტად გამოყენება დამთრგუნველ შემოქმედებას ახდენს და სრულიად შეუთავსებელია ადამიანურ ბუნებასთან და შეიძლება აუტანელიც კი გახდეს.

— როგორც ვატყობ, ბატონო ლეონარდ, თქვენ ყველაფერში ჩემგან განსხვავებული შეხედულებისა ბრძანდებით, — წამოიძახა ჰერცოგმა, ცივად დამემშვიდობა და სასწრაფოდ გამეცალა. თვითონაც ვერ გამეგო, როგორ გავბედე და გამოვთქვი ჩემი აზრები აზარტული თამაშების ირგვლივ. მართალი გითხრათ, არაერთხელ დავსწრებივარ თვალსაჩინო შეჯიბრებებს ბანქოს თამაშში, იმ დიდ საგაჭრო ქალაქში რომ იმართებოდა, სადაც რამდენიმე თვე დავყავი, მაგრამ არასოდეს ფიქრადაც არ მომსვლია სერიოზულად ჩამომეყალიბებინა ნათელი და მკაფიო თვალსაზრისი მსგავსი თამაშობების შესახებ, ახლა რომ ასე ბუნებრივად მოსწყდა ჩემს ბაგეებს. ძალიან შევწუხდი, რომ ჰერცოგის კეთილგანწყობა დავკარგე და უკვე დარწმუნებულიც ვიყავი, ამიერიდან ჩემი გამოჩენა სასახლეში აღარც კი შეიძლებოდა, მეტადრე მწყდებოდა

გული იმის გამო, რომ შესაძლებლობა აღარ მექნებოდა მეხილა ჰერცოგის მეუღლე. მაგრამ ჩემი წინათგრძნობა მცდარი გამოდგა, რადგან იმავე საღამოს მივიღე მოწვევა კონცერტზე, რომელიც სასახლეში უნდა გამართულიყო.

კონცერტზე მისულს ჰერცოგმა გვერდით ჩამიარა და ხუმრობით მითხრა:

— საღამო მშვიდობისა, ბატონო ლეონარდ! ღმერთმა ქნას და დღეს ჩემმა კაბელამ პატივი მოგაგოთ და სიამოვნება მოგანიჭოთ. ვინცლო პარკზე მეტად ჩემი დაწერილი მუსიკა უფრო მოგეწონოთ.

ორკესტრი მართლაც რომ შესანიშნავი გამოდგა, უკეთესს ვერც ვინატრებდი. მაგრამ პიესები არცთუ წარმატებულად იყო შერჩეული. ეს იმიტომ, რომ ერთი ნაწარმოების ბრწყინვალე შესრულებით მიღებული შთაბეჭდილებას ანელებდა მეორე პიესის მდარე შესრულება. მეტადრე მოსაწყენი მეჩვენა ვრცელი მუსიკალური სცენა, რომელიც ამკარად წინასწარ მომზადებული მშრალი თეორიული ფორმულის მიხედვით იყო აგებული. მაგრამ ამჯერად სიფრთხილე გამოვიჩინე, აზრის წრფელი გამოთქმისაგან თავი შევიკავე და არც შევმცდარვარ. კიდევ კარგი, კეთილგონიერებამ არ მიღალატა, რადგან, როგორც მოგვიანებით შევიტყვე, სწორედ ეს მოსაწყენი პიესა ყოფილა ჰერცოგის დაწერილი.

მეორე დღეს უყოყმანოდ მივედი სასახლეში და ბანქოს თამაშიც კი განვიზრახე, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, დარბაზში ველარ ვიპოვე ბანქოს სათამაშო მაგიდა, მის ნაცვლად ჩვეულებრივი მაგიდები დაედგათ, ხოლო სასახლის ბატონები და ქალბატონები ჰერცოგს გარს შემოხვეოდნენ და ცხოველი, მახვილგონივრული საუბრები გაემართათ. რიგრიგობით ყვებოდნენ ამა თუ იმ თავშესაქცევ ამბებს, უწმაწური შინაარსის ანეგდოტების თქმასაც არ ეკრძალებოდნენ. დიდად გამომადგათხრობის განსაკუთრებული ნიჭი, რითაც გამორჩეული ვიყავი. და აი, ვიწყე მოყოლა ჩემი ცხოვრების ეპიზოდებისა, რომელთაც რომანტიკული პოეზიის საბურველში ვახვევდი და მსმენელთა გულებამდე ჩვეული მომხიბვლელობით მიმქონდა. ჩემმა მონათხრობმა დიდი მოწონება და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. თვითონ ჰერცოგს უფრო მეტად მხიარული, ჰუმორისტული ამბები იზიდავდა, ამ სფეროში პირველობას არავის უთმობდა მისი ლაიბ-მედიკოსი, რომელიც დაუშრეტელი ფანტაზიის კაცი იყო და აბა, როგორ გაუჭირდებოდა უხვად შეეთხზა ნამეტნავად სასაცილო და გულის გადასაყოლებელი თავგადასავლები.

მსგავსი საუბრები ჰერცოგის სასახლეში მოდაში შემოვიდა. მერე და მერე ეს საუბრები განივრცო და განვითარდა. ზოგიერთი წინასწარ ჩანაწერებსაც აკეთებდა, მერე კი ამ წრეში ხმამაღლა კითხულობდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩამოყალიბდა კარგად ორგანიზებული ლიტერატურულ-ესთეტიკური საზოგადოება, რომელსაც ჰერცოგი ედგა სათავეში და ამ გაერთიანების ყველა წევრი თავისი სპეციალობის მიხედვით ისე მუშაობდა, როგორც ეს ჰერცოგს მოგვრიდა სიამეს და გულს გაუხარებდა. ამ წრეში ერთხელ მოხსენება წაიკითხა შესანიშნავმა მეცნიერმა, ღრმად მოაზროვნე ფიზიკოსმა. მან მიზნად დაისახა

ჩვენთვის გაეცნო თავისი საინტერესო ახალი აღმოჩენები ფიზიკის და-  
რგში. მისი მოხსენება ერთობ მოეწონა საზოგადოების იმ ნაწილს, რომ-  
ელსაც მეცნიერების ამ დარგში რაღაც გაეგებოდა, დანარჩენებისათ-  
ვის კი პროფესორის საუბარი მეტისმეტად მოსაწყენი გამოდგა. თვი-  
თონ ჰერცოგმაც გული ვერ დაუდო მეცნიერის მსჯელობებს ფიზიკის  
გარშემო და ერთი სული ჰქონდა, როდის დაამთავრებდა ლექციას. თავ-  
ვისი ეს მოუთმენლობა ჰერცოგს ყოვლად დაუფარავად აღებეჭდა სახე-  
ზე. ბოლოს და ბოლოს პროფესორმა დაამთავრა ლექცია და ამით ყვე-  
ლაზე მეტად ლაიბ-მედიკოსმა ამოითქვა სული. მან ხოტბა შეასხა მეც-  
ნიერს, საქებარი სიტყვები არ დაიშურა მისი განსწავლულობის შესამ-  
კობლად, მერე კი დასძინა, რომ ასეთ სერიოზულ სჯა-ბაასს კარგი იქ-  
ნება თუ მოჰყვება გულის გასახარისი შექცევა-მხიარულობებით. რო-  
გორც კი ლაიბ-მედიკოსმა ეს სიტყვები წარმოთქვა, სულით დაბუნმა  
და სუსტი ნების ადამიანებმა შვეებით ამოისუნთქეს, რადგან ვერ გაუძ-  
ლეს ღრმად მეცნიერულ მსჯელობა-განმარტებებს, თვითონ ჰერცოგს  
კი სახეზე ღიმილმა გადაურბინა. სწორედ ეს ღიმილი ადასტურებდა,  
რა სულის გამწარებით უხაროდა მას ყოველდღიურ ყოფასთან დაბრუნება.

— იცით თუ არა, მოწყალეო ბატონო, — დაიწყო ლაიბ-მედიკოს-  
მა და ჰერცოგს მიუბრუნდა, — რომ ყველაფერს, რაც კი მოგზაურო-  
ბის დროს თავს გადამხდენია, განსაკუთრებით კი სახუმარო შემთხვე-  
ვებს, გულმოდგინედ ვინახავ ჩემს სამოგზაურო ჟურნალში და სწო-  
რედ ამ ჟურნალიდან მინდა გიამბოთ ერთი ამბავი, რომელსაც, მართა-  
ლია, საგანგებო მნიშვნელობა კი არა აქვს, მაგრამ უაღრესად თავშე-  
საქცევი და გასართობია. შარშან მოგზაურობის დროს გვიან ღამით მო-  
ვხვდი ერთ დიდ და მშვენიერ სოფელში, რომელიც ოთხი საათის სავალი  
მანძილითაა დაშორებული ქალაქ ბ.-ს. განვიზრახე ღამე გამეთია ერთ  
სახელგანთქმულ სასტუმროში, რომლის პატრონმა გულითადად მიმი-  
ლო. იგი ფხიზელი გონების კაცი ჩანდა. ხანგრძლივი მგზავრობისაგან  
ერთობ დაღლილი და ქანცმიღებული ვიყავი და მისვლისთანავე დასა-  
ძინებლად მივეგდე. მაგრამ შუალამისას ფლეიტის ხმამ გამომაღვიძა.  
თითქოს ვიღაც აქვე, ყურის ძირში ცოდვილობდა ფლეიტაზე. ამაზე სა-  
შინელი დაკვრა არასოდეს მომისმენია. მუსიკოსს, როგორც ჩანს, არ-  
ნახულად ჯანმრთელი ფილტვები ჰქონდა. იგი მოშლილი პატეფონით  
სულ ერთი და იგივე პასაჟს იმეორებდა გულისწამლებად. ამაზე საზიზ-  
ღარ და უაზრო მელოდიას ვერც კი წარმოიდგენდი. წყეული და გადარე-  
ული მუსიკოსი ერთი ღაზათიანად გამოვლანძლე და ზედ წყევლა-  
კრულვაც მივაყოლე, ძილი და მოსვენება რომ დამიკარგა და ყურები  
გამომიჭედა. ჩემი ეს გამაბეზრებელი და ჭლექის გამჩენი ყოფა მანამ  
გაგრძელდა, ვიდრე ბოლოს ყრუ დარტყმის ხმა არ გავიგონე, გეგონე-  
ბოდა, კედელს იქით რაღაც გადაისროლესო, რის შემდეგაც სიჩუმე ჩა-  
მოვარდა. მე კი საშუალება მომეცა მშვიდად გამეგრძელებინა ძილი.

მეორე დღით სახლის ქვემო სართულზე საშინელი ჩხუბი და  
აყალმაყალი ატყდა. ამ შფოთსა და არეულობაში სასტუმროს პატრო-  
ნის ხმა გავარჩიე, აგრეთვე ვიღაც კაცისა, რომელიც განუწყვეტლივ  
ღრიალებდა:

— ნეტავი თქვენს დაწყევლილ სახლს მიწა ჩაიტანდეს, მაშინ ხომ შიგ ფეხს აღარ შემოვადგამდი. მაინც ვერ ვამიგია, რა ეშმაკმა მომიყვანა აქ, სადაც ვერაფერს ხეირიანს ვერ შეჭამ და შესვამ. არაფერი არ გივარგათ და ასმაგად ძვირი კია. სინდისი აღარა გაქვთ და ღმერთს არის. გამისწორეთ ანგარიში და ღმერთმა თქვენც შეგამჩვენოს და თქვენი სახელ-სახსენებელიც. ამიერიდან თვალით ველარ მნახავთ ამ უკულმართულ დუქანში.

ეს თქვა და სასტუმროდან კისრიტებით გამოვარდა ერთი ტანმორჩილი, ჩიკორა კაცი, რომელსაც ყავისფერი სერთუკი ეცვა და თავზე წითური, ცეცხლისფრად აბრიალებული მრგვალი პარიკი ჰქონდა დადებული, პარიკზე კი ნაცრისფერი ქუდი მოეგდო. გაანჩხლებული კაცი თავლაში შევიდა, იქიდან ერთი ჯაგლაგი ცხენი გამოიყვანა და ეზოში დაოთხებით გააჭენა. ვიფიქრე ჩამოსულ კაცს სასტუმროს პატრონთან წალაპარაკება მოუხდა და თავის შორეულ გზას დაადგა-მეთქი. ამიტომაც დიდად გამიკვირდა, როცა შუადღით სადილობისას მაგიდასთან დავინახე ყავისფერსერთუკიანი და წითურპარიკიანი ისევ ის სასაცილო კაცი, რომელიც აქედან კარგა ხნის წასული მეგონა, ისე დაოთხებით გააჭენა ამ დილას ჩემს თვალწინ ცხენი. იგი იყო ყველაზე მახინჯი და სასაცილო შესახედაობის კაცი იმათ შორის, ვინც კი ოდესმე მენახა. მაგრამ ამ ხმელ-ხმელ კაცუნას თავი ისე თვალსასეირო სერიოზულობით ეჭირა, იმას რომ ვუყურებდი, სიცილს ძლივს ვიკავებდი. სადილობისას ჩემსა და სასტუმროს პატრონს შორის გაიმართა პატარა საუბარი, რომელშიც უცნობი სულ არ ჩარეულა, სამაგიეროდ ისე მადიანად მიირთმევდა სადილს, ორმაგ ულუფას ნთქავდა. მოგვიანებით მივხვდი, რომ სასტუმროს პატრონმა ოსტატურად გააბა საუბარი სხვადასხვა ეროვნების ხალხთა თავისებურებებზე, მეც მკითხა, ირლანდიელებს თუ იცნობ და მათ ხეპრულ მიეთ-მოეთობაზე თუ გსმენია რაიმეო. როგორ არა-მეთქი, მივუგე და უამრავი ანეგდოტი ვუამბე, რაც კი გამახსენდა ლაქლაქა ირლანდიელებზე, მომაგონდა ამბავი ერთი ირლანდიელისა, რომელსაც ჰკითხეს, წინდა უკულმა რატომ გაცვიანო, მან კი დაბეჯითებით მიუგო, მარჯვენა მხარეს ნაჩვრეტი აქვს და იმიტომო. მერე სხვა ამბავი მოვყევი ერთ ენაგაკრეფილ ირლანდიელზე, რომელიც სასტუმროში ვიღაც შოტლანდიელ კაცთან ერთად ცხოვრობდა, ერთ ლოგინში ეძინათ და ირლანდიელს საბნიდან შიშველი ფეხი გამოეყო. ოთახში შემთხვევით ინგლისელი შესულა და ირლანდიელისთვის შიშველ ფეხზე თავისი ჩექმის დეზი დაურტყამს გახდისას. ხაწყალ ირლანდიელს ფეხი საბანში შეუყვია, დეზი კი შოტლანდიელს გამოსდგინა, რის გამოც გაღვიძებია და ირლანდიელისთვის ლაზათიანი სილა გაუწნავს.

- რა ეშმაკი დაგემართა, წყეულო, რატომ მცემ?
- იმიტომ რომ შენმა დეზმა ფეხი გამიკაწრა.
- რის დეზი, რა დეზი, მე ხომ ფეხშიშველი შევწექი ლოგინში.
- აი, ნახე, ფეხზე დეზი გაქვს მიკრული.

დალახვროს ეშმაკმა, შენ მართალი ხარ, ხომ იცი, იმ წყეულმა ლაქლაქმა წუხელ ჩექმა კი გამაძრო, მაგრამ დეზის მოძრობა დავიწყებია.

სასტუმროს პატრონს სიცილისაგან ფერდები ეტკინა. წითურპარიკიანმა უცნობმა ამასობაში ჭამა მოათავა, მერე დიდი ტოლჩიყ ლუდი გადაკრა, დაფიქრებით შემათვალისწინა და მითხრა:

— თქვენ მართალი ბრძანდებით, ბატონო ჩემო, ირლანდიელი ხშირად მიეთ-მოეთობს ხოლმე, ოღონდ ეს სულაც არ არის მისი მანდატისათვის ნიშანი, პირიქით, ეს ხალხი გამრჯე და გონებასთანადე ხალხია, ოღონდ ყველაფერში იქაური კლიმატია დამნაშავე, იქ იმნაირი ღვთისპირისაგან წყეული პაერი უბერავს, კაცს გააცოფებს და სურდოსაც ადვილად შეჰყრის. მე თვითონ, ბატონო ჩემო, წარმოშობით ინგლისელი ვარ, მაგრამ ირლანდიაში დავიბადე და გავიზარდე და მართლაც რომ შეჰყრობილი ვარ ამ წყეული ირლანდიური სენით.

სასტუმროს პატრონი ადრინდელზე უფრო მეტად ახარხარდა, ჩემდაუნებურად მეც ავყევი, რადგან თავისთავად სასაცილო იყო, ირლანდიელი რომ მიეთ-მოეთობაზე ლაპარაკობდა, ამავე დროს თვითონაც შესანიშნავად გვიმასპინძლებოდა ირლანდიელებისათვის დამახასიათებელი მატაროცობით. უცხოელს ჩვენი სიცილი სულაც არ სწყენია, თვალები ფართოდ დააჭყიტა, თითი პირთან მიიტანა და მრავალმნიშვნელოვნად თქვა:

— ინგლისურ საზოგადოებაში ირლანდიელები იმ ცხარე სანელებლის როლს ასრულებენ, გასაგემრიელებლად რომ ჩააყრიან საჭმელს. პირადად მე ფალსტაფს ვგავარ მხოლოდ ერთადერთი ნიშნით, მარტო თვითონ კი არა ვარ გონებასმხვილი, არამედ სხვებსაც ვქმნი ასეთად, ჩვენს ფხიზელ საუკუნეში განა ეს ცოტას ნიშნავს? ხომ ხედავთ მედუქნის გამოცარიელებული და გახვევებული სულის ამოდრავებასაც ვახერხებ. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს მედუქნე სულაც არ არის ბედოვლათი, იგი აგრერიგად არ ანიავებს თავისი მახვილგონივრული იდეების მწირ და დუსტირ კაპიტალს, არამედ დიდი პროცენტებით გასცემს სესხად მათ მაძლართა საზოგადოებაზე და თუ არ არის დარწმუნებული, რომ დიდ მოგებას მიიღებს, მხოლოდ ყდას თუ აჩვენებს თავისი დავთრების წიგნისა და სწორედ ეს არის მისი თავაწყვეტილი სიცილის მიზეზი, რადგან ამ სიცილშია გახვეული მისი გონებასმხვილობაც. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ჩემო ბატონებო.

ეს თქვა და წითურპარიკიანი უცნაური კაცი გარეთ გავიდა, მე კი სამიკიტნოს გამგებელს სასწრაფოდ ვკითხე მისი ვინაობა.

— ამ ირლანდიელის გვარი ევსონია, მაგრამ იგი თავს ინგლისელად აცხადებს, რადგან წარმოშობით ამ ქვეყნიდან უნდა იყოს. იგი ჩვენსა არცთუ ცოტა ხნის წინათ მოვიდა. ამ დღეებში თცდაორი წელი შესრულდება, რაც ჯერაც ახალგაზრდამ აქაური სასტუმრო ვიყიდე და ის იყო ქორწილი გადავიხადე, გარშემო ჯერ კიდევ მხიარული მუსიკის პანგები ისმოდა, რომ სამშობლოში უკან მიმავალმა ბატონმა ევსონმა გზად ჩვენს სასტუმროში შემოიარა. იგი იმხანად ჯეელი იყო, ოღონდ მაშინაც წითური პარიკი ეკეთა, ნაცრისფერი ქუდი ეხურა, ზუსტად იმნაირად აჭრილი ყავისფერი სერთუკი ეცვა, თქვენ რომ პირველად ნახეთ. რომ დავვინახა მოცეკვავე სტუმრები, თქვა, ნაღდი ცეკვა მხოლოდ გემზე იციანო, თვითონ ბავშვობიდან იყო დაუფლებული ცეკვის ხელოვნებას. იგი სასწრაფოდ შეუდგა ცეკვაში ჩვენს განსწავლას, უნ-



დოდა მეზღვაურის ცეკვა ესწავლებინა. და აი, შეუდგა კიდევ საქმეს, რალაც უსაზიზღრესად გამოსცემდა კბილებს შორის ბგერებს, ჩაპბერავდა ნალარაზე და იმნაირად უცნაურ ნახტომებს აკეთებდა, ერთხელაც ხტუნაობისას ფეხი იღრძო და უფრო მეტხანს დარჩა ჩემთან, ვიდრე ეს განზრახული ჰქონდა, ფეხი მალე მოურჩა, მაგრამ ჩემგან წასვლა აღარ ინება და დღემდე მტანჯავს და მაწვალებს <sup>თავისი</sup> მხირებულ ქცევებით. რამდენი წელიწადია მეკინკლავება და ლანძღვა-გინებით მიკლებს, სულ მეზღუნება და მსაყვედურობს, არ მოსწონს აქაური ცხოვრების ზნე და ადათი, წესი და რიგი, თქვენსა მეტისმეტი სიძვირეოაო წუწუნებს, მე კი, უროსტრიფოდ და ულუდოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო. მერე თავის სამგზავრო აბგას ჩაალაგებს, სამივე პარიკს ერთი ერთმანეთზე დააწყობს, დამემშვიდობება, თავის ჯაგლაგ ცხენს მოახტება და ჭენებ-ჭენებით გაეცლება აქაურობას. მაგრამ არ გეგონოთ, სადმე შორს მიაგელვებდეს ცხენს, ეს მხოლოდ სასეირნო განავარდებაა მისი. როგორც კი შუადღე მოაწევს, აქეთკენ გამოემშურება, ჩუმად შემოდის სახლის უკანა კარიდან, მშვიდად მიუჯდება სასადილო მაგიდას და მისგან დაწუნებულ ჩვენს უგემურ საჭმელს სამი კაცის ოდენს ნთქავს და ანელებს. დღესაც ხომ დაინახეთ, როგორც მოიქცა. ასეა ყოველთვის. ისე კი ყოველწლიურად უგზავნიან უზარმაზარი თანხის თამასუქს. ამ დროს უჩვეულოდ მოწყენილია, ნაღვლიანად გამოემშვიდობება ხოლმე, თავის უძვირფასეს მეგობარს მეძახის, ცრემლს აღვარღვარებს ჩემს წინაშე. ამის დამნახავს მეც ჩამომდის ლოყებზე ცრემლი, ოღონდ ეს ცრემლი, შეკავებული სიცილის ბრალია. სიკვდილ-სიცოცხლის ამბავში ღმერთია ყველაფრის განმრიგეო, აღიარებს და გამგზავრების წინ ყოველ შემთხვევისათვის ანდერძს წერს, საიდუმლოდ მაუწყებს, რომ მთელ თავის ქონებასა და ცხოვრებას ჩემს უფროს ქალიშვილს უტოვებს, მერე კი ნელი ჭენებით მიჰყავს ცხენი ქალაქისაკენ. სამი-ოთხი დღის შემდეგ იგი კვლავ უკან ბრუნდება ჩვენს სასტუმროში და ჩამოაქვს ორი ყავისფერი სერთუკი, სამი თავი წითური პარიკი, ერთმანეთზე უფრო ცეცხლივით ბრიალა ფერისა, ექვსი პერანგი, ახალი ნაცრისფერი ქუდი და სხვა წვრილმანები. ჩემი უფროსი გოგოსათვის, რომელიც გამორჩეულად უყვარს, ყოველდღე ყიდულობს თითო პარკ თაფლაკვერას, თითქო მცირეწლოვანი ბაღლი იყოს, თუმცა გოგო უკვე თვრამეტი წლისა შესრულდა. აზრადაც არ მოსდის ქალაქში გადასახლდეს ანდა სამშობლოში დაბრუნდეს. ყოველ საღამო მისწორებს ანგარიშს, ფულს ბლომად მიხდის, დილაობით კი მრისხანედ მომიგდებს საუზმის ფულს, როცა აქაურობას ტოვებს და ცხენით გაჰქუსლავს, თანაც მემუქრება, ამიერიდან ამ არემარეში თვალთ ველარა მნახავო. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად მასავით გულკეთილ ადამიანს ქვეყანაზე ვერ იპოვი. ჩემი ბავშვებისათვის მუდამ მოაქვს საჩუქრები, უხვად ეხმარება ყველა გაჭირვებულს ჩვენს სოფელში. მაგრამ დასანახავად ვერ იტანს სოფლის მღვდელს, რადგან აქაური მასწავლებლისაგან ფინთი ამბავი შეიტყო: როცა ევსონს ღარიბთა და უპოვართა ყულაბაში ოქროს მონეტა ჩაუგდია, მღვდელს თურმე სპილენძის ფულით შეუცვლია. ამ დღის შემდეგ იგი მუდამ გაურბის პასტორთან შეხვედრას და ეკლესიაშიც აღარ დადის. თავის მხრივ პასტორიც არ დარჩენია ვალში, უღმერთოდ და

ათვისტად გამოუცხადებია იგი. როგორც ადრეც ვთქვი, ხშირად უსიამოვნებას გადაყრიდა ხოლმე, რადგან ერთობ გამაღიზიანებელი და ამადფორიაქებელი კაცი იყო, წარამარა სულელური აზრები მოსდიოდა თავში. აი, თუნდაც გუშინ, როცა შინ ვბრუნდებოდი, შორიდან ცხარე ლაპარაკი და ყვირილი შემომესმა და მაშინვე ვიცანი ევსონის ხმა. დერეფანში შევედი თუ არა, დავინახე, რა სასტიკი ლანძღვა-გინებით იკლებდა ტრაქტირის ერთ მოსამსახურე ქალს, რა კირწი-კორწა გაემართა მასთან. გააფთრებულმა ევსონმა თავიდან პარიკი მოიგლიჯა, როგორც ეს ჩვეოდა გაბრაზების დროს და თავმოშვლებილი, უსურთუკოდ და უჟილეთოდ იდგა მსახური ქალის წინ, დიდი წიგნი გადაეშალა და წყევლა-კრულვითა და ღრიალ-ღრიალით შიგ რალაცას თითით უჩვენებდა. მსახურ ქალს კი გამომწვევად შემოეყარა დონიჯი და ყვიროდა, ჩემთან ეგეები არ გაგივა, საამისოდ სხვები მონახე, ტყუილად კი არ ამბობს შენზე პასტორი, უღმერთოაო. მოჩხუბრები რის ვაი-ვაგლახით დავაშოშმინე, მერე ევსონს გამოვკითხე, რატომ ეჩხუბე-მეთქი. ბატონმა ევსონმა თურმე მოახლეს სთხოვა კონვერტის დასაწებებლად ობლატი მიშოვნეო. მოახლემ ჯერ ვერაფერი გაიგო, მერე გაახსენდა, რომ კათოლიკეები ზიარებისას ობლატს ხმარობდნენ და იფიქრა, ბატონ ევსონს მკრეხელობის ჩადენა მოუნდაო, თანაც გაგონილი ჰქონდა, პასტორი რომ ღვთისმგმობელს ეძახდა, ამიტომაც უარი უთხრა, შენს ბილწსურვილს არ დავაკმაყოფილებო. თავის მხრივ კი ევსონს ეგონა, სიტყვა არასწორად გამოთქვა და ამის გამო ვერ გაიგეს მისი ნათქვამი. მან გამოიტანა თავისი ინგლისურ-გერმანული ლექსიკონი, რისი მეშვეობითაც სურდა აეხსნა წერა-კითხვის უცოდინარი გომბიოსათვის, რას მოითხოვდა მისგან, თან კიდევ წამდაუწუმ ინგლისურად ლაპარაკობდა. გოგოს წარმოდგენაც არ ჰქონდა ინგლისურზე და ეგონა, ბატონ ევსონს სურს თავისი ეშმაკეული შელოცვებით თავგზა ამირიოსო. კიდევ კარგი, შინ დროზე რომ დავბრუნდი, თორემ, ვინ იცის, რა მოხდებოდა, ამ ჩხუბში ბატონ ევსონს კარგი დღე არ დაადგებოდა, ალბათ ისინი ხელსაც შემოკრავდნენ ერთმანეთს.

სასტუმროს პატრონს სიტყვა შევაწყვეტინე და ვუამბე ერთ სასაცილო კაცზე, რომელსაც აქ ჩამოსვლის პირველ საღამოს შევხვდი და ვიკითხე, ვინ იცის, იქნებ ეს კაცი ბატონი ევსონი იყო, რომელმაც ფლექტაზე თავისი აუტანელი დაკვრით ძილი დამიფრთხო და გული გადამიღია-მეთქი.

— კი ბატონო, სწორედ ის იყო, — კვერი დამიკრა სამიკიტნოს პატრონმა, — ეგეც მისი მორიგი უცნაურობაა, რითაც დიდად მაზარალებს, მუშტარს მიკარგავს და სულ მაგის ბრალია, ყველა რომ გაურბის ჩემს სასტუმროში ღამის გათევას. ამ სამი წლის წინათ ქალაქიდან ჩამოვიდა ჩემი უფროსი ვაჟიშვილი. იგი შესანიშნავად უკრავს ფლექტაზე და აქ ყოფნისას გულმოდგინედ ვარჯიშობდა ხოლმე. ბატონ ევსონს გაახსენდა, რომ ოდესღაც იგიც უკრავდა ფლექტაზე და ჩააცივდა ჩემს ფრიცს, ფლექტა და თან წამოდებული კონცერტის ფირფიტები მომყიდეო, თანაც დიდძალი ფული შეაძლია. ფრიცი იძულებული გახდა დათანხმებოდა.

და ევსონი, რომელსაც მუსიკის არავითარი გრძნობა არ გააჩნდა, ისიც კი არ იცოდა, როგორ დაეცვა ტაქტი, დიდის გულმოდგინებით შეუდგა უზარმაზარ საფასურად შეძენილი კონცერტის დამუშავებას ფლეიტაზე. მაგრამ როგორც კი პირველი ალევროს მეორე, ხუთდღე მძვიდა, შეხვდა პასაჟი, რომელსაც ვერაფერი მოუხერხა დასწორედ ეს ერთადერთი პასაჟია, ეგრერიგად რომ ტანჯავს და აწამებს ამ სამი წლის განმავლობაში მასაც და სხვებსაც. დღეში ასჯერ მაინც აცოდვილებს იმ პასაჟს, ბოლოს მოთმინების ფიალა აევსება და ფლეიტას გაბოროტებით მიახეთქებს კედელზე, ზედ თავის პარიკსაც მიაყოლებს. ამიტომ მისტერ ევსონი ხშირად იცვლის საკრავს, სამი-ოთხი საკრავი მუდამ თადარიგში აქვს. როგორც კი საკრავს ხრახნილი გაუტყდება ან და სარქველი გაუფუჭდება, მაშინვე ფანჯარაში ისვრის, თანაც გამხეცებით ღრიალებს, დალახვროს ეშმაკმა, მარტო ინგლისში თუ იციან ხეირიანი საკრავის კეთებაო. ყველაზე საშინელი ის არის, რომ ფლეიტაზე დაკვრის ვნება ხშირად ღამით მოუვლის ხოლმე, აი, მაშინ კი ცუდ დღეში ვარდებიან ჩემი კლიენტები, ფლეიტის მომაბეზრებელი ჭყვიტინი ძილსა და მოსვენებას უკარგავს. იცით, ამ სასტუმროში ევსონისა არ იყოს, კარგა ხანია ცხოვრობს ერთი ინგლისელი დოქტორი, გვარად გრინი. ისინი ერთმანეთს იმით გვანან, რომ ორივენი ფრიად ორიგინალური, ფრიად უჩვეულო ჰუმორის ადამიანები არიან. ბატონი ევსონი და დოქტორი გრინი დანასისხლად გადაკიდებიან ერთმანეთს, სულ მუდამ შეხლა-შემოხლა აქვთ, ამავე დროს უერთმანეთოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ. ჰო, მართლა, ბატონმა ევსონმა ამ საღამოსთვის პუნში დამიკვეთა, სოფლის მამასახლისი და დოქტორი გრინი ჰყავს დაპატიჟებული. თუ გინდათ, ჩემო ბატონო, თქვენც მობრძანდით, ოღონდ დილაბდე მოგიწევთ აქ ყოფნა და მაშინ შესაძლებლობა მოგეცემათ საკუთარი თვალით ნახოთ სამი სასაცილო განუყრელი მინახის ლხინი და ღრეობა.

მართალი გითხრათ, მოწყალეო ბატონო, კიდევაც მეამა, ჩემი გამგზავრება რომ გადაიდო, ან კი რად უნდა ყოფილიყო ეს ურიგო. დარწმუნებული ვიყავი, ბატონ ევსონს თავის სტიქიაში ვიხილავდი და ეს მახარებდა. როგორც კი მოსალამოვდა, ოთახში შემოვიდა თუ არა, გალანტურობა ეყო, პუნშიზე დავეპატიჟებინე, თანაც დანახებით დააყოლა, პუნშს ვეძახით, თორემ სადაური პუნში ეგ არის, რაღაც გაუგებარ სასმელზე გეპატიჟებითო. ნამდვილი პუნში მხოლოდ ინგლისში იციან, მალე დავბრუნდები იქ და, თუკი ჩამოსვლას არ დაიზარებთ, გაჩვენებთ, როგორ უნდა ამ ღვთაებრივი სასმელის მომზადებაო. სასტუმროს პატრონისაგან ვიცოდი, რომ ბატონი ევსონი აგერ უკვე ოცდაორი წელია, რაც სამშობლოში დაბრუნებას ეპირებოდა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, დღესაც აქ იყო, მაგრამ ამაზე სიტყვის გადაკვრა, რა თქმა უნდა, უადგილოდ მივიჩნიე. ამასობაში სტუმრებიც მოვიდნენ. სოფლის მამასახლისს, ტანდაბალ, ჩამრგვალებულ, ერთობ მოურიდებელ კაცუნას მხიარულად ანთებული, მოჭუტული თვალები და პაწია წითელი ცხვირი პქონდა. ხოლო დოქტორი გრინი კარგა მოსული, ნამდვილი ინგლისური გარეგნობის შუა ხნის კაცი იყო, თანამედროვედ, მაგრამ დაუდევ-

რად ეცვა, ცხვირზე სათვალე დაეკოსებიან, ქუდი გვერდულად ეხურა.

— მოიტა ღვინო, თვალეებში რომ ცეცხლი ჩამიდგეს. პატრონი-კურად წარმოთქვა მან, მერე სამიკიტნოს პატრონს მკერდზე ხელი პკრა, კარგა ლაზათიანად შეანჯღრია და უღრიალა: — ნამუსგანტყცხი-ლო კამბიზო, სად არიან პრინციები? ყავის სუნი მცემს და არა ლმურთების ნექტრისა!

— თავი დამანებე, რაინდო, ნეკნები არ ჩამიმტვრიო მაგ ძალუმად მოქნეული მუშტებით.

— ამას ვერ მოესწრები, ლაჩარო, რომ თავი დაგანებო, — განაგრძო დოქტორმა ქოშინით, — პუნშის თავბრუდამხვევი ტკბილი სურნელი თუ გიხსნის მხოლოდ. აი, ცხვირში მილიტინებს კიდევ, მანამდე კი არ მოგეშვები, შე უღირსო მეფუნდუკევ.

ამ დროს ევსონი გააფთრებით დააცხრა გრინს და ტყვიასავით დააყარა:

— შე ტუტუცო გრინო! მაგრად გამოგიქანებ მაგ თვალეებში, წუწუნსა და ღნავილს თუ არ მოიშლი.

მეგონა, ჩხუბი და აყალმაყალი ატყდებოდა, მაგრამ დოქტორმა მშვიდად მიუგო გაბრაზებულ ირლანდიელს.

— რას იზამ, ისლა დამრჩენია მხოლოდ დავცინო შენს უმწეობასა და სიმხდალეს და მზად ვარ მოთმინებით დავულოდო ამ ღვთიურ სასმელს, შენგან მომზადებულს, ევსონ.

ეს თქვა გრინმა და ხელი გაუშვა ტრაქტირის პატრონს, რომელიც მყისვე გახტა გვერდზე. თვითონ გრინმა კი კატონის გამომეტყველება მიიღო, მაგიდას მიუჯდა, თუთუნით დატენილი ყალიონი ამოიღო და გემოზე გააბოლა, პირიდან ბოლქვა-ბოლქვა კვამლი ამოუშვა. — ყველაფერი ხომ ზუსტად ისე ხდება, როგორც თეატრალურ წარმოდგენაში გინახავთ, — მითხრა თავაზიანმა სოფლის მამასახლისმა, — იცით, დოქტორი გრინი გერმანული წიგნის ხელში ამლები არ არის, მაგრამ ერთხელ ჩემთან სახლში შემთხვევით წააწყდა შექსპირის შლეგელისეულ თარგმანს და მას აქეთაა, მისი სიტყვებით რომ ვთქვა, ძველისძველ ნაცნობ მელოდებს აბულბულებს მისთვის ნაცნობ საკრავზე. თქვენ ალბათ შეამჩნევდით, რომ სამიკიტნოს პატრონიც რიტმულად ლაპარაკობს. ხომ ხედავთ, დოქტორმა მისი გამოჯავვაც მოახწრო, ისიც კი იამბებით ელაპარაკება დოქტორს.

ამ დროს ტრაქტირის პატრონმა ცხელი პუნშით ავსებული ოხშივარდენილი ჯამი შემოიტანა. ევსონი და დოქტორი გრინი, როგორც ეს მათგან მოსალოდნელი იყო, აქოთქოთდნენ, პუნში გროშად არ ვარგა, მისი დალევა არც კი შეიძლებაო, მაგრამ ამის მიუხედავად, დაწუნებულ სასმელს პირს არ აცდენდნენ, ზედიზედ ცლიდნენ სავსე ჭიქებს. მერე ჩვენს შორის ცხოველი საუბარი გაიმართა. ერთადერთი გრინი იყო სიტყვაძუნწი, მხოლოდ ხანდიახან თუ წამოისრთდა თითო-ოროლა ლაკონურ ფრაზას კომიკურ სტილში და ამით თავის ოპოზიციურ აზრებს გამოხატავდა. აი, სოფლის მამასახლისმა ქალაქის თეატრზე ჩამოაგდო სიტყვა და, ჩემის მხრივ, შევნიშნე, რომ საპრემიერო როლები ამ თეატრში არნახული ბრწყინვალეებით სრულდება.

— ამაში ვერ დაგეთანხმებით, — მყისვე ჩაერთო საუბარში დოქტორი, — როლის სრულყოფილი შესრულება არ შეიძლება, რაც არ უნდა ბრწყინვალედ ითამაშოს მსახიობმა, მაინც არსებობს უკეთესად თამაშის შესაძლებლობა.

თავს ძალა დავატანე და ამაზე დავყაბულდი, ოღონდ მაინც იმ აზრზე ვიდექ, რომ სწორედ საუკეთესო შესრულება უნდა უსურვო არტისტებს, რომლებიც უბადრუკად თამაშობენ ნაზი მამების როლებს.

— ვერც ახლა გავიზიარებ თქვენს შეხედულებას, — განაგრძო გრინმა, — არავის არ ძალუძს იმაზე მეტი გაილოს, რისი გალების უნარიც შესწევს. კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების. აბა რა მისი ბრალია, თუ უფალმა ცუდად თამაშის ტალანტით დააჯილდოვა.

სოფლის მამასახლისს საიმისო ნიჭი ჰქონდა, ამ ორი უცხოელის გიჟური აზრები და გამოხდომები წაეხალისებინა, მათ შორის ჩამჯდარიყო და შთამაგონებელ იმპულსად ქცეოდა ორივეს და ეს მანამ გაგრძელდა, ვიდრე პუნში მაგრად არ მოეკიდათ. ევსონი სულ მთლად გადაირია. მისი გიჟობა და სიანცე ყოველგვარ წრეს გადასცდა, ტანისამოსი შემოიგლიჯა, პარიკი მოიძრო, ფანჯარაში მოისროლა, მერე ირლანდიური სიმღერები იმღერა ხრინწიანი ხმით, სახე უხიაკად დაღმიჭა და ისეთი ცეკვა-თამაში გამართა, რომ სიცილისაგან ლამის ფერდები შეგვენგრა. დოქტორი გრინი კი ჭკვიანად იყო, თავი სოლიდურად ეჭირა, თუმცა უცნაური ხილვები კი გაუჩნდა: პუნშით ავსებული ჯამი კონტრაბასი ეგონა, ხოლო კოვზი — ვიოლინოს ხემი და უნდოდა მიერტყა კონტრაბასზე და ისე გაეწია აკომპანიმენტი მომღერალი ევსონისათვის. ამ წუთში მისი შეჩერება არ იყო ადვილი, მაგრამ ტრაქტირის პატრონმა იმარჯვა, მაგას ნუ იზამო, სასტიკი პროტესტი განაცხადა, რამაც გაჭრა და გრინმაც სულელურ განზრახვაზე ხელი აიღო. ხოლო სოფლის მამასახლისი მთლად მიყუჩდა, ჯერ ხმას არ იღებდა, მერე ბორძიკ-ბორძიკით წალასლასდა, ოთახის ერთ კუთხეში მიიყუჟა და მწარედ ატირდა. ტრაქტირის პატრონმა თვალი ჩამიკრა და მეც დაუყოვნებლივ ვკითხე სოფლის მამასახლისს, რა დაგემართა, ასე ღრმად რამ დაგამწუხრა-მეთქი.

— ო, ბატონო ჩემო, ამას ნულარ იკითხავთ, — ქვითინით მითხრა მან, — ისეთი დიდი მხედართმთავარი და გმირული სულის კაცი, როგორც პრინცი ევგენია, სიკვდილის შვილი რომ გახდება, რილასი იმედი უნდა გქონდეს კაცს ქვეყანაზე: — ეს მითხრა და კიდევ უფრო უმატა ზღუქუნს, ლოყებზე დაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი. როგორ არ შევეცადე დამერწმუნებინა, მას შემდეგ, რაც ეს სწორუპოვარი გმირი მიიცვალა, აგერ უკვე სამი საუკუნე გავიდა-მეთქი, ვინ დამიგდო ყური! ამასობაში დოქტორმა გრინმა დიდ მაშას წამოაგლო ხელი და სასწრაფოდ გაემართა გაღებული ფანჯრისაკენ. მას განზრახული ჰქონდა, არც მეტი, არც ნაკლები, ზედ მთვარედან აელო ნამწვი და მოესუფთაებინა იგი, ამ დროს კი მთვარე ცაზე დიდებულად ანათებდა. უცებ ევსონი გველნაკბენივით წამოხტა ფეხზე და თითქო ათასი ეშმაკი შეუჯდაო, ისეთი ყვირილი ატეხა, რომ ყურთასმენა წაიღო და მანამ ყვიროდა გაშმაგებით, ვიდრე ოთახში სამიკიტნოს მსახური არ შემო-

ვიდა დიდი სანათით ხელში, თუმცა მთვარეს იქაურობა ისედაც გაეჩახჩახებინა და მოქეიფეებს ხმამაღლა გამოუცხადა:

— მეც აქა ვარ, ჩემო ბატონებო, და თქვენი შინ წაბრძანების დროც მოვიდა.

დოქტორი გრინი თუთუნის წევით მიუახლოვდა, სახეში შეაბოლა და უთხრა:

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, მეგობარო. შენ ხომ ის კაცი ხარ, მთვარეზე რომ ცხოვრობს ძალღატაკი ერთად და ხელში ეკლის ბუჩქი უჭირავს. მე ხომ ნამწვეები აგაცალე და გაგაკრიალე, მიტომაც ანათებ აგრერიგად არემარეს. მაგრამ რას იზამ, მშვიდობის ღამეს გისურვებ. ეს მურტალი სითხე ზომაზე მეტი ჩავხეთქე და მაპატიე, ძვირფასო მეფუნდუკე, ძილი ნებისა, პილატევე ჩემო.

ევსონი ირწმუნებოდა, ვინც ახლა ვაბედავს შინ წასვლას, უსათუოდ კისერს მოიტეხსო, მაგრამ არავინ დაუჯერა. მსახურმა ცალი ხელი დოქტორს ჩაავლო, მეორე მამასახლისს გამოსდო, კვლავ რომ ჰგოდებდა პრინც ევგენის უდროოდ დაღუპვის გამო, ორიგენი ქუჩაში გაათრია და ძლივძლივობით მიიყვანა სოფლის საგამგებლო სახლთან.

გამოთაყვანებული ევსონი რის ვაივაგლახით შევათრიე თავის ოთახში, იმან კი მისებური წამოიწყო, კვლავ ააჭყვიტინა ფლეიტა და ყურთასმენა წაიღო, რის გამოც მთელი ღამე თვალის არ მომიხუჭავს და მხოლოდ მეორე დღეს გამოვიძინე ჩემს გემოზე ეტლში, სასტუმროში გატარებული იმ გიჟური საღამოს შემდეგ.

ლაიბ-ჟიჟის მრავალჯერ შეაწყვეტინეს თავისი ნაამბობი ხმამაღალი სიცილ-ხარხარით, რაც სასახლის გარემოცვაში იშვიათობას წარმოადგენდა. ჰერცოგი ერთობ ნასიამოვნები დარჩა. იგი მიუბრუნდა ლაიბ-მედიკოსს და უთხრა:

— თქვენ, ბატონო ჩემო, ჩრდილში დააყენეთ და უკანა პლანზე გადასწიეთ ერთი თვალსაჩინო ფიგურა, რომელიც პირადად ბრძანდებით. დარწმუნებული ვარ, სწორედ თქვენ ჩაუდგამდით სულს გამოლენჩებულ ევსონის მძაფრ ჰუმორს და პათეტიკური დოქტორის ათასნაირ გიჟურ გამოსტომას. მტკიცედ მჯერა, თვითონ შეასრულდებით როლს ციკლზე ნავთის გადამსხმელისა, რომელიც მტირალა სოფლის მამასახლისს მიაწერეთ.

— გარწმუნებთ, თქვენო მაღალღირსებავ, — მიუგო ლაიბ-მედიკოსმა, — ამ სამი შერეკილისაგან შემდგარი კლუბი იმზომ უნიკალური მოვლენაა, რომ ყოველი გარეშე პირის ჩარევა მხოლოდ დისონანსს თუ გამოიწვევდა. და მუსიკალური ენით თუ ვიტყვით, ეს სამი კაცი შესანიშნავ ტრიოს ქმნის და უაღრესად ჰარმონიულადაა შეწყობილი ერთმანეთთან. მარტო ტრაქტირის პატრონი თუ ჩაერევა დროდადრო ამ ტრიოს აწყობილ ხმებში სეპტიმის როლში.

კიდევ ბევრი ილაპარაკეს აქეთური და იქეთური და ეს საუბრები მანამ გაგრძელდა, ვიდრე ჰერცოგის ოჯახი მოსასვენებლად არ შევიდა საძინებელ ოთახში და შესანიშნავ გუნებაზე დამდგარი საზოგადოებაც ნელ-ნელა არ დაიშალა. ამ ახალ სამყაროში თავს მხნედ და ხალისიანად ვგრძნობდი. რაც უფრო ღრმად ვიჭრებოდი რეზიდენციისა და სასახლის მშვიდ და მყუდრო ცხოვრების დინებაში, რაც უფრო მყარად

ვიმკვიდრებდი ადგილს, რომელიც დიდის პატივითა და მოწიწებით მარგუნეს, მით უფრო ნაკლებ ვფიქრობდი ჩემს წარსულზე, ჩემი ამჟამინდელი ყოფის შეცვლაზე. ჰერცოგი საგანგებო კეთილგანწყობას იზენდა ჩემდამი და როგორც აქა-იქ გადაკრულად მეუბნებოდნენ, მას სურდა როგორმე დავემკვიდრებინე სასახლეში. იმასაც ვეღარ ვიხუმრებდი, რომ განათლების აშკარა ერთგვაროვნება, დიახ, ერთიდაიგივე შაბლონური მანერები როგორც სამეცნიერო მოღვაწეობაში, ასევე მხატვრული შემოქმედების სფეროში, რაც ჰერცოგის სასახლიდან მოდიოდა და მთელს რეზიდენციაზე ვრცელდებოდა, ჭკვიან და შეუზღუდავ თავისუფლებას შეჩვიულ კაცს ხასიათს გაუფუჭებდა და მის სასახლეში ცხოვრებას აუტანელს გახდიდა. არცთუ იშვიათად სული შეუხუთავს ჰერცოგის სასახლეში გამეფებულ მომაბეზრებელ ერთფეროვნებას და ცალმხრივობას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დიდ სამსახურს მიწევდა ადრინდელი მიდრეკილება განსაზღვრული ფორმებისადმი, რაც უმთავრესად ხარკიან ყოფაში მკლავნდება და რასაც უწინდელმა საეკლესიო ცხოვრებამ შემაჩვია. სწორედ ეს ადრინდელი სამონასტრო ცხოვრება იყო, უჩუმრად და შეუმჩნეველად ჯერაც რომ ახდენდა ჩემზე ზეგავლენას. რაც უფრო გამომარჩევდა ჰერცოგი სხვებისაგან, რაც უფრო დიდი იყო ჩემი მცდელობა ყურადღება მიმეპყრო ჰერცოგის მეუღლისა, მით უფრო ცივი და თავშეკავებული რჩებოდა იგი ჩემდამი. დიახ, ეტყობა, ჩემი იქ ყოფნა იმას უცნაურად აფორიაქებდა, დიდი ძალდატანების ფასად ახერხებდა ისე მომქცეოდა, როგორც სხვებს, სახელდობრ, ზრდილობისათვის ერთი-ორი თავაზიანი სიტყვა ეთქვა. სამაგიეროდ იმ ქალბატონთა გარემოცვაში, მას რომ გარს ეხვია, თავს ბევრად უფრო ბედნიერად ვგრძნობდი. ჩემი გარეგნობა მათზე, როგორც ჩანს, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. ხშირად ვტრიალებდი ამ ქალბატონთა წრეში და სასწრაფოდ გავითავისე კიდევ ის საოცარი მსოფლჭვრეტა, რასაც გალანტურობა ჰქვია და რისი წყალობითაც შნო და ლაზათი ეძლევა სასახლის თითოეული მკვიდრის თავდაჭერასა და მიხრა-მოხრას. გალანტურობა ეს არის არაჩვეულებრივი ნიჭი უმნიშვნელო მოვლენებზე მრავლისმეტყველი სიტყვებით ენად გაიკრიფო და ნეტარება მოჰგვარო ბანოვანთ, რომლებიც თავგზას კარგავენ და როგორც თვითონვე აღიარებენ, ანგარიშმიუცემლად იხიბლებიან. მაგრამ ეს მაღალი გაგების თავანკარა გალანტურობა ტლანქი თითლიბაზობა კი არ არის, არამედ იგი მომდინარეობს, როგორც უკვე გითხარით კიდევ, ინტერესის აღმძვრელი თასლიბისაგან, რომელიც ჟღერს ვითარცა ჰიმნი აღვლენილი სათაყვანებელი მიჯნურისადმი. თითქოსდა ფეხაკრეფით ებარება მისი სულის უიდუმალეს წიაღს, გინდა სწორად ამოიცნო სატრფოს ბუნება, ის შენი გულის მურაზი კი სიამით უჭვრეტს საკუთარ „მე“-ს. ვის შეუძლია შეცნობის ამ დიდებულ ჟამს ჩემში მღვდელი იცნოს? ყველაზე საშიში ადგილი ამ მხრივ ისევ ეკლესია თუ იქნებოდა, სადაც გამიძნელებოდა ლოცვა ისე, ვით ჭეშმარიტ ღვთისმსახურს ეგების, მეტადრე გამიჭირდებოდა თავი ამერიდებინა იმ სამონასტრო ლოცვებისათვის, განსაკუთრებული რიტმითა და განსაკუთრებული ტაქტით რომ გამოირჩეოდნენ.

ლაიბ-მედიკოსი ერთადერთი კაცი იყო, პერცოგთან დაასლოებულნი სასახლის სხვა მკვიდრთა მსგავსად ერთ თარგზე მოჭრილად რომ არ ჩაითვლებოდა. სწორედ ეს განსხვავებულობა მიზიდავდა მისკენ. თავის მხრივ ისიც კეთილგანწყობას იჩენდა ჩემდამი. მან ისიც კარგად იცოდა, პერცოგის მიმართ თავდაპირველად ოპოზიციაში რომ ვიყავი და ამიტომ თვინელადაც მოვახსენე ჩემი შეხედულებები, ამან კი ძღმეურობის მიხედვით მედება მოახდინა პერცოგზე, იმზომ მგრძნობიარედ აღიქვა პირდაპირ ნათქვამი სიმართლე, რომ სამუდამოდ აკრძალა თავის სასახლეში ყბადღებულნი ბანკოს თამაშები.

ამიტომ რა გასაკვირია, რომ ხშირად ვიყავით ერთად და ვსაუბრობდით ხან ხელოვნებასა და მეცნიერებაზე, ხანაც ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებზე, როგორც ეს ჩვენდათავად წარმოგვედგინა. ლაიბ-მედიკოსსაც ჩემსავით მოწიწება და კრძალვა გამსჭვალავდა პერცოგის მეუღლისადმი. იგი მიმტკიცებდა, რომ სწორედ ეს ქალი იყო ერთადერთი, ვისაც შეეძლო გაექარწყლებინა პერცოგის ზოგიერთი დაუხვეწაობა და უკემოვნო გამოვლენა და ისეთნაირად უქარვებდა უცნაურ დარდს, რომელიც ზოგჯერ ჰაიპარად წამოუფლიდა ხოლმე, რომ ხშირად სრულიად შეუმჩნევლად უწყინარ სათამაშოებს შეაჩერებდა ხელში. რაკი ლაიბ-მედიკოსმა პერცოგის მეუღლე ახსენა, მეც შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი და შევჩვილე, რატომ აყენებდა იმას ჩემი დანახვა ცუდ გუნებაზე. ლაიბ-მედიკოსი, რომლის ოთახშიც ვიმყოფებოდი იმჯერად, დედა და თავისი საწერი მაგიდის უჯრა გამოადლო, იქიდან მინიატურული სურათი გამოიტანა და გადმომცა, თანაც მითხრა, ყურადღებით დააკვირდიო. შევხედე სურათს და გამაოგნა ამ სურათზე აღბეჭდილ კაცსა და ჩემს შორის საოცარმა მსგავსებამ. მხოლოდ სხვანაირი ვარცხნილობა, ძველმოდურად შეკერილი კოსტუმი და შესანიშნავად დაყენებული ბაკენბარდები, რაიც ბელკამპოს შემოქმედებითი ოსტატობის ნაყოფი იყო, განასხვავებდა პორტრეტს ჩემგან, სხვა მხრივ იგი აშკარად ჩემი ორეული იყო. ჩემი აზრი ამასთან დაკავშირებით დაუფარავად გავუშვილავნე ლაიბ-მედიკოსს. მან კი მითხრა:

— სწორედ ეს მსგავსება აშფოთებს და საგონებელში აგდებს პერცოგის მეუღლეს. თქვენი დანახვა მასში აღმრავს მძაფრ მოგონებებს იმ საშინელ მოვლენებზე, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ თავს დაატყდა მთელ სასახლეს. ყოფილმა ლაიბ-მედიკოსმა, რომელიც კარგა ხანია გარდაიცვალა და ვინც ხელი შეუწყო ჩემს სამეცნიერო აღზრდა-განათლებას, მიაბნო პერცოგის ოჯახში მომხდარ უბედურებაზე და მაჩვენა სურათი, რომელზედაც პერცოგის ყოფილი ფაფორიტი — ფრანჩესკო ამბოსახული და, როგორც ხედავთ, აგრეთვე ხელოვნების უბადლო ნიმუშსაც წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ეს პორტრეტი შესრულებულია იდუმალი უცნობი მხატვრის მიერ, რომელიც სასახლეში ცხოვრობდა იმ ხანად და ამავე დროს მთავარ როლს თამაშობდა ამ ტრაგედიაში.

ვათვალისწინებდი პორტრეტს და ვგრძნობდი, რომ ჩემი სული ივსებოდა ბუნდოვანი წინათგრძნობებით, რომელთა ახსნას ამოდ ვცდილობდი. ეტყობა, აქ იმაღებოდა რაღაც საიდუმლო, რომელიც პირადად მე შემეხებოდა. ჩემი შემთხვევითი მსგავსება ფრანჩესკოსთან თითქოს



უფლებას მაძლევდა დაჟინებით მეთხოვა ლაიბ-ექიმისათვის, გაეზიარებინა თავისი შეხედულებები ამ მოვლენის გარშემო.

— რა თქმა უნდა, — მითხრა ლაიბ-ექიმმა, — ეს მეტიმეტად უცნაური ვითარება რომ თქვენში ცნობისმოყვარეობას აღძრავს, სულაც არ მიკვირს. მართალი გითხრათ, უამურია ლაპარაკი მრავალზე, რომელიც ჩვენთვისაც უკიდურესად ბურუსითაა მოცული, მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გითხრათ ყველაფერი, რაც კი ვიცი ამასთან დაკავშირებით. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ამ ტრაგედიის გმირები უკვე კარგა ხანია, რაც სცენიდან ჩამოვიდნენ. დარჩა მხოლოდ მონგონება, რომელიც უკეთურ შემოქმედებას ახდენს. გთხოვთ არავისთან სიტყვა არ დაგცდეთ იმაზე, რასაც ახლა შეიტყობთ.

მეც დავპირდი, არსად არაფერს ვიტყოდი. და ლაიბ-მედიკოსმაც დაიწყო ამბის მოყოლა:

— სწორედ იმხანად, როცა ჩვენმა პერცოგმა ის იყო იქორწინა, სასახლეში შორეული მოგზაურობიდან დაბრუნდა პერცოგის ძმა მეგობარი კაცის თანხლებით, ვისაც ფრანჩესკოს ეძახდნენ, თუმცა ყველამ იცოდა, რომ იგი გერმანული წარმომავლობისა იყო. ფრანჩესკოსთან ერთად მას მოჰყვა აგრეთვე ერთი ჭალარათმიანი მხატვარი. პრინცი ულამაზესი მამაკაცი გახლდათ, რომლის ბადალი იშვიათად მოიძებნებოდა ქვეყანაზე და რითაც იგი ნამეტნავად გამოირჩეოდა თავისი ძმისაგან. იგი აშკარად სჯობდა პერცოგს მოჭარბებული ენერგიით და გონებრივი ძალმოსილებითაც. პრინცმა უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა პერცოგის ახალგაზრდა მეუღლეზე, რომელიც კეკლუცი და მჩქეფარე ყმაწვილქალი იყო და მასთან შედარებით მისი უავგუსტოესი მეუღლე ზედმეტად ცივი და ზედმეტად თავდაჭერილი ჩანდა. პრინციც ძლიერ მოიხიბლა თავისი ძმის მზეთუნახავი ცოლით. ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ ცოდვას ჩადიოდნენ, ისე მინებდნენ გულიდან მოხეთქილ ზღვარგადასულ გრძნობას და ერთმანეთით დამწვარ-დადაგულები დაუოკებლად მიეცნენ ვნებათა ცეცხლს, ერთ არსებად იქცნენ. სასახლის ბინადართა შორის ერთადერთი ფრანჩესკო იყო, ვინც არანაირად თავის მეგობარს ტოლს არ უდებდა. ფრანჩესკომაც ისეთივე შემოქმედება მოახდინა პერცოგის მეუღლის უფროს დაზე, როგორც პრინცმა პერცოგის მეუღლეზე. ფრანჩესკომ მალე შეიტყო თავისი ბედნიერება, რომელიც პრინცესამ მიანიჭა და საპასუხო გრძნობით განიმსჭვალა მისადმი. ფრანჩესკომ წინასწარ მოფიქრებული წაეშმაკებით ისარგებლა და პრინცესას ნაზი მიდრეკილება ვაჟისადმი გადაიზარდა მგზნებარე, ყოვლისმშთანთქმელ სიყვარულში. პერცოგი მეტიმეტად დარწმუნებული იყო თავისი ცოლის ზნეკეთილობაში და არაფრად მიაჩნდა გესლიანი ჭორები, მის მეუღლეზე რომ დადიოდა. მით უფრო იმიტომაც, რომ პერცოგსა და მის ძმას შორის ურთიერთობები დაიძაბა, რამაც პერცოგის სულიერ განწყობაზე აშკარა კვალი დააჩინა. მხოლოდ ფრანჩესკოს შეეძლო, ვისაც პერცოგი იშვიათი ჭკუა-გონებისა და ცხოვრებისეული გამჭრიახობის გამო ნამეტნავად პატივს სცემდა, წონასწორობა შეენარჩუნებინა და სიმშვიდე მოეგვარა მისთვის. პერცოგს უნდოდა ფრანჩესკო სასახლის კარზე დაეწინაურებინა და უშალლესი თანამდებობა ებოძებინა მისთვის, მაგრამ იგი დასჯერდა პერცოგის პირ-

ველი ფავორიტის იდუმალ უპირატესობას და პრინცესას სიყვარულს. სასახლე თავისდაუნებურად ანგარიშს უწევდა ამ გარემოებას, როდონ ეს იყო, რომ ფარული ურთიერთობებით ერთმანეთთან დაკავშირებული ეს ოთხი არსება თავს ნეტარად გრძნობდა სიყვარულის ამ ელდორადოზე, რომელიც საკუთარ თავს მოუწყვეს, ხოლო სხვა სხვაგვარად შესასვლელად კარი დაუხშეს. ერთხელ პერცოგმა ყველასაგან დაფარულად მოისურვა, რომ სასახლეში დიდი ზარ-ზეიმით მოეწვია იტალიელი პრინცესა, რომელიც ადრე პრინცის საცოლედ ითვლებოდა, ვისაც პრინცი მამისეულ სასახლეში გასცნობია მოგზაურობის დროს და ვისდამიც პრინცესას საგრძნობი გულმიდრეკილება გამოუხატავს. იტალიელი პრინცესა უჩვეულოდ ლამაზი ქალი იყო, სინარნართა და მოხდენილობით გამორჩეული. ამაზე მეტყველებს ის დიდებული პორტრეტი, რომელიც სულ ახლახან იხილეთ სურათების გალერეაში. იტალიელი პრინცესას გამოჩენამ სიცოცხლე ჩაბერა სასახლის პირქუშ, მოწყენილ ყოფას. თავისი მშვენიებით მან ყველა მანდილოსანს გადაამეტა, თვითონ პერცოგის მეუღლე და მისი ულამაზესი დაც კი დაჩრდილა. მას შემდეგ რაც სასახლეს იტალიელი პრინცესა ესტუმრა, ფრანჩესკო მკვეთრად შეიცვალა. თითქოსდა ფარული სევდა-ნალველი უღრღნიდა სულს და სიცოცხლის ყვავილს უჭკნობდა. მჭვუნვარე და უკარება გახდა. ნელ-ნელა გული აიყარა თავის უავგუსტოეს სატრფოზე. პრინცესაც მწუხარე ფიქრები მოეძალა. იგი შეიპყრო მღელვარებამ, რომელიც ვერა და ვერ გადალახა. იტალიელი პრინცესის ჩამოსვლამ პერცოგის მეუღლეს თითქო ხანჯალი ჩასცა გულში. მეოცნებე სულის პრინცესას ფრანჩესკოს სიყვარულმა საბოლოოდ დაუხშო გულის კარი ყველანაირი ცხოვრებისეული ნეტარებისადმი. და ასე ეს ოთხი არსება, რომელთა ბედნიერ ყოფას ყველა შენატროდა, თანაც შურიტაც უცქერდა, ახლა დარდსა და საწუხარს შეეპყრო. ყველაზე უწინ პრინცმა მოიკეთა და თავისი რძლის მკაცრი ზნეობის გამო უძლური გახდა წინ აღდგომოდა იტალიელი ქალის მომაჯადოებელი სილამაზეს. ბავშვურად მიაპიტი სიყვარული პერცოგის მეუღლისადმი, რაიც წმინდა სულიერ ნიადაგზე იყო აღმოცენებული, ჩაიძირა გამოუთქმელი ნეტარების ზღვაში, რასაც იტალიელი პრინცესას ხორციელი დაუფლება აღუთქვამდა. და ისე მოხდა, რომ ძველებურად კვლავ გალიაში აღმოჩნდა, რისგანაც ამ ცოტა ხნის წინათ განთავისუფლდა. რაც უფრო ძალუმად მოედო პრინცს ტრფობის აღი, მით უფრო თვალმისაცემი გახდა ფრანჩესკოს საქციელი. იგი თითქმის აღარც ჩანდა სასახლეში, მარტოდმარტო დაეხეტებოდა ქალაქგარეთ, კვირების მანძილზე გადაიკარგებოდა ხოლმე რეზიდენციიდან. სამაგიეროდ ის იდუმალი მხატვარი, რომელიც ადრე ადამიანებთან ურთიერთობას გაურბოდა, უწინდელზე ბევრად უფრო ხშირად ჩნდებოდა სასახლეში. იგი უმთავრესად თავის სახელოსნოში მუშაობდა, იტალიელმა პრინცესამ რომ მიუჩინა სახლში. მხატვარმა მრავალჯერ დახატა იტალიელი პრინცესა, თითოეული პორტრეტი შეუდარებელი ექსპრესიით იყო შესრულებული, პერცოგის მეუღლეს კი არ სწყალობდა, სურვილიც არ გასჩენია ტილოზე გადაეტანა მისი ხატი, სამაგიეროდ სწორუპოვარი ოსტატობით შექმნა დიდებული პორტრეტი მისი დისა, მართლაც რომ მისი სადარი და შესაფერი, თანაც ისეთნაირად, რომ არც ერთი სე-

ანსის ჩატარება არ დასჭირვებია, იტალიელმა პრინცესამ დიდი გულის-  
ყური გამოიჩინა მხატვრისადმი, თავის მხრივ მხატვარი იმხრომ ინტიმუ-  
რი გალანტურობით ექცეოდა ქალს, რომ პრინცმა ეჭვიანობა დაიწყო.  
ერთხელ პრინცი უჩუმრად შევიდა მხატვრის სახელოსნოში, როცა ეს  
უკანასკნელი თავდავიწყებით მუშაობდა პრინცესას პორტრეტზე, რომ-  
მელსაც ნატურიდან ასრულებდა, ისე დაჟინებით ათვალთვობდა პრინ-  
ცესას სახის უნატიფეს ნაკვთებს, ეტყობოდა, უკიდევანოდ მოხიბლული  
იყო ქალით და მისი უდიდებულესობის ოთახში შემოსვლა სულ არ შე-  
უმჩნევია. პრინცმა პირდაპირ მიახალა, კეთილი ინებე და სხვაგან იმუ-  
შავე, სხვაგან ეძებე სახელოსნო. მხატვარმა მშვიდად დადო ფუნჯი  
და მღუმარედ მოხსნა პორტრეტი მოლბერტიდან. განრისხებულმა პრი-  
ნცმა ხელიდან გამოგლიჯა პორტრეტი და განუცხადა, რაკი სურათზე  
აღბეჭდილი სახე ასე საოცრად ჰგავს ჩემს საცოლეს, ჩემთან უნდა დარ-  
ჩესო. მხატვარმა მშვიდად და აუღელვებლად უთხრა, ორიოდ შტრისს  
დავუმატებ და პორტრეტს საბოლოოდ გავასრულებო. პრინცმა კვლავ  
დადო პორტრეტი მოლბერტზე და ერთი-ორი წუთის შემდეგ მხატვარ-  
მა ნახატი ჰერცოგს დაუბრუნა, თანაც ხმამაღლა გადაიხარხარა. პრინცი  
შეაძრწუნა ამაზრზენად დამახინჯებული სახის ხილვამ, პორტრეტიდან  
რომ შემოსცქეროდა. მხატვარი ხელა გავიდა დარბაზიდან, მაგრამ კა-  
რის ზღურბლს მიახლოვებული შეჩერდა, პრინცს დაფიქრებული, გამგ-  
მირავი მზერა მიაპყრო. მერე ყრუდ და გამომწვევად ჩაილაპარაკა, ახ-  
ლა კი ნამდვილად დაგიდგა აღსასრულის დღე, შენი საქმე წასულიათ.

ეს მოხდა მაშინ, როცა იტალიელი ქალბატონი პრინცის საცოლედ  
იყო გამოცხადებული და რამდენიმე დღეში ქორწილი უნდა გადაეხადათ.  
მხატვრის ამ უდიერ გამოხდომას პრინცმა ყურადღება არ მიაქცია, მით  
უფრო იმიტომაც, რომ მხატვარზე ხმები დადიოდა, ხანდახან სიგიჟე  
წამოუვლის ხოლმეო. ასეთ წუთებში ლამის მთელი დღე უზარმაზარ  
დაგრაგნილ ტილოებს მიშტერებოდა, თანაც გაიძახოდა, სწორედ ახლა  
ვქმნი შესანიშნავ ნახატებსო. ასე დაივიწყა მხატვარმა სასახლე და თა-  
ვის მხრივ არც სასახლეს გახსენებია იგი.

პრინცისა და იტალიელი პრინცესას ქორწილი დიდის ამბით გადა-  
იხადეს ჰერცოგის საბრძანებლოში. ჰერცოგის მეუღლე ბედს შეურიგდა,  
საბოლოოდ ხელი აიღო თავის უმიზნო მიწყვი დაუკმაყოფილებელ ლტო-  
ლვაზე პრინცისადმი. პრინცესა კი სატრფოს დაბრუნებამ კვლავ გააბე-  
დნიერა და გადაასხვაფერა. დიახ, ფრანჩესკო კვლავ გამოჩნდა სასახ-  
ლეში, უწინდებურად და უწინდელზე უფრო მეტად აყვავებული და სი-  
ცოცხლის ხალისით აღვსილი. პრინცს თავის მეუღლესთან ერთად ბინა  
უნდა დაედო სასახლის ერთ ფლიგელში, რომელიც ჰერცოგმა საგანგე-  
ზოდ აუშენა. იგი დიდად გაიტაცა ფლიგელის მშენებლობამ, მთელი  
არსებით იყო ჩაფლული ამ საქმეში. ამ დროს მას მუდამ გარს ეხვია  
არქიტექტორები, მხატვრები, შპალერების გამკვრელები. იგი დღენია-  
დაგ წიგნებში იქექებოდა, ათასნაირ გეგმას, ესკიზსა და პროექტს გა-  
ნიხილავდა, ნაწილობრივ თვითონ იყო შემდგენელი ნახაზებისა და  
პროექტების და უმეტესწილად ცუდად ართმევდა თავს ამ საქმეს. არც  
პრინცს და არც მის საცოლეს უფლება არ ჰქონდათ რაიმე სცოდნოდათ  
ფლიგელის შიგნითა მორთულობა-მოწყობილობაზე, ვიდრე ქორწილის

დღე, გვიანი საღამო არ დადგებოდა. ამ დღეს თვითონ ჰერცოგი გაუძღვა ორივეს უზადო გემოვნებით და დიდის ბრწყინვალეობით შემკულ-მორთული ოთახების გავლით აყვავებული წალკოტის საღარ დიდებულ დარბაზში და დღესასწაული შესანიშნავი მასკარადით დაგვირგვინდა. გვიან ღამით პრინცი ფლიგელში ყრუ ხმები გაისმა. ხმაურობა და რეზონანსი თანდათან შესამჩნევი გახდა, რის გამოც თვითონ ჰერცოგიც გაელვინა. თითქოს წინასწარ იგრძნოთ უბედურება, საწოლიდან წამოვარდა, მცველთა თანხლებით ფლიგელისაკენ გაემართა და უცებ დაინახა, ფართო დერეფანში როგორ მოათრევდა რამდენიმე კაცი მისი ძმის გვამს, რომელიც საძინებელი ოთახის კართან დაგდებული უპოვნიათ. კისერში მახვილჩაცემული აბა წარმოიდგინეთ, რა უსაზღვრო იყო ჰერცოგის შეძრწუნება, პრინცესას სასოწარკვეთა და გულისშემძვრელი მწუხარება ჰერცოგის მეუღლისა. როგორც კი ჰერცოგი გონს მოეგო, თვითონ შეუდგა გამოძიებას, მაგრამ ამაო იყო ყველა მცდელობა, გამოერკვია, როგორ შეაღწია მკვლელმა ფლიგელში ან როგორ მოახერხა იქიდან გამოსვლა, როცა ყველა კარი დერეფანში გამოდიოდა, ხოლო დერეფანს კი მცველები დარაჯობდნენ. ფლიგელის ყველა კუთხე-კუნჭული გულდასმით დაათვალიერეს, მაგრამ მკვლელის კვალს ვერსად მიაგნეს. საგულისხმოა ჩვენება პაჟისა, რომელიც პრინცს ემსახურებოდა. თუ პაჟის ნათქვამს დავუჯერებთ, იმ საღამოს მისი უმაღლესობა დიდად შეშფოთებული იყო, თითქოს გული კარგს არას უგრძნობდა, თავის ოთახში ბოლთას სცემდა. ბოლოს ჩაიკვია, პაჟი კი შანდლით უნათებდა გზას საძინებელი ოთახისაკენ. მერე პაჟს შანდალი გამოართვა და დაითხოვა. პაჟმა თავის ოთახში შესვლა ვერც მოასწრო, როცა შემოესმა დაგუბული შეყვირება, დარტყმის ხმა და იატაკზე დაგდებული სასანთლის ჟღარუნნი. დაუყოვნებლივ უკან გამობრუნდა სიბილით პატარძლის საძინებელი ოთახისაკენ. კართან პირქვე დამხობილი პრინცი დაინახა, ხოლო იქვე ახლო პატარა გასისხლიანებული დანა ეგდო. როგორც კი ეს შემზარავი სურათი იხილა, განგაში ატეხა. ბედუკულმართი პრინცის მეუღლემ გვიამბო, რომ საღამოთი, მას შემდეგ, რაც მოახლე დაითხოვა, ოთახში მაშინვე შევიდა პრინცი უსანთლოდ, საძინებელ ოთახშიც ჩააქრო ყველა სანთელი და ნახევარ საათს საცოლესთან დარჩა, მერე კი წავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი მოხდა მკვლელობა. მკვლელის ვინაობა ვერა და ვერ გაიგეს და ასე გაურკვეველი დარჩებოდა მუდამ, რომ არა პრინცესას ერთი მოახლე, რომლის ოთახი სახელოსნოს გვერდით იყო, კარი კი ღიად დარჩენოდა და მისხით-მისხით მოისმინა ეს ორაზროვანი ლაპარაკი პრინცესა და მხატვარს-შორის, რის შესახებაც ადრე გითხარით. ახლა უკვე ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ სწორედ ეს მხატვარი უნდა ყოფილიყო პრინცის მკვლელი. ბრძანებაც გასცეს მისი დაპატიმრების შესახებ. მოიძიეს და აღმოჩნდა, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, ორი დღით ადრე, მხატვარი თავისი სახელოსნოდან გასულა და უკან აღარ დაბრუნებულა. სად არ ეძებეს, მაგრამ ამაოდ. მხატვარი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცოდა. იგი უაზო-უკვლოდ დაიკარგა. სასახლე ღრმა მწუხარებამ მოიცვა. მთელი რეზიდენცია იზიარებდა სასახლის საწუხარს. მხოლოდ ფრანჩესკოს შეეძლო ერთადერთს, ვინც ამჯერად წამდაუწუმ სასახლეში ტრიალებ-

და, განეფანტა ქუფრი ღრუბლები, გულზე დარდად რომ შემოსწოლო-  
და პერცოგის პატარა ოჯახის წევრებს და იმედის პაწაწკინტელა მანა-  
თობელ სხივად მოვლენოდა მათ უნუგეშო ყოფას.

პრინცესა დაფეხმძიმდა. აშკარა იყო, რომ მკვლელმა ფლიდობა  
ჩაიდინა და უნამუსოდ აცდუნა ახალდაქორწინებული ქალი ამიტომაც  
პრინცესა მოსამშობიარებლად პერცოგის შორეულ ციხე-დარბაზში გა-  
ეშურა, რომ თავიდან მოეცილებინა ამ ჯოჯოხეთური ცთომილების ნა-  
ყოფი, რომ თავისი საწუთროდაბნელებული ქმრის სასირცხოოდ და თავის  
მოჭრად თვალში არ გამოჩხეროდა სასახლის ბინადართ, რომელთა  
წინაშეც გათქვა ქარაფშუტა მოახლემ იმ საბედისწერო ღამეს მომხდა-  
რი ამბავი.

ამ გლოვის უამს ფრანჩესკოს დამოკიდებულება თავისი უწინდელი  
სატრფოსადმი — პერცოგის მეუღლის დისადმი — კიდევ უფრო გან-  
მტკიცდა. ამავე დროს პერცოგი და მისი მეუღლეც ნამეტნავად დაუ-  
მეგობრდნენ ფრანჩესკოს. ფრანჩესკომ პერცოგს გული გადაუშალა, თავისი  
საიდუმლო გაუმხილა. თავის მხრივ პერცოგიც წინ არ აღუდგა  
მეუღლისა და მისი დის თხოვნასა და სურვილს. იგი დათანხმდა ცოლის-  
და მიეთხოვებინა ფრანჩესკოსათვის, ოღონდ ეს ქორწინება ერთხანს  
საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. გადაწყდა, ფრანჩესკო რამდენსამე-  
ხანს უცხო ქვეყნის სასახლეში იმსახურებდა, სადაც იგი უმაღლეს სამ-  
ხედრო ჩინს მიიღებდა, რის შემდეგაც მოხდებოდა საყოველთაო გამო-  
ცხადება პრინცესასთან მისი ქორწინებისა. და ეს შესაძლებელი გახდე-  
ბოდა პერცოგის ახლო კავშირის წყალობით იმ სასახლესთან.

ქორწინების დღეც დადგა. საქორწინო რიტუალს პატარა სამლო-  
ცველოში ესწრებოდნენ პერცოგი და მისი მეუღლე სასახლის ორ სანდო  
პირთან ერთად (რომელთაგან ერთ-ერთი ჩემი წინამორბედი ლაიბ-მე-  
დიკოსი იყო). სამლოცველოს კარს დარაჯობდა ერთადერთი პაუი, რო-  
მელსაც ეს საიდუმლო გაანდეს.

ნეფე-დედოფალი საკურთხეველთან იდგა და პერცოგის მსცოვან-  
მა ღირსპატივმისაგებელმა ხუცესმა ჯერ პარაკლისი გადაიხადა, მერე  
კი მშვიდად შეუდგა აღსრულებას ქორწინების წესისა. უეცრად ფრან-  
ჩესკოს სახეზე მკვდრისფერი დაედო. მერე მთავარ სამსხვერპლოსთან  
მდებარე კუთხის ერთ თაღს მიაპყრო გაქვავებული მხერა და ჩახლეჩი-  
ლი ხმით წამოიყვირა:

— რა გინდა ჩემგან?

იქვე იდგა კუთხის თაღს მიყრდნობილი იდუმალი მხატვარი, უც-  
ნაური შესამოსელი ეცვა, მხრებზე იისფერი ლაბადა მოეგდო და ფრან-  
ჩესკოს ჩაღრმავებული შავი თვალებით გამბურღავად მიმტერებოდა.  
პრინცესას ლამის გული შეუღონდა. ამ შემზარავმა სანახაობამ იქ მყო-  
ფნი ერთ ადგილზე მიაჯაჭვა, მხოლოდ მღვდელი იყო მშვიდად. იგი ფრან-  
ჩესკოს მიუბრუნდა:

— თუ სინდისი სუფთა გაქვს, რად უნდა გაშინებდეს ამ კაცის და-  
ნახვა?

მაშინ სამსხვერპლოს წინ მუხლმოდრეკით მდგარი ფრანჩესკო  
ჟეხზე წამოვარდა, დანა იშიშვლა და მხატვარს მივარდა, მაგრამ ვიდ-

რემდე გულში ჩასცემდა, გულშემოყრილი ძირს დაეცა, თანაც მკერდი-  
დან ყრუ კვნესა აღმოხდა. მხატვარი იმწამსვე გაუჩინარდა, ერთბაშად  
ყველანი გონს მოეგნენ და სასწრაფოდ მივარდნენ ფრანჩესკოს, რომე-  
ლიც მკვდარივით ეგდო მიწაზე. ორმა სანდო კაცმა ჰერცოგის ოთახში  
გადაიყვანა გარეშე თვალთაგან მოსარიდებლად. როგორც ფრანჩეს-  
კო გონს მოეგო, დაჟინებით მოითხოვა, სახლში გამიშვიდონ, თანაც ჰერ-  
ცოგის დასმულ არც ერთ კითხვას პასუხი არ გასცა ეკლესიაში მომხდარი  
საიდუმლოებით აღსავსე მოვლენის გარშემო. მეორე დღეს კი ყველა-  
სათვის ცხადი გახდა ფრანჩესკოს რეზიდენციიდან გაქცევის ამბავი, მას  
პრინცისა და ჰერცოგის მიერ ნასახსოვრები ეველა ძვირფასი ნივთიც  
თან წაეღო. მისი უდიდებულესობა მაინც ცდილობდა გამოერკვია მხატ-  
ვრის მოულოდნელი და იდუმალი გამოჩენის ფაქტი სამლოცველოში,  
რომელსაც სულ ორი გარედან შესასვლელი კარი ჰქონდა. აქედან ერთი  
მათგანი სასახლის შიგა აპარტამენტიდან საუამნოს ახლო მდგარ ლო-  
უბთან გამოდიოდა, ხოლო მეორე კი მიემართებოდა ფართო მთავარი  
დერეფნის ნეფში. ამ კარს დარაჯობდა პაუი, რომელსაც ნაბრძანები  
ჰქონდა შიგ არავინ არ შეეშვა, მეორე კარი კი აჭედელი იყო. სავსებით  
გაუგებარი რჩებოდა, რანაირად შეეძლო მხატვარს სამლოცველოში გა-  
მოჩენა და მერე გაუჩინარება. მხატვარზე აღმართული დანა ფრანჩეს-  
კოს ხელში შეაშეშდა, პაუი კი ამტკიცებდა (სხვათა შორის ეს ის პა-  
უი იყო, ქორწინების იმ ბედუკულმართ საღამოს პრინცს რომ ტანთ გა-  
ხადა და სამლოცველოს კარს დარაჯობდა), სწორედ ეს პაუი ამტკიცებდა,  
აი ეს დანა ეგდო იმ საბედისწერო ღამეს პრინცის უსიცოცხლო სხეუ-  
ლთან, მაშინაც მისი ვერცხლის ბრჭყვიალა ტარი მომხვდა თვალშიო.

ამ იდუმალებით აღსავსე მოვლენების შემდეგ სასახლეში მოვიდა  
პრინცესას ამბავი—სწორედ იმ დღეს, როცა ფრანჩესკოს ქორწილი უნ-  
და ყოფილიყო, შეეძინა ვაჟიშვილი, თვითონ კი მშობიარობას გადაჰ-  
ყვა. ჰერცოგს გული დაწყდა პრინცესას სიკვდილზე, ოღონდ ეს კი თქვა,  
ამ ქორწინების პირველი ღამის საიდუმლო მძიმე კირთებად დააწვებო-  
და მის სულს და ცინ იცის, იქნებ ზოგ-ზოგების თვალში უსამართლო  
ეჭვიც კი გამოეწვია. ამ ჯოჯოხეთური შეცოდების ნაყოფი კი შო-  
რეულ ქვეყანაში იზრდებოდა გრადი ვიქტორინის სახელით. მალე პრი-  
ნცესა (ანუ და ჰერცოგის მეუღლისა იმზომ ღრმად შეძრა და შეაძრწუ-  
ნა ამ ენით უთქმელმა საზარელმა ამბებმა, მონასტერში შესვლა განი-  
ზრახა. სწორედ ეგ არის, როგორც თქვენთვისაც ცნობილია, ბ-ს კარ-  
ტეზიანული მონასტრის აბატისა. რა დიდად გასაოცარია, რომ ამ ცო-  
ტა ხნის წინათ მომხდარი ამბავი ბარონ ფ-ის ციხე-დარბაზში იდუმა-  
ლად უკავშირდება ჩვენს სასახლეში დეტრიალებულ შემზარავ მოვლე-  
ნებს, მეხივით რომ დაატყდა თავს ამ ოჯახს. საქმე ის არის, რომ ყოვ-  
ლად ბრწყინვალე იდუმენ-ქალს გული აუჩვილა სილატაკემ ერთი უპო-  
ვარი საწყალი ქალისა, რომელიც ლოცვებიდან შინ ბრუნდებოდა და  
ცოტა ხნით თავის პაწია ბიჭუნასთან ერთად წმინდა ცაცხვის მონასტე-  
რში შეიარა. აბატისამ აღსაზრდელად აიყვანა...

სტუმრის მოსვლამ ამ ადგილას შეაწყვეტინა ლაიბ-ექიმს თხრობა.  
მე კი ძლივს დავიოკე გულში აბორგებული ქარიშხალი. ახლა უკვე ჩემთ-  
ვის სავსებით ნათელი გახდა, რომ ფრანჩესკო მამა იყო ჩემი, მან პრინცს

სწორედ ის დანა ჩასცა კისერში, რითაც მე ამას წინათ პერმოგენი მო-  
კვალი.

გადავწყვიტე, რამდენიმე დღეში გავემგზავრო იტალიაში, მინდო-  
და თავი დამეღწია მოჯადოებული წრისათვის, რომელშიც იდუმალმა  
ბოროტმა ძალამ შემიყვანა. იმავე საღამოს სასახლის კარზე რომ მივედი,  
ყველა ლაპარაკობდა ერთ მშვენიერ მზეთუნახავ ქალწულზე, რომელიც  
წინა დღით ჩამოსულიყო, რათა პერცოგის მეუღლის ამაღლაში მიეღოთ  
სეფე-ქალად.

კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა პერცოგის მეუღლე უცხო ქალ-  
წულის თანხლებით. მაშინვე ვიცანი ავრელია.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

38. „— აქედან მოუსვი, სატანავ, გასწი აქედან, აჰასფერო, წაეთრიე, საი-  
დანაც მოსულხარ!“ (ფრანგ.).

39. ტკბილი განცხრომით (ლათ.).

40. ე. წ. თავისუფალი მსროლელები. ძველი ხალხური რწმენის თანახმად  
თავისუფალი მსროლელები ეშმაკთან შეკრულნი არიან და მიზანს არახოდეს  
აცდენენ. შეადარე: კარლ მარია ფონ ვებერის ოპერას „თავისუფალი მსრო-  
ლელები“.

41. კათოლიკური სამადლობელი ლოცვა ლათინური სიტყვისაგან gra-  
tia — მადლობა.

42. წულისა და მდინარის ნიშნები ბერძნული მითოლოგიის მიხედვით.

43. ტყის ნიშნები ბერძნულ მითოლოგიიდან.

44. მიეთმოეთობა — ინგლისური სიტყვის Bull-ის შესატყვისი მნიშვნე-  
ლობა — უაზრობა, აბდაუბდა, შეუსაბამობა, აბსურდული შენიშვნა, რომელ-  
საც გონივრული თანმიმდევრულობა აკლია, ამიტომ კომიკურ შემოქმედებას  
ახდენს. საუკუნის ანექდოტთა წიგნებში მრავლად მოიპოვება ირლანდიური  
Bull-ი.

45. ფალსტაფის მსგავსი — შეადარე შექსპირის ისტორიულ დრამას „ჰენ-  
რიხ IV“, მე-2 ნაწ. 1 მოქმ. მე-2 სცენა.

46. კამბიზი — სპარსეთის მეფე, კიროსის უფროსი ვაჟიშვილი (ძვ. წ. მე-  
6 ს.) ბერძენ მწერალთა მიხედვით, სისხლისმსმელი ტირანი.

47. შექსპირის შლეგელისეული თარგმანი. აუგუსტ ვილჰელმ შლეგელი  
(1717-1845), გერმანული რომანტიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი, კონგე-  
ნიალურად თარგმნა შექსპირის ჩვიდმეტი ნაწარმოები.

48. „უბადრუკად თამაშობენ ნაზი მამების როლებს“ — ამ სიტყვებში მი-  
ნიშნებულია საკმაოდ უნიჭო დრამატურგების — კოცებუსა და იფლანდის პი-  
ესებში გამოყვანილ სახეებზე.

49. ფრანც ევგენი, სავოიას პრინცი (1683-1736), უძლეველი ფელდმარ-  
შალი ავსტრიის არმიაში.

50. „შენ ის კაცი ხარ, მთვარეზე რომ ცხოვრობს ძაღლთან ერთად და ხე-  
ლში ევლის ბუჩქი უჭირავს — შეადარე: შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმა-  
რი“, მე-5 მოქმ. 1 სცენა.“

გაგრძელება იქნება



### ზინია

გერმანულიდან

თარგმნა ნონა ფუნაშვილმა

ერთხელ მოხეტიალე ბოშები პატარა სოფლის განაპირას მდებარე ეკლესიის ეზოსთან დაბანაკდნენ. ქალები და ბავშვები მათხოვრობდნენ, კაცები კი ჯაჭვებსა და ბორკილებს ჭედავდნენ. სოფლის მოსახლეობამ მათ ნება დართო იმდენ ხანს დარჩენილიყვნენ, ვიდრე სამუშაოსა და ფულს იშოვიდნენ.

დათქმული ვადა ჯერ არ გასულიყო, როცა ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას ბოშების მიერ დასახლებული ადგილი დაცარიელებული დახვდათ. ისინი დაფლეთილ ტილოგადაკრულ მოჩაქჩაქე მანქანით გამგზავრებულიყვნენ. ბოშების წასვლა არავის გაუგია. ალბათ ღამით გაიპარნენ.

მათმა გაპარვამ სოფლის მცხოვრებნი ააფორიაქა. გლეხის ქალები შინაურ ფრინველს ითვლიდნენ, კაცები ფარდულებსა და თავლებს ათვალთქვებდნენ, მაწანწალებმა ხომ არაფერი მოიპარეს და თან წაიღესო. მალე გამოიჩინა, რომ მათ არაფერი მოუპარავთ. უფრო მეტიც, მათ იქ რაღაცაც კი დატოვეს. ეს იყო პატარა შიშველი ბიჭი, ეკლესიის კედელთან მობიბინე ბალახში რომ იწვა და მშვიდად ეძინა. იგი ორი წლის არც იქნებოდა, თეთრი ქათქათა კანი ჰქონდა და თხელი ქერა თმა. ბავშვი ვაგნერის ქვრივმა იპოვა, ჭარხლის ნაკვეთიდან რომ პრუნდებოდა. იფიქრა, ბიჭი ალბათ ბოშებმა მოიპარეს და გზაზე დატოვეს, რადგან ასეთი გასაცოდავებული არაფერში გამოადგებოდათო.

ქვრივმა პატარა ხელში აიყვანა, შემოატრიალა და კარგად დაათვალიერა, რამე ნიშანი ხომ არ ეტყობათ, გაზეთში რომ გამოექვეყნებინათ და შეშინებული მშობლებისთვის პოვნა გაეადვილებინათ. ბავშვს განსაკუთრებული არაფერი აღმოაჩნდა. მრავალი კვლევა-ძიებისა და განცხადებების მიუხედავად ვერც მისი წარმოშობისა და ვერც ბოშების კვალს მიაგნეს.

ვაგნერის მოხუცმა ქვრივმა ბავშვზე მზრუნველობა იკისრა მიუხედავად თავისი სილატაკისა, თუმცა სიკეთის გამო კი არა, იმ იმედით, რომ მისი მდიდარი მორთულ-მოკაზმული მშობლები წასაყვანად მოვიდოდნენ და ბავშვისათვის მიგებულ მადლს ერთი ასად გადაუხდიდნენ. ქვრივი რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა ანაზღაურების მოლოდინში. სოფლის მოსახლეობამ არ იცოდა, რა მოეხერხებინა მარტოდ დარჩენილი ბიჭისათვის. სოფელში არც დატაკთა სახლი იყო და არც ისეთი ვინმე, გულმოწყალება რომ გამოეჩინა ღვთის გულისათვის. ვის ედარდებოდა ნახევრად მშიერი არსება, რომელზეც ისიც კი არ იცო-



დნენ, მონათლული იყო თუ არა. „ქრისტიანული სახელის დარქმევა არ შეიძლება“, — თქვა ეკლესიის მსახურმა. ვაგნერის ქვრივმა ჰკითხა, აბა რა დავარქვითო? პასუხი კი ვერა და ვერ მიიღო. ბოლოს ბატონმა მასწავლებელმა გადაწყვიტა რაიმე პროვიზორული სახელი დაერქმიათ. ნახევრად ყრუ მოხუცმა ვაგნერმა მხოლოდ სიტყვის ბირთვი — არი მარცვალნი გაიგონა და ბიჭს სახელად პროვი დაარქვა, გვარად კი კირხპოფი, იმ ადგილის სახელი, სადაც იბოვეს. ქვრივის სიკვდილის შემდეგ ყველა ნატრობდა, პროვი მალე გათავისუფლებულიყო ამ ტანჯული ცხოვრებისაგან. საბრალო ბიჭი საჭმლის ნარჩენებით იკვებებოდა, პატარა ბიჭუნებისა და გოგონების გამონაცვალნი დაფლეთილი ტანსაცმელი ეცვა, თავშიშველ-ფეხშიშველი დადიოდა, ყველა სცემდა, ლანძღავდა, ყველას ეზიზღებოდა და არაფრად აგდებდა. სკოლაში რომ შევიდა, მის ამ ორ „ლამაზ“ სახელს მესამე ნაძირალაც მიემატა, რომელსაც შეძლებისდაგვარად ამართლებდა.

იმ სოფელში ერთი ყოჩალი ფარდულის მეპატრონე ქალი ცხოვრობდა. გასულ შემოდგომაზე პროვიმ მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა, უეჭიმოდ გადარჩა სიკვდილს ამ ქალის ფარდულის ერთ-ერთ კუთხეში. მხოლოდ იგი მიდიოდა ყოველდღე ბიჭის სანახავად, დახედავდა, ცოცხალი იყო თუ არა, და ყოველ დილას რძით სავსე პატარა კათხა მოჰქონდა. ქალი გამოჯანმრთელების შემდეგაც აწვდიდა პროვის საუზმეს. ზუსტად ხუთ საათზე ბიჭი უკვე იდგა სასადილოს ზღურბლთან და გაყვიროდა: „რძე მომეცი!“ და მისცემდნენ, თუ არა, მყის გზას გაუდგებოდა. ერთხელ რაღაც უჩვეულო ამბავი მოხდა. ფარდულის მეპატრონის ქმარს, ყოველთვის რომ საწოლში ეძინა, ერთ საღამოს სასადილო ოთახში სკამზე ჩათვლემოდა და ზღურბლზე შემომდგარი პროვის ყვირილმა გამოაღვიძა: რძე მომეცითო!

ნეტავ რა აღრიალებდა ამ თავხედს? რა უნდოდა? კაცი წამოიმართა და გაიზმორა. ერთ ნაწიბურებიან ძველ სკამზე ჩათვლემოდა და ახლა მთელი სხეული ტკიოდა, რის გამოც ცუდ გუნებაზე იყო. ამიტომაც პროვის ღრიალს ღრიალითვე უპასუხა: „შე მაწანწალავ, კი არ უნდა მოითხოვო, უნდა შეიხვეწო! რა, არ შეგიძლია ხვეწნა?“

ბიჭმა უფერული თვალები გადმოქაჩა, ხმელი სახე კიდევ უფრო ჩამოუგრძელდა, დიდი ფერმკრთალი პირი დაალო და წარმოთქვა:

მართლა?

ამ სიტყვის ნაყოფიც მაშინვე მოიმკო. ფარდულის მეპატრონე გამხეცებული მივარდა, საუზმის ნაცვლად ერთი მაგრად უთავაზა და გარეთ გააგდო. ამის მსგავსი პატარ-პატარა შემთხვევები ბიჭზე არავითარ გავლენას ახდენდა. როგორც ყოველთვის, მეორე დღესაც მივიდა მათთან და „თავისი რძე“ მოითხოვა. ქალმა რძე მისცა, თან დაარიგა: „ბიჭო, თხოვნა უნდა ისწავლო საკმაოდ დიდი ხარ, ალბათ უკვე თოთხმეტის. კარგად დაიმახსოვრე, ხვალიდან თუ არ გვთხოვ, რძეს ვერ მიიღებ“. ქალს გაუჭირდებოდა თხოვნაზე უარის თქმა. ეს პროვის სიამოვნებას ანიჭებდა და თავმოყვარეობას უკმაყოფილებდა. ყოველასაგან უარყოფილსა და უსახელო ბიჭს შეეძლო ამ სოფელში მცხოვრები ყველაზე მდიდარი ქალისათვის სიცოცხლე გაემწარებინა და

კუნება წაეხდინა, ნაღვლიანად რომ გაჰყურებდა ქვის მალაროში სამუშაოდ მიმავალ ბიჭს, უსალმოდ რომ ჩაუვლიდა ხოლმე.

პროვი ყოველდღე მუშაობდა გზის გამყვანთან, გასამრჯელოს ნაცვლად მასზე ზრუნვა რომ იკისრა და თავშესაფარი თხის სადგომში მისცა. გზის გამყვანი არ აშინებდა თავის შვილებს ბრწყინვალე ურთიერთობის გამო სხვებივით. მას არ დასჭირვებია თავისი სხუთხეობი-სათვის ცუდი საქმის სწავლება. ისედაც უკვე ყველაფერი იცოდნენ, მეტადრე დახელოვნებულნი იყვნენ ცხოველთა წამებაში. ამას მოწმობდა თხებისა და ბაჭიების, ქათმებისა და სახლის საცოდავი ფინია ძაღლის ნაიარევი ადგილები, დასახიჩრებული ფეხები თუ მოტეხილი ფრთები. პროვი საათობით ტკბებოდა ამ სურათით. უმცროს ბიჭებს ჩიტებს უჭერდა და „სათამაშოდ“ აძლევდა. ამ ოჯახის საწყალი ცხოველებიდან ყველაზე საცოდავი კი ბებერი ფინია იყო. ის მხოლოდ სამ ფეხზე დარბოდა და ცალი თვალით იყურებოდა. მისი მტანჯველთაგან ყველაზე უფროსმა ფეხი დააბიჯა და მოკუნტა, ხოლო ნასროლმა ქვამ ნახევრად დააბრმავა. ამ ნაკლის მიუხედავად ცხვირაწეულ და კუდაპრეხილი ფინია ყოველ უცხო ძაღლს გაბრაზებით უყეფდა ხოლმე, მოხედვას თუ გაბედავდა. მისი ყეფა კარგა ხანს ისმოდა. გზის გამყვანის ბიჭებისა ეშინოდა ფინიას, ხოლო თვითონ იგი კი სძულდა, რადგან ტანჯვა-წამებით დაბადებულ ლეკვებს ჰპარავდა და ერთის გარდა ყველას ტბაში ჰყრიდა.

იმ დროს, როცა პროვი ქვებს ამტვრევდა და ქვიშას ცრიდა, ფინიამ სიბერეში კვლავ დაყარა ოთხი ლეკვი. სამი მაშინვე წყალში უნდა გადაეყარათ, რადგან ძაღლი ისეთი სუსტი და ბებერი იყო, ერთის გამოკვებაც კი ძლივსლა შეეძლო. ისე საცოდავად გამოიყურებოდა, ეტყობოდა, დიდხანს ვეღარ იცოცხლებდა. ერთ დღეს მამამ ლეკვების დახრჩობა უფროს ვაჟს ანტონს მიანდო. ეს ანტონისათვის ამჯერად სიამოვნება აღარ იყო. ფინია ლეკვების გამო ძუ მგელივით იკბინებოდა. „მამას მისი ეშინია, — უთხრა ანტონმა პროვის, — ამიტომ შენთან გამომაგზავნა, წამოდი და ლეკვებს რომ ავაცილო, დრუნჩზე ხელი წაავლე, რომ არ მიკბინოს“.

თხის სადგომის გვერდით მდებარე ფარდულში ერთ მუჭა ჩალაზე მოკუნტული იჯდა შავი ფინია, მუცლის ქვეშ თუ გარშემო პატარები დაუცოცავდნენ, აუხილავი თვალებით ეძებდნენ და რბილი უმწეო თათებით ეხებოდნენ დედას. ბიჭები მიუახლოვდნენ თუ არა, ფინიამ მაშინვე თავი ასწია, აწკმუტუნდა და კბილები დაკრიჭა.

„ჰაიტ შე სულელო საზიზღარო ცხოველო!“ — იყვირა ანტონმა და გაბრაზებული, თან შეშინებული ერთ-ერთ ლეკვს დასწვდა. „ძაღლი დაიჭირე, დაიჭირე, თორემ მიკბენს!“ კარგი იქნება, თუ გიკბენს, გაიფიქრა პროვიმ. თავში სულაც არ მოსვლია აზრად ანტონის სურვილის გამო ძაღლს შეჭიდებოდა. საკუთარი თავდაცვის მიზნით ომის ფანდი იხმარა, მიწაზე გაწვა და საცოდავი ხმით ლაპარაკი დაუწყო: „ოჰ, შე საბრალოვ, შენ არაფერს გერჩი, დამშვიდდი, მხოლოდ ლეკვებს წაფიყვანთ, შენ არა“.

ფინია წამით შეჩერდა და ოდნავ დაიწკმუტუნა. ეს საბრალო არების წკმუტუნი უფრო იყო, ვიდრე გაცოფებულის. პროვის სიტყვე-

ბი ვერ გაიგო, მაგრამ მშვიდ, უწყინარ ხმას მიენდო. რა იცოდა მან ეშმაკობისა და ორპირობის. ადამიანი კეთილი ხმით დაელაპარაკა და ისიც კეთილად განიშსწვალა მის მიმართ. ფინია დაწვა და, პროვი რომ ჰოეფერა, უჩვეულო ნეტარებით მილულა თვალი, დრუნჩი ხელისგულში ჩაურგო და ნაზად, მადლიერებით აულოკა.

— მიდი-მიდი, სწრაფად შეკარი! — დაუყვირა მშვიდმხედობარს. ანტონმა უშალ ხელი სტაცა ლეკვებს, სამივე მკლავში ამოიჩარა და ხის ფარდულიდან გავარდა. შემდეგ დიდი ნაბიჯებით გადაკვეთა ქუჩა და მხიარულად დაეშვა ტბის ნაპირისაკენ მიმავალ ფერდობზე. პროვი სწრაფად დაედევნა. იგი ვერ მოიკლებდა იმ დიდ სიამოვნებას, თუ როგორ დაიხრჩობოდნენ ლეკვები.

საოცარია და ამ წუთიდან ფინიას მეზობლობა პროვისათვის აუტანელი გახდა. მხოლოდ მეჩხერად დაგებული ფიცრები აშორებდნენ მათ საძინებელ ადგილებს ერთმანეთისაგან. ბიჭს ყოველდღე ძილს უფრთხობდა ძაღლის წკმუტუნის. ფინიას თავგზა ჰქონდა არეული, თორემ მიხვდებოდა, რომ ლეკვებს ველარასოდეს დაიბრუნებდა და უნდა შეეწყვიტა მათი ძებნა. თუმცა ბედს მაინც არ ნებდებოდა. დაავიწყდა, რომ ჯერ კიდევ გუშინ ამაოდ დაათვალიერა ყველა კუთხე-კუნჭული. ყნოსავდა, კარს ფხაჭნიდა, ჩალას ფანტავდა და ისევ აგროვებდა, შეშების უკან მიცოცავდა, იმ კუთხეში იქექებოდა, სადაც სამუშაო იარაღები ეწყო. რამდენიმე ბარიც კი გადმოაგდო და შეშინებული მოსწყდა იმ ადგილს. ერთხანს მშვიდად იყო, შემდეგ კვლავ აფორიაქდა და ძებნა განაგრძო. მისმა ხმაურმა გამოაღვიძა ის, ვისაც აბლავლებული ნახირი ისე ჩაუვლიდა, ძილს ვერ უფრთხობდა. ბიჭს რომ ეძინა, შიმშილსა და დაღლილობასაც ეძინა. მაგრამ ძაღლის სირბილმა ღრმა ძილიდან გამოაფხიზლა, ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზე. პროვი იმ ხის ქოხში იწვა, რომლის სახურავს მთელი დღე მზე დაჰყურებდა და ისე ცხელოდა, ჯოჯოხეთშიც კი არ იქნებოდა ასეთი ხვატი... ნუთუ ეს უჩვეულო არ იყო ანდა რაღაც ზებუნებრივი? არა, თქვა ანტონმა, აქ არაფერია ზებუნებრივი. მაგრამ ყველაზე ჭკვიანი ხომ ანტონი არ იყო. პროვის ხანდახან ისიც კი ეჩვენებოდა, რომ ანტონი კარგა დიდი ვირიც კი იყო. თუმცა ამის თქმა არ შეიძლებოდა, თორემ ის და მამამისი მაგრად სცემდნენ. ეს გამოცდილებით იცოდა.

გზის გამყვანთან მას ოსტატები დახვდნენ, რომლებიც ცემითა და შიმშილით კლავდნენ. „გაძენი?“ დაცინვით ეკითხებოდნენ და ისედაც სამათხოვროდ გადაგდებული ლუკმიდან ნახევარს ართმევდნენ.

სხვა მის ადგილზე ამდენს ვერ გაუძლებდა, ფიქრობდა პროვი; მაგრამ მას არ უნდოდა სიკვდილი; უნდოდა ბევრი დრო ჰქონოდა, რომ ადამიანებისათვის ყოველი ბოროტება, რასაც ისინი უკეთებდნენ, ბოროტებითვე გადაეხადა. ზოგის მიერ გაკეთებული სიკეთე კი დიდი ხანია დავიწყებას მისცემოდა. რაც შეეხება ფარდულის მეპატრონე ქალს, იმ ბებერ კუდიანს; პროვი ყველაზე მეტად მასზე ბრაზობდა. ახლა რატომ აღარაფერს ჩუქნიდა ბიჭს, მას ხომ დიდძალი ფული და ბევრი რამ ჰქონდა? ალბათ არც იცოდა, სად წაეღო ამდენი სიმდიდრე და რამდენიმე წვეთი რძისათვის ხვეწნა-მუდარას ითხოვდა. ანდა როგორ

შეპყურებდა თავისი სახლის გვერდით ჩავლილ პროვის... თან გამო-  
წვევით ეუბნებოდა: შემეხვეწე მაინცო, — ის შხამიანი გომბეშო, ისა!  
როგორ ელოდებოდა ხვეწნას. ერთხელ გამოელაპარაკა კიდევ ბიჭს:  
„ხორცშესხმულ შიმშილს ჰგავხარ! კიდევ ვერ ისწავლე ხვეწნა?“ პრო-  
ვიმ უხეშად უპასუხა რალაც და გზა განაგრძო.

გავიდა ერთი კვირა. ფინია ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულყო,  
ლამღამობით ხის ფარდულში ისევ ეძებდა ლეკვებს. ერთხელ მან პრო-  
ვი განსაკუთრებით უსიამოვნო დროს გააღვიძა. იგი გვიან დაწვა ჭუ-  
ჭყიან თივადაგებულ ხის საწოლში, რადგან სამუშაოს შემდეგ გზის გამ-  
ყვანის თხები მუხობელ სოფელში წაიყვანა გასაყიდად. ამ წამებას კი  
ბოლოს არა და არ უჩინდა. ნუთუ რამდენიმე საათიც არ უნდა დაეძინა  
მშვიდად? ფინია კი გამუდმებით რალაცას ეძებდა. პროვი ემუქრებოდა  
და წინლებს ფიცრულ კედელს ურტყამდა. როგორც იქნა, ძალლი დამ-  
შვიდდა. ფიცრის ნატეხი ხმაურით დაეცა ფინიას ახლოს. მან შიშისა-  
გან დაიყეფა, ლეკვმა დაიწკმუტუნა. შემდეგ ყველაფერი მიჩუმდა.  
„ეშმაკმა წაიღოს, ახლა ალბათ დამშვიდდები, ცხოველო, არა?“ ჩურ-  
ჩულებდა პროვი. შემდეგ ისევ დაწვა, მუხლები ნიკაპთან მიიტანა, რა-  
დგან ასე „უკეთ დაიძინებდა“. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. პროვი  
ძალიან დაღლილი იყო და ეძინებოდა, მაგრამ ვერა და ვერ დაიძინა,  
ათასნაირი ფიქრი შემოაწვა, ახალ-ახალი ფიქრებიც კი. დიას, ფინია  
ცხოველი იყო, მაგრამ გამუდმებით ეძებდა თავის პატარებს. თავის დე-  
დასაც რომ ასე გულსყურით მოეძებნა პროვი, უთუოდ იბოვიდა. მის  
შესახებ ხომ გაზეთშიც იყო გამოცხადებული და რაიონულ საბჭოშიც.  
დედამისს კი არც უცდია შეიღის მოძებნა. შესაძლებელია ბოშებმა კი  
არ მოიპარეს, მისმა „უბედურმა“ დედამ აჩუქა მათ და თან ფულიც  
მისცა, რომ წაეყვანათ... ალბათ ესირცხვილებოდა კიდევ პროვი. შე-  
იძლება დიდგვაროვანი იყო, ან გლეხის გოგო ან სულაც სასადილოს  
შეპატრონის ქალიშვილი... წყუულიმც იყოს! ნეტავ სასადილოს შეპატ-  
რონის ქალიშვილი ყოფილიყო და გაეზარდა პროვი. მაშინ ყოველ კვი-  
რა იქეიფებდა და ორშაბათს უსაქმოდ იჯდებოდა სასადილოში ან კეგ-  
ლის მრედანზე გააბოლებდა, დალევდა და იჩხუბებდა. ღმერთივით იც-  
ნოვრებდა, წყუულიმც იყოს ეს ძალლი! კვლავ გაისმა ფინიას ყმუილი,  
ფხაჭხა და პროვის ნეტარი ოცნებები დაუფრთხო. გაბრაზებული წა-  
პოხტა, შეშის ნატერი აიღო, ძირს დაყრილ ფიცრებზე გავლით ხის  
ფარდულში შევიდა, სადაც ძალლი იყო, და იატაკზე რამდენჯერმე ძლი-  
ერად დაახეთქა. ფინია სიბნელეში შიშისაგან მოიკუნტა. ბიჭი ვერ ხე-  
დავდა, სად არტყამდა შეშას. ხან მარჯვნივ გადაქანდებოდა, ხან მარ-  
ცხნივ, ხან წინ და ხან უკან. ბოლოს, როგორც იქნა, ძალლს მიაგნო.  
რბილი, ცოცხალი არსება შეინძრა. გაისმა ხანმოკლე საცოდავი წკმუ-  
ტუნი. ეს ხმა პროვის ყურს მისწვდა. რალაც უჩვეულო ყმუილი იყო...  
აი, ასე, ძალლო, ცოტა ხანს მაინც დამშვიდდები.

მერე თავის საწოლში დაბრუნდა, მოიკუნტა და უმაღლ ჩაეძინა.  
რამდენიმე საათის შემდეგ კვლავ გამოელვიდა. ამოსულმა მზემ ცეცხ-  
ლოვანი სხივები ხის ფარდულის კარის ღრიჭოდან და კედლის ხვრე-  
ლიდან სახეში მიანათა. თვალი გაახილა და წამოდგა. უეცრად ძალლი

ვაახსენდა. ის რომ მოეკლა, მაშინ ცემით მოკლავდა ბიჭს გზის გამყვანი, რომელიც თავის საკუთრების ხელყოფას არავის აპატიებდა. ოღონდ შენ არა! — გაიფიქრა პროვიმ და ათივე თითი მტვრიან თმაზე გადაისვა, გაჩხერილი ჩალის ღეროები რომ მოეცილებინა.

ფიცრებს შუა რალაც შეინძრა. ბიჭი ნელ-ნელა მიუახლოვდა. ეს ფინია იყო, თავის პატარას დრუნჩით რომ მიათრევდა. ძალღს სისხლი პირიდან წურწურით ჩამოსდიოდა მკერდზე. თავისი სისხლით მოთხვრილი ლეკვი პროვის შიშველ ფეხებთან დრუნჩით მიახობა, მის წინ დასვა და ბიჭს შეაჩერდა.

ჰოი საოცრებავ, მის თვალებს მეტყველება შეექლოთ. ისინი ყველანაირ სიტყვებზე უფრო მეტყველნი იყვნენ. მისი მზერა უსაზღვრო ნდობასა და მუდარას გამოხატავდა. მზის სინათლე პროვის დახუჭულ თვალებს მოხვდა და იმ ჯავშანში შეაღწია, მანამდე რომ ბიჭის ყველა კეთილ წადილს მალავდა.

— ეს შენ ხარ, შენ! — აღმოხდა ბიჭს. ძალღი ფეხზე ვერ დგებოდა, ტოკავდა, სხეულს ჭიმავდა... როგორ გაიმეტა პროვიმ იგი სასიკვდილოდ! ახლა კი მოვიდა ეს მომაკვდავი ფინია და თავისი პატარა ჩააბარა.

ბიჭი ცახცახებდა. რალაც უცნაურმა ძალამ ქარიშხალივით დაუარა, ძირს დასცა და აიძულა სახე მკვდარი ძალღის სახისათვის მიეყრდნო, დაეკოცნა და მოფერებოდა. „შენ არ უნდა მომკვდარიყავი, შენ ხომ ნამდვილი დედა იყავი!“ ბიჭს თითქოს გული შუაზე გაეპო, სირცხვილი სულით ხორცამდე სძრავდა. თანაგრძნობის ღვთიური ტკივილით შეპყრობილი ქვითინით დაეცა მიწაზე და დასტიროდა ბებერ ფინიასა და მის პატარას, თავის დედას რომ ეკვროდა, წკმუტუნებდა და საზრდოს ეძებდა ადრე ძლივს მომდინარე, ახლა კი მთლად დამშრალ წყაროდან.

— მორჩა, ველარაფერს მიიღებ დედისაგან, — თქვა პროვიმ, ლეკვი ხელში აიყვანა, ლოყაზე მიიხუტა და სუნთქვით გაათბო. პატარა ცახცახებდა და საცოდავად წკმუტუნებდა. „გშია, საბრალოვ, გშია? ნუ გეშინია, არაფერს გერჩი..“ რა ვაჭამო? — ფიქრობდა ბიჭი. ის წყეული თხები რომ აქ ყოფილიყვნენ, ერთს მაინც მოწველიდა, თუნდაც დაესაჯათ. მაგრამ ისინი შორს იყვნენ და, ვიდრე ვინმე ერთ წვეთ რძეს გაიმეტებდა გზის გამყვანის ოჯახიდან, დიდი ხანი გაივლიდა. გაიგებდნენ თუ არა, რომ ფინია მკვდარი იყო, ლეკვს მაშინვე წყალში ისროდნენ.

— წყალში გადაგადებენ“, — უთხრა ბიჭმა ლეკვს, რომელიც დედამ ჩააბარა. პატარა კისერზე ეკვროდა პროვის, ყურის ბიბილოებს უწოვდა და შიმშილს ყმუილსა და წკმუტუნით იკლავდა.

— შენ არაფერს გერჩი! — ეუბნებოდა ბიჭი, მაგრამ რითი უნდა გამოეკვება, არ იცოდა. პატარა ხომ ყველაფერს ვერ შეჭამდა... წყეული გომბემო! პროვიმ უეცრად დახმარების გზა იპოვა. ის წყეული გომბემო, ისა! ამ საშუალების გამოყენებას შიმშილი სჯობდა, მაგრამ ეს ვადაწყვეტილება მტკიცედ ჩაებეჭდა ზემოავსტრიული სიჯიუტით... უნებურად რალაც ამოუტივტივდა გონებაში, რაზედაც გუშინ წარმოდ-

გენაც არ ჰქონია. სხვისი მოშიება ხომ უარესი იყო, ვიდრე თავად შიმშილი. პატარამ ყურის ბიბილოების ლოკვა შეწყვიტა, ამით ხომ ვერ დანაყრდებოდა. სასოწარკვეთილმა დახუჭა ოდნავ გახელილი თვალები. პროვი გრძნობდა, რა ნელა უცახცახებდა საბრალოს სხეული.

დაღონებულმა ბიჭმა ფრთხილად დახედა მკვდარ ფინიას, დიას, თუ ლეკვის სიცოცხლე გინდათ, დედა არ უნდა მოუკლა.

აბა წავედით! პროვი მყის წამოხტა, ხის ფარდულიდან გამოვარდა და სოფლისაკენ გასწია. არც მარჯვნივ იყურებოდა და არც მარცხნივ, შეუჩერებლად, კბილების კრაჭუნით მიიჩქაროდა.

მინდვრად სიმშვიდე იყო. მხოლოდ სახლების შორიანლო მიდამოს ეტყობოდა გამოცოცხლება. ძილს მოწყურებული ერთი საბაზის ბიჭი ქუჩის გავლით ჭისაკენ მიემართებოდა, გლუხის ყმა კი ჩასუქებულ წითურა ბედაურს ეტლში აბამდა. სასადილოს კარიდან მოხუცი მოსამსახურე ქალი გამოჩნდა, პროვის ძველი მტერი. იგი უნდოდ აკვირდებოდა ბიჭს, შემდეგ მუშტი მოუღერა და უბრძანა იქიდან მოესვა. პროვისათვის ამას ხელი არ შეუშლია, ქალს ისე ჯიუტად ჩაუარა გვერდი, თითქოს თავით კედლის განგრევას ცდილობსო. ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ, მკერდზე დაბჯენილი ნიკაპით სამზარეულოს ღია კარში შევიდა. ქურასთან მდგარი სასადილოს მეპატრონე ქალი შემოტრიალდა... ბიჭი შეშინებული შეჰკურებდა, ხმა კი ისეთი ხრინწიანი ჰქონდა, თითქოს ყელი ჩაეხლიჩაო. და მერე ძლივს ამოღერდა: „ფარდულის მეპატრონე, ქალბატონო ფარდულის მეპატრონე, გთხოვთ, რძე მომეცით“.

ეს იყო ადამიანის გულისა და ბედის დიდი გარდაქმნა.





სუფთა, კარგად განათავსული ადგილი



საქართველოს  
ბიზნეს-ცენტრი

ინგლისურიდან

თარგმნა მკაბა ჭიანჭველიძე

გვიან ღამით კაფეს ერთადერთი ბერიკაცოვანი შერჩენოდა. მკვეთრი ელექტროშუქისაგან მის სახეს ხის ფოთლების ჩრდილი იცავდა. დღისით მტვრის ბული იდგა ხოლმე ქუჩაში, მაგრამ ამ დროს ნამი დაეცემოდა მტვერს და მოხუცს გვიანობამდე უყვარდა აქ ყოფნა. ყურთ არ ესმოდა. მაგრამ ღამის სიმშვიდეში შინაგანად თითქოს რაღაც განსხვავებას გრძნობდა. კაფეში ორმა ოფიციალტმა კარგად იცოდნა, უკვე შეზარხოშებული რომ იყო მოხუცი და სხვადროს კარგი მუშტარი თუ გაილეშებოდა, ფულს არ გადაიხდიდა, ისე წავიდოდა. ამიტომ ორივეს ფხიზლად ეჭირათ თვალი მასზე.

— წინა კვირას თავის მოკვლა უცდია თურმე, — თქვა ერთმა.

— ვითომ რატომ, რა მიზეზით?

— განა რა მიზეზი უნდა ჰქონოდა?

— რა იცი, რომ არ ჰქონდა?

— ფული მაგას არ აკლია და...

კარის მხარეს კედლის მაგიდას შემომსდარნი დაცარიელებულ ტერასას გაჰყურებდნენ და მოხუცის ერთადერთ განსხვავებულ, მოჩრდილულ მაგიდას, რომლის თავზეც ქარი ოდნავ არხევდა ხის ფოთლებს. ქუჩაში ვიღაც გოგომ და ჯარისკაცმა ჩაიარეს. ღამპიონის შუქზე გაიბრწყინა სპილენძის ციფრმა ჯარისკაცის საყულოზე. გოგოსი მხოლოდ უქუდო თავი ჩანდა; ის სწრაფი ნაბიჯებით მისდევდა ბიჭს გვერდით.

— მაგას პატრული აიყვანს, — თქვა პირველმა ოფიციალტმა.

— ეგ არაფერი. მთავარია, საწადელი აისრულოს.

— მაგას ისა სჯობდა, ახლავე გაეხვია ამ ქუჩიდან. ნახე, თუ პატრულმა არ ჩააგლოს. ხუთი წუთის წინ ჩაიარა.

— სამ დროს ბერიკაცმა ღამბაქუე ჭიქა დააკაკუნა. ახალგაზრდა ოფიციალტი მისკენ წავიდა.

— რა გნებავთ?

— მოხუცმა ახელა.

— ბრენდი მინდა კიდევ; — უთხრა.

— მოგეკიდებათ; — უთხრა ოფიციალტმა. ბერიკაცმა ისევ ახელა და ოფიციალტიც გაეცალა.

— ეტყოფა, ამაღამ აქ აპირებს დარჩენას; — უთხრა მეგობარს.

— შენი არ ვიცი და მე კი მაგრა მეძინება. სამ საათამდე ლოგინს ვერ ვალწევ; ესაა საქმე? ნეტა მამშინ მოეკლა თავი.

— მერე დახლიდან ბრენდის ბოთლი და ახალი ღამბაქი გამოიღო, ბერიკაცის მაგიდასთან მივიდა და შეუვსო.



— გასულ კვირას თავი უნდა მოგეკლა, — უთხრა ყრუს. მოხუცმა თითოთ ანიშნა, ცოტა კიდევო. ოფიციალტმა იმდენი დაასხა, რომ ბრენდი ჭიქიდან ზემო ლამბაქზე დაედინა.

— გმადლობ, — უთხრა ბერიკაცმა. ოფიციალტი შებრუნდა, ბოთლი ისევ კაფეში შეიტანა და მეგობარს მიუჯდა.

— ახლა კი უკვე ნაღდად მთვრალია, — უთხრა.

— ყოველდამ ასე ხდება.

— თავს რაღაზე იკლავდა?

— აბა რა ვიცი.

— როგორ იკლავდა?

— თოკზე ჩამოეკიდა.

— მერე ვინ ჩამოხსნა?

— ძმისწულმა მიუსწრო.

— ნეტა რა ძალა ადგა?

— მისი სულის გამო შეეშინდა.

— ფული რამდენი აქვს?

— ბევრი.

— ალბათ ოთხმოცს უკაკუნებს.

— ყოველ შემთხვევაში, ასე გამოიყურება.

— ეჰ, ნეტა სახლში წავიდოდეს. თორემ სამ საათამდე დაძინება არ მიწერია. აბა მითხარი, შეიძლება ასეთ დროს წვებოდეს კაცი?

— მოსწონს ეგრე და იმიტომ ფხიზლობს.

— ეგ მარტოდ მარტო გრძნობს თავს. მე არა ვარ მარტოდ-მარტო, ლოგინში ცოლი მელოდება.

— იყო დრო, მაგასაც ჰყავდა ცოლი.

— ახლა ცოლი აღარაფერს არგებდა.

— მაგას ვერ იტყვი. იქნებ ცოლთან უკეთესად ეგრძნო თავი.

— ძმისწული უვლის, მგონი, ამბობდი, ძმისწულმა ჩამოხსნაო, არა?

— ჰო, ვიცი, ვიცი.

— ეჰ, ძმაო, არ მინდა მე მაგისტანა სიბერე. საშინელებაა, ეგრე რომ ბერდება კაცი.

— ყოველთვის არა. ეს ბერიკაცი სუფთა კაცია, ნახე, როგორა სვამს, წვეთი არ ეღვრება. აბა, შეხედე, რა მთვრალია და მაინც...

— რა უნდა შევხედო. ნეტა შინ წასულიყო. მუშა ხალხი მაგას ფეხებზე ჰკიდია.

მოხუცმა თავი ასწია, ჯერ მოედანს გახედა, მერე ოფიციალტებს.

— ბრენდი მინდა, — თქვა და ჭიქაზე მიანიშნა. მასთან ისევ ის ოფიციალტი მივიდა, სახლში რომ ერქარებოდა.

— მორჩა, — უთხრა მოკლედ და მრავალსიტყვაობისგან თავი შეიკავა, როგორც ამას სულელები აკეთებენ ხოლმე, როცა მთვრალებს ან უცხოელებს ესაუბრებიან. — ამაღამ მეტი აღარ იქნება. დაამთავრეთ.

— კიდევ მინდა, — ჩაილაპარაკა ბერიკაცმა.

— არა. მორჩა. — ოფიციალტმა მაგიდის კიდე ტილოთი გადაწმინდა და თავი გააქნია.

მოხუცი წამოდგა, ლამბაქები გადათვალა, ჯიბიდან ტყავის საფულე ამოიღო, სასმელისთვის გადაიხადა და ნახევარი პესეტაც ისე დაუტოვა.

ოფიციალტი უყურებდა, როგორ დაუყვა ქუჩას ქანავ-ქანავით ეს მთვრალი ბებერი კაცი, და მაინც რა ღირსეულად ეჭირა.

— გედროვა დარჩენილიყო და დაეღია, — უთხრა ოფიციალტი მეგობარს, როცა დარაბებს ხურავდნენ.

— ჯერ სამის ნახევარიც არაა.

— სახლში წასვლა მინდა, დაწოლა და მოსვენება.

— ერთი საათი გინდა იქით ყოფილა, გინდ აქეთ.

— მაგ ერთ საათს ჩემთვის დიდი ფასი აქვს.

— ერთი საათი ერთი საათია.

— შენ რა ბერიკაცივით ლაპარაკობ. წავიდეს, სასმელი იყიდოს და სახლში გამოთვრეს.

— ეს სულ სხვა რამეა.

— ჰო, სულ სხვა რამეა, — დაეთანხმა ცოლიანი ოფიციალტი. არ უნდოდა უსამართლო ყოფილიყო. უბრალოდ ერქარებოდა და რა ექნა.

— შენ? შენ კი არა გაქვს სახლში დაგვიანების შიში?

— მაწყენინო გინდა?

— არა, ძმობილო, გეხუმრე მხოლოდ.

— არა, — უთხრა იმან, ვისაც ერქარებოდა, ჩამოწეული ჟალუზები ჩარაზა და წამოდგა. — მე ნდობა მაქვს. ამით ვსულდგმულობ.

— შენ ჯეელი ხარ, ნდობაც გაქვს და სამსახურიც, — უთხრა უფროსმა ოფიციალტმა. — შენ ყველაფერი გაქვს.

— შენ რაღა გაკლია?

— სამუშაოს გარდა ყველაფერი.

— მე რაცა მაქვს, ის შენცა გაქვს.

— არა. ნდობა და რწმენა არასოდეს მქონია. აღარც ჯეელი ვარ.

— კარგი ერთი, მორჩი სისულელეებს და დაადე კლიტე.

— მეც ერთი იმათგანი ვარ, კაფეს გვიანობამდე რომ შერჩებიან ხოლმე, — უთხრა უფროსმა ოფიციალტმა. — იმათთან ჯდომა მიყვარს, ვისაც ძილი არ ეკარება და ღამე სინათლე სჭირდება.

— სახლში უნდა წავიდე, დაწოლა და მოსვენება მინდა.

— მე და შენ სხვადასხვა ჯურის ხალხი ვართ, — უთხრა უფროსმა ოფიციალტმა. ახლა უკვე ჩაცმული და გამზადებული იყო სახლში წასასვლელად. — საქმე მარტო ახალგაზრდობასა და რწმენაში როდია, თუმცა ძალიან ღამაზია ეგ ყველაფერიც. ყოველ ღამე, კაფეს რომ ვკეტავ, გული მეთანაღრება, ვაითუ აქაურობა ვინმეს ძალიან სჭირდებოდეს-მეთქი.

— შე კაცო, ისეთ ღვინის სარდაფებს რა გამოლევს ამ ქალაქში, მთელი ღამე რომ მუშაობენ.

— არ გესმის. ეს სუფთა და გულმისავეალი კაფეა, კარგად განათებული. ამ დროს აგერ ფოთლების ჩრდილიც ჩნდება ხოლმე.

— ღამე მშვიდობისა, — უთხრა ახალგაზრდა ოფიციალტმა.

— ღამე მშვიდობისა, — გამოეპასუხა უფროსი. შუქი რომ ჩააქრო, საუბარი საკუთარ თავთან განაგრძო. რა თქმა უნდა, სინათლე კარგია, მაგრამ ადგილი სუფთა და გულმისავეალი უნდა იყოს. მუსიკა არაა საჭირო. არა, ნამდვილად არაფერში გჭირდება. არც ის გამოგდის კაცს, ღირსების გრძნობით დადგე დახლის წინ, თუ მტკიცად მტკიცად როს სხვა არც არაფერი გევალება. მაგრამ რისი ეშინოდა? არა, არ იყო ეს შიში და არც ძრწოლვა. ეს რაღაც ძალიან კარგად ნაცნობი არარა იყო. არარა იყო ეს ყოველივე და არარა იყო ადამიანიც. მეტი არაფერი და მხოლოდ სინათლე სჭირდებოდა ამას, ცოტა სისუფთავე და წესრიგი. ზოგიერთი მთელი ცხოვრება ასეა ხოლმე და ვერაფერს გრძნობს მაინც. მაგრამ მან იცოდა, ეს რომ nada<sup>1</sup> იყო და კვლავ და კვლავ nada. nada ჩვენო, რომელი ხარ nada შინა, nada იყავნ სახელი შენი, მოვედინ nada შენი, იყავნ nada შენი, ვითარცა nada შინა, ეგრეცა nada ხედა, პური ჩვენი nada მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ nada ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ nada მათ ჩვენთა და ნუ შემოყვანებ ჩვენ nada, არამედ მიხსენ ჩვენ nada-საგან.

მერე გაეცინა და დახლის წინ დადგა, ყავის პრიალა მადულარას გვერდით.

— შენ რაღას დალევ? — შეეკითხა ბარმენი.

— არაფერს.

— Otro loco mas, — ჩაილაპარაკა ბარმენმა და ზურგი შეაქცია.

— აი ამ პატარა ფინჯანში დამისხი, — უთხრა ოფიციაანტმა. ბარმენმა დაუსხა.

— კარგი სინათლეა, თვალს სიამოვნებს, მაგრამ ბარს ცოტა სისუფთავე აკლია.

ბარმენმა გახედა, მაგრამ არ უპასუხა. უკვე ძალიან გვიან იყო საამისოდ.

— კოპიტას კიდევ დალევ? — შეეკითხა.

— არა, გმადლობ, — უპასუხა ოფიციაანტმა და გავიდა. ვერ იტანდა ბარებსა და ღვინის სარდაფებს. სუფთა, კარგად განათებული კაფე სულ სხვა იყო. მაგრამ ახლა ფიქრებით აღარ შეიწუხებდა თავს, პირდაპირ სახლში წავიდოდა, თავის ოთახს, ლოგინს მიაშურებდა და განთიადის დადგომასთან ერთად ძილს მისცემდა თავს. ბოლოს და ბოლოს, გაიფიქრა, ალბათ უძილობის გამო ვარო ასე, ამისგან კი სხვაც ბევრი იტანჯება.

1. არაფერი, არარა (ესპ.).

2. აი კიდევ ერთი შერეკილი (ესპ.).

ლექსი



საქართველოს ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თარგმნა მზინა ჩოგოვაძემ.

დავბრუნდები, იმის და მუდამ კარგად

კრისტალები

ო, კრისტალებო, ყვავილედებო  
წყვდიადმოცული დედაშიწისა,  
ქვეყნად ყვავილი არა ჰყვაოდა  
უამსა თქვენისა აყვავებისა.

წყვდიადისაგან ჩამოიწრიტა  
თანდათანობით სხივმნათი ბროლი  
იმისათვის, რომ კრისტალს მოეცვა  
დაუტეველი უსაზღვრო შორი.

მკრთალია შუქზე; მაგრამ  
ჩირალდნად  
წმინდა სანთელი ამ კრისტალისა  
გიზგიზებს ბნელში... და ბნელეთშია  
სწორედ საწყისი ყველა სხივისა.





ქრისტა ვოლფი და მისი „კასანდრა“

„კასანდრა. მაშინვე დავინახე იგი. მან, თავად ტყვემ, მე დამატყვევა, თავად სხვისმა სამიზნემ, მე დამიპყრო... ჯადომ უმაღლვე დაიწყო მოქმედება. ყოველი სიტყვა ზღეროდა მისი. ეს იყო უპირობო ნდობა. სამი ათასი წელი — თითქოს არც ყოფილა. გაამართლა ნათელმხილველის ღვთიობობებულმა ნიჭმა, გამტყუნდა მხოლოდ აპოლონის სიტყვა, რომ კასანდრას არავინ დაუჯერებდა“...

ქრისტა ვოლფის ეს სიტყვები „კასანდრასათვის“ ავტორისეული კომენტარის სახით დაწერილი „ოთხი ლექცია“ ნათლად ასახავს იმ ურთიერთწვდომას, რაც ბედნიერ შემთხვევაში ავტორსა და გმირს შორის მყარდება ხოლმე.

ვიდრე „კასანდრაზე“ მუშაობას შეუდგებოდა, ქრისტა ვოლფი საბერძნეთში გაემგზავრა, სადაც ინტერესით ეცნობოდა კრეტა-მიკენის კულტურის ძეგლებს. ჩაფიქრებული მოთხრობისათვის ხორცშესასხმელად საფუძვლიანად სწავლობდა მითოლოგიასა და არქეოლოგიას. იგი არც კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი იყო და არც ძველი მსოფლიოს ისტორიისა. მაგრამ იმ მოკლე დროში — მოგზაურობიდან წიგნის დაწერამდე — მან თვითგანათლების უდიდესი გზა განვლო: წაიკითხა უამრავი წიგნი, ჩაუღრმავდა საგანს. „როცა ირაკლიონიდან ავტობუსით კნოსოსისაკენ ვავემგზავრე და ყოფილი სასახლის ეზოში აღმოვჩნდი, ძალზე მცირე რამ ვიცოდი. ეს ერთსა და იმავე დროს კარგიც იყო და ცუდიც“, — წერს ქრისტა ვოლფი მოგვიანებით თავის კომენტარებში. თავდა-

პირველი მცირეოდენი ცოდნის სასიკეთო მხარეში ავტორი ალბათ იმას გულისხმობდა, რომ იგი თავისუფალი იყო რაიმე წინასწარშექმნილი აზრებისაგან, მისი ხედვა სავესებით მისეული იყო, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ფართო განზოგადებისა და აზრის თავისუფლებისათვის.

მოთხრობა „კასანდრას“ შემდეგ ქრისტა ვოლფმა დაწერა „ოთხი ლექცია“, რომლებიც მოცულობით თვით მხატვრულ ქმნილებას აღემატება და ერთი მხრივ დამოუკიდებელი ნაწარმოებია, მეორე მხრივ კი მოთხრობა და ლექციები ხსნიან და ავსებენ ერთმანეთს. „კასანდრა“ პირველად მაშინდელ გდრ-ში ამ ოთხ ლექციასთან ერთად გამოიცა (ბერლინი, 1983 წ.). წიგნს ასეც ერქვა: „Kassandra. Vier Vorlesungen“ („კასანდრა. ოთხი ლექცია“).

„ლექციებში“ ძირითადად აღწერილია ავტორის მოგზაურობა საბერძნეთში 1980 წელს. „...ჩემი მიზანი მხოლოდ მითის გაცოცხლება როდი იყო, — ვკითხულობთ „ლექციებში“, — მოთხრობა ჩაფიქრებულია, როგორც გაფრთხილება“, ტროას მირაჟი, რომელიც ავტორს განუწყვეტლივ თან სდევს, მხოლოდ წარსულისკენ კი არაა მიმართული, არამედ „თავისებური უტოპიის მოდელია“.

ძველისძველ მითში ტროას მითიური მეფის ასულის კასანდრას შესახებ, რომელმაც ბერძნებისა და ტროელების ომის დროს ტროას დაღუპვა იწინასწარმეტყველა, ქრისტა ვოლფმა დაინახა ის მარცვალე, რომელიც მითის სრულიად აქტუალუ-

რი მიზნით გამოყენების საშუალებას იძლევა: „განა ბირთვული ომი, თუკი მას თავიდან არ ავიცილებთ, არ გაანადგურებს ჩვენს ცივილიზაციას?“ სწორედ ამ რიტორიკულ კითხვაზე პასუხის გაცემის სურვილია მთელი ნაწარმოები.

ბერძნული მითების ძუნწი ცნობები, პოეტურად გარდასახული პომპროსის „ილიადასა“ და ესქილეს „ორესტეაში“, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ტროელი ნათელმხილველის მწარე ხვედრსა და მის მაღალზნეობრივ თვისებებზე. ტროას მეფის პრიამოსისა და დედოფალ ჰეკაბეს უსაყვარლეს ასულს, მოუსვენარ კასანდრას, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი დაძმისაგან განსხვავებით სოციალურ და პოლიტიკურ დაინტერესებას იჩენს, არ სურს დედისა და დების მსგავსად გათხოვდეს და ოჯახს გაუძღვეს. იგი ცნობისწადილითაა შეპყრობილი. იმ დროში კი მაღალი წარმოშობის ქალისათვის ერთადერთი შესაძლებელი პროფესია ქურუმობა, ნათელმხილველობა იყო. აპოლონმა უბოძა მას ნათელმხილველის ნიჭი, მაგრამ, რადგან კასანდრამ უარპყო იგი როგორც ქალმა, აპოლონმა სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ კასანდრას წინასწარმეტყველებისა არავის დაეჯერებინა. ტროელებმა ყურად არ იღეს კასანდრას სიტყვები, როცა მან გააფრთხილა თავისი ძმა პარისი, არ მოეტაცებინა სპარტის მეფის მენელაეს ცოლი, მშვენიერი ელენე. ომის გაჩაღების შემდეგ კი ამაოდ ცდილობდა შეეგონებინა თანაქალაქელებისათვის, არ შემოეყვანათ ტროაში ხის ცხენი, რომელშიც თურმე, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მტრის შეიარაღებული მეომრები იყვნენ ჩასაფრებული. ამრიგად, მან ვერც ბერძნებთან საომარი კონფლიქტის თავიდან აცილება შეძლო და ვერც ტროას გადარჩენა.

ქრისტა ვოლფის მოთხრობაში მითიურმა სიუჟეტმა ორიგინალური მხატვრული გადაშუშალება განიცადა. მოქმედების განვითარება, მოვლენების მოტივირება და ზოგიერთი პერსონაჟიც — ავტორის მხატ-

ვრული წარმოსახვის ნაყოფია. მისი მიზანია, როგორც თავად ამბობს, გამოიყვანოს კასანდრას სახე მითიდან სოციალურ-რიტორიულ კოორდინატებზე. როგორც ცნობილი ლიტერატურათმცოდნე სან პეტრი წერს, ავტორმა „თავისი გონითა“ და ტალანტით გააცისკროვნა ტრაგიკული ფიგურა ქურუმში ქალისა, რომელმაც იცოდა, რომ მისი ქალაქი უნდა დაღუპულიყო, თვით მას კი საქონელივით დაჰკლავდნენ; და შექმნა ძლიერი, თამამი, ნოვატორული ნაწარმოები ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.<sup>1</sup>

„ლექციებში“ ქრისტა ვოლფს მოჰყავს ნაწყვეტი თომას მანის წერილიდან, რომელიც მას 1941 წელს თავის მითოლოგიურ რომანზე „იოსები და ძმანი მისნი“ მუშაობისას მეცნიერ კარლ კონერისათვის მიუწერია: „... ახლა ჩემი სტიქიაა მითი პლუს ფსიქოლოგია. უკვე კარგა ხანია, ამ შეხამების მხურვალე მომხრე ვარ. ფსიქოლოგია ხომ ფაქტობრივად ერთადერთი საშუალებაა, გამოეტაცოთ მითი ბნელეთის მოციქულთ და ჰუმანურობის სფეროში გადმოვანაცვლოთ იგი“.<sup>2</sup>

ვოლფის მოთხრობაც ამ საძირკველზეა აგებული — მითი პლუს ფსიქოლოგია. მოქმედ პირთა ფიქრების, გრძნობების, განცდებისა თუ საქციელის ფსიქოლოგიური ანალიზი აძლიერებს ნაწარმოების ომისსაწინააღმდეგო პათოსს.

ისევე როგორც თომას მანისათვის, ქრისტა ვოლფისთვისაც უეჭველია მითის გრძნობად-სახიერი, უშუალო-ინტუიციური მხარე, მაგრამ არც მეორე მხარე რჩება მხედველობიდან: მითის რეალისტური ფესვები, მისი ინტელექტუალური, ცნობითი მომენტები. მითოლოგიის წიაღში ხომ ის ჩანასახები იმალება, რომლებიც შემდეგ რაციონალურ-ლოგიკური აზროვნების გაშლილ სისტემად განვითარდებიან. სინამდვილის უშუალო სახეებში აღქმა არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ადამიანურ გონიერებას! და ქრისტა ვოლფსაც თომას მანის მსგავსად სწამს, რომ მითოლოგიური მომენტი ხელოვნების სფეროში მხოლოდ

გონზე დაქვემდებარებული სახით შეიძლება არსებობდეს და არა მისგან განცალკევებით.

მთელი მოთხრობა, დაწყებული მეორე აბზაციდან ბოლომდე, უკანასკნელი ორი სტრიქონის გამოკლებით, კასანდრას შინაგანი მონოლოგია მიკენის სასახლის კარიბჭის წინ. პირველი აბზაცი ავტორის საბერძნეთში მოგზაურობის გახსენებაა: „აქ მოხდა ეს იქ იდგა იგი...“ მწერალმა საკუთარი თვალთა ნახა ის კარიბჭე, რომლის წინაც იდგა კასანდრა, მეფე აგამემნონის ტყვე, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში. მან იცის, რომ აგამემნონს მისი ცოლი კლიტემნესტრა და ცოლის საყვარელი ეგისტოე მოჰკლავენ; იცის ისიც, რომ ძალაუფლების მოყვარული დედოფალი არც მას დაინდობს. იცის, რომ ამ კარიბჭის იქით სიკვდილი ელის, მაგრამ არ ცდილობს გაუქცეს თავის ხვედრს. ავტორმა კასანდრა სულიერი სიმტკიცით, ფაქიზი სინდისით, საკუთარი თავისადმი მომთხროვნელობით, მაღალი ზნეობით დააჯილდოვა. კასანდრა მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი ქალია, რომელსაც ეყო სიმამაცე, ჩარუულიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ სიმამაცის გამო მას ჯერ შეშლილად შერაცხავენ, შემდეგ კი მისი სათაყვანებელი მამა პრიამოსი დილეგში ჩააგდებს. „...ხილვებს, რომლებიც მას ეუფლება, არაფერი აქვს საერთო ორაკულის ნაქადაგართან- იგი „ხედავს“ მომავალს, რადგან ჰყოფნის გამბედაობა, სწორად შეაფასოს თავისი თანადროული მოვლენები...“, წერს ქრისტა ვოლფი ლექციებში. თუმცა ამ გამორჩეული პიროვნებისათვის არც ქალური სისუსტეა უცხო. სასიყვარულო მოტივი კიდევ უფრო ამძაფრებს კასანდრას ლეგენდარულ სახეს: გმირი ენეასი ერთ-ერთი იმ მცირეთაგანია, ვინც ტროელთაგან გადარჩა. მაგრამ კასანდრა არ გაჰყვა მას, არამედ თავისი ქალაქის, თავისი ხალხის ბედი გაიზიარა.

„კასანდრაში“ ქრისტა ვოლფი მხატვრულად ასტამს ხორცს იმ აზრებსა და იდე-

ებს, რომლებზეც ღიად, პუბლიცისტური სტილით საუბრობს „ლექციებში“. იგი ჩვენს ყურადღებას ამასვილებს საფრთხეთა იმ ჯაჭვზე, კაცობრიობას რომ ემუქრება, და ქალთა საუკუნეობრივ უუფლებობაზე. ამასთან, ქალთა სპეციფიკური ვოლფი ვაცილებით ღრმად და სერიოზულად განიხილავს, ვიდრე ეს დასავლეთში ასერიგად მოდური ფემინიზმისთვისაა დამახასიათებელი. ნაწარმოების მთავარი გმირები ქალები არიან. ერთ-ერთ პერსონაჟი — ამორძალთა წინამძღოლი, მამაკაცთა მოძულე. თავისი ქალური საწყისის უარყოფელი პეთენზილეაა, რომლის სრულ ანტიპოდს წარმოადგენს უშიშარი და კეთილი კასანდრა. მთელი მისი შინაგანი ძალა მიმართულია ომის, ნგრევისა და ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ.

„ლექციები“ ქრისტა ვოლფმა პირველად მაინის ფრანკფურტში წაიკითხა ფართო აუდიტორიის წინაშე. ლექციებში იგი უშუალოდ უკავშირებს მოთხრობის სიუჟეტს თანამედროვეობას. ზოგჯერ ანტიკური კულტურის კვლევას მიმართავს, უფრო ხშირად კი თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პოლიტიკურ მოვლენებზე ამასვილებს ყურადღებას. დოკუმენტების, ციფრების, ფაქტების მოშველიებით აფრთხილებს საზოგადოებას იმ საკითხის გამო, რომელიც მთელ კაცობრიობას ემუქრება.

ავტორის ეს პათოსი გადაჭარბებულად არ მოგვეჩვენება, თუ უკანასკნელი 20-30 წლის მოვლენებს გადავათვლებთ თვალს. მაგალითად, ვვახსენებს იმ ფაქტს, რომ 1981 წლის 6 აგვისტოს, ხიროსიმას დაბომბვის 36-ე წლისთავზე, აშშ-ს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება ნეიტრონული იარაღის წარმოების შესახებ; რომ პირველი ქობინები უკვე დამზადებულია და რამდენიმე საათში შეიძლება ისინი ევროპაში ჩამოიტანონ...

ბირთვული ომის საშიშროება დღეს თითქოს აღარ გვემუქრება, მაგრამ „განხეთქილენის ვაშლი“ ჯერ კიდევ დაგორავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

ქრისტა ვოლფის მოთხრობაში არ არის პირდაპირი მოწოდებები, იგი არ იძლევა კაცობრიობას გადარჩენის რეცეპტებს. მაგრამ მითის უნივერსალური ენით, აზრებისა და სახეების ერთიანობით, იგი აფხიზლებს მოსალოდნელი საფრთხის წინაშე მდგარ საზოგადოებას.

დაბოლოს, უფროსი თაობის მკითხველს ალბათ ემასხოვრება ცნობილი ბერძენი მსახიობის ასპაზია პაპატანასიუს სტუმრობა თბილისში 1971 წელს, როცა მან ფილარზლებს მოსალოდნელი საფრთხის წინაშე პიდეს „ტროული ქალების“ მიხედვით და-

დგმულ მონოსპექტაკლში კასანდრა და პეკაბე განასახიერა. ცოტა ხნით ადრე მის სამშობლოში მომხდარი სერიოზული პოლიტიკური ძვრები, რომლებმაც მსახიობმა რამდენიმე წელი უმეგრეთში გაატარა, იქცა მის რეპერტუარში ამ ორი ტრაგიკული სახის დამკვიდრების იმპულსად.

იმედია, ახალ საუკუნეშიც არანაკლებ შთაბეჭდავი იქნება კასანდრასთან კვლავ შეხვედრა.

მაყურებელზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს პაპატანასიუს ახალმა სცენურმა პერსონაჟებმა.

*[Faint bleed-through text from the reverse side of the page, including the name 'Kasandras' and other illegible words.]*





სივრცული მრავალსახეობა რომანში

(ვ. ნაბოკოვის რომანის „მოპატიჟება სიკვდილზე“ მიხედვით)

ლიტერატურის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ავტორის მიერ შერჩეული სივრცული მოდელების ფუნქციური დატვირთვა და პერსონაჟების მიმართება ამ მოდელებთან ეპოქის პრობლემატიკის, მწერლის ლიტერატურული მრწამსისა და მსოფლმეგობრების უკეთ გამოხატვის საშუალებას წარმოადგენდა. მე-20 საუკუნის ლიტერატურამ, როგორც სრულიად თვითმყოფადმა ეტაპმა ლიტერატურის განვითარების ისტორიისა, ცხადია, სივრცულ ურთიერთმიმართებათა თავისებური სპექტრი შემოგვთავაზა: რომანში ერთიანი სივრცის გაგება მრავალფეროვანი სივრცული პლასტების რთული კომბინაციით შეიცვალა, რომლის წიაღშიც საგრძნობლად გართულდა პერსონაჟის სტრუქტურული და ფუნქციური დატვირთვა. ამ ფონზე ძალზედ საინტერესოდ გვეჩვენება მე-20 საუკუნის პროზის ერთ-ერთი კორიფეის, ვ. ნაბოკოვის შემოქმედება, რომელმაც ჯეროვანი ხარკი გაიღო მის თანამედროვე ლიტერატურულ სამყაროში მიმდინარე რთული პროცესების წინაშე.

ვ. ნაბოკოვის შემოქმედება ორაზროვან სარკეში არეკლილი რეალობაა, პირობითი რეალობა, რომელიც რეალობის დამახინჯებულ ასლს წარმოადგენს და შორს დგას მწერლის მიერ წარმოსახული სხვა, მიღმიერი რეალობისგან. რეალობის ამ სამი ფენის შედგება ტიპიურია ვ. ნაბოკოვის მხატვრული სამყაროსათვის, ტიპიური და განმსაზღვრელიც, რადგან სარკეში არეკლილი მათი აზროვანი საღებავების თამაში

ქმნის თითოეული ნაწარმოების კონცეპტუალურ და სტრუქტურულ ღერძს.

სარკის ან სარკისმაგვარი ელემენტების სიუხვე ვ. ნაბოკოვის ყველა რომანშია საცნაური. იგი ხან ნათელი სარკეების პოლის სახითაა წარმოდგენილი, ხან — მრუდე სარკის ფორმით, ხან — წყლის ზედაპირით, ხან — ნებისმიერი თხევადი მასის ნაერთით, მაგრამ შედეგი იდენტურია: ოპტიკური ილუზიების მეშვეობით გაორებული სივრცე, გაორებული დრო, გაორებული პერსონაჟები.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვ. ნაბოკოვის რომანი „მოპატიჟება სიკვდილზე“, რომელიც სამართლიანად მიეკუთვნება მწერლის მკვეთრად ორაზროვან ქმნილებათა რიგს და ხაზგასმით აყალიბებს ვ. ნაბოკოვის ხელწერილსათვის ნიშანდობლივ იდეალურ სტრუქტურულ მოდელს — დუალისტურ, ორკეცა, ორგემაგე სამყაროს.

რომანში „მოპატიჟება სიკვდილზე“ განფენილი სივრცე მრუდე სარკეში არეკლილი რეალობაა, ანუ რეალობის მახინჯი გამოსახულება, რომლის ყველა პარამეტრიც მრუდე სარკის ოპტიკურ ილუზიებს ემორჩილება. მრუდე სარკის მნიშვნელოვანი სიმბოლიკა რომანის მე-12 თავში ყალიბდება:

„ნუ ხუმრობთ“, — მიმართავს რომანის მთავარ პერსონაჟს ცინცინატ ც-ს დედა — ცეცილია ც., — „იცით, არსებობს მრავალნაირი მაქინაციები. აი, მე მახსოვს: როცა ბავშვი ვიყავი, მოდაში იყო, —

მხოლოდ არა ბავშვებისათვის არამედ — უფროსებისათვის, — უცნაური თამაშები, — მათ მთავარ საგანს შეადგენდა განსაკუთრებული სარკე, არამხოლოდ მრუდე, არამედ — აბსოლუტურად დამახინჯებული... მაგრამ მის სიმრუდეს დანიშნულება ჰქონდა, ანუ იგი სპეციალურად იყო შერჩეული... ხოდა, ერთი სიტყვით, თუ თქვენ ხელთ გქონდათ ასეთი საშინელი სარკე და კოლექცია აბსოლუტურად უაზრო საგნებისა: უფორმო, ჭრელი, ხვრელებით, ლაქებში... სარკე, რომელიც ამრუდებდა და ამახინჯებდა ჩვეულებრივ საგნებს, ახლა ნამდვილ სასწაულებს ახდენდა: როცა მის წინ ამ უბადრუკ საგნებს დადებდით, მრუდე სარკეში არაჩვეულებრივი გამოხატულება იქმნებოდა; არა არაზე ხო-ს იძლეოდა, ყველაფერი თავის ადგილას დგებოდა, და კარგად მოჩანდა — უფორმო სიცარიელისაგან სარკეში ზღაპრული გამოსახულებები იქმნებოდა: ყვავილები, ხომალდი, ფიგურა, პეიზაჟი. შეიძლება შეკვეთით საკუთარი პორტრეტიც კი გამოგესატათ, — დადებდით სარკის წინ რაიმე კომპარულ ნარევს, რომელიც თქვენ გესადაგებოდათ, მრუდე სარკე კი თქვენს პორტრეტს ასახავდა“. (6, 136-137).

რომანში შექმნილი პირობითი სამყარო მრუდე სარკეში არეკლილი რეალური სამყაროა: მისი გამრუდებული, დამახინჯებული, ფორმადაკარგული და უშინაარსო ასლი. მხატვრული სივრცე რეალური სივრცის უხეში პაროდიაა, ყოველმხრივ ჩაკტილი და სტატიკური, რომლის თითოეული ელემენტი საყოველთაო აქრონულიობის კანონს ექვემდებარება:

„სხვადასხვაფერი სახლები ხან სწორ მწკრივებად იდგნენ... ხან საკუთარ ჩრდილებს ადგამდნენ ფეხს და მრუდედ მიცოცავდნენ დადმართზე... ჩრდილოეთით ველი გაწოლილიყო... სტროპის მოსახვევს იქით მოსჩანდა ნახევრად გაბზარული მოხაზულობა აეროდრომისა და ნაგებობა, სადაც მყავდათ პატივსაცემი, დაჩაჩანაკებული თვითმფრინავი, რომელსაც ზოგჯერ დღესასწაულებზე უშვებდნენ, უმთავრესად,

ხეიბართა გასართობად. ნივთიერება დაიღალა. ტკბილად თვლემდა დრო“ (6, 354).

ეს მოდუნებული, მიმართულების მაჩვენებელს მოკლებული სივრცე ვრთმანეთის მსგავსი ადამიანებითაა დასახლებული გამკვირვალე ინდივიდებით, რომლებსაც „მყისვე ესმოდათ ერთმანეთისა, რადგან არ ჰქონდათ ისეთი სიტყვები, მოულოდნელად რომ მთავრდებოდნენ“ (6, 53). „მე“-ობა დაკარგული ადამიანის ცნება ადამიანის ცნების გამრუდებული ასლია, მახინჯ სარკეში არეკლილი ადამიანის სილუეტი.

რომანის მთავარი პერსონაჟი, ცინცინატიც ამ გამრუდებული სივრცული მოდელის ერთადერთი ჯანსაღი წერტილია, გამორჩეულად ინდივიდუალური, გაუმკვირვალე არსება, რომელსაც ბრალად სდებენ „გნოსეოლოგიურ სისაძაგლეს“ და „ჩურჩულით უცხადებენ“ სასიკვდილო განაჩენს. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა, ცინცინატი არ ჰგავს სხვა მოქალაქეებს, ცინცინატი გამორჩეულია და იგი უნდა მოკვდეს. ციხე დალუქული სინჯარაა, რომელშიც ცინცინატს ბრუტალური სივრცის მარიონეტები ათავსებენ, სიკვდილი კი — დასასრული, რომელსაც იგი ყოველ წუთს ელის. და აი, განწირული, დაღლილი, ხსნის ძიებით შეპყრობილი პატიმარი უნებურად აკვირდება მრუდე სარკეების კანონს. იგი იჭერს თავის მსგავსებას სარკესთან: სარკეს გამკვირვალე ზედაპირი აქვს და გაუმკვირვალე ზურგი — ასეთივეა ცინცინატიც. მისი არაჩვეულებრივად თეთრი სახე, თხელი, თითქოს გამკვირვალე კანი და სხივიანი თვალები მშვენივრად უთავსდება მის გარეგნულ გაუმტარობას. ცინცინატი კისრულობს მრუდე სარკის ეშმაკურ როლს, რადგან იცის, „ობტიკური ტყუილების რთული სისტემის“ გამოყენებით საძულველი ადამიანები და ლანდშაფტებიც კი შეიძლება საკვირველ გარდატეხას დაექვემდებარონ: მრუდე სარკეში არეკლილი ბრუტალური და მახინჯი სამყარო შეიძლება აღმოჩნდეს ვაკეთილშობილებული, გასულიერებული, გაცოცხლებული: არა არაზე ხო-ს მოგვცემს. ცინცინატი ბუნებრივად

შბადებს თავის ორეულს, მეორე ცინცი-  
ნატს, რომელიც ზურგს აქცევს აბსურდულ  
რეალობას და მრუდე სარკეში არეკლილ  
მის ვარიანტულ სახესხვაობაში — სხვა,  
მიღმიერ, იდეალურ სივრცეში ეძიებს თავ-  
შესაფარს:

„აქ არა! ბლავვი „აქ“ შეკუმშული და  
ჩაკეტილი სიტყვით „მტკიცედ“, ბნელი  
ციხე, რომელშიც მოღრიადე კომპარია  
შოქცეული, მაკავებს მე და მბორკავს...  
არსებობს ის მეორე, ჩემეული, სიზმრისე-  
ული სამყარო, არ შეიძლება რომ არ არსე-  
ბობდეს, რადგან არსებობს მისი მრუდე ას-  
ლი“ (6, 98-99).

იქმნება სივრცული თბოზიცია აქ/იქ, ეს  
სივრცე/ის სივრცე. თუ ერთი ცინცინატი  
ნიშნით „აქ“ აღბეჭდილი სივრცის ბინადა-  
რია, მეორე ცინცინატი ნიშნით „იქ“ აღ-  
ბეჭდილი სივრცის კუთვნილებაა:

„იქ — განუმეორებელი გონიერებით  
ანათებს ადამიანის მზერა; იქ დრო სურვი-  
ლისაშებრ აიწყობა, როგორც სახეებიანი  
ხალიჩა... იქაა ამ ბაღების დედნები, იქ ყო-  
ველივე გაოცებს თავისი მომხიბვლელი  
თვალსაჩინოებით, სრულყოფილი მაღლის  
უბრალოებით“ (6, 99).

თუ ერთი ცინცინატი რეჟიმის ტყვე და  
საკანში გამოკეტილი პატიმარია, მეორე  
ცინცინატი — თავისუფალი შემოქმედი და  
„საიდუმლო“ სამყაროსთან ნაზიარები  
რჩეულია:

„თითქოს ღრუბლიან დღეს წევხარ  
თვალდახუჭული, — უცბათ შეირხევა სი-  
ბნელე ქუთუთოებზე, თანდათან გადადის  
შიბნედილ ღიმილში, შემდეგ კი ჩნდება  
ბედნიერების ცხელი შეგრძნება და იცი:  
ღრუბლებიდან მზე გამოცურდა, აი, ასეთი  
შეგრძნებით იწყება ჩემი სამყარო: თან-  
დათან იწმინდება დაბინდული ქაერი, და  
ისეთი სხივიანი, ცახცახა სიკეთეა მასში ჩა-  
ღვრილი, ისე იმართება წელში ჩემი სული  
მშობლიურ სავანეში“ (6, 99).

თუ ერთ ცინცინატს უსაზღვროდ ეში-  
ნია სიკვდილის, მეორე ცინცინატს სძლიოს  
ხაბედისწერო შიშს და ამაღლდეს სიკვდი-  
ლზე:

„და მე ტყუილად ვიმეორებ, რომ არ  
არის ჩემთვის სამყაროში თავშესაფარი...  
არის! ვიპოვნი! უდაბნოში სუკავებული სვე-  
ტი, ცოტა თოვლი მაღალი კლდის ჩრდილ-  
ში... მე თითქმის არ შემიძნელა სიკვდილის!“  
(6, 63-201). *ბიზ-ნიქიშეკა*

თუ ერთი ცინცინატი კვდება ემაფოტზე,  
მეორე ცინცინატი მიღმიერ, სხვა, ტრანს-  
ცენდენტურის ნიშნით აღბეჭდილ რეალო-  
ბაში აგრძელებს სიცოცხლეს:

„ირგვლივ უცნაური დაბნეულობა სუ-  
ფევდა — ცოტა რამ დარჩენილიყო მოედ-  
ნისაგან... ყოველივე იშლებოდა, ყოველი-  
ვე იქცეოდა... ცინცინატი კი მიაბიჯებდა  
მტვერსა და დაქცეულ ნივთებს, მოტკაცუ-  
ნე ტილოებს შორის, მიემართებოდა იქით,  
სადაც, ხმების მიხედვით, მისი მსგავსი არ-  
სებები იდგნენ“ (6, 218).

სივრცეში გაორებული ცინცინატი ღი-  
რსეულად იცავს თავის თვითმყოფადობას,  
ინდივიდუალობას, დამოუკიდებლობას, შე-  
იცნობს ჭეშმარიტებას საკუთარი თავის მი-  
ღმა და გადაჭრით ემიჯნება თავის ემპი-  
რიულ ორეულს. ცინცინატის სიკვდილი  
არის უკვდავებაში გადადგმული ნაბიჯი.

მაგრამ ცინცინატის გაორება სივრცეში  
მხოლოდ მისი პერსონაჟის შიგნით ჩამოყა-  
ლიბებული მეორე ცინცინატით არ შე-  
მოიფარგლება. ცინცინატს კიდევ ერთი  
სივრცული ორეული ჰყავს თავისივე ჯა-  
ლათის, ბატონი პიერის სახით. თუ მეორე  
ცინცინატის წარმოშობა მხატვრული სი-  
ვრცის დუალისტური სტრუქტურიდან მომ-  
დინარეობს და სივრცული დაპირისპირე-  
ბის ეს სამყარო/ის სამყარო ნაყოფია, ორე-  
ულის ცინცინატი-პიერი წარმოშობა სივრ-  
ცის კონცეპტუალურ დუალიზმს უკავში-  
რდება და თემატური დაპირისპირების კე-  
თილი სივრცე/ბოროტი სივრცე შედეგია.

ამ ორი პერსონაჟის დაწყვილებას მათი  
აღფაბეტური იკონოგრაფია გვამცნობს.  
ცინცინატის სახელის საწყისი ასოა „ც“;  
რუსულად — „Ц“; ცინცინატი ც. ანუ  
Цинцинат Ц, ცც ანუ ЦЦ. პიერის სახელის  
საწყისი ასოა „ბ“, რუსულად — „П“; პე-  
ტრე პეტრეს ძე ანუ Петр Петрович, პპ

ანუ III. სრულიად ცხადია, (თუ არ ჩავთვლით პატარა კუდს, რომელიც ასო „Ц“-ს აქვს დატანებული), რომ ეს ორი ასო ერთმანეთს საპირისპირო გრაფიკულ გამოსახულ ბას წარმოადგენს: Ц/П II და ქმნის ოპოზიციას მაღლა/დაბლა. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა რომანის მე-17 თავი, სადაც სიკვდილმისჯილ ცინცინატი და მის ჯალათს ბაღმასკარადს უწყობენ და მათ ინიცილებს მილიონობით ნათურისაგან ანათებენ: „სამი წუთის განმავლობაში ანათებდა მილიონობით ნათურა... რათა ღამის ლანდშაფტში შექმნილიყო გრანდიოზული რკალი „პ“-ს და „ც“-სგან, რომელიც მთლად კარგი არ გამოვიდა“ (6, 187).

გაჩახახებული რკალი გრაფიკული თვალსაზრისით უნდა ქმნიდეს ფორმას — Ц, რაც უდაოდ მიუთითებს ამ ორ პერსონაჟს შორის არსებულ პრინციპულ კავშირზე.

ცინცინატის ჯალათი ბატონი პიერი მრუდე სარკეში არეკლილი ცინცინატის ორეულია. მისი გამრუდებული, დამახინჯებული, ვმმაკეული ასლი. ამ ორაზროვანი კომბინაციის არსებობას ნათლად მიგვაჩვენებს პერსონაჟთა სივრცული ველის თანხვედრა: ბატონი პიერი და ცინცინატი ერთი ქალაქის მკვიდრნი და ერთი ციხის პატიმრები არიან, ისინი ერთად აღიან ემაფოტზეც. განსხვავებას მხოლოდ სივრცესთან მათი მიმართება ქმნის: ბატონი პიერი არსებულ, მრუდე სივრცეზე მყარად დამაგრებული ფიგურაა, მისი ორგანული ნაწილი, ცინცინატი კი — შეამბოხე, სხვა, ალტერნატიული სივრცის ძიებით შეპყრობილი გმირი, ორეულის ერთი ბოლო სტატისტიკურია, მეორე — დინამიკური, შესაბამისად, დარღვეულია წონასწორობის ყველა მაჩვენებელი: სტრუქტურული და ზნეობრივი. ორეულები სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებიან ერთმანეთს.

ვეცდებით დავადასტუროთ ჩვენი კონცეფცია.

რომანში არაერთგზის არის მინიშნებული ცინცინატის განსაკუთრებულობა, გამორჩეულობა, მისი თითქმის არამიწიერი გარეგნობა და ბუნება.

„ცინცინატის გამჭვირვალე თეთრი სახე ღაწვებსა და საულვაშებზე ისეთი მსუბუქი თმით იყო დაფარული, რომ გვეგონებოდათ, ეს ტუჩის თავზე დატვირთი მზის სხივიანო; მომცრო დაქვეითებულ ყველა ტანჯვისა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა სახეს მოძრავი, არამდგრადი, თითქოს ლანდისებური თვალები ამშვენებდა, — რომელთა გამომეტყველებაც სრულიად მიუღებელი იყო... უცნაურობას ქმნიდა ათასი, ძლივს შესაძრევი წვრილმანის ერთიანობა, ხათელი კონტურების მოხაზულობა, ხელოვანთა შორის უზენაესის მიერ მოყვანილი ბაგე, ვაციკროვნებული თვალები... ამასთანავე, ყოველივე სუნთქავდა ფაქიზი, სიზმრისაული — მაგრამ ძლიერი, მბორგავი და თავისებური სიცოცხლის ძალით“ (6, 123-124).

ცინცინატის შთამბეჭდავი პორტრეტი უნებურად გვაგონებს ძველისძველ ხატებსა და ფრესკებზე აღბეჭდილ სახეებს, პირველქრისტიან მოწამეთა და წმინდანთა ყოვლისმომცველ, არამიწიერ გამომეტყველებას. მაგრამ მხოლოდ გარეგნული იერსახე როდი გამოარჩევს ცინცინატს. ცინცინატი გასაოცრად მსუბუქია, მსუბუქი, ვითარცა უხორცო:

„თავისი არსების ერთი ნაწილით ის თითქოს შეუჩერებლივ გადადიოდა სხვა განზომილებაში, როგორც ხის ფოთოლი გადადის ჩრდილიდან მზის ბრწყინვალეობაში და ვეღარ არკვევს, სად იწყება მეორე სტიქიის სამფლობელო“ (6, 123-124).

ცინცინატის სიმსუბუქე კვლავაც გვაბრუნებს ქრისტიანულ ფერწერულ ტილოებზე გამოხატულ სილუეტებთან, რომელთა კონტურებსა და მოძრაობაში ძალდაუტანებლად შეიძლება ამოვიკითხოთ სხეულის არამიწიერი სიმსუბუქე.

ცინცინატის შესაძლო მითოლოგიური პროტოტიპების რიგს საგრძნობლად ავიწროვებს ავტორის მიერ გარკვევით მითითებული ცინცინატის ასაკი: ცინცინატი ვოცდაათი წლისა — „იგი ზუსტად ოცდაათისაა“ (6, 88). აზრი ძალაუნებურად იკვლევს გზას მითოლოგიური სიუჟეტების ნაკადში და კონცენტრირდება ცინცინატის

ორ სახარებისეულ თანატოლზე — იოანე ხათლისმცემელსა და იესო ქრისტეზე.

ლუკას სახარებაში ნათქვამია:

„იუდეის მეფის ჰეროდეს დღეებში იყო ვინმე მღვდელი, სახელად ზაქარია, აბიას წყებისაგან, ხოლო მისი ცოლი, აპარონის ქალიშვილებისაგან, და მისი სახელი ელისაბედი“ (3,1:5).

ამ ინფორმაციულ ცნობას სწრაფადვე მოსდევს ზაქარიას წინაშე უფლის ანგელოზის გამოცხადებისა და იოანე ხათლისმცემლის დედის, ელისაბედის სასწაულებრივი დაორსულების ამბავი:

„იმ დღეების შემდეგ დაორსულდა ელისაბედი... ხუთ თვეს იმალებოდა... მეექვსე თვეს კი წარმოიგზავნა ღმერთისაგან ანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქს, რომლის სახელია ზაქარეთი ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო კაცზე, რომელსაც ერქვა იოსები... და ქალწულის სახელი იყო მარიაში“ (3,1:24, 2-26, 2:27).

ამრიგად, ელისაბედის დაორსულებიდან ექვსი თვის შემდეგ ძე ღვთისა ისახება მარიამ ქალწულის საშობი და ასაკობრივი სხვაობა იოანე ხათლისმცემელსა და იესო ქრისტეს შორის უმნიშვნელოა — მხოლოდ ექვსი თვე. ლუკას სახარების ტექსტი, საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ მათი ასაკი ქრისტეს ნათლობის დროს: გადმოგვცემს რა იოანე ხათლისმცემლის მიერ მაცხოვრის მონათელის ამბავს, სახარების ავტორი მიუთითებს: „და თვით იესო დაწყებისას იყო დაახლოებით ოცდაათი წლის“. უდაბნოში მოქადაგე იოანე ხათლისმცემელი და იესო ქრისტე ოცდაათი წლის მიჯნაზე დგანან, ცინცინატი ც.ც ოცდაათი წლისაა.

პატიმარ ცინცინატს უხვად „ანებიერებენ“ გემრიელ-გემრიელი საკმელებით:

„სიკვდილმისჯილებს საკმელი საუფროსო ეკუთვნოდათ: კართოფილი, პუდინგი, ცხელი შოკოლადი“ (6, 28).

მაგრამ ცინცინატი პრაქტიკულად არ იკვებება: „მომიტევეთ, — შეჰყვირა დირექტორმა, — მაგრამ, მიბრძანეთ, რატომ

არ ეკარებით საკმელს?... — უკეთესი რა გნებავთ!“ (6, 29).

ცინცინატი უარს ამბობს ჭამაზე — ის მშიერია. მათეს სახარება გვამცნობს:

„თვითონ იოანეს ემოსა ქალწულის ბეწვის სამოსი და წელზე ერტყა ტყავის სარტყელი; ხოლო მისი საზრდო იყო კალია და ველური თაფლი“ (1,3:4).

გავიხსენოთ იესო ქრისტეს სიტყვებიც იოანე ხათლისმცემელზე:

„ვისაც ყურები აქვს ისმინოს!.. ვინაიდან მოვიდა იოანე, არც ჭამს, არც სვამს... და გამართლებულია სიბრძნე მისი საქმეებით“... (1,11:15, 18).

მაგრამ ცინცინატის მკვლევება იოანე ხათლისმცემლის ხატთან მხოლოდ პერსონაჟის შინაგანი ასპექტიზმით როდი გამოიხატება, არამედ — სიცოცხლის დასრულების აქტივაც — თავის მოკვეთით:

„ცინცინატი ავიდა ეშაფოტზე, სადაც მოთაუნებული იყო სასაკლაო, ანუ დამრეცი, გლუვი ხის დაფა, ისეთი ზომებისა, რომ მასზე თავისუფლად შეიძლებოდა ხელგადაშლით დაწოლა... დაწვა — და ხმაღალა და მტკიცედ დაიწყო თვლა... ჯალათის, ბატონი პიერის ჩრდილმა ნაჯახით პელში გაირბინა დაფაზე“ (6, 213).

ორი ათასი წლის წინათ ასეთივე წესით იქნა მოკვდინებული იოანე ხათლისმცემელი:

„და წარგზავნა (ჰეროდემ) საპყრობილეში იოანესათვის თავის მოსაკვეთად. მართვეს თავი ლანგრიტ“ (1,14:10,11).

მაგრამ რამდენადმე განსხვავებულია სიკვდილით დასჯის ატმოსფერო: თუ იოანე ხათლისმცემელს საპატიმროს ჯურღმულში მოჰკვებთეს თავი, ცინცინატის სიკვდილით დასჯა სახალხო ხასიათს ატარებს. სიკვდილით დასჯის თვალსაჩინოება უნებურად გვახსენებს იესო ქრისტეს ჯვარცმის სცენას. იოანე ხათლისმცემლის სიკვდილის მოტივს ზედ ედება ქრისტეს ჯვარცმის მოტივი. ცინცინატის ასვლა ეშაფოტზე, სადაც „მოთავსებული იყო სასაკლაო“ და მისი პოზა თავის მოკვეთის წინ — „დაწვა ხელგადაშლილი“, ძალაუნებურად ასოცირდე-

ბა მაცხოვრის ასვლასთან გოლგოთაზე და ჯვარცმის ცნობილ პოზასთან.

ლუკას და იოანეს სახარების ტექსტებში დეტალურად არის აღწერილი ჯვარცმის მოვლენები:

„როცა იმ ადგილას მივიდნენ, რომელსაც თხემი ჰქვია, იქ ჯვარს აცვეს იგი... და იდგა ხალხი და შეჰყურებდა. და მთავრებიც დასცინოდნენ... ჯარისკაცებიც დასცინოდნენ მას, მიდიოდნენ და ძმარი მიჰქონდათ მასთან“ (3, 23:33, 35, 36) „იესოს ჯვართან იდგნენ დედამისი, დედამისის და მარიამ კლემოპასი და მარიამ მაგდალინელი“ (4, 19:25).

თუ ყურადღებით გავარჩევთ ცინცინატის სიკვდილით დასჯის პირობებს, აუცილებლად გავაზღვრებთ პარალელს სახარების ზ. ა. ვერსიებთან:

„ძღველვარება ქალაქში იზრდებოდა... პუბლიკა ჯერ მრავლად არ იყო, მაგრამ განუწყვეტლივ მომდინებოდა ხალხის ნაკადი... ტელეგრაფისტებისა და მეხანძრეების რაზმი წესრიგს იცავდა... ცინცინატი ემაფოტზე ავიდა... არ იცოდა, რა ექნა და ხის სვეტებს მიეყუდა... უეცრად იგრძნო, რომ ქვემოდან ვიღაცეები ეხებოდნენ მის ფეხის გულებს, განზე გაიწია... მოწინავე რიგში... ზედ ემაფოტთან, იდგა ის ქალი და მისი ორი და“ (6, 212-214).

იესო ქრისტეს ჯვარცმის დროს, სახარების ავტორთა თანახმად, „დღის ექვსი საათი იქნებოდა და მთელ დედამიწაზე სიბნელე დადგა ცხრა საათამდე დაბნელდა მზე“ (3, 23:44, 45), „და იძრა დედამიწა, და კლდენი დასკდნენ“ (1, 27:51).

რომანის ტექსტის მიხედვით ანალოგიური მოვლენები აღინიშნება ცინცინატის სიკვდილით დასჯის მომენტშიც:

„რაც დაემართა განათებას — მზე ცუდად ასხივებდა, და ცის ნაწილი ირყეოდა“ (6, 214).

ცინცინატის მსგავსება იესო ქრისტეს ხატთან ზედმიწევნითი თანამიმდევრობით ხორციელდება რომანის საერთო ფაბულაშიც.

აქ, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ცინცინატის მისტერიული დაბადების ფაქტი:

„დღემდე ვგრძნობ... როგორ გამოვვარდი, სრიალა, შიშველი სხვის მიერ შეკვეთილი და მიუწვდომელი...“ (6, 95).

შინაგონიურობა

„არ შეიძლება, არ შეიძლება, რომ შემეშალოს, — უბტკიცებს ცინცინატს დედა, ციცილია ც., — „მხოლოდ ხმა, თქვენი მამის სახე არ დამინახავს... გოგონა ვიყავი — მაგრამ საქმე ამაში არ არის... მოტყუება შეუძლებელია, შეცდომა — დაუშვებელი... რა თქვენნაირი იყო, ცინცინატ“ (6, 134).

ცინცინატის დაბადება აშკარად ეხმიანება ძე ღვთისას უძანკო ჩასახვის მოტივს და ხაზს უსვამს ცინცინატის განსაკუთრებულობას.

ცინცინატი სიყვარულის უსაზღვრო გრძობითაა გაქცეული და ეს სიყვარული, ალბათ, არის ერთადერთი რგოლი, რითაც ცინცინატი ობიექტურ რეალობას უკავშირდება. ცინცინატის სიყვარული ცოლის, მარფინკას მიმართ არის შედეგი არა ცინცინატის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა, არამედ — მისი სურვილისა, იხსნას მარფინკას გახრწნილი სული:

„მისი სამყარო ერთმანეთთან მიერთებული უბრალო ნაწილაკებისაგან შედგება, ...რბილი, სასაცილო, თბილი... და მაინც: მე შენ მიყვარხარ... გამოუვალად, საბედისწეროდ, გამოუსწორებლად... მარფინკა, თავს ძალა დაატანე... და გაიგე, რაც ხდება... როგორ გამოგაფხიზლო?.. მითხარი, რამდენი ხელი სრესდა რბილს, რომლითაც ასე უხვად შემოსილა შენი მაგარი, მწარე, პატარა სული?.. მარფინკა, ჩვენ რაც ამგვარ წრეში ვბრუნავთ, — ო, ნეტავ შეგეძლოს, წამით მაინც თავის დაღწევა“ (6, 141-142).

ცინცინატის უსაზღვრო და ცალმხრივი სიყვარული მარფინკასადმი, რომელსაც არ უხმის ცინცინატისა და არ სურს მისი მიღება, ეხმიანება არამართო მაცხოვრის მიერ ცოდვილი მეძავის შეწყნარების მოტივს, არამედ — მისი უსაზღვრო სიყვარულის

მოტივს ზოგადად ადაშიანების მიმართ, რომლებმაც ვერ შეიცნეს იგი და არ მიიღეს ხსნა მისი ხელიდან:

„და უთხრა პილატემ იუდეველებს: აი თქვენი მეფე! მათ ვი დაიყვირეს: შორს, შორს, ჯვარს აცვი!.. ჩვენ არ გვყავს მეფე; კეისრის ვარდა“ (4, 19:15).

„გაუმჯვირეალობასა“ და „გაუმტარობაში“ ბრალდებულ ცინცინატს დასმუნით აპატიმრებენ:

„დროთა განმავლობაში უსაფრთხო აღვილების რაოდენობა მცირდებოდა, ეველგან აღწევდა საზოგადოებრივი ზრუნვის თბილი მზე... დამსმენები მრავლდებოდნენ, და საშიშნი ხდებოდნენ... და ერთხელ ქალაქის ბაღში ჩატარებულ რომელიღაც ღია კრებაზე განგაში ბტყდა, ვილაცამ ხმამალლა წარმოთქვა: „მოქალაქენო, ჩვენს შორის არის“... აქ გაიფლერა საშიშმა, თითქმის მივიწყებულმა სიტყვამ... ათი დღის შემდეგ კი იგი (ცინცინატი) აიყვანეს“ (6, 37, 44).

ეს სცენა გარკვეულწილად იმეორებს გეთსემანიის ბაღში იესო ქრისტეს დატყვევების სცენას:

„მაშინ ერთი იმ თორმეტთაგანი, იუდაისკარიოტელად წოდებული, წავიდა მღვდელმთავრებთან, და უბხრა: რას მომცემთ, და მე გადმოგცემთ მას? მათ მიუწონეს ოცდაათი ვერცხლი, მას შემდეგ ეჭებდა მარჯვე შემთხვევას, რომ იგი გაეცა“ (1, 26:14, 15, 16) და ვასცა.

ცინცინატი, მიუხედავად მომავალი ბედისწერის შეცნობისა, „არ ბრახდებოდა დამსმუნებზე“ (6, 38).

რამდენადაც გვახსოვს, დასმუნის გარდაუვალობას ლაღადებდა იესო ქრისტეს:

„რომ მოსალამოვდა, დაჯდა თორმეტ მოწაფესთან ერთად, როცა ისინი ჭამდნენ, თქვა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ერთი თქვენგანი გამცემს... ვინც ჩემთან ხელს ჩაყოფს ჯამში, ის გამცემს. თუმცა მე კაცისა მიდის, როგორც დაწერილია მის შესახებ“ (1:26:20, 212, 23, 24).

დაპატიმრების შემდეგ ცინცინატს „სასამართლოსს“ გადასცემენ: „კანონის თანახ-

მად, ცინცინატს ც-ს ჩურჩულით გამოუცხადეს სასიკვდილო განაჩენი... მოსამართლე მოუახლოვდა და ცივი ჩურჩულით უთხრა: „პუბლიკის თანხმობით, თქვენ მალე ჩამოგაცვაძენ წითელ ქილონდრს“ (6, 25, 35).

მე ღვთისაღ ხალხის თხოვნით იქნა გასამართლებული:

„პილატემ კვლავ უთხრა (ხალხს — ი. რ.) პასუხად: რაღა ვუყო მას, ვისაც თქვენ იუდაველთა მეფეს უწოდებთ“ მათ კვლავ იყვირეს: ჯვარს აცვი იგი!.. მაშინ პილატემ, რომელსაც სურდა ხალხის დაკმაყოფილება... იესო გაშოლტვის შემდეგ გადასცა, რომ ჯვარს ეცვათ იგი“ (2, 15:12, 13, 15).

ვეფიქრობთ, რომანის „მოპატიება სიკვდილზე“ ტექსტის ცალკეული ნაწილების შედარებაში სახარებათა ტექსტებთან ცხადპყო მთავარი პერსონაჟის — ცინცინატის ერთგვარი ნათესაობა პირველქრისტიან მოწამეთა სახეებთან ზოგადად, და კონკრეტულად, — იოანე ნათლისმცემელისა და იესო ქრისტეს ხატებთან:

„მე არ ვარ უბრალო, — ამბობს ცინცინატი, — მე ის ვარ, ვინც ცოცხალია თქვენს შორის... არა მხოლოდ ჩემი თვალები, სმენა, გრძნობაა განსხვავებული, არამედ ნიჭი შევკრიბო ყოველივე ერთ წერტილში...“

მე ვიხსნი გარსს ვარსზე, და ბოლოს, თანდათანობითი ანგარიშსწორების შედეგად, მივდივარ უკანასკნელ, განუყოფელ ბტკრცე, — განათმბულ წერტილამდე, და ეს წერტილი ამბობს: მე ვარ!“ (6:54).

ხაზგასმული ინდივიდუალობა, აღმატებული სულიერება, შემოქმედებითი ნიჭი და სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ — აი, არასრული ჩამონათვალი იმ თვისობრივი მახასიათებლებისა, რომლებითაც გამოირჩევა სიერცის ტუსალი ცინცინატი და წარმატებით ქმნის არაორდინალურად დადებით პერსონაჟის სახეს. თუკი ბატონი პიერი ცინცინატის მრუდე სარკეში არფკლილი ორეულია, მაშასადამე, გარეგნული და ეთიკური თვალსაზრისით, იგი ცინცი-

ხატის საპირისპირო ნიშნების მატარებელია. რომანის ტექსტი არაერთგზის ცხადყოფს ბატონი პიერის წილნაყარობას სატანასთან.

ყურადღებას იქცევს მისი პორტრეტი: „სკამზე, მაგიდასთან ზურგით, გაუნძრევლად, როგორც შაქრის ფიგურა, იჯდა უწყვეტო მსუქანი კაცი, ასე ოცდაათი წლის, ძველმოდურ, მაგრამ სუფთა, კარგად დაუთოვებულ პატიმრის ზოლებიან პიჟამოში გამოწყობილი, ზოლებიან წინდებში და ანაღ ფეხსაცმელებში... ნუკზე ბეჭედი უბრწყინავდა, ღია ფერის თმა საოცრად მრგვალ თავზე შუაზედ ჰქონდა გადაყოფილი, გრძელი წამწამები მრდილს სცემდნენ ქერუბიმის ლოყას, სისხლიაფერ ტუჩებს შორის თეთრი, სწორი კბილები ეღვარებდა“ (6, 68).

„მოკლე ფეხები“, „ქონიანი ბაყეები“ და „მსუქანი ხელები“ არსებითად ასრულებს ბატონი პიერის პორტრეტს.

გარეგნული თვალსაზრისით ბატონი პიერი ცინცინატის ანტიპოდი — მიწიერი, ფერ-ხორციანი, აბსურდული სივრცული ინტერიერის ორგანული ნაწილი, თუმცა, რამდენიმე ძირეული მანვენებლით იგი ცდილობს დაუახლოვდეს ცინცინატს: ბატონი პიერი ისევე როგორც ცინცინატი ოცდაათი წლისაა — „მე ახლა ოცდაათი წლისა ვარ, თქვენ?“, ქერათმიანია და ცინცინატისდაგვარად ციხის საკანშია გამოწყვდებული: „მე აქ თქვენს გამო მოვხვდი“, — აზუსტებს ბატონი პიერი ცინცინატთან საუბარში, „მეტიც: ჩვენ ეშაფოტზეც ერთად ავალთ“. მაგრამ ეს იდენტურობა მოჩვენებითია: პიერის ასაკიცა და პატიმრობაც წინასწარ განზრახული ქმედებაა: ბატონი პიერი ოცდაათი წლისაა, რადგან მან „ზუსტად გამოიცნო“ ცინცინატის ასაკი, ქერათმიანია, რადგან „ყვითელი პარიკი“ მხურავს, პატიმარია, რადგან „თავისი ნებით“ ჩაჯდა ციხეში. პიერის ნებისმიერი ტიპის მსგავსება ცინცინატთან ხელოვნურია, რადგან „ეშმაკს ძალუძს მოგვევლინოს ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი ჩაცმულობით... მისი მანი-

ფესტაცია შესაძლებელია ნებისმიერი იერსახით, რაც კი არსებობს სამყაროში“ (8, 35). ამჯერად იგი ცინცინატს დაემსგავსა.

საგულისხმოა, რომ ბატონი პიერი განუწყვეტლივ იცვლის გარეგნულ ფოტოგრაფიას, ხან — აგრონომი, ხან — ილეთების ოსტატი, ხან — აზარტული მოთამაშე. იცვლის ტანსაცმელს, ხმას და ქცევის წესებს:

„მე საერთოდ გატაცებული ვარ ფოტოგრაფიით — განაკრძო სიტყვა ბატონმა პიერმა“ (6, 88); „ბატონმა პიერმა საქალაქად შეინახა. უეცრად მის ხელში ბანქო აღმოჩნდა... გინდათ ფოკუსი? — იკითხა მან“ (6, 90); „ბატონმა პიერმა სახელოები დაიკაპიწა... მაგრად ჩასჭიდა ხელი მაგიდას და ნელ-ნელა ასწია... შემდეგ რაღაც შეჰყვირა ფრანგულად და ხელებზე დადგა. მისი მრგვალი თავი ლამაზი, ვარდისფერი სისხლით დაიფარა. შარვლის მარცხენა ტოტი ჩამოუვარდა. გადმობრუნებული თვალები რვაფეხას თვალებს დაემსგავსა... ბატონი პიერი ერთი ნახტომით შეხტა მაგიდაზე, ყირა გაჭიმა და კბილებით სკამის ზურგს ჩააფრინდა“ (6, 118-119); „ბატონმა პიერმა ნაზი, ყელისმიერი, სიმღერიაებური ხმით წარმოთქვა“ (6, 88); „ბატონი პიერი ფარჩის ტუბეტეიკით გამოცხადდა; ძალდაუტანებლად, შინაურულად წამოწვა ცინცინატის საწოლზე და დიდებულად გააბოლა ყალიონი“ (6, 150).

მრავალსახეობა სატანის მახასიათებელი ნიშანია: „წივნებში ჩვენ მრავლად ვპოულობთ ეშმაკს ყველა შესაძლო სახით: ღვთისმგმობი ეშმაკი, გასრწნილი ეშმაკი, ტირანი ეშმაკი, ამაყი ეშმაკი, „მოცეკვავე ეშმაკი, აზარტული მოთამაშე ეშმაკი და სხვა, და სხვა“ (8, 24).

„ჩემი სული მუდმივად დულს და ბობოქრობს, — აღიარებს ბატონი პიერი — არ მინდა ვიტრაბახო, მაგრამ ჩემში, კოლეგა, თქვენ აღმოაჩენთ იშვიათ სინთეზს კომუნიკაბელურობისა და თავაზიანობისა, ენატარტალობისა და დადუმებისა, თამაშისა და სერიოზულობისა... ვინ დაამშვიდებს



მტირალ ჩვილს, ვინ შეუკეთებს სათამაშოს? ბატონი პიერი. ვინ დაიცავს ქვრივს? ბატონი პიერი. ვინ მისცემს ადამიანს რჩევას, ვინ დაუნიშნავს წამალს, ვინ გაახარებს? ვინ? ვინ? ბატონი პიერი, ყველაფერს იზამს ბატონი პიერი“ (6, 91).

ბატონი პიერის იდეალურობა მოჩვენებითია, ვინაიდან „ყველაზე ხშირად ეშმაკი წარმოგვიდგენს თავის თავს კარგად აღზრდილ, იდეალურ ჯენტლმენად... იგი ბრწყინვალე მოსაუბრე, მზრუნველი მეგობარი და უაღრესად გალანტური, ელეგანტური ფრანტია“ (8, 52).

განსხვავებით ცინცინატისაგან, რომელიც სულიერ ფასეულობებს არის ჩაღრმავებული, ბატონი პიერის მისწრაფებანი ამქვეყნიურ სიამოვნებებს არ ცდება. უპირველესია „სიყვარულით სიამოვნება — თვლის ბატონი პიერი, — რომელიც მიიღწევა ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და სასარგებლო ფიზიკური ვარჯიშის შედეგად... შემდეგია ხელოვნების ნიმუშით სიამოვნება, როდესაც სამხატვრო გალერეასა ან მუზეუმში თვალს ვერ წყვეტთ რომელიმე პიკანტურ ტორსს — სამწუხაროდ, ბრინჯაოს ან მარმარილოსას... გასტრონომიული სიამოვნება... უყურეთ: ყასაბი და მისი შეგირდები მოათრევენ ღორს, რომელიც ისე ჭყვივს, თითქოს ჭრიანო, აგერ — ლამაზ თეფშზე თეთრი ქონი ბრწყინავს; აგერ — სუფრის ღვინო, წითელი; აგერ — თევზი“... (6, 150, 152, 153). როგორც ცნობილია, ქრისტიანული ტრადიცია სატანას „ხორცის მეფედ“ შერაცხავს, „ფიზიკური სიამაზი და მორალური ბოროტების სინთეზად“ (8, 37). ბატონი პიერი სრულად აკმაყოფილებს ამ განსაზღვრებას.

ბატონი პიერის გამოჩენით ციხეში იწყება დაპირისპირება მასა და ცინცინატს შორის, რაც უნებურად გვაგონებს ეშმაკისა და იესო ქრისტეს შეპირისპირების ცნობილ ეპიზოდს სახარებიდან.

„მე გამოცდილი ვარ, — მიმართავს ცინცინატს ბატონი პიერი, — თქვენზე უკეთ ვიცნობ ცხოვრებასაც და ხალხსაც... ჩემ-

თვის მთავარია, რომ თქვენი სულის ერთი ჩრდილის მოძრაობაც კი არ გამომეპაროს“... (6, 161).

ცთუნების მცდელობა ერთგვარი თამაშის ხასიათს ატარებს. ნებისმიერი სახის თამაში თავისი განსაზღვრული წესებითა და რიტუალებით, აგრეთვე ერთმანეთთან დაპირისპირებული პარტნიორებით სათანადო მეტაფორაა იმ სპეციალური ურთიერთობისათვის, რომელიც ორეულებს შორის წარმოიქმნება... მოთამაშეებს შორის კონფლიქტი, თამაშის დინამიკა წარმოადგენს ყოფის უწყვეტ ბრძოლას, წარმართულს იმ ძალების მიმართ, რომლებიც „მე“-ს დამარცხებას ესწრაფვიან“ (7, 282-283) თამაშის სპეციფიკა განსაზღვრულია: ერთი მხარე ცდილობს დაიპყროს, დაჩაგროს, დაამარცხოს მეორე, რომელიც ან მედგარ წინააღმდეგობას უწევს მას, ანაც — თმობს პოზიციას.

„მოინანიე, ცინცინატ, — ურჩევენ ცინცინატს გარეშენი, — დათმე. იქნებ გაპატიონ? ა?“ (6, 108).

„ყველაფერზე უარი თქვი, — ევედრება ცინცინატს მარფინკა, — თქვი, რომ დამნაშავე არა ხარ... დათმე“. (6, 196).

„არა, ამას რაღაც არ ესმის, — შფოთავს ციხის დირექტორი, — არ ესმის, რომ თუკი გულახდილად აღიარებს... თავის დანაშაულს, ხო, დანაშაულს... მაშინ რაღაც შორეული იმედი მაინც“... (6, 154) ცინცინატი კი არ თმობს. იგი თავგანწირვით ეთამაშება ბატონ პიერს.

„გინდათ ჭადრაკი?“ — ეკითხება ცინცინატს ბატონი პიერი და საჭადრაკო დაფას ორი მოწინააღმდეგე უჯდება. ბატონი პიერი, მიუხედავად ათასგვარი მაქინაციებისა თამაშს აგებს, მაგრამ ისტერიულად პყვირის: „ეს არა, სხვა რამ ვითამაშოთ, სხვა რამ ვითამაშოთ“. (6, 146) ცინცინატი ახლა კამათლებს აგორებს თავის მრუდე ორეულთან ერთად და კვლავ იგებს თამაშს. ბატონი პიერი არ თმობს და დამალობანას სთავაზობს თავის პარტნიორს: შეიტყობს რა ცინცინატის განზრახვას ციხიდან გაქცევის თაობაზე, იგი საიდუმლო

გვირგვინს თხრის ცინცინატის საკანსა და თავის საკანს შორის და სამარცხენო გამარჯვებას აღწევს: ციხიდან გასვლის ნაცულად იმედით აღვსილი ცინცინატი ბატონი პიერის საკანში აღმოჩნდება: „და აი, ბნელში ხანგრძლივი ხოხვის შემდეგ, წყვილიადის, სიბრძავის, სივიწროვის შემდეგ გამოჩნდა მკრთალი შუქი: მოსახვევი და ბოლოს — გასასვლელი; ცინცინატი უხეიროდ და მორჩილად დაებურტყა ქვის იატაკზე — ბატონი პიერის მზით განათებულ საკანში“ (6, 159).

ტყუილი, თვალთმაქცობა, ფლიდობა ქრისტიანული გაგებით სატანისუფლთან პიროვნების უდაო კავშირს მიუთითებს, ორმხრივი თამაში კი რეალურად არის ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის, ისევე როგორც ბრძოლა „სამოთხისა და ჯოჯოხეთის მბრძანებლებს შორის, არის მარადიული ბრძოლა დამკვიდრებისათვის“ (8, 130).

„არა უცხო, საშინელი ბიძია, არამედ კეთილი მეგობარი, მიეხმარება მას (ცინცინატს) ავიდეს წითელ საფეხურზე და უშიშრად მომენდოს მე, — სამარადისოდ, მთელი სიკვდილის მანძილზე!“ (6, 46) — სთავაზობს ცინცინატს ბატონი პიერი, ცინცინატი შეთავაზებას არ იღებს:

„რატომ პყარხართ ასე ძალიან?“ — ზიზღით ეკითხება ცინცინატი პიერს. „ოჯახში მოგვდგამს“ (6, 147) — უხსნის მას ბატონი პიერი, — „ფეხები გვისივდება, რითი არ დავიზილუე, მაგრამ არაფერი შევლის“ ... „სუნთქვა არ შემიძლია“ — ამბობს ცინცინატი და კეთროვანივით შორდება სატანასთან წილნაყარ მოსაუბრეს.

ორეულებს შორის გამართულ თამაშში გამარჯვება ცინცინატს რჩება. გამარჯვების მაუწყებელი დაფდაფი რომანის ფინალია, სადაც სიკვდილზე ამალმებული პერსონაჟი სამუდამოდ ემიჯნება თავის თემატურ ორეულს და „გამლილი გულით“ უერთდება სხვა, მიღმიერ იდეალურ სივრცეს.

გარდა ძირითადი დუალისტური წყვილებისა ცინცინატი 1/ცინცინატი 2 და ცინცი-

ნატი ც./ბატონი პიერი, რომანში ყურადღებას იქცევს წყვილი: პიერი/როდრიგი, რომანი, როდიონი.

სამეული — როდრიგი, რომანი, როდიონი ბატონი პიერის ანტიპოზი წარმოადგენს, მისი სარკისმიერი ანტიპოზი მეორე, მკვდარ ბოლოს, სარკის ზედაპირზე ვადაბნილ ასლს, რომელსაც ცხვირით ეჯახები.

საგულისხმოა, რომ ამ სამი პერსონაჟის დაჯგუფებასაც მათი ალფაბეტური იკონოგრაფია გვაძინობს: ციხის დირექტორის — როდრიგის, საკნის მეთვალყურის — როდიონის და ადვოკატ რომანის სახეები ერთთავად იწყება ასო „რ“-დან, რაც რუსულად აღინიშნება, როგორც „P“. სამი „P“ — „PPP“ უნებურად გვაგონებს სატანის ნიშნის „ნნნ“ გადმობრუნებულ გრაფიკულ გამოსახულებას. ეშმაკის გამოხატვა სამთავიანი წარმონაქმნის სახით არაერთგზის აღინიშნება ქრისტიანულ ხელოვნებაში. ადრეულ და შუა საუკუნეების ქრისტიანულ ძეგლებში ეშმაკი ხშირად ასოცირდება მთლიანად ცხოველურ, ნახევრად ცხოველურ და ნახევრად ადამიანურ ფორმასთან. „ეშმაკი, როგორც მცველი გათანაბრებული იყო ცერბერთან და მისგან მეტკვიდრეობით მიიღო სამმაგი თავი. ბევრი მითოლოგიური წყარო მიუთითებს მიწისქვეშა სამყაროს მბრძანებლის ტრიცეფალურ სახეს... მაგალითად, დანტესეული სამთავიანი ეშმაკის ერთი სახე წინ იყურება, ორი დანარჩენი — ორ სხვადასხვა მხარეს. შუა სახე წითელია, მარჯვენა — თეთრ-ყვითელი, მარცხენა — შავი“ (8, 40).

საყურადღებოა, რომ როდიონს „წითელი წვერი“ და „კიბორჩხალისებური ხელი“ აქვს, როდრიგს „იდეალური, შავი პარიკი“ ხურავს და „ისეთ სუნს აფრქვევს, როგორც ლილიები თავდია კუბოში“, რომანს კი სახე „თეთრი პუდრით“ აქვს დაფარული და გამუდმებით ახტება მხარზე შავი კატა. რომანის მეორე თავშივე როდიონი უცნაურ სიმღერას მღერის: „როდიონმა მაგიდა გასწია და კუთხეზე ჩამოჯდა... მიიღო ღვინის სარდაფში მჯდომი სა-

ოპერო მომღებლების პოზა. ბარიტონული ბასით წამოიწყო სიმღერა, თან თვალებს ათამაშებდა და ცარიელ კათხას იქნევდა... რომელიღაც ნოტაზე კათხა მიწაზე დაანარცხა და მაგიდიდან წამოხტა. შემდეგ უკვე გუნდთან ერთად მღეროდა, თუმცა მარტო იყო“ (6, 42) ლეინის სარდაფი, ბარიტონული ბასი და გუნდი ძალაუნებურად გვაგონებს მეფისტოფელის ცნობილ არიას ოპერიდან „ფაუსტი“.

მსგავსად ბატონი პიერისა ეს სამეულიც მუდმივ გარდასახვას ექვემდებარება:

„ჩვენ ნერვიულები ვართ, როგორც პატარა ქალი, — ლიმილით თქვა ციხის ექიმმა, იგივე როდრიგ ივანეს ძემ“; (6, 66).

„ლაბორანტმა როდიონმა მიუშვა როდრიგ ივანეს ძე ჭუჭრუტანასთან“; (6, 67).

„კარი წყნარად გაიღო და... გაბრწყინებული შემოვიდა ცირკის დირექტორი როდრიგ ივანეს ძე“ (6, 119).

მაგრამ, რაც ნიშანდობლივია, ეს სამი პერსონაჟი მუდმივად ტრანსფორმირდება ერთმანეთში:

„არა, როგორია, — გაიცინა დირექტორმა, — ყველაფერი უნდა რომ იცოდეს, ა, რომან ბესარიონის ძე?“

— ოპ, ჩემო მეგობარო, არც თქვათ, — ამოიოხრა ადვოკატმა.

როდიონმა წვერზე ხელი ჩამოიხსვა და განაგრძო“; (6, 50-51).

„ცინცინატმა თვალები დახუჭა. როცა გაახილა, დაინახა რომ დირექტორი ზურგიით იდგა საკანში. სკამზე ისევ ეყარა ტყავის წინსაფარი და წითელი წვერი, როგორც ჩანს, მოხსნილი როდიონის მიერ“; (6, 78).

„ცინცინატი ნელა ჩამოვიდა ემაფოტოდან და წინ გაემართა, მას დაეწია ბევრად დაპატარავებული რომანი, იგივე როდრიგი“ (6, 217).

ტრანსფორმირების პროცესი გულისხმობს პერსონაჟების სივრცული ველის სრულ ზედღებას. „პერსონაჟები, რომელთა სივრცეც ემთხვევა თითოეული სტრუქტურის სინქრონულ კრილში, არაობრივად ერთი პერსონაჟია. გამომდინარე აქე-

დან, სივრცესთან მიმართება წარმოადგენს პერსონაჟში. როგორც ერთიან პარადიგმაში, თხრობის სხვადასხვა ელემენტების იდენტიფიკაციის პირობას... პერსონაჟები, რომელთა სივრცულ-სტრუქტურულ დონეზე ემთხვევა ერთმანეთს, სტრუქტურებიან ინვარიანტულობის მაღალ დონეზე ჩამოყალიბებულ ვარიანტებად“ (5, 391).

ამრიგად, პერსონაჟთა იგივეობა სივრცეში ამყარებს ჩვენს პოზიციას მათი ერთიანობის შესახებ: როდრიგი, რომანი და როდიონი ერთ ძირზე ამოზრდილი სამი თავია, რომელთაგანაც თითოეული მონური აღფრთოვანებით მორჩილებს სატანა — პიერს:

„ო, დიას, ბატონო პიერ, თქვენ საზოგადოების სული და ზორცი ხართ, — წაილულულა მან (როდრიგ ივანეს ძემ), — ნამდვილი სული!.. ბრწყინვალეა! თქვენ ტალანტი ხართ!“ (6, 91).

„ჩემი მოწიწება, ჩემი მოწიწება, ჩემი მოწიწება, — მიმართა ადვოკატმა (პიერს) და მიუახლოვდა“; (6, 91).

შემთხვევითი არ არის, რომ როდრიგი დროდადრო იყურება სარკეში: „მან ჩაიხედა ჯიბის სარკეში, გაისწორა წვერი“ (6, 78). ეს ემმაკეული სამეული სატანის, ბატონი პიერის სარკეში არეკლილი ასლია, ორეული, რომელიც დამღუპველად ემორჩილება დედანს და არ გააჩნია ინდივიდუალური ქრონოტოპი. ასეთი ორეული სარკის მკვდარი ბოლოა. ვ. ნაბოკოვი თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ხსნის ჩახლართულ სივრცულ ენიგმას.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ვ. ნაბოკოვის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი ერთი სტილისტური ხერხი — მხატვრული სივრცის ორ-აზროვნება და პერსონაჟების გაორება სივრცეში, რაც მეტწილად სარკის ან სარკისმაგვარი ელემენტების ფუნქციური შედატვირთვით არის განპირობებული. სივრცეს და სარკეში არეკლილ მის ორეულს ბუნებრივად უთავსდება პერსონაჟებისა და სარკეებში არეკლილი მათი ორეულე-

ბის სიუჟეტი, ვფიქრობთ, პოზიცია ნათელია: ვ. ნაბოკოვი აგებს თავის ორეულებს იმგვარად, რომ პიროვნების რეალობა და შესაბამისობა ცხადად იკვეთება ორასროვანი და ორგემატე სივრცის ზედაპირზე. ორეულების მრავალფეროვნება სიმბოლურად ასახავს იმ უწყესრიგობას და დეზინ-

ტეგრაციას, რომელიც ბუნებრივად წარბოიშობა ცალკეული, ობიექტური კონტურების დაკარგვის წიაღში. ვ. ნაბოკოვის სტილის ეს საინტერესურობა შედმიწევნით გამოხატავს შვედო მსახურის რომანში ჩამოყალიბებულ რთულ სტრუქტურულ ურთიერთმიმართებებს.

ლიტერატურული ცნობები

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. მათეს სახარება, ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ფსალმუნნი, მესამე გამოცემა, 1990.
- 2. მარკოზის სახარება, იქვე.
- 3. ლუკას სახარება, იქვე.
- 4. იოანეს სახარება, იქვე.
- 7. Sonya Domergue, Vladimir Nabokov: Mixed Doubles, Canadian-American Slavic Studies, 19, № 3 (Fall 1985).
- 8. Maximilian Rudwin, The Devil In Legend And Literature, The Open Court Publishing Company, 1931.





სიმაართლე გამონაგონისა

ცნობილ პერუელ მწერალს, ამჟამად ესპანეთის მოქალაქეს — მარიო ვარგას ლიოსას, ვისი ნამუშევრებიც მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი და გამოცემული, დღეს ჩვენ წარმოგიდგენთ, როგორც ლიტერატურულ კრიტიკოსს. „სიმაართლე გამონაგონისა“ (1990 წ.) წარმოადგენს მწერლის ესეების კრებულს, რომელიც ეძღვნება მეოცე საუკუნის ოცდახუთ საუკეთესო რომანს.

„ლოლიტა“

„ლოლიტა“ ოცდაათი წლისაა...

„ლოლიტამ“ ნაბოკოვს სიმდიდრე და სახელი მოუტანა, მაგრამ სკანდალმა, რომელიც მის გამოჩენას მოჰყვა, რომანი გაუგებრობის ბურუსში გახვია და ეს ბურუსი ჯერაც გაფანტული არ არის. დღეს, როცა მშვენიერი პატარა ნიმფა ორმოცი წლის ხდება, — ოი, საშინელებაჲ!... — ბოლოსა და ბოლოს დროა, ყველას გასაგონად ითქვას, რომ მას შეიძლება ჩვენი დროის ყველაზე დახვეწილ და რთულ ლიტერატურულ ქმნილებათა შორის დამკვიდრების პრეტენზია ჰქონდეს, ისე რომ, ამავე დროს, ცხადია, სკანდალური წიგნის რეპუტაციაც შეინარჩუნოს.

მაგრამ ის ფაქტი, რომ მისმა პირველმა მკითხველებმა მხოლოდ ეს უკანასკნელი დაინახეს და არა ის, რაც მის უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს და რაც დღეს ყველა ოდნავ გონებამახვილი მკითხველისთვის არის აშკარა — ფრიად ყურადსაღები გახლავთ. ამით ერთხელ კიდევ იქნა დემონსტრირებული, რაოდენ ძნელად ღებულობს სამართლიან შეფასებას ყოველივე

ის, რაც ნოვატორულია. შეგახსენებთ: ოთხმა ამერიკულმა გამომცემლობამ უარი თქვა „ლოლიტას“ ხელნაწერზე და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცა იგი ნაბოკოვმა მორის ფიროდიას პარიზის გამომცემლობა „ოლიმპია პრესს“, რომელიც ინგლისურ ენაზე გამოსცემდა წიგნებს, ცნობილი იყო სასამართლო-კონფისკაციებით, უხამსი თხზულებებისა და მორალურ ნორმათა დარღვევის ბრალდების გამო და რომლის კატალოგებშიც იაფფასიანი პორნოგრაფიების გვერდით სრულიად აბსურდულად გამოიყურებოდა ისეთ ჭეშმარიტად ნიჭიერ მწერალთა წიგნები, როგორიც პენრი მილერი, უილიამ ბეროუზი, და დ. პ. დონლივია. ნაბოკოვის რომანმა დღის სინათლე პირველად 1955 წელს იხილა, თუმცა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ერთი წლის შემდეგ იგი აკრძალული იქნა, მაგრამ ამ დროისათვის მან უკვე მოასწრო დიდი დენობით გასაღება, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც გ. გრინმა, უწოდა რა წლის ყველაზე საუკეთესო წიგნი, ცხარე კამათის პროვოცირება მო-

აწყო. „ლოლიტა“ ახლა „დაწყველილი რომანის“ შარავანდშია გახვეული, რომლისგან გათავისუფლებაც მან ვერასოდეს შეძლო და რასაც გარკვეული, და არა საყოველთაოდ მიღებული აზრით, იმსახურებდა კიდევაც. მხოლოდ 1958 წელს, როცა ბოლოსა და ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ამერიკული გამოცემა, ხოლო შემდეგ ათობით თარგმანი სხვადასხვა ენაზე, რომანმა ნამდვილად დაინტერესა საზოგადოება და მკითხველი წიგნს, რომ იტყვიან, პირდაპირ დააცხრა. მალე ხმარებაში შემოვიდა ტერმინი — „ლოლიტა“, რომლის უკანაც სრულიად ახალი შინაარსი იგულისხმებოდა, რაც არაცნობიერად ემანსიპირებულ გოგონა-ქალს, იმ რევოლუციის უნებლიე სიმბოლოს ნიშნავდა, მთელი თანამედროვე ცხოვრების ყაიდას რომ შეეხო. გარკვეულწილად „ლოლიტა“ ამავე დროს სექსუალური ტოლერანტობის ეპოქის დაწყების პირველი მერცხალი და უდაოდ ერთ-ერთი პირველი ბიძგის მიმცემთაგანია, რამაც თავის აპოგეას სამოციანი წლების შუაში მიაღწია. ეს ის დროა, როცა ამერიკელი და დასავლეთევროპელი ახალგაზრდობა გადაჭრით თავისუფლდება ყოველგვარი ტაბუსაგან. ნიმფულა (ვფიქრობ, ეს სიტყვა უკეთესად ჟღერს, ვინაიდან მასში ადგილი არა აქვს ავტორისეული ნეოლოგიზმის — „ნიმფეტკას“ მანკიერსა და პროვოკაციულ ორაზროვნებას) არ არის ნაბოკოვის მოგონილი. განა არ არსებობდა იგი უწინაც? ვთქვათ, გამხრწნელთა სიზმრებსა თუ უმანკო გოგონების მთრთოლვარე ოცნებებში? მისი გამოჩენა მორალისა და ზნეობის ევოლუციის მთელი ლოგიკით მზადდებოდა. რომანის დამსახურება კი ის გახლავთ, რომ მან გამოიყვანა ეს სახე ბუნდოვანი ამრდილის მდგომარეობიდან, ხორცი შეასხა, მოხსნა ნევროზული აკრძალულობის ბორკილი და მოქალაქეობა მოუპოვა.

ის ფაქტი, რომ სწორედ ნაბოკოვის რომანმა გამოიწვია ასეთი აურზაური, გავლენა მოახდინა მილიონობით ადამიანზე და თანამედროვე მითოლოგიის ნაწილად

იქცა, უკვე გასაოცარია თავისთავად, ვინაიდან, ჩვენს საუკუნეში ძნელია იპოვო მეორე მწერალი, საკუთარი შემოქმედების პოპულარობითა თუ სხვა საჭირობოტო საკითხებით ნაბოკოვზე ნაკლებ შეურვებული, ხოლო თვითგულადობის მიმართ ისეთივე გულცივი (იგი წერდა, რომ ეს სიტყვა არაფერს ნიშნავს, ბრჭყალებში თუ არ ჩავსვამთ).

ვლადიმერ ვლადიმერის ძე ნაბოკოვი დაიბადა 1899 წელს სანკტ-პეტერბურგში, რუსულ არისტოკრატიულ ოჯახში. მამის მხრივ მის პაპას ეკავა იუსტიციის მინისტრის თანამდებობა ორი მეფის დროს, ხოლო მამა, რომელიც ლიბერალი პოლიტიკოსი იყო, მონარქისტებმა მოკლეს ბერლინში, ვლადიმერ ვლადიმერის ძეს მართლაც რომ დიდებული განათლება ჰქონდა მიღებული, იგი პოლიგლოტი გახლდათ. ზრდიდა ორი ინგლისელი ძიძა, ჰყავდა შვეიცარიელი გუვერნანტი ქალი, ფრანგი აღმზრდელი და ჯერ კიდევ რევოლუციამდე სწავლობდა კემბრიჯში. მალე ოჯახმა რუსეთი დატოვა და გერმანიაში გადასახლდა.

ნაბოკოვმა ყველაზე თამამი წიგნი („უფერული ცეცხლი“) მხოლოდ 1962 წელს გამოსცა, მაგრამ „ლოლიტას“ გამოცემამდე მან უკვე მოასწრო თავისი ნაწარმოებების უდიდესი ნაწილის პუბლიკაცია. მართალია, ეს ნაწარმოებები საკმაოდ ბევრია — რომანები, ლექსები, პიესები, კრიტიკული ესეები, გოგოლის ბიოგრაფია, თარგმანები რუსულად და რუსულიდან — მაგრამ არც ისე განმაურებული. წერა რუსულად დაიწყო, მერე ჯერ ფრანგულზე გადავიდა, შემდეგ კი — ინგლისურზე. გერმანიის შემდეგ ერთხანს საფრანგეთში ცხოვრობდა, მაგრამ საბოლოო საცხოვრებლად ამერიკა აირჩია. აქ იგი უნივერსიტეტში მასწავლებლად მუშაობდა, ზაფხულის თვეებში კი მთელ დროს თავის უსაყვრლეს ვატაცებას, უფრო სწორად, თავის მეორე პროფესიას — ენტომოლოგიას, ზუსტად კი — ქერცლფრთიანთა შესწავლას ახმარდა. ამ მწერების შესახებ ნაბოკოვმა

დაბეჭდა რამდენიმე მეცნიერული სტატია და პირველმა აღწერა სამი პეპელა: *Neonympho Maniola Nabokov-ი*, *Echinargus Nabokov-ი* და *Cychargus Nabokov-ი*.

„ლოლიტამდე“ დაწერილ ნაწარმოებებს, უმეტესწილად „ლოლიტასავე“ წარმატებების წყალობით, მრავალრიცხოვან გამოცემებში ხვდა აღორძინება წილად. ეს იყო „ლიტერატურული“ ნაწარმოებები და ამ უკიდურესი „ლიტერატორულობის“ მიღწევა ნაბოკოვის თანამედროვეთაგან მხოლოდ ერთმა — ხორხე ლუის ბორხესმა შეძლო. „ლიტერატურულს“ მე ვუწოდებ წიგნებს, რომლებიც მთლიანად არსებული ტექსტების საფუძველზეა აგებული და აღინიშნება განსაკუთრებული სიტყვიერი და ინტელექტუალური დახვეწილობითა და რაფინირებულობით. ამ წიგნების რიცხვს განეკუთვნება „ლოლიტაც“, მაგრამ ამასთან ერთად მწერლის მთელი შემოქმედების კონტექსტში „ლოლიტა“ წარმოადგენს რაღაც სრულიად ახალს. ამ რომანში მართლაც რომ ჯოჯოხეთურად ჩახლართული მხატვრული ხერხები შედარებით უბრალო, მაგრამ საოცრად მოძნიბლელი ფაბულითაა შენიღბული. ეს არის ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ აცდუნებს თორმეტი წლის გოგონას — დოლორეს გეიზს, ლოს, ლოლიტას მამინაცვალი, მისადმი ვნებით შეპყრობილი ორმოცი წლის შვეიცარიელი, რომელიც ნაწარმოებში პირობითი სახელით — ჰუმბერტ ჰუმბერტით არის შესული, როგორ ფარავენ ისინი თავის კავშირს და როგორ მოგზაურობენ ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე. ყოველი დიდი ნაწარმოები თავისში ანტაგონისტური წაკითხვის შესაძლებლობას ფარავს, ეს ის პანდორას ყუთია, სადაც თვითვეული მკითხველი თავისთვის ნაირნაირ აზრებს, სხვადასხვა შეფერილობებს, თემებსა თუ სიუჟეტებსაც კი აღმოაჩენს. ასეა „ლოლიტაც“. ერთი მხრივ მან შეძლო მოეხიბლა ყველაზე ზერელე, ზედაპირული მკითხველი, ხოლო მეორე მხრივ იღვისა და აღუზიის უმრეტლობისა თუ ფაქტურის

სინატიფის გამო, თვით ის ყველაზე გაწაფული ადამიანებიც კი დაიმორჩილა, რომლებიც ყოველ წიგნს ხელში იმ გამოწვევით იღებენ, ერთმა ახალგაზრდა კაცმა ოდესღაც კოკტოს მისამართით ლომ ისროლა, „Etonnez-moi“ (შეაშოკეთ!). რომანში ყველაზე ხელმისაწვდომი შრე ჰუმბერტ ჰუმბერტის სასამართლოს იმ წევრებისადმი მიმართული აღსარებაა, რომლებმაც მის მიერ ჩადენილი მკვლელობის ბრალდების საქმე უნდა განიხილონ. იგი ჰყვება, ბავშვობაში, როცა ჯერ ისევ ევროპაში ცხოვრობდა, როგორ იგრძნო ლტოლვა პატარა გოგონების მიმართ, რაც შემდეგ მოუთოკავ ვნებაში გადაიზარდა და რომლის დაოკების ობიექტსაც მხოლოდ ახალი ინგლისის ერთ პატარა, მიყრუებულ ქალაქში — რამზდელში მიაგნო. აქ ჰუმბერტ ჰუმბერტი ცოლად ირთავს შედარებით უსრუნველყოფილ ქვრივს — შარლოტა გეიზს და ამავე დროს მოსვენებას არ აძლევს ვულში ფარულად ჩამარხული მიზანი — დაეუფლოს ცოლის ჯერ ისევ მცირეწლოვან ქალიშვილს — ლოლიტას. წადილის აღსრულებაში ჰუმბერტ ჰუმბერტს ეხმარება შემთხვევა, რომელიც ავტომობილთან არის დაკავშირებული: ავტოკატასტროფაში იღუპება მისი მეუღლე, რის შემდეგაც ობლად დარჩენილი გოგონა მთლიანად მის ხელში აღმოჩნდება. ამ ნახევრად სისხლის აღრევიტმა კავშირმა თითქმის ორ წელიწადს გასტანა. ორი წლის შემდეგ ლოლიტა ვინმე კლერ კუილტთან — დრამატურგსა და კინოსცენარისტთან ერთად გარბის, რომელსაც ჰუმბერტ ჰუმბერტი მძიმე და ხანგრძლივი ქვების შემდეგ პოულობს და კლავს, რის გამოც ასამართლებენ კიდევაც. და აი სასამართლოს მოლოდინში იგი იწყებს წერას იმისას, რასაც შემდეგ „ლოლიტას“ სახელი ერქმევა. ჰუმბერტ ჰუმბერტი თავის სათქმელს სანახევროდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ გადმოსცემს, მკითხველს ყალბ კვალზე აყენებს, ლაპარაკობს ირთინით, გზას ათავსნაირად ხლართავს და ამ ყველაფერს აკეთებს ისე,

როგორც ეს გამოცდილ მოხრობელს შეეფერება, მოხრობელს, ვინც იმ ხელოვნებას ფლობს, რასაც აუდიტორიის მუდმივ დაძაბულ ცნობისმოყვარეობაში ყოფნის ხელოვნება ქვეია. მისი ამბავი სკანდალურია, მაგრამ არ არის მასში პორნოგრაფია, არ არის თითქმის ეროტიკა. ეროტიკულ სცენებს იგი იმ ყოველგვარი ტკობის გარეშე აღწერს, რაც პორნოგრაფიისათვის აუცილებლად არის დამახასიათებელი. მისთვის უცხოა პედონიზმიც, იგი თვით მოხრობის პროცესითაც კი არ განიცდის სიამოვნებას. ჰუმბერტ ჰუმბერტი არც გარყვნილია, არც ავხორცი და არც აკვიატებული აზრით შეპყრობილი. მისი ამბავი სკანდალურია უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი თავად აღიქვამს ასე ამ ყველაფერს და შესაბამისადაც ქვეება, უწოდებს რა თავის თავს წამდაუწუმ „შეშლილსა“ და „ურჩხულს“ (ეს მისი სიტყვებია). თავგადასავალს სწორედ გმირის ეს თვითგვემა აძლევს განსაკუთრებულად ავადმყოფურსა და ზნეობრივად მიუღებელ ხასიათს და არა მსხვერპლის ასაკი — გოგონა ხომ სულ რაღაც ერთი წლითაა შექსპირის ჯულიეტაზე უმცროსი. გმირის დანაშაულს აძლიერებს და მკითხველის თანაგრძობას უკარგავს კიდევ ერთი გარემოებაც: იგი უსიამოვნო, ქედმაღალი ადამიანია, იგი დაუფარავი სიძულვილით ეკიდება არა მხოლოდ მის ირგვლივ მყოფ ყველა ქალსა და მამაკაცს, არამედ იმ ჯერ ისევ მოზარდ გოგონასაც, ვინც ასე ცეცხლს უკიდებს მის წარმოსახვას.

ღიახ, რომანის სკანდალურობა იმაში კი არ არის, ვიღაც პირქუში ტიპი პატარა ნიშნას რომ აცდუნებს, არა, საქმე სულ სხვა რამეში გახლავთ — წიგნის ყველა პერსონაჟი სასაცილო თოჯინად არის ქცეული და დამცირებული. ჰუმბერტ ჰუმბერტის მონოლოგი თავიდან ბოლომდის აბურჩად აგდება, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და ადამიანების პროფესიული თუ სხვა სახის საქმიანობის ბოროტი დაცინვაა — დაწყებული ფსიქოანალიზით, რომელიც ნაბოკოვისათვის იგივე იყო,

რაც ხარისთვის მის წინ აფრიალებული წითელი ნაჭერი და დამთავრებული ოჯახითა და ბავშვების აღზრდით. გმირის გესლიანი კალმის ქვეშ ყველა, ვინც კი მის ირგვლივაა, სულუღაღვე მუტივმოყვარედ, სასაცილოდ, უხმმსად [[ [[ [[ მთქსაწყენ ადამიანად გამოიყურება. არაერთხელ ითქვა — რომანი შეიცავს ამერიკელი საშუალო კლასის დაუნდობელ კრიტიკას, წარმოადგენს სატირას უგემოვნო მოტივების, ცხოვრების პრიმიტიული ყაიდის, ამერიკელების ზნეობრივ ფასეულობათა არამდგრადობის შესახებ — ეს არის მხატვრული განაჩენი იმისა, რაც ჰენრი მილერმა „კომფორტაბელურ კომპარად“ მონათლაო. თავის მხრივ პროფესორი პარი ლევინი კი ასე განმარტავს ამას — „ლოლიტა“ გაგებული უნდა იქნეს, როგორც მეტაფორა — მასში ასახულია იმ ევროპელის გრძნობები, რომელიც თავიდან მხურვალე სიყვარულით იმსჭვალება ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, შემდეგ კი იცნობიერებს რა ამ ქვეყნის უმწიფრობას, გული უტყდება და იმედი უცრუვდება“. მაგრამ, ვეჭვობ, რომ ნაბოკოვს ამ ამბის შეთხზვისას მასში რაიმე სიმბოლური აზრი ჩაედო. ჩემი შეხედულებით ნაბოკოვი, ისევე როგორც ბორჯესი, სკეპტიკოსი იყო, ვისაც სძულს, ვინც არაფრად აგდება ცხოვრებასა და იმას, რაც ახლათ. ორივე მწერალი — გონებაჭვრეტით აზრთა წყობის საშალავში, წმინდა და გამონათგონის მიხედვით შექმნილ წიგნებში თავშეფარებული ერთსაცა და მეორესაც ირონიით აღიქვამდა. ქვეყნიერებისგან განრინებულთ, გონების იმ სასწაულებრივი თავშესაქცევების გამო ვანდგომილი თავი იქ ამოქოლეს, სადაც რეალობა სიტყვის ლაბირინტსა და მოციადე სახეებში იკარგება. და ამ ორმა მწერალმა, ვინც ასე ძალიან ჰგავს ერთმანეთს კულტურის აღქმის მანერითა თუ სამწერლო ხელოვნებისადმი თავისი დამოკიდებულებით, შექმნა ღირსშესანიშნავე თხზულებები, რომელიც არამც და არამც არსებულის კრიტიკა კი არა, ცხოვრებაზე სო-



რცის ჩამოცილების, აბსტრაქციის ნათელ მირაჟებში სიცოცხლის განზნევის საშუალებაა.

ესაა „ლოლიტაც“ — რეალობის დასვეწილი, ბაროკული შეცვლა.

მაგრამ ამგვარს მხოლოდ ის დაინახავს, ვინც არ გაიხლართება სიუჟეტის სარჩულში, ვინც შეავსებს რომანის საიდუმლო სიღრმეებს, შეეცდება მისი გამოცანების ამოხსნას, ჩასწვდება ალუზიის დედაარსს — გაარჩიოს ერთმანეთისაგან პაროდია და დაცინვა. რომანი ხელთათმანს ისერის, მკითხველს კი შეუძლია მიიღოს ან არ მიიღოს ეს გამოწვევა — მას ხომ წმინდა ფაბულური აღქმაც უზარმაზარ სიამოვნებას ანიჭებს... მაგრამ, თუ გარისკავს და სხვაგვარად წაიკითხავს „ლოლიტას“, აღმოაჩენს, რომ ეს ლიტერატურული მითითებებისა და ლინგვისტური ფოკუსების უძირო ჭაა. და რომ სწორედ ეს არის რომანის მჭიდრო საკარკასო ბადურა, რომ შეიძლება სწორედ მასში იყოს ის ნამდვილი ამბავი, რის მოყოლაც ნაბოკოვს სურს. ამბავი არანაკლებ რთული, ვიდრე ის, რაც მისსავე რომანს — „ლუჟინის დაცვას“ უდევს საფუძვლად, სადაც ნაწარმოების გმირი, შემლილი მოჭადრაკე დაცვის ახალ სისტემას იგონებს. ან ვიდრე „უფერულ ცეცხლში“ მოთხრობილი ამბავია, მხატვრული ტექსტი პოემის კომენტარებს რომ იმიტირებს, ხოლო დაშიფრული ფაბულა მხოლოდ მოთხრობლის წიაღსვლებში იხსნება.

„ლოლიტას“ საიდუმლო განძთა ძიებამ მრავალ წიგნს და დისერტაციას მისცა მასალა, მაგრამ მათში, სამწუხაროდ, მხედველობაში თითქმის არასოდეს მიიღება ის იუმორი და სათამაშო საწყისი, რომლის შემვეობითაც ნაბოკოვს, ისე როგორც ბორხესს, შეეძლო ერუდიცია (ნამდვილი თუ ფიქტიური) ხელოვნებად ექცია.

რომანის ლინგვისტური ეკვილიბრისტიკა თითქმის ვერ უძლებს თარგმანის გამოცდას. ვთქვათ, ორიგინალში ჩართული ის ფრანგული სტრიქონები, თავისში კადნიერებას და დაცინვას რომ ატარებს და

რომლის აღქმა-შეგრძნებაც არც თუ ისე ადვილი საქმეა. ანდა ათასიდან ის ერთი მაგალითი, როცა ჰუმბერტ ჰუმბერტი წასავლელად და იმ კაცის მოსაკლავად ემზადება, ვინც ლოლიტა წაართვა და თან რაღაც უცნაურ ლექსს დეკლამირებს:

Reveiller—vous, Laqueue, il est temns de mourir!

ვისადმია მიმართული და რას შეეხება იგი?

რა არის ეს — სიტყვასიტყვით მოყვანილი ციტატა თუ პერიფრაზი, რომლის მსგავსიც უამრავია წიგნში? რატომ ეძახის მოთხრობელი კლერ კუილტის Laqueue-ს? იქნებ ამ სახელის ქვეშ თავადვე იმალება? არა, ეს ამოცანა თავის მშვენიერ გამოკვლევაში — „Keus to Lolita“ — პროფესორმა კარლ ლ. პროფერმა გადაჭრა. იგი ამბობს, რომ აქ შენიღბულ უხამსობაზეა ლაპარაკი. Laqueue, ანუ „კუდი“ ფრანგულ არგო ანუ საიდუმლო ენაზე ფალოსს ნიშნავს, ხოლო „მოკვდომა“ — „გადმოღვრას“. ასე და ამგვარად, ეს ფრაზა ალევორიაა და მასში დანაშაულის შესახებ წინასწარი გაფრთხილებაა მოცემული, დანაშაულისა, რომელიც ჰუმბერტ ჰუმბერტმა უნდა ჩაიდინოს. ამასთან ერთად იხსნება ჩაფიქრებული მკვლელობის მიზეზიც (კუილტი კლერის ფალოსი, რომელიც დაჰპატრონებია ლოლიტას).

აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი ალუზია და ამოცანა სინამდვილეში სხვა არა არის რა, თუ არა ჰუმბერტ ჰუმბერტის სოლიფსისტური თავშესაქცევი და იგი მოვლენათა განვითარებაზე არ ზემოქმედებს. თუმცა არის ისეთებიც, რომელიც ფარულად ერევა ამ მოვლენათა სვლაში. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ყველა ის ცნობა და ნართაული, რომანის ყველაზე საინტერესო პერსონაჟს — არა ლოლიტასა და არა მოთხრობელს, არამედ კლერ კუილტის რომ შეეხება — დრამატურგს, მარკიზ დე სადის თაყვანისმცემელს, გარყვნილს, ნარკომანს, ლოთსა და მისივე აღიარებით, ნახევრად იმპოტენტს. მისი გამოჩენა მოთხრობას კალაპოტიდან აგდებს, ზუსტად დო-

სტოვესკისებურად ახვევს რა თავს ორეულის თემას, იგი მოულოდნელი გზით მიჰყავს. სწორედ კლერ კუილტის გამო იბადება ეჭვი, რომ მთელი ეს ამბავი სხვა არაფერია, თუ არა ჰუმბერტ ჰუმბერტის შიზოიდური წარმოსახვის ნაყოფი, კაცისა, ვინც, როგორც ადრე უკვე ეცნობა მკითხველს, სამკურნალოდ რამდენჯერმე სულით ავადმყოფთა კლინიკებშიაც იწვა. კლერ კუილტი იტაცებს ლოლიტას და კვდება, მაგრამ რომანში იგი სულაც არ არის ამისათვის. მისი გამოჩენა წიგნში რალაც განგაშის მაუწყებელია, კითხვის ნიშანია: იმსახურებს კი ნდობას სავარაუდო მთხრობელი?

ვინ არის ეს უცნაური ტიპი? იგი მატერიალიზდება მხატვრულ რეალობაში, რათა ლოლიტა კლინიკიდან თავისთან ელფინზონში წაიყვანოს, მაშინ როცა აქამდე, მთელი იმ რალაც დროის მანძილზე, მხოლოდ ჰუმბერტ ჰუმბერტის დევნის მანიით შეპყრობილ ბუნდოვან სახეთა რიგს წარმოადგენდა. მანქანა, რომელიც ხან გამოჩნდება და ხან გაქრება, ცდომილი აღია, იმ კაცის გაურკვეველი ფიგურა, რომელმაც გოგონა-ქალთან ეს-ესაა ტენისის პარტია დაამთავრა და ახლა სადღაც შორს გორაკებს იქით იმალება; მირიადი განაცხადი, რომელთა აზრის გაშიფვრა მხოლოდ მთხრობელის ავადმყოფურსა და იჭვნეულ გონებას შეუძლია. შემდეგ კი, როცა ჰუმბერტ ჰუმბერტი გაქცეულებს დასდევს და ამერიკის მიწაზე საკუთარ მარშრუტებს იმეორებს, როცა თითქმის მაგიურ რიტუალს აღასრულებს და ცდილობს ნიმფულასთან გატარებული ბედნიერების ორი წელი დაიბრუნოს, ყოველ გაჩერებაზე კლერ კუილტის საიდუმლოებით მოცულ კვალსა და ბარათებს ხვდება, საიდანაც ირკვევა, რომ ის კაცი ლამის ყოველისმცოდნეა; რაც შეეხება მთხრობელის ცხოვრებას, აზრებსა და თვისებებს, ისინი მასთან თითქოს უზენაეს თანამონაწილეთა მოდგმის ნათესაური კავშირითაა დაკავშირებული. მაგრამ არის კი აქ ნამდვილად ორ ადამიანზე ლაპარაკი? მათ შო-

რის მსგავსება ხომ გაცილებით დიდია, ვიდრე განსხვავება. ორივე თითქმის ერთი ასაკისაა, ორივე ერთნაირად განიცდის ვნებას ნიმფულების ზოგადად, ხოლო კერძოდ — ლოლიტა გეინის მიმართ, ორივეს უყვარს ლიტერატურა და ორივე ამ საქმის პროფესიონალია (თუმცა არათანაბარი წარმატების). ხოლო ყველაზე ნათლად ამ ორი პიროვნების სიმბიოზი თავს მაშინ იჩენს, როცა შორი მანძილიდან ისინი თითქმის პიპნოზურ პასებს უცვლიან ერთმანეთს — ლოლიტა კი მხოლოდ საბაბს წარმოადგენს. ეს არის დახვეწილი და იდუმალი კავშირი — იგი ცხოვრებას ლიტერატურად აქცევს. ენა ავტორის ჯადოსნური ჯოხია — ამ ჯადოსნური ჯოხით იგი ვეოგრაფიულ სახელებს ეხება და რალაც ახალ, გამოგონილ ქალაქებად და დაბეზად აქცევს, გამოგონილი ამბები ცნობილ ლექსებსა და რომანებს ეხმიანება, გამოგონილი გვარები პოეტურ ასოციაციებს იწვევს — და ეს ყველაფერი ხდება უმკაცრესი შრიფტის შესაბამისად, რომლის გასაღების მორგებაც მხოლოდ ამ ორ ადამიანს ძალუძს.

რომანის კულმინაციურ სცენას არ წარმოადგენს ლოლიტასა და ჰუმბერტ ჰუმბერტის სიყვარულის პირველი ღამე — კულმინაცია კლერ კუილტის აუჩქარებელი, საბალეტო სპექტაკლივით მეტყველი მკვლელობაა. ეს ის ვულკანის კრატერია, სადაც ჰუმბერტ ჰუმბერტის მთელი ცხოვრებისეული გამოცდილებაა თავმოყრილი. იმ ვირტოუზის საჩვენებელი გამოსვლაა, ოსტატურად რომ ჟონგლიორობს დრამატიზმითა და იუმორით. მხატვრული რეალობის თაობაზე ჩვენი მტკიცე წარმოდგენები წიგნის ფურცლებზე უცებ კარგავს თავის ურყეობას და ეჭვი გვიპყრობს. მაინც რა ხდება? ჩვენ ნამდვილად ვართ მკვლელსა და მსხვერპლს შორის გამართული საუბრის მოწმენი? იქნებ ეს მხოლოდ მთხრობელის ცნობიერების ავადმყოფური გაორებაა? აკი მალავს თავისში ამგვარ შესაძლებლობას რომანის ურთულესი სტრუქტურა: სევდითა და სინ-

დისის ქენჯნით გატეხილი ჰუმბერტ ჰუმბერტი ფსიქიური და მორალური დაცემის (strictu senso) პროცესშია, ორადაა გახლეჩილი — თვითვევებით აღსავსე ნათელ ცნობიერებად (იგი აფიქსირებს მომხდარს და ასამართლებს) და სუსტ, საზიზღარ სხეულად, სადაც იმ ვნებას დაუსადგურებია, რომელსაც ემორჩილება იგი და რომლისთვისაც ბოლომდე უცხოა როგორც ტკიპობა, ისე საკუთარი თავის შემწყნარებლობა. იქნებ საკუთარი თავი სძულს თავისსავე თავში, იქნებ საკუთარ თავს კლავს ამ სრულიად ფანტასტიურ სცენაში, სადაც რთმანი, აკეთებს რა დიალექტიკურ ნახტომს, თითქოს შორდება იმ პირობით რეალიზმს, რომლის მიმართაც აქამდე ესოდენ ერთგული იყო, რათა სუფთა გამოწავლის სამყაროში შეაბიჯოს.

ნაბოკოვის რომანების, განსაკუთრებით კი „უფერული ცეცხლის“ არქიტექტურა იმდენად რთულია და თავსატეხი, რომ ბოლოსა და ბოლოს ჯაბნის სხვა ყველაფერს. ასეა „ლოლიტაშიც“ — აზრობრივი დატვირთულობისა და შესრულების

ოსტატობის წყალობით, მისი კონსტრუქცია ძლიერად გამოდის პირველ პლანზე და ართმევს რა ცხოველმყოფელობასა და დამოუკიდებლობას, თვითუფლებლობას და ამბავს ფარავს. თუმცა [კბ. შაჩკასის მხატვარსი, მართალია, იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ ასე თუ ისე მაინც ეწინააღმდეგება ფორმის შეწოლას; ამ ამბის არსი ხომ ფესვებით აღამიანური ყოფის მარად ცოცხალ ამბების სწვდება — ვნებას და ინსტინქტს დამორჩილებულ ფანტაზიას.

თუმცა რალაც მომენტებში „ლოლიტას“ გმირებს მაინც გამოსდით ცხოვრება, ვინაიდან, მსვავსად ნაბოკოვის სხვა პერსონაჟებისა ან ბორხესისეული გმირებისა, არც ისინი უმსგავსებიან უზენაესი ვონით მართულ ჩრდილების თეატრის ფიგურებს.

დიახ, ლოლიტა გეიზი, დოლი, ლო, ლოლიტა ორმოცი წლის ასაკშიც უწინდებურად ქორფა, მიულწეველი, მაცდუნებელი და წარმტაცია, ტუჩებს ისევ ისე ილოკავს ენის წვერით და გულს ისევ ისე უძგერებს ისეთ ჯენტლმენებს, როგორც ჰუმბერტ ჰუმბერტია — რომელთაც თავით უყვართ, გულით კი ოცნებობენ.



*[Faint, illegible bleed-through text from the reverse side of the page.]*

## ლელი თათრუაშვილი



ქართული  
წიგლისათვის

### თომას მანი აგრეთვე ფენომენის შესახებ

თომას მანის, როგორც გერმანელი მწერლის, შემოქმედების მთავარი პრობლემა დაუძლეველი წინააღმდეგობა სინამდვილესა და იდეალს, „საქმესა“ და „სულს“, ან „ბიურგერსა“ და „ხელოვანს“ შორის. ხელოვანში თომას მანი გულისხმობს არა მხოლოდ „წმინდად“ ხელოვანს — ვთქვათ, მწერალს, მხატვარს და ა. შ., არამედ — სულიერებისაკენ მიდრეკილ ყოველ ადამიანს, ე. წ. „სულის“ კაცს, ბიურგერის ანუ „პრაქტიკოსის“, „საქმის“ კაცის საპირისპიროდ. ესაა ანტითეზა, რომელიც არტურ შოპენჰაუერისა და ფრიდრიხ ნიშცეს სულიერებიდანც მომდინარეობს და რომელთა მიხედვითაც ყოველი კაცი ცალმხრივობისთვისაა განწირული; ის ან „სულის“ ადამიანია, ან „ცხოვრების“ („საქმის“). ამ წინააღმდეგობის გადალახვას ანუ განყოფილი „საქმის“ და „სულის“ ერთქმნას თომას მანი მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე ცდილობს. დამოკიდებულება ებრაული ფენომენის ანუ როგორც თავად უწოდებს „უდენტუძის“ მიმართ, თომას მანის შემოქმედების მთავარ პრობლემაშია ორგანულად „მოქცეული“ და მისივე ეროვნულობიდან ანუ „გერმანელობიდან“ იღებს სათავეს. „ებრაელობისადმი ჩემს დამოკიდებულებაში — წერს თ. მანი — თავიდანვე იყო რაღაც ავანტურისტულ-საერო; მასში ვჭვრეტდი საიმისოდ შესაფერის ფერწერულ ფაქტს, რომ სამყაროში მეტი ფერადოვნება შემეტანა. და თუ ეს ესთეტიკურ უპასუხისმგებლობად ვღერს, გავბედავ და დავსძენ: ებრაელობისადმი ჩემს დამოკიდებულებაში ეთიკურ პრობ-

ლემას ვხედავდი — ამაღლებულ სიძნელეთა და არაწვეულებრიობათა იმ სიშხოლოთაგანს, რომელიც მე, როგორც ხელოვანს, ხშირად მიძებნია; გაკება ებრაული ფენომენისა — როგორც არტისტულ-რომანტიკულისა, რომელიც გერმანული სულის მსგავსია — თავიდანვე იყო მისაღები ჩემი გეშოვნებისათვის. ყველაზე ნაკლებ კი ის ებრაული მომწონდა, ვინც ამ ფაქტის მიჩქმალვაში იყო დახელოვნებული და უკვე იმაში ხედავდა ანტიუმეტიზმს, თუ ვინმე ყურადღების გარეშე არ სტოვებს ისეთ მკვეთრ (კამკამა) ფენომენს, როგორცაა ებრაელობა“. ამას წერს თ. მანი ესეში „ებრაული საკითხისათვის“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1965 წ. 15/1-ს, თ. მანის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ, გაზეთ „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგში“, მისი ცოლის — კატია მანის ნებართვით, რომელიც ებრაელი იყო — მიუნჰენის უნივერსიტეტის მათემატიკის პროფესორის, აღფრედ პრინგსჰაიმის ქალიშვილი.

მაგრამ ესე, რომელშიც კარდინალური საკითხები ისე იყრის თავს, რომ მათში თ. მანის მთელი შემოქმედება „იმ“ არსებით პრობლემაში პროეცირდება, — ერთადერთი არ არის, სადაც უკვე ჩანს მისი დამოკიდებულება ებრაული ფენომენისადმი; უფრო კი ისაა მთავარი, რომ თომას მანის პუმანისტური მიმართება იმ „მკვეთრი“ ფენომენის მიმართ მხოლოდ იმაში კი არ ჩანს, რაც მწერლის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, ანუ იქ ის შემთხვევა კი არ არის, როცა მწერალს, თანაც ისეთი რანგისას, როგორიც თომას

მანია, ნებისთ თუ უნებლიეთ ეჭამუშება თავისი სიმპათიის, სულაც, თანადგომის გამოხატვა და, ამდენად, ეს თანადგომა „იმდენადვე კეთილხინდისიერი, რამდენადაც უიმედო“; თომას მანის პოზიცია იმიტომაც სულიერ-ინტელექტუალური გმირობის ტოლფასი, რომ იგი, ფაშისტური გერმანიის „წიაღში“ ჯერ იქას წერს — გერმანული სული ებრაულის მსგავსიაო, მერე აღნიშნავს: ეს მსგავსებაა, რამაც დიდწილად განაპირობა გერმანულ ანტისემიტიზმის „გაფურჩქვნაო“, და ბოლოს თავისი შემოქმედების უმთავრესი პრობლემის, იმ ორი განყოფილი „ნაწილის“ — „საქმისა“ და „სულის“, „ცხოვრებისა“ და „იდუალის“ ერთქმნას თომასი საკუთარი რომანის გმირის — ბიბლიური იოსების — პიროვნებაში ხედავს, რომელიც თავისი ცხოვრების მოგვიანო პერიოდში „სულიერი კულტურის მქონე... ინტელექტუალიცაა და „პრაქტიკოსიც“ (იხ. „იოსები და ძმანი მისნი“, რომელიც 1933-43 წწ. იწერებოდა). თომას მანმა ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის გადაულახავი წინააღმდეგობის თემაც ებრაულ „ასპექტში“ „გაშალა“ (ანუ აქაც გაშალა) თავისი ესეისტიკის შედეგში „ფრანც კაფკა და მისი „ციხე-კოშკი“, მაგრამ ეს უკვე სხვა პრობლემაა. აქ კი მივყვით თომას მანის ესეებს, დღიურებს, კორესპონდენციებს, რადგან ამჯერად ამ მასალის „გასწვრივ“ მოგვიხდება საკითხთან მიმართება, ცხადია, მთელი შემოქმედების გათვალისწინებით, მაგრამ არა მოხმობით, რადგანაც იგივე ფენომენი (აუდენტუმი) თომას მანის მხატვრული შემოქმედების მიხედვით — ცალკე პრობლემაა; ერთ მოხსენებაში შეუძლებელია ერთბაშად ყველაფრის „მოწოდება“, ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად...

ჯერაც 1935 წელს 19 მარტს, ერისკალერს წერს თ. მანი: „ხომ არ შეიძლება უარყო და არარსებულად გამოაცხადო ის ფაქტი, რომ ჯერ ებრაელები და მხოლოდ მას შემდეგ — ბერძნები ქმნიან დასავლეთ

ევროპული ცივილიზაციის სულიერ საფუძველს? რა არის ქრისტიანობა, თუ არა სულიერი ნაყოფი იუდაიზმისა? იუდაიზმი, ცივილიზაციის თვალსაწიერიდან ყოფიერების კულტურული საფუძველია, რადგან იგი იცავს პოზიტიურ ღირებულებებს“. „ის, რომ სახელდობრ, მე, როგორც მწერალს, ებრაელობა უაღრესად სიმპათიურ ფენომენად მესახება — ყველამ უნდა გაიგოს. რელიგიური საყრდენი უძვეს საფუძვლად იმ გარემოებას, რომ ებრაელები განიცდიან ღრმა ინტერესს და მისწრაფებას ყოველგვარი სულიერებისადმი. ლიტერატურისადმი ებრაელთა დამოკიდებულებამ არ შეიძლება არ მოინადიროს ნებისმიერი ნამდვილი მწერლის გული. ისეთი სიყვარული პოეზიის მიმართ, ებრაელს რომ აქვს, მხოლოდ ფრანგებს ახასიათებს, რომელთათვის „პოეზია“ თითქმის ეროვნულ რანგშია ატანილი“ (მე ვეტყობი — ქართველთათვისაც ასეა — ლ. თ.) თომას მანი თვლის, რომ ანტისემიტიზმი, რომელიც ზოგადევროპული ხასიათისაა და გერმანიაში კი პირდაპირ „გაიფურჩქნა“, პირველ რიგში იმ ერს ემუქრება დაშლითა და ლპობით, სადაც მან ასე ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა. „ამას მე ვამბობ, გერმანელი, — ვისთვისაც თანდათან აუტანელი გახდა გერმანელებს შორის ცხოვრება, და ვინც, არასოდეს გაპატიებთ თქვენს კარგად ცნობილ სულგრძელ შელამაზებას, გერმანული სულის შეფასებისას რომ გამოიჩინეთ“... „ანტისემიტიზმი — ყველაზე სულელური პოზიციაა იმ პოზიციათა შორის, გონიერ კაცს რომ შეუძლია „შეიმუშაოს“, „იგი სირცხვილია განათლებული და კულტურული ადამიანისათვის“ და „მის გამოხდომებში კვალიც კი არ ჩანს სამართლიანობისა“, ხოლო იმ „საგანგებო“ როლს, რომელსაც ევროპული ანტი-სემიტიზმი მიაკუთვნებდა ებრაელობას, როგორც ყოველგვარი ქაოსის, განხეთქილების, არეულობის მონატრულსა და მთმწყობს (მათ შორის ისეთი „ფუნდამენტური „იზმების“ ავტორადაც მიიჩნევა

ნას, როგორცაა, — თომას მანი ჩამოთვლის: — ნაციონალიზმი, კაპიტალიზმი, ინტერნაციონალიზმი, მატერიალიზმი, იმპერიალიზმი და ა. შ.), იკი მიიჩნევს, რომ აქ ებრაელები თავკაცები კი არ იყვნენ, არამედ მხოლოდ მეკზურნი, ან ისეთივე მსხვერპლნი როგორც სხვები“. „არა, ზოგჯერ ისინი ხელმძღვანელებიც ყოფილან, დასძენს თომას მანი, მაგრამ თავიანთი ნიჭიერებიდან გამომდინარე მოუსვენრობის გამო“.

თომას მანის პოზიციაში აშკარაა სირცხვილისა და დანაშაულის განცდა გერმანელთა და გერმანელობის გამო და ეს მხოლოდ ებრაული ფენომენისადმი საგანგებოდ „მიძღვნილ“ პუბლიკაციებში კი არ მქლავნდება, არამედ ისეთ „არაებრაულ“ ესეში, როგორცაა „ძმა პიტლერი“ („Bruder Hitler“), რომელიც ფაურერს „ძმას“ კი უწოდებს (გერმანელების პოზიციიდან და არა მხოლოდ ამიტომ!), მაგრამ ისეთ ძმას, „რომელიც შევარცხვენს“. ხოლო ერთგან წერს: „განტევეების ვაცის“ ამბავი ძველი და ბრძნული ამბავია, რომელიც გერმანელებმა ცნობად უნდა მიიღონ. როცა ქვეყნად ცოდვებრალს სთესენ და, რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, სხვა ვინმე სურთ გაუყენონ შორეულ უდაბნოეთს, არავითარი საფუძველი არა აქვთ, ამით თავი მოჰქონდეთ“. გაცილებით ადრე, 1907 წ. იბეჭდება თ. მანის პუბლიკაცია ებრაული საკითხის გადასაწყვეტად“ (თომასი მაშინ 32 წლისაა), რომელშიც იგი გამოკვეთილი ფილოსემიტია — ზოგადად აუდენტუმის, კერძოდ, ევროპელი ებრაელების გულწრფელი ქომაგი, თანაც მის „ქომაგობაში“ შემწყნარებლობით თავმოწონება კი არ ჩანს, არამედ საკუთარი ეროვნული ვახცდის ტოლფასი სიფაქიზე: საკითხს კი არ „აშიშვლებს“ ცნობისწადილაყოლილი და ინფორმაციით „დანაყრებული“ გურმანის ყაიდაზე, არამედ საკუთარ, ძვირფას განცდად ქცეული, სურს, სასოებით მოგაწოდოს (ხომ წერს ებრაელობისადმი ჩემს დამოკიდებულებაში ეთიკურ პრობლემას

ესედავდი, ამაღლებულ სიძნელეთა და უჩვეულობათა იმ სიმბოლოთგანს, რომელსაც, როგორც ხელოვანი, მუდამ ვეძებდიო!“); ესაა მისი რუდუნებაც და კარგი ევროპელობაც, რაც, მე, პირადად, რათქმა უნდა, მსიბლავს, მაგრამ არ მიკვირს და არ მიკვირს როგორც აქაურს, რადგანაც: მუდამ და უფრო ადრეც, მაგრამ ილია ჭავჭავაძესთან კი განსაკუთრებით, მისი წერილის ტონში, რომელიც იმავე საკითხს ეხება, ის „იკითხება“, რაც თომას მანთან, ოღონდ ტიპიურ ქართულ ყაიდაზე ანუ ისე, როცა საკუთარი ღირსების გრძნობაა შერწყმული ერთგვარ რიღთან ან აკრძალვასთან. ასე იყო მოაქვამამდე და ამ დღეებშიც გაიჟღერა ამ სწორმა პოზიციამ არაერთგან, განსაკუთრებით კი ჩემი საყვარელი გაზეთის — „ლიტერატურული საქართველოს“ მეთაურ წერილში, რომელიც ბ-ნ თამაზ ჭილაძეს ეკუთვნის...

... „ბატონი ადოლფ ბარტელსის პიპოთეზის საწინააღმდეგოდ, წერს თ. მანი, — მე ებრაელი არა ვარ, ჩემში, თუმცა არის სხვა სისხლი, მაგრამ არა ებრაული, არამედ — რომანული (თ. მანის დედა იულია და სილვა ბრუნსი დედით ბრანზილიელი იყო — ქ. თ.); ამასთან, არც უფლება მაქვს, არც სურვილი, რომელიც მოვინიშმი ვიქადაგო, და, თუმცა საერთოდ არც თუ ისე უხვი ვარ მტკიცე და ურყევი შეხედულებებით, — მე ურყევი და მტკიცე „ფილოსემიტი“ ვარ (ის. „ებრაული საკითხის გადასაწყვეტად“). ამავე თხზულებაში წერს თომას მანი, რომ ებრაული საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია კულტურის განვითარებასთან უწყვეტკავშირიო“. „და თუ ეს საკითხი, — განაგრძობს თ. მანი, — რუსეთში გაცილებით სამინელი და სისხლიანია, ვიდრე ჩვენში“. ეს, უბრალოდ, იმით აიხსნება, რომ „რუსეთი საერთოდ უფრო ახლოა ბარბაროსობასთან, ვიდრე ჩვენი დასავლეთი ნაწილი ევროპისა“, რომ ებრაული საკითხის გადაწყვეტა იმაზეცაა დამოკიდებული, „თუ როგორ იღწვის

თითოეული ჩვენგანი ცივილიზაციისა და კულტურისათვის ინდივიდუალურად“.

მაგრამ თომას მანის ურყევი პოზიცია „უდენტების მიმართ, თუმცაღა ჰუმანისტურია, და „ფილოსემიტურიც“, მაინც არახწორხაზობრივია; იგი მხოლოდ წინააღმდეგობრივი მოვლენების გათვალისწინებით ყალიბდება; ასე, მაგალითად: თ. მანი ესეში „რატომ არ მართებს ებრაელ ხალხს სასოწარკვეთა“, წერს: „ებრაელები ზედმიწევნით სხვადასხვაგვარნი არიან საიმიხოდ, რომ საკუთარ თავს ფილოსემიტი ვუწოდოთ“, სხვაგან კი „ურყევე სემიტოფილად“ მიიჩნევს თავს. მაგრამ წინააღმდეგობა პოზიციებს შორის კი არ არის, არამედ საკითხების სხვადასხვაგვარობაა გასათვალისწინებელი: იქ (ესეში „ებრაული საკითხის გადაწყვეტისათვის“) თ. მანს საუბარი პქონდა უდენტუმიდან კეთილგანწყობაზე საერთოდ, აქ კი (ესეში „რატომ არ მართებს...“) იმას უსვამს ხაზს, რომ თუმცაღა—მისი დამოკიდებულება კალკუელი ებრაელისადმი არაერთგვაროვანია, „ანტისემიტიზმი, როგორც შესედულებათა სისტემა“ მისთვის „მიუღებელია კატეგორიულად“. თანაც აქ ბინდა დავიმოწმო ჩემი იერუსამელი, აღმოსავლეთ ევროპიდან II ამოსული“ კოლეგები: ასეთი შეფასება ებრაელი ხალხის-სულისა, და ისტორიაში მისი წვლილისა, უკომპრომისო „არა“ ანტისემიტიზმის მიმართ, სულაც არ ნიშნავს დასტურ-თქმას („პო“-ს) თქმას) ყველა სახის ებრაელზეო“, — სწერენ. შემდეგ დასძენენ: თომას მანის „უდენტობა“ შორსაა იმ განწყობილებიდან, მიცვალებულთან დაკავშირებით რომ არის მიღებული: მკვდარზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო“...

ასეა, ებრაული ფენომენი იმდენად სიცოცხლისუნარიანი და გამძლე აღმოჩნდა — ფიზიკურადაც და მეტაფიზიკურადაც, — რომ ჯანმრთელი ორგანიზმის სისადრთა და სისადაფრთ შეუძლია შეეკუოს ნათქვამს.

თ. მანი წერს: „ჩემი პირადი დამოკიდებულება ებრაელობისადმი იმ ფაქტით არის განპირობებული, რომ ებრაელთა შორის მყავდა საუკეთესო მეგობრებიც და უბოროტესი მტრებიც. ამიტომაც ვარჩევ, არ მივცე დეტალური მტრის, ანუ ის არ ვთქვა, კარგია იგი თუ ცუდი... მაგრამ გერმანული ანტისემიტიზმი პროდუქტი და ისტრუმენტია რასისტული ძითოსისა, ბრბოსთვისაა განკუთვნილი და მძულს სულის სიღრმემდე“, თომას მანის აზრით „ესაა ფსევდოარისტოკრატიზმი პატარა, ძალზე პატარა ადამიანებისა“ და მათი „ფორმულა“ ასეთია: „მე შეიძლება არც არაფერს წარმოვადგენდე, მაგრამ კიდევ კარგი, რომ ებრაელი მაინც არა ვარ“ და ეს ობსკურანტიზმი, ღრმა სიბნელე მაშინ, როცა თომას მანის პოზიცია ასეთია: საკამათო გახდაო მსოფლიოს კაცობრიობის ერთი ნაწილის უფლება სიცოცხლეზე, მეტადრე იმ ნაწილისა, რომელმაც ისეთი დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი დასავლური ცივილიზაციის საგანძურში, რასაც ებრაელთა წვლილი ჰქვია, — ნიშნავს, ღმერთი დაივიწყო“.

თომას მანის საგანგებო წვლილი ჩვენთვის საინტერესოა ე. წ. ებრაული ფენომენის ახსნაში, კიდევ იმით გამოიხატება, რომ იგი შეუვალად ამბობს, თუ რაზეა დამყარებული უმეტესწილად გერმანული ანტისემიტიზმი; ემილ ბერნჰარდ კონსაღში ბარათში თ. მანი წერს: „გერმანული და ებრაული ბედის შეპირისპირება მუდამ მგერიდა საგანგებო პოლემიკურ სიამოვნებას. გერმანელებით ალტაცებულნი არიან, ან სძულთ ისინი იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ალტაცებულნი არიან ან სძულთ ებრაელები. და გერმანული ანტისემიტიზმი დიდწილად არის დაფუძნებული სიტუაციათა ერთგვარობაზეო“. თომას მანი წერს, თუ „რა აკავშირებდა ებრაელებთან“ და „აკავშირებდა სამუდამოდ“. — ესაა იუდეველთა სიყვარული ინტელექტისადმი, ბუნებრი-

ვი, თანდაყოლილი გულისხმიერება (ალ-ლოიანობა) იმის მიმართ, რაშიც ვლინდება დახვეწილობა, სინატიფე, კანდიერი შემართება, თავისუფლება“, მაგრამ თ. მანი იმასაც აღნიშნავს, რომ ებრაელთა ინტელექტუალური ტალანტი და საგანგებო გერმანობიარება სიახლის მიმართ, რასაც ისინი მიესალმებოდნენ განსჯათა გარეშე, უბრალოდ, როგორც ახალს“, დროდადრო აყენებდა მათ „ცოდვიან და დამღუპველ მოძრაობათა სათავეში“.

თ. მანი „აუღენტუმის“ ფენომენის „გაგებაში“ დიდი გერმანელი განმანათლებლების მემკვიდრეა; გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგმა ჯერ შეიფარა და მერე თავისი ბრძენი ნათანის პროტოტიპად აქცია“ ბერლინის კარიბჭეს მომდგარი, ავადმყოფი და მიუსაფარი მოსე მენდელსონი—რელიგიური ფილოსოფოსი, რომელსაც ღარიბული ლუკმა გაუყო და საკუთარი, დიდი სულიერი სამყარო აჩუქა. განუზღვრელი პოლანდიელი ფილოსოფოსის — ბარუხ სპინოზას როლი გოეთეს შემოქმედებაში (ჰაინე „პოეზიის სპინოზას უწოდებს გოეთეს!), რომელიც მისი უსაყვარლესი მოაზროვნე იყო და რომლის „ეთიკის“ მთავარმა თეზისმა — „amor dei intellectualis“, ებრაული ნეოპლატონიზმის — კამალის — ურთულესი კორპუსისაგან რომ იღებს სათავეს, ე. წ. „მომთმენიანი წინააღმდეგობით“ არის გაჯერებული და არქექტიპული საზრისი კი „ბიბლიური იობის“ ფენომენში კოდით უძევს, — გოეთეს პოზიტიურად დაადოვიანა თავისი შემოქმედების პირველი, მწვაობრობით აღბეჭდილი“, მტაურ-მერული“ პერიოდი და კლასიკური, „ვაიმარული პერიოდის“ გზას შეუყენა იგი.

ამგვარი გერმანელობიდან „მოდის“ თ. მანი და ამიტომაცაა ბუნებრივი მისი თუმცა არასწორხაზობრივი, მაგრამ ჰუმანიზმით აღბეჭდილი დამოკიდებულება სიონიზმის მიმართ, რომელშიც კიდევ ერთი „დამატებითი“ ნიშანი ჩნდება „აიუ-დინტუმის“ ფენომენისა. თ. მანი როცა ამ

მოვლენისადმი ეჭვითაა განწყობილი — იქაც ჰუმანიზტია, უფრო გვიან, როცა პალესტინაში იმოგზაურა და ეს სიონიზმი „განხორციელებად“ თეორიად მიიჩნია, — იქაც; ესეში ურეზერვულია საკითხის გადაწყვეტილებას. „... შეუმცალა შეუხრული, ურყვევი ფილისუმიტი ვარ, მაგრამ ასევე შეუხრელად მჯერა, რომ გამოსავალი, რომელზეც ოცნებობენ უკომპრომისო გონების სიონისტები, ევროპისათვის ყველაზე დიდი უბედურება იქნება იმ უბედურებათა შორის, რაც კი საერთოდ შეიძლება თავს დასტყუდომოდ ჩვენს-ევროპას“. შემდეგ, როცა პალესტინას გაემგზავრა, — რათა ენახა ქვეყანა „მომავლით წარსულში“ — სიონიზმში თომასი უკვე ხედავდა ებრაული ეროვნულობის აღორძინების პროცესს: „გერმანობდი, რომ ხალხში ვარ, — წერს თომას მანი, — რომლის აზრი და ემოცია ეროვნული იდეითაა აღმატებული. ებრაელები არნახული მამაცობით მოსწვდნენ ცივილიზაციას, რათა ყველაფერი თავიდან დაეწყოთ და შეექმნათ სამყარო, სადაც ოცნებები და იდეალები სინამდვილედ იქცეოდნენ“... ისევ, იდეალის სინამდვილედ ქცევა, ანუ განყოფილი „საქმისა“ და „სულის“ ანტითეზა — თომას მანის შემოქმედების მთავარი პრობლემა, მისი სწრაფვა მათი ერთქმნისა, რასაც იგი, გერმანელი მწერალი, გერმანიის ბედაც მიიჩნევდა, თუნდაც იმ ასპექტში, ჰაინემ რომ იხუმრა და იხუმრა „ფუნდამენტურად“; სანამ იმანუელ კანტის ფილოსოფიური თეორიის მიხედვით ფრანგები ბაურგერულ რევოლუციას ახდენდნენ, გერმანელი ჰანსი ჯერაც ჩაჩით დადიოდაო“, რითაც ხაზი გაუსვა თეორიაში (ფილოსოფიაში) უძლიერესი ერის პრაქტიკულ სისუსტეს, გერმანელი ბაურგერის შიშს საქმედსაქცევი სიახლისადმი. ეს ერთქმნა, ეს განამდვილებული იდეალი დაინახა თომას მანმა პალესტინაში და



იგრძნო, რომ როგორც თავად წერს. — „ებრაელთა ქვეყანა აშენდება ისე, როგორც ეს მის ხალხს უნდა“. „ჯერ სიმაბაცემ და შემდეგ — ჭეშმარიტმა იდეალიზმმა ძლიერ ამაღელვებელი“. — წერს; „ხალხი, რომელმაც თავისი სულიერება „შეინარჩუნა“ და ძალუძს საკუთარი ხელებითაც იმართოს, — ააშენებს ახალ ცხოვრებას. ეს ცხოვრება მიწაშია ფესვგადებული და მომავლისკენაა მიმართული; ამიტომაც იგი მყარი ცხოვრება. „იოსები და ძმანი მისნი“-ც, იმ პრობლემას მიუძღვნა, „სულისა“ და საქმის“ ერთმანის პრობლემას. ინტერვიუში, რომელიც თომასმა პოლონურ გაზეთს — „სიონისტის ველტს“ მისცა, იგი წერს, რომ სი-

ონიზმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის თავისი მკვეთრად გამოხატული პაციფისტური ბუნების გამო“ და ამ მოსაზრებას ასე ხსნის: „სიონისტებს უნდათ: მხოლოდ დაფიქრებული იდელების ძალით შეუქმნან ებრაელ ხალხს საკუთარი სახლი, — ზოგადსაკაცობრიო სამართლიანობისადმი თავიანთი დიადი რწმენის ძალით და — თავგანწირული შრომით. თუ ხალხი მშვიდობიანი სამართლიანობით მიაღწევს იმას, რის მიღწევასაც დღეს სხვა ხალხები მხოლოდ ძალმომრეობითა და სისხლისღვრით ლაშობენ — ეს მოვლენა მშვენიერი და სანუგეშო მაგალითი იქნება კაცობრიობისათვის“.

